114/1926/3

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისაო, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა
114/3

42217

№ 1 (21)

წელიწადი მესამე.

ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

ი ა ნ ვ ა რ ი

ტ ფ ი ლ ი ს ი. 1926 წ ე ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს კულტურა-განათ-
ლების მთავარ-მართველობა.

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 958 მთავლიტი 351. ტირაჟი 3.000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

საჯარო
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა.

— შენ თუ ტოროლივით მტვერმა აგატირა,
ალბათ გიგორავდა გული პატარაო,
დაბადებიდანვე ქუჩის განაპირად
ქარმა მშობელივით უბით გატარაო.

— ხელზე ეგ ჭრილობა შენი მოდელია,
თვალში ზღვა გიცინის ზვირთებ გამოსხმული,
ვნებით გაივსები და რძეს მოდენიან
მკერდზე ფორთოხლები ოდნავ ამოსული.

— ნეტავ, როგორ მინდა იყო სულ გოგონა,
ჩემსკენ პეპლებივით ღიმილს აგზავნიდე,
იყო სულ ასეთი კარგი თვალ-მოგორა,
მე კი თმა-ბებერი ჭკუას გასწავლიდე.

— და თუ ტოროლივით მტვერმა აგატირა,
გულში გიგორავდა გული პატარაო,
პირისტანიდარო ქუჩის განაპირად
ქარმა მშობელივით უბით გატარაო.

— ნუთუ არ იცოდი: შენთვის ეს მიდამო
არის ენამხამი, არის ენამწარე,
მოდი, გაებუტე ყველას სათითაოდ,
მოდი, მე დამენდე, ბავშო გენაცვალე. —

გალაკტიონ ტაბიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოემა ვეფხისა

აქ დასიცხული თვლემით გრძნობენ ვეფხვთა სიარულს
თითქო ცეცხლში ხარ და განწირულ სიტყვას ჰკიოდე:
ცას, დედამიწას, ადამიანურს
ვეფხის-ტყაოსნის სტრიქონებში ვხედავ არეულს.

ვით სულდგმულები ირევიან მცენარეები,
ვეფხვი მოქმედობს ლმობიერი და თან მრისხანე.
ხან მნგრეველების არის ყრილობა:
იფეთქა ცეცხლმა, იბუგება მთელი ქვეყანა—
ზეცით სიცივე და გულგრილობა
ვის სურდა ქვეყნად ჩამოეყვანა?

შეხედეთ: ქვებიც გამომსხდარან მოსმენად მშვიდი;
მშვიდი სამუმი—მათრობელი, მშვიდი ჭავლეთი;
აქ ძველი არის ყველაფერი, როგორც სანსკრიტი,
მაგრამ ახალი მუდამ, როგორც აღმოსავლეთი.
ასეთ ოცნებას ხსნა არ მოელის,
სიმღერა აღარ იგრძნობს დასასრულს,
დაცხრება სული უდაბნოელის
გულცივი ზეცა რომ გადასაზროს.

კიდევ გადავა საუკუნეთ მღვრიე მრავლობა,
მაჯა, დედა მსოფლიოის, მოირხევს დღეებს
შთამამავლობას მოეცლება შთამამავლობა,
როგორც ფოთლები გიგანტიურს, უძველეს ხეებს.
ქარმა ველებზე ძნები დაშალა
და მიმოფანტა ქვეყნის კიდეზე:
შევუნთოთ ცეცხლი რომ იგი ალი
იყოს უვრცესი და უდიდესი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ისევ სამხრეთ-დასავლეთით წავლენ ზენდები,
ან ისევ სამხრეთ აღმოსავლეთს ინდოთა ჩანგი
იქ სადაც თვალწინ გაიშლება ხეობა ინდის
სადაც პენჯაბის ხეობიდან ხმაურობს განგი
გადაიშლება კვამლი მხუთარი
და გადიქცევა მზის ვუალებად
შემდეგ იფეთქებს რომ საკუთარი
ქნარს მისცეს სუნთქვის საშუალება.

მოვარდნილ ღვართქაფს ვერ დაიჭერ მსუბუქი თალხით
ზეციდან მსვლელი გიმალაის მწვერვალთა გზები
შთაჭრილი უფსკრულს, რომ გარეცხოს თავისი ტალღით
სამოც ათასი მეომარის დალლილი ძვლები.
ავა ზეცამდე—და შეეხება
იქ, ლაჟვარდებში რომ გემებია.
აჰა, ალისფერ ნაღმით შეღება
თითქო ის ცეცხლიც უგემებია.

ტროპიკის სიცხე. სიყვარული ლაკედემონის,
მეგობარს კიდევ მეგობარი შეეურჩენია
შრიალებს ფრთები ელლადათა სიბრძნის დემონის
ძველი ეგვიპტის აქ ხმიანებს მძლავრი გენია
ხმათ აიაზმის ნელი პკურება...
ისარი გულზე ვის არა სოდეს?
იყო მრავალი განადგურება—
ლექსთა სიკვდილი კი—არასოდეს.

ომებში ლომი ნახტომიდან შამბის არშიით,
ტაიჯნი ჰქრიან როგორც მძაფრი ისრები ქარში,
მაგრამ ხანდახან დაუნდობელ გრძნობებზე სტირის
ელეგიური დღე იზისის და ოზირისის.

აი უდაბნო არაბეთის. დაიფარავდა
უხსოვარ დროით ოაზისებს ძველი ტომები
ძლიერი, გამძლე და ამაყი ტომი არაბთა
მხურვალე ზეცის და ოცნების ქვეშევრდომები.
დაე, მინდვრები ცეცხლმა გადახრას.
იგი მომავალს ძლიერს მოიტანს.
დრო ხედავს ახალ გზისკენ გადახრას
სიცოცხლეს ახალ მიდამოიდან.

მას რაინდული ჰქონდა სული, სავსე ანთებით,
ლაშქართ მრავალი აღტაცება მისდევდა თანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანძურებში დაგროვილი ფოლიანტებით
სადაც იწოდა პოეზიით მდიდარი ხანა.
რაც ამ ხანაში არის მთავარი
და რაც ყველაზე უფრო შორია
ეს: გადამრჩენი წვიმას ყავარი,
რითაც იფარავს ძველს—ისტორია.

გაფრინდნენ თვალწინ უდაბნოთა ბედუინები
და ქალაქების სიმდიდრენი გაჰკრთენ ზმორებით
თავისუფალი და დანარჩენ კაცობრიობას
დაშორებული თვალუწვდენი ქვიშის მორევით.
ახალ მხარეთა გაჩნდა სახელი
მან არ წაშალა იმ ხმათა დარგი
მუდამ ყველაზე უფრო ახალი
და უფრო კარგი.

თუ აქლემების ქარავნები და ცხვრების ჯოგი,
რომლის მახლობლად იშენებენ მშვენიერ კარვებს,
თუ სიმამაცე და ლანდები სტუმართმოყვარე,
დამავალი დღე ესალმება საღამოს ქარვებს
შემდეგ ქარცეცხლი, შემდეგ შერყევა.
და პოეზია იქცა ერთ ელვად.
საკმარისია ქაოსის შერხევა—
იფეთქებს ერთხელვე.

დავლიოთ ჩვენ იმ კარგი დროის შესანდობარი
ოდეს პოეტი იყო არა მარტო პოეტი:
პოეტი იყო ბედუინი და მეომარი
პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი
იყო გრიგალი, იყო შერყევა
იყო მსოფლიო ძალა—უგეში.
მისთვის არ იყო რამ შეფერხება—
იგი უყვარდათ როგორც ნუგეში.

ვეფხის ტყაოსანს შეინახავს აღმოსავლეთი,
პერგამენტების შეინახავს ჩრდილი კეთილი
პალმის ფოთლებზე დაწერილი სისხლიან ცრემლით
ან სპილოს ძვალზე სასოებით ამოკვეთილი
გადაშორდება დღეებს მტვერიანს
გადაშორდება დროთა ბანაკებს
მას მომავლიდან კვლავ უცქერიან---
რა სხვა დიდება უამხანაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველს მოყვა სიხარული დაუთრგუნავი
მას შეუძლია ცა გადაჰკალოს
საუკუნეთა ტყეებს იქით მოსჩანს ბუნაგი:
იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს

ასე მგონია: ეს იმედი მას მოასწავებს
რომ სულ შემთხვევით ჩამარხულებს და ჩაკალულებს
ჩვენ აღმოვაჩენთ ძველი დროის ძველ წიგნთსაცავებს
ომიანობის გამო სადმე გადამალულებს.

კოტ. ლოლათქიფანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე და შენ

ამბობდი ოხვრით:—ერთმანეთი რათ გავიცანით,
თუ კი ჩვენ ეხლა უნდა დავშორდეთ!
ახ! რატომ გინდა რომ მომიცილო.
ან უბედური ბედო რათ მზობე..—

აბა ესენი სად შემიძლია,
რომ ვიყო შენი ერთგული ქმარი...
ან მითხარ, მითხარ თუ მომიცია
შენთვის ოდესმე სიტყვა ამგვარი!

და ეხლა უფრო, როცა მაშინებს
თუ ხვალ თვალებში რა გამეხსნება,
თითონ იფიქრე, ვით გავაშენო
გულში ზედმეტი ფიქრების ქსელი.

შენ ნუ იდარდებ.
ნუ გგონია რომ შენ გექცევი მარტო ამგვარათ;
ო ნუ მიწოდებ უხეშს, სხვა რამეს....
რომ არ ვიცოდე სიყვარული, ვიყო გულქვავი...
და საზოგადოთ გირჩევ ჩემზე სულ არ ირისხო.

ყველა დღეები თითებივით რომ მქონდეს მაინც,
გთხოვ დამიჯერო,
მაგ საყვედურათ ვერ შემარცხვენ,
ვერ შემაჩერებ,

რადგან ეს გული გველებივით იშენებს ბილიკს,
რადგან ჩემ თვალებს შემოქნეულს თითქოს შოლტებათ,
კვლავ ენატრება, თუნდ ისეთი ცა გადმოჰკიდოს,
სადაც ჩემი ხმა გაიხარებს მწვანე ყლორტივით.

ვარლამ ჟურული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულით სოფლისაკენ

1.

მირბის, მიჰკივის მატარებელი
ვემშვიდობები მეგობარ ტფილის:
მე მინდა გულის მოტრიალება
რადგან სოფელი გულში მიტირის,
რომ იშლებიან კვამლის ლრუბლები
ვხედავ მორბიან მთები, ნისლები;
გულო, ამ გზებზე თუ ვიღუპები?
ისევ საკუთარ სისხლში ვისვრები.
უკან მომდევენ თეთრი მინდვრები,
თენდება ცა და მეხსნება თვალი.
აწი, ტფილისო, არ გიბრუნდები,
მე სამშობლოში ვარ მიმავალი.
სული დაჭრილი სევდის ფრინველი
თუ მეობლება ფიქრში დაკარგულს:
ეხლა სოფელში მაინც პირველი
მივესალმები დალვრემილ სადგურს:
დღეს შეშლილივით მზეს დამალული
ეჰ, მეგობრებო!—ნულარ მომელით.
შენთან მოვდივარ, მოვიწვა გული.

. . . . . .

2.

მივტირი მარტო, მეცემა თოვლი,
ცა იხედება ცივი და წმინდა.
გადმოთოვლილი თეთრი ფოთოლი
ნელი შრიალით ეშვება ციდან.
აგერ მდინარის სოველ სილაზე
რომ დაფრინავენ ტბის ფრინველები.
თვალში ამომდის ცა და სინაზე
ვხედავ:—მიცქერენ თეთრი ველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა საღამო მოდის, ბნელდება
მივყვები თოვლში გატკეპნილ კვალებს.
გზაზე ქოშებით შემხვდება დედა
მოწვიმს ცრემლები და იწმენდს თვალებს.
რომ ველარ მიცნობს ეზო, ჭადარი
ასე მგონია შემტირის ოდა:
—აქ შენი ბინა – უკვე არ არის.
წადი, გამშორდი! წადი, გამშორდი!
შორს კი—ლრუბელი მიდის, მიგორავს,
მე წინ მეშლება ბინდი და ჭალა.
ვუმზერ ბოსელში დაბმულ ნიკორას
რქებით რომ მაყრის გატკვერილ ჩალას.

3.

დღეს თუ ლირიკით ცივი, სოველი
მე ვერ ვშორდები მშობლიურ კერას,
გულში მიმიკრავს თეთრი სოფელი
და სამშობლოში ვიწყებ სიმღერას:
—გულო ტკივილებს რომ ვერ მიგიხვდი
ვხედავ ვთეთრდები ცისფერ თვალება.
ჩვენი ცხოვრების გამტყდარი ხიდი
შენ ნუ გაფიქრებს, ნუ გებრალება;
გულო ნუ სტირი! ნუღარ ბრუნდები!
ეხ, მეგობრებო, ნუ მინაპირებ;
ვერ დავდუმდები, ვერ დავდუმდები...
ვეცემი ყელს და—ამოვიყვირებ:
—გზებზე დავდივარ, გზები დამდევენ,
უკვე დავშორდი საყვარელ ტფილისს;
თუ სამშობლოში მოვკალი სევდა
დღეებს გამოვცლი შხამზე უტკბილეს.
მაგრამ ლირიკა თუ მიმალაგებს,
ვერ გავექცევი გესლიან ენას.
ახალ სოფელში ვით ნოქალაქეს
ხელს გაუწოდებ ცას და მოწყენას.

1926 წელი.

ალ. ჟუთათელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრუბლები

ასულთა სუნთქვის მსგავსია
ღრუბელთ გაშლილი ჯარები;
გადაიარეს აზია
და უდაბნოთა კარები.
გადაიარეს მიდია,
პირამიდები, სვეტები.
ქარავანივით მიდიან
ღრუბლები დანახეტები.
გძელი კისერი გაზიდეს,
განვლეს ეგვიპტე, გორები;
მე მომელანდა იზიდა,
სილა, ფლოქვი და ტორები.
იზიდებოდა ზღაპარი
ცაზე ღრუბელთა ღმერთების,
გულში ჩამედგა ლამპარი
ზღვათა განვლისა და გზების.
ნელა მიდიან, მალულად,
მიაქვთ ფიქრები ხარბია
და გულში ხმათა მარულა
ჰარმონიული გარბიან.
ამ საიდუმლო დენაში
ხმა სდუმდა უმეორები:
თითქო მიდიან მექაში
აქლემის დუმბო ტორები.
გადაიარეს მიდია,
პირამიდები, მედინა...
ქარავანივით მიდიან
და გული ძალზე მეტკინა.
მე მომელანდა ათასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლები ამ სოფლად გასული,
მათი ბრუნვანი, ცის დასი
და მნათობების არული..
მე მომელანდა ელარუნი
ცით საამური ეჟვნების
და კაეშანი ძაბუნი
გულს ჟრიამულით ეშვება.
რას არ იხილავს ადამი
წუთისოფელის ნავიდან?!
სუნთქვა, ცრემლები და ნამი
ცით ანაორთქლი ავიდა.
და დაიღვრება ოდესმე
ღრუბლები ისევ ნამადა.
ბავშის ტირილი მომესმა,
როს წვეთი ხლვაზე დავარდა...
ცა კი, ცა ისევ სავსია
ღრუბელთ ახალი ჯარებით,
გადაიარეს აზია
და უდაბნოთა კარები.
გადაიარეს მიდია,
პირამიდები, სვეტები;
ქარავანივით მიდიან
მუდამ ჟამ დანახეტები.
ამ საიდუმლო დენაში
ხმა სდუმდა უმეორები,
თითქო მიდიან მექაში
აქლემის დუმბო ტორები..
საით მიდიან ნეტავი?
არა აქვთ აზრი არც ბოლო?
გულისთქმის დასაკეტავი
ეს არის ქვეყნის სიმბოლო!..

ვიქტორ გაბესკირია.

ხატიჯე

სახელია მისი ხატიჯე, ჯვარი გაბესოლლი, გამაჰმადიანებამდე ყოფილან გაბესკირიები.

ნაამბობიდან.

თვალებს ნაბავდი ქარში—ქარითვე.
ვიცი მარიდებ სახეს ამ ხანათ;
იქნებ იმიტომ რომ ვგავარ ქართველს
და მეძახიან სიტყვას „ამხანაგს“.

იქნებ იმიტომ რომ მხედავ მოლლილს
და ცეცხლი სულში რომ დამეხავსა
რომ არ მოსჩანა ჩემს გვარში „ოლლი“
და არ მიწოდეს სახელად: „ხასან“

ხატიჯევ, დაო შორეულ სისხლის—
რომ შევხვთებოდით ეს ვინ იცოდა!..
მითხარი თორემ მე ვერ აგიხსნი
თუ რათ ჩამოდგა ჩვენ გვარში ცოდვა.

იქნებ მოგიყვენ: რათ დაგვამდურეს,
გიამბოს ვინმემ, ან დაგაჭოროს!.
რატომ მოშორდით ფშანებში ენგურს
და რათ დაენდეთ სილაში ჭოროხს.

მოყვი თორემ შეუშინდები
ქინძისთავივით პატარა ბოლმას.
თვალებში ცრემლი ჩადგა შინდივით
და სიხარული ისევ გამოხმა.

II.

ფოთლებზე თითებს ვაწყობ სათუთად
(ასეთ სიცოცხლემ ბევრჯერ დამძირა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალებში ცრემლი ჩადგა ვით თუთა
და ლრუბლებს ისევ გაეკრა ძერა.

ვიცი დავეძებ პატარა ბილიკს!
ბილიკს, რომელიც სხვამ არ იცოდა.
მინდა მოგიყვე ლექსები რბილი,
მინდა მოგიყვე მეგრული ოდა!

მინდა იცოდე თუნდაც მარტივი —
ამბავი ეხლა რომ არ გახარებს:
სამეგრელოში რათ დგას მარტვილი
და რათ მივდენით ილორში ხარებს.

ნუ მემალები იქნებ მე მგავხარ;
დაგეძებ ფიქრებ გადმონაკრეფი;
უმიზნო ცქერით თვალი დამეხა
და ვიფერფლები როგორც ხან-კეფი..

ბრიგოლ რობაქიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გველის პერანგი

რომანი

(გაგრძელება*)

ქარავანი

თავი მეათე.

ხანდახან უდაბნოში ხმა გაისმის.
სიტყვა ბედუინის.

ული—
არაბული ცხენის გული ექვსს კილოს იწონის.
ამ გულის ფეთქას რა შეედრება?!
არჩიბალდ მეკეშიც ასე ფიქრობს.
ნაშუადღევმა უცხო ფიქრები იცის: ნამეტურ ეეცარ გაღვიძების წამს.
მეკეში თვლემს: როგორც მეწამული ალხი—ირანის ტაშირზე რომ არის ეხლა დაღველფილი.
ოლგა გუშინ საღამოს პეტერბურგს გაემგზავრა: ომში დაჭრილ ძმის სისხლმა მოუხმო დეპეშით.
ყაზვინის მიდამოებში სიცალიერეა.
არჩიბალდ მეკეშის ცალიერება მიაგავს სათავეგადაგდებულ წისქვილს.
ტაბა ტაბაა თეჰრანიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.
ვამეხ საქართველოშია.
ოლგა—მენადას გული—გადაფრინდა.
არა: არჩიბალდ მეკეშის გულისცემა შეედრება არაბულ ცხენის გულისფეთქას.
გული საგულეს ვერ ეტევა. ვაჟი ოთახში ვერ ეტევა.
გადის გარეთ. მიდის უმიზნოდ ცქერა—უსაგნო.

*) იხ. „მნათობი“ № 11—12 (19—20)

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიადგა „წითელი ჯვარის“ საავტომობილო ნაწილს.

აქ ესვენა საცოდავი მანიაკი თუ ვიზიონერი სარგის.

აქ ნახა უკანასკნელად ირანის ჯეირანი—ირაჰშანდა.

ხმელი კუნელა ძლოკვივით იკლაკნება ფიქრებში: სახარი კეთროვანი მის ტოტზე ჩამოხჩობილი—გადმოკაკლულ თვალებით სამყაროს შუაგულში გამ-ყურე- ვინ შესძლებს—გვერდი აუაროს ამ თვალებს?! ვის თვალებს შეუძლიათ ამ თვალების ჩარჩენილ კვალის ამოშლა?! კუნელა იკლაკნება ძლოკვივით.

არჩიბალდ მეკეში განზე იხედება:

ისევ ის კაცი: განმარტოებით რომაა ყოველთვის.

50 წლის. ჟღალწვერიანი. პროფილით: სემიტის ბუში. თვალები ძიძქრა-ლი. ცქერა: თითქო დაკარგული—

ასე იფერფლება ხოლმე ნაკვესი აბედი

ჭაობში გადაგდებული.

შეკითხვაზე ერთს სიტყვას თუ იტყვის. თვითონ არავის შეეკითხება. სა-ეროო ბაასის დროს გვერდზე დგას და ცალყურს თუ ათხოვებს წარმოთქმულ სიტყვას.

გული არ მოდის არაოდეს. ღამობით ადრე წვება. სძინავს ცოტა. ალი-ონზე ღულუნობს: თითქო სიმღერას მღერის—მხოლოდ გულში. მოთენთილია მუდამ: ნაბიჯაუჩქარები.

ხანდახან თავის თავს ელაპარაკება.

ნეტავ თუ იცინის?! დამხჩვალ ღიმილისათვის თუ მოუკრავთ ხანდახან თვალი. უტირნია ოდესმე?! არავინ იცის.

ან მეკობარი თუ ჰყავს?! ან სატრფო?! ან ცოლი?! ან შვილი?! ან მამა?! ან დედა?!

გამოუცნობია:

დაბეჟილი მელანქოლია...

არჩიბალდ მეკეში იქვემდგომ ქართველ ჯარისკაცს ეკითხება:

— ის კაცი ვინ არის?!

— უდი..

— უდი ვილაა?!

— პატარა ხალხი..

— რა ჯიშისაა?!

— არ ვიცი..

— სად ცხოვრობენ?!

— საქართველოში.. ცოტაც—სომხეთშიც..

— ბევრნი არიან?!

— ოთხი სოფელი თუ იქნება..

სულ: მხოლოდ ოთხი?!

ჯარისკაცი ეხლა უდისაკენ გაიწევს:

კობა!.

კობა განზე იყურება დაკარგული მზერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კობა!.

— მმმ...ჰ

— რამდენია სულ უდები?!

— რამდენია?!.

თვალებში აბედი ჰერება ერთს წუთს ანთებული.

— ჰო! გეკითხები: რამდენია?!

— რად გინდა?!

და განზე მიდის ნაბიჯაუჩქარები.

ჯარისკაცი იცინის:

— მუნჯია ე ოხერი?!

არჩიბალდის ფიქრს რაღაც უკბენს:

უძირო. უფესვო. ჩემსავით.

ოდნავ შენელებული გული ისევ ილვიძებს: რად იჩქარის?! შორს წასული—(თუ გადაკრილი!) ფესვები ჰკიდიან: „მამა!.“ მამა გადაკარგულია. სხვა ძირი თუ ფშანი?! არავინ.

გული ამოხტომას აპირებს:

გულში ეხლა ოლგა ფართქალობს.

ვაჟი გაშლილ სივრცეშიაც ვერ ეტევა.

გატრიალდება. შედის პატარა ოთახში—საცა საავტომობილო ნაწილის გამგე ცხოვრობს.

— გეცოდინებათ: როდის გადის გემი ენზელიდან..

— ზეგ.. ნაშუადღევის ხუთ საათზე..

— ხვალ დილით რომ ყავიდე: ჩავუსწრებ?!

— ჩაუსწრებთ..

— თქვენი მაშინა არ გადის ან დღეს ან ხვალ?!

— გადის ხვალ დილით.. მხოლოდ—საბარგო..

— საბარგო მიუსწრებს?!

— მიუსწრებს..

— არ შეიძლება ერთი ადგილი?!

— ვეცდები..

ქართველი გამგე თავაზიანია.

ბუინაკ—

დილით რეშტის ბჭედან მიდის ავტომობილი.

არჩიბალდის გვეოდით „ალლანია“. მგზავრნი დოგს ეალერსებიან. დოგი ილრინება. არჩიბალდ გადახედავს: დოგი წყნარდება.

განვლეს სადგური პატარა.

საკვირველია:

სპარსეთში—საცა არ გახვიდე—ყოველი მიდამო თითქო თასია თვალუწვდენი: ირგვლივ მთები. გადაიარ რომელიმე ულელტეხილს—და ისევ მოწურულ თასში ეშვები.

პატარა სადგურიდან იწყება ელბურზის უმაღლესი წვერვალი—ბეინაკ (ყაზვინიდან 25 ვერსი).

ბეინაკ არ არის ჩვეული ულელტეხილი.

აქ ხერხემალი პლატოა თვითონ: მთის გაშლილი ზეგანი.

ულელტეხილიდან თასში ეშვები.

აქ კი: თვითონ ულელტეხილი თასია თვითონ: მხოლოდ გადაბრუნებული თასი: რომლის ძრო ტრამალია თუ ტაშირი.

არჩიბალდ მეკეშს ახსოვს სულეტანბულაღის ულელტეხილი.

მაგრამ ბეინაკ გრანდიოზულია უფრო.

და ჰაერი: სამყაროს გაჩენის პირველი დღეების.

პლატო—ულელტეხილი ეშვება სადგურ იუხბაშჩაისკენ.

გაივლიან ერთ სადგურს. მეორეს.

ავტომობილი იწყებს კაპრიზს. კაპრიზი ჰისტერიაში გადადის.

შოფერი აჩერებს მაშინას: დაზიანებულია.

— შეკეთება სჭირდება..

— დიდი დრო უნდა?!

— რამოდენიმე საათი..

— მაშ ამალამ მენჯილში ვერ მივალთ..

— მივალთ: ხოლო...

— რა?!

— შესაკეთებელი მასალა არ მაქვს..

— მაშ რა ვქნათ?!

— უნდა ვუცადოთ სხვა მაშინას..

— გამოიარს დღეს?!

— არ ვიცი..

— ყაზვინიდან რომ გამოვიძახოთ?!

— საიდან გამოვიხმოთ ყაზვინი?!

— ახლო სადგურიდან.. ტელეფონით..

— ღამით თუ მოგვისწრებს..

— მაშ ხვალ გემს ვერ ჩავუსწრებთ?!

— თუ სხვა მაშინამ არ გამოიარა—ვერა.

— არ გამოიარს?!

— არ მეგულება..

— მენჯელამდე რამოდენი ვერსი დარჩა?!

— ხუტმეტი თუ იქნება თუ ოცი..

„ვერ“ და „არ“.

არჩიბალდ მეკეში დალონებულია: ვერ ჩაუსწრებს. ოლგას ვერ ნახავს. გული ისევ ირევა. „ალლან“ გარს ეხვევა: ერთადერთი მეგობარი განუყოფელი თავზე ხელს გადაუსვამს. თვითონაც ნელდება.

ირგვლივ—ღრეები.

ერთს დაფენებაზე ქიმერების თავები იკლაკნებიან: თითქო ქარით გადაბნექილნი თაველნი. აქლემები.

ქარავანი უნდა იყოს. თუ მენჯილისკენ მიდის—გაჩყვება. მენჯილში ამალამ ჩავლენ. იქ შეიძლება შემთხვევით, იყოს ავტომობილი. დილით ენზელს გაემგზავრება.

არჩიბალდის აზრს სხვებიც იზიარებენ. ორი—სამი.

ქარავანი—

დზინ. დზინ. დზინ. დზინ. დზინ.

დონ. დონ. დონ. დონ. დონ.

გაუნ. გაუნ. გაუნ. გაუნ. გაუნ.

კლდეებში მიდის ქარავანი.

აქლემები ასამდე. დიდი. მომცრო. ერთკუზიანი. ორკუზიანი. დატვირთულები—ყველა. აქაიქ ვირებიც დატვირთულნი.

მიმყოლნი ქონდრის კაცებათ სჩანან.

აქლემებს და ვირებს ყელზე ზარები ჰკიდიათ: დიდი—შუათანა—პატარა: ლითონის—ხის—ყოველნაირი. ზოგი დიდია ისე: რომ ტვირთს საგრძნობ სიმძიმედ ემატება.

დზინ. დზინ. დონ. დონ. გაუნ. გაუნ.

კლდეებში მიიზლაზნება ქარავანი.

სუნთქვაშეკრულ არეში ზარების რეკა გაისმის როგორც ნომადური სიმფონია. აქლემები რბილსა და ასევდილს ფეხებს მოთენთილ ლაჯით ზარების წკარუნს აყოლებენ. თავებსაც სხვარიგ მართავენ. ყველანი ერთსხეულ მიდიან. თითქო ქარავანი ერთი უზარმაზარი მუხლუხოა ტანგახუნებული.

ზარების რეკა ტვირთს უმსუბუქებს ქარავანს.

აქ: რიტმია. სიმძიმე რა შუაშია?!

ერთი წაფორხილება—ერთი ფეხშეშლა—ერთი გადახრა განზე—და: ზარი სხვა ტონს იძლევა. აქლემი გზნობს საერთო ფერხულის გაბზარვას და წამსავე ასწორებს უნებურ შეცდომას.

დზინ. დზინ. დონ. დონ. გაუნ. გაუნ.

კლდეებში გაწოლილა უზარმაზარი მუხლუხი: ქარავანი მიიზლაზნება. მუხლუხოს ხერხემალის ხტილები მრავალფერია. ზოგი წითური. ზოგი მრეში. ზოგი ყვითური. ზოგი რუხი. ზოგი მოთეთრო. ზოგი ნაცრისფერი. მაგრამ ყველაზე მეტი: გახუნებული ყარამფილის ფერი.

თავები ერთიმეორეს მისდევენ—თითქო ქიმერები: ქიმერებს ტანები თითქო უკან რჩებათ. ქიმერები ადამიანის თვალებით იხედებიან. თვალებში: სიამაყე და თან სევდა უთქმელი—(ხანდახან სიმრუშეც ლოშქრიანა). ძრაობა სხეულის: მედიდური—მხეხილული—მზენაკრავი—მრავალნაცადი.

მიზოზავს ქარავანი: უზარმაზარი მუხლუხი—ეხლა თითქო უზარმაზარ გველად ქცეული—ცხელ კლდეებში მიიკლაკნება. უდაბნოს ხურუშმა თუ წარმოშვა

ეს უცნაური ცხოველი თუ ფრინველი—(არის ასეთი ქარი ხურუმის)—ეს ბასტარდი ცხოველისა და ფრინველის ერთმანერთთან მრუშობის.

მაგრამ რად არის ეს ბასტარდი ასეთი მიმზიდველი და ასეთი გულისხმიერი?! თითქო ადამიანია დასჯილი ცხოველ-ფრინველის უმნო სხეულით.

აქ უდაბნოა მთელი: მისი ხილვა—მისი სევდა—მისი თვლემა.

აქ ირანია. მისი სუნთქვა.

დზინ. დზინ. დონ. დონ, გაუნ. გაუნ.

იქითაქეთ—კლდეები: ვით დატეხილი ფერდები პრეისტორიულ მამონტის. ზოგი ფრიალო. ზოგი ყაფარი. წაშვერილი თუ გამოფერდილი. აეროლიტები. მონოლიტები. ტიტველი მოჩვენებანი: პირამიდების—ქვაბულების—სარკოფაგების. გახელება ფარაოს ფანტაზიის თუ მზის დაღველფვა და გაქვავება?!

და მურები—და ფერები...

არჩიბალდ მეკეშს ახსოვს სულტანბულალის ულელტეხილიდან გახედვა. ახსოვს სიტყვაც—ტაბა ტაბაძს მიმართ: „აქ ადამის თვალია საჭირო“. მაგრამ „ადამის თვალისთვის“ მხოლოდ ეს კლდეები გაბრთხრმულან. სანახაობა საოცარი:

> ფერებით და მურებით—
> ირისის ფოთოლი. ნიგვზის ფოთოლი. იელი. გვიმრა. ყარამფილი. ალუბალი. ხენნე. ბრინჯაო. თუჯი. ასპიდი. კაქი. თაფლი. ხავსი. კალო. ასკილი. გველი. ხვითო. ვასაკა. ძოწეული. თვლები—თვლები: ყველა ქვა სპეკალი და ყველა იამავარი. ყოველი მცენარე და ყოველი ქვეწარმავალი—ფერებით და მურებით. თვითონ ფერები და მურები: ზოგი ღვარად დაშვებული კლდის ჭეოებში—ზოგი ფოთლოვან სტავრად გაფენილი ალმა თუ დალმა თუ ჩალმა—ზოგი ცისსარტყელას ზოლებად გაბმული ფერდებზე თუ კალოებზე. ნაცად თვალს შეუძლია დაინახოს თვითონ ნახატიც: ცხოველის—ფრინველის—მცენარის—ლითონის: რომელნიც არ იციან: არც ბიოლოგიამ არც ბოტანიკამ არც გეოლოგიამ. გახედავ ერთი თვალგადავლებით: ხავსი და ყარამფილი ერთიმეორეს ედავებიან. სძლევს ყარამფილი. გახედავ კიდევ: ასპიდი და ხვითო ერთიმეორეს ეჯიბრებიან. ერევა ხვითო. ბოლოს—რჩება უთვალავი ვასაკა: ფარშევანგების ბოლოებით მიმობნეული. ან და: ხვითქების ლივლივა ტანები ზედ დაღვრილი შვინდის დაღებით: და ერთად: თითქო ნზის ხანძარი—სპეკალებში დანელებული.

დზინ. დონ. გაუნ.

არჩიბალდ მეკეში ფიქრობს: არც ერთს ევროპის მხატვარს არ ზმანებია ასეთი მურები და ასეთი ფერები. ეხლა გასაგებია: თუ რამ შექმნა სპარსული ხალიჩა თუ სპარსული მინიატიურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დზინ. დონ. გაუნ.
ქარავანი თითქო შეჩერდა ერთი. შემდეგ—ისევ მიზოზავს.
არჩიბალდ მეკეში თვალს აცილებს კლდეებს.
თითქო ყურს უგდებს:
ნამდვილი დაყუდება მზეს—(ბიბლიის ინტუიციით).
ზმანება დიდი შუადღის გაქვავებაში.
ასეთს მყუდროებას პანი გასტეხავს ხოლმე:
კვილით რომ მოედება უძრავ ალხს.
პანი და შიში პანის. აქ სინამდვილე ორდება.
ორდება მისი ამთვისებელიც.
დრო ჩერდება. არის მხოლოდ წარსული. აწმყო მიმქრალია, მომავალი ხანდახან თუ იელვებს—როგორც აზრი თუ ფიქრი. არის მხოლოდ წარსული: და ისიც—როგორც ზმანებულის მოგონება.
არჩიბალდ მეკეში იყვინება მზეში გახვეულ არეში.
ყოველი ხილული გადასულის ლანდია მხოლოდ—
აშანთული დაღი გადასულის თუ წარსულის.
აქ: ეხლა თითქო არა არის რა.
აქ: ყველაფერი ხსოვნაა ყოფილის.
აქ: თვითონ ყოფილია: ძველი ამბავი—შორს წასული.
არც ერთ მხარეს ევროპისას ამდენი ნაკვალევი არ აჩნევია.
აქ: ისტორიის დიდი ამბები ასტრალურ ლანდებად აყუდულან.
ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალებდანისლულნი—
გაგუდულან და შინაგან იყურებიან.
ეს: ირანის ტიტველი კლდეებია.
არჩიბალდ მეკეში იყვინება მზით გასუდრულ არეში...
მაგრამ ეს რა მოესმის?!
მისი თანამგზავრი—50 წლის ჰებრაელი—განზე გაჩერებულა და კლდეების შიმართ რაღაცას მღერის: თუ ღუღუნობს. ასე მღერის ხოლმე ცახეზე—(მზის მტვერზე)—გალიციელი ჰებრაელი.
არჩიბალდ ამოყვინავს მზის ხვავში ჩაძირული.
უსმენს. რას მღერის?! თუ რას სტირის?!
ჰებრაელი რაღაცას უხმობს—(თუ იგონებს?!).
უხმობს აღთქმულ ქვეყანას. იგონებს ძველს მამულს.
სევდა უცნოდს. ოხვრა უთქოდს.

ჰოზარსიპჰ—

არჩიბალდ მეკეშიც მოგონებად ილხობა.
ეს ქარავანიც თითქო იგივეა: ძველი. ასე მოგზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: მეწამულ ზღვასა და სპარსეთის სრუტეს შუა—ეფრატისა და პალესტინას შუა. ხალხი: უსახლო—უკარო—ულოგინო. სახლის მაგიერ—კარავი. ლოგინის მაგიერ—ქვიშა. საგზაურად: აქლემი და ვირი. ხალხი: უცხო ცეცხლით

ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი. ნიადაგს ვერმითვისებული თუ ვერშეთვისებული. ხალხი: რომლის იდუმალი სახელია—„იბრიმ“: იქითა მხარეს მყოფი. „მყოფი“?! ჯერ კიდევ არა. სწყურია მხოლოდ „იქ“ ყოფნა—ოღონდ „იქით“. მაგრამ: იხილავს თუ არა „იმ“ მხარეს—მყისვე „იქითა მხარედ“ სხვა მხარე წამოიჭრება. ხალხი: სულ ახალი და ახალი მხარის ნატრული. სულ უცხო და უცხო გზებით მავალი. ხალხი: რომლის იდუმალი ნდომა „ყველგან ყოფა“. ხან მოლოხის კერპების წინაშე პირქვედამხობილი. ხან ბაბილონის ორგიებში ჩაყირავებული. ხან „მოაბის“ ქალებით გალეშილი—(ჰქონდათ მოაბელ ქალებს ლურსა თვალები ნაკვერჩხლიანი და ცხელი ტანი შავკანიანი). მაგრამ ვერც მოლოხის კერპები—ვერც ბაბილონის ორგიები—ვერც მოაბის კახპა ქალები: ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე. ოგი მაინც სულ უდაბნოს მიმართ იხედებოდა. თითქო იზიდავდა უდაბნო „იბრიმს“ სხვანაირ სუნთქვით: საცა წყურვილის მოსაკლავად ქვიშაა მარტო. ხალხი გამოუცნობი—ამწვარი ცეცხლით—ქარავანით მიდიოდა. საით?! სასურველის სანახავად?!

(არჩიბალდ მეკეში ქარავანს მიჰყვება.
ქარავანს ჰებრაელიც მიჰყვება: ვილაცას რომ უხმობს.
„ის“ ქარავანი ხომ არ არის?! ძველი!.
ისევ ის სევდა უცნოდს. ისევ ის ოხვრა უთქოდს.
ქარავანი მიიზლაზნება. რა სურს იხილოს?!
არჩიბალდ მეკეში ხედავს.)

მადიანთა მხარე: გაზნექილი ელამელთა სრუტესა და არაბთა უდაბნოს შორის. შორიდან: „სინას“ მაღლობი მოლუშული—აქედილი მეწამულ ზღვასა და უდაბნოს შორის. სასვენებელი ლტოლვილთა და გადახვეწილთა და მუდამ მავალთა. მაღლობზე—ტაძარი ოზირისის. ტაძარში გაისმის სახელიც „ელოლჰიმის“. არაბები—სემიტები—ჰებრაელები—შავკანიანი ტომები: ყველანი იქ მიდიან წირვისა და ლოცვისათვის.

(არჩიბალდ მეკეში ქარავანით მიდის.
გვერდით ჰებრაელია ასევდილი—(კიდევ ლუღლუღობს).
სიცხე ისეთია—მზე ისეთია—არე ისეთია:
რომ ყოველი მოგონებაში გადადის მთლად—
ზმანებულის მოგონებაში.)

მოსჩანს ოზირისის ტაძარი. ტაძარში ქურუმია: ეთიოპი იოფორ. იცის მან საიდუმლონი: ნილოსის ტრამალების თუ ირანის ტაშირების. მიდიან მასთან: ლიბიელები—არაბები—სემიტები.

(ქარავანი ირხევა: რა მოსჩანს?!)
იოფორის წინაშე ყრმა სდგას უცხო.
ეკითხება მოხუცი: ვინა ხარ?!
ყრმა ოზირისისა და ელოლჰიმის სახელს ახსენებს: ერთად.
მოხუცი ეთიოპი გაოცებულია—(გახარებით?!).
ყრმა ეგვიპტელია. მოხუცი იოფორ ათვალიერებს:
მორჩილი ტანი. შუბლი-ვერძის (თუ „ყოჩის“). თვალები: ორბული შეყე-

ნებით და უსვენარი ქიაფით. უძრავი და გამხვრეტი. ფერად შავი: თითქო შავ მდინარეში შავი გველი გაქვალთული. სახე—მშვიდი: ხოლო თვალებით დანისლული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი იოფორ ცნობილობს:

ყრმა ყოველთვის განზეა. ჩუმია. მას „მდუმარეს" ეძახიან. ეკითხებიან. ყრმა ლაპარაკობს. ენა ებრგვილება—(სიტყვას თუ ეძებს?!). ყრმა განაგრძობს. ებრგვილება ენა კიდევ—(თუ ეშინია აზრის მხელის?!). ყრმა ლაპარაკს უეცრად გასწყვეტს. შეჩერდება. განზე იხედება. საგნებს არ უყურებს. საგნების „მილშა" იხედება. ან და: შუაგულ სჭრის მზერით საგნებს და „იქით" იმზირება. დაძაბულია. უეცრად მოიხედავს და წამოიძახებს უეცარ სიტყვას და უეცარ სახელს. სიტყვა თუ სახელი მეხის ნატეხია ხის დიდ მუცელს რომ გარუჯავს. ეხლა მისი სახეც ნატეხია მეხის. საქმეს გაურბის თითქო. ხოლო: აიღებს თუ არა საქმელს—ვერავინ და ვერაფერი ველარ გააჩერებს. ხედავ მოკუმულ ბაგეს: იქ შეილდი იჭიმება ნების. მზერ განიერ შუბლს: კითხულობ ბედის ნიშანს. ცეცხლი.

ყრმის სახელი—ჰოზარსიპჰ.

(ჰებრაელი ლულლულობს. ამ სახელს ხომ არ ახსენებს?!

არჩიბალდ მეკეში ჰებრაელს გადახედავს.

ქარავანი მიღოლავს ტორტმანით.

ჰებრაელი ლულლულობს და კლდის გარუჯულ ქიმს უყურებს.

არჩიბალდ მეკეში ჰებრაელის ცქერას მიჰყვება.

ჰოო: ეს იოფორის შუბლია, ეთიოპის თუჯის შუბლი გადალესილი.

იოფორის წინაშე ჰოზარსიპჰია. მოუთხრობს ამბავს?!)

მემფისის ტაძარი. ტაძარში—ჰოზარსიპჰ. ყრმა ემზადება შეწირვისათვის. ყრმა უცნაური. ყრმა საოცარი. მისი ყველას ეშინია. ქურუმებსაც. ყრმის ქალებსაც ეშინიათ. როცა მას ხვდებიან—ერთიან ფითრდებიან: თითქო ქალთა სქესი აიმღვრა მათში.

რამზეს მეორე იჭვიანობს: ტახტი ხომ არ სურს მედიდურ ყრმას?!

ყრმას ტახტი არა სურს: არც მეფის და არც სხვისი.

მაგრამ დედას—(თუ დედობილს)—სწადია მისთვის ფარაოს ტახტი:

— გახედე ამ მიდამოს: ტაძრებს—ობელისკებს—პირამიდებს—ნილოსს—დელტას—მემფისს: შენი იქნება—თუ...

ყრმას შუბლი შეუკრავს: გახელება იცის.

მაგრამ ყრმა დედის წინაშეა თუ დედობილის.

პეშვით ქვიშას იღებს. თხელი თითებით გადმოაბნევს.

სიტყვა მაგარია—(ხმა კიდევ უფრო მტკიცე):

— ამდენად მინდა: ტახტი..

— შენ გმობ წინაპართა სჯულს..

— არაოდეს..

— მაშ რა გსურს?!

— პირამიდა უძრავია.. მან ფეხი უნდა აიდგას..

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქარავანი გადაქანდება და გადაიხრება.
არჩიბალდ მეკეში კლდეებს უცქერს—პირამიდებს:
ვინ აუდგამს ფეხს ტიტველ გიგანტებს?!
ვინ არის ასეთი გიჟი?!)
ყრმა გახელებაა. მაგრამ ყრმა დედის თუ დედობილის წინაშეა. ფერხთ-ქვედავარდება. კურთხევას თუ თხოვს—(თუ განშორებას?!).
დედა თუ დედობილი იგლეჯს შუბლიდან ლოტოსს. აძლევს.
ყრმა ყნოსავს ყვავილს—(ნესტოები ნადირისა აქვს).
დედა მიდის—(ვერ გაიგებს ვაჟის საიდუმლოს).
ვაჟი ვერძის თავს ამართავს.
(ქარავანი მიზოზავს. ჰებრაელი ღაცხო სიტყვებს ისვრის.
მეკეში ქვების ლანდებშია. კლდეებში ქვაბულებია:
თუ მემფისის ტაძარი?!)
ყრმა სწავლობს ჰერმესის საიდუმლოს. ერთი ნდომა. ერთი წყურვილი. სული რკინდება. ნება კაჟდება. ხასიათი იკვეთება. გონება იხსნება: არ აქვს კიდური. ქურუმებს ეშინიათ ყრმის. არ შეიძლება მისი მოლუნვა. არც გადაბირება. გადატეხისათვის არც ერთს ძალა არ შესწევს. დიდ ქურუმსაც ეშინია მისი: მებრას.
— რა გსურ შენ ბოლოს?!
— აი ეს..
ყრმა ხელს დაჰკრავს სკივრს:
სკივრში მემფისის საიდუმლო წიგნია უმაღლესი.
მისი წაკითხვა მხოლოდ პონტიფს შეუძლია.
— შენ გსურს იქცე პონტიფად?!
— მე მსურს ვიცოდე მხოლოდ: რაც აქ სწერია..
— პონტიფის გარდა მის ცოდნას ვერვინ მიიღებს..
— ოზირისი არ ჰკითხავს არავის: ვის ამცნოს ცოდნა..
ყრმა კლდეა. პონტიფი ირხევა.
(მეკეში ისევ კლდეებს გასცქერს, რა გაარღვევს მათ?!
ჰებრაელი ჰებრაულ სიტყვებს ისვრის.
ქიმერების თავები მზით დაკაფულ არეში ინთქებიან.)
პონტიფს ეშინია. ფარაოს ეშინია.
განაჩენენ: ყრმა სკრიბად დარჩეს ტაძარში—
სკრიბს ტახტზე ასვლა არ შეუძლია.
ყრმა—სკრიბი ზედამხედველია მუშაობის: ფარაო აერთებს სიმაგრეებით ჰელიოპოლისს და ჰელიოპოლისს. მუშაობს ხალხი ურიცხვი. მუშაობენ ჰებრაელებიც. მათ იციან ქვის-ტეხვა. მაგრამ მორჩილებას ნაჩვევნი არ არიან.
ყრმა ხედავს: ეგვიპტელი უფროსი ურტყამს უიარაღო ჰებრაელს.
ყრმა მარტო სიმართლეა და ხანდახან—გახელება.
ყრმა ფიცხია: მივარდება და ჰკლავს ეგვიპტელს.
ყრმა გადალახვაა: გარბის-გარბის შორს-შორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(კლდეები იშმუშნებიან თუ აზმორებენ.
ჰებრაელი ლუღლუღობს: ყრმის სახელს თუ ისვრის.
მეკეში ჰებრაელს გადახედავს:
ჰებრაელი კლდის გარუჯულ ქიმს გაჰყურებს.
ჰაა: ეს იოფორის შუბლია: ეთიოპის თუჯის შუბლი გადალესილი.
ეთიოპის წინ: ყრმაა თავდახრილი: მოყოლა თუ გაათავა.
იოფორ აყვანილია: შიშით თუ სიხარულით.)
— რა გსურს ყრმაო?!
— მინდა დავისაჯო..
ჰოო: ეთიოპმა იცის რალაც.
— რა გსურს ყრმაო?!
— ოზირისის ხილვა..
ეთიოპმა იცის: მკვლელი—(და ისიც შეწირული)—ოზირისს ვერ იხილავს. არა: იხილავს—თუ მოკლულმა შეუნდო. მაგრამ როგორ?! მკვლელმა თვითონ უნდა განიცადოს თავის თავზე მკვლელობა. მოსცილდეს თავის სხეულს. იხილოს მოკლული. სთხოვოს შენდობა.
— მზადა ხარ ყრმაო?!
— მზადა ვარ..
(კლდეებში თითქო შეჩერდა მზე—ხედავს მეკეში.
მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა შეაჩეოებს?! რა გაუძლებს?!
ჰებრაელი აღარ ლუღლუღებს.
ქარავანიც შეჩერდა თითქო ერთი წამით.
უცდიან თუ: საოცარს?!)
— მზადა ხარ ყრმაო?!
— მზადა ვარ..
მარხვა სასტიკი. დაძაბვა სულის. დაოკება ნების.
ნდომა საშინელი და გადამლახავი.
ეთიოპი მოგვრის ყრმას ლეტარგიას.
ყრმას სდებს იგი ტაძარის მღვიმეში.
გადის: დღე ერთი. ორი. სამი. გადის კვირა.
ას შემთხვევაში ერთი თუ გაიღვიძებს.
მაგრამ ყრმა მძლეავია თვითონ მატერიის—
და ათი დღის შემდეგ დგება..
(მზემ დაჰკაფა არე—ხედავს მეკეში.
ჰებრაელი ისუნთქავს თავისუფლად.
ქარავანი მიდის შუბლგახსნილი.
კლდეების მუცლები ჰხარობენ.)
დგება ყრმა შერიგებული.
გაიხედავს: უკან ეგვიპტეა. ჰოო: რა შორსაა. მეწყერმა თუ გაირბინა. სხვა მხარე—სხვა ქხარე.
(ჰებრაელი იძახის ხმამაღლა: მოსე! მოსე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის უხმობს?! გაგიჟდა?!)
„მოსე“ სახელია ჰოზარსიპჰსის.
ეთიოპს ცხელტანიანი ქალიშვილი ჰყავს: სეფორე.
ჰოზარსიპჰს თუ ელოდა საქმაროს...

. . .

არჩიბალდ მეკეში ერკვევა.

ეხლა ნათელია მისთვის — თუ რად უყვარდა მოსე ირუბაქ ირუბაქიძეს. ეხლა იგი წინაპარშია თვითონ და ხედავს: ხილვას სინას მთაზე — მოგზაურობას უდაბნოში — გახელებას და მცნებათა დაფის დახეთქებას — ჯიუტი და ურჩი ხალხის დაურვებას — ისრაელის წყევას — უკანასკნელ სიმარტოვეს კაცისას. გზნობს ნაღვლს მისას: რომ კვდება ქანაანის უნახავი. და მის წინ იზრდება ზეკაცი ნამდვილი: რომლის გახელებას მზის ატეხა თუ შეედრება ამ ტიტველ კლდეებში და რომლის გულის სიმართლეს ბავში თუ ამხელს დედას რომ რძეს ეხვეწება.

არჩიბალდ მეკეში ერკვევა ბურუსს:

ხედავს აშანთულ კლდეებს. ქარავანი მუხლუხის ზოზვით მიიზლაზნება ხვეულ ხევებში. ასეთი ქარავანი მიდიოდა იქ: შავ მოხუცთან. ასეთ კლდეებში იშვა ცეცხლი: რომლითაც აიწვა ჰებრაელი. ეგების: ეს ქარავანიც იმ ქარავანის ნატეხია.

კლდეები აყუდებულან ვით ასტრალური ლანდები და შინაგან იყურებიან გალურსულნი. იგონებენ ყოფილს თუ ზმანებულს?! უთუოდ: მისთვის არიან ასე დამძიმებულნი და გარინდებულნი. ხსოვნა შორსწასული — ქიავდება.

შეიძლება ასეთი ქარავანით დაბორგავდა ძველად მცირე აზიაში ძველი გვარი ირუბაქიძის. ეგების: ეს ქარავანიც იმ ქარავანის ნატეხია?! თუ ნატეხი არა — გაგძელება ხომ არის: სინელით — ხსოვნით — წვით — ზმანებით!

და ამ კლდეებში
ამ ღრეებში
ამ უდაბურებში
ამ გზებში
ამ ქარავნებში
ამ ხალხებში
ამ გახელებაში და გადავარდნაში —
ერთი სახე:
მოღუშული და მრისხანე
როგორც მეხით გარუჯული ხე თუ ქვა —
მშვიდი და მართალი
როგორც კრავი:
ყრმა ჰოზარსიპჰ.

. . .

არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის.
რა შეედრება ამ გულის აფეთქას?!
მეკეშის გული ფეთქს როგორც არაბული ცხენის გული.

მაგრამ რაა არაბული ცხენის გული ჰოზარსიპის გულთან ერთად?! უბრალო ხორცი: თუ გინდ ექვსი კილო.

რაა ამ გულთან შედარებით მეკეშის გული?! ჭიანჭველას ტკივილი.

რაა თვითონ ოლგა?! რაა ვამეხ?! რაა ტაბა ტაბაა?!

არარა. დიახ: არარა.

არჩიბალდს ცრემლი ერევა—(სიხარულის?!):

რომ სამყაროში იყო კაცი „ერთი“.

რაა ადამის რომელიმე შვილის სიმარტოვე ჰოზარსიპის სიმარტოვესთან ახლოს?! უბრალო ბუტიაობა.

დიდო ირუბაქიძევ: მართალი ხარ.

დღეს ვიგზნე სიცოცხლე.

მეკეშის გული დარბილებულია.

ეს იცის ქარავანმა..

მარადის თვალისხამხამი—

დზინ. დზინ. დონ. დონ. გაუნ. გაუნ.

ხარების წკარუნი წყდება ნელნელა.

გზა კლდის ძირასაა. კლდე გოლიათის ჩრდილს შლის.

ქარავანი ისვენებს ჩრდილში.

გვერდით მდინარეა: თითქმის ამომშრალი. გველვეშაპმა თუ ამოხვრიპა. აქაიქ: წყალის გუბე. გუბე—თითქო ფშანი. ფშანი—თითქო თვალი: დავსებას რომ უცდის.

გალმით: ისევ გიგანტები: სქელფაშვიანი ლებიათანები.

კლდენი დამცხრალნი. მაგრამ მაინც მჭვინვარენი.

ავხორცობით დალეშილნი და სურვით დალველფილნი.

გაწოლილნი და გადაზნექილნი როგორც უზარმაზარ მამონტების უზარმაზარნი ხერხემალნი.

გახელებული დეზები: რომლებიც ერთიმეორეს ეომებიან—ერთი ვერ სძლევს მეორეს—და ამ გაუთავებელ შებმაში ქვავდებიან ერთიმეორეს შესხეულებულნი: მკლავებით—თავებით—ფეხებით.

ნაშუადღევია.

თბაფეხა პანმა ალბად უკვე გადაირბინა.

მზე ცხრება სასტიკი.

ფერებიც და მურებიც სცხრებიან.

ხავსი ეჯიბრება ყარამფილს. ეხლა ხავსი ძლევს.

ასპიდი ეომება ხვითოს. ეხლა ასპიდი ერევა.

მეწამული მანდილი რბილდება.

ბუზი არ ბზუის.

ფოთოლი არ ირხევა—(ან სად არის?!).

აქლემები მილაგდებიან. მილაგდებიან გამყოლნიც. აქლემის თვალები და კაცების თვალები ერთმანეთს სინჯავენ. კაცების თვალებს ეშინიათ: არ დაინა-

ხონ აქლემთა თვალებში ტკივილი ან წყროლა. ეალერსებიან. ხელს თავზე უსვამენ.

არავითარი ხმაური. არც ერთი ხმამაღალი სიტყვა.

აქლემთა სხეულნი—ერთიმეორეს მილაგებულნი — ბუნებრივ ქვებისა და ქვების გაგძელებას. გძელი მუხლუხი ეხლა ქვაა დატეხილ ხერხემლიანი. ქვებზე ქიმერებია აწვდილი თავებით. თავები ადამიანის თვალებით იხედებიან: ქვები თუ იხედებიან შორიდან—შორიდან—(თუ იხედებიან) შორს—შორს.

თავები თვლემენ.

ოდნავი შრიალი:

თავები შეირხევიან—როგორც მდინარეში მცურავი ღეროები.

ყველა მარჯვედაა. მაგრამ ერთს რა ემართება?!

ტანმორჩილი სპარსი—(თავი გადახოტრილი და თვალები შორსწასული)—მიდის აქლემთან. აქლემი მრეში ფერისაა, რად არ უცქერს პატრონს?! მზით თუა დასიცხული და გარინდული. არა: თვალები ელორწება. თუ სტირის!. სტკივა რამ?!

— ბეხან!.

სპარსი თავზე ხელს მოუსვამს. ხელი ალერსია.

აქლემი ნელა მოხედავს. თვალებში: სევდა.

— ბეხან!. გტკივა რამ?!

ბეხან თავს მიიბრუნებს: ეგებ არ უნდა ცრემლი აჩვენოს.

გვერდზე ცხენისოდენა ვირია. წამოხტება. ათქრიალდება ცახცახით როგორც მდინარიდან გამოყვანილი.

სპარსი გახედავს და ფიქრს რაღაც წვრილი და ცხარე გასერავს: სიკვდილს თუ შეხედა დიდყურამ.

— ბეხან!.

აქლემი მოხედავს პატრონს. თვალებში: სევდა კვლავ. მაგრამ სევდას რაღაც ეძალება: დაიმედება თუ სურს პატრონის. შემდეგ თავს დახრის: დაღვრემილი.

არავითარი ხმაური.

ბუზი არ ზუის. ფოთოლი არ ირხევა—(ან სად არის?!).

ხანდახან „ალლან“ დაიყეფს.

ყეფა შორს გადავარდება ხევში განართხული.

აქლემები ატორტმანდებიან: თითქო წამოდგომას აპირებენ.

ნაცნობი ხმა თუ არის?!

სპარსეთის ტიტველ ნაპრალებში ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება ხოლმე და გრიალი ცხელი შურდულივით გაიკლაკნება ხახაგახსნილ ღრეში.

ეს ხმა თუ არის?!

არა: აქლემების თავები მიელაგებიან ერთიმეორეს როგორც შერხეულნი თაველნი.

მზის დაყუდებისას ხვილიფში ცხვრის ფარა აფარებს თავს ვერხვების ჩეროებს. თვალებს თითქო რაღაცასი ეშინიათ. ორბის ან არწივის აჩრდილი თუ დაინახა ფარამ.

არა: აქ სხვა შიშია.
კლდის ძირას აქლემები მილაგებულან.
ჩრდილებიდან ქიმერების თვალები ტიტველ კლდეს შეხედავენ.
ქიმერებსაც ეშინიათ?!
რისი ან ვისი?! მხეცი თუ მოელანდათ.
არა: ეს სხვა შიშია.
ერთი სპარსი—(სახე ნირვანაა)—რაღაცას უყურებს.
რას უყურებს?! არაფერს.
ეგებ უსმენს?! ხმაური რომ არაა!
და უსმენს მაინც..
არჩიბალდის თანამგზავრნი—ებრაელი და რუსი—ხმაგაკმენდით ერთმანეთს ებაასებიან. არჩიბალდ მათ გვერდითაა.
— რა სიჩუმეა..
— საშინელი მყუდროება..
პაუზა.
— აქ რომ უეცრად ატყდეს ორკესტრი..
— რა იქნება!.
— ხუთი ათასი ვიოლონი.. სამი ათასი ვიოლონჩელი.. ორკესტრი—10.000 კაცისაგან..
— და დაუკრას ბეტჰოვენის „მეცხრე“..
— ან ბახის... რომელიმე...
— რა იქნება!.
— სასწაული..
მეკეში ჩუმი წვეთით:
— ისედაც მუსიკაა..
— ?! ?! ?!
კიდევ ჩურჩულით:
— აქ სფეროთა მუსიკაა..
— ?! ?! ?!
ეხლა თავისთვის:
— ეს უფრო მეტია.. ეს მუსიკა..
— ?! ?! ?!
გაიხედავენ სპარსის მიმართ.
სპარსი ლოკულობს: მთელი ტანით. ნირვანა ირღვევა.
მეკეში თანამგზავრებს:
— უსმენს..
— ?! ?! ?!
— მარადს...
— ?! ?! ?!
კლდის წვერვალიდან მოსქდება ქვიშა.
ხელიკმა თუ გადაირბინა—(შრრქშრრ):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშა ხვლიკივით ეშვება ათასთვალა კენჭებზე.
შრიალი: ნემსის კურწში რომ ძვრება.
(ქვიშის შრიალი ისმის ერთი ვერსის სიშორეზე)
ქიმერები იხედებიან. თვალებს ალარ ეშინიათ.
რალაც დაიშალა. თუ დაიბადა.
სპარსი ერკვევა.
მეკეში—თავისთვის:
— წამი დაიბადა..
— ?! ?! ?!
— არა: მოსწყდა მარადს.
ნელია ვილაცას ხმა:
— თვალის დახამხამება.. მარადის..
ბეხან—
დზინ. დზინ. დზინ.
დონ. დონ. დონ.
გაუნ. გაუნ. გაუნ.
ისევ ქარავანი. ისევ გზა. ისევ კლდეები.
ტანმორჩილი სპარსი ბეხანთან ერთად მიდის გვერდით.
თვალს არ აცილებს. აქლემს ტვირთი უმძიმს.
მოდის მეორე სპარსი.
— რა ემართება?!
— ულონოთაა..
— ტვირთი თუ უმძიმს..
— ეგების..
შეაჩერებენ აქლემს. ქარავანის ფერხული შეტორტმანდება: თითქო მუხლუხის ხერხემალს ერთი ხტილი მოაცილეს.
აქლემს ტვირთს უმსუბუქებენ.
ბეხან ისევ ფერხულშია. მაგრამ სველ თვალებს დაღონება არ სცილდებათ.
მოდის მესამე სპარსი.
— რა მოუვიდა?!
— ავად თუ არის..
— ეგების..
შეაჩერებენ. ფერხული ფერხდება. ხსნიან სრულებით ტვირთს. სხვებზე გადაალაგებენ.
ბეხან მიჰყვება ქარავანს უტვირთო.
მაგრამ ფეხები მაინც ეკეცება.
მოდის მეოთხე სპარსი.
— ეგებ შელოცვა უნდა?!
— ვსცადოთ..
ჭლალთვალებიანი სპარსი დააჩოქებს აქლემს. თავს მოწევს მისას ფრთხილად. ყურებში უცხო სიტყვებს ჩასძახის.

მაგრამ ბეხან არ ისმენს.

მოდის მეხუთე სპარსი. წყალი მოაქვს ქილით. მიაწოდებს.

ბეხან შესვამს ცოტას. თავს გახრის განზე: თითქო წყალი — ეგემურია თვალებიც განზე აქვს.

— ბეხან!

ბეხან ველარ დგება.

— ბესან!

ბეხან დაჩოქილი—მიწაზე ვარდება.

— ალარ შეუძლია..

— ალარ შეუძლია..

— ალარ შეუძლია..

ქარავანი იძვრის.

ბეხანს ვილაც ეთხოვება თვალცრემლიანი.

. . .

დზინ. დზინ. დონ. დონ. გაუნ.

ქარავანი გზას განაგრძობს.

ასეა მოწყობილი სამყარო. ერთი რჩება დავარდნილი. მეორე მიდის. მაგრამ რა ჰქნას დარჩენილმა?! დაიკარგოს?! გაჰქრეს?!

დზინ. დონ. გაუნ.

ეს რა ხმა შეეჭრა ზარების ხმას?!

ქარავანი ჩერდება კიდევ. აქლემების—ქიმერების თავები ილუნებიან: უკან იხედებიან. თვალებში: მოგუდული სევდა.

უკან—ბლავილი ბეხანის. ჩამორჩენილი ბეხანის. მიტოვებული ბეხანის. დავარდნილი ბეხანის.

ღმუილი შემ'ხარავი.

აქლემი მოსდევს ქარავანს. მაგრამ ფეხები ეკეცება.

ტანმორჩილი სპარსი მირბის აქლემისკენ.

— ბეხან! ბეხან!

ბეხან არ ტირის. ეს სპარსი ტირის.

ბეხან ბლავის და ღმუის.

არჩიბალდ სპარსს უახლოვდება.

სპარსი ყელზე მოხვევს ხელებს აქლემს:

— ბეხან! ბეხან! ბეხან!

ბეხან მუხლს მოიდგამს და ისევ ჩაიკეცება.

— ბეხან! ბეხან!

ბეხან ერთი ავარდება. გადადგამს ფეხებს. ისევ დავარდება ტანმოცელილი.

— ბეხან! ბეხან! ბეხან!

ბეხან ალარ ბლავის. ბეხან ალარ ღმუის. ბეხან არც ტირის. ბეხან იხედება თვალებით...

ჰოო: ეს თვალები! მთხოვნელნი სიცოცხლის—პატარა სიცოცხლის—ერთი პეშვი სიცოცხლის..,

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბეხან!

თვალები სპარსს მოხედვენ სიყვარულით.. მაგრამ რა ურევია ამ სიყვარულს?! უცხოობა ხომ არა?!

სპარსის ტვინში კბენაა.

— ბეხან!

თვალები ალარ თხოულობენ სიცოცხლეს.

— ბეხან!

თავი გადაიღუნება და ქვას დაეცემა.

— ბეხან! ბეხან!

ბეხან ალარ იძვრის. სპარსი ტირის.

არჩიბალდ კივილს ახრჩობს.

წინ: დზინ. დზინ. დონ. დონ. გაუნ. გაუნ.

. . .

არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის.

რაა ამ გულთან სხვა გულის ცემა?!

ყრმა ჰოზარსიპჰ მიიყვანს ისრაელს აღთქმული ქვეყნის კიდურთან და თვითონ კვდება მისი უნახავი.

რაა ამ გულთან შედარებით არაბული ცხენის გულის ფეთქა?!

კლდეებში კვდება აქლემი ბეხან—

დავარდნილი—მიტოვებული.

ქარავანი განაგრძობს გზას.

ეგებ ბეხან ჰოზარსიპჰის გულია.

...ცრემლი...

ინტერმედია

თავი ოთხმეტი.

მენჯილმა ქარი იცის.

არჩიბალდ მეკეში ტელეფონთან მიდის გაბრუებული. მენჯილის ქარი სხვანაირია. თითქო სხეული სადღაც დარჩენია მეკეშს და ლანდი მიღოლავს მისი სივრცედაკარგული.

სპარსეთის კლდეებში—ტელეფონი: გეოგრაფიული ანახრონიზმი. ტელეფონი სივრცის ძლევაა—მაგრამ ტელეფონით საუბარში სპარსეთის სივრცეების სუნთქვა იკარგება. კიდევ კარგი: რომ ტელეფონი სიფხიზლეა. არჩიბალდ მეკეში თავის სხეულს ნახულობს.

მენჯილის ტელეფონი ყაზვინის ტელეფონს უერთდება.

— ჰაა: ტაბაჯ ხან!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სერ არჩიბალდ!.
— როდის დაბრუნდით?!
— გუშინ..
— ახალი?!
— თქვენ სახელზე დეპეშია..
(ვისგან?! ოლგასაგან?!)
— გახსენით.. ვისგანაა?!.
— ვამეხისგან..
ვამეხისგან....)
— რას იწერება?!
— „გთხოვთ მეწვიოთ რამოდენიმე დღით სოფელში. ყურძნის კრეფა იქნება. ნახავთ საირმეს. მაცნობეთ დეპეშით წამოსვლა. ბაქოში დაგხვდებით. უარს არ მეტყვით".
(ყურძნის კრეფა. ვამეხ. საირმე. საქართველო.)
არჩიბალდ სდუმს.
— წახვალთ?!
(არჩიბალდს ვიღაცამ ხელი თუ ჰკრა)
— წავალ..
— როდის?!
— დღესვე..
— როდის დაბრუნდებით?!
— ათ დღეში მად ვიქნები..
— კეთილი მგზავრობა..
— ნახვამდის..
ტელეფონის ტარი ჩამოეკიდა.
ვამეხსაც გული ჩამოეკიდა თითქო. ეხლა სხეული აქაა—მაგრამ ლანდი მისი სხვაგანაა. გული ტოკავს: თითქო უნდა ლანდს დაეწიოს.
ავტომობილი მზადაა..
არჩიბალდ მეკეში მენჯილის ქარს სცილდება.
ქარი უკან რჩება თანდათან.
ქარის შენელებულ ზუილში მოსჩანს—

„მზის კევრი":
ნათელი ხვითო. დაყვითლული სივრცეთა გუგა.
ლია ზაფრანა. ყარამფილი. მტევანი ფალლოს.
საძროხეს სუნი. ატეხილი მოანგრევს პალოს
აკვრივებული ტანმაგარი ზანგელა ბულა.
ხურუში თესლი მატერიის და ავი ხორცი.
ლვრია სურნელი. ვნების ტეხა. ტიტველი ხვატი.
ცეცხლის ძუძუებს გამეტებით წოვს მრუში ხვადი—
კეთროვან ტანზე დაღვენთილი ლუესის ლორწით.
მირაჟის კვართი. ლურსა ცქერა. ზმანება ცხელი.

უგონო თვლემა. ფლეგმა ზანტი და წვეთის დაცლა.
უძრავ ჩვენებად ილენჩება თვით პანის ახლო
ჩაყუდებული ნირვანაში წითელი ცხენი.
მარადი ქცევა. სახე-მასკა. უპადჰი ძველი.
გადგომა განზე. ირონია და ძლევა თავის.
მეორედ შვება ველარ ითმენს ხავოან ქავილს
და იხდის პერანგს ცხელ ქვიშაზე რქიანი გველი.
ქარის ზუილი ინთქება შორს.
მზის კევრზე მოსჩანს აქლემი—როგორც—
„უდაბნოს ქიმერა“:
აყუდებული. ულაზათო. ორკუზიანი.
ცხუნე სივრცეთა კოშმარების უგვანო ბუში.
ბაიასავით გამომწვარი ზანგელა ბურში.
უცხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.
ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.
მორცხვი. კეკელა. მოალერსე. მუსუსი. მრუში.
გახუნებული მაგრამ მაინც მარად მზიანი.
საოცარია 'ზენი ზანტი მთქნარებით თვლემა—
მზეთა გალხობით რო მოთენთა უდაბნოს რთველმა.
ქიმერის თავის ღიმით გასცქერ ალმურს კომლიანს:
თითქო გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი.
და უშნო ცოხნით ოდეს ერთვი მელანქოლიას—
დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.
კევრი ილეწება. ქიმერა ჰქრება.
არჩიბალდ მეკეში მიეშურება საქართველოსკენ.

ბავაზის თვალი

თავი მეათოთხმეტე.

და პირგაგუდული დიდი საწნახელი—
ყურძნით გალეშილი ლუში გველვეშაპი...
„მიწის სჯული“.

ცხრამუხა—

შორიდან რომ შეხედავთ—ერთი ხე გეგონებათ დიდი.
მიუახლოვდებით: ცხრა მუხას დაითვლით.
ცხრა ძმას ხუთმეტ ალაბის დიამეტრზე წრე გაუკეთებიათ.
ძმების ჰასაკი ას წელს გასცილდება.
ტანი დაკორძილი აქვს თვითეულს: ალბად გამძლეობისათვის.

მუხებს წვერვალი არ აქვთ: თვითეულს საკუთარი. მათ მხოლოდ ტოტები აქვთ. საცა ტოტები იწყებენ აყრას—იქ მუხებს ჭრილობა ემჩნევათ. ეტყობა: ოდესღაც გადაუბელიათ. შემდეგ აყრილი ჩქოლი ტოტების ბანგებ—გადაუწვენიათ: რომ მუხები ერთიმეორეს გადაზდოდენ. კორძიანი და დაგრაგნილი მკლავები ცხრა ძმის ერთმანეთს ჩახვევიან. დაცილება მათი მიწისძვრას თუ შეუძლია. ერთიმეორეზე გადაჭდობილ ტოტებს თავის მხრით ტოტები აუყრიათ მაღლა: როგორც აიყრის ერთი ხე. ხედავთ: ძირს—ცხრა ტანი ცხრა ძმის და მაღლა—ერთი გუნდი ერთი მუხის.

მუხის ფოთოლი სქელია. ფოთოლიც ფოთოლს ეკვრის. ცხრა მუხის წრე ტალავარია. მზის ჩქერი ვერ სჭრის ცხრამუხის ტევრს. მზე კონცხზე გარჩენილა. მსხვილი რკოები სცვივიან ხანდახან.

მზით ამეწამულ ტევრის ქოჩორზე ჭიჭინობელა სიცხის მაყრულს აბამს.

შუადღე თავდება.

ცხრამუხის ტალავარში სიმღერა გაისმის ქვესკნელის გუგუნით:

ჭურის მრეცხველი ჭიჭინობელას ბანს თუ ეუბნება.

გრილოშია ჭურისთავი.

მუხებს გორაკი აურჩევიათ.

აქ წვიმა არ გაჩერდება: ღელედ ჩაივლის.

მიწა ზედა ფენში მოშავოა. ქვედა ფენებში—მოყვითალო. ბოლოში—კირიც მოსჩანს. მიწა არანესტიანი: ხმელი და ხურვალი.

შიგ ჩაკირულია მრავალი ჭური. ასჩაფიანი. სამოცჩაფიანი. ორმოცჩაფიანი. ოცჩაფიანი. ათჩაფიანი. ხუთჩაფიანი.

ჭურის მრეცხელი ასჩაფიანშია. სარეცხელი უჭირავს ორტარიანი. ხეხავს დაჟინებით და მღერის. მეორე მრეცხავი ორმოც ჩაფიანს თავს ადგას. ჭურის თავზე ფიცარია ნახვრეტიანი. ნახვრეტში მრეცხავს ტარი გაუყრია გრძელი· ტარს ბოლოში მოგებული აქვს სარცხელი. ისიც ხეხავს ჭურს. ისიც ღიღინებს.

განზე მესამე დგას. სჭრის ბლის ტყავებს დალბობილს:

ახალ სარცხელს ამზადებს.

პატარა ბიჭს აყალო მიწა მოაქვს.

მეორე ბიჭი ამ მიწას ზელავს ფეხებით.

ეს მიწა ჭურის დასაგნისია.

მესამე ბიჭი რეცხავს სარქველს: პრკე-მოდებულს.

ჭურისთავი ღობეშემოვლებულია. მესერის სარებზე აქაიქ ცხენის თავებია ჩამოკიდებული. ცხენის თავებს ორშიმოები მისდევენ. ზოგი დიდი: ერთ თუნგ ღვინოს დაიტევს. ზოგი მომცრო: ქვევრისათვის. ზოგი რგვალი. ზოგი წოწოლა. ზოგი გამობერილი. ზოგი შეფერდილი.

ცხრამუხის წრე არაა სრული: ერთი მხარე სწორი ხაზით გადაიჭრის. აქ გაწოლილია გრძელი თუჯისფერი საწნეხელი დაჭრილ გველვეშაპივით.

საწნეხელიდან მოსჩანს ვაზნარი დაზნექილ და დაფენილ სერზე.

ვენახის ფოთლებს ხმობა შეჰპარვიათ: შაბიაბანის მური გოგირდი ში გადადის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაქვთ მტევნები ყვითელი და მოშავო.
მოაქვთ კალათებით და გიდელებით.
მეტი წილი ქალია და ბავში.

საწნეხელის გვერდით ქალია შავებში. პატარა ბიჭებს ფეხებს ჰბანს. ფეხები ხტიან სიამით. ქალის ხელებისგანაა ეს სიამე თუ ცივი წყალისაგან?! ქალს ხელები ხმელი აქვს დაშოთილი და დაშვეტილი. წყალი ანკარაა და გრილი. არა: აქ სხვა სიამეა:

ბიჭების ფეხები მტევნების წნეხვას ელიან.

ბიჭების თვალები ილესებიან: მტევნების მარცვლებს თუ ედავებიან.

ქალი წელში იმართება. ტანი—მაღალი. თავზე—თავსაფარი უბრალო. სახე—მშვიდი: მოგრძო ოვალს სევდა ემჩნევა ოდნავ. თვალები: თითქო არ იძვრიან. თვალებში: შავი ფერი ლუოჯად მოკიაფე. ფიგურა ხმელი. ასეთი სახისაა ქართული ხატი მარიამის.

— ბიკოლა ნინო! ბიკოლა ნინო!.
— ჩაგვიშვი საწნახელში: ბიკოლა ნინო!.
— ჯერ ადრეა: მამას დაუცადეთ..
— აი მამაც!.
— მოდის მამა..

ნიკოს სტუმარი მოჰყავს.

სტუმარს წვერი ჩიჩილაგასავით აქვს.

— კაი მოსავალი გქონია: ნიკო..
— არა უშავს..

ნიკო წყლიანი თვალებით ნახევრად ავსილ საწნეხელს გადახედავს.

— მამა! მამა! მამა!
— ჩაგვიშვი საწნახელ'ში..
— ცოტა მოიცადეთ..

ბავშები ფეხებს იწმენდენ ტილოთი.

სტუმარი მტევნებს სინჯავს.

— ცოლიკოური უფრო მარჯვედაა..
— წელს ციცქამ უფრო ივარგა.. აბა ნახე..
— კრახუნა რას შობა?!
— კრახუნა გადამიშენდა.. ცოტა დამრჩა..
— არი კი?!
— ცალკე მინდა დავწურო..
— საფერე რას გიშობა?!
— საფერეც გადაგვარდა..
— მაღლარი?!
— მაღლარმა წელს მოჭკეთა..
— ალექსანდროული?!
— ვერც მაგას დავემდურები..

მოაქვთ ყურძენი: ყვითელი და მოშავო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაქვთ კალათებით და გიდელებით.
საწნეხელის მუცელი ივსება.
— მამა! მამა! მამა!
— ჩავალთ საწნახელში!
— ჩადით!
ბიჭები საწნეხელში გადახტებიან.
ფეხები ხალისობენ. წვივები კრთიან.
მტევნები იწყებენ ცრემლვას: მაგრამ სიხარულით.
საწნეხელი ილეშება დაწურულის ტბორით.
ტბორს მოაქვს სურნელი—(არის ქვეყანაზე რაიმე ამ სურნელის სადარი?!).
ჭიჭინობელა უმატებს ჭიჭინს.
ჭურის მრეცხელი ამოდის ჭურიდან.
მეორე მრეცხელი სარეცხელს ასწორებს.
მესამე ბლის ტყავებს ალაგებს დაჭრილს.
ნიკო ნინოს მიმართავს:
— აბა რძალო! კარგი სადილი!
ნინო მიდის უსიტყვო.
ოცი წამი—და პატარა ბიჭი ძლივს მოათრევს კალათს:
კეცზე შემწვარი ქათამი. წვენი—ისრიმისა და მაყვალის. ისრიმი—გვიანი ყუოძენის. ჭადები: ვაზის თუ ნიგვზის ფოთლებში გამოცხობილი. ღვინით სავსე-დოქი ნეშოთი თავდაცმული: ახლად ამოღებული წყაროს მუცლიდან. ჭიქა. ჭინ-ჭილა. ყულა.

მუხების ქვეშ: სიგრილე ხავსიან კლდეების.

მუხების თავზე: მზის მარცვლების აჯეჯილება და ჭიჭინობელა.

რამდენი ახსოვს ცხრამუხას ასეთი სადილი?!

სარიდან—

ჭურისთავიდან ცოტა მოშორებით ნიგვზები ამართულან.

ნიგვზები მუხებს ედავებიან სიდიდით. ჯერ კიდევ არ შეხმიათ ფოთოლი.

აქაც მაღლობია და სიგრილე.

ნიგვზების ქვეშ სიპი გძელი ქვებია გალაგებული: საჯდომად.

ერთს ქვაზე მოხუცი ზის და ჩიბუხს წევს.

ფოთლები ნელად შრიალობენ. ალბად მათ უსმენს. თუ განვლილ ხანას იგონებს?!

მოხუცის წინ ოდაა: მაგარი მუხისგან ნაშენი. ფიცრები სქელია: თითქო დამორილი ძელები.

ოდას უცქერს მოხუცი.

აქ ნიკო ცხოვრობს: მისი უმცროსი შვილი ცოლით. შვილებით. აქვე ცხოვრობს ნინო: ქვრივი მისი შუათანა ვაჟის. ქალით და ვაჟით.

მოხუცს შვილი აგონდება უდროოდ დაკარგული. გული არ ტკივა—(უკვე ხანგადასულია)—გული ტკივილს „იგონებს".

მოხუცი მოსწევს ჩიბუხს. გააპურჭყებს.

ეხლა გვერდით გაიხედავს. მოშორებით—ოდა. კიდევ მოშორებით: კიდევ ოდა. იქით: ასეთივე ოდა. სულ ბოლოს: ისევ ოდა.

მოხუცის გული იღვენთება: ეს ყველა—ნაშიერია მისი.

ბოლო ოდაში მისი უმფროსი ვაჟია. იგი სამოცი წლისაა. ამას ჰყავს შვილები და შვილიშვილები. დანარჩენ ოდებშიაც მოხუცის ვაჟების ოჯახობაა. შვილები და შვილიშვილები მრავალი.

მოხუცი მხრებში იმართება.

ჩიბუხის ტარი ამაყად უჭირავს. გააპურჭყებს.

თვალებს მოადგენ თვალები—(გაღვიძებული გონის).

მოხუცი ჩურჩულობს. თუ ითვლის:

ამდენი ვაჟი. ამდენი ქალი. ამდენი შვილი. ამდენი შვილიშვილი. ამდენი შვილიშვილიშვილი. ამდენი გათხოვილი. მათი შვილები და შვილიშვილები.

მოხუცი იღიმება: ბედნიერია.

მაგრამ: რამდენია მაინც?!

მოხუცი ითვლის. „ჰე სიბერე“: ვერ მოთვალა.

ნუ მოთვლის: ხე—მამა მაგარია ხომ?!

და მოხუცი ცხრამუხას გახედავს:

ცხრამუხასავით მაგრადაა გვარში მოხუცი.

სწევს ჩიბუხს და ისევ აპურჭყებს.

სარიდან გვარმაგარი გლეხია: ლაშხი.

(აქ ფილოლოგიას აქვს გამონაკლი: „გლეხი“ აქ „გლახას“ არ ენათესავება. სიტყვის მორფოლოგიის შელახვა.)

სარიდანთან ბავშები მიცვივდებიან.

ზოგი ფეხში ეცემა. ზოგი ხელში. ზოგი ზურგში.

— ბაბუა? მამამ აბედი გამომატანა შენთვის..

— ბაბუა კაჟი მოგიტანე..

— ბაბუა: კვესი ვინ გაგიკეთა?!

— ბაბუა: ეს დანა მჭრელია?!

— ბაბუა: ფეხაცმელი გაგხევია..

მოხუცი გაძვალებულ ხელს უსვამს ბავშებს. ეალერსება. ულიმის. ბავშებიც ცქრიალობენ.

სარიდან ეკითხება თვითეულს: ყურძენი ბევრი ჭამე?—სიმინდის ტარო გემრიელია?—ლურსა როგორაა?—ალია დაჭედეს?—ბელეშამ ხბო მოიგო?

ბავშები ეხვევიან მოხუცს.

— ეხლა წადით!.

ბავშები გარბიან ჟივილხივილით.

სარიდან დგება. ჯოხს იმაგრებს ოთხმოცდახუთი წლის მოხუცი. ჯერ კიდევ მაგრადაა. მიდის ნელა. ფეხებიც მაგრად აქვს.

ჩაქუსლული წულები აცვია. მიდის ნელა.

გაიხედავს ოდის განზე. თვალებმა სინათლე უკლო?! მაინც არჩევს: დაქურჩულ ტაროებს და მათ ყვითელ ხვავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიმინდენი: ელისაგან მოწნილნი თუ შქერისაგან.

ხულა. ბელელი. თავლა. იქით: ფარეხი. ფარეხთან: ბოსელი. იქვე საღორე. იქვე საქათმე.

მოხუცის თვალებს სინათლე ემატებათ.

ეს—ერთ ეზოში. სხვა ეზოებში?! კიდევ მეტი. ოთხჯერ მეტი.

სარიდან მხრებში მოხრილია. ეხლა ამას არ გრძნობს.

ხელს ისვამს თეთრ წვერზე: სითეთრეს თხისწვერის სიყვითლე მოდებია. წარბების ბეწოები გაზდილან: შიგადაშიგ შავი ბალანიც ურევია. ყურებიდან თეთრი ღინღლი მოსჩანს ბლომად.

მაინც მარჯვედაა. მიდის. ეზო გძელია.

ეზოს ბოლოში ძელქვებია ხუთას-თუ-ათასწლოვანი.

ხედავს ძელქვებს. ფიქრი: „ძელი—ქვა". მოსწონს მათი სიმაგრე.

აქ მაღლობია აბორცვილი:

ალმოსავლიდან მარცხნით: მთების კალთები ლუში ნისლის ფერი. რა ხე არა იქ?! ფიჭვი. ნაძვი. მუხა. წიფელა. წაბლი. ურთხველა. ზოგი ასი ალაბის სიმაღლის. ზოგის ტანს შემოსარტყამად ოცდაათი მკლავი დასჭირდება.

მთას—„საირმეს" ეტყვიან.

მთისა და ძელქვების შუა ხევია გათხრილი.

ხევში: პატარა რუჰ—ნაღველივით შავი. მხოლოდ—კრიალა.

პირი დასავლისაკენ და მარჯვნით მობრუნება:

ხევი იწურება და იკარგება—(თუ თანდათან ფართოვდება?!).

მოსჩანს დიდი ველი რიონის: სამეგრელომდე და სამეგრელოს იქითაც—გადაშლილი ზღვამდე: როგორც სილაღე—როგორც თარეში—როგორც მუცელი ნოყიერი. ველი—უთვალო: თითქო თვითონ მარტო—თვალი: რომელიც თავისთავს ვერ ხედავს—(სხვა თვალმა უნდა იხილოს).

მოსჩანს არე ქუთათისის კლდეზე მიბჯენილი.

მობრუნება კიდევ მარჯვნით:

თვალის წინ—ყვირილის ველი დახვეწილ ჭალებით: თითქო უზარმაზარი თასი—გაჭიმული და თითქო გაშვეტილ ნავად გადაქცეული.

იქვე: ველი ხანის წყალის.

შერთვა ყვირილისა და რიონისა.

ტყე აჯამეთის: ხედ აჯეჯილი ზურმუხტი.

და ბოლოს—ის ის დიდი ველი: რიონის.

სარიდან ძელქვებთანაა.

გასცქერის: ხეობას—ველს—ჭალას—ტყეს.

ნუ თუ ასე უკლო თვალის სინათლემ?! რისთვისაა ამდენი ნისლი?! აქ ხომ ყოველთვის ანკარაა ცის თაღი და კრიალა!? რადაა სამზირი ასე ახლო!? აქედან სამზირი ხომ შურდული იყო რაინდის მიერ გასროლილი!?

ჰაა: „დაიქცეს სიბერე"—(სარიდანის ფიქრებში).

თვალებს ცრემლი თუ აწვება.

არა: მგონი ცრემლიც ამომშრალია.

გაიხედავს: ეხლა კიდევ მარცხნით: „საირმე“.

რამდენჯერ ყოფილა იგი იქ სანადიროდ!? რამდენი მოჰკლა ირემი!? რამდენი დასჭრა ნიამორი?! რამდენი კანჯარი!? რამდენი ტახი!? ვინ მოსთვლის!? მოხუცს თავის ნაშიერიც ვერ მოუვულია.

მოტრიალდება. მზე ჩადის როგორც ავარვარებული თასი: ჩადის ბნელ საშოში. მიდამოს ეფინება შვინდისფერი მეწამული. მეწამული მთის თხემზე ილვრება. თვალში გარჩენილია ჩასული თასის დაღი და მთისკენ გახედული ლურჯ ხანძარს იჭერს იგი დანელებულს: მზის ჩქერი ქვავდება ლუშად—(რა შეედრება?!).

მოხუცი ხედავს მზის ჩასვლას.

„მეც ჩავალ“—(მოხუცის ფიქრი ნელია).

რბილდება მოხუცი და სახლისკენ ბრუნდება.

შორიდან ჯოგის ხრიალი მოისმის.

ჯოგი მოიზლაზნება ნაილალარი: ავსილი. ხარი—(ნისლა—ლურსა—გიშერა). ძროხა—(ბელეშა და მურეშა). ცხენი—(ალია და ლურჯა). კამეჩი. ცხვარი. მოზვერი. უშობელი.

მოიზლაზნება ჯოგი.

წყალს ასმევენ. ივსებიან მუცლები და ილესებიან.

ხარი ძროხას აედევნება. ბიჭი შეუძახებს და ხარი განზე გავარდება. ჯოგის ტანი შეირხევა. ხარი ხარს ეცემა რქებით. ბიჭი შეუყვირებს და ხარები ერთმანეთს სცილდებიან. ჯოგი ტორტმანობს. განზე კამეჩი გაიბულრავებს. მტვერი დგება. ძროხა ბღავის. უშობელი ღმუის. უშობელი ჯიქანში ეცემა ძროხას: იწყებს ჯიქნას. ბიჭი მივარდება და ხელით აცილებს. ჯოგი ზმორებით მოზოზავს.

მზე უკვე ჩასულია.

ჯოგი ფარეხს მოადგება. შედის. ბინავდება.

ქათმებიც მიდიან ხეებისკენ—(უფრო ხშირია ბია):

ემზადებიან დასაბუდრებლად.

ყივილი ნელდება: თითქო შორსაა—(ინთქება).

ხრიალი ცოტავდება: ეხრება.

საღამო იბინდება.

მუქი ლილის ფერები არეს ეფინებიან.

მოხუცი აივანზე ადის დანელებული.

მყუდროება და მიყუჟება.

სარიდანიც მიიყუჟებს.

ვამეხ და არჩიბალდ—

სარიდან აივანზე ზის. ეყვინთება.

სოფელში ძაღლის ყეფა გაისმის: შორს.

ყეფა აღრმავებს სიჩუმეს. მოხუცი წამოდგება.

„მურა“ გარბის ყეფით ჭიშკარისკენ.

მოხუცი მოაჯირს ებრჯინება. ყურს უგდებს. ესმის სხვა ყეფა. „მურა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორბის ნიგვზებისკენ აძურწული: ყეფაში—შიში. „მურას“ მთელ სოფელში ძაღლი ვერ ერევა. ძაღლის შეეშინდა?! რომელის?! მოხუცს უკვირს უცხო ყეფა ხმამაგარი.

— ვინა ხართ?!

ეზოში ცხენების თქარათქური გაისმის. უცხო ყეფა წყდება.

— ბაბუა! ბაბუა!

ათას ხმაში იცნობს მოხუცი ამ ხმას.

— ვამეხ! შვილო!

ვამეხს „მურა“ ელაქუცება. ძაღლს თავზე ხელს უთათუნებს ვაჟი. ცხენს აბამს. მიაბამს არჩიბალდის ცხენსაც. ავარდება აივანზე. არჩიბალდს ხელში „ალლან“ უჭირავს.

— ბაბუა! ბაბუა:

ეხვევა. ჰკოცნის.

— ვამეხ! შვილო!

— მობრძანდით არჩიბალდ!

არჩიბალდ ადის. „ალლან“ გვერდით ჰყავს.

სახლიდან გამოცვივდებიან: დედა ნინო—ბიძა ნიკო—ნიკოს ცოლი—ნიკოს ბიჭები.

— ეს ყმაწვილი ვინაა?!

გაისმის ხრიალში მოხუცის ხმა.

— ჩემი მეგობარი.. სპარსეთიდან..

მცდელი თვალები უცხოელს სინჯავენ.

— შვილო! ვამეხ!

ეხვევა დედა.

ბიჭები ფეხშიშვლები ფეხებზე ეკვრიან.

ვამეხ ხან ერთს აიყვანს ხელში. ხან მეორეს. ხან მესამეს. ჰკოცნის ყველას.

ერთი ბიჭი „ალლანს“ მოჰკრავს თვალს და შიშით აცახცახებული განზე გავარდება.

— ნუ გეშინია!. დიდი ძაღლია არა?! ორ მგელს გაგუდავს..

ამშვიდებს ვამეხ. შემდეგ უეცრად:

— მატასი სადაა?!

— დღეს თავი დაიბანა.. თმას იშრობს.. ივარცხნის..

ვამეხ მოსწყდება.

არჩიბალდ ნინოს ათვალიერებს.

ვამეხ შევარდება ოთახში. სტაცებს ხელს დაჰს. აიყვანს ხელში. აიგდებს მხარზე. გამოჰყავს აივანზე. არჩიბალდ ხედავს ოდნავ გაშიშვლებულ წვივებს გაშვეტილს. ჩამოუშვებს. მატასი დარცხვენილია.

— ჩემი დაჰ მატასი!. ლამაზია არა?!

პატარა ლამფის სინათლეზე მოსჩანს წარბშეკრული მატასი: როგორც მახეში ახლად გაგებული ბოლოშავი. უცხო კაცს უნდოთ უცქერს. თვალები ელავენ მუქლურჯად. ხანდახან ლალის ალიც გადაჰკრავს—(ეს მხოლოდ ერთ წუთს).

ასე ელავენ ღამეში უხედნი კვიცის თვალები. უეცრად მოსხლტება/და ისევ დარცხვენილი ოთახისკენ გაბრუნდება. სიტყვა არ უთქვამს.

არჩიბალდ სუნთქავს არეს რომელიც მატასიმ შეარხია.

სურნელი თუ დასტოვა ველური ყლორტის.

სიჩუმეს ისევ ვამეხ არღვევს:

— ხომ კარგათ ხართ?!

—კარგად შვილო!. ყველა კარგად..

— ჩვენები როგორ არიან?!

ერთი წუთის დუმილი. ვამეხ უსვენარია:

— როგორ არიან: ბაბუა?!

— ყველა კარგად.. მხოლოდ..

— რა მოხდა?!

— საწყალი ვანო...

— ჩვენი ვანო?! ალექსას ვანო?!

— ომში დაიღუპაო.. მოიწერეს..

ვამეხ აღარავის უყურებს. გავარდება.

— ხვალ წადი..

— არა.. ეხლავ..

უკან „მურა“ მისდევს.

„ალლან“ იღრინება. ბავშები ერთიმეორეს ეკვრიან. არჩიბალდ დოგს გახედავს. დოგი მშვიდდება.

— დაბძანდით..

არჩიბალდ ჯდება. მდუმარება.

ალექსას სახლიდან მოისმის ხრიალი. „სიხარულია“: ნახვის. მხოლოდ ერთის ხმა „გაცხადებისაა“. ეს დედა უნდა იყოს. კიდევ დუმილი. ეხლა ტირილი მოისმის.

— რად უთხარი ბაბუა?!

— ხვალ რომ მეთქვა: ეწყინებოდა.. ხომ იცი-ვამეხ..

ვამეხ ბრუნდება. სიხარული აღარ ემჩნევა: თუ გაბრაზულია.

მას მოჰყვება ბიძაშვილი. ვამეხივით ბრგე.

— მაღლარისათვის თავი ხომ არ მოგიხდიათ?!

— უშენოთ ვინ მოხდიდა?!

— ბატონო არჩიბალდ!. მხოლოდ ორი წამი!.

— ნუ სწუხდებით..

ვამეხ და ბიძაშვილი ჭურისთავისკენ გასწევენ. პატარა ბიჭს ანთებული ჭრაქი მიაქვს წინ.

ნინო სამზარეულოს მიმართავს.

ნიკოს ცხენებისათვის ახალი ჩალა მოაქვს.

მოხუცი არჩიბალდს ათვალიერებს.

ამბობს თავისთვის:

—ფიცხია!. ჩქარია!.

არჩიბალდს ხმა შორიდან ესმის თითქო. ხომ არ სმენია ოდესმე?! სიზმარ-ში თუა.

ფიქრებს მატასი გასწყვეტს. ჩაირბენს კიბეზე და [illegible] გაიქცევა. შველის ნახტომი აქვს. ტყვილად არ ქვია ამ კუთხეს „[illegible]

— სადაური ბძანდებით?!

— ანგლიიდან ვარ..

— ქართული გცოდნიათ..

— ცოტა..

— რა ჭვეყანაა „ანგლია"?! ანგლიჩნები ხომ არ ცხოვრობენ?!

— მაგ უნდა იყოს..

— ჩვენი თამაზიც ანგლიჩნებში წავიდა..

„ვინ?." ჰკივის ვილაც არჩიბალდის ტვინში. აღრჩობს კივილს.

ნეტავ ვინმე მოვიდოდეს. ჰაა: ეს ვამეხის ბიძაა: ნიკო.

მაგრამ ნიკოს ლაპარაკი არ უყვარს.

ისევ მოხუცის ხმა.

არჩიბალდს ეშინია ბაასის გაგრძელების.

მაგრამ ხმა ნიკოსკენაა:

— ცხენები თავლაში დააბი.. კარგათ მოუარე..

— ჯაერი ნუ გაქვს..

მოხუცი იწყებს რაღაცას. მაგრამ ვამეხ უკვე მოდის.

— მაპატიეთ ბატონო არჩიბალდ..

— რა სათქმელია..

სუფრას გაშლიან. არჩიბალდ ხან ნინოს უცქერს და ხან მატასის. ეხლა პატარა ლამფას წყვეტლის—(წელან კი ლოცავდა): ვერ არჩევს კარგად. სუფ-რას უსხდებიან. ვახშმობენ. არ არის არც ნინო და არც მატასი.

. . .

არჩიბალდ ოთახშია. ნინო დი მატასი ვახშმობის დროს ალბად ოთახს ამზადებდენ. ყველაფერი მზადაა. სუფთა ლოგინი სუფთა ქვესაგებელით. მაგი-და. სკამი. ფანჯარა გატეხილია და დიდი ბალიშია შიგ ჩაგებული. კედლებზე —სურათები გაზეთებიდან ამოჭრილი.

შემოდის მატასი. შემოაქვს წყალი თუნგულათი. ტაშტი. საპონი, პირსა-ხოცი. არჩიბალდს უკვირს. წყალს უსხამს. ჰელს იბანს.

ყნოსავს ქალის სიახლოვეს. ასეთი სურნელი ახლად აყრილმა ტყემ იცის. კუნთები—დაძაბულობაა (შევარდენის ბარტყის?!).

მატასი გადის. თვალს აყოლებს. ჰო რა ცუდია ეს პატარა ლამფა.

ტანს მაინც არჩევს: თითქო მშვილდი—(მოწეული თუ გასხლეტილი?!). მო-ნადირე ქალის ატეხილობა. აქ ირგვლივ სანადიროა ხომ!? თეძოები ჯერ კიდევ არ გაგანიერებია. მკერდი მთლად არ აბორცვილა.

შემოდის ხელმეორედ. შემოაქვს ტაშტი. თუნგულათი წყალი.

არჩიბალდ გაოცებულია.

მატასი მარტო დარცხვენაა:

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

—ფეხებისთვის..

არჩიბალდის ხმა იმსხვრევა:

— დასტოვეთ..

— არა.. მე თვითონ.. დაგბანთ..

არჩიბალდ გაშტერებულია.

უეცრად ვამეხ შემოდის. ცნობს გაოცებას.

— ეს ძველი ჩვეულებაა ჩვენი.. სტუმარს ახალგაზდა ქალი ძილის წინ ფეხებს დაბანს..

— არ შეიძლება არ ავასრულო ეს ჩვეულება?!

— თქვენი ნებაა..

მატასი გადის. მიაქვს ხელსაწყო.

ვამეხიც ემშვიდობება:

— ძილი ნების..

— გმადლობთ..

. . .

ძილი თუ ღვიძილი?! ზმანება თუ არის..

ორი წლის ბავში ფეხს იდგამს. გაიარს. დაეცემა. ვილაც ხელში აიყვანს ბანგვლიანი და დიდი. ბავშს ეშინია: ეს ხომ თვითონ დევია—(რომ აშინებდენ). ტირის. ეხლა ქალი აიტაცებს. მიჰყავს. საით?! რა იცის?!.

წინ რაღაც მაღალია. შავი და დიდი. ხანდახან შრიალი ისმის. ბავშს ეშინია. ქალი ამშვიდებს: ეს ტყეა. ქაჯები რომაა იქ—(ასე ამბობდენ)?! არა: იქ ირემია და კანჯარი. ირემი და კანჯარი რაა?! აი: უშობელს რომ ჰგავს.

ბავში აღარ ტირის. ქალს ბავში წისქვილისკენ მიჰყავს. ხრიალი. ბავში ხელს წვდის: უთითებს. იქ სიმინდს ფქვავენ. სიმინდს ფქვავენ?! აი ფაფას რომ აკეთებენ: ფქვილიდანაა. ბავში ნელდება.

„ფაფა!“ იძახის ბავში. ფაფა აქ სადაა?!

გამოდის ვილაც: იგიც ბანგვლიანი. იგიც ხომ დევი არაა?! აი ვაშლი! ბავში გამოართმევს. გაუვარდება. ჩაგორდება წყალში. წყალს მიაქვს ვაშლი. ბავში ტირის—„დედაა!“

„დედა წასულია.“ „დედა მალე მოვა.“

ბავში მოლზე გაიარს. ჰკივის: ეკალი შეესო?! ქალი ეკალს გამოუღებს. „რა გატირებს“. „ბურთს არ მოგცემ“.

ბავში მზეს გახედავს ჩამავალს. ხელს გაუწვდის. ეს წითელი ბურთია. „ბუ...თი“: იძახის ბავში. ეს რას ამბობენ: ხვალ ქარი იქნებაო. რაა?! კიდევ გახედავს კიდურს. ბურთი აღარაა. „ბუთი“. „აი ბურთი“. აძლევს.

ბავში ამთქნარებს. საღამოა. ქალს მიჰყავს სახლისკენ.

ყმაწვილს ტირიფის ჯოხი გაუკეთებია. ახლად გაუტყავებია. ბავშს აძლევს. რა სუნი აქვს?! ჰოო..

ქალს მიჰყავს. აკვანში აწვენს. ბავში ტირის.

„დაიძინე“.. „ნანა ნანინა“.

ბავში აღარ ტირის. ბავში იძინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილი თუ ღვიძილი?!
არჩიბალდ ფანჯარაში ლუშ ალიონს გახედავს.
გული ხომ არ ეხუთება?!

საჯვარე—

ნიგვზის ჩრდილი: ფართო და გაუვალი.
სიპი ქვის საჯდომი გრძელი.
— ბაბუა ასეთი ხმალი თუ გინახავს?!
— აბა მიჩვენე!.
ვამეხ გაუწოდებს.
— კარგი ხმალია . სად იშოვე?!
— ჩემმა მეგობარმა მაჩუქა..
არჩიბალდ იქვეა აწურული.
— კარგი ხმალია..
მოხუცი თვალს ვერ აცილებს. რკინას სინჯავს.
— თუ გინახავს სადმე ასეთი რკინა?!
— მინახავს..
— არჩიბალდ განაბულია.
— სად გინახავს?!
— აი იქ..
მათ პირისპირ სამი ვერსის მანძილზე მოსჩანს სერი.
სერზე ხის საჯვარეა და ძველი სასახლე.
— მაყაშვილის ნამოსახლარზე?!
— სწორედ იქ..
არჩიბალდ შეირხევა—(ამჩნევენ მოხუცი და ვამეხ?!)
— იქ ეხლა მგონი არავინ ცხოვრობს..
— არავინ..
— ბაბუა სარიდან! მაყაშვილი მართლა გადაშენდა?!
— გადაშენდა..
არჩიბალდის ტვინს რაღაც კბენს.
— სულ გადაშენდა?!
— არა: ერთი დარჩა..
არჩიბალდ გულშია მარტო.
— რა იქნა?!
— უცხოეთს წავიდა..
არჩიბალდის გული ფეთქის შეწყვეტას აპირებს.
— დიდი ხანია?!
— დიდი ხანია..
— მაინც რამდენი?!
მოხუცი იგონებს:
— ჰო: შენ რომ დაიბადე იმ წელს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩიბალდის წინ სინათლე იელვებს ფართო და წამსაყვე ქრება. სერისკენ გაიხედავს. ხის საჯვარე და ძველი სასახლე. მოხუცის ხმა თითქო იქიდან ესმის: ისე შორსაა. რაღაც აგონდება.

ვამეხ ხმალს გამოართმევს მოხუცს.

— მაშ იქ გინახავს ასეთი ხმალი?!

— სწორეთ ასეთი..

— მაყაშვილი თუ გინახავს?!

არჩიბალდ გაგუდულია—(ცრემლები თუ აწვება?!)

— თამაზ?! როგორ არა..

არჩიბალდის ცალ თვალზე ხორბლის ოდენა ცრემლია.

— როგორი იყო?!

— კარგი.. ძალიან კარგი.. ფიცხი კაცი იყო.. ქეთილი..

არჩიბალდ ცრემლს იწმენდს მალულად.

გული აშვებულია—(გულს ვერავინ დაინახავს).

მოხუცი დგება. მიდის ნელი ბიჯით.

ვამეხ არჩიბალდს უცქერს იჟვნეული.

. . .

— ბატონო არჩიბალდ! გაეისეირნოთ ცხენებით!

— სიამოვნებით..

ცხენები მზადაა. მიდიან. „ალღანს“ მატასის უტოვებენ: შეეჩვია.

ჰო ეს ხევი: აქ ქაჯებით აფეთებდენ.

ჰო ეს ღელე: აქ წყლისკაციაო—ესმოდა.

ეს გორაკი. ეს ვენახი. ეს ხე: ძელქვის ხე. ეხლა დაპატარავდა თუ?! ეს მიდამო. არჩიბალდ შორსაა—(საუკუნემ განვლო მას აქეთ?!).

კაცი მწოლარე მიდის—(სულ ერთია: ურმით თუ რონოდით)—არ იცის საით მიდის. მაგრამ არჩიბალდ მწოლარე არ არის: იგი ცხენზეა. და მაინც: არ იცის—სადაა- გზნობს რომ შორსაა: ზმანეულ არეში.

ვამეხის ხმით თუ გამოერკვა.

ალმართი. ესეც ჰო. სადღაც.

მიდიან სოფლის ორღობეში.

პატარა სახლები. ზოგი ოდა. ზოგი ქოხი ძელის. ზოგი კრამიტით დახურული. ზოგი ისლით. ბევრი ყავრით—(საირმეში მრავალია საყავრე ხე). ყველგან ეზო: დიდი და მორჩილი. აქ საცვლები ჰკიდია. იქ ხარები ტკვერავენ ახალ ჩალას. ბავშები თამაშობენ: ძონძებში გახვეულნი. ქალები თავსაფარს ისწორებენ—(როს შეხვდებიან). თუმცა თვალებს უფრო აალმასებენ. აქ ღორის ღრუტუნი გაისმის. იქ ძაღლი ჰყეფს—(ორღობის ძაღლი: ეს ცალკე „რასსაა“). თუ არ შეუტია—შეურაცხებულად გრძნობს თავს: ალარ მოგეშვება.

არაფერი შეცვლილა—(ეს არჩიბალდის ფიქრია).

ავლეს ალმართი.

დიდი ღობე. ურთხველის სარები ერთიმეორეზე მიჯრილი. ღობე კედელი

თითქო. კედლად გაწყობილ სარებს რიგრიგად ორი სარი აკავებს: იქით და აქეთ ჩასობილი. ორ სარს თავები იელით აქვთ ერთიმეორეზე წაკრული.

დიდი ალაყაფის კარი. გააღებენ. შედიან. კარი თავისით იხურება: გძელი ნამორი აქვს გამობმული და მისი მსხვილი ბოლო დასძღევს.

ეზოში აქაიქ: ცხენის თუ ჯორის განავალი.

ხის საჯვარე პატარა—

თითქო გაგუდული მეღამურა.

მიტოვებული. გარიყული. დაგდებული.

კედლებზე უთვალავი ობობა და უთვალავი ქსელი.

საცოდავი საჯვარე: როგორც უდაბნოში დაკარგული ლოცვა.

მდუმარება სიკვდილის—(ამ მდუმარებას სუნი აქვს).

საჯვარის პირისპირ: სასახლე. დიდი. ცხრათვალიანი. მაგარი მუხის. თუმცა გადაზნექილი განზე როგორც მოქცეული კისერი. ფანჯრები: ჩამტვრეული ყველა—თითქო თვალებამოთხრილი თუ ჩათხრილი. კარები: ზოგი შელეწილი და ზოგი წაქანებული. სახურავი: დამპალი ყავარი. მრავალ ყავარს ხავსი მოდებია და იფინება მური: თითქო თრთვილი გამწვანებულ თუჯის ფერის.

მდუმარება გადასულის—(ამ გადასულს სუნი აქვს).

ეზოში: ნიგვზები და მუხები.

ნიგვზები და მუხები არხევენ მდუმარებას.

არე—მკვდარი. აქ ალბად მზის სხივი კვდება.

არჩიბალდ გაქვავებული დგას: სიკვდილი თუ იუნოსა.

ვამეხ ლობისკენ იხედება.

ლობეზე აცოცილა ვიღაც. ყბა შეჭრილი აქვს. თვალები მანჭკვალას მიუგავს. თუმცა მანჭკვალას ცქერა გვერდულია და დამცინავი: თანვე გამხვრეტიცასეთმა ცქერამ იცის გათვალვა.

უცნობს ხელში შემწვარი ტარო უკავია: ფშვნის და კაკლავს.

ყბები თამაშობენ.

ვამეხ მიმართავს:

— აქ ეხლა არავინ სახლობს?!

— ვინ ისახლებს აქ!?

— როგორ?!

— ეს ადგილი ნაძრახია..

— ნაძრახია!?

— ამ ხეებზე ხშირად წოიო კივის..

— წოიო!?

— ეს ადგილი დაწყევლილია.. აქ ჭინკებიკ დარბიან ღამით..

— მერე!?

— აქ ნაშიერი არ ხეირობს.. აქ ნაყოფი კვდება..

— გადაშენდენ?!

— გადაშენდენ..

— ყველა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა: ერთი გადარჩა..
— სადაა ეხლა?!
— გეიქცა სალაც..
— გაქცეულს არავინ დარჩენია?!
— ვაჟი ჰყავდა სამი თუ ოთხი წლის..
— სად არის?!
— წეიყვანა თან..
არჩიბალდ რაღაცას ებრაჯინება.
— კარგად გახსოვს?!
— როგორ არ მახსოვს! ჩვენი სალომე აწოვებდა ძუძუს..
— რომელი სალომე?!
— კაციას სალომე..
— ცოცხალია კიდევ?!
— ცოცხალია.. ავადაა საწყალი..
— წევს?!
— ლოგინათაა დავარდნილი..
არჩიბალდს ფეხი უცდება თხრილის პირს—(თუ...).
— რა დაგემართათ?!
— ფეხი დამიცდა..
— მართლა წყეული ალაგი ყოფილა..
— კვიმატიანია.. ამ ადგილს არავინ ეკარება..
უცნობი ხმასთან ერთად ჰქრება.
ულვიან საჯვარეს გარს—(მკვდარი ფიქრი თუ არის).
საფლავები. ქვები. ზედ წარწერები. მაყაშვილი. მაყაშვილი. მაყაშვილი. ყველგან მაყაშვილი. ჩყ... წელსა...
არჩიბალდის ფესვები ჰკიდიან.
გაიგონებენ ეს საფლავები?!
უახლოვდებიან სახლს. სახლის გვერდით დაქანებაზე დიდი ნიგოზია. ხეს დიდი ფესვი ამოგდებული აქვს: თუმცა ფესვის ბოლო მიწაშია წასული შორს.
არჩიბალდ ფესვს დაეცემა. ახსოვს: არა—:ეხლა აძვრენენ პატარა არჩილს ამ ფესვში. ავად რომ იყო—(თუ ახლა არი ავად?!).
ეხვევა ფესვებს.
ვამეხ გაოცებულია.
— რა გემართებათ?!
— ულონოდ ვარ ოღაც..
— წავიდეთ..

გადია—

დუმილი გზაზი.
დუმილს ვამეხ თუ დაარღვევს.
— საწყალი თავადი..
— ?!. ?!. ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავ სად არის ეხლა?!
— ?!. ?!. ?!.
— ან მისი პატარა ვაჟი!?
— !?. !?. !?.
— საწყალი გადია: სალომე..
— !?. !?. !?.
— რა იქნება რომ ვნახოთ.. ეგებ უჭირს..
— ვნახოთ! ვნახოთ!
ეს არჩიბალდს არ უთქვამს—(ამას ვილაც ყვირის მასში).
— გავბრუნდეთ.. თქვენ—ვითომ ექიმი ხართ..

. . .

პატარა ქოხი. ქოხის წინ: წინკარი უფიცრო. წინკარში კედელთან: ლოგინი. ლოგინზე ავადმყოფი ხვნეშის მალიმალ. გვერდზე ქალი უვლის.
— მობძანდით!
ჩამოხტებიან. ცხენებს წინკარის სვეტებს მიაბამენ.
— დიდი ხანია ავათ?!
— დიდი ხანია..
— ჩემი მეგობარი ექიმია..
— კარგი დაგემართოს..
ავადმყოფი ოდნავ წამოიწევს:
ჩაფერფლილი თვალები. ზორიდან მოსჩანს კიაფი.
მკერდი ამომშრალი და ჩაფუშული. ხელები: ძვლები.
მომვლელი მიმართავს უცხოს:
— ნახეთ!
უცხო ავადმყოფს უცქერს. ვერ ჰბედავს მიახლოებას.
ვამეხს—თითქო სურს უხერხულობისაგან გამოიყვანოს მეგობარი.
ავადმყოფს ეკითხება:
— თქვენ აწოვებდით ძუძუს თავადის ვაჟს?!
— მაყაშვილისას?!
— დიახ!.
— ჰოო: რამდენი ხანია მას აქვთ!.
— გახსოვთ?!
— პატარა არჩილ.. ჩემი ბიჭი.. როგორ არ მახსოვს..
— არჩილი ერქვა?!
— არჩილი.. პატარა აჩიკო.. ნეტამც კიდევ მანახვა.. სიკვდილის წამს.
— ნახავთ.. ნახავთ..
ამას არჩიბალდ არ ამბობს—(ამას ვილაც ჰკივის მასში).
ვამეხ გაშტერებულია.
ქალი არჩიბალდს თვალებში უცქერს.
— თქვენ..

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არჩიბალდმა არ იცის: თუ რით გაგრძელდება ქალის სიტყვა.

მოსწყდება საჯდომს და ქვითინით მკერდზე დაუვარდება.

— მე ვარ.. მე ვარ.. არჩილ..

ეს სიტყვები ეხლა არჩიბალდისაა.

უკოცნის ძუძუებს. ამ ძუძუებმა რძე აწოვეს მას. ეხლა ძუძუები ამომშრალია. რძე სადღა ექნებათ?!

მაგრამ თვალები. ავადმყოფის თვალები.

აქ კი ყველაფერია. ცრემლი. სიყვარული. ძარები. გახარება. აღდგომა. ისევ ცრემლი. კიდევ ცრემლი. ცრემლში ყველაფერია.

— არჩილ! არჩილ!

გამხმარი ხელები ყელს ეხვევიან—(რომელი ტუჩები აკოცებენ ასე?!).

ვაჟის ქვითინი ისმის მარტო.

. . .

ვამეხ დაწინაურდა. ცხენს მიაჭენებს!

არჩიბალდ ჩამორჩა. ცხენი ნელი ბიჯით მიდის.

რად დასცილდა ვამეხ?! ეგებ ეწყინა: რომ აქამდე საიდუმლოს უმალავდა?! ვამეხ იჭვნეულია. არჩიბალდ სწუხს. მიდის აუჩქარებლად.

ისევ ის საჯვარე. ისევ ის სასახლე.

ნიგოზი დაღვრემილია. ფესვი კიდევ უფრო.

გადმოხტება. ცხენს ალაყაფის კარებს მიაბამს. შედის.

ნაძრახი ადგილი?! არა: იგი საშოა მისი. საშოს წყევა არ შეიძლება.

აქ იშვა. ამ ადგილზე, ამ სახლში. აქ მოსჭრა მას ბებია ქალმა ჭიპი. ეს ჭიპი ამ მიწას შეერთო. ნეტავ სადაა მისი ნაწილები?! დაიკარგენ?! გაჭრენ?! არა. აქ არის: მიწაშია.

ვაჟი იქითაქეთ იხედება: არავინაა—(ევროპიელს ეშინია სხვისი თვალის). ნიგვზის ფესვს უცქერს ამოგდებულს. დაეარდება მოსხლეტით. აკოცებს მიწას. ფესვში თავს გაჰყოფს და გაძვრება.

წამოდგება: ეხლა ხერხემალმაგარი.

ერთი კიდევ დახედავს ნიწას და ფესვს.

გამობრუნდება და ცხენს მოახტება. მიაჭენებს.

არაოდეს ასეთი ძალა მას არ უგვრძვნია. ტანი აყვანილია უცხო რიტმების მოხეთქით. არავითარი ჯეგირი. არავითარი დაბრკოლება. თუ იქნა ასეთი—გაარღვევს და გადალახავს.

ვაჟის ძალა ცხენსაც ედება:

მის ფეხებს ალარ ახსოვთ—ფორხილი განუცდიათ თუ არა.

მაგრამ ამ გაეარდნაში: ერთი ბზარი—ვამეხის დაწინაურება.

რად დასცილდა?! ხომ არ ეწყინა: რომ აქამდე საიდუმლო არ გაუმხელია?! ვამეხმა იცის იჭვნეულობა.

არჩიბალდ ნათელშია. ნათელს იჭვი სერავს.

მაგრამ აი—ვამეხ. ცხენს მოაჭენებს.

ცალხელში ხელადა უჭირავს: ღვინით სავსე—(მეზობელს გამოართვა?!).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდება. შუბლი გახსნილი აქვს. მაშ ტყუილი ყოფილა იქნები. „კარგი ვამეხ“.

— არჩი..

— ჰო: არჩილ! არჩილ!

— მიწამ ნახა შვილი.. ნიშნად: მისი ზედაში..

არჩიბალდ სვამს ღვინოს.

გადასცემს ვამეხს. იგიც სვამს.

— დაილოცა ამის შემქნელი..

— დაილოცა.. დაილოცა..

ცხენებს უახლოვებენ ერთმანეთს. ხელს ართმევენ ერთმანეთს.

ცხენები გაიწევენ.

არჩიბალდ შესვამს მეორედ. გადასცემს ვამეხს.

ვამეხ შესვამს.

— დაილოცოს ამის გამჩენი..

— დაილოცოს. დაილოცოს..

ვამეხ ცლის დოქს. გაისვრის. მოხვდება ქვას. იმსხვრევა.

— რად გასტეხეთ?!

— რომ სხვა ტუჩები არ მიეკაროს..

— !? !?

— ალარც სხვა ღვინოს ინატრებს..

ვამეხ ცხენს შეაყენებს. გააგდებს. მიაჭენებს.

იშიშვლებს ხმალს. ჩაუქროლებს ხეებს. განზე კოპიტია.

მოუქნევს მკლავის სიმსხო ტოტს. ტოტი ვარდება.

ცხენს მოატრიალებს. მოიჭრება არჩიბალდის წინ.

— რა რკინაა..

უცქერს სიამაყით ხმალს.

— მაყაშვილი თამაზ ცუდს რკინას ხელში არ აიღებდა..

— მაშ ეს ხმალი...

— ჩემი მამისაა..

ვამეხ ეხლა ხმალია თვითონ.

ცხენი ლაგამს ხრაეს.

მაჯა—

სიმინდის ხვავი რიყესავით მიჰყრია შქერის წნელისაგან მოწნულ ნალიას. ნალიის ბოძები ურთხველის ალარ სჩანან. ხვავის თავზე სხედან ბიჭები და გოგოები. მათ შორის—მატასიც. თეთრ ხვავში—სირენაა თითქო ხლვის ქაფში.

ხვავის ძირას ბოძთან სამფეხა სკამი დგას.

სკამზე სარიდან ჩის და ჩიბუხს აბოლებს.

მის გვერდით „ალლან“ თვლემს გართხმული.

სიმინდის ხვავი მთვარის ბადეშია.

არჩევენ სიმინდს. ერთ მხარეზე გარჩეულ ტაროებს ჰყრიან. მეორეზე—

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფუჩეჩს. ყვითელი ტაროები: თითქო კბილებნაყარი ხვითოები. ფუჩეჩი: თითქო აქაფული სადაფები.

სურნელი. სურნელი.

ტაროსი—ფუჩეჩის—ფოჩოსი—ნაქურჩალის.

ვამეხ ბავშებშია. ისიც არჩევს.

არჩიბალდ ტაროს სინჯავს. ყნოსავს—(პირველად?).

ტაროს სურნელი ხსოვნაში არ ამოიშლება.

ირღვევა შორეული. ნოსჩანან შორეულში ბავშის ხელები.

(ხელები ტაროს ხომ არ ეთამაშებიან)

ვამეხ სარიდანს არ ეშვება:

— როგორ იყო ქვის ვაჟის ამბავი?!

— რომელი ქვის ვაჟის?!

— მდინარის გაღმა კლდეში რომაა გამოჭრილი..

— ჰოო..

— მართალია?! ნადირს ის ქვა სიმხეცეს ართმევსო—თუ შეხედა.

— მართალია..

— მართალია?! ფრინველს ფრთები ეკეცებაო—თუ ახლო ჩაუფრინა..

— მართალია..

— მოგვიყევი ბაბუა სარიდან!.

ეს მატასის ხმაა.

ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთისტი.

არჩიბალდ გახედავს.

— მოგვიყევი! მოგვიყევი!

იძახიან გოგოები და ბიჭები.

მოხუცი გააბოლებს ჩიბუხს. გააპურჭყებს. ნელი ხმით იწყებს.

— იმ მდინარეზე თურმე წისქვილი ყოფილა.. ძველათ.. უხსოვარ დროში.. მეწისქვილეს—მოხუცს—შვილიშვილი ყოლია თურმე..

— ვაჟი არაა?!

გოგოები ილეწებიან. ერთმანეთს ეტმასნებიან.

ფუჩეჩი შეირხევა ერთი და შრიალი წყდება.

— ჰო ვაჟი.. ლონიერი ვაჟი.. უთხრა ერთხელ თურმე მოხუცმა.. შვილიშვილს.. ნუ გგონია შვილოვო: რომ მდინარე ყოველთვის სდისო.. არის ღამეში ერთი წამი: როცა მდინარეც მიიძინებსო..

— მდინარეც ნიიძინებსო?!

ამეთისტოს კრიალში გაოცებაა.

— ჰო შვილო.. ყველაფერმა უნდა დაიძინოს.. ღამით.. თუნდაც ერთი წამი.. ჰო და: უთქვამს კიდევ მოხუცს.. შვილიშვილისათვის.. ვინც იმ წამს ნახავსო ის ნახავს უცხო რამესო..

— რას ნახავსო?! რას ნახავსო?!

გოგოები ხტიან.

— ნახავს იმასო: რომ მდინარიდან ქალი გამოვაო.. ლამაზიო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალიო?! ლამაზიო?!

ილესებიან ბიჭები.

— აბაა..

— მერე-მერე..

— მერე და: ვაჟს გაკვირვებია.. შვილიშვილს.. ეს ამბავი..

— მდინარის ძილი.. რალაც არ მესმის..

ამეთისტოს კრიალი მთვარის შუქზე გაისრიალებს.

— ყველაფერი უნდა დაიგიწყო: შვილო.. მაშინ ნახავ წყალის ძილს.. მოხუცს ასე უთქვამს.. აბაა..

— ვაჟმა რასაკვირველია ქალის ნახვა მოისურვა ალბად?!

ილიმება ვამეხ. მოხუციც ილიმება.

— მოისურვა და მერე როგორ!? ვაჟი თურმე თლა გაგიჟდა.. გალენჩებული დადიოდა.. ღამე არ ძინავდა.. ერთხელ მიეძინა მოხუცს.. ძალიან მიეძინა.. მაგრად.. ვაჟი ადგა და აიღო ბადე.. გავიდა გარეთ.. გაყვა მდინარეს.. ღამე მთვარიანი იყო.. მივიდა ერთ ალაგს.. ისროლა ბადე.. არ ამოყვა თევზი.. დაღონდა საწყალი.. მიატოვა თევზაობა.. ავიდა კლდის პირას.. იქიდან თვარეს მიაჩერდა..

> არჩიბალდს ეწვეთება სიტყვა „მთვარე". გახედავს: მთვარე ცხრომას აპირებს. მოხედავს მატასის. მთვარის ნათელში ქალიშვილის სახეს თოვლის სილურჯე ეფინება. მატასი ყურს უგდებს გარინდული.

— რა უნდოდა: მთვარეს რომ მიაჩერდა?!

ილეწებიან გოგოები.

მოხუცი ერთს გააბოლებს და გააპურჭყებს.

— რა უნდოდა და: ვინ იცის.. ჰო: დაფიქრიანებული იყო.. თითქო მდინარეს მიჰქონდა.. აბაა.. დაავიწყდა თურმე ყველაფერი.. ერთი ახსოვდა..

— ლამაზი გოგო არაა?!

ხუმრობს ვამეხ.

— ლამაზი გოგო: მაშ.. მარტო ის ახსოვდა.. სიზმარივით ახსოვდა.. ვითამც თვალღია სიზმარში იყო..

— რაა თვალღია სიზმარი?!

ეკითხებიან ბიჭები.

— თვალღია სიზმარი?! ჰო: კაცს თვალები ღიაა აქვს თურმეც ხანდახან.. მაგრამ ძინავს.. სიზმარს ნახულობს..

— ეს რალაც სხვაა..

არ ესმით ბიჭებს. არც გოგოებს.

— აი როგორც მატასი: მთვარეს უყურებს და სიზმარს ხედავს.

ძმა ხელს მოხვევს დაჰს. მატასი დარცხვენილია.

— მერე ბაბუა?!

— მერე და: ყმაწვილს თურმე წაეძინა ცოტა.. რული მოერია.. ქათქათა თვარე მდინარეს ეკროდა.. ადნებოდა..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩიბალდს ეწვეთება სიტყვა „მთვარე“. ეხლა სიტყვა „მდინარეც“. გახედავს მატასის: მდინარის ტოტი თუა მთვარით შერხეული.

— მთვარე მდინარეს ეკვროდა?!

— მაა.. ეკროდა.. მდინარემ გააზმორა თურმეც.. თვარე ძალიან ანათებდა.. მდინარე ზანტად მიდიოდა..

— მერე მერე?!

— მერე და: მდინარემ თურმე მიიძინა..

გოგოები და ბიჭები ერთად: ჰაااა..

ფუჩეჩი იშმუშნება: ირბევა და ნელდება.

ტაროები გაშეშებულ ხელებს შერჩებათ.

მთვარე ასხურებს ელამთვალა შუქებს.

— მერე მერე?!

— მერე და: ყმაწვილს შეეშინდა თურმე.. შეკრთა..

— მდინარე?!

— მდინარე შეინძრა თურმე..აქაფდა..

— ქაფი?!

— ქაფი ქალად გადაიქცა თურმეც..

— მერე მერე?!

— მერე და: ისევ ქაფში გაიშალა.. ლამაზი გოგო.. აბაა..

— ვაჟი?!

— ვაჟი გაზტერდა თურმე.. თუმცა გულს სიამე მოხვდა..

— მერე?!

— მერე და: ისევ მიეძინა.. ცოტა.. როცა გამოელვიძა..

— რა ნახა?!

— ნახა რომ: თვალებზე ხელები ჰქონდა შემოჭდობილი..

— ვისი ხელები?!

ხტიან გოგოები.

— ქალის ხელები?!

ილეწებიან ბიჭები.

— ქალის ხელები.. მაა..

მოხუცი აბოლებს. იპურჭყება.

არჩიბალდს ეწვეთება სიტყვა „ხელი“. გახედავს მატასის. ტაროო ნახევრად გაუქურჩავთ გაშოთილ ხელებს. შვეტი თითები ალერსით მორტყმიან ყვითელ კბილებიან ლეროს.

— მერე მერე?!

— ყმაწვილმა ასწია ხელი.. თავისი.. მარჯვენა.. შეახო ქალის ხელს.. შემოჭდობილს.. შიშით შეახო..

(მატასი ზანტად იზნიქება)

— მას მერე?!

— მერე და: ქალის ხელი ცხელი იყო.. ყმაწვილი ვერ [illegible]ადგდა ხელს.. ქალის ხელს.. მხოლოდ ხელს ახლებდა. მისი თვალი თურმე [illegible] ხელი იყო მაშინ.. ხელით კოცნიდა კლავს.. ქალის კლავს.

(მატასის მკლავები აზმორებენ)

— ჰოოო..

იგუდებიან ბიჭები.

— აბაა..

მოხუცი ილიმება და აპურჭყებს.

არჩიბალდს ეწვეთება სიტყვა „მკლავი". გახედავს მატასის. მკლავი ნახევრად ტიტველია. მკლავში კრთომაა და სურვილი.

— მერე მერე?!

— მერე და: ყმაწვილი შეეკითხა თურმე: ვინა ხარო.. ქალმა უპასუხა თურმე: მე სახელი არ მქვიაო.. მე უსახელო ვარო..

— ჰოოო..

— ქალის ხმა ტკბილი იყო თურმე.. ყმაწვილმა შეფიცა თურმე: ამიერიდან შენი ვარო.. ქალმაც მიუგო თურმე.. მეც გნახავ ხოლმეო.. ეს რომ თქვა ყმაწვილმა ვაიხედა და ქალი თქაფანით წყალში გადაეშვა..

(პაუზა)

უეცრად ხვავის პირი მოირღვევა—საცა მატასი ზის. მატასი მოსწყდება კიეილით. ფუჩეჩისკენ გადაქანდება. შიშველი მუხლი მოხვდება არჩიბალდს. ვამეხ მატასის დაიჭერს. შეაკავებს. ხუმრობს.

— მატასი მდინარის გოგოა უთუოდ..

— ჰა-ჰა-ჰა..

— ფუჩეჩში რო გადაეშვი: მდინარე გეგონა?!

— ხვავი ჩაინგრა და მეც გადამიყოლა..

მატასი დარცხვენილია—(შიშველმა მუხლმა თუ იგზნო რამე).

— მერე ბაბუა?!

— მერე და: ყმაწყილი დანალვლიანდა.. ველად გავარდა თურმე.. გაიჭრა.. დღე ჩეროში ეგდო.. ღამით იმ ნაპრალთან მიდიოდა.. გალენჩდა.. თუმცა ბევრი ესმოდა უცნაური.. ბალახის ზდა ესმოდა თურმე.. აბაა.. ქალის კლავები ახსოვდა.. სულ ქალის კლავები..

(მატასის კლავები იშმუშნებიან)

— ქალის კლავები?!

ბიჭები არ სცხრებიან.

— ქალის კლავები.. მაა..

— მერე?!

— მერე და: ერთხელ წავიდა თურმე იმ კლდის პირას.. ახლაც თვარე იყო.. მიჯდა.. ცოტა მიეძინა.. რული მოეკიდა.. გავიდა ერთი წანი თუ საუკუნე: ვერ გაიგო.. რას გაიგებდა?! როცა გამოელვიძა: იგრძნო რომ გვერდით ის

ქალი იყო.. აღარ უხუჭავდა თვალებს.. თუმცა ბიჭი თვალით [illegible] ხედავდა.. ბიჭი ბუერანში იყო.. თვალებზე ნისლი ქონდა.. ლამაზი გოგო ითრევდა თურმეც მას ბნელეთში.. ბიჭი თვრებოდა.. ქალით თვრებოდა.. ქალი თურმე ქვასავით თეთრი იყო და მაგარი.. ბიჭის ხელებში.. ბიჭი ქვას სვამდა ხურმე..

— ქვას სვამდა!?

— აბაა..

(პაუზა.)

— რა გემართება მატასი?!

ვამეხ უცქერს ნახევრად წაქცეულ მატასის.

მატასი ტანს ისწორებს აწითლული.

(მიწველი მკლავი არჩიბალდის ხელმა იგზნო: შეაჩერა)

— არაფერი: ნიგვზებში ვილაც მომეჩვენა..

— აკი ვთქვი: თვალლია სიზმარს ხედავს-თქო?.

— ჰა-ჰა-ჰა..

კისკასობენ გოგოები და ბიჭები.

— მერე ბაბუა?!

— მერე და: ვაჟმა დაუწყო ხვეწნა—სახე მიჩვენეო.. ქალმა მიუგო: მე უბილავი ვარო.. თუ მოკვდავმა მნახა—ძვირად დაუჯდებაო.. ასე უთხრა თურმე.. აბაა..

— ალქაჯი ყოფილა..

— მაშა..

— მეტი აღარ უნახავს?!

— როგორ არა!.

— რა დაემართა?!

— ვაჟი დაშუნჯდა თითქოს.. ხმას აღარ იღებდა თურმე.. აღარც არაფის უცქერდა.. არც უსმენდა.. ერთი სურვილი ქონდა მარტო..

— რომ ენახა ჯადოქალი!?

— რომ ჯადოქალი ენახა.. მაშა.. წავიდა კიდევ მდინარის პირას.. ისევ მიეძინა ცოტა.. რული მოერია..

— ამდენი ძილი:.

გოგოები და ბიჭები ხითხითებენ.

— მაშა: მიეძინა ცოტა.. რული მოერია..

— მერე მერე?!

— მერე და: მდინარე შეირხა.. შეჩერდა თურმეც., ბიჭს გამოელვიძა და ხედავს: რომ წყალმა მკერდი გაიხსნა.. ამოცურდა ქალი ტალღებიდან.. ამოტივტივდა თურმე.. ტალღები ქაფიანი იყო.. ქალი ქაფში იყო თურმე.. ტიტველი..

— ვაჟმა იხილა?!

— ქალმა დაუძახა თურმე: არ შემომხედოო..

— ვაჟმა შეხედა?!

— როგორ არ შეხედავდა!. თვალები დაატყვევა ქალმა..

— მერე?!

— მერე და: უცქერს თურმე ბიჭი.. ქალს მოშავო ეთმები ნიკლებზე გადმოეშვა: თითქო მუქი ნისლი.. სქელი.. ელამ თვალებს აგლეჯებდა ოქო ლუში ქვაა წყაროშიო..

— ველარ შეაჩერა ბიჭი?!

— რალას შეაჩერებდა!. კიდევ შესძახა თურმე: ნუ შემომხედავო.. მაგრამ თვალები უკეთესს რალას ნახავდა!. მაშინ ქალმა შესძახა კიდევ: მხედავდე მარადისო..

— მერე?!

— მერე და: ქალი ისევ წყალში გადაეშვა.. გაქრა..

— ბიჭი?!

— ბიჭი?! გაქვავდა..

სიჩუმე.

— მაშ ქვის ვაჟი ის ვაჟია?!

— ის ვაჟია: მეწისქვილის შვილიშვილი..

(პაუზა.)

არჩიბალდ ხედავს.

მთვარე: ტიტველი დიაცი გალახული.

ტაროების ხვავი: კბილებნაყარი ხვითოები.

ფუჩეჩი: აქაფული სადაფები.

არე—მთვარის ბადეში.

შიგ: ხილვა ლამაზის.

ბადე ინთქება: ლამაზი ჰქრება.

ტაროების ხვავზე მატასი.

ვის უცქერს?! ვის უსმენს?! (თავის თავს ხომ არა?!).

„მაჯა“: ფიქრი არჩიბალდის.

„ალლან“ მთვარეს ულრენს.

მატასი—

ჭიჭკვა სხალი: სუროს არტახებით შეფოთლილი.

სხალთან ხარები. ყველა—შავი: უნიშნო. ალერდს ტკვერავენ ეპიური დაელებით. კუდით ბუზს იგერიებენ.

დიდს ნამორზე ზის არჩიბალდ. ვაზნარს დაჰყურებს.

ვენახი ლუში ტბაა ჯერ კიდევ. შაბიაბანი ფოთლებს აფორაჯებს.

ყურძენს კრეფავენ. მრავალი ქალი და მრავალი ბავში.

მზე გადახრიზეა. ჭიჭინობელა არ ეშვება ჭიჭინს. ხანდახან ჭურის მრეცხელის გუგუნი მოისმის მიწის გულბოყვიდან.

ვაზნარი იშმუშნება: თითქო შიგ ველური ცხოველია რომელიც ლოშქრიანი ტუჩებით მწიფე მტევნებს დონდლავს.

სარზე ცხენის თავია ჩამოცმული: რომ ვაზს თვალი არ ეცეს.

კისკასი. ძახილი. ჩურჩული.

— მატასი!.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაისმის დედის ხმა.

ფოთლებიდან გოგონას თავი გამოჩნდება.

— რა გინდა: დედა?!

— სტუმარს მიხედე..

არჩიბალდს ესმის „ხმა“: სიტყვას ვერ არჩევს.

ისევ ვაზნარს დასცქერის:

მეწამული მადლი მზის. უშრეტი საშო მიწის.

განზე გაიხედავს. მატასი მოდის დარცხვენით. ხელში უჭირავს კალათი: პურის ღეროებისაგან მოწნული. კალათი სავსეა ყურძენით.

ტანი აშოლტილი. თავი დახრილი. თმა ერთ ნაწნავად ჩაშვებული: მკლავის სიმსხო. თმის ფერი: „საირმეს“ მუქი ნისლი. ან და: მუხის სქელი ფოთოლი: მოშავო. თვითონაც—ფოთლები: გადაბელილ მუხაზე ახლად აყრილი ტოტების ფოთლები: ხალასი და ცინცხალი.

— მიირთვით!.

გაუწოდებს კალათს.

ისევ ის ხმა: კრიალა ამეთისტი: ახლა შემკრთალი.

— გმადლობთ..

არჩიბალდ გამოართმევს. თვალები ზონავენ გოგონას.

მატასი მორცხვობს. შეკრთება. თავს ამართავს. გამოიხედავს:

თვალები მოშავო. შიგ ლუში ქვა სრიალა.

„მადა“: აგონდება არჩიბალდს. უცქერს „მეტად“.

მატასი უეცრად გატრიალდება. ჭურისთავისკენ მიდის. არჩიბალდ თვალს გააყოლებს. ვისა ჰგავს?! დიდი თამარის წამწამები აქვს—(ასე წყობილი წამწამები მარტო საქართველოშია). მაგრამ თამარის ცქერა ნელია. აქ კი ატეხაა უცხო. ვის აგონებს?! ჰო: ირაჰშანდას. მაგრამ ირაჰშანდას თვალებში სევდაა შორეული. აქ სიხალისეა კრიალა. ირაჰშანდაში მთვარე თუ დადნა. მატასის ტანზე მზე თუ იწვის.

ისევ აქეთ მოდის. თეფში მოაქვს.

— ამაზე დაალაგეთ..

— გმადლობთ..

არჩიბალდ მტევნებს ამოალაგებს.

— ამ ყურძენის სახელი?!

— რქაწითელი..

— ამ ყურძენის?!

— ციცქა..

— ამის?!

— კრახუნა..

არჩიბალდ ხან მატასის უცქერს და ხან მტევნებს.

— რა კარგი მტევნებია!.

— წელს კიდო არ არი კარქი..

მატასი ალარ მორცხვობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ უკეთესი მოდის?!

— უკეთესი..

მატასის ხმა ეხლა გაბედულია.

გაიხედავს: მოდის ვამეხ. მატასი მსწრაფლ ვენახს მიბრუნებს—(შერცხვა?!).

— ჰაა: ვამეხ!.

— მატასიმ მოგართვათ?!

— დიახ.. რა ლამაზი დაჰ გყავთ: ვამეხ!.

— ჩემი დაჰ თქვენი დაჰც არის..

ვამეხ ილიმება. არჩიბალდ გზნობს უცდელ სიამეს. შემდეგ—რაღაც აგონდება. კრთომა ემჩნევა. კიდევ სხვა რამ აგონდება. ეხლა სიჩქარით:

— ვამეხ: აი ათასი მანეთი.. გაგზავნეთ სალომე სანატორიაში..

— სიამით.. ჰოო.. რა გაუხარდება საწყალს!.

— ჯერჯერობით ეს იყოს..

პაუზა.

— ვამეხ! ვამეხ!

გაისმის ხმა სარიდანის.

— აქა ვარ ბაბუა.. ეხლავ მოვალ..

ვამეხ მიდის, არჩიბალდ ისევ ვენახს გადახედავს. იქ მატასი იმალება ფოთლებში. „თქვენი დაჰც არის“. დაჰ არის მართლა?! არა. ეგების ქალია: გულში რომ შეიჭრება?! არა. ეგებ მეგობარი?! არა. არც დაჰ—არც სატრფო—არც მეგობარი. და იმავე დროს: დაჰც—სატრფოც—მეგობარიც. უნდა მოინახოს სხვა სიტყვა და სხვა სახელი. ეგებ იფიგენია?!

ისევ მატასი სჩნდება. ავსილი კალათი ჭურის თავისკენ მიაქვს.

არჩიბალდ გაუდგება. დაეწევა.

— მე წამოვიღებ კალათს..

— არა: მე თითონ..

— უარს მეუბნებით?!

არჩიბალდ ილიმება. მატასის სიქუშე ეხსნება. დარბილებით:

— წაიღეთ..

მატასი წინ გარბის. არჩიბალდს კალათი მიაქვს.

მიდის საწნეხელთან. ჩაჰყრის ყურძენს.

მატასის ხაპი უჭირავს ხელში: „ტკბილით“ სავსე.

— მიირთვით..

ხმაში უცხო ხმაა..

— გმადლობთ..

— ახალი დაწურულია.. ტკბილია..

— გმადლობთ..

გამოართმევს და შესვამს. ეხლა არჩიბალდ თვითონ ავსებს ხაპს.

— ეხლა თქვენ დალიეთ..

— მე ბევრი ვსვი..

— მე რომ გთხოვოთ..

მატასი ხაპს ართმევს. სვამს. თვალებზე ნისლი გადაეფარებინს: ლუში ქვა ფართოვდება და სველდება. მატასი მოსწყდება. გარბის ვენახში.

არჩიბალდ განზე მიდის.

ჰოო: ეხლა მოაგონდა. დიდი კარდუ და წმ. ნინოს კულტი. მატასი ნინოს ჰგავს უფრო. ლურჯთვალა ქალწული: სავსე ქალობით. შეყვარებული ივერიაზე: მის მიწაზე და ვენახზე. ვაზის ნასხლეტიდან ჯვარს ჭრის. ვაზს ცრემლები მოსდის—(სიხარულით?!). ცრემლებს თმებით შეუშრობს. ლერწებს თმები იამებათ. ნაწნავს მოიკვეცს და მოახვევს ლერწებს. მატასი—ნინოა. თუ დახატა მატასი —ნინო იქნება.

გაიხედავს. კიდევ მატასი. ეხლა—დედის გვერდით.

დედის სიმაღლეა. ალერსით უცქერს დედას.

რად არ იცინის დედა?! ან ღიმილი რად არ გადაჰკრავს მის სახეს?! ან რად სდუმს მუდამ?! ქართული ხატი მარიამის ასეთია.

არჩიბალდს შორეული ფიქრი მოიცავს:

ეგებ ესეც სიყვარულით იგონებდეს გადახვეწილს—(მამას?!).

არჩიბალდ ფიქრს ჰკლავს.

მიდის ძელქვებისაკენ. იქ მოხუცი სარიდანია. იქვეა ვამეხ.

— მაშ ხვალ მიხვალთ?!

მოხუცის ხმაში ტკივილია.

— ხვალ უნდა წავიდეთ..

მიუგებს ვამეხ.

— გული რაცხას მეუბნება..

— რას?!

— ტანიც ცუდსა გრძნობს..

— რას?!

— რომ ველარ გნახო..

— ბაბუა!? სარიდან ბაბუა!?

— ჰო შვილო..

— არა.. არა., ბაბუა სარიდან.. შენი დღე გრძელია..

— გძელსაც ბოლო აქვს..

არჩიბალდ ძელქვებიდან მიდამოს გადახედავს. ვინ არ ყოფილა აქ?! ვი არ იქნება კიდევ?! მამავ!. სადა ხარ?! მამავ?!

— არა ბაბუა სარიდან.. კიდევ მნახავ..

— მოვხუცდი შვილო,. მოვილუნე..

— არა: ჯერ კიდევ მარჯვედ ხარ,. აბა დამეტოლე..

სარიდან ყოყმანობს. იცინის. ვამეხ არ ეშვება. სარიდან წამოდგება. ვამეხ გაეტოლება.

— ხომ ხედავ ბაბუა: მოლუნვა არ გეტყობა..

— ხალისიანი ხარ.. იყავი კარქად: შვილო..

სარიდან თვითონაც ხალისდება.

არჩიბალდ ტკივილსა გრძნობს. ხვალ უნდა მოსცილდეს ამ არეს. ნახავს კიდევ?! რა ნელია აქ მზე!. როცა ჩაიყვინება—მისი მეწამული თვალი „საირმეში" გარჩება. „საირმე" ლურჯია და ბასში გარჩენილ მზის თვალს მეწამული გუგა ლუშ ქვად ექცევა. ეს თვალი—(ლურჯი შუქი)—გავაზისაა. გავაზის თვალი გაჰყურებს ფერსათის მთებიდან: რიონის ველს—ყვირილის ჭალებს—ხანისწყალის ხევს. ეს არე ეგების გავაზის თვალია თვითონ?!

არჩიბალდ ეშინია: უკანასკნელად არ ხედავდეს ამ თვალს.

რა კარგია: რომ ვამეხ მასთან ერთად მიდის.

. . .

ნიგვზების ქვეშ სალამოა.

— როგორ იყო ბაბუა სარიდან?!

— ასე მოხდა შვილო.. მაშინ..

და მოხუცი ნელი ხმით იწყებს თხრობას.

გაათავებს მოხუცი და კვლავ ეკითხება ვამეხს:

— მაშ წასვლას არ იშლით?!

— უნდა წავიდეთ ბაბუა სარიდან..

საიდგანაც მატასი გამოჩნდება.

— მატასი! შვილო! ხვალ მიდიან..

ეუბნება მოხუცი.

მატასი ილეწება:

— დარჩით კიდო ერთი დღე..

უცქერს არჩიბალდს.

— არ შეგვიძლია..

— მე რო გთხოვთ?!

მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა.

— ჰოო: მაშინ უარი ძნელია..

არჩიბალდ სიხარულს ველარ მალავს.

ვერც სარიდან. ვერც ვამეხ. მატასის სიხარულს დარცხვენა ფარავს.

ვამეხ აიყვანს უეცრად ხელში მატასის.

მატასი წვივებზე კაბას ისწორებს.

თვალები არჩიბალდს უცქერენ.

. . .

ზეგ ამ თვალებზე არჩიბალდ ორ ცრემლს დაინახავს. მორიდებით. განზეკუთხეში.

(ბოლო მეათორმეტე თავის. გაგრძელება იქნება)

ვ. გალაქტიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამნი

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი პირველი.

I.

რეზო ნამიანიძის ოჯახური ცხოვრება ყოველთვის ერთგვარის წესის მიხედვით მიმდინარეობდა: დღის რვა საათზე ჩაი, თერთმეტის ნახევარზე საუზმე, სამ საათზე სადილი, ხუთის ნახევარზე ეტლით გასეირნება, რვა-ცხრა საათზე საქველმოქმედო კომისიის სხდომაზე დასწრება და ასე ბოლომდის. ძვირად თუ მოხდებოდა ამ წესის დარღვევა.

გასეირნება ამინდის ავკარგიანობაზე იყო დამოკიდებული: ცუდ ამინდში გასეირნება არ მოხდებოდა და რეზოს მეუღლე—ევა, სხვა რამით ჰკლავდა დროს: მუსიკის დაკვრით, რომანის კითხვით, დარბაზობით.

დღეს კარგი ამინდი იყო და ევაც სასეირნოთ გამოსულიყო. ჩვეულებრივ, ამ დროს რეზოც მის გვერდით იჯდა ეტლში და, მსუბუქ ჯოხზე ოდნავად დაყრდნობილი, შეკავებულის ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს; მაგრამ დღეს რეზომ ბანკიდან ტელეფონით დაიძახა, რომ „დიდი ამბავის გამო", რანდენიმე საათს დაიგვიანებდა და ამიტომ ევას უმისოდ შეეძლო მიერთმია სადილი. ევა ამაყად იჯდა ეტლში და, სავსე გულმკერდ გამოშვერილი, სირაქლემას ფრთით შემკულის თავსახურავით, ქოლგის ტარზე ხელებ დაბჯენილი, ელვის სისწრაფით მიექანებოდა ქალაქ-გარეთ.

გიშერივით შავი და უგრძელესი წვერების პატრონი მეეტლე ჩამოსხმულივით იჯდა ეტლის კოფოზე და ხმის ამოუღებლად მიერეკებოდა გაწრთვნილ შავ ბედაურებს. ფაფარაყრილი ცხენები შეწყობილად სცემდენ ფეხებს და მედიდურად მიაქანებდენ კუპრივით შავ ეტლს.

რეზოს მეეტლე მუმიად ქცეულ ასირიელ მოგვს გამონებდათ: გაქვავებული პირისახით, შავი თვალ-წარბით და ოთხკუთხად შეჭრილის შავი წვერებით. სურათის მთლიანობას ამთავრებდენ მოშავო ტუჩები და ცეცხლის მკვესავი, შავწამწმებიანი, ჭეშმარიტად აფრიკული თვალები.

ეს მეეტლე საგანგებოდ ჰყავდა რეზოს დაქირავებული და მით მთელ

ქალაქში თავიც მოსწონდა: შავი ეტლი, შავი ცხენები და ზედ ანტიურ ასირიელი მოგვი—სწორეთ რომ ორიგინალური იყო!

ეტლისა და მეეტლის სილამაზეს აგვირგვინებდა მშვენიერი ევა, თავისი მომხიბლავის ქალით—სოფოთი. რეზოც ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა, წაბლისფერ თმა-წვერიანი, გაშლილის შუბლით, მოხდენილის მიმოხვრით და ამაყის გამომეტყველებით.

დღეს ევა მარტო იყო. ის ნელის ღიმილით და თითქმის შეუმჩნევლად თავის დახვრით ესალმებოდა ნაცნობებს.

საღამო იყო, მაგრამ მარტის მზე მაინც საკმაოდ ათბობდა ჰაერს და ახლად გაპარული ზამთრის სიცივე არც ისე საგრძნობი იყო: გაზაფხულის სულისთქმა ყველაფერს ემჩნეოდა. ქალაქ-გარეედ მდებარე მიდამოები უკვე ამწნებას აპირებდენ, ბუნება ხელახლა იღვიძებდა და ადამიანსაც თან იყოლიებდა.

ევა მშვენიერ გუნებაზე იყო და სულითა და გულით უნდოდა ისეთი ნაცნობის შეხვედრა, რომელიც მის სულიერ განწყობილებას შეეფერებოდა.

გან შეამჩნია, რომ ქალაქის ქუჩებში ჩვეულებრივზე მეტი ფუსფუსი იყო: აქა-იქ მოქალაქეთა ჯგუფები იდგენ და გაზეთებს კითხულობდენ, რაღაცაზე მსჯელობდენ. ბავშები გიჟებივით დარბოდენ და „დეპეშა, დეპეშა“ გაჰკიოდენ.

— თუ რამ საყურადღებო ყოფილიყო, ჩემს ყურამდისაც მოაღწევდა, რეზო ტელეფონით დამიძახებდაო,—გაიფიქრა მან.

შავი რაშები მწყობრად სცემდენ ფეხებს, ანტიური მეეტლე შეუმჩნევლად არხევდა გრძელ აღვირს და მარტის მზის სხივები უკანასკნელად ჰკოცნიდენ ევას თავსახურავში ჩარჭობილ სირაქლემას ჰაერში მოქანავე ფრთას.

— ევა,—მოესმა მას, როცა უკან დაბრუნებულმა ქალაქის მთავარ ქუჩამდის მიაღწია. მოხედვაც კი ვერ მოასწრო, რომ გაქანებულ ეტლში შეუხტა ოცდაოთხ წლის ყმაწვილი,—პოეტი, პიერი.

— ხომ არ შეიშალე, ადამიანო, რას სჩადიხართ!!—მიაძახა ყმაწვილს ხეზე წამოჭრილმა ევამ.

— გავგიჟდი, მაშ! შევიშალე! შევიშალე!

— რაშია საქმე? რა მოგვიდა?—შეეკითხა ევა.

— რევოლიუცია, ევა, რევოლიუცია!.. მთავრობა ჩამოაგდეს!.. დროებითი მთავრობა!.. ჩხეიძე... კერენსკი... სკობელევი!..

— პეტუშა, ნუ იცი ასეთი ხუმრობა!..

— არ გჯერა?!. ხა... ხა... ხა!.. აი, წაიკითხე!—მიაძახა პეტუშამ და დეპეშები პირში ჩასჩარა.

ევამ დაიწყო დეპეშების კითხვა, მაგრამ ეტლის მოძრაობა უშლიდა.

— ასირიელ, ეტლი ნელა, ქალბატონი კითხულობს!..

მეეტლემ შეუმჩნევლად მოსწია აღვირებს და გაქაფული ცხენებიც, თითქოს მიწაში ჩაერჭვენო, უცებ შეჩერდენ.

— რა ამბებია, რა ამბებით—ცმუკვით ამბობდა პიერი და მოუთმენლად ელოდა—როდის დაასრულებდა ევა კითხვას.

— რას შვრები ადამიანო? გაზეპირებას ხომ არ აპირებ?

— ასე მგონია სიზმარში ვარ! ნუთუ ყოველივე ეს დასაჯერებელია? სთქვა სთქვა გაკვირვებულმა ევამ.

— შენ თუ არ გჯერა, აი, იმ ხალხს ხომ დაუჯერებია!—უთხრა პიერმა და ხელი გაიშვირა იქით, საითაც აუარებელი ხალხი ბობოქრებდა.

ევა გაკვირდა: მან დაინახა ადამიანთა გროვა, რომელიც ალრფთოვანებით ირეოდა წითელი დროშის გარშემო. სულის თქმა შეუჩერდა და გაქვავდა.

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,"—ალმოხდა უცებ ამ ხალხს და სასიხარულო გუგუნი მთელ მიდამოს მოედო. ამღერდა ყოველივე, ამტყველდა არემარე... ცეცხლი მოედო იქაურობას, ცეცხლი განწმენდისა და აღტაცებისა, ცეცხლი ხსნისა და განახლების!..

— ნუთუ ეს სიმართლეა?.. სიზმარია, თუ ცხადი?—ჩურჩულებდა პიერის მკლავში ხელჩაკიდებული ევა. აზვირთებული ხალხი ვებერთელა ტალღასავით მოგორავდა, მისი გუგუნი ქრუანტელს ჰგვრიდა იქაურობას. წითელი დროშა იალქანივით ქანაობდა.

ასირიელი მოგვი—მეეტლე, ზევიდან რომ შავ რაშებს დაჰყურებდა, სფინქსივით მისჩერებოდა აზღვავებულ ადამიანებს და გონება დაბნეულს შინ წასვლა ვერ მოეფიქრებინა.

ყოველ ქუჩიდან გამოდიოდენ ახალ-ახალი ჯგუფები. თითქმის ყველა ჯგუფს წინ მოუძღოდა წითელი დროშა: უბრალო სარზე წამოცმული სადა წითელი ქსოვილი,—ზოგან დიდი, ზოგან პატარა...

— გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!.. ესალმებოდენ ერთმანეთს.

აივნები სავსე იყო დიდებით, პატარებით, ქალებით, კაცებით... სიცილი, სალამი, ტაში, ვაშა, ჰაეროვანი კოცნა!..

არსად წესრიგი არ ირღვეოდა, ყველანი მწყობრად მიეშურებოდენ ქალაქის მოედნისაკენ, სადაც მიტინგი უნდა გამართულიყო.

პოლიციელები სადღაც მიმალულიყვნენ; თუ სადმე თითო-ოროლა ობლად გამოჩნდებოდა, სულელურად იღიმებოდენ და ყველას თავს უკრავდენ,—სულ ერთია, იცნობდენ, თუ არა, საჭირო იყო, თუ არა.

ვინ იცის, რა ბოლმას ჰფარავდა მათი ნაძალადევი ღიმილი!

ორიოდე წამის განმავლობაში ქალაქის მთავარი ქუჩა ხალხით გაიჭედა, მოზღვავებულ ბრბოს არც დასაწყისი უჩანდა და არც დასასრული. ჩქარი სიარული შენელდა, ადამიანებს შორის მანძილი უკვე არ არის, ყველანი ერთი მეორეზე არიან მიჭედილნი.

ძნელად თუ ვინმე შესძლებს შეჯგუფულ ხალხიდან საკუთარი თავის გამოგლეჯას. ხელფეხ შეკრული ხარ და საკუთარ ნების ყოფას მოკლებული. შენი სურვილის წინააღმდეგ სადღაც მიჰყავხარ აბობოქრებული ბრბოს ტალღას. ყრუ გუგუნით შედუღებულა რაღაც ზღაპრული ახალი სხეული, რომელიც ვებერთელა ვეშაპის მსგავსად ზარმაცად მიიხლანზება და თან მიაქვს კერძო ადამიანის პირადი ვე, საკუთარი ნებისყოფა. შენ სხვის სურვზე ხარ მიჭდობილი, შენს

სხეულს კიდევ სხვისი მოჰკვრია. შენი ფეხი სხვასთან ერთად მიაბიჯებს, შენი ხელები სხვისას გადაჰგრეხია. ირგვლივ ერთი მოძრაობაა, ერთი აზრი, ერთი გრძნობა და მისწრაფება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II.

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გუგუნებს ბრბო.

ევაცა და პიერიც ამ ტალღაში არიან ჩაქსოვილი, მათი სხეულიც ერთი მეორეს მისტყუპებია და, სხვებთან ერთად, ისინიც სადღაც მიდიან.

— სუუ... ვიღაც ლაპარაკობს! — გაისმა ხალხში და ბრბოც შეეცადა შეჩერებულიყო.

სიტყვები გარკვეულად ისმოდა, აშკარა იყო, რომ ორატორი ახლო იყო. ევამ მოინდომა პიერს დაჰყრდომოდა და ზევით აწეულიყო.

— გუბერნატორის სახლის წინა ვართ. მომითმინეთ, ეს ვინ ლაპარაკობს? ამბობდა პიერის მხარზე დაყრდნობილი ევა.

— აა, ეგ ჩვენი გიგოა, ჩვენი გიგო!

— რომელი გიგო? ხიათაშვილი? იკითხა პიერმა, რომელიც ყანჩასავით იგრძელებდა კისერს, მაგრამ ვერავინ დაენახა.

— დიახ, ხიათაშვილი...

ორატორი დახელოვნებული მოლაპარაკე იყო; მისი სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა მაყურებელსაც ამოქმედებდა, და როცა იგი გამწარებით წყევლა-კრულვას უთვლიდა ხალხის მტრებს, მსმენელებიც სიზლით იმსჭვალებოდენ და მთელი თავის არსებით ამოიგმინებდენ:

— წყევა და კრულვა, ზიზღი და შეჩვენება!..

გუბერნატორის სახლის წინ ასეთი ამბებია და ის კი არსად სჩანს! არ სჩანან არც მისი მცველები, არც ჯარი, არც პოლიცია.

სად გაჰქრენ? რა მოუვიდათ! ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ?..

პირველი ორატორი მეორემ შესცვალა, მეორე მესამემ, მეოთხე მეხუთემ ხალხის ყიჟინი ზეცას წვდება, კარმიდამო მთვრალია საერთო სიხარულითა და აღტაცებით.

გუბერნატორის ორსართულიანი სახლი კი ჩაფიქრებულია, ხმას არ იღებს: ფანჯრები დაკეტილია, კარები დახშული.

დარბაზის სილრმეში რაღაც ფერმკრთალი და უსიცოცხლო სინათლე გამოსჩანს... თითქოს „მკვდრის მზე" ანათებსო,—სიკვდილის ელფერიანი, ჯურღმულიდან ამონაშუქი...

გუშინ ამ დროს აქ ყველაფერი გაჩირაღდნებული იყო... სინათლე, უკმეხობა, ძალა, კადნიერება... გაშლილ აივნიდან მძლეთა მძლე გუბერნატორი არწივივით გამოიყურებოდა. მისი უკმეხი სახე თავზარსა სცემდა ქვეშევრდომთ, მისი გამოხედვა ძლიერების ცეცხლის ფრქვევა იყო.

დღეს კი.. ყველაფერი თალხებში მორთულა და ამ ზვიად სახლს თავი ჩაუქინდრავს, სოდომივით ჩაფიქრებულა.

სანთელი თითქოს სამარის სილრმიდან ანათებს იქაურობას.

— ჯარი არ ჰყავდეს გამოწვეული, პოლიციელები არ შემოგვისიოს.

— ვერ გაბედავს!

— მერე და, ჯარი ასე დაუჯერებს? სწორეთ ჯარის ღალატმა დაამხო მაგათი ტახტი—ჩურჩულებდენ ერთმანეთში, თუმც ბევრს გულში შიში მაინც ჰქონდა: ვინ დაიჯერებდა აგრე მოულოდნელად მონობის—ბორკილების ახსნას?

— გზა მიეცით, გზა, გზა! გაისმა უცებ და ამ გაჭედილ ხალხში ვიღაც მხედარი შურდულივით შემოიჭრა.

ხალხმაც გზა უტია, მსწრაფლ მიიფანტ-მოიფანტა...

და მხედარიც თვალის დახამხამების ხანს გაჩნდა ტრიბუნასთან...

ერთ წერტილზე მიისრული გამოხედვა, გამსჭვალავი თვალები, მოკუმულ ტუჩები...

ცეცხლი, ცეცხლი!..

ხალხმა გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრო, რომ მოხდენილი მხედარი ამოწვდილის ხმლით საპატიო დარაჯად დაუდგა საორატორო ტრიბუნას...

უცებ დაუსრულებულმა ტაშმა იგრიალა და "გაუმარჯოს" ყიჟინა დიდხანს გაისმოდა ქუჩიდან ქუჩამდე.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!..

— ვაშაააა!.. ვაშაააა!..

— ჯარი, ჯარი მოდის! გაისმა უცებ და მთელი ხალხი თოფნაკრავივით შეტორტმანდა.

სულის თქმა შეჩერდა, მოქმედების უნარი შეწყდა. ჯარი მწყობრად მოდის, მკაცრად მოისმის ფეხების ხმა. მოჭრილი ნაბიჯი, ნების-ყოფა, ერთ სხეულად ქცევა... ხიშტებიანი თოფები... შეკრული სახეები... მოკუმული ტუჩები... შეწებებული წარბები...

რა უნდა ამ ჯარს, რისთვის მოდის? სისხლისთვის თუ ამბორისთვის? ვინ გამოიწვია იგი: მტერმა, თუ მოყვარემ?

შიში, სიხარული, იმედი, უიმედობა,—ყოველივე ერთმანეთში აირია და საშინელის ძალით დატრიალდა მოზღვავებულ ბრბოში.

რამდენიმე ასეული ჯარის კაცი, რომელთა წინაშძღოლად წამოსულიყო კენტავრივით შემოჭრილი აფიცერი, მსწრაფლად შემოვიდა ხალხში და, ბრძანების თანახმად, შესაფერის ცერემონიალის დაცვით მწყობრად გაჩერდა ტრიბუნის წინაშე...

გაქავავებული სახეები, ქანდაკების გამოხედვა, თოფებზე მიყინული ხელები...

ტაშის ქუხილი, დაუსრულებელი ყიჟინა, ბედნიერების ცრემლები, აღმაფრენის ამოძახილი...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

— ვაშაა! ვაშა!..

ცხვირსახოცების ქნევა... ნეტარების ცრემლები... ქუჩათა გუგუნი... დროშების ფრიალი...

გუბერნატორის სახლი კი ისევ სოდომივით გამოიყურება. დარბაზის სილ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რმეში ანთებული ლამპარი ისე ანათებს, თითქოს სამარის ფსკერზე იყოს დადგმული.

III.

ევა გრძნობებ-აფორიაქებული დაბრუნდა შინ. დღევანდელმა ამბებმა სრულიად მოულოდნელად ბურუსში გახვია ის და ერთიანად აუბნია გზა-კვალი. ერთს წამს მას უნდოდა მხიარულება და სიცილი, სწადდა სხვებთან ერთად საერთო ზეიმს მისცემოდა, დამთვრალიყო საყოველთაო ბედნიერებით და თავდავიწყებით ეყვირა: გაუმარჯოს, გაუმარჯოსო!

მაგრამ სრულიად მოულოდნელად რაღაც სხვა გრძნობამაც წამოჰყო თავი და... ევას აღფრთოვანებაც ელფერს ჰკარგავდა, ნაძალადევი ხდებოდა.

პიერიც თან მოჰყვა. პოეტი ისე იყო აღტაცებული, რომ გაფრენას აპირებდა, ბავშვივით კისკისებდა.

— დედილო, დედილო!—მიაფრთხიალა ევას სოფომ, ოომელიც რამოდენიმე წუთით ადრე მოსულიყო,—რა ამბებია! გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს!..

სოფო ციბრუტივით ტრიალებდა, მის ჭყლოპინს დასასრული არ ჰქონდა. შუშანიკაც შინ იყო, ისიც სოფოსავით იყო აღტაცებული და გიჟივით გაჰკიოდა:

— მონობა მოისპო, განთავისუფლდა მშრომელი ხალხი! ძირს ბორკილები, გაუმარჯოს მშრომელებს, გაუმარჯოს ჩაგრულებს!..

— ოოჰ, ჩვენს შუშანიკას სულ მშრომელი ახსოვს! თითქოს სხვას არ ეამება თავისუფლება!—შენიშნა პიერმა.

— უკაცრავად შენთან, პოეტო! ზეეროვნულო, ზეკლასიურო, ზებუნებრივო! ხა... ხა.. ხა!.. შენთვის ხომ მნიშვნელობა არა აქვს ხალხთა პოლიტიკურ ორგანიზაციის შეცვლას!.. თავი და ბოლო სულია, თა ..ვი...სუფალი სული... ხა... ხა... ხა!..

— მოგესალმები მშრომელთა პოეტების თაყვანისმცემელო! ქედს ვიხრი მათი ოფლიანი მუზის წინაშე! ვალიარებ, რომ ეს რევოლიუცია მათმა ქნარმა მოახდინა! რვა საათის სამუშაო დღეზე დაწერილმა ლექსებმა, ზრდილობიან მოპყრობის პრინციპზე აგებულმა, ხელფასის მომატების ჰანგზე ანაჟღერმა!.

ქალიშვილებს ერთობ უკბილოთ ეჩვენათ პიერის ნათქვამი და სიცილი დააყარეს, ესეც არ აკმარეს: წამოავლეს ხელი და კინაღამ ტანისამოსი დააგლიჯეს.

— რას შვებით, თქვე, კუდიანებო, თქვენა! —ყვიროდა პიერი.

— არისტოკრატიის მომღერალო, თეთრხელებიანის პოეტო! უტვინო ბრბო, შეუგნებელო ჯოგ, რომ იძახდი!

— დემოკრატია ბილწავს ყოველივეს, არა? ახლა რას იტყვი ნიცშეს თუ-თიყუშო?

— კარგის მომქმედს კარგი გამგონე უნდა!

— კორდელის მუზაც რვა საათიანია? მიაძახა სოფომ, — ახლაც ჩტყვი მაგ სისულელეს?, შე დეკადენტო, სიმბოლისტო, სატანისტო!

ევა თავისთვის იყო და ახალგაზდების კამათში მონაწილეობას ეღებდა. მას მხოლოდ ერთი სიტყვა მოხვდა გულში ახალგაზდების ლაპარაკიდან, ეს იყო პოეტის კორდელის ხსენება. აგერ ერთი წელიწადი გადის, რომ განუწყვეტლივ ესმის ამ პოეტის სახელი და ერთობ არ მოსწონს ეს გარემოება.

კორდელის სახელს სხვაზე უფრო ხშირად მისი ქალი სოფო ახსენებს. სოფოს გაგიჟებით უყვარს კორდელის ლექსები და თითქმის მთელი მისი კრებული ზეპირად იცის. ბევრი ეცადა ევა დაეკვიწყებინა სოფოსათვის ეს პოეტი, მაგრამ ვერას გახდა.

— ეს სულ შუშანიკას ბრალიაო,—ფიქრობდა ევა.

სოფო ხშირად გულშიც-კი იკრავდა კორდელის ლექსებს, ხშირად ლოგინშიაც კი ჩაჰყოლია და დილაზე საბანში უკითხავს ეს საყვარელი წიგნი.

— ახ, ჩემი კორდელი, ჩემი კორდელი,—წამოიძახებდა სოფო და ცოცხალ არსებასავით იხუტებდა გულში სათაყვანო პოეტის ლექსებს.

კიდევ კარგა ხანი გაგრძელდა ახალხაზდების ჭყლოპინი; ბოლოს ვიღაცამ კარებს დაურახუნა.

— ვინ ბძანდებით? მამა ხარ?.. უი, შენ კი გენაცვალე, მამა! მომილოცავს, მომილოცავს!... მიაჭიკჭიკა სოფომ და რეზოს თვალები დაუკოცნა.

— სწორეთ რომ სასიხარულო ამბებია, სწორეთ,—ამბობდა სიცივისაგან ყურებ დაწითლებული რეზო და თან პალტოს იხდიდა,.—ოო, პიერ, შენც აქა ხარ? გამარჯობა! აბა, ერთი შენებურად ლექსი გაახურე ამ ამბების გამო!

— რად დაიგვიანე ამდენი?—შეეკითხა ევა, როცა რეზო უკვე ზალაში იყო და, სავარძლის ზურგზე მიწოლილი, თმას ივარცხნიდა.

— ოო, ნუ მკითხავთ, თქვენი ჭირიმე! მე ფრიად მნიშვნელოვან კრებაზე ვიყავი! არ გაგიგონიათ აღმასრულებელი კომიტეტი? აი, მე ამ კომიტეტის არჩევაზე ვიყავი. ეს რევოლიუციის ორგანოაო, ასე სთქვეს.

— მერე, მერე?.. გაისმა მოუთმენელი შეკითხვები.

— მოხდა ამ კომიტეტის არჩევნები. მთავრობის მაგიერი იქნება. გუბერნატორი რომ გადააყენეს და დაატუსაღეს, ხომ იცით?

— ვიცით, ვიცით!

რეზოს ყველანი გარს შემოერტყენ და წამდაუწუმ ეკითხებოდენ: ვინ აირჩიეს? ნეტავი თუ ჩამოახრჩობენ გუბერნატორს? რას უზამენ პოლიცმეისტერს?

რეზო ცდილობდა ყველა კითხვებზე პასუხი გაეცა.

— კაცო, ეს სხვა და სხვა პარტიები საიდან გამოძვრენ? ერთი იძახის: მე ნაციონალ—დემოკრატი ვარო, მეორე—სოციალდემოკრატების სახელით ვლაპარაკობო, ზოგი—ფედერალისტი ვარო, ესერიო და რა ვიცი კიდევ! ყველამ თავისი კაცი მოითხოვა კომიტეტში.

რეზომ ჩამოთვალა ყველანი, ვინც იყვნენ კომიტეტში არჩეული და, სხვათაშორის, დაასახელა თავისი თავიც, „ვაჭარ-მრეწველთა წრემ“ წამომაყენაო.

— ჰო, კინალამ დამავიწყდა,—ამბობდა აჩქარებით რეზო,—იცით ვინ

აირჩიეს კიდევ კომიტეტში? ჩემი ბანკის უბრალო მოსამსახურე ქათამაძე, მოანგარიშის თანაშემწე, რომელიც ამ დღეებში, უცოდინარობის გამო, თეგილიდან უნდა დამეთხოვა. ხა-ხა-ხა! მერე, იცით, რა მედიდურად გადმოხედა? პა! პა!.. პა!.. თურმე სოციალისტი ყოფილა!..

კომიტეტის წევრად არჩეული იყო მუშების მხრივ ერთი ქალიც.

— თითონაც სოციალისტი ყოფილა და ქმარიც სოციალისტი ჰყოლია, სთქვა ამ ქალის შესახებ რეზომ და ირონიით გადახედა მაყურებლებს.

IV

სადილობის დროს სხვებზე მეტს რეზო ლაპარაკობდა.—ახალგაზდების კისკისი იქაურობას აცოცხლებდა, განსაკუთრებით სოფოსი. ევა კი სდუმდა და მხოლოდ ხანდახან უბრალო რეპლიკებს იძლეოდა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ,—ლაპარაკობდა რეზო და თან გემრიელად სჭამდა.—ჩვენ, აღმასრულებელი კომიტეტი ვართ; მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, რა უნდა ავასრულოთ ჩვენ? მეორე: რა იცის სახელმწიფო საქმეების ჩემმა ქათამაძემ და აი, თუ გინდ იმ ქალმა... სოციალისტი რომ ყოფილა! თურმე უბრალო მკერავია, ვილაცა მადამის სახელოსნოში მუშაობს დღიურად.

— როგორ, ქალი რომ არის იმიტომ? ამრეზით იკითხა შუშანიკამ.

— არა, საქმე აქ ქალობა კი არ არის, საქმე სწავლაა,—განაგრძობდა რეზო და თანაც დიდრონ ლუკმებს გზავნიდა მუცლისაკენ. ის არავის არ უყურებდა, დასჩერებოდა თეფშს და გულმოდგინედ ამუშავებულ დანა-ჩანგალს.

— ჩემს ქმარს ბრძნული აზრების გადმოლაგება უყვარს ხოლმე,—გესლიანად შენიშნა ევამ.

— ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო,—სთქვა ცოლის საპასუხოდ რეზომ და განაგრძო:— დიახ, ყველაფრისთვის ცოდნაა საჭირო. თუ უვიც ხალხს ჩაუვარდა ხელში მართვა-გამგეობა, ის მალე მოიტეხს კისერს. განა ქათამაძეები და მკერავი ქალები შესძლებენ ქვეყნის მართვა გამგეობას.

— მაშ, თქვენ არა გწამთ დემოკრატია, მშრომელი ხალხი?—გააწყვეტინა შუშანიკამ.

— აცალეთ დემოკრატიის ვექილს, აცალეთ! სიცილით წარმოსთქვა პიერმა.

— რათა? მე დემოკრატიაც მრწამს, მშრომელი ხალხიც, ყველაფერი, ყველაფერი მრწამს, მაგრამ...

— აკი ვსთქვი, ჩემი ქმარი ბრძნული აზრების სათავეათქო,—კიდევ შენიშნა ევამ.

— ხა... ხა... ხა! რეზოს ყველაფერი სწამს: დემოკრატიაც, მონარქიაც, ანარქიაც!—ხარხარებდა პიერი და თეთრის ხელსაწმენდით ტუჩებს იწმენდდა,—გაუმარჯოს რეზოს! გაუმარჯოს! ასეთი უნდა სიფართოვე სულისა, სისრულე არსებისა!.. ადამიანმა ყოველივე უნდა დაიტიოს თავის „მე"-ში! ექსტრა რეზოს სადღეგრძელო, ექსტრა!

— ბრუდერშაფტ, ბრუდერშაფტ!—და ეიქების დაცლის შემდეგ ტკბილად გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფი ევა, რეზოს სიტყვებმა კიდევ უფრო გააანაწყინეს. ის მზად იყო ქმრისათვი სასაყვედურო სიტყვებით მიემართა, მაგრამ აყალ-მაყალის ატეხა არ უნდოდა.

ან კი რა უნდა გამოსულიყო ევას საყვედურიდან? რეზოს მაინც ვერ გარდაქმნიდა იგი. განა, ერთხელ ჩაუგდია თავისი თავი რეზოს სასაცილო მდგომარეობაში?

— საწყალი ჩვენი გუბერნატორი,—ამბობდა ცოტა ხნის შემდეგ უკვე კუჭდაკმაყოფილებული რეზო, რომელიც სკამის ზურგს გადასწოლოდა და, ფეხიფეხზე გადადებული, ღიმილით შეჰყურებდა ყველას.

რა ლამაზი და მომხიბლავი იყო რეზო ამ დროს! გაშლილი შუბლი, მოცინარე თვალები; კოხტა, ქერა წვერები, მარმარილოს კბილები (ერთგან ოქრო მოუჩანდა), საუცხოვო ევროპიული მორთულობა...

მერე, როგორ უხდებოდა ლაპარაკი, ხელების მოძრაობა! ნამდვილი დენდი იყო! ამიტომაც მოხდა, რომ იგი ასე უსაზღვროდ შეუყვარდა ევას, რომელმაც პირველი ქმარი ერთიანად დაივიწყა.

— საწყალი ჩვენი გუბერნატორი! გუშინდელი ღმერთი, დღეს უბრალო მომაკვდავად გადაიქცა. გუშინ სასახლეში, დღეს ციხეში. ჭეშმარიტად თქმულა: „ამაო ამაოებათა და ყოველივე ამათ არსო“. მკვდარივით მიდიოდა ციხისკენ, ყაბალახში ჩაემალა სახე. თურმე შეიხვეწა: ოღონდ ნუ მომკლავთ და რაც გინდად, ის მიყავითო. ისიც სთქვა: ციხეში მკბენარები დამესევა და რა ექნაო? ცოლს განუცხადებია: მეც მასთან წამიყვანეთო, მაგრამ უარი მიუღია, მეორე საკანში თურმე პოლიცმეისტერი მოათავსეს... ის სათოკე ისა!

რეზო ისე გულგრილად ლაპარაკობდა, თითქოს ყოველდღიური მოვლენა მომხდარიყოს. გუშინ და გუშინწინაც ასე მსჯელობდა, დიდი და პატარა ამბავი მისთვის არ არსებობდა, ყველაფერს ერთის საზომით ზომავდა. დღესაც ეს შეამჩნია ევამ და იყო წამები, როცა პირდაპირ ეზიზღებოდა თავისი ლამაზი და მთელ ქალაქში ცნობილი ქმარი.

ქვეყანა აფორიაქებულია და ყველა ღელავს, ეს კი აგრე აუჩქარებლივ მსჯელობს!

რას მიაწეროს ეს ევამ: რეზოს ეგოიზმს, თუ განუვითარებლობას? ევა თანდათან მოიღუშა და მოდუნდა.

— ევა, ავათ ხომ არა ხარ?—შეეკითხა რეზო.

ევა, პასუხის ნაცვლად, ზეზე წამოდგა და რიიალს მიუჯდა. მარდად შეათამაშა თითები და ყველას გასაკვირად მარსელიეზა დაუკრა.

— სუუუ... ეს რა არის?—შეფრთხიალდა სოფო.

— მოიცა!.. მარსელიეზა,—შეჰყვირა პიერმა და მუსიკის ჰანგებს თითონაც ააყოლა ხმა.

ევა შეუჩერებლივ განაგრძობდა დაკვრას და თავდავიწყებით ჰფანტავდა მომხიბლავ ჰანგებს. სულსა და გულს სდებდა თითეულ ხმაში, მთელი თავისი

არსებით ექსოვებოდა ყოველ ბგერაში. მისდა შეუმჩნეველად ევამ მუსიკას ხმაც ააყოლა. ალტაცებათ ქცეულს, ცრემლები ვერ დაემაგრებინა. [illegible] ჰანგები მომხიბლავად დაფარფატებდენ სახლში; ალმგზნებელმა [illegible] ყველა მოაჯადოვა და აამღერა. ყველაზე ხმა მაღლა პიერი მღეროდა, გრძნობათ ქცეულ შუშანიკას ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა, სოფიკო კი სულგანაბული მისჩერებოდა დედის ხელების მოძრაობას და, სახე გაბრწყინებული, მზად იყო სიცილად გადაქცეულიყო. მხოლოდ რეზო იყო ყოველგვარ მღელვარების გარეშე და მშვიდად უცქეროდა მომღერლებს.

უცებ ევა შედრკა, თითქოს კლავიშების დამსხვრევა უნდაო—ნერვიულად ჩამოკრა თითები და... ცეცხლის მომდები ჰანგიც კვნესით მიაკვდა კედლებს. თავისუფლების ჰიმნი უცებ შესწყდა... ყველამ ამოიგმინა...

ევა კი თოფნაკრავივით შევარდა თავის ოთახში.

ყველანი გაქვავებულნი დარჩნენ, ვერავის ხმის ამოღება ვერ მოეხერხებია.

— სუუ, თქვენი ჭირიმე! ავად არის და, თუ ღმერთი გწამსთ, ნუ იხმაურებთ!—სთქვა რეზომ ტუჩებზე ხელის დადებით.

V

ევა განგმირულივით ჩაიკეცა სავარძელში. უნდოდა ამოეგმინა, ამოეკივლა და თან ამოეტანა ბოღმა გულისა.

მაგრამ ენა ჩაუვარდა, გრძნობათა ჩქერმა შებოჭა, ლამის დაახრჩოს... უსაზღვრო სევდით შეპყრობილი, სავარძელზე გადაესვენა...

რა ქნას, როგორ მოიქცეს? იმხიარულოს, თუ იტიროს? პირქვე დაემხოს, თუ სხვების სიხარულს აჰყვეს? საშინელია ეს კითხვები ევასთვის. მათ პასუხზე დამოკიდებულია მისი ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

— რა მოხდა? რა ამბავია? ეს რა უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე? იმეორებს უთავბოლოდ და ტუჩებს იკბამს. გულის სიღრმეში აქაფებულ გრძნობათა ტალღებში გველივით დასრიალებდა ერთი პატარა ნაკადული. ეს გველი თავაწეული დასისინებდა და შეუბრალოდ შხამავდა ევას... ეს იყო შეურაცყოფილი თავმოყვარეობის გრძნობა...

ევა ნამიაძიბისას მთელი ქალაქი იცნობს და აფასებს. დიდის პატივისცემით ეპყრობიან მისს ცნობილ მეუღლესაც—რეზოს, რომელიც დიდი ბანკის საოთავეში დგას. რეზოს ოჯახი მოწინავე ოჯახად ითვლებოდა. ქონებრივის მდგომარეობითაც თვალ-საჩინო იყო და გონებრივითაც: ევა და რეზო ქალაქის ინტელიგენციის დამამშვენებელი იყვენ. ევას სილამაზე, ინტელიგენტობა, ჭკვიანობა და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად დააფასა ყველამ.

და აი ასეთ პიროვნებას დღეს სრული გარიყვა მოელის; როდესაც მთელი ხალხი აღფრთოვანებული და გახარებულია, როცა მონობის ბორკილი უკვე დაიმსხვრა, - ევა თითქოს გალმა რჩება. ამის აშკარა ნიშნები უკვე არის: აღმასრულებელი კომიტეტის წევრად აურჩევიათ ვიღაც მუშა ქალი,--ერთ-ერთი პარტიის სახელით.

ევა კი არავის მოჰგონებია, ის ევა, რომელიც,—ოხ!.. საშინელებავ!—

რომელიც, ერთ დროს მხურვალე წევრი იყო ამ პარტიის. ახ, ნეტავ არც მოაგონა ევას! რამდენი ტანჯვის წყაროა ეს გული!

რა სიამოვნებით ამოიგლეჯდა ევა ამ მწარე მოგონებებით სავსე გულს და რა ხიზლით გადისვრიდა მას ძაღლების შესაჭმელად, ყვავ-ყორნების საძიძგნად!

დიდხანს იყო ევა ჩაფიქრებული და მწარე სევდით გარემოცული. ასეთი დამცირება და დამდაბლება მას ჯერ არ უგვრძვნია. ეს იყო უჩვეულო და უნახავი ტანჯვა: სირცხვილის და დანაშაულის გრძნობა თავისივე თავის წინაშე, მიწასთან გამასწორებელი სიმტყუვნე.

მოლაპარაკე ორატორთა რიცხვში ევასაც შეეძლო ყოფილიყო: საამისო ნიჭიც შესწევდა, ცოდნაც, უნარიც და საკმაო დამსახურებაც კი. აღმასრულებელ კომიტეტშიც ვილაც ქალი აურჩევიათ; ევა აქაც პირველი ქალი იქნებოდა, რომ არ ეღალატნა თავისავე მისწრაფებისათვის და ძველ გზაზე დარჩენილიყო. ევამ თავისივე ხელით გაითხარა სამარე და ცოცხლად ჩაესვენა შიგ.

ვან მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ მის წინ ვებერთელა კედლის სარკე იყო ამართული და მისი სხეულიც ერთიანად მოსჩანდა შიგ. საკუთარი სახის დანახვამ შეაკრთო: შერცხვა თავისივე თავის: ასე წარმოუდგა, თითქოს ვინმე მოწმე აღმოუჩნდა იმის მალულს სულიერ ტანჯვის, და მისი სინიდისის საიდუმლო ქეჯნაც ვილაც გარეშეთათვის აშკარა შეიქნა. თავისივე აჩრდილმა გაიწითლა და უცებ ზეზე წამოდგა. გრძნობდა, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა და აივანს მიაშურა.

გრილმა ჰაერმა გამოაცოცხლა, ენერგი შეჰმატა და შავ ფიქრებს კალაპოტი შეუცვალა.

ევა ხედავდა, რომ რაღაც მიუწვდომელი და განუზომელი ამბები იწყებოდა, რომ მის თვალწინ საშინელის ძალით ამოძრავდა ისტორიის ვებერთელა ბორბალი, რომლის ქლაკვნა და ხმაური ზეცას სწვდება და მთელ ქვეყანას აზანზარებს. „რა იქნება? ვინ მოზომავს ამ ბუმბერაზულ ტალღათა ტლაშუნს?“ — ფიქრობდა იგი და სწუხდა, რომ ღამეა და არ შეიძლება ახალი გაზეთის წაკითხვა.

ამ წუთს ევას გონება ნათელი იყო. იგი იქცა ძველ ევად, რომელიც ერთ დროს სულ სხვა გზით მიდიოდა და სულ სხვაგვარი იდეალებით იყო გატაცებული.

ოთახში შემობრუნების შემდეგ ევა უფრო დაწყნარებულად გრძნობდა თავს.

მაგრამ ჩაწვა თუ არა ლოგინში, ისევ ეწვია წინანდელი კაეშანი. მას აგონდება აწმყო, წარსული და... გულის ცემაც მატულობს, სულის თქმაც თანდათან უძნელდება. ცდილობს შორს გადიხედოს გონების თვალით და არ აიშალოს ჩაფერფლილი მწვავე გრძნობები, გულის დამსერი მოგონებანი. და რეზოს გარშემო ატრიალებს თავის ოცნებებს. ქმრის დღევანდელი ლაპარაკი და უჭკუო გულგრილობა ბრაზსა გვრის. გამოყეყეჩებულად ეჩვენება, უტვინო ფილისტერად ეხატება, უვიც ეგოისტად უდგება იგი თვალწინ.

ამდენი ხანია რეზოსთან სცხოვრობს, ეყვარს კიდეც და ასე უბროდ და ცოცხალ ლეშად არასოდეს არ მოსჩვენებია ქმარი.

— რამდენად უფრო მეტს აკვირდება დღევანდელ რეზოს, — იმდენად უფრო იმსჭვალება მისდამი ზიზღით.

ევას თვალწინ უდგება სრულიად მშვიდი, წყნარი და ლამაზი ადამიანი, რომელსაც გარდა ხორციელი სილამაზისა არა გააჩნია რა, რომელიც უტვინო ღრეჭით ლაპარაკობს ასეთ დიად მოვლენაზე; თანაც დიდ ლუკმებს იტენის პირში და გემრიელად იტლეკს ლამაზ ტუჩებს.

— ფუ რა საზიზღრობაა! — წამოიძახა ევამ.

— როგორ შეხვდებოდა შალვა ამ ამბავს? ნუ თუ აგრე უტვინოდ და უსულ-გულოდ?! — ელვის სისწრაფით გაიკლაკნა ეს აზრი ევას არსებაში და...

მსწრაფლ მოაგონდა პირველი ქმარი, შალვა ღრუბელიანი... წამსვე გარდაეშალა ძველი ცხოვრების ჩაფერფლილი რვეული... ერთიანად შეიპყრო სირცხვილის საშინელმა გრძნობამ, თითქოს დასწვა კიდევაც მისმა ალმა. და ლოგინში მორგოლილი, მთელის თავის ძალღონით ჩააწვა ტახტს — თითქოს უნდა ჩასტეხოს იგი, ჩაანგრიოს იატაკი და ქვესკნელში ჩაიფლოსო...

...ეფიცებოდა: „მიყვარხარ... შენი ვარ მთელის ჩემის არსებით... სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნები, კუბოს ფიცრამდე სალოცავ ხატად მეყოლები. თაყვანს ვსცემ შენს ღმერთს, გუნდრუკს ვუკმევ შენს კერპს, შენთან ერთად ავალ გოლგოთაზე“, და... ყოველივე ეს ფუჭი გამოდგა, ლიტონი სიტყვები, გაცვეთილი ბგერები...

და დღეს მეორე ქმრის ხელშია, დაივიწყა ფიცი, უარჰყო ძველი სალოცავი და სათაყვანო კერპები, ფეხქვეშ გათელა პირველი სიყვარული, ურცხვად შებილწა უმწიკვლო აღტაცება და... ჰოი, სირცხვილო: შალვას შემდეგ ამავე სიტყვებით სხვას ეფიცება სიყვარულს.

რატომ მატლები არ დაესევა ამ უნამუსო ტუჩებს, ამ უსირცხვილო ენას! რად არ დამიწდებიან ის ლოყები, რომლებზედაც ხან ერთი კაცის ტუჩები დაცოცავენ, ხან მეორესი! რად არ დასამარდება ის გულმკერდი, რომლის მიროთოლვარე წიაღში ხან ერთი კაცი იკლავს ჟინს და ხან მეორე!

„ვინა ვარ, რა მქვია, — გიჟივით ეკითხებოდა თავის თავს, — რა ქალია ის ქალი, რომლის სხეულს ორი კაცის ხელი შეხებია! რა ჰქვიან იმ ქალს, რომლის სიშიშვლე ორი ადამიანის თვალებს უხილავს! ვინა ვარ — პატიოსანი ქალი, თუ როსკიპი?! მახსოვს, შალვა მეტყოდა: მე არ შემიძლია ვილოცო იმ ტაძარში, რომელშიც სხვას ულოცნია. ეს ტაძარი მე ვიყავი მისთვის, მე — ევა ვეფხიაშვილის ქალი, — უმანკო, შეუბღალავი, უმწიკვლო.

ეს ტუჩები პირველად მას, შალვას, ეფიცებოდენ საუკუნო ერთგულებას, სამარადისო ხსოვნას და მასვე ჰკოცნიდენ!

— „სხვისი ნამთხვევი ხატი უკვე წაბილწულიაო“, — ათასჯერ უთქვამს მას და მაშინ მეც მისი თანახმა ვიყავი, მეც მთელის ჩემის არსებით მრწამდა ეს სიტყვები... დღეს... კი... ოჰ საშინელებავ! მე უკვე მრავალთა სალოცავი ტაძარი გავხდი, უკვე ნამთხვევ ხატად ვიქეცი!“

ევას შეეზიზღა თავისი თავი.

შალვას კოცნას წმინდა ამბორად იკონიბდა... რეზო კი საშინელ მლოშნელად წარმოუდგა. შალვა კდემამოსილებით აღსავსე მლოცველი იყო ევას მეხსიერებაში, ხოლო რეზო ნამდვილი ყასაბი, რომელიც ბუშტრის ვნებით ეწაფებოდა მისს ლამაზ სხეულს. შალვას კოცნა უმანკოების შეხება იყო, ამფორის ფრთათა ტუჩებზე ფარფატი, რეზოსი კი...

ოხ, ნუ მოაგონებთ ამ ქუჩურ, ამ ავხორციელ ლოშნას, ამ საზიზღარ წოვნას! ასეთი რამ ჯერ არ განუცდია ევას, ასეთი გრძნობები ჯერ არ სტუმრებია მას. საიდან გაჩნდა, საიდან აღმოხეთქა ამ თავშეუკავებელმა თვითგანსჯამ?

რამდენიმე წელიწადია რეზოსთან ცხოვრობს და ამის მზგავსი რამეც კი არ განუცდია მას. ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში ეძინა პირველ ევას, რომელმაც აგრე პირნათლად მიიტანა შალვა ღრუბელიანის წინაშე თავისი უმანკო სხეული, მიუწვდომელი აღმაფრენა და შეუბღალავი ზნეობა? ნუ თუ ასე ღრმად ჩაიყურყუმალა რეზოსთან ეროვად ავხოროცობის მორევში, რომ ერთიანად დაივიწყა თავისი უმანკო სული და მხოლოდ დღესღა მოაგონდა თავისი თავი?

VI.

ევას მოაგონდა ის დრო, როცა პირველი რევოლიუციის რიჟრაჟზე საზეფხულოდ იყო მისული თავის სახლში. გიმნაზია ახლად დასრულებული ჰქონდა და, ბოლო წლებში შეთვისებულ ჩვეულების მიხედვით, თავის გამდელთან—შუშანიკას დედასთან უნდა წასულიყო. მაგრამ წელს მშობლების დაჟინებითი მოთხოვნას გვერდი ვერ აუქცია და გულცივად წამოვიდა თავის სახლისაკენ. ევა დედას დედინაცვალივით შეხვდა, არც მამას მისალმებია მაინცა და მაინც თბილად. ყველაზე გულწრფელად და ხალისიანად ევა მიეგება გოგო-ბიჭებს და განსაკუთრებით ნაცნობ კარ-მიდამოს. „ჩვენს ეზო-გარემოში ფეხის ჩადგმისთანავე სხეული დამიამდება ხოლმე და თავს უხილავ მფარველის ფრთათა ქვეშ ვგრძნობო“,—იტყოდა ევა და მისვლისთანავე ეს გრძნობა ეუფლა მას. უმალვე ფარდოდ გაშლილ ბალ-ვენახებს მიაშურა.

— ოო, ევა, ევა! გადმოსძახა აივნიდან ბაბუა დავითმა. ევამ ცივი ღიმილი შესთავაზა კრიალოსანის მოთამაშე მოხუცს და თანაც ბალანმოსილ ჩამომჭკნარ ლოყაში აკოცა.

— გასათხოვარი ქალი გამხთარხარ, შვილო, ალბად! საქმროც გეყოლება, მაქეიფე ერთი ამ სიბერის ჟამს!.. ხე-ხე ხე-ხე!..

— თქვენ სულ მაგრე მეუბნებით, ბაბუა...

— მერე და რა ცუდს გიქადებ, შვილო! ქალიშვილი ყოველთვის დროზე უნდა გათხოვდეს, კარგმა პატრონმა თავის დროზე უნდა მიაქციოს ქალს ყურადღება. შენისთანა გახვინთქილებულ გოგოს ეხლა სისხლი უთამაშებს და... ჰე-ჰე-ჰე!

უკანასკნელი სიტყვები მოხუცმა საშინელის ცინიზნით და ავხორცულის ხითხითით შეაზავა.

— დაიწყო აქაური საშინელება,—ჩაილაპარაკა ევამ და ოთახს მიაშურა.

— ეს ქალბატონი ჩვენი ოჯახისშვილს არ ჰგავს, შეხვედრა მოიწყინა, აქაურობა მას ეზიზღება,—წარმოსთქვა ბაბუამ მოსამსახურეს ჭაღს გასაგონათ და ზეზედ წამოდგა.

ევას ყურს ეს სიტყვები კარგად მისწვდენ. ის წარბებ-შეკრული შევიდა თავის ოთახში და ფანჯარას გადააწვა. მის თვალწინ იშლებოდა საყვარელი კარმიდამო, სადაც მას გაუტარებია თავის ცხოვრების უტკბილესი წამები და შეუმჩნევლად წარმოუდგა ერთი ცხოველი სურათი ბაბუას ცხოვრებიდან.

ამაყად გამოჭიმული ბაბუა გამოქანდაკებულივით დგას აივანზე, ხელში მომართული თოფი უჭირავს. ნახევრად თოფის-წამლის კვამლშია გახვეული და წყნარის გამემეტყველებით აკვირდება ეზოს: აბა, სად გდია ჩემი ტყვიით განგმირული ჩემივე შვილი—ბეჟანი,—ევას მამა.

ახოვანი მოხუცის თეთრ წვერებს შარავანდედათ ეხვია თოფის-წამლის კვამლი და თითქოს ქვადქცეულ ვაჟკაცს საშინელ გამომეტყველებას აძლევდა; თავადის მთელი სახლობა ეზოში გამოფენილიყო თოფის ხმაზე, საშინელი აურზაური იყო, ევას დედა გონება-დაკარგული ჰყავდათ ხელში, მამა კი—ბეჟანი—გაფითრებული იდგა გასაკვებლად გამზადებულ ბიჭებ შორის და შეშინებულ-შერცხვენილი ბუტბუტებდა:

— მამა არ იყოს, მე ვიცი, რასა ვიზამდი!.. მამა არ იყოს, მე ვიცი, რასა ვიზამდი!..

ევა თავზარდაცემული გამოვარდა ეზოში ატეხილ კივილ-წივილის ხმაზე, ჯერ არ იცოდა, რაში იყო საქმე; როცა გაიგო, ბაბუამ თოფი დაუცალა მამა-ჩემსო, კინალამ ჭკუა დაჰკარგა და რამდენიმე დღის განმავლობაში არც კი უკითხავს, რა იყო ამის მიზეზი.

— არ არის შენი საქმე, რაღაც უბრალოზე მოუვიდათ დავა,—ეუბნებოდა დედა დაინტერესებულ ევას.

ევამ ბოლოს, როგორც იქნა, მოსამსახურეებისაგან გაიგო ყველაფერი: თურმე ევას მამას, თავად ბეჟანს—განუზრახავს მამის ქონება საკუთრივ ჩაეგდო ხელში და ძმებისათვის არ გაენაწილებინა. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად მამისაგან კანონიერი მტკიცებაც კი მიეღო. მამა დაეტყვილებინა: შენი შვილები ქალაქში ვალებში ჩავარდენ, მევალეები აქაურობის აწერას აპირებენ და, ისა სჯობია, ყველაფერი ჩემს სახელზე დაამტკიცო; როცა ჩემს ძმებს მოვალენი ჩამოშორდებიან, მე, ხომ, იცი, იმათ არაფერს წავართმევ, თავის დროზე ყველაფერს მივსცემ და შენც, რასაკვირველია, მეფესავით გარჩენო.

მამა მოტყუვდა და ბეჟანმა, ქონება რომ ხელში ჩაიხვია, ბლომა ნაწილი მაშინვე გაჰყიდა და მოხუცსაც ლუკმა პური მოანატრა: არ ჩააცვა, არ დაჰხურა ტკბილი ცხოვრების ნაჩვევ მამას. მამაც ერთხანს უთმენდა შვილს: ეგონა, გონს მოვაო. მაგრამ, რაკი ვერას გახდა, ასწია და თოფი დაუცალა, სასიკვდილოდ გაიმეტა. მაგრამ ტყვია ააცდინა, რამაც ერთობ გააჯავრა იგი.

— ახლა კი დავბერებულვარ,—წამოიძახა თავადმა დავითმა, როცა და-

ინახა, რომ ტყვია ვერ ჰკრა შვილს,— ახალგაზრდობისას დანის პირს შევაჭრიდი ტყვიას, ახლა კი ამოდენა ყარყუმს დავაშორე, ჩემი საქმე წასულია!

ამ ამბის შემდეგ ევას საშინლად ეშინოდა ბაბუასი და მისი პატივისცემაც დაჰკარგა.

— სათოფეთ როგორ გაიმეტა ღვიძლი შვილი? განა, სხვაფრივ არ შეიძლებოდა საქმის მოგვარებაო, — ფიქრობდა იგი და გაურკვეველი შიში და ძრწოლა იპყრობდა მას.

ეს საშინელი მოგონება ღრმად იყო შთაბეჭდილი ევას არსებაში და ყოველთვის თავზარს სცემდა მისი გახსენება. მამაზედაც ერთობ აიყარა ევამ გული: განა ასე უნდა მოქცეოდა ძმებს და მოხუც მამასო,— გაკვირვებით კითხულობდა იგი. ეს ხომ გაუტანლობაა და სხვისი შეჭმისა და დალუპვის ნიშანი. რას ერჩოდა ძმებს, რა დაუშავა მამამ? აკი, როცა ევას ბიძები სოფელში ჩამოვლენ, ბეჟანი მუდამ ესიყვარულება, მათ ჭირს მიწაზე არ აგდებს, თვალში რომ ჩაუვარდენ, ხელს არ ამოისვებს! თუ არ უყვარს ისინი და ემტერება, პირში რალას ელაქუცება, ეს ხომ ორპირობაა.

ევა არც ახლობამდე სცემდა მამას დიდ პატივს: სამწელიწადზე მეტია, რომ ბეჟანი ევას თვალში ის ბეჟანი არ არის, რომელსაც ის აღმერთებდა პატარაობისას.

პირველად მამის პატივისცემა ევას იმის შემდეგ შეუსუსტდა, რაც ქალაქში შეამჩნია, რომ ბეჟანს კავშირი ჰქონდა იმ ქალთან, რომლის ოჯახშიც სასწავლებელში სწავლის დროს ევა ცხოვრობდა და რომლის შესახებ ევამ მშობლებიდან იცოდა ჩვენი ნათესავები არიანო. ბეჟანი ხშირად აკითხავდა ევას ქალაქში და რამოდენიმე დღით რჩებოდა ხოლმე. მამა ხშირად უნახავს ევას დიასახლისის ოჯახში.

ერთხელ დედამ დაჟინებით ჩაკითხა ევას: ვისთან ათევს მამაშენი ღამეებს, როცა ქალაქში ჩამოდისო? ევამ გულუბრყვილოდ უპასუხა: ბიცოლა თეოსთანო და... ევას დედამაც საშინლად შეჰკივლა:

— ის უნამუსო, ისა! კიდევ არ შორდება იმ კახპას?! აკი მეუბნებოდა თეოს თვალითაც კი არ ვნახულობ და ევას სასწავლებელში ვაკითხავ ხოლმეო! ევა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, და სირცხვილით დაიწვა, მაშინვე მოშორდა დედას და მთელი საათი გულამოსკვნილი სტიროდა.

ყოველივე ეს ელვის სისწრაფით მოაგონდა ევას: — მოაგონდა თოფისწამლის კვამლში გახვეული ბაბუა, მოაგონდა შეშინებული მამა, რომელიც ასე უსირცხვილოდ ატყვილებდა დედას... მოაგონდა კიდევ სხვა რალაცეებიც, რომელთაც საკმაოდ მოუწამლეს მას ახალგაზრდობა და .. წელში გააჟრჟოლა, ხელი ჩაიქნია და წყნარად ჩაილაპარაკა:

— რა ღმერთი გამიწყრა, რომ აქ მოველი! განა, არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა?

ოთახიდან გამოვიდა და სამზარეულოს მიაშურა, იქ ბავშობიდანვე გულის გადაყოლება იცოდა მოლაზღანდარე მოსამსახურეთა შორის.

ივნისის შუა რიცხვები იყო, საკმაოდ თბილოდა: მზე კიდევ არ ჩასული-

ყო. ევამ საბზარეულოს აივანშიც კი ვერ მოასწრო შესვლა, რომ ბაბურიდან მამის ხმა შემოესმა.

მიუხედავად იმისა, რომ მამის სახე ევას არსებაში არ ისო ბაინცა და მაინც მიმზიდველ შარავანდედით მოკული, გულის სიღრმეში მაინც უყვარდა იგი.

ამიტომ იყო, რომ მამის ხმამ სასიამოვნოდ გაიწკრიალა მის არსებაში და შურდულივით გაექანა მამისაკენ.

— ატესტატი თუ კაი მოიტანე, თვარა ისე არ მომეკაროო—სიცილით დაუძახა მამამ და ორივე ხელებ გაშლილი შემოეგება გულში ჩასაკრავად.

— მშვენიერი ატესტატი მაქვს, მამა, მშვენიერი,—მიაძახა ევამ და კისერზე ჩამოეკიდა ბეჟანს.

— შვილო, უცხო კაცი მახლავს, ხელი ჩამოართვი.—უთხრა ცოტა ხნის შემდეგ პეჟანმა ევას, რომელმაც ეხლა შეამჩნია, რომ მამასთან ერთად, ეზოში მართლაც უცხო ადამიანი ჩამოსულა.

— ჩვენი ნათესავია, შვილო, სტუდენტი კაცია, სტუმრად მოვიდა ჩვენსა.

— შალვა ღრუბელიანი,—ჩაილაპარაკა თავის მხრივ სტუმარმა და ხელი გაუწოდა. ერთმანეთისათვის თითქმის არც შეუხედავთ—ევას ამ დროს, მამის გარდა სხვა არავინ აინტერესებდა. თანაც გულში გაიფიქრა: ასეთის გვარის მატარებელი ნათესავი ჩვენ არასოდეს არ გვყოლია... მაგრამ ეს ხომ მამაჩემის ჩვეულებაა: თუ ვინმემ ჩვენსა ფეხი ჩამოადგა, ყველას ნათესავებს ეძახისო.

— დედა შინ დაგხვდა, შვილო? ჰკითხა ბეჟანმა.

— არა, მამა. დეიდა ჩემისას წასულა და მითხრეს მალე მოვაო.

— აბა, შენ მოუმხიე, შვილო, სტუმარს... აწი წლოვანი ქალი ხარ, ღემმნაზია დაგისრულებია, დიასახლისობაც უნდა ისწავლო, წიგნი მარტო არ გეყოფა... ჰა... ჰა... ჰა...

— კი, მამილო, კი!... ისეთი დიასახლისობა ვიცი, რომ... ჰა... ჰა... ჰა...

VIII.

— აქეთ მობრძანდით, ყმაწვილო,—ეუბნებოდა ბეჟანი სტუმარს,—ისეთი ბინა მოგიჩინო, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ ეშმაკმაც კი ვერ მოგნახოსთ! დაწევით, როცა გენებოსთ, ადექით. არავინ თქვენი ხელის შემშლელი არ იქნება, რაც გინდოდეს, ის აკეთეთ, ვერავინ აქ ვერ გნახავთ, ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ... სასმელი, საჭმელი, ყველაფერი ჩემს კისერზე იყოს. ისეთი ღვინო მაქვს, ისეთი... რომ...

— გმადლობთ, ბატონო, ნუ შეწუხდებით,—ეუბნებოდა სტუმარი, რომელიც ერთობ უხერხულად გრძნობდა თავს თავადიშვილის ოჯახში, სადაც, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო თავისებური, არისტოკრატიული წესები: თავადური მოწყობილება, თავადური ზნე-ჩვეულება, სიტყვა-პასუხი.

ყოველივე ეს კი მისთვის, როგორც გლეხისათვის, ძნელად შესათვისებელი და მისაჩვევი იქნებოდა.

— თუ თქვენ მოისურვებთ, სადილ-ვახშამსაც აქ მოგართმევთ,—ეუბნებოდა ბეჟანი. მორცხვი სტუმრის ისედაც უხერხული მდგომარეობა ერთიანად ორკეცდებოდა, როცა ცნობილი თავადიშვილი „თქვენობი“-ს მიმართავდა მას.

— ჩემმა მშობლებმა რო ეს ნახონ, რა შვილი გამოგზავნეს ქალაქიანდა სიხარულით ზეცას დაეწევიან... შეხე თავადი მესამსახურეშა,—ფიქრობდა შალვა.

— არა, ბატონო ბეჟან, მაგრე ნუ შეწუხდებით, —ბოდიშობდა დარცხვენილი სტუმარი.

— ოო, როგორ გეკადრებათ, შეწუხება რას მიქვია?..

თავადმა შალვას საუცხოვო ოთახი მიუჩინა: სრული, მშვენივრად განათებული, ხალიჩებითა და სხვა და სხვა შესამკობ იარაღებით მორთული. ოთახი საკუთარ აივანში გადიოდა, აივნის სვეტები ვენახის ბარდით და ყვავილებით იყო შეფოთლილი, გიორგინის ყლორტების ბადე ერთგულად ჩაწნულიყო რიკულებში... სახლი მაღლობზე იდგა, ასე რომ აივნიდან მაყურებელ თვალს მომხიბლავი სურათი ეშლებოდა: დაფენილი ველები, თაიგულივით შემკული სერები, რომელთა ბორცვიანი გრეხილი ცის ლაჟვარდოვან კიდეში ინთქებოდა.

ეს აივანი უსაყვარლესი ადგილი იყო ევასთვის. მშობლიურ კარმიდამოს თუ იგი ოდესმე სიყვარულით კი მოიგონებდა, უპირველეს ყოვლისა ამ აივანს გაიხსენებდა. განსაკუთრებით მომჯადოვებელი იყო იქაურობა მოვარიან ღამეში, როცა დაფენილი მიდამო ნამდვილ ზღვას ჰგავდა, ზღვას, რომლის ტალღებში ნისლის ხომალდად დაცურავენ ერთი მეორე მიბჯენილი სერები.

მრავალი ღამე გაუტარებია აქ ევას ოცნებაში და წიგნის კითხვაში გართულს.

შალვასაც ძალიან მოეწონა იქაურობა, პირდაპირ აღტაცებაში მოვიდა; თავისი აღტაცება ბეჟანის გასაგონად გამოთქვა, მაგრამ უცებ თავი შეიკავა: ხამად არ ჩამაგდოს ამ თავადმა, ან რაიმე „მუჟიკური“ არ წამომცდესო,—ფიქრობდა იგი.

— დაღლილი იქნებით, ბატონო შალვა და ცოტა მოისვენეთ, ნუ მომერიდებით—უთხრა შალვას ბეჟანმა და თითონ კარში გავიდა.

შალვასათვის მართლაც საჭირო იყო მოსვენება: ხუთი თუ ექვსი ვერსი გზა სადგურიდან ფეხით გამოიარა, თანაც გვარიანიმოზდილი ფუთა მოქონდა. ცოტა გაიარ-გამოიარა, იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა და წამოწოლა დააპირა. მაგრამ ამ დროს თავისი ფუთა დაინახა და კუნჭულში მიმალა: რა გამოსაჩენია ასეთ ძვირფას მორთულობაში ჩემი ღარიბული ბარგი-ბარხანა; ჩემი წითელი ჩითის საბანი რო აქ გავშალო, პირდაპირ სირცხვილს ვჭამო,—ფიქრობდა იგი და ცდილობდა ფუთა ისე დაემალა, რომ არავის დაენახა.

შალვა ერთხილად წამოწვა პრუჟინებიან კრაოტზე; ის ერთობ ფრთხილობდა, უნდოდა ისე მოთავსებულიყო, რომ თავადის სახლში შეუფერებელი რაიმე არ ჩაედინა.

— მაბაჩემს რომ ასეთ ოთახებში გამოვეზარდე, სწორეთ რომ სხვა აზრებისა

და მიმართულების ვიქნებოდი,—გაიფიქრა მან,—რა გასაკვირი იქნებოდა, რომ ამ სახლკარისა და სიმდიდრის პატრონმა მარტო თავის ქონების დაცვაზე იფიქროს, და იოლად ხელი არ აიღოს ყველაფერ ამაზე!

ცოტა ხნის შემდეგ შალვა ფიქრებში იყო გართული: ის ოცნებობდა იმ საქმეზე, რომლის სასამსახუროდ იგი აქ მოვიდა და რომელზედაც ფიქრი და ზრუნვა მთელ მის არსებას შეადგენდა.

რა გვარად გადადგამს პირველ ნაბიჯს, ვის დაიახლოვებს, საიდან დაიწყებს ლაპარაკს, ვისთან, ვის სახლში?

ყოველივე ეს დიდათ აინტერესებდა და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც თავის საყვარელ საქმეს შეუდგებოდა.

— ამაზე მეტი წინააღმდეგობა იქნება?—სთქვა მან ბოლოს თავისთვის,—მე უნდა შევაკავშირო და ავამოძრაო ლარიბი გლეხობა იმ მემამულის საწინააღმდეგოთ, რომელმაც მე ბინა მომცა და რომელიც დაუსრულებელ მფარველობას მპირდება; სასაცილოა მედაჩემმა ღმერთმა!

ეს მართლაც ასე იყო: შალვასა და ბეჟანის სტუმარ-მასპინძლობაში ძირითადი წინააღმდეგობა იყო ჩამარხული, მაგრამ ამ შეუსაბამობას სინამდვილეში ჯერ აშკარად თავი არ ეჩინა და ბეჟანიც „ახალი მოთავე“ კაცების ხათრისა და გვარიშვილობის პატივისცემისათვის—ბევრი „ახალ თაობის“ მონაწილე თავადაზნაური იყვენ—მზად იყო თუნდაც ცეცხლში ჩავარდნილიყო.

— ღმერთო კი მოშკალი! ჩვენში ვინმე პოლიციის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებს და იმას არ დავეხმარები? კვეხნით ამბობდა თავადი ბეჟანი.

— ჩემს დღეში რუსის მთავრობას ვებრძოდი! ვინ იცის, რამდენი პრისტავი მე გამიპანღურებია, რამდენი მაზრის უფროსისათვის კბილები ამიკანკალებია და ახლა ისე წახდება ბეჟან ვეფხვიაშვილი, რომ ახალი თაობის ხალხი, საქართველოს შვილები, ვერ შეინახოს და თავის სახლში ბინა ვერ მისცეს?!

გარდა ამ რაინდულის მოსაზრებისა, ბეჟანს ხანდახან სხვა უფრო პროზაული გრძნობაც ამოძრავებდა: გაეგონა რომ ახალი მოთავენი, ანუ „ოკციალისტები“ თავადებს გლეხებს უჯანყებენ, სახლკარს უწვავენ და მოსამსახურეებს ართმევენო. ჰო, და როცა ჩემთან ნაპურმარილევი იქნებიან, ცუდ რამეს როგორ მკადრებენ, პირიქით გლეხებისგან დამიფარავენ და უვნებლად გადავრჩები ჩემს სახლ-კარშიო.

IX

სასადილო ოთახში მარტო თავადი ბეჟანი, შალვა და ევა ვახშმობდენ. კედლები შემკული იყო მადის აღმძვრელ სურათებით, ღვინის სასმელ ჭურჭლებით და ძვირფასი საკუჭნაო განჯინით.

ლამბაქებზე დალაგებული ნესვისა და საზამთროს ნაჭრები, ქარვასავით მოკაშკაშე ყურძენი, ბუსუსიანი სხვილი ატმები ისე გამოსჩანდენ სურათებიდან, როგორც სინამდვილეში.

საგანგებოდ გაკეთებულ ძვირფას თაროებზე ჩამოლაგებული იყო ყანწები, აზარფაშები, კულები და თასები...

შალვას მთელი ეს მორთულობა ლოდივით აწვა გულზე და თავს ხელფეხშეკრულად გრძნობდა. ათას წილად უკეთ იგრძნობდა თავს, რომ მის გარშემო სრული უბრალოება ყოფილიყო: სადა მაგიდა, უბრალო ... ფაფფასიანი თეფშები და გადაუფარებელი სუფრა.

ევას პირველი შეხვედრის დროს ოდნავი ყურადღებაც კი არ მიუქცევია შალვასათვის, ეხლა კი როცა სინათლეზე კარგად დააკვირდა, ერთობ მოეწონა იგი.

საკმაოდ მაღალი, შავგვრემანი ყმაწვილი, რომლის ნიკაპი ეხლა იმოსებოდა შავი წვერებით; ჭკვიანი და გამომეტყველი თვალები; გაშლილი შუბლი, მიმზიდველ უწესრიგობით დაყრილი შავი თმა; წურბელივით გადაწოლილი წარბები და, რაც ყველაზე უფრო თვალის წარმტაცი იყო—ეს თითქოს მარმარილოსგან ჩამოსხმული ხელები. ნაზი ხმა, დარცხვენილი გამოხედვა, თავშეკავებული და სირწფელით აღსავსე უხერხული მოძრაობა,—ყოველივე ეს საშინლად მიმზიდველ ადამიანად ხდიდა უცხო სტუმარს. ევამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შალვას ხელებს და როცა თავისას შეადარა, ერთობ დიდი განსხვავება აღმოაჩინა: ევას ხელები შალვასთან შედარებით ულამაზო იყო. ეს დასკვნა არც ისე სასიამოვნო იქნებოდა ახალგაზდა ქალისათვის და ამიტომაც ევა ვახშმობის დროს სულ იმას სცდილობდა, რომ ხელები ისე დაეჭირა, არავის დაენახა.

ევას ერთობ მოეწონა შალვა, განსაკუთრებით მისმა სტუდენტობამ დაუბნია გზა-კვალი, მაგრამ ერთი გარემოების გამო მაინც უკმაყოფილო იყო: შალვა ოდნავ ყურადღებასაც კი არ აქცევდა მას.

ასე უყურადღებოთ, მოსამსახურე გოგო როა—იმასაც კი არ მოეპყრობიან, ევას აზრით.

— მერე ულამაზო მაინც იყოს ევა, ან და ინტელიგენტი არ იყოს?! აკი ეხლა დაასრულა გიმნაზია! მაშ რათ არ აქცევს შალვა ყურადღებას? აკი ისიც ახალგაზდაა, სტუდენტია და გაგონილა, რომ სტუდენტი ყურადღებას არ აქცევდეს გიმნაზია დასრულებულ ქალს?

ბეჟანს დარდიმანდულად ეჭირა თავი: სტუმარს ეპატიჟებოდა—ბევრი ესვა, ბევრი ეჭამა და ემხიარულა. მასპინძელი ერთობ განწყინდა, როცა შალვამ პირდაპირ განუცხადა: ღვინოს არ გიახლებითო.

— შენ საბერო კაცი ყოფილხარ, ჩემო ძმაო—უთხრა თავადმა.

— არა, ქებით არ გეტყვით, ბატონო შალვა, და ჩემისთანა სათნო მემამულე ჩვენს მხარეზე მეორე არ მოიძებნება,—ამბობდა ბეჟანი ვახშმობის დროს, —ერთი გლეხი თუ ჩემი მომდურავი იქნება, მე პირდაპირ საციმბიროდ მოვაწერ ხელს! სიმართლის მოყვარული კაცი ვარ, ყოველთვის პატიოსნურად ვიქცევი... და გლეხი კაცი რაც უნდა შეუგნებელი და გაუნათლებელი იყოს, პატიოსან კაცს მაინც შეამჩნევს და დააფასებს.

— რასაკვირველია, რასაკვირველია,—ემოწმებოდა შალვა.

— დიახ, ბატონო, დიახ. მართალია გლეხკაცი ყველა ერთი არაა, ნასწავლსა და უსწავლელშუა დიდი გარჩევაა, მაგრამ მაინც... ასე ითქმება ხოლ-

ბიბლიოთეკა

მე,—განაგრძობდა ბეჟანი, რომელსაც ლაპარაკის დროს მოაგონდა, რომ შალვა გლეხი იყო და „ვაი თუ ეწყინოს“ო, იფიქრა და ამიტომ [illegible] ნათქვამის გადასხვაფერებას.

— ჰო, იმას მოგახსენებდით: ვერავის ჩემს მომდურავს ჩვენს სოფელში ვერ ნახავთ მეთქი. და ეს იმ დროს, როცა ღვთის მოცემული მიწა-წყალი ბლომად მომეპოვება: სახნავი, სათესი, საბალახო, ტყე. თითქმის მთელი სოფელი ჩემს ადგილ მამულში ირჩენს თავს... დიახ!..

ევას ბევრი რამ არაფრად ეჭაშნიკა მამის ნალაპარაკევიდან—ულმერთოდ ტყუისო, —გაიფიქრა.

— მერე რა მოწყობილი მამული მაქვს, რა მორთული!

— მეც გამიგონია თქვენი მამულის ქება,—სთქვა შალვამ, როცა ამხანაგებმა აქეთკენ გამომისტუმრეს, ასე მითხრეს: ისეთ ადგილას მიდიხარ, რომ იქაურობა სამუდამოთ დაგამახსოვრდებაო.

— ვინ გითხრა, თუ კაცი ხარ მითხარი, ვინ? შეეკითხა ბეჟანი; ძალიან ეამა, რომ მამული უქეს.

— საშამ მითხრა, ბატონო, საშამ... აი ჩვენ რომ..

— ოოო, ვიცი, ვიცი! მან, რასაკვირველია იცის: რამდენჯერ აქ უქეიფნია მამამისს! თითონაც რამდენჯერ ყოფილა! დიახ, დიახ... დიდი განათლება შეუმოვიტანე ჩვენს სოფელში: რა ნერგები გინდა რომ მე არ მქონდეს? ისიც უნდა გითხრა რომ ჩვენი სოფლის გლეხობა სხვა გლეხებივით შეუგნებელი როდია! თქვენც არ მომიკვდეთ! აი, თითონ თქვენ დარწმუნდებით რომ ყველა გლეხი ჩვენში—კაცი თუ ქალი, დიდათ პატიოსანი, შეგნებული და განათლებულია. ეს იმიტომ რომ.. ქებით ნუ ჩამომართმევ და ჩვენ გვბაძავენ, ჩვენ—თავადიშვილებს. ჩვენგან იძენენ განათლებას, ზრდილობას, პატიოსნებას..ხე...ხე...ხე.. დიახ, ბატონო შალვა, დიახ...

ევა დააინტერესა სტუმრის ვინაობამ და როცა ვახშამი გაათავეს, მამას ჰკითხა:

— მამა ვინ არის ეს ყმაწვილი და რისთვის მოსულა ჩვენსა?..

ბეჟანმა ხმა გააწყვეტინა და უთხრა: შენი საქმე ეს არ არის და მეორეთ არ მკითხოვო.

X

მეორე დღეს ბეჟანი, გრძელზე გრძელი ბოდიშის შემდეგ, სადღაც წავიდა; შალვა მარტო დარჩა. ეს გარემოება ერთობ სასიამოვნოდ დაუჩრა მას.

ევამ შეატყო რომ სტუმარი შორს იჭერდა თავს და თითონაც მორიდებულად იქცეოდა, თუმცა ძალიან დაინტერესებული კი იყო მისი ვინაობით.

შალვა წინგს კითხულობდა და თითქმის მთელი დღე ოთახში იჯდა. ხშირად კითხვას თავს მიანებებდა და რაღაცაზე ოცნებობდა. ის ისე იყო გატაცებული თავის საქმით, რომ ვერც კი ამჩნევდა ლამაზი ევა იყო მისი სადილის მიმრთმევი, თუ წიოპლიანი გოგო.

— ვილაც არის, ან ერთიანად დაუმონებია თავის საქმეს, ან და ერთობ გაუთლელი ვინმე უნდა იყოს,—ფიქრობდა თავის გულში ევა.

— ნეტავი რა საქმე უნდა ჰქონდეს? აშკარად ეტყობა, რომ რაღაც უჩვეულო საქმის გამოა ჩამოსული! ეს ნათესაობა რო მოჩმახა მამაჩემა ესეც რაღაც მოსაზრებით უნდა იყოს ნათქვამი:

საღამოზე ბექანისას ერთი კაცი მოვიდა და ევას უთხრა ერთი სტმარი მაჩვენეთო.

ევას გაუკვირდა ამ კაცის ასე თამამად მოსვლა; იცნო რომ იგი მათი სოფლის გლეხი იყო, მაგრამ ასეთი სითამამე მისი მხრივ რაღაც უჩვეულო იყო. როცა ევამ ჰკითხა, თუ საიდან იცოდა მან ვინ იყო მათსა სტუმრად, გლეხმა ბექანზე მიუთითა—მამათქვენისაგან ვიცი და თან რაღაც იდუმალის გამომეტყველებით გაიცინა.

შალვა ამ გლეხს დიდის ხალისით შეხვდა, შორიდან შესცინეს ერთმანეთს და ისე შეხვდენ, როგორც ახალი მეგობრები.

ევას გაუკვირდა შალვასაგან ასეთი გამოცოცხლება. „მერე როგორ შვენის გამხიარულება“—გაიფიქრა მან.

შალვა თავიან-ფეხებიანად გამხიარულდა, გამოცოცხლდა და თავისი თეთრი კბილებით, მოთამაშე თვალებით და ლამაზად გამლილის ხელებით მართლაც რომ საუცხოვო სანახავი იყო.

რა უნდა ამ გლეხს, რისთვის მოვიდა ნეტავი?

მოსამსახურენიც ძალიან დაინტერესდენ: რისთვის მოვიდა ამ ნასწავლ და განათლებულ მათ სტუმართან, იაგორა ნალბანდის შვილი ნესტორა, რომელიც კარგა ხანია ბათუმიდან ჩამოვიდა და მთელი სოფელი მოფინა იქაური ამბებით. ეს ნესტორა ოთხი-ხუთი წელიწადი იყო ბათუმში და იქ ნავთის ქარხანაში მუშაობდა.

— იცი ბიჭო,—ჩუმათ უთხრა ერთმა მოსამსახურემ მეორეს,—სოფელში ამბობენ, იაგორას ნესტორა ცოციალისტიაო, ბათუმში რო იყო, ცოციალისტობა უსწავლია.

— რა უნდა იყოს კაცო ეს ცოციალისტობა? ცეკვას ხომ არ ქვია? ცოციალი ცეკვაში იციან.

— რა ვიცი, დალახვროს ღმერთმან! მაგ კი არა, ამბობენ ხელმწიფე და ღმერთი აღარ სწამთ და იმიტომ ქვიათ ცოციალისტებიო—უთხრა მეორემ.

— აი, კაცი ისა ყოფილა მედაჩემმა ღმერთმან!

არც ღმერთი, არც ხელმწიფე! აბა ვინ ვიწამოთ?—იაგორას ბიჭი—ნესტორა? კაი ამბავია შენმა მზემ!

ევა ერთობ დააინტერესა ნესტორას ამბავმა—ბათუმში ნაყოფია და „ცოციალისტიაო“. ევას არსებაში უცებ რაღაც სასიამოვნო გრძნობამ გაიელვა და პირზე ღიმილი მოუვიდა.

— ვინ იცის, ეგების ეს ყმაწვილი ახალი თაობის კაცია.—გაიფიქრა მან აღტაცებით;—სწორეთ ასე იქნება! მაშ რად უჭერია ასეთნაირად თავი?

ნესტორი დიდხანს დარჩა შალვასთან, შუადღემაც კი მოატანა.

ევა გაფაციცებით ადევნებდა მათ თვალყურს და გული სიამით უცემდა. „სწორეთ პრაპაგანდისტია“,—ამბობდა იგი და თან უკვირდა—„როგორ მოხდა, რომ იგი მამაჩემმა მოიპატიჟა?“.

ევას საკმაო წარმოდგენა ჰქონდა ახლად დაწყებულ სახალხო მოძრაობაზე, მართალია, ბევრი რამე მისთვის ბნელეთით იყო მოცულიც, მაგრამ ეს მაინც კარგად იცოდა, რომ სოციალისტები უპირველეს ყოვლისა, სოფლელ ქვლეხებს აკავშირებდენ თავადების საწინააღმდეგოთ.

და აი, უცებ მას თვალწინ დაუდგა ერთგვარი შეუსაბამობა: თუმც გალარიბებული, მაგრამ მაინც საკმაოდ მდიდარი თავადი მამამისი—ბეჟანი—მფარველობას უწევს და თავის სოფელში მიუძღვის ისეთ პირს, რომლის მოღვაწეობა კიდევ უფრო გააუარესებს ბეჟანის მდგომარეობას.

ან ეგების ბეჟანიც ახალთაობას თანაუგრძნობს, იცის რომ სიმართლე იმათ მხარეზეა და მზად არის ხელი აიღოს ყოველივე იმაზე, რაც მას უკანონოდ და უსამართლოდ ეკუთვნის? თუ ასეა, ევა ბედნიერი ქალია, ვინაიდან ასეთი კეთილი მამა ყოლია. ევას საშინლად ასიამოვნა ამ აზრმა და ერთგვარი სიამაყის გრძნობამაც კი გაურბინა ტანში.

ეს ის დრო იყო როცა, ჩვენში პირველად ამოაშუქეს განმანთავისუფლებელი მოძრაობის სხივებმა, საუკუნეთა განმავლობაში ქედმოხრილმა მშრომელმა კერამ სიამოვნებით ამოისუნთქა და იმედის უსაზღვრო ზღვა ატივტივდა მისი თვალების წინაშე.

ყველაზე ადრე და თან ყველაზე უფრო აღტაცებით მოსწავლე ახალგაზდობა მიეგება ამ ქვეყნის განმაახლებელ სიოს და უნივერსიტეტებიდან მოკიდებული პროვინციების უკანასკნელ გიმნაზია—სემინარიებამდე ათრთოლებულის გულით გადაეშვა ახალი ცხოვრების ტალღებში.

ევას საპატიო ადგილი ეპირა გიმნაზიის აბობოქრებულ შეგირდებ შორის. იგი ყრუთ გრძნობდა, რომ „ერთობა“ ხალხისათვის ბედნიერებას მოასწავებდა: თუ რაში უნდა გამოხატულიყო ეს ბედნიერება, მან გარკვეულად არ იცოდა, ვერც დალაგებულ მსჯელობას გამართავდა ამის შესახებ, მაგრამ... სხვები მხიარულობდენ და მასაც უნდა ემხიარულა... საერთო აღფრთოვანებას როგორ გამოეთიშებოდა!

XI.

მეორე დღეც წინანდელსავით გაატარა შალვამ. საღამოზე კი კარგა შეღამების შემდეგ, საჭირო საიდუმლოების დაცვით, სადღაც გაყვა ხელახლად მოსულ ნესტორას და შუაღამემდის შინ არ დაბრუნებულა. ამ გარემოებამ სრულიად დაარწმუნა ევა, რომ შალვა გლეხებში „საქადაგოდ“ იყო ჩამოსული.

ევა გულის ფანცქალით დადიოდა ყველა იმ კრებებზე, რომელსაც საიდუმლოთ ახდენდენ მოწინავე შეგირდები. ასეთ კრებებზე თითქმის ყოველთვის ესწრებოდა თითო ოროლა გარეშე პირი: მათი ვინაობა არც ისე ადვილად გასამჟღავნებელი იყო. მათი პიროვნება ერთმა ან ორმა შეგირდმა იცოდა, ხოლო დანარჩენი მოსწავლენი მარტო გადარქმეულ სახელებით იცნობდენ მათ. ერთს ვანოს ეძახდენ, მეორეს ანდრიას.

ვანო შესანიშნავი მოლაპარაკე იყო, მოწაფე ქალების სიტყვით, მას „პირდაპირ ოქრო მოცვივდა პირიდან“. ანდრიაც საშინელის გატაცებით უხსნიდა

შეგირდებს სხვადასხვა საკითხებს, ის ისე გულწრფელი და თავდავიწყებული იყო, რომ მოსწავლენი ერთიანად იხიბლებოდენ და არც ერთ ერთ მისი სიტყვა არ იკარგებოდა.

კრებები საიდუმლოდ ხდებოდა, ხან ერთ ბინაზე და ხან მეორეზე. შეგირდები უაღრესად შეხაროდენ იმ დღეს, როცა წრეში მეცადინეობა ჰქონდათ.

ევაც საშინლად იყო ამ კრებებით დაინტერესებული. მისი ნორჩი არსება რაღაც ახალ, ამამაღლებელ და განმაახლებელ სიოს ბერვას გრძნობდა ამ საიდუმლო მეცადინეობაში. რვა წელიწადზე მეტი დაჰყო ქალაქში, ბევრი რამ ისწავლა—საშვალო სასწავლებლის კურსი დაასრულა, მაგრამ არ ახსოვს, რომ რომელიმე ახალი ცოდნის შეძენას ასეთ ნაირად ემოქმედოს მის სულსა და გულზე..

რა მშრალად და უსულგულოთ გადასცემდენ ხოლმე მას სახაზინო მასწავლებლები სხვა და სხვა გვარ ცოდნას!

რამდენი სიცივე, უგულობა იყო მათ ნათქვამში; პირდაპირ შეაძულეს ევას მეცნიერების ტაძარი...

— როდის იქნება რომ თავს დავახწევ ამ უსულ-გულო ადამიანებსო,— ლაპარაკობდა ევა.

და აი სრულიად მოულოდნელად მან დაინახა, რომ თურმე სწავლება სხვანაირათაც შეიძლება: თბილის გულით, საქმის უსაზღვრო სიყვარულით და შეგირდის გულში ჩაწვდომით.

გიმნაზიის გულ გამოფიტულ მასწავლებელთა გარდა, არიან თურმე ისეთნიც, რომელთაც მთელი თავისი არსებით სწამთ რასაც ლაპარაკობენ, სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი ყოველივე ის, რასაც სხვას ასწავლიან და ყოველ წუთს იმაზე ოცნობობენ, რომ თავიანთი სათაყვანო იდეა სხვასაც შთაუნერგონ და შეასისხლხორცონ.

რამდენი რწმენა, რამდენი აღტაცება იყო ჩაქსოვილი ამ ახალ მასწავლებელთა სულსა და გულში!

როცა ევა თავის სახაზინო მასწავლებლებს ვანოსა და ანდრიას შეადარებდა, ერთის მხრივ თვალწინ დაუდგებოდა კოხტად მორთული, გადავარცხნილ-გასპეტაკებული, ფოლაქებ ბრჭყვიალა და სერთუკებში გამოსკვნილი არსებები, რომელთა მთელი ყურადღება გარეგან მორთულებაზე წასულიყო, ხოლო გული კი ერთიანად გაცივებოდათ და გამოფიტოდათ.

მეორე მხარეზე ევას გონების თვალს ეხატებოდენ შავბლუზიანები, ღარიბულად ჩაცმულნი, უწესრიგოდ თმებ დაყრილი ახალგაზრდები, რომელთა არსებაში შეუჩერებლივ სცემდა სიცოცხლე და დაუშრეტელი სიყვარულის ნაკადული.

ერთის მხრივ უსულგულობა, ძალდატანებითი მუშაობა და სიცივე, ხოლო მეორეს მხრივ სიცოცხლის ფეთქა და ამაყვავებელი სითბო.

ამ წრეებში მეცადინეობის სიომ განმაახლელ ტალღათ დაჰბერა მოწაფეებს და ბევრ მათგანის გულში გააღვივა ჯერ გაუფუჩქვნელი ადამიანური გრძნობები... შეუმჩნევლად გაცხოველდა მათ შორის: ამხანაგური გრძნობები,

ერთმანეთის გატანა და პატივისცემა, ძმური და მეგობრული დამოკიდებულება, გაცხოველდა გონებრივი მუშაობა.

— რა კარგი საგანი ყოფილა პოლიტიკური ეკონომია!

— ვინ არიან ბელტოვი და მიხაილოვსკი?

— რა შინაარსიანია ევდოშვილის ლექსი!

— რა კარგი წერილია „კვალში“ მოთავსებული!

— სად მომხდარა ტერორისტული აქტი?

— მე ამდენი წიგნი წავიკითხე!

— მე კი ამდენი!

ხშირი იყო ასეთი ლაპარაკი.

როცა ევამ გიმნაზია დაასრულა და სოფელში წამოვიდა, საშინელი გულის ტკივილი იგრძნო.

მას უთხრეს: ახლა სოფელშიაც ბევრგან ხდება ასეთი კრებებიო, მაგრამ „აბა ჩვენ სოფლამდის რამ უნდა მიაღწიოს“ სთქვა მან წყენით.

„მოდი, მე დავიწყებ ქადოგებასო,—ხანდიხან იფიქრებდა იგი, მაგრამ ეს ფიქრი მიუწვდომელად ეჩვენებოდა, ამდენი გამბედაობა მასში არ იყო.

და აი, დღეს ხედავს, რომ მის სახლში დაბინავდა ვანოსა და ანდრიასებური პიროვნება. იგი აქ, ნამდვილ მშრომელ ხალხში, დაიწყებს იმ თესლის თესვას, რომელმაც უნდა გამოიღოს მთელი ქვეყნიერების განმაახლებელი ნაყოფი.

ამიტომ იყო რომ ევას საშინელის სიმძლავრით აუტოკდა გული და შალვას პიროვნებამაც ერთიანად დააინტერესა იგი.

ეხლა კი მიხვდა ევა, თუ რად არ აქცევდა მას შალვა განსაკუთრებულ ყურადღებას.

— ასეთი დიდი და წმინდა საქმისათვის მოსულა და რა გასაკვირია, რომ ყურადღება არ მომაქციოს. ქალებთან ფუქსავატობა არ შეშვენის ასეთი იდეალების მატარებელსო,—გააფიქრა მან.

XII

შალვაზე წმინდა ადამიანი, მასზე სათაყვანო და სადიდებელი პიროვნება ამ ჟამად ევასათვის მთელ დედამიწაზე არ არსებობდა:

სიმართლისათვის მებრძოლი.

ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლე.

დიად აზრთა და გრძნობათა წყარო...

მეორე დღეს ევა მთვრალივით დადიოდა... ხან გარინდებული იყო, ხან იცინოდა,. მხიარულებდა, დარბოდა... ხანაც თვალებს მინაბავდა, ჩაჩუმდებოდა და რაღაცაზე საამურად ოცნებობდა... ოცნებობდა ტკბილად, ქალიშვილური გატაცებით, წმინდა გრძნობით მიქლემილი...

მთელი დღის განმავლობაში შალვა რამდენჯერმე გამოვიდა აივანზე. არც ერთი ეს გამოსვლა ევას ყურადღებას არ გამოპარვია და ყოველთვის აღტა

ცების ცეცხლით აუპილპილდებოდა ხოლმე ლოყები. მაშინვე მიჩუმდებოდა, ლაპარაკს უკლებდა და სიცილს შეაჩერებდა,—უსაქმო და ფუჭსაქმე არსებად არ ჩამთვალოსო, ის ხომ „იდეური კაცია“ და ადამიანის სიმრავლეს ვერ მოითმენსო.

ევას გამხიარულება ყველას თვლაში მოხვდა, ასე აღტაცებული ის კარგი ხანია არავის ენახა.

— ეს ახალგაზრდური სისხლის ჩუხჩუხიაო,—სთქვა ბაბუამ და ღრეჭით გაიხედა იმ ოთახისაკენ, სადაც შალვა იყო.

ევამ შეამჩნია ეს ღიმილი და შეურაცხყოფა იგრძნო. უნდოდა რაიმე სასაყვედურო ეთქვა ბაბუასათვის, მაგრამ თავი შეიკავა. ბაბუა დავითს ვებერთელა ყალიონი ეჭირა ხელში და ზარმაცად ლოკავდა მის ტარს. თან დრო გამოშვებით გაფურთხების შემდეგ გრძელ და გამოყვითლებულ ულვაშებს ისწორებდა.

ულვაშებზე მოსეირნე ბაბუას გაძვალ-ტყავებული ხელი ზარმაცად შეჩერდებოდა ხოლმე ვებერთელა გაყვითლებულ ცხვირზე, რომელიც არწივისებურ გამომეტყველებას აძლევდა მოხუცის სახეს.

ბაბუამ კიდევ განაგრძო თავისებური ლაპარაკი, რითაც მაყურებელთა სიცილი გამოიწვია. ევამ იგრძნო, რომ ეს სიცილი მას და შალვას შეეხებოდა და კიდევ უფრო ნაწყენმა, საყვედურით ჩაილაპარაკა:

— ყოველგვარი წმინდა გრძნობა აქ ყოველთვის შებღალული ყოფილაო,— და ბალისკენ გასწია.

თავად ბეჟანის კარმიდამო, რომელიც მაღალის და თითქმის გარდუვალის წალამიან მესრით იყო შემოფარგლული, საკმაოდ დიდ ადგილს შეიცავდა: მშვენიერი ხეხილის ბალი, ვეებერთელა ზვარი, რამდენიმე ქცევა საყანე მიწა, კარგი ძალი ტყე, საძოვარი მინდორი..

ევას მარტო ამ ადგილმიმულისათვის უყვარდა მამის სახლ-კარი და ეხლაც სიამოვნებით მიაშურა თავის საყვარელ კარმიდამოს. კარგა ხანს იხეტიალა ბალნარში, ბევრიც ილულუნა და იოცნება.

ერთ ადგილას ვერ გაჩერებულიყო, მთელი ტანი უთრთოდა, ყოველი წერტილი უცახცახებდა და სიხარულით სული ეგუბებოდა. ყოველ წუთს შალვა ელანდებოდა და...

ბაბუას შენიშვნაც ყურებში უწყოდა.

„ახ, ნეტავი მართლაც!..“

ევას უნდა ეს ფიქრი ბოლომდის განავითაროს, მაგრამ სცხვენია, „იდეური ადამიანის შესახებ ასე როგორ ვფიქრობო“ ამბობს თავშეკავებული...

ის ჩიტუნიასავით მიფრთხიალებს ბალის ერთი კუთხიდან მეორისაკენ, ხეხილებს ათვალიერებს, ვენახებში დარბის და უცებ...

ოჰო, საშინელებავ! როგორ მოეწამლა მთელი არსება!

მის წინაშე იდგა ნახევრად წასაქცევად გამზადებული კარავი! აქ სამი წლის უკან ასე ხეტიალის დროს საშინელ რამეს შეესწრო: მიუახლოვდა თუ არა, დაინახა, რომ ბიძა მისი საჩქაროდ გამოვიდა იქედან და ვენახებში შე-

ინალა. ბიძიაო—ულდოდა დაეძახა ევას, მაგრამ ამ დროს კარავში დაინახა თავისი დედა, რომელიც ტანისამოსს ისწორებდა და ერთფანად გაწითლებული იყო...

ევა მიხვდა რაშიაც იყო საქმე. მაშინვე თოფნაკაციით გაშორდა იქაურობას. მას აქეთ ის ამ ადგილს სიახლოვესაც კი არ მიკარებია...

და აი, დღეს, ტკბილ ოცნებაში გართული, მოულოდნელად ამ საზარელ ადგილზე გაჩნდა!

ნეტავი მიწა გახეთქოდა და ეს ადგილი არ ენახა!

აკი ამ კარავმა იყო, რომ მოწამლა მთელი მისი ახალგაზრდობა, შეაძულა სიცოცხლე, დედა, მამა და სადღაც გადაკარგვაც კი აფიქრებია!

ნუ თუ ასე შეუბრალებელია ეს ბედი, რომ აგრე ულმობელად სდევნის ევას და ნებას არ აძლევს ინეტაროს, დაივიწყოს საშინელი წარსული და ახალ ტალღებს დაეწაფოს!

— ოო, წყეულიმც იყავ აქაურობავ,—თითქმის წამოიკივლა მან და დაშხამული გაიქცა სადღაც.

სწორეთ ამ სამის წლის უკანაც ასე განგმირული გაშორდა იგი ამ საშინელ ადგილს.

ტკბილი აწმყო ერთიანად დაავიწყა ამ მოგონებამ: ერთხელ კიდევ ზიზღით მოაგონდა დედაც, ბიძაც, მამაც, ბაბუაც, მთელი სახლობა და ცრემლ მორეულმა სასოწარკვეთით დაუწყო ცქერა მზის დასავალს.

მოშორებით მაღლობზე გლეხთა მოსახლეობა გამოჩნდა. ქოხმახები, ეზოები, ბუხრისთავები, ზვინები.

აი აქ, იმ ადგილას, გლეხებში, წუხელის შალვა ღრუბელიანი ახალ ახრებს ქადაგებდა, ახალ თესლს თესავდა...

ევამ იცის რა ნაყოფს გამოიღებს ეს თესლი!..

რავდენ იმედს, რავდენ აღტაცებას და აღრფთოვანებას გამოიწვევდა იგი!..

იცის რომ ამ ქადაგების გაგონების დროს ყოველივე წმინდა ძალუმად აფეთქთებოდა მაყურებლების სულსა და გულში...

სიამოვნებით ათრთოლდებოდა ობოლი გული და ბრწყინვალე მომავლის თვალწინ დასახვა განუზომელ აღმაფრენას მოგვრიდა მას.

ბედნიერი ადგილი, ბედნიერი ყურე!

აქ კი...

ოხ, საშინელო ადგილო!

განა აქაურობას აატოკებს რაიმე წმინდა გრძნობით!

განა ჩქეფდება აქ ვინმეს გული მაღალის გრძნობით?!

— ოოოხ, უბედურო ჩემო ბედო, სად გავიხარდე? ვისი შვილი ვარ? ვინ მაწოვა ძუძუ, ვინ ჩამიდგა პირში სული? ვისი სისხლი და ხორცი ვარ? ოოხ, წყეულიმც იყავ აქაურობავ?

— დაიწყეველე უკუნითი უკუნისამდე აქაურო ხევ... ქვავ... ადამიანო!. ჩემო დედავ,.. ჩემო მამავ!.. ყველავ!.. ყველავ!..

— იქ, იქ იფურჩქნება განახლების კოკორი!.. იქ ცემს ახალი ცხოვრების ტალღა!

— იქ, იმ ისლით დახურულ ქოხებში იწყება ჯერ უნახავი, ჯერ განუცდელი ცხოვრება!

— იქ იქადაგა ნუგეშის მესიამ.

— იქ გაისმა თავისუფლების პირველი ხმა.

— იქ ირწყება უცხო ქმნილების აკვანი!..

— გაუმარჯოს აქაურობას...

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..

XIII.

ზაქარია ილაშვილის სახლს ოცზე მეტი სტუმარი წვევოდა.

შავ კედელთან მიდგმულ გრძელ მაგიდაზე კარგა მოზრდილი ჭრაქი ლაპლაპებდა, მისი ალი ბლომად ავრცელებდა ჭვარტლს ჰაერში.

ჭრაქის გკერდით ელაგა რამდენიმე „ბოხოხის“ ქუდი,—ზაფხულის სიცხის გამო მათი თავზე ხანგრძლივი დახურვა არც ისე იოლი საქმე იქნებოდა.

სტუმრები სულ განაბული ისხდენ ჩაშავებულ ტახტებზე და ვიღაცას ელოდენ. ორ ათეულზე მეტი კაცი იყო ამ სახლში, მაგრამ კარგი დაკვირვებული თვალი იყო საჭირო, რომ ყველა მათგანი გაერჩია: ჭრაქის სინათლე ოდნავათაც ვერ აღწევდა ჩაბნელებულ კუთხეებამდის. მხოლოდ ყალიონის „ჩხუტუნზე“ თუ მიხვდებოდი, რომ ჭრაქის ახლო მჯდომთა უკან კიდევ იყო რამდენიმე გლეხი.

საერთო სიჩუმეს ისევ მასპინძელი—ზაქარია—არღვევდა.

— უკაცრავათ კი ვარ... თქვენ იცით რასაც არ დამძრახავთ,—ბოდიშობდა იგი წამდაუწუმ კეფის ქექით.

— კაი თუ ღმერთი გწამს, ჩვენ ხომ მაგისათვის არ მოვსულვართ.

ბავშები კარგი ხანია დააძინა დიასახლისმა სახლის უკანა კედელზე მიღობილ „სამზად“ განყოფილებაში; თითონ იგი დრო გამოშვებით გამოყოფს თავის უკანა კარებიდან და ხან ერთ გლეხს აწვდის ყალიონისათვის მუგუზალს და ხან მეორეს.

გლეხებს დიდ ხანს არ უცდიათ: მალე ვიღაცამ კარებს დაურახუნა, ზაქარია წამსვე მივარდა და კარი გააღო. პირველად შემოვიდა ნესტორა, რომელსაც დავალებული ჰქონდა კრებების მოწვევა, ბინის მოძებნა და „მოქადაგის“ მოყვანა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით,—მიალაპარაკა ზაქარიამ შალვა ღრუბელიანს, რომელიც ნესტორას შემოყვა.

ყველანი ფეხზე წამოდგენ და მოწიწებით მიესალმენ ახალ მოსულებს.

— დაბრძანდით, ამხანაგებო, დაბრძანდით,—ღიმილით სთქვა შალვამ და ყაბალახის გადაძრობის შემდეგ ყველაზე ადრე თითონ დაჯდა.

ზაქარიას უნდოდა განსაკუთრებით მომარაგებული ტაბურეტის სკამი მიერთმია შალვასათვის, მაგრამ შილვა პირდაპირ გლეხებში მოთავსდა.

ის ჩოხა-ახალოხში იყო მორთული და თავზე ყაბალახი ეხურა.

მოყვანილ ბეჭებს და მოხდენილ ტანადობას შესანიშნავად უხდებოდა ჩერქეზული მორთულობა.

— სხვა, ამხანაგებო, როგორ მოგეწონათ ჩემი აზრები? თუ ბოგვემატა ვინმე, ან დაგვაკლდა? ამბობდა შალვა და ღიმილით აცქერდებოდა ყველას.

ის ცდილობდა ყველასათვის ახლობელი და სანდო პირი ყოფილიყო, ცდილობდა დამეგობრებოდა მათ.

მისი უბრალო ლაპარაკი და ასეთივე მოპყრობა მართლაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა გლეხებზე, მაგრამ ხმა მაინც არავინ ამოიღო, ყველანი სდუმდენ, თუმცა ყველას ლაპარაკი უნდოდა.

— ეგების გაუგებარი რაიმე ვსთქვი და კიდევ ახსნაა საჭირო, ან ეგების თქვენ რომ გინდათ, იმაზე არ მილაპარაკნია!.. მითხარით ყოველივე, ამხანაგებო, ნუ მომერიდებით, მეც თქვენსავით უბრალო ადამიანი ვარ, მამაჩემიც თქვენისთანა გლეხია, მე სწორეთ ასეთ სახლში ვარ დაბადებული და გაზრდილი.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, გიცხონდა მშობელი, ღმერთმან გადღეგრძელოს,—გაისმა გლეხებში.

— თქვით, ძმებო, თუ გაქვს ვინმეს რაიმე სათქმელი,—მიმართა ნესტორამ დანარჩენებს.

— მე... ჩემდა თავად არაფელი მაქვს სათქმელი. ყველაფერი კარგად ბძანეთ, ყველაფერი მომწონს...

— მეც, მეც... გაისმა ირგვლივ.

— ყველაფერი კაი ილაპარაკეთ, ბატონო, ყველაფერი მართალია... ყველაფერი ჩემი თვალით მინახავს...

— დიახ... დიახ... რასაკვირველია... მე და ჩემმა ღმერთმა რო კარგი იყო!

შალვა ამჩნევდა რომ გლეხები სრულიად გულწრფელნი არ იყვნენ, მაგრამ თუ მაინც გაიძახოდენ ყველაფერი გავიგეთო, ეს იმიტომ რომ არ იცოდენ რაფერად გამოეთქვათ თავისი აზრი.

— ვერ ვიტყვი ისე როგორც უნდა და სასაცილოდ ამიგდებენო,—ფიქრობდა თითეული მათგანი.

ბოლოს როგორც იქნა ერთმა გლეხმა გაბედა და ენის ბორძიკით დაიწყო:

— უკაცრავად თუ არ ვიყო. . ერთი რამე მინდა ვთქვა. რა ვქნა, უსტავლელი კაცი ვარ და გლახათ ნუ ჩამომართმევთ.

— სთქვი ამხანაგო, სთქვი, რას ქვია ცუდათ ჩამორთმევა.

— ბოდიშს ვიხთი, მარა... ეგება მე არ მესმის, მარა... უსტავლელ კაცს ბევრი არ ეძრახვის... რას იზამ შენი ჭირიმე...

ზოსიმეს—ისე ეძახდენ ამ გლეხს—სირცხვილის გამო ენა უჩერდებოდა.

— ისა... ბატონო,—განაგრძო ზოსიმემ,—ეს მიწაო გვიბრძანეთ... დაგირიგდებათო..• ხო... ასე ბრძანეთ ბატონო დაგირიგებენო... სხვას წაართმევენ და თქვენ მოგცემენო, ასე არ თქვით, ბატონო?..

— დიახ, მართალი ბრძანებაა, სწორეთ მასე ვსთქვი,—დაეხმარა შალვა. ზოსიმე უფრო გათამამდა.

— ახლა ესეც გვიბრძანეთ, შენი ჭირიმე, სხვას რო წაართმევენ, ეგი სამართალი იქნება? წართმევა... წართმევა... ეგება მე არ მესმის, ვერ გავიგე, უსტავლელი ვარ, შეუგნებელი... შეუსმენელი... და...

— გავიგე, გავიგე, მიაძახა შალვამ, ეხლავე მოგახსენებთ, ეს ძალიან კარგი შეკითხვაა, ძალიან კარგი... აი, ასე უნდა მკითხოთ ყოველთვის, რასაც ვერ გაიგებთ, ამხანაგებო, ან რაშიც დაეჭვდებით.

და შალვამ დაიწყო წამოყენებული საკითხის ახსნა-განმარტება. კარგა ხანს ელაპარაკა, ათასნაირი მაგალითები და საბუთები მოუყვანა თავისი აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ზოსიმე მაინც ვერ დააკმაყოფილა.

— უსტავლელი კაცი ვარ და არაფერი ვიცი, მაგრამ... წართმევა მაინც... ეგება იმ კაცს ურიის ვალი ოღლია და ისე შეუძენია მიწა!.. ეგება მე მაშინ კაკლის ჩრდილში ვგორავდი, ან და დუქანში ვქეიფობდი... და ახლა მე... წავართვა?

საზოგადო სულიერი განწყობილება ისეთი იყო, რომ არავის არ უნდოდა რაიმეში ეჭვი შეეტანა, შალვას ნათქვამი ყოველივე შეურყეველ ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული. ამიტომ შალვას განმარტება ყველამ შეუმცდარ სიმართლეთ მიიღო.

სულისასა და გულის დამაამებელმა სიომ მოჰბერა, წარმტაცმა ქარმა დაიქროლა, ჭირ-ვარამის გამანიავებელმა გრიგალმა აღმოხეთქა და ვინ იქნებოდა ისეთი, რომ ამ დროს ეჭვიანობით მოეწამლა თავისი სიტკბოება!?

თითქმის შუაღამემდის გაგრძელდა შალვა ქადაგება; შალვა ლაპარაკობდა ნელა, გარკვევით და მდაბიოთ, ხალხური ენით. მთელი მისი საუბარი გადაჭრელებული იყო უბრალო, ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოღებული მაგალითებით, რაც ერთობ აინტერესებდა გლეხებს.

— კაცო, რა უსამართლობა ყოფილა ჩვენს გარშემო და ახლობამდის ვერ შეგვიმჩნევია!

— პირდაპირ თვალები აგვიხილა ამ კურთხეულის შვილმა!

— ღმერთო, შენ მოხედე საწყალ კაცს! ღმერთო; შენ უწინამძღვრე მის მაწინამძღვრებელს!

— თქვენ რომ გგონიათ არც ისე ოოლია ეს ამბავი,—ჩაილაპარაკა თავისთვის დაეჭვებულმა ზოსიმემ.

კრება ნელ-ნელა დაიშალა. შალვას გარშემო მარტო ნესტორა და სახლის პატრონი-ზაქარია დარჩა.

— თქვენც აქ ბრძანდებით, ამხანაგო? შეეკითხა შალვა თხელ შალში გახვეულ ქალს, რომელიც ზაქარიას ცოლის ახლო იდგა.

— დიახ, მეც აქა ვარ! და ამ სიტყვებით ღიმილით ხელი გაუწოდა. ეს ქალი იყო ევა.

ევა კრებაზე წოიყვანა ერთმა მათმა მოსამსახურე გლეხმა — შიომ, რომელიც, თურმე, პირველიდანვე ესწრებოდა შალვას კრებებს.

შიო სანდო, ჭკვიანი და ღვთისნიერი ადამიანი იყო და ევასაც ბავშობიდანვე უყვარდა იგი. ამ გლეხმა მშვენივრად იცოდა თავისი ბატონების! — ავ-კარგი.

— ცოდვილიანი ხალხი ცხოვრობს ამ ეზო-გარემოში, ცოდვილიანი, ხშირად უთქვამს შიოს ევას გასაგონათ და თანაც ისეთი ამოუხვნეშია, თითქოს გული უნდა ამოიტანოსო.

ევას არა ერთხელ ჩაუკითხავს შიოსათვის, რისთვის არის აქაურობა ცოდვიანია, მაგრამ შიოს არასოდეს არ უთქვამს რაში იყო საქმე.

—გაიზრდები და მერე შეიგნებო, - მხოლოდ ამას ჩაილაპარაკებდა შიო.

და ეს მართალიც შეიქნა: ევა აშკარად დარწმუნდა, რომ მამამისის ოჯახი მართლაც ცოდვილიანი იყო და შიოსადმი პატივისცემაც გაუძლიერდა: ღვიძლ მამას არ ეტყოდა იგი ისეთის მოწიწებით, როგორც ამ მოსამსახურეს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ბატონ-ყმობის დროიდან ბეჟანის ოჯახში გაეტარებია და საკუთარი თავი ისე დავიწყებოდა, რომ ცოლიც კი არ შეერთო.

შიომ პირველიდანვე გაიგო, რომ მათ სოფელში ვიღაც „მოქადაგე" ჩამოვიდა და ისიც, როგორც სანდო და პატიოსანი ადამიანი, გლეხებმა თავიდანვე დაისწრეს კრებებზე.

— ერთი ეს მითხარი, ევა შენს გაზდას, ეს ერთობაოო რომ იძახიან, ქალაქებშიაც არის?—ამ სიტყვებით შიომ ტკბილად გაიღიმა.

ევასაც ღიმილი ნოუვიდა, თანაც ეამა, რომ ამ დიად მოძრაობას აქამდის, ამ ყრუ სოფლამდისაც კი მოეწია.

ამ საგანზე ლაპარაკი ევასა და შიოს შორის ამით არ დასრულებულა: შიო შემდეგაც ეკითხებოდა ევას, რომელმაც შეამჩნია, რომ შიოს რაღაც საიდუმლოება აწუხებდა ამ „ერთობაზე" ლაპარაკის დროს.

ბოლოს, მართლაც, გამოირკვა, რომ მათ სოფელშიც ჩამოსულიყო „ვიღაც ცოციალისტი და ერთობას ქადაგობდა." ევამ მაშინვე ყურები სცქვიტა.

შიოს პირველად შიში დაეტყო-არ გამცეს ბაბუა მისი ძველი თავადია და მთავრობას შეატყობინებსო.

— ნუ გეშინია, ჩემო შიო, მე არ გაგთქვამ, მე თითონ სოციალისტი ვარ, გლეხების მომხრე ვარ...

— ვიცი, შვილო, ვიცი, შენ ღვთისნიერი ადამიანი ხარ და საწყალ ხალხს არ ულალატებ,—უთხრა შიომ და მოყვა მოქადაგის ქებას და დიდებას.

— რას ამბობს მაინც, მითხარი, გამაგებინე.

— ყველაფერ კარგს ამბობს, შვილო, ყველაფერს...

ბოლოს ეს საუბრები იმით დასრულდა, რომ შიომ პირდაპირ მიიყვანა ევა კრებაზე და თავისი ყურით მოასმენინა მოქადაგის აზრები.

ევას იქ მისვლა მაინც და მაინც არავის ესიამოვნა: თავადის ქალია და ღმერთი არ გაუწყრეს არ გაგვცეს, თვარა ყველას ციხეებში გამოგვალპობენო.

— კაცო, რა უნდოდა ჩვენთან დავითის შვილი შვილს?

— არა, ძმაო, ის ნასტავლი ქალია და მაგისთანაობას რავა იკადრებს!

— დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, — დაუმატა მესამემ.

გლეხებმა მხოლოდ მაშინ შესწყვიტეს ამ საგანზე ლაპარაკი, როცა ერთმა ამხანაგმა გადაჭრით განაცხადა: შიომ მითხრა მაგისთანა ღვთისნიერი ადამიანი გლეხებშიც კი არ გამოინახებაო.

შიოს ისიც ეთქვა რომ ევა ქალაქში ერთობის ხალხში ყოფილა და საწყალი ხალხის მომხრეაო.

— ღმერთმა უშველოს, თუ ასეა...

— ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ჯვარიცო, ამბობენ...

XVI.

ევა მოუთმენლად მოელოდა გათენებას.

რას იტყვის შალვა, როგორ შეეყრება ევას?

კიდევ ცივად იქნება, თუ ისე ტკბილად დაუწყებს საუბარს, როგორ წუხელის—კრების შემდეგ?

ევას შიში არ გამართლდა: შალვა აღფრთოვანებული შეხვდა მას და კარგა ხანს ეკითხებოდა, თუ ვის წრეებში უმეცადინია ქალაქში, ვის იცნობს და რომელ მიმართულებას თანაუგრძნობს.

გამოირკვა, რომ ის ვანო და ანდრია, რომელთა ხელმძღვანელობით იწვრთნებოდა ევა, შალვას პირად ნაცნობობის გარდა, მისი ახლო თანამოაზრენიც ყოფილან.

ამ გარემოებამ ძალზე გაახარა ევა. წუხელის მათ შორის გადებული ზნეობრივი თანაგრძნობის ხიდი, დღეს ერთი ორად გამაგრდა და მეგობრობასაც კვიდრი საფუძველი ჩაეყარა.

ევას აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, მასავით ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზა: „ახლა კი მიეცა ჩემს სიცოცხლეს აზრი და მიზანიც“,—ამბობდა გულში და თანდათან ადგებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომ თითონაც შემდგარიყო იმ გსაზე, რომლითაც შალვა მიდიოდა.

ევა ერთიანად გაიტაცა ხალხის სამსახურზე ფიქრმა, საშინელ ქარტეხილად დატრიალდა მის არსებაში ეს ახალი გრძნობა და დევ-გმირის სული ჩაბერა.

ასეთის ძალით ჯერ ევა არ გაუტაცნია ამ აზრს. მართალია, ქალაქში მან უკვე იგრძნო ამ განმაახლებელი მოვლენის ძალა, მაგრამ მაშინ როგორც ეხლა რწმუნდება, ნამდვილი აზრი და შინაარსი ვერ ჩაუდევს შიგ.

ოო, აქაური კრებები კი პირდაპირ განუზომელის მნიშვნელობისაა!

იქ, ქალაქში, წრეებში მეცადინეობას თეორეტიული ლეჩაქი ფარავდა, სამოწაფო ხასიათი ჰქონდა და უბრალო ლაპარაკით განისაზღვრებოდა.

აქ კი პირდაპირ საქმე კეთდებოდა. ცხოვრების ნამდვილ შვილებთან

ერთად.

თვით ცხოვრების ღერძთან რომლის პირადი მონაწილეობით უნდა მოხდეს ყოველივე ის, რაზედაც მიგვითითებს მოქადაგე.

იქ, ქალაქში, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა შესახებ შორიდან ლაპარაკობენ... აქ კი, სოფელში, ყველა ესენი თვალწინ უდგანან ევას.

— ამათ უნდა განაახლონ ჩვენი ცხოვრება, ამათ,—აღტაცებით ამბობდა ევა,—მეც ამ ხალხის სასამსახუროთ უნდა ვადავდო თავი. მას უნდა დავედო მტლედ. მას უნდა ვენაცვალო, შალვა მასწავლის რაც საჭიროა, მას ამოვუდბი გვერდით

პირდაპირ გაგიჟებულს ჰგავდა ახალგაზდა ქალი, ასე გატაცებული და და აღფრთოვანებული არასოდეს არ ყოფილა. ასეთ ნაირად ჯერ არავის აუმუშავებია ევას აზრი და გრძნობა, ასე მძლავრად ჯერ არავისი ხელი შეხებია მისი გულის სიმებს!

შალვაც ერთობ ნასიამოვნები დარჩა, რომ ასეთ გარიყულ ადგილას აღმოაჩინა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მისთვის ბრავალგვარი დახმარების აღმოჩენა.

მას ერთხელაც კი არ შეპარვია ეჭვი ევას გულწრფელობაში და სრული დარწმუნებული იყო, რომ მის წინაშე იდგა უსაზღვროდ სპეტაკი და პატიოსანი არსება.

ევა რომ გამოიცვალა, გახალისდა და გარდაიქმნა, ეს მთელმა ოჯახმა შენიშნა. თუმც იგი თავს იკავებდა, მაგრამ დრო და დრო ისეთის ძალით იფეთქდა მის არსებაში ეს ხვლოვნურად შეკავებული გრძნობა, რომ ერთიანად სპობდა მისს მოჩვენებით სიმშვიდეს. ეს ცვლილება დედამაც კი შეამჩნია და ალერსით უთხრა:

— შენ რალაც კაი გუნებაზე გხედავ და ის ვილაც სტუმარი რომ მოუყვანია მამაშენს, იმისი ბრალი ხომ არ არისო?

ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, რომ ევას დედას არ სიამოვნებდა ამ სტუდენტის მათ სახლში ყოფნა.—რა კარგი იქნებოდა, რომ ევა ახლა, ამ ზაფხულს არ მოსულიყო შინ და ის ლამაზი ყმაწვილიც უმისოდ ყოფილიყო აქაო,—ფიქრობდა იგი გულში.

ევას არ ეამა დედის შენიშვნის კილო,—ტუჩები მოკუმა და წარბები შეიკრა. თანაც უცებ მოაგონდა ამ რამდენიმე წლის უკან ვენახის კარავში ნანახი სურათი და საშინელმა სიძულვილმა შეიპყრო იგი.

XV

შალვას წრე ჩქარის ნაბიჯით იზრდებოდა. ცოტა ხანში მთელ სოფელს მოედო ახალი ქადაგების ამბავი, რომელმაც ძირიანად შეარყია ამ სოფლის მდორე და მიყუჩებული ცხოვრება.

ხმა მაღლა ვერას ბედავდენ, მაგრამ სამაგიეროდ დაუსრულებელი ჩურჩული იყო, ჩაფიქრებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

უჩვეულო იყო ეს ჩურჩული, ჯერ უნახავი. არვისგან განცდილი!

ეს იყო რაღაც ვნებიანი და აღტაცებით აღსავსე ზმორება.

უსაზღვრო იმედებით გასხივოსნებული.

გარკვევით არავინ იცოდა თუ რა უნდა მოყოლოდა ამ ცხალ სიტყვას, უჩვეულო აზრს, ჯერ უნახავ მოვლენას!.. არავის შეეძლო ეთქვა-თუ ვის რას შესძენდა იგი, მაგრამ ეს კი ყველასთვის ცხადი იყო, რომ რაღაც დიდი სიკეთე, ადამიანის გამაბედნიერებელი და საუკუნოდ გამახარებელი რამ უნდა მოყოლოდა ამ გაუგონარ ამოძრავებას...

ყოველი ცუდი უნდა მოსპობილიყო.

საწყალი კაცის ცხოვრება უნდა გარდაქმნილიყო, არ უნდა ყოფილიყო ჩაგვრა, შევიწროება, სიღარიბე, სხვისი ბატონობა.

ოფლის მღვრელს შვება უნდა ეგრძნო, ცრემლიანი თვალები უნდა გამშრალიყო, შეკრული შუბლი უნდა გაცისკროვნებულიყო. დაჩაგრულ გულს შვება უნდა ეგრძნო, ფერი უნდა ეცვალა დედამიწას, ცისკამარას, ადამიანს და მის ცხოვრებას...

როგორ? რა გზით? ვისი ხელით?

ვერც ერთ ამ კითხვაზე ვერავინ პასუხს ვერ მოგცემდათ!..

ეს იყო ანგარიშმიუცემელი გაღვიძება, ბუნდოვანის სიყვარულის აფეთქება, ახალგაზრდის შინაგანი ძალ-ღონის აჩუხჩუხება... შორს გაჭრის სურვილი, აღტაცებით ყიჟინი, დიდების ჰიმნის თავდავიწყებით გალობა!.. სიცილი.. კისკისი... ხარხარი... ცრთოლვა....

ასეთი იყო სოფლის პირველი გამოღვიძება...

სახალხო მოძრაობა ჯერ შეუმჩნეველი იყო, ვით თოვლის დნობის პირველი ნაკადი, მაგრამ მალე მთელი არე-მარე გალხვა. „ერთობის“ ხმა მარტო ერთ სოფელში როდი იყო, იგი გრიგალივით დატრიალდა: ერთმა სოფელმა მეორეს მისცა ხმა, ერთმა ადამიანმა მეორე გააიმედა, მეორემ მესამე და ასე სულ მაღლა-მაღლა იწევდა სულიერი განწყობილება, ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა. სადაც არ უნდა ძისულიყავით, ვინც არ უნდა გენახათ, ყველა „ერთობის“ შესახებ ბაასობდა, ყველა კომიტეტის შესახებ ლაპარაკობდა, ყველა „სოციალისტებს“ ახსენებდა... ცა და დედამიწა, უსულო თუ სულიერი, თვით ჰაერიც კი ერთობაზე ჩურჩულებდა...

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო,
ვიმხიარულოდ, ბიჭებო,
ვიძახოთ დელა-დელაო...

თვლემით ღიღინებდა მთელი არე-მარე.

მემამულეები და მდიდრები თავზარდაცემული იყვნენ, მღვდლებიც დარცხვენილი დადიოდენ.

— რა ქვეყნის დამაქცევარნი და შემქმელები ჩვენ შეეიქენით, რომ ყველა მოქადაგე ჩვენზე ილესავს კბილებს, —ამბობდენ ბოლმა შეკავებულნი და ბევრი მათგანი მთავრობისაკენ იყურებოდა დახმარებისათვის. მაგრამ მათი უბედურება იმაში იყო, რომ მთავრობამაც თითქმის დაჰკარგა იმედი: ყური წაეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუებია, კანცელარიებში მტყუანივით შემალულიყო და დიდათ რიდი აქცევდა ყურადღებას თავადებისა და მღვდელების წუწუნს.

— კარგი უქნია ვისაც არ უმუშავნია და უსაქმოდ ყოფილა,—იძახიან ყველას ერთნაირი ქონება უნდა ჰქონდეს, ყველა უნდა გათანასწორდეს მდიდარი და ღარიბიო... მოხედა ღმერთმა ზარმაცებს დოყლაპიებს... მათი დროც დგება... მაგრამ... ვნახოთ.

— ზოგს რო ჰგონია, არც ისე აგვიშვებენ,—იტყოდენ აგერ-ეგერ უფრო ხნოვანი და დაკვირვებული გლეხები.—ასე ჩვენს ნებაზე არ გვათანაშებენ, თვარა მალე ნახავთო...

— რუს ხენწიფეს ჩვენ კი არა, ხვანთქარმა ვერაფელი უქნაო, გამიგონია...

— მაგრამ ნუ გგონია შენ,—ეტყოდა ამისთანებს ზაქარია ილაშვილი, რომლის სახლშიაც ხშირად იმართებოდა კრებები,—ხალხმა თუ მოინდომა, ეს ქვეყანა ახლა ასე რომ არის, აი ასე გადატრიალდებაო,—და თან გამოწვდილ ხელს ჯერ რომ ხელის გულით ზევით გაშლიდა, მერე უცებ გადაატრიალებდა და ხელის გულს ქვევით მოაქცევდა.

ზაქარია სოფელში ჭკვიან კაცად ითვლებოდა და ბევრს მართლა სწამდა მისი სურათოვანი შედარება ქვეყნიერების გადატრიალების შესახებ.

— ცოტა მომიცადე, ქალო და მალე სულ თეთრი პურით გარჩენ ბალღებიანათო,—ხშირად უთქვამს ზაქარიას ცოლისათვის.

თავად დავითს—ევას ბაბუას, დაწყებული მოძრაობის ამბავი კარგს ხანს არ გაუმხილეს; მაგრამ, როდესაც ხე და ქვაც კი ალაპარაკდა, მოხუცის ყურამდე თავისთავად მიახწია ყველაფერმა.

— გლეხები ამბობენ: თავადი და აზნაური არ იქნება, ყველა გლეხად იქცევა, სუყველა უნდა გაერთიანდენ... თავადებს მიწები უნდა წაერთვას, მოსამსახურეები არ უნდა ყავდეთ, ხენწიფე არ გვინდაო, წირვა-ლოცვა არაა საჭირო, ნათესაობა არააო... ასე გააცვნეს თავად დავითს ახალი თაობა.

პირველად დავითს არ სჯეროდა და—ალბად მეხუმრებიანო ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს ეჭვი შეეპარა და ბეჟანი მოიხმო მოსალაპარაკებლად: გამაგებინე კარგად რაშია საქმეო. ბეჟანმა, რომელიც გლეხებთან ლაპარაკში ვითომ მათი თანამგრძნობი იყო, მაგასთან ერთად უნიადაგოდ და სასაცილოდ დახატა ეს მოძრაობა და თან დაატანა:

— ჯერ ეს ამბები არ გაუგია რუს ხელმწიფეს, თვარა იცოცხლე და ვიცოცხლე, მამა ჩემო, მაგათ დღე დააყენოს, სულ ბუდავალას აძახებს მაგ წუპაკებსო.

დავითს ისიც გააგონეს, რომ ერთი „ბუნტოვჩიკი" და ხალხის ამრევი შენს ეზო-გარემოშიც კი ცხოვრობს,—ბეჟანმა მოიყვანა, აი ის ლამაზ-ლამაზი ყმაწვილი გახლავს, ხშირ-ხშირად რომ ევას ელაპარაკებაო.

დავითმა ამის შესახებაც გამოკითხა შვილს:

ბეჟანი დაბნეულ პასუხს აძლევდა.

დავითს კარგა ხანს ხმა არ გაუღია, ის რაღაც უგუნებოდ ათვალიერებდა

იქაურობას და ბეჟანსაც ზიზღით გადახედავდა ხოლმე, ბოლოს ზეზეთ წამოდგა და მტკიცედ უთხრა:

— მე იმას არ ვიკადრებ, რომ ეს ამბავი პოლიციას ავაცნობო, მაგრამ იმას კი ვიზამ, რომ იმ ვაჟბატონს, აი იმას,—და ხელი შავლეს ოთახისკენ გააშვირა,—ჩემი ხელით გავაგორებ, ეს იცოდე შენ!..

ბეჟანი გაშრა, ენა ჩაუვარდა.

— წადი, დამეკარგე თვალიდან,—შენ არასოდეს ვაჟკაცი არ ყოფილხარ, შენში თავადის სისხლი არ დულს!.. შენი საქმეა ქალების დევნა და პადლოგების ჯლაბნა! შენ რო სისხლი გერჩოდეს და ვაჟკაცი იყო, მაგისთანა წუპაკ გლეხებს სიახლოვესაც კი არ წაიკარებდი! ვერც ნასწავლი და ვერც უსწავლი გლეხი თავადს ვერ გაუტოლდება! გლეხი მუდამ გლეხი იქნება! შენ კი აქ ვილაც ულირსი მოგითრევია და ქალიშვილიც კი მიგიჩენია საარშიყოდ!.. სირცხვილი შენი, დედაკაცო შენა, გლეხებშიც ხარ და თავადებშიც!. ტფუ, შენს კაცობას, შე ორპირო, შე ორპოფო!..

ორ სკამზე ჯდები, მაგრამ გნახავ, რომ ორივე აქეთ-იქით გაგეჭცეს და კისერი მოიტეხო!

ბეჟანი გაფითრებული იდგა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ გულში ფიქრობდა:

— რა იცის ბებერმა, ის ძველი კერპია და მისი დროი გონია! მაგას არ გაუგონია, რომ დროება გადაბრუნებულია და ძველებურად არაფერი გადის! ყველას თუ არ აყევ-დაყევი, ისე ჩვენს დროში პურს ვერ ჭამს კაცი.

— მამა ჩემო, მოკრძალებით უთხრა ბეჟანმა მეორე დღეს მამას,—თუ გიყვარდე ცოტა ხანს კიდევ მაცალე, ეგება ევაზე დავწერო ჯვარი... რაღაც ისე ვატყობ, რომ კარგადაა საქმე და მერე მე ვიცი როგორ მოვაჭკვიანებ... სასარგებლო კაცია, ამ არეულობის დროს დაგვიფარავს...

დაკითი უსმენდა შვილს, მაგრამ ეტყობოდა, რომ მისი არა სჯეროდა რა,—მეც მატყუილებს და თავსაც იტყუილებს ეს საცოდავიო,—ფიქრობდა იგი.

(გაგრძელება იქნება).

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი საუელო

I

— საით მივდივართ?

— იქით, შენი ჭირი მე.

და ახმეტელმა ნაჩაფრალმა ჩრდილოეთისკენ გაიშვირა გაქონილი თითი.

ცხენები დავსძარით და პირი კავკასიონის თეთრი ქედისკენ ვიბრუნეთ. შავი ტყით მობურულ შახვეტილას, გომბორის მკლავებსა და ნაქერალას ჩამოგლეჯილ ფერდებს თითქო კბილებით და კლანჭებით ჩაუბლუჯავთ კახეთის გაშლილი კალთა.

კახეთი გათავდა და ლეგენდა დაიწყო: ლაშქარი პირუკულმა დაქედილი ბედაურებით, აგერ ის ბახტრიონი რომ გამოჰგლიჯა შაჰინ-შაჰს ხეპრული ხერხით; მაძღარი თუშები, თავიანთი ნასუქი ყოჩებივით რომ გაფუვებულან; ვაჟაფშაველები, გაპობილი მიწის საძებნელად არაგვიდან ალაზნისკენ რომ გადმოულაჯნიათ; ტანით და სულით ასვეტილი ქისტები, რუს-კაზაკებს რომ პირაქეთ გადმოუყრიათ; დღესაც აბჯარ-დაშნა-ჩაფხუტით შექედილი ხევსურები, ჯერ-ჯეროობით ჯაჭვის ხანაში რომ დაბორიალებენ, და თვალცეცია, გრძელ-ჯუბა ჯაყოები, ჯავიდან რომ ჯავარიან პანკისის უბეში შეხიზნულან.

აქ ყველანი და ყოველნი ზღაპრისა და ლეგენდის ხავსით შეხავსულან: თითო ბუჩქის ძირში ბუნდოვანი მითი ფუსფუსებს, პიტალო კლდეზე რაინდული არაკია გაკრული, ხოლო გარინდულ ხეებსა და გალიპულ ქვებზე ეანგიანი ლურსმანით გალექსილი ეპოსია ამოჭრილი. კლდოვან ქვაბებში ცალთვალა დევები სცხოვრობენ, ხოლო ხევ-ხევები სავსეა კუდიანი ილბისებით, ტიტველა ალქაჯებით, ოქროსთმიანი მიონებით, რქოსანი ღვირღვებით და ბანჯვლიან ეშმებით,—ქუსლები რომ წინ აქვთ წამოყრილი, პირიდან რომ ცეცხლს ჰყრიან და საკუთარ დაჩვრეტილ მკლავებზე რომ სალამურივით უკრავენ.

მთების ფერდებზე საქონელი და ცხვარი ისე შეფენილა, თითქოს მწვანე ხალიჩებზე ვიღაცას ჭრელ-წითელი ლობიო და დახალული სიმინდი გაუბნევიათ. ულრანი ტყეები ალაგ-ალაგ შეუკრეჭიათ და შეუპარსავთ. ხშირად მოსჩანს შენაცრული ყავარი, მინგრეული ნიში, დაგლეჯილი კოშკი, საღორის-ოდენა წისქვილი, კვამლის სვეტი და აპენტილი სოფელი. კოკიანი დედაკაცები გაშლილი

ღიმილით გვიხვდებიან და თამამი სიტყვა-სიცილით გვაცილებენ. ოვალუუუნა ბალღები ჯოხებს გვიქნევენ და ჟივილ-ხივილით მოგვდევენ. ძაღლის ოდენა ძროხები გაოცებით გვიცქერიან, ხოლო ხევსურული ძროხის-ოდენა ძაღლები ვიწრო ხეობას ყეფით აყრუებენ და უნაგირებიდან ჩვენს გადმოთრევას ჰლამობენ. და იმ ძაღლებს, ჩვენს საშველად, ხუთნაირი ხალხი მოსდევს— ქვებით, კომბლებით და ყვირილით: ხან ფხოველი, ხან თუში, ზოგჯერ ოსი, ხან ქისტი და ხან ხევსურიც. ოდნავ გვაცილებენ და გვეკითხებიან:

— ქადამჩაუ?.. სადაურ იქნების?.. საით მიბრძანდებ?

მეც თუშეთის მთებისკენ ვიშვერ ხელს და ვეუბნები:

— იქით... ალაზნის სათავეში.

მართლა ალაზნის სათავისკენ მივდიოდი. ხურჯინში მეწყო ჰაბიხის გეოლოგია, ინსტრუმენტები და დიდი რუკა, ხოლო გულში—იმედი სპილენძის და მოწყალე ბედის პოვნისა.

ღამე პანკისში გავათენე. მეორე დღეს ომალოს გავცდი და მახილი-ხორჯაში დავილამე. მესამე დღეს ისევ გზას შევუდექი. ხეობა დავიწროვდა, ხოლო ალაზანი ისე დაილია, რომ მისი ჩიფჩიფი ძლივსლა ისმოდა. ისევ იმის კალაპოტს მივდევდით და ბორბალოს მწვერვალს შევსცქეროდით, რომელიც კანკელივით მოსჩანდა უუზარმაზარ მწვანე ტალღებში. მერმე მარცხნივ გადავუხვიეთ. გზა ჯერ გაბილიკდა, მერმე ისიც წაიშალა და დაიკარგა. ხელუხლები ტყე გაულრანდა და ბინდ-ბუნდში ჩაწვა. აღარც სოფელი, არც ხმაური, არც სულიერი.

— ძმობილო, გზა ხომ არ აგვერია?

— დასწყევლა ღმერთმა!—ბუტბუტებს ნაჩაფრალი.—ბარე ხუთჯერაც ვყოფილვარ ამ ტიელ ტყეში. ეხლა კი...

ხან იკუზება, ხან უნაგირზე დგება; ზოგჯერ ცხენიდან ჩამოდის და სადღაც ჯურღმულში იკარგება. მერმე მეორე მხრიდან მაჩვივით ამოდის მიწიდან, თავს იქექავს და ნაკვალევს ეძებს. მაგრამ ამაოდ: არც ადამიანის ნატერფალი, აღარც ქაშანი, არც ნადირის ნაფეხარი.

მზეს შევსცქერით და გეზი ჩრდილოეთისკენ გვაქვს. მაგრამ აუვალ ფერდობებს და ხევ-ხუვებს დასავლეთისკენ მიჰყავთ ჩვენი დაღლილი თავები. დაღვარული ცხენები ძლივს-ღა მოათრევენ მოწყვეტილ ფეხებს. ხან ერთი წაიჩოქებს, ხან მეორე წაიბორძიკებს. მზე დასავალს იყო, რომ ერთ ღრმა ხეობაში ჩავედით.

— რა ვქნა, ეს მგონი ხევის ჭალა უნდა იყოს.—ამბობს ჩემი სანჩოპანჩო.

— ეხლა საით უნდა წავიდეთ?

— აბა რა ვიცი!

არც მე ვიცი. ეშმაკსაც წაუღია სპილენძის მადანი, ოღონდ სოფელს წავაწყდეთ და ღამე ჭერქვეშ გავათენოთ.

მშიან. საგზალი არ წამოვიღეთ. სადღაც თუშებთან ვაპირებდით მომარა-

გებას. წყალი დავლიეთ და მეოთხე თუ მეხუთე გოლგოთას შევუდექით. თხემზე რომ ავედით, გაოცებულნი შევდექით.

ჩამავალი მზე ფრთებგაშლილ, უუზარმაზარ წითელ [illegible] მიექანებოდა თვალხილულ სივრცის გადაღმა. ირგვლივ უსაზღვრო, უდაბური, მწვანე ოკეანე მთების, გორების, გორაკებისა და სერების. ამ ზღვაში თავწითელა ბორბალო ეხლა კუნძულს ჰგავს, უკვე მარჯვნივ წაწეულს, ხოლო კავკასიონის თეთრი გრეხილი—საარაკო ნაპირს, შორეულს, მიუვალსა და გარდუვალს.

ბოლს ვეძებ, მაგრამ არსად მოსჩანს. ძაღლის ყეფა მაინც გავიგონო. არც ის ისმის. ჩვენი ნავი—ორი კიცი და ორი ცხენი—მწვანე ზვირთის თხემზე დაიკარგა. ღამე მოდის,—შიშით, თრთოლვით და იდუმალებით სავსე. ღამე უტეხ ტყეში, შუა ზღვაში, ყრუ და უკაცურ უდაბნოში, სადაც არც საფარია, არც მშველელი,—გარდა ბუნაგებისა და მშიერი ნადირის!

— ღამე აქ უნდა გავათენოთ?—ვეკითხები ჩემს უგზო წინამძღოლს.

— მაშ რა ვუყოთ, უნდა გავათენოთ.—მეთანხმება სანჩო და უკვე ფიჩხს ეძებს. ცხენები საძოვნელად გავუშვით, კლდის ძირში ცეცხლი ავანთეთ, ნაბდებში გავეხვიეთ და გვერდით მივუწექით.

ჩემს მესაჭურჭლეს ხანჯლის გარდა არაფერი აქვს. მე თითის სიგრძე დანა მიდევს ჯიბეში. თუ ნადირი მოგვეტანა, ბუგუზლებით მოვიგერიებთ. ცარიელ კუპებსაც ზღაპრებით ვამშვიდებთ.

— იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა.. დაიწყო პანჩომ და კვლავ გამახსენა ილბისი, ოჩოპინტე, მაძახურა, დევი, ეშმა, ალი და ათასი ავი სული. მერმე პირიქეთელი ქისტები მომალანდა, პირაქეთ ათასობით რომ გადმოდიან და ყოველი ბუჩქის ძირას იმალებიან. შემდეგ ყაჩაღებიც მოაგონდა. ბოლოს, მგონი თვითონვე შეეშინდა და გაყუჩდა.

ღამე ჩამოწვა, მთის ღამე,—შავი ხავერდივით ბნელი და ვერცხლის კურცხალებით დაწინწკლული. თეთრი მთებიდან ყინულის ნიავი მოდის. ულრანი ტყე ღელავს, ფუსფუსებს და ღრმა ოხვრით ოხრავს. ქვეით ჭოტი გაჰკივის. აქვე ახლოს ფრთოსნები ფართხალებენ. წიფლის კენწეროზე ციყვი ცელლუტობს. ხევში თითქო დათვი ბუტბუტებს. სადღაც მაჩვი მიწას სთხრის და თანაც თითქო იფურთხება. ცხენები შორი-ახლოს ფრუტუნებენ. ცეცხლი გიზგიზებს.

უცებ გაღმა ხრიალი მოისმა. მერმე საზარელმა ხარხარმა ამოხეთქა, შემდეგ ის გიჟური სიცილი უძირო ხეობას სასოწარკვეთილ გოდებად და დრტვინვად მოედო. ბოლოს, ის თავგანწირული ვალალი და ძრწუნვა, ხევით-ხევამდე არეკილი, სადღაც წყვდიადში გადაიკარგა.

ციყვი გატვრინდა. ცხენებიც გაინაბნენ. ლულიდან გამოსულმა ნაჩაფრალმა წამოიწია და წაიბურტყუნა:

— აი, ეშმაკმა წაიღოს შენი წუწკი თავი, აჰა! შენი ავი ამოიჭამე, შენი!

ტურა გაჩუმდა. ჩემმა თანამგზავრმა ცეცხლს კუნძები დააყარა, ისევ აბედზე მისდო თავი და ახვრინდა. ცხენები ალარ ფრუტუნებენ. ალარც ჭოტის კი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილი ისმის, არც ციყვის ფაჩუნი და აღარც ფრინველთა ბუტტყული. მხოლოდ შეშა ტკაცუნებს. ტყე ჩურჩულებს. ნიავი ფუსფუსებს.

ბძიმე ძილი დააწვა ყველას და ყოველივეს.

* * *

მეორე დღეს კიდევ გადავლახეთ ორი სერი; და მესამეზე რომ ავედით, ისე გაგვეხარდა, როგორც რობინზონს, როცა მხსნელი ხომალდი დაინახა. ჯერ ბოლის სვეტის თავს მოვკარით თვალი, მერმე დიდსა და მწვანე ქვაბს გადავხედეთ. ჩვენს ფეხქვეშ ტაფობი იწვა, ირგვლივ გორაკებით შემოვლებული. შუაში—პატარა სოფელი, ისიც სათიბებით და ნათესებით შემორტყმული. შორეული ძალლის ყეფა და კვიცის ჭიხვინი შემოგვესმა. ჩვენმა ცხენებმაც ჭიხვინ-ფრუტუნით გადასძახეს და ნაბიჯს მოუხშირეს. მალე ბილიკს წავაწყდით, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ ტყის ნაპირზე გავედით.

უცებ მეხუთე თუ მეათე საუკუნეში გავჩნდი. იქვე—გაუთლელი ლოდებისგან ახუხულებული, საქათმის-ოდენა ნიში. გვერდით—დროშა, ახოვანი მედროშე და ასი წლის დეკანოზი თუ ხევის ბერი. დროშისა და დეკანოზის წინ—რკინით შეჭედილი ოცეოდე ლანდი „ჟამთა წარსულთა“: ჩაფხუტებით, პერანგებით, სამკლავეებით, სამუხლეებით, მრგვალი ფარებით, დიდი დაშნებით, ბუნგრძელი შუბებით და ბუნმოკლე სათხედებით. ირგვლივ—ჭაბუკები და ყრმები, ისინიც ხანჯლებით, შვილდ-ისრებით, კაპარჭებით, ხის მუზარადებით, კაჟიანი თოფებით და გრძელი ხმლებით, რომელნიც ტანმორჩილ ბალღებს მიწაზე დასთრევდნენ. შორიახლოს დედაკაცები იდგნენ. ცოტა მოშორებით რამდენიმე ცეცხლი და ბოლ-ორთქლში გახვეული უუზარმაზარი ქვაბი.

დეკანოზი თუ ხევის ბერი სამწყსოს არიგებდა:

— აი, ხალხნო: ვინაც იშუღლებთ, წინ-წინ შუღლა გამხდელს დაგაკვლევთ კურეტს. ხანჯრის დამკრავს—კურეტს, სათითით მცემელს—ვერძს, ცალე ხელით მცემელს—ცხვარს. იცოდეთ ყველამ...

ცხენები ხის ძირში გვყვანდნენ შეყენებული. ძალლები ჟეფით გამოქანდნენ. ძალლებს პატრონები დეედევნენ,—საჭურველის ჟღარუნით და „ჰაი-ჰაის“ ძახილით.

— გამარჯვება, ხევსურებო!—მივაძახე.

ხევსურები ისე აირივნენ, თითქო ციდან სულიერი ჩამოვარდაო. ჩოჩქოლი და ჩურჩული ასტეხეს. ზოგნი კი ჩვენსკენ გამოიქცნენ.

— გიშველას გამარჯვებულმ

— წყალობა მაგვიტანე მგზავრის ანგელოზისა, წყალობაი!

— თუ ქრისტიან მოყვარ იქნების, მოგვიხ მშვიდობით. ჯვარიონ გვაქნ, ჯვარიონ.

— ქართველ იქნებივ თუ ურჯული?

კითხვა-სალამს ერთმანეთზე გვაყრიან. მაგრამ მე პასუხს ვერ ვაძლევ. ჩემი თვალი და გულისყური ერთმა ახოვანმა რკინის კაცმა მიიჯაჭვა. დინჯად მოდის და მაშტერდება. ფარიანი ხელი დაშნის ვადაზე აქვს დაყრდნობილი. მეორე ხელით ჯაჭვის პირსაბურავი აუწევია. ვხედავ იმის ლომურ პირისახეს

რკინის ჩარჩოში ჩამჯდარს, და ლომის კუდის-ოდენა ქერა ულვაშებს, ყურებამდე რომ სწვდებიან.

— „ღმერთო ჩემო,—ვფიქრობ და ვიღიმები,—ის

[illegible]ნუ თუ? მართლა?.. ვითომ?“—და მგლური კბილები რომ გააელვა, [illegible] მიკაძახე:— ჯურხა! ძმაო ჯურხა!

— მე ვარ, ვაჟიკავ, მე!

და დათვური ბაჯბაჯით გამოიქცა. ფეხი მიწაზე აღარ დამადგმევინა: რკინის მკლავები მომხვია, ნერკინულ მკერდზე მიმიხუტა და გაოცებულ ცხენიდან წისქვილის მსგავსი რახუნ-რახრახით გადამიტაცა.

II

თხუთმეტი წლის ჯურხა ოდესღაც ისე შემოვიდა დედა-ქალაქში, როგორც იმ მნათობიდან ამ ქვეყნად ჩამოვარდნილი სულიერი: ხევსურული სირმებით დახაზული, ჯვაროსნული ჯვრებით დაწინწკლული, თხემით-ტერფამდე გაპოხილი, მბზინავი და ბავშვური გოცებით გატენილი. ხელში სქელი კომბალი ეჭირა, წელზე—გრძელი ხანჯალი, ცერა თითზე—კბილებიანი საცერული—„ლაჯია“, და ზურგზე—გუდა, ხოლო გუდაში—გაქონილი წიგნები, ერბო, ყაურმა და ხმიადი.

ვერის-ხევს რომ გამოსცდა, უუზარმაზარ ჯვარს წააწყდა. რკინის მოაჯირს გადაალაჯა, ქვის კვარცხლბეკზე აცოცდა და ჯვარს ემთხვია. მერმე ისევ ჩამოცოცდა და გზას გაუდგა. შუა ქუჩაზე პირღია მიდიოდა და გაოცებისგან თანდათან იბანგებოდა. უცებ შესდგა და ფეხებ-წინ ოთხ რიგად გაჭიმულ რკინის ლარებს დააშტერდა.

ღმერთო ჩემო! ჯურხას ხევსურეთში ნალის ნატეხიც კი ენატრებოდა. აქ კი, ამოდენა რკინა დაუყრიათ გზაში. ზოდს დასწვდა და წვალება დაუწყო, თან დათვურად გაუგებარს ბურტყუნებდა. იმავ წამს ზარის ხმა მოესმა. აიხედა და გარეული ზაქივით დაფრთხა: ერთი გაკრიალებული ქოხი ელარუნ-ხრიალით პირდაპირ ჯურხასკენ მოდიოდა. ქოხის წინ ვილაც იდგა და ხევსურს რაღაცას უყვიროდა. მთიელი მიტრიალდა და კუნტრუშით გაიქცა. კუთხიდან უუზარმაზარი ვარცლი გამოვარდა,—ისიც კრიალა და თვლებზე შემდგარი. იმ ვარცლმაც მიქელ-გაბრიელის ღოროტოტოსავით დაულრიალა. ჯურხა დაბორიალდა: ხან ეტლს წააწყდა, ხან ისევ ავტოს შეეფეთა, შემდეგ ცხენოსანს მიეხეთქა. ბოლოს, რელსებზე გაიშალა, ზედ-წამდგარ რონოდას ტლინკები დააყარა და განწირულ მოზვერივით აბღუვდა. ვარცლი და ქოხიც შესდგენ. ჯურხა კი წამოხტა, ისევ გაიქცა და თან ხალხის ხარხარი გაიყოლა. მერმე ვილაც კინტოს ჩაუვარდა მკლავებში.

— ვაააფ, ბნელა?—მშვიდად ჰკითხა კინტომ და მეორეს გადაჰხედა.

— ვის ეძებ, ძმობილო?—ჰკითხა მეორემ.

ჯურხა მიმავალ როდონას უბღვეროდა და მთიულურად სწყევლიდა:

— ჰაი შე უჯილაგოვ!.. შმორო!.. დამპალო!.. ნიავის საღვერაო!.. უჯიშო!

ვირ იყოს შენის მკვდრის უნცროსი, ძალლ იყოს, ციცაი, ჯორაკაი! სად წამიხოლ? ისე გონავა რო შამაშინებავ?! არ შაგარჩენსავ, არა!

ემუქრებოდა და თანაც კომბალს უღერებდა. მერმე კინტოებს მოუბრუნდა და აჰყვა.

რა ღვთისნიერ ხალხს წააწყდა ჯურხა! ყოველივე გამოჰკითხეს და გაიგეს: ჯურხა თავის ბიძასთან ჩამოვიდა, ტოტიასთან, ტოტია წიკლაურთან. მაშ იცნობთ ტოტია შხერხავს?

კინტოები, რა თქმა უნდა, იცნობენ ტოტიას.

— შაგეწივნ ლაშარის ჯვარი, შაგეწივნ!

მაგრამ სანამ ამბის მიმტანს,—„მაწევარს წაღლალავენ", თითო არაყი უნდა დალიონ და ხევსურს ძმად უნდა გაეფიცნენ.

მიუხვ-მოუხვიეს და დუქანში შევიდნენ. ჯურხა „აწყალობნებს" მასპინძელ კინტოებს და წამდაუწუმ ახსენებს ლაშარის ჯვარს, ბარისახოს დროშას, ხევის ბერს, მთავარანგელოზს და ხევსურთა წმიდანებს — ხატებს, ნიშებს და საფიცვარს.

სასაფლაოზე გამოეღვიძა. აღარც მასპინძლები სჩანდნენ, არც გატენილი გუდა. ერბო რა დასანანი იყო, მაგრამ გაქონილ-დაფლეთილი „დედა ენა" და „ბუნების კარი" სადღა იშოვნოს ხევსურმა!

— შმორო! უჯიშო! ნიავის საღვერაო! ვირ იყოს თქვენი მკვდრის უნცროსი, ციცაი, ჯორაკაი! სად წამიხოლთ, სად? ისი გონავა რო შაგარჩენსავ?!

ის დღე და ღამე დედა-დაკარგულ კვიცივით იბორიალა. მერმე მე წამაწყდა. მხერხავი ტოტია მტკვრის ნაპირზე ვიპოვნეთ. ერთ სამხერხაოში დარაჯად ჰყავდათ. ისე მიეგებნენ ერთმანერთს, თითქო ერთი დღის უნახავნი იყვნენო: დინჯად, მშრალად, გულგრილად. მრავლად მოიკითხეს ნათესავები: მინდია და გაგა, აპარეკა და ბაიკა, წიქა და დათვია, მგელა და ძილუკა, სამძიმარა და თია, ნანუკა და კმარა.

ტოტიას კაცი შემოაკვდა და აუცილებელ შურის ძიებას მოერიდა. გავაჭრებულმა მთიელმა ძიძიგურმა შეიკედლა და სამხერხაოს დარაჯობა ჩააბარა. ტოტიამ ჯალაბობაც ჩამოიყვანა: ცოლი იამზე და ორი პატარა ქალიშვილი,— თორმეტი წლის მზექალო და სამი წლის ხათუთა.

ერთ თავგანწირულ ადამიანს ბარისახოში დიაკვნობა ეკისრნა. ჯურხას სწავლის ქავილი გაუჩნდა. იმ დიაკვანს ბიებარა და წიგნებს ხინკალივით ჰყლაპავდა. მერმე, საკვები რომ გამოელია, და ერთი ხევსურიც შემოაკვდა, მგელას გამოეპარა და ბიძა ტოტიას მოადგა.

ხევსურების სული, კილო და ქვეყანა ისევე უცნაური იყო ჩემთვის, როგორც ემარის და კუპერის წითელკანიანები. ამიტომ შევეჩვიე ტოტიას ქოხს. ოჯახის თავი, ჯურხა და იამზე ქალაქშიც არ იცვლიდნენ ხევსურულ ადათებს, კილოს და ტანთსაცმელს. იამზე კვლავ ატარებდა მანდილს, სათაურას, ვერცხლის შიბს, ჯუბას და ქათიბს—„ფაფანაკს". კოკოშის ქვეშ ბურნუფს ინახავდა, ხოლო ჯუბის ქვეშ—ხევსურული ძროხის ცურის-ოდენა ძუძუებს.

ტოტიას თან წამოელო თვისი სრული საჭურჭელი: ჯაჭვის პერანგი, პირ-

საბური, ჩაფხუტი, დაშნა, ფარი, შუბი და კაჟიანი თოფი. ეს საბურველი კედელზე ეკიდა. შაბათობით, როცა დილამდებოდა, ტოტია იმ რკინეულს აისხავდა და ბნელ ეზოში იმ ქვეყნიდან დაბრუნებულ ლანდივით დაიპარებოდა. მთვარის შუქზე რკინის მოჩვენება შორეულის ანარეკლივით ბზინავდა და უცაბედ მავალებს აფრთხობდა. ზოგჯერ კაჟიან თოფს უხილავ მტერს უმიზნებდა და ჩახმახს აჩხაკუნებდა, ზოგჯერ კი დაშნას აპრიალებდა, უჩინარს რისხვით შეუტევდა, თანაც ფარს შეაშველებდა და ფუტკრისგან დაკბენილ დათვივით ბურტყუნებდა:

— უჯილაგოვ!.. შმორო! . დამპალო! შასდექ, თუ ციცაი არა ხარ!

და ბნელ ეზოში ყრუდ მოისმოდა ფარისა და დაშნის რახუნი, ჯაჭვის ქლარუნი და ბრძოლის ყიჟინი.

ჯურხა რომ ჩამოვიდა, ტოტია გამოცოცხლდა: ტოლი იპოვნა და მეფარიკე გაიჩინა. ხან ერთი ჩაიცვამდა იმ აბჯარს, ხან მეორე. ერთს რომ მახვილი და რკინის ფარი ეჭირა, მეორეს უბრალო ჯოხი და ტოტიას ნაცოდვილევი ფიცრის ფარი ჰქონდა ხელში. პოლიციელს და მეზობლებს შიშისგან გულები ელეოდათ. მერმე კი ძლივს შეეჩვივნენ მეხუთე თუ მეათე საუკუნის რაინდებს, შეტევის შეძახილს, იარაღის ჩახუნსა და რკინის ქლარუნს. ფარიკაობის დასასრულს ეზოში რამდენიმე გადაჭრილი და დაკოტნილი ჯოხი ეგდო, ხოლო მეორე დილით მიწაზე სისხლის წვეთებიც მოსჩანდა. ძეძიგურის მასალიდან ტოტია ახალ ჯოხებს და ფარებს ამზადებდა, ჯურხა კი ისევ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. იამზე დოსტაქროობდა და მსაჯულობდა: იარაში ქერის მარცვლებს ჩააწყობდა და გაზომავდა. ვისაც ნაკლები განაკაწრი ჰქონდა, გამარჯვებაც იმას ერგებოდა. თუ მარცვალი ჭრილობაში ჩაიმალებოდა, დამჭრელი, — „ციცაი და ლაჩარი", — სირცხვილით იწვოდა. ორივეს მუდამ მალამოს სუნი ასდიოდათ და თაეპირი და ხელფეხი ხუთგან მაინც ჰქონდათ შეხვეული.

ჯურხამ ვაჟიკა დამარქვა, და იმ დღიდან ხევსურებმა ჩემი ნამდვილი სახელი დაივიწყეს.

ტოტიას უმფროსი ქალიშვილი — მზექალო სკოლაში დადიოდა, ხოლო ჯურხა მე ავიკიდე. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკები ვიყავით. მე გიმნაზიას ვათავებდი, ის კი ხუთი წლით მაინც იყო ჩამორჩენილი. მაგრამ ისეთი ნიჭიერი და ბეჯითი გამოდგა, რომ ერთ დღეში ერთი კვირის გაკვეთილებს ინელებდა.

ჯურხას მამა — მგელა შვილის ჟინს შეურიგდა და ფულის მაგიერ ერბოს და ძროხებს უგზავნიდა. ჩემმა შეგირდმა ერთხელ ჯილდოც მომართვა: ერთი კასრი ერბო მომიტანა და კარზე ძროხა მომაყენა. ერბო მივიღე, ძროხა კი დავუბრუნე. იმ დღიდან ერბო აღარ მელეოდა, ძროხა კი რიყეზე იყიდებოდა.

ჯურხა ამიხირდა: ძმადნაფიცები ვნდა გავხდეთო. უკვე ძმები ვიყავით, მაგრამ ფიციც დავდეთ. ტოტიას ქოხი იმ სალამოს ლაშარის ჯვარს ჰგავდა, ხოლო თვითონ ტოტია — ხევის ბერს თხემით-ტერფამდე ისევ რკინით იყო შეჭედილი. ფარჩისგან პატარა დროშა შეემზადებინა, ზედ ორი პაწაწა ეკვანი ჩამოეკიდნა და დროშის წვერზე ხის ჯვარი დეედგა. ის ალამი შეაქლარუნა და სახეიმოდ გაიჭიმა. ჯერ მომესალმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგვიხვე მშვიდობით! წყალობა ლაშარის ჯვარისა. წყალობა! წალმ მაგეგებას ჩვენის ჯვარის დავლათი!

მერმე მოგვისებური დარიგება მოგვცა:

— ფიც-ვერცხლ ნაჭამ ძმას არ ეღალატების.

ძმად-ნაფიცები ნამდვილი ძმები არიან. ორივეს ვითომ ერთი ძუძუ უწოვნიათ, ერთის სისხლიც მეორესია, ჭირიც, ლხინიც და სიცოცხლეც.

შემდეგ იამზემ რძით სავსე თასი მოიტანა. ტოტიამ ხანჯლის ქარქაშის წვერს ვერცხლი ჩააფხიკა თა'ში, ორივენი დაგვაჩოქა და ცალ-ცალკე დაგვამწყალობა:

— ორთავეს მოგცალთ წყალობაი ლაშარის ჯვარმ. ნუ მაგი'შალას მტერთან ხმალი და გამარჯვება! თუ ჩემის ხელისა გეკადრებოდას, შეგინდნას ეს თას, შაგარგოს და მაგახმარას!

მე და ჯურხამ თასი გამოვცალეთ და ერთმანერთს გადავეხვიეთ. მერმე ლხინი დაიწყო: ვჭამდით წვნიან ხინკლებს, მსუქან ყაურმას, დამდნარ ერბოში ამოვლებულ ხმიადს, და თასებით ვსვამდით კახურ არაყს და იამზესგან დიდ ქვაბში მოხარშულს ქერის ლუდს. ბევრი ვეხვეწე ტოტიას, მაგრამ ხევსურული ჩვეულება წმიდად შეასრულა: მე, სტუმარს, ცალ მუხლზე დაჩოქილი მემსახურებოდა და ამბობდა:

— სტუმარ-მასპინძლობის წესი დასავიწყ არ ას. დალიე, ვაჟიკავ, დალიე.

კარგად რომ გავიჭყიპეთ, თორმეტი წლის მზექალო ფანდურით მომიჯდა და მიმღერა:

თავს ვერ გაგიხრით ხევსურნი, უნჯნი ყმანი ვართ შენნია;
თეორს ვინც აიღებს ხევსური, ვინაც მახკიდას ხელია,
გაუწყრას, ნეფეე ერეკლეე, ის სალოცავი ჩვენია!
დეემზადენით ხევსურხო, ჩაჩქნებ დაიდვით თავზედა!
თათრების მალოდინი გვოქვ, განთ ვასხევართ ლუდის სმაზედა?
გაგვიძეეო, ნეფე ერეკლეე, წავდგათ კრწანისის გზაზედა!"

სანამ მზექალო მღეროდა, ტოტია მალვით ცრემლს იწმენდდა. მერმე მომიბრუნდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ნეტა სად იქნების ახლა ნეფე ერეკლეს მამკვიდრე ბატონისშვილი? არ იცი, როდის ჩამავა საქართველოში?

* * *

ქალაქელები ჯურხას სავალს არ აძლევდნენ და იშვიათ ნადირივით ათვალიერებდნენ. ასჯერ ვურჩიე ტანისამოსის გამოცვლა, მაგრამ ტოტიაც და მისი ძმისწულიც მუდამ ერთს იმეორებდნენ:

— მამა-პაპაის ადათს არ ეღალატების.

ბოლოს, ბიჭ-ბუჭებისგან დატანჯული ჯურხა მოტყდა: სირმიან-ჯვრიანი ხევსურული გაიხადა და ქართული ჩოხა ჩაიცვა. მაგრამ თითიდან საცერული მაინც არ მოიხსნა და არც ყელამოჭრილი ახალუხი მოიშორა.

იზრდებოდა ჯურხა, სული და ხასიათი კი ისევ ბავშვური ჰქონდა: მინ-

დობილი, ხალვათი, მუდამ გაშლილი და გაოცებული. რონდებს ალარ გაურ-ბოდა, თუმცა ზედ ასვლა მაინც ვერ გაბედა. ავტოს კი ისევ უბეზეროდა და ერიდებოდა. პიანინოს ეშმას ფანდური დაარქვა, ლითონის საკრავებს და ბახ-ტებს—რუსული ლოროტოტო, აჭრელებულ მოხელე-გენერლებს—ჭრელა, ხოლო სტამბას—საბეჭდელა.

ერთხელ „ღალატი" ვაჩვენე. ჯურხას სახე და ტანი უცოდველი საოკე იყო იმ დრამის. ხევსურის სახეზე ყოველივე უმალ ჰპოულობდა პიროვნულ ანა-რეკლს: მადლი და ბოროტება, გმირობა და მზაკვრობა, სასაცილო და საგოდე-ბელი. ხევსური ხან რახრახებდა, ხან ჰკვნესოდა, ხან მხნეობდა, ხანაც ჰგმინავ-და, თან ხელფეხს იქნევდა. იმუქრებოდა და მოუსვენრად ცემუტავდა. ბევრს ვარიგებდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, ერეკლემ რომ ღალატი იკადრა, ხევსურმა ველარ მოითმინა: წამოვარდა, სცენისკენ გაიწია და აყვირდა:

— ჰაი, შე მალალატევ შენა! უჯილაგოვ!?. დამპალო!.. მახკალით ეგ ციცაი, მახკალით!

წარმოდგენა ხუთიოდე წუთით შესწყდა. მსახიობნი აირივნენ, ხალხი აიშა-ლა. ხევსური ძლივს დავამშვიდეთ და ცხადი და მოჩვენება ძლივს გავარჩევი-ნეთ. ერთხელ კიდევ მაინც იფეთქა: როცა მეტეხი აფეთქდა, ჯურხა ისევ მო-სხლტა, სცენაზე აბობღდა, მედროშეს დროშა გამოსტაცა, ალტაცებით ააფრია-ლა და გამარჯვების საერთო გუგუნი დაჰფარა:

— გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!

შემდეგში ველარ გავბედე შფოთიანი ხევსურის აყოლება. მაგრამ თვითონ-ვე გაიკვლია გზა და უფასო სტატისტად ჩაეწერა, მხოლოდ ერთი პირობით: სცენაზე ისე არ გამოვიდოდა, თუ ხელში დროშას არ მისცემდნენ, ან იარაღში არ ჩასვამდნენ და რამე საგმიროს არ გამოაჩენინებდნენ. ხოლო როცა „გაუმარ-ჯოს"-ის დრო მოვიდოდა, ჯურხას ქუხილით და ხარხარით თეატრი ჭერამდე იტენებოდა და ზანზარებდა.

* * *

ჯურხას თავში ერთმა აზრმა დაიბუდა: ფრანგების ქვეყანა უნდა ვნახოო.

და იმ დღიდან ფრანგული ლექსიკონი ხევსურის უბიდან ველარ ამოვიდა. სამაგიეროდ რუსულს დაუკლო.

გულუვიწყი მთიელი ისტორიას ჩაუჯდა. „ქართლის ცხოვრება", ყაზბეგის წიგნი, როსტომიანი, ვაჟა ფშაველა, ყარამანიანი, აკაკი და ილია თითქმის გაი-ზეპირა.

ერთ ხანს სასახლის მიდამოებს შეეჩვია. მერნე გამომიტყდა:

— ნამესტნიკ უნდა მახვკლა.

ძლივს დავაჯერე, რომ რევოლუციის დალმართზე ჯურხას ვაჟკაცობა ნა-ყოფს ვერ მოგვიტანდა.

ტოტია სამხერხაოს ეზოში კვლავ ფარიკაობდა. იამზე ლუდს ხარშავდა. შაბათობით ხევსურის ქოხში „ღრეობა" იმართებოდა. დამდნარ ერბოში დაცუ-

რავდით და ქერის ლუდით ვიჭყიპებოდით. მზექალო ფანდურს აფრატუნებდა და მობობებული ხმით ისევ კრწანისსა და ბაგრატიონებს დასტრიალებდა:

„ერეკლეს ცხენი ჩაიქცა, ყმანი სხვას მიღგვრიდიანთ
რაშზე შესვიან მსახურთა, ავქანტას უჭერდიანო“.

* *
*

ერთხელ თვალი ავახილე: მზექალო თითქო ერთ ღამეში დამწიფებულიყო. თოთხმეტი წლისა იყო, მაგრამ გასათხოვარ ქალისას აღარაფერი აკლდა: არც ტანი, არც მკერდი, არც თეძოები.

იამზე ხინკალს ხარშავდა. ჯურხა საფარიკაო ჯოხს სთლიდა. მე კი დასრულებულ მზექალოს შევსცქეროდი და პირველი ზვირთით ვღელავდი. კედელთან ასვეტილი მზექალო ფანჯრიდან ეზოს გასცქეროდა. ხოლო მეორე „ქალუკა“, ექვსი წლის ხათუთა ხან მე შემომცქეროდა, ხან მზექალოს აშტერდებოდა და ეშმაკურად იღიმებოდა. მერმე მოსხლტა, მუხლებზე ამომაცოცდა, კისერზე მომეხვია და ჩამჩურჩულა:

— ჯულხამ მზექალო დალიშნა.

— მართლა?

— ლაშალის ჯვალს ვფიცავ, დალიშნა. ეხლა მე და შენ დავილიშნოთ.

გავიცინე, გადავკოცნე და გავიკვირვე: რატომ არაფერი მითხრა ჯურხამ? რად დამიმალა? მხოლოდ შემდეგ გავიგე: მგელა თურმე მთებიდან უთვლიდა, ჯერ მოიცადე, ადრეაო. უჩემოდ „ლიშნობაი“ არ გაჰბედოო.

ჯურხა უჩემოდ ველარ სძლებდა. დღე არ გავიდოდა, რომ ორი გროშის ხილი ან სხვა ტკბილეული არ მოეტანა. სანამ ჩემს გაკვეთილს შევამზადებდი, კუთხეში თავის გაკვეთილს ამზადებდა. სტუმრად რომ წავიდოდი, უეჭველად მიმაცილებდა. თუ ამხანაგებს ავყვებოდი, ჯურხაც ლანდივით ამყვებოდა. სადაც უნდა ვყოფილიყავ, ძმად-ნაფიცი შორი-ახლოს მეგულებოდა. დამდევდა და თავს იმართლებდა:

— ფიც-ვერცხლ ნაჭამ ვართ. აბეზარ ხალხ ბევრ ას ქალაქში, არ გაგაფუჭებდეს ვინმეი, თორემ ცოდო მე დამედებივ.

მე სწავლა დავასრულე, ჯურხა ერთ ჩემს მეგობარს გადავეცი და რუსეთში წასასვლელად შევემზადე. უკანასკნელი საღამო გავატარე მტკვრის ნაპირას— ტოტიას ციხე-კოშკში, და უკანასკნელად ვნახე ფარსმან მეფის დროინდელი ლანდები, რკინის ჯავშან-საჭურველი, დაშნისა და ფარის კოიალი, მოგონება და შეტევა. ერთხელ კიდევ ვიგემე ხინკალი და ლუდი, ხმელი ხმიადი და დამდნარი ერბო, მსუქანი ყაურმა და კახური არაყი. მზექალომ სამგზავრო ჰანგი მიმღერა. იამზემ განიერ მკერდზე მიმიკრა. ტოტიამ დროშა გაშალა, ეკვანები ააჟღარუნა და გზა დამილოცა:

— ჩვენი პურნარილ დასავიწყ არ ას. არც შენი მადლ ას დასაკარგველ. ლაშარის ჯვარიმც იყოს შენი შამწე და მწყალობელ.

პატარა ხათუთა კისერზე ჩამომეკიდა და ატირდა. ძლივს მოვსწყდით ერთმანერთს. ჯურხა სდუმდა და საკუთარ ფეხებს უბღვეროდა. მხოლოდ სადგურზე

მომეხვია, ნეკნები ამიტკაცუნა და ორი წლის ბალლივით ატირდა. შერცხვა ხევსური, რამეთუ „ტირილ დიაცთა ხვედრ ას“.

თვეში ძმად-ნაფიცისგან ორი წერილი მაინც მომდიოდა. ერთი წერილი ავსტრიის ტიროლიდან მომივიდა. მწერდა:

„საქონლის საქმე უნდა შეაისწავლო. ხევსურთ გამაადგებივ. მეწველ ბევრ გვყვანან. ბოსელში რაი გინდა? სამოთხეში წამადი. აქაურ ხალხ ხევსურებ ჰგვანავ. ვაჟკაცებ ას და პატიოსნებ. ვაჟიკავ, უშენოდ ძალიან მამწყინდის. მთაში ძმაი მყავს, მაგრამ ნამდვილ ძმაი მარტო შენ ორავ. ლაშარის მადლ ვფიცავ, უნდა წამახვიდე. თუ შენ არ მახველ, ეშმას მივაფურთხებ და მე თვითან ამავალ მანდ, მარტო შენი ნახვისთვის, თორე ჩემი ფეხ მანდ არ იქნებოდის. ვაჟიკავ, შენი ძმად-ნაფიცი გელოდების“.

ეს იყო ჯურხას უკანასკნელი წერილიც. ომის მეხი ჩამოვარდა და ურთიერთს მოგვწყვიტა.

შვიდი წელიწადი გავიდა. ბრძოლის ქუხილი შენელდა. ტფილისში რომ დავბრუნდი, უმალვე სამხერხაოს მივადექი. ტოტიას ქოხში ლტოლვილი იეზიდები იდგნენ. ძიძიგური მომკვდარიყო. ბევრი ვიკითხე, მაგრამ ვერც ტოტიასი გავიგე რამ, ვერც ჯურხას კვალს მივაგენი.

— წავიდნენ... არ ვიცნობთ... არ გაგვიგია.

კიდევ გავიდა ხანი. ვფიქრობდი: თუ ჯურხა ცოცხალია, მოშძებნის. მაგრამ ალარ გამოჩნდა. ბოლოს გადავწყვიტე: ძმად-ნაფიცი დამეკარგა. ან მსოფლიო ქარტეხილმა მოუგრიხა სადმე ამაყი კისერი, ან საქართველოს სასლვრებზე დაიღუპა, ან კიდევ... ერთი სიტყვით, დამეკარგა ქერა გოლიათი!

III.

რკინის მკლავებმა რამდენჯერმე მომიშვეს, ამომასუნთქვინეს და ნეკნები კვლავ ჩამიზნიქეს.

— ვაჟიკავ!.. ჩემო ძმად-ნაფიცო ვაჟიკავ!—მდულარე ხმით ბურტყუნებდა ჩემი ნაპონვი ძმა.—ცხად ხარ თუ ნაჩვენებაი?—მერმე გამიშვა და თავისიანებს მიუბრუნდა:—აი, ხალხნო, ეს გეცოდინებოდასთ ყველას: ვაჟიკაი ჩემი ძმაი ას. ფიც-ვერცხლ ნაჭამ ას ჩემთან. იმოდენა მადლ დაუდვივ ჩემზედა, რო ამის ვალით ვერ ამოვალ, თუნდ კაბეთიც რო ჩემი იყოს და ვაჩუქო. ძმად მიიღეთ, ხალხნო, და ჩემივით ნდობაი მაეცით.

— მიგვიღის, მიგვიღის!—იგრიალეს ხევსურებმა და გზა მოგვცეს.

ხევის ბერიც წყალობით დამიხვდა:

— მოგვიხე მშვიდობით! წყალობა ლაშარის ჯვარისა, წყალობა!

— გამარჯვება, ვაჟიკავ!—მომესმა რამდენიმე მხრიდან.

— ტოტია!.. ნგელა!

აგერ, ტოტიას ცოლიც მოდის. ოდნავ დალარული. მაინც სავსე ხონჩასავით მოაქვს ცურებით სავსე მკერდი.

— გამარჯვება, იამზე!

— მოგვიხვე მშვიდობით, ვაჟიკავ, მოგვიხვე!

იამზეს ორნი მოჰყვნენ. ღმერთო ჩემო!

— ჩემი ცოლ ას, ვაჟიკავ, ჩემი ცოლ.— მეუბნება ჯურხა.

ძმად-ნაფიცის ცოლი—მზექალო—მკერდზე მივიხუტე. ხათუთას კი ხელი ველარ გამოვართვი. ყველანი მეხვევიან და მეკითხებიან: როგორა ვარ? საიდან მოვდივარ? ან გზა როგორ ვიპოვნე?

მე ვიღიმები. რალაცას ვბუტბუტებ და ხათუთას თვალს ველარ ვაშორებ. ჩემს წინ ცოცხალი ბუნება სდგას: ლაღი, სავსე და გაშლილი. ლოყები—ატმის ფერი; პირი—გაჩეხილი ბროწეული; კბილები—იმ ბროწეულში ჩაწყობილი უგარსო ნუში; თვალები—ორი დიდრონი მაყვალი, ხოლო თმა—მაჯის სისქე ოთხი თუ ექვსი ნაწნავი, თითქო მუქ ქარვაში ამოვლებული. ტანითაც იამზეს მისდევდა: მალალი, სრული და მკერდიანი.

გამოვტყდები: ქალაქელმა ქალებმა კბილები მომჭამეს. ჩემს თვალში უკვე გახუნდა მშვენება ტანთხელის, გაცრეცილის, მოსნეულო და ეთეროვანი ქალისა. მომბეზრდა უსისხლო და მშლე სხეული. ამიტომ მეცნენ თვალსა და გულში ლაღლაჟა და სისხლიანი ქალუკები და ვაჟიკები,—ტოტიები და ჯურხები, შუქიები და ლელიკები, თუთიები და ხათუთები.

მთელი სოფლის ხევსურები ჩემს გარსშემო ტრიალებენ და ცოცხალ ოჩოპინტესავით მსინჯავენ. მოკლედ უამბე წიკლაურებს გზის არევა. ისიც ვუთხარი, ქალაქში ბევრი გეძებეთ მეთქი, და ჯურხას საყვედურიც მივეცი: თუ ცოცხალი იყავი, რატომ ხმა არ მომეცი მეთქი. თავი იმართლა: ადრე მოგიკითხე, მაგრამ შენი კვალი ვერ ვიპოვნეო; ეხლა კი, აგერ ოთხი წელიწადიც იქნება, ქალაქში აღარ დავდივარო.

ხევსურებს ფარიკაობა გაეთავებინათ და ღრეობისთვის ემზადებოდნენ. ზოგმა აბჯარ-საჭურველი მოიხსნა და შინ-ნაქსოვი გამოიჩინა. სუფრა—მწვანე ბალახი—მზად იყო. სკამების მაგიერ თავიკაცებისთვის—ხუთიოდე სიპი ქვა. ძალით დამსვეს სუფრის თავზე. ირგვლივ მომისხდნენ ხევის ბერი, მგელა, ტოტია და გაგა. ბალახზე ჰყრია ხმიადი, ჭადი, ხაჭაპური, ქადა, ყველი და ცივი ყაურმა. თასებით სდგას გამდნარი ერბო. უუზარმაზარი ქვაბებით მოგვიდგეს მუქი ლუდი. პატარა ჯამებს ავსებენ შინაური არაყით. განზე, დამკლავებული მზარეულები ორთქლიან ქვაბებს დასტრიალებენ, სადაც იხარშება ხინკალი და ძროხის ხორცი.

ოციოდე ნაბიჯზე ქალებისთვის მეორე „სუფრა გაიშალა". შემთხვევით თუ განზრახ, ხათუთამ ისეთ ალაგზე მოიკეცა, რომ პირი ჩემსკენ ჰქონდა და მუდამ ერთმანერთს ვხედავდით.

მიმზერდა და მიცინოდა. და იმ დღიდან საჩემო ღიმილი დასახლდა ხათუთას მაყვალა-თვალებში და ბროწეულის ტუჩებზე.

ღრეობა იწყება.

ჯურხა აჩრდილივით დამდევს, ბავშვივით ზემომხარის და მალი-მალ მეუბნება:

— ბევრ მაქვს სათქმელი, ვაჟიკავ, ბევრ!

მე ვეკითხები:

— ჯურხა, რატომ არ დაჯდები?

ვერა, ჯურხა ვერ დაჯდება. ასეთია მთის ადათი. ჯურხა მასპინძელია და მე უნდა მემსახუროს. ვერც ჩემმა მუდარამ გასჭრა და ვერც მუქარამ, მესამედ დამსვა და თავთ დამადგა. მერმე ცალი მუხლით დამიჩოქა და არაყით სავსე ჯამი მომაწოდა. წელანაც ტყუილად ავიხირე: ჯურხა ხევსურია და ხევსურული სიკერპით ასრულებს ყოველ ადათს—წვრილმანსა და მსხვილმანსაც. თასი მომცა და მითხრა:

— ჯვარ დაგიწერას ღმერთმ, ვაჟიკავ!

მე ჩვენებურად დავილოცე: ვუსურვე მრავალი საქონელი, ჯანმრთელობა და მშვიდობა. მერმე ას-ოცი წლის გაგამ დაგვლოცა და ხევსურული ენამჭევრობა გამაგონა:

— სოფლელნო! გამარჯვება ჩვენს ჯვარსა და იმის წყალობა გქონდასთ თაობით დასტურ-ხელოსანს. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანსთ, ხელოსან დიდხან გაგიყოლათ. ნუ შეგანანსთ კეთილის კაზმვა, ულლის დება. გწყალობდასთ ყველას, სოფელს სოფლეულად. ბევრ ა ეს დრო მაგგვარასთ მშვიდობისა, გახარებისა, ერთუცის სიცოცხლისა. თასიანებს ხელთა გაამასთ, მემუხლეებს მუხლებ შაგარჩინასთ. მე გლოცენით. ხატისაგანამც ილოცებით.—ლუდი მოსვა და სთქვა:—ოჰ, კა ლუდ არ მოგცდომიეათა! ცოტას სვე აკლავ და ნაფუვარიც ას.—კიდევ მოსვა და განაგრძო:—აი თქვენც გწყალობსთ ნახსენებ ანგელოზი! შავსვი თქვენის გამარჯვებისა.

— ღმერთმ გაამასთ, ჩამაიყარი!—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

გაგამ თასი სხვას გადასცა და მიაყოლა:

— მტერსამც ჩამაყრიმთ იარაღს, მტერ იყოს თქვენ ხელმარეული.

დადის თასი ხელით-ხელში. ყველა ილოცება და გაგასავით ათავებს:

— ოჰ, კა ლუდ არ მოგცდომიეათა! შავსვი თქვენი გამარჯვებისა.

— ჩამაიყარი, ჩამაიყარი!—შესძახიან სხვები.

— მტერსამც ჩამახყრიმთ იარაღს! მტერ იყოს თქვენ ხელმარეული!—იმეორებს მსმელი და თასი სხვის ხელში გადადის.

ახალგაზრდები ჩოქით სხედან და სმის დროს ზეზე დგებიან. ზოგი არაყს სვამს, ზოგი ლუდს. დასტურები—მერიქიფენი—თასებს გვივსებენ. ყველანი მშიერი მგლებივით ვილმურძლებით და გატენილი პირებით ვლუღლუღებთ. სასმელს თავისი გააქვს. ენები გვებმება და სიცხე გვემატება.

ერთმა ჭაბუკმა ფანდური ააფრუტუნა და დაიძახა:

— გამარჯვება ჩვენს ჯვარს, ჩვენის ჯვარის მიცემით, ხთის წესით, მღდლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, ჩემი სიტყვის მახსენებით! სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, სულწმინდას შანდობა მიუდიოდას! ზედაბრჩოების სიმთელით, კარგა ყოფით, ე ეს თას როგორც ჩემ ხელთ ას, ისრე სულსამც მინდიასას მაეხმარების.

— მინდია ჩემი ძმა იყო,—ჩამჩურჩულა ჯურხამ,—ქისტებ მახკლეს.

— შაუნდას! მაახმარა ღმერთმ!—მიაძახეს ხევსურებმა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— თქვენ კაი მოგიგონნასთ,—უპასუხა მოკლულის მამამ, მგელამ,—მარხე ნურავის მაგცასთ.

მეფანდურე აღიღინდა:

მეწყალი ჭირის პატრონო, ჭირის გონობა ძნელია.
ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია.
მკვდარ შინით დაემარხების, სოფელი ღონიერია.

ფანდური მეორეს გადასცა, სათქმელიც მიაყოლა და დაჯდა. მეორემაც იმღერა, საკრავი მესამეს გადასცა და ისიც დაჯდა.

ყველანი მკვახედ მღერიან. მათი ლექსები ეპიურია. სიტყვაში ისმის ფოლადის ჟღარუნი, სისხლის თქრიალი, ბრძოლის კიჟინი, იარაღის ჩახუნი; ერეკლე „ნეფე“ და კრწანისის ველი, ალუდაურ გაბური და „სისხლის წვიმები“, ნუგზარ ერისთავი და დიდი ზურაბი, მამუკა ქალუნდაური და „ურჯულო“ ქისტი, შატილი, ბარისახო, არხვატი და ასი სხვა გმირი, ციხე და საზღაპრო ამბავი. როდის მოხდა ეს ამბავი, ვინ, სად, როგორ, ან ვის—ზოგჯერ ასი წლის მუხა-ხევსურმაც არ იცის. მაინც მღერიან, აცხოვრებენ და თაობით თაობამდე გადააქვთ.

ხან უცნაურს გაჰკივიან ხევსურები, ხან კიდევ თავებს დიდრონ ჯამებში ჰყოფენ და წყურვილით დატანჯულ ზაქებივით სვრეპენ ახლად მოხარშულ ლუდს.

მერმე ყველანი ხევსურულად ამღერდნენ,—კვნესით, გმინვით და ოხვრით:

დაგძინებია, ხინკააალოოო!
გამაგაღვიძებ ჭამა-ა-აში!

ჯურხა ისევ თავთ მადგია. ზოგჯერ დამიჩოქებს, თასს ან საჭმელს მომაწვდის და ალერსით ჩამჩურჩულებს:

— მიირთვივ, ვაქიკავ, მიირთვივ. ბევრ მაქვს სათქმელ. მერე ვიუბნოთ.

— სთქვი ჯურხა, ეხლაც სთქვი.

— მერმ იყოს, მერმ.

სუფრის ბოლოში ჩოჩქოლი ისმის. ორნი შეძიძგილავდნენ. ორს ოცი შემოეხვია. ასტყდა ყაყანი, ქოთი, მიწევ-მოწევა და იარაღის ჟღარუნი. იქ დაშნამ გაიელვა, აქ „ხანჯარი“ აპრიალდა. ხევის ბერი დროშას აჟანჟღარებს და იძახის:

— ხალხნო! აუგ ას, ხალხნო! ყურებ მათხოვეთ, ყურებ!

ჯურხამ უმალ გაჰფანტა მოჩიუბარნი.

— აბა რად შუღლობთ, ხალხნო!—განაგრძო ხევის ბერმა.—ეს სასმელ ჩადის ყველას უფერს. სასმელ მამეტებულ რაის მაქმედი ას?

— სასმელ, მართალი ას,—გააწყვეტინა, თანახმად წესისა, ერთმა ხევსურმა,—ბევრას ცუდს ჩადის, მაგრამ სასმელ რო არ იყოს, მაკეთე რაითალ გავიგათ, მტერ რაით შავარიგნათ?

და ორთა შორის იმართება ადათური დიალოგი. ხევის ბერი არიგებს, „კაც არ მახკლათო“, მეორე კი ეკითხება, „ჩვენი შუღლით შენ რაიმ წაგერთმისო?“ ხევის ბერი არა სტყდება, მაგრამ არც ხალხი უთმობს.



— კაციც მარჯვედ მაკვდების.—გაიძახის ერთი.

— ვინ იცის, კაცის სულნ რაში დგან.—იჭვნეულობს მეორე.

დიდხანს დავობენ, „მახვკლათ“ კაცი თუ არ მოვკლათ.—ხევის ბერი იმუქრება: თუ სისხლი დაიღვარა, „ე დროშა კარში იქნების, სანამდე მაშულარ საკლავს არ მაიყონს“.

— დროშაიავ გარმაყუდებულივ, ჯვარ გაგვიწყრებისავ.—შიშობენ ზოგნი.

— მთხილად ვიყვნეთავ, ჯვარს არ შავცოდათავ.—აფრთხილებენ მეშულლეებს მეორენი.

მაგრამ მეშულლეებმა უკვე აბჯარი ააღერეეს და დაშნები „ამოზიდნეს“. ძველი ანგარიში ჰქონიათ. სხვებმაც იციან, რომ ის ანგარიში დაშნით უნდა გასწორდეს. ამიტომ აღარც ერთმანერთს აშველებენ და არც ხევის ბერს ედავებიან. ჯურხამ უმალ აღადგინა წესი და სიჩუმე. ხალხმა წრე შეჰკრა.

— გამადით!—დაიძახა ჩემმა ძმად-ნაფიცმა.

პატარა მოედანზე ორი რაინდი „გამავიდა“, ორი კაცი, რკინაში და ფოლადში ჩამჯდარი. ერთს ეცვა ზეიდალი,—დაწნული პერანგი, ჯაჭვისგან ნაქსოვი, ხოლო მეორეს პოლოტიკი, ანუ თორნი,—რკინის ფიცრებისგან შეხლართული. თავები ზუჩებით ჰქონდათ შემოსილი. ხელთ ეჭირათ მრგვალი ფარები. და ორპირი დაშნები.

უმალ გამახსენდა ვალტერ სკოტის რომანტიკა: აიეენგო, რიჩარდ ლომგული, შეჯაჭული რაინდები და ბრძოლის ასპარეზი. გვაკლდა მხოლოდ თავადის ასული, შავი მარიო და აბრეშუმის ხელსახოცი.

ჯურაა სეკუნდანტობდა. მსაჯულიც ის იყო. მეშულლეებმა სასიკვდილო ბრძოლა მოითხოვეს. ხალხი აყაყანდა. არც მსაჯული დასთანხმდა. მებრძოლებმა დასთმეს და ჭრილობა დაიჟინეს. ხალხმა არც ამის ნება მისცა.

— ჭრილობაი ზოგჯერ მახკლავს კაცს.

დიდხანს ივაჭრეს და იყაყანეს. ბოლოს, გაკაწვრაზე „მარიგდნენ“.

— კა, გეყოფივ. აბა, დაიწყებდივ!—ანიშნა ჯურხამ და „ყალიანი“ გააბოლა.

პირსაბურავები ჩამოიფარეს და დაიწყეს. ყაყანი თითქო მახვილით მოსხიპეს. ჩაჩუნიც კი შესწყდა. ისმის მხოლოდ რკინისა და ფოლადის ჩახუნი, ბზრიალი და ელარუნი. მოქნეულ მახვილს ფარი უხვდება, დაშნას დაშნა ეჯახება, სასიკვდილოდ წამოსულ წვერს რკინის ქსოვილი იცავს. მებრძოლნი უფრო კისრის ყელებს და ქვედატანს უფრთხილდებიან. მეხლები საბარკულებით აქვთ შეკედილი, მაგრამ მახვილის მისაწვდენი ალაგები მაინც მოსჩანან.

— მახვდა!— დაიძახა დათვიამ.

აპარეკას ყელთან განაკაწრი გამოუჩნდა.

— ას! ეგეც შენ!—უმალ მიაძახა აპარეკამ, და დათვიას ცერი სისხლით შეუღება.

მოსარჩლე ან შემტევი არსად მოსჩანს. ყაყანი და შეძახილი აკრძალულია, რადგან „მეშულლე აირევივ, დაიბნევივ“.

ისევ ბზინავს აბჯარი. ისევ კრიალებს მახვილი. კვლავ ისმის მეგრძოლთა ქშინვა, მაყურებელთა ოხვრა, ლითონის ჯახუნი, და მეშულლეთა შეძახილი:

— მახვდა!.. აას!.. ეგეც შენ!

წითელი წვეთებით იღებება მწვანე ბალახი. სისხლ-ბოსტანს ... ...ებსა და საჭურველზეც.

უცებ ხალხის წრე ქალებმა შემოარღვიეს. მზექალომ მანდილი მოიგლიჯა და მეშულლეთა შორის ჩაიქნია. მეორე ქალმა—შუქიამ დათვიას მხარზე დაადო ხელი, მესამე—ლელა აპარეკას მისწვდა. ხოლო ხათუთას მაყვალა თვალები ისევ მე მიღიმოდნენ და მისი ნუშა-კბილები ისევ ჩემთვის ელავდნენ.

— „ნეტა ხათუთასთვის ხომ არ იბრძვიან ეს რაინდები?"—უმალ გამკაწრა ფიქრმა და... გული ამიტოკდა. არც მოვტყუვდი.

ისევ გამახსენდა აივენგო და რიჩარდ ლონგული. ეხლა კი სურათი დასრულებულია: ორი რაინდი იბრძვის. მათი მიჯნურიც აქ არის. ხელსახოცის ნაცვლად—შავი მანდილი. ხათუთას მხოლოდ მარაო აკლია.

ბოჩხუბარნი უნალ გახევდნენ. ხალხი აჩოჩქოლდა. დათვიამ აპარეკას ესროლა:

— ა ეგრ კი არ მაგექცეოდივ, რო ქალს არ დავეჭირევ!

აპარეკამ დათვიას გადაძახა:

— აბა ეხლა შენაც იცივ, რო ვერცაით წამავალავ, ქალის ხელში ორავ. დალაქი დოსტაქრობს. ჯურხა მსაჯულობს. დათვია ეჭვსგან არის გაკაწრული, აპარეკა შეიდგან. თითო ზედმეტი ჭრილობა ერთ ძროხას უდრის. დათვიამ აპარეკას ერთი ძროხა მოუგო.

მაგრამ გამარჯვება ნაადრევია. აპარეკას ერთი ჭრილობა დალაქს საეჭვოდ მოეჩვენა. ჭრილობაში ქერის მარცვლები ჩაალაგა და გაზომა. ჭრილობა მარცვალზე ლრმა გამოდგა.

— სირცხილ ას, დათვიავ, სირცხილ!—მიაძახეს მოგებულს და იქვე ცეცას და ლაჩარის სახელი მიაკერეს.

შერცხვა ხევსური! თავი ჩაღუნა და გაიქცა. ძროხა ისევ აპარეკას ზერჩა.

საბოლოო „ჩხუტი" ლუდი დავლიეთ და ორი პატარა ძროხა შევჭამეთ. უკვე ღამდება. კვლავ ისმის ჩოჩქოლი, ლიღინი, ფანდური და სიმღერა. ხევსურები ჯგუფ-ჯგუფად, ბორძიკ-ბარბაცით მოდიან მასპინძელთან, „დასტურ-ხელოსნებთან" და ენაბლუდ ლულლულებენ:

— ჯვარ გეწერასთ, ჯვარიონნო, ჯვარსაც და კაცსაც!

— მშვიდობით, სოფლელებო!—უპასუხებენ მგელა, ტოტია და ჯურხა.—წყალობა წაიღით ჩვენის ჯვარისა, წყალობაი. წალმ გამოგყვასთ ჩვენი ჯვარის დავლათი.

ღრეობა თავდება. „დასტურ-ხელოსნები" ჭურჭელს ჭკრეფენ. ძაღლები ძვლებს ეძებენ და იღრინებიან. ხევის ბერს დროშა „კარში გარმაყუდების" მაგიერ ნიშში შეაქვს. მერმე ერთხელ კიდევ „იმწყალობნების" და კალთით შიაქვს ყაურმა და ხინკალი. ჯურხას უნცროსი ძმა წიჭა ზურგით მიათრევს ქვაბს, რომელიც უუზარმაზარ კუზს ჰგავს. ტოტია, იაშზე და მზექალო,—ისინიც დატვირთულნი, შორიახლოს მისდევენ. ტორტმანით მიბაჯბაჯებენ სოფლის

უხუცესნი — გაგა, ბალათერა და მგელა. იღლიაში მგელას ხათუთა ჰყავს შემ-ჯდარი, და ჩემი თვალიც იმ ქალს აქვს მიბჯენილი.

— „ნეტა გათხოვილია, თუ გასათხოვარი“?

ხათუთამ მოიხედა და გამიცინა.

ჯურხა — აბჯარ-მუზარადში ჩამჯდარი ლომი, ვრისერზე მძიმე თათს მადებს და მეუბნება:

— წავიდნასთ, ვაქიკავ, ჩვენც წავიდნასთ.

დირეს გადავაბიჯე და ვილაცას დავეჯახე. სიბნელეში ნელი ხითხითი ისმის.

— ხათუთი, შენა ხარ?—ვეკითხები.

— ფეხ არ მაიტეხვდე, ვაქიკავ, თორე...

კიდევ წავდგი ხუთიოდე ნაბიჯი და ისევ ქალს მოვხვიე ხელები. ხათუთა ერთის წუთით გაინაბა ჩემს მკლავებში. მერმე გასხლტა და ბუხარში ნაღვერ-დალს ჩინჩხვარი წააყარა.

— დაჯექ, შენი ჭირი მე, დაჯექ. ზაფხულ არ, მაგრამ ცივა,— მეუბნება ჯურხა. ბუხრის წინ სამფეხაზე მსვამს და თვითონ გარეთ გადის.

— რომელ ანგელოზმ მოგიყვანივ ჩვენსა, ვაქიკავ?—მეჩურჩულება ჩაკუნ-ტული ხათუთა და ქვეიდან შემომცქერის.

ავარდნილ ალზე მისი თვალები ორს უუზარმაზარ შავს ალმასს ჰგვანან, ხოლო კბილები დიდრონ მარგალიტებივით პრიალებენ.

— შენმა ანგელოზმა მომიყვანა, ხათუთი, შენმა.

— ჩემმ თუ შენნ ანგელოზმა?

და ისევ ჩაიხითხითა.

მზექალო ქონის ჭრაქს ანთებს და ბუხრის თავზე ჰკიდებს. ჯურხა შემო-დის და მეუბნება:

— ვაქიკავ, ძვირ სტუმარ ხარ. სოფელში მაწევარ წაღვლალავ და სხობ-საც მავიწვევ.

მე უარზე ვარ. დავიღალე, ძილისაგან თვალები მელულება.

— მაშ ხვალ იყოს. მზექალო, მაიტავ ლუდ, არაყ და რაიც გექნების.

თვითონაც ჩამოჯდა, გამიღიმა და ყალიონი გააბოლა. მთვრალმა მგელამ კიბე ააჭრაჭუნა და პატარა ამონაჭერით ჭერხოში—ზემო სართულში აცოცდა.

ტოტია, იმაზე და ხათუთა თურმე აქვე გვერდით სცხოვრობენ. მთვრალ ტოტიას უკვე დაუძინია, იამზე და ხათუთა კი მზექალოს ეხმარებიან.

ბუხრის წინ ახალი სუფრა იშლება. დედაკაცები ბნელ კუთხეში ფუსფუ-სებენ. მხოლოდ ხათუთა ტრიალებს მახლობლად. ბინდ-ბუნდში ხშირად ვხედავ იმის კრიალა კბილებს და დიდრონ თვალებს. ეს თვალები ეხლა შავი მინის ბუშტებს ჰგვანან, სადაც მინელებული სანთლები ანთია.

ჯურხა ბუხარს ჩასცქერის და თითქო თავისთვის ლაპარაკობს. ხანდახან მობრუნდება და მეტყვის:

* * *

— ვაქიკავ, თითო კიდევ დავლევავ.

ჯურხა ისე გააკვირვა უცხოეთმა, როგორც ტფილისმა, ოდეს ხევსურეთი-

დან ჩამოვიდა. მეტი გზა არ იყო: თავით-ფეხამდე იქაური ტანისამოსი ჩაიცვა, მაგრამ ჩვენი ნიშანი მაინც დაიტოვა: ბეჭებზე ორი ჯვარი დაიკერა, ხოლო ცერზე „ლაჯია“ შეინარჩუნა.

იმ ჯვრების გამო ჯურხას მოსვენებას არ აძლევდნენ. ბალღები ლეკვებივით დასდევდნენ. ბოლოს, მაინც მოსტეხეს: ხევსურმა ის ჯვრები ყილეტის ხურგზე გადაიკერა და მაინც თავისი გაიტანა: ზურგზე—დამალული ჯვრები, ცერზე—რკინის ხვიული, ხოლო მკერდზე—ავგაროზი, დედა-ქალაქის მიწით გატენილი.

ავსტრიის ტიროლში დასახლდა, ინსბრუკის მახლობლად.

— კა ალაგას, მთიან, ჩონს ქვეყანას წააგავს.

ხალხიც „ძალუმ ლონიერ და შენახულ ას“, ათასი წლის ადათებს ინახავენ. ქუდებში მფრინველის ფრთას „ირჭობივ“. იმათ ძროხაში ხუთი ჩვენებური „გამავა“. ქალებიც ისეთი „ჯიშიჯნი ას, როგორც ძროხებ“.

ერთ ფერმაში მოჯამაგირედ მუშაობდა და მეცხვარეობას სწავლობდა. ერთი წელიწადი გავიდა. ჯურხას „ბევრ არაფერ შაემთხვის“. მხოლოდ კლდიდან დაგორდა და სამი ნეკნი ჩაემტვრია. სამ კაცს სცემა, და ორი კვირით დაამწყვდიეს. ქალები ხომ იმდენნი იყვნენ, რომ...

— ქალაის მადლ გაგიწყრივ, ქალაისა!—აწყვეტინებს ბნელ კუთხიდან მზეკალო.

ჯურხა ხარხარებს და ბუხარში იწიტება. ხათუთა ხითხითებს.

ტიროლიდან ხევსური შვარცვალდში გადავიდა. ომი დაიწყო. ჯურხამ მოიფიქრა და გერმანელებს განუცხადა:

— რაის მერჩით! ჯურხაი ქართველ ას, რუსის მტერ ას.

ჯერ ტყვეთა ბანაკში დაამწყვდიეს, მერმე თითქო დაუჯერეს და აუგსბურგის ქარხანაში გადაიყვანეს. ჯერ კონდახებს აკეთებდა, მერმე თოფის ნაწილებს ასხავდა, ბოლოს ხარბაზნებზედაც გადავიდა. ისეთი ხელოსანი „გამავიდის“, რომ ზოგჯერ ინჟენერის მაგიერობასაც ასრულებდა.

— ეს ჩახმახ ჩემ გაკეთებულ ას.—და ავსტრიული კარაბინი მაჩვენა.—რო გამიფუჭდის, ქალაქის არსენალში მე თაოთ გავაკეთივ.

ის ჩახმახი უფრო ჩამოსხმულს ჰგავდა, ვიდრე ხელით ნაკეთებს. „მაშ ჯურხა მშვენიერი ხელოსანი ყოფილა!“

— კა ქალაქ ას ი ტიელ ქალაქ!

მხოლოდ საჭმელი აკლდა ჯურხას. ერთ ციცქნა პურს აძლევდნენ და ეუბნებოდნენ: „შულლ გვაქვნ, პურ არ ასო.“ საბაგიეროდ—

— ლუდ იყო მრავალ და თეთრ ქალაიები. თითო ვაჟიკაზე ათ ქალაი მავიდოდეს. ხო-ხო-ხო!

— სიცხვილ ას, სიცხვილ!—იძახის კუთხეში მზეკალო. ხათუთა გულიანად იცინის და თვალებს მიბჟუტავს.

— რაის სიცხვილ ას?—ბუხარს უპასუხებს ჯურხა.—ვაჟებ ომში წავიდოდავ, ქალებ უვაჟოდ დარჩებოდავ. ცოდო ას უვაჟო ქალაი, ცოდო.

და ჯურხაც საცოდავ ქალებს სწყალობდა და მადლს სთესავდა.

ძირამდე იგემა ჯურხამ ევროპაული ცხოვრება: სუფთა ლოგინი და გაკრიალებული ყავახანები, კვირაში ორი აბანო და გახამებული პერანგი, მბზინავი ცილინდრი და ხელთათმანი, მარმარილოს პირსაბანი და ფარჩის ავეჯი. მერმე—

— გერმანელმა რუს დაჯაბნივ.

ქართული ლეგიონი რომ შესდგა, ჯურხას „გულმ გაიწივის საქართველოში". ბევრ ქალს ეჭირა „თოლი" ჯურხაზე, ბევრი მზითევიც შეაძლიეს, სამსახურში დაწინაურებაც შესთავაზეს, მაგრამ ხევსურმა ყოველივე უარჰყო, რადგან— —აქ „მალადინ" ჰქონდა ქვეყანას, დედ-მამას და... მზექალოს.

ეხლა კი სიამით გაიცინა მზექალომ.

— ლალიონს წამავყევ და წამავად.

ტფილისში რომ „ჩამავიდის", მთელი ქალაქი გადაატრიალა, მაგრამ მე ვერ მიპოვნა. ხუთი ბრძოლა მოიხადა ჯურხამ. სამჯერ გადარჩა, ორჯერ დასჭრეს,—საფეთქელში და ბარკალში. წელანაც შევნიშნე ჯურხას ყურთან გრძელი ნაჭრილობევი. ნადაშნევი მეგონა, თურმე ნატყვიარი ყოფილა.

— ერთ ძმაიც მყავდა, მინდიაი, წელან ,იმის სულის მასახსენებელ რო დალევდით.

მინდია და „სხო ხევსურებ" შატილთან დარაჯად იდგნენ, ქისტებისთვის გზების შესაკვრელად.

— წუნკალ ურჯულოებ გადმადივავ და ჩვენი საქონელ იპარავდივ.

ჯურხას გვარს „პირიქითაში" მტერი ჰყავდა. ოდესლაც, ორი წლის წინათ ჯურხას მამამ—მგელამ ერთი „ურჯულო მახკლა",—ალდიმ გეეზი. იმისი შვილი,—ბატირ მუტო რომ წამოიზარდა, ჯურხას ძმას მინდიას მოასწრო და „სისალ აიღებდივ,—მინდიაი მახკლავდივ".

— მინდიას შენი ჭირიც წაულივ. ურჯულოებმ ხატი გატეხის და ჩვენი დროშაი წაილის.

მაშინ ჯურხა ბორჩალოში იმობდა. ეს ამბავი რომ გაიგო, უმალვე დაბრუნდა. მაგრამ ზამთარი იყო და ხევსურეთში ველარ ავიდა. ხანი ალარ დააყოვნა:

— ძაუგს გადავედის და მტერს ზურგით გაუარავ.

— ჯარახის ხეობას აჰყვა და ნელ-ნელა ქისტების ,ქვეყანაში შევიდა. ქისტური ენა ადრევაც იცოდა, ეხლა კი ისე „მავრიავ ხელ, რომ ნამდვილ ურჯულოი გაგენებოდივ". ყონაღი გაიჩინა და ბატირ მუტოს სოფელში ავიდა. ქისტებს ოდნავი ეეჭვიც რომ აელოთ ჯურხას ვინაობისა, „ცხორივით დამხკლავდიან. „ბატირ მუტოც გავიცნივ თოლი ავაყოლებდივ".

— ერთხელ ხევსურეთს წამავიდიან საქონლის მასატაცებელ. ბატირ მუტო კა ვაჟკაც იყო და წინ გაუძღვებდის.

ქისტებს ხევსურების დროშა თავიანთ სალოცავში შეენახათ. წინა ღამეს ეჯურხამ ის დროშა წამოიღო და წელზემოიხვია.

ქისტებს ჯურხაც ეედევნა. ქისტობა დაუჯერეს. საზღვარს რომ გავიდნენ,

ბატირ მუტო „წინ წამავიდის საზვერავად". ჯურხაც გაჰყვა. სხვებს რომ „მა-შორდივან", ჯურხა წინ აეშოტა და უთხრა:

— ბატირ მუტო! მე მინდიას ძმაი ვარ, ჯურხაი. ანგარიშ მაქვს შენთან. შენი ხანჯარ ამაიღებდივ.

ბატირ მუტო გაფითრდა და ჯურხას ძაღლი უწოდა, მაგრამ ხანჯალი მაინც იშიშვლა და ისე შეუტია ხევსურს, რომ ჩემს ძმად-ნაფიცს ერთ წუთს თვისი თავი გათავებულად მოეჩვენა.

— დალივავ, ვაჟიკავ!—ცოტა ხნით სწყვეტს ამბავს მასპინძელი და ჯამს სცლის. მერმე „ყალივანს" სწუწნის, იწიტება ბუხარში და ათავებს:

— მახვკალ.

და წუთიერი სიჩუმის შემდეგ უმატებს:

— მახვკალ და შატილის გზით წამაველ.

ამბავი ამით არ თავდება. მგელას ერთი მტერიც ჰყავდა,—ვინმე ბერდია არაბული, თვითონაც განთქმული მეშულლე და ძლიერი გვარის ჩამომავალი.

— ბევრ მავერიდივ ერთუცს, მაგრამ ბედმ მაინც შაგვახვედრივ.

ჯურხა ისევ იწიტება, სდუმს და ისევ ცეცხლს ეუბნება:

— ისიც მავხკალ.

ჯურხას თავი რომ არ მოერიდებინა, არაბულები იმის გვარეულობას შემუსრავდნენ. არაბულები მართლა მოადგნენ არხვატს. არხოტელებმა არაბულთა ჯარი ნახევარი საათით შეაჩერეს,—ხვეწნით, საკლავით და მოლაპარაკებით. მგელას გვარეულობა უკვე ქედზე იყო ასული, როცა არაბულები იმათ სახლს ჭიანჭველასავით მიესივნენ და ათიოდე წუთში მიწასთან გაასწორეს.

არხოტიდან წიკლაურები გომბორზე გადმოვიდენ.

— კა ალაგ ას. მაგრამ...

მაგრამ წითლები „მავიდის და შაგვაწუხებდის". ჯურხა ნათესავებით იქიდანაც აიყარა და აქ დასახლდა.

— კა ალაგ ას—ათავებს ჯურხა.—არც ჩვენ ვიცნობდივ წითელ მთავრობას, არც მთავრობაი გვიცნობდივ ამ სოფელს.—ყალიონის ავლი ხელის გულზე გამოჭპანტა, კმაყოფილებით გაიღიმა და დააყოლა:

— გზაი აქეთ არ მავიდის და ადამიანც ამ სოფელს არ ნახვდების. წელიწადში ერთხელ წაღვლალავთ ბიჭებ თიანეთს, ერბოს და საქონს გავყიდისთ, სასყიდელ ვიყიდივსთ და ამით გათავდების. ამაზე კა ცხოვრებაი ქვეყანაზე არ იქნების;—და უცებ გაცოცხლდა.—აბა, ვაჟიკავ, ნუ მაგაწყინავ. დანარჩენ მერე იყოს. შესვი, გენაცვალავს ჯურხაი. ხათუთავ, ზღაპარ რასმ ეტყოდევ სტუმარს.

ხათუთა თითქო ამას ელოდებოდა. ფეხთით მოიჯდა, იდაყვი მუხლზე დაიდო, თავი ხელის გულზე დაიბჯინა, თვალი თვალში გამიყარა. ნელის რხევით აქანავდა და ჩუმის ხმით ნანასავით დაიწყო:

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთეს რაი იქნებოდის...

და ჩემს დაღლილ თავს ასი უცნაური ლანდი მოახვია. კუდიანები, მეჯალაფენი, ეშმები, მაძახურები, დევები და ოჩოპინტები. ზღაპარს ლეგენდა დაასხა და ვაჟკაცური ამბებიც დააყოლა: გალექსილი მარტია მისირაული, ბერ-

დია მამუკაური, „ნეფე“ ერეკლე და კრწანისი, ხირჩლა ბაბურაული და ზურაბ ერისთავი, ხოშურაული და ნუგზარი.

ხათუთას ჩაშტერებული თვალები, ოდნავი ღიმილი და წყარსავით ერთნაირი ტემპით და რითმით მოჩუხჩუხე ხმა იდუმალ ლულს მგვრიან და უცნაური ბურანით ნნისლავენ. თვალებს ვხუჭავ და მეც ხათუთასავით ვქანაობ. უცებ ამბავის რითმი შეიცვალა. ცალი თვალი გავახილე. ჯურხა, ხათუთას ულიმის და ჩურჩულით ეხვეწება:

— ჩემი ძმაი ას, ძმაი. ქალავ, ნუ გცხვენის.

ხათუთა მორცხვობს. პირისახეს ხელებში იმალავს, თავს აქნევს და ბუტბუტებს:

— არ შამიძლივ, არა. ნერცხვების.

— ქალავ!—შეუტია ჯურხამ.

ხათუთა წამოვარდა, ფანდური მოიტანა, ისევ ფეხთ მომიჯდა და ბუხარს უმღერა:

ჩაგიღლალე ციკნებიო,
მე შენ წაწალ ვიქნებიო.

— ხათუთი, რა არის „წაწალ?“ შევაწყვეტინე სიმღერა.

ბინდიან კუთხეში მზექალომ ჩაიფრუტუნა. იამზემ ჩაიხითხითა. ჯურხას ყელიდან რახრახის შადრევანი ამოვარდა. დარცხვენილი ხათუთა წამოხტა და გარეთ გავარდა.

— ჯურხა, რა არის მეთქი „წაწალ“?

ისევ რახრახი, ფრუტუნი და ხითხითი.

— მერმ გეტყოდივ, ვაჟიკავ, მერმ. თუ გეძინების...

— ჰო, ჩემო ჯურხა, მეძინება, ძალიან მეძინება.

— აბა, წამახვედ. ბანზედ დაგაძინავ, სიცივის ხომ არ გეშინადავ?

— არ შეშინიან. ნაბადი მაქვს.

ბანზე ამიყვანა, მომეხვია, ერთხელ კიდევ გადიხარხარა და სანათურში ჩაძვრა. უცებ ისევ ამოჰყო ლომური თავი და სიცილით გამაფრთხილა:

— არ შაგაშინდისავ, ვაჟიკავ!

და თითქო ქვესკნელში შთაინთქა.

„ლოგინი“ მიცდის. ქვეშ—დათვის ბეწვი, საბნად—სქელი ქურქი, ბალიშის ნაცვლად—სამიოდე ტყავი.

გავიხადე და უმალ თვალები მივლულე. მომელანდა: თითქო ვილაც ფეხაკრეფით ამოდის ბანზე, თითქო ვილაც მეპარება. თვალები გავახილე. ღამეა, ბნელი და ჩუმი. მახლობელი მთები შავი დევებივით ჩასაფრებულან. კავკასიონის ქედზე თეთრი დევები გუშაგებივით ასვეტილან. ჩამუქებული ცა უთვალავ თვალებს ახამხამებს. ერთი შავი დევის ზურგზე ნამგალა მთვარე შემჯდარა. სოფელში ძაღლები ილრინებიან. უცებ უკან მივიხედე. ქურქში გახვეული ვილაც ატუზულა ჩემ თავთან.

— ხათუთა!

— სუ, იყუჩე!

ქურქიდან თავით-ფეხამდე ტიტველი ქალი გამოსხლტა და თვალის დახამხამებაზე ჩემი ქურქის ქვეშ შეძვრა.

— ხათუთ... ჩემო ხათუთი... — და მეც ტყავში ჩავიძირე.

— იყუჩე მეთქი, ვაეიკავ... იყუჩე.

კვანძივით მოკუნჭულიყო. გაყინულივით ძაგძაგებდა და კბილებს აწკაპუნებდა.

— ხათუთი... შენა ხარ?.. მართლა შენა ხარ?..

— ხელ არ მახლო... საწაწალოდ მავედივ... ჯურხას ფიც-ვერცხლ ნაჭამთან მავედივ.

ეხლა კი მივხვდი. გამახსენდა ოდესლაც ნაამბობი უცნაური ხევსურული ჩვეულება, სასტიკი „წაწალობა", უუზენაესი ძმური სიყვარულის მკაცრი ადათი,—დღესაც არ ვიცი, ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ სატანური. ხევსური თავისავე გვარის სტუმარს, ან ძმად-ნაფიც უცხოელს ლოგინში შიშველ ქალს ჩაუწვენს, მაგრამ დილით ის ქალი იმ ლოგინიდან ისევ უბიწო უნდა წამოდგეს.

რიჟრაჟზე ხათუთა ქალწულად წამოდგა. მაგრამ ძლივს წამოდგა. ორივემ ერთმანერთი დავთენთეთ და უსრული სიტკბოების ჯვარზე ავწიეთ.

ოოჰ, ხათუთა ქალო! შენი მკერდი! შენი ძუძუები! შენი მოხვევა! შენი ტუჩები და შენი კოცნა!

V

უუზარმაზარი წიფლის ქვეშ ვწევარ. ქვეშ ნაბადი მაქვს გაშლილი. ჩემი სხეული და სული დაჟინებით მოითხოვენ გახევებას და გარინდებას. თითქო თვითონვე იპოვნეს თავიანთი წამალი. აგერ ოთხი დღეა, რაც დილიდანვე ტყეში დავბორიალებ, და მარწყვსა და საუკეთოვო ყვავილებს ვკრეფავ. მერმე უთუოდ ამ წიფელს მოვნახავ და მკვდარივით გავიშოტები. შუადღემდე არც ვდგები, არც ვინძრევი, არც ვფიქრობ.

გვერდით ლომა-ძაღლი მიწევს. ზევით ციყვი სცხოვრობს. ჩემი მისვლა ჯერ იუცხოვა და კენწეროზე ავარდა. მერმე ჩემი გაცნობა მოინდომა და ქვემო ტოტზე ჩამოცოცდა. ზის, დამცქერის, ჩინჩხვარს ახრამუნებს და მაფურთხებს. ხათუთა დავარქვი.

ჩემი ახალი სადგური ჯურხამაც იცის და ხათუთამაც. ხან ერთი ამოვა, ხან მეორე. თუ ხათუთა მოვიდა, მარწყვს ვაჭმევ და თავზე ყვავილების გვირგვინს დავადგამ. ჩემი სტუმარი ჩემს უბის სარკეში იხედება და თავის-თავს ულიმის.

წელანაც იყო. სარკე ვაჩუქე და ვუთხარი:

— ხათუთი, ახლო მოიწიე.

ხათუთი გვერდით მომიწვა და ჩემსავით ცის ნაგლეჯს დააშტერდა. ჯერ ილიმებოდა, მერმე გადიკისკისა.

— რა მოგაგონდა, ხათუთი?

ხათუთას ჩვენი უკანასკნელი საღამო გაახსენდა, ტფილისში რომ გავატა-

რეთ. მეც მაგონდება: მე ხარბი თვალით შევსცქეროდი მზეჭალის. ექვსი წლის ხათუთა კი ორივეს გვაშტერდებოდა და... თურმე შურვილით იხერხებოდა. უცებ მუხლებზე ამომიცოცდა, მომეხვია და ათჯერ მაინც [illegible] კი უგულოდ წავედი და ხათუთას ალერსი ვერ გაეიგე.

— გახსოვდის?

— მახსოვს, ხათუთი, კარგად მახსოვს. მაგრამ შენი კოცნა დამავიწყდა. აბა, გამახსენე, როგორ მკოცნიდი მაშინ.

ხათუთა იცინის და მკოცნის: ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ.

— რატომ საწაწალოდ აღარ ამოდიხარ ბანზე, ხათუთი?

იმიტომ, რომ ჩემი დატანჯვა არ უნდა.

— შენ კი არ იტანჯები?

— მეც ვიტანჯ, ძალუმად ვიტანჯ, მაგრამ...

საღერღელი ამეშალა. ხათუთას ხელი მოვრიე და მოვინდომე აქვე, წიფლის ძირშივე ხელმეორედ განმეცადნა გიჟური წაწლობა. ჯერ ამყვა, მერმე გამისხლტა, ალანძული პირისახე მომარიდა, წელამდე ჩამოყრილი მოწითალო თმა გაისწორა და მითხრა:

— ჭამის დრო მავიდის. წავიდეთ თორე... ან დათვია მავიდის, ან აპარეკაი.

„ჰოოო, ეხლა კი მესმის მათი შულლის საბაბი!"

— ხათუთი, შენთვის ხომ არ შულლობენ დათვია და აპარეკა?

მისი კისკისი ტყემ განიმეორა.

— შენთანაც იშულლებდივავ. ხომ არ გეშინიავ?

ტყემ ჩემი ხითხითი და ხათუთას კისკისი შთანთქა.

და ჩემი თავი ჯავშნით შეჭედილი მომეჩვენა. ფარს ვატრიალებ, დაშნას ვიქნევ და ვკივი: „დამიდექ, თუ ვაქაც ხარავ!.. მახვდა!.. ას!... მახვდა!"

და განგმირული დათვია აქეთ გაიზოტა, ხოლო აპარეკა იქით გაიჭიმა. ხა-ხა-ხა! არა, მე რკინაში **არ** ჩავჯდები. როგორც ვწევარ, ისევ ესე დავხვდები. თითსაც არ გავანძრევ, თუნდ დათვია „მავიდეს", თუნდ აპარეკა. თუნდ დაშნით გადამჭრან, თუნდ „ხანჯრით" გამხვრიტონ. ჩემთვის სულ ერთია.

ხათუთას კი მაინც არ დავთმობ.

გუშინ ჩემი კბილ-საწმენდი ვაჩუქე. დაჯდა და იმ საწმენდით ვერცხლის შიბი, სამაჯური და საყურეები დაიფერა. ხათუთა მეფიცება, საყურეებიც „ნამდვილ ვერცხ ას-"ო. მეც შევყურებ პატარა რგოლებს და მაგონდება ორი პაწაწა ნამგალა მთვარე, დიდრონ ატამზე ჩამოკიდული.

ვერა, ხათუთას ვერც დათვიას დავუთმობ, ვერც აპარეკას.

* * *

ვაეიკავ, რას ოხრად გინდვის სპილენძ?—მეკითხება წიფლის ქვეშ ჩემი გვერდით მწოლარე ჯურხა.—ჩვენთან დარჩივ.

ჩვენთან დარჩიო! როგორ მალე მიაგნო ჩემი სულის გაფხრეწილ კუთხეს!

— ან რაი ბედენაა თქვენი ქალაქ? ხაშმიან ალაგ ას, ხალხიც ცხო ას, დამპალ, უჯილაგო, უჯიშო. აც გული აქვნ, აც სინდის, აც ფიცალიც რჯულ, ჩვეულებაი, სიტყვაი. მართალს ვუბნობ თუ არა, ვაჟიკაც?

ბედისაგან მოთელილი და ნაბურთალი ვიყავი. ცხოვრებამ გამომფიტა, მომქანცა და ფულურო მყო. რაც მქონდა და ვინც მყავდა, თითქმის სულ დავკარგე: მამა, ძმა და სამეოდე სხვა ნათესავი; მამა-პაპების მონაგარი და უკანასკნელი თავშესაფარი; სულის სიმხნევე და გულის სიმტკიცეც ყოველივე მქონდა და აღარაფერი არ შემრჩა. ქალაქმა გამომშიგნა, გამომაფუტუროვა და ხანგადასული ბოლოკივით გამაფუყა. ამიტომ იყო, რომ ჩემი ტანიც და სულიც წიფლის ქვეშ ასე უცბად გალხვნენ და გაინაბნენ. ისეთი საამური ბანგით ვარ გაჟღენთილი, რომ უძრავად თუნდ ერთ წელიწადსაც გავძლებ, თუნდ სამუდამოდაც დავრჩები. ჩემი გუმანი ადრევე ელოდებოდა, ჯურხას პატიჟს. ჯერ გავიღიმე:

— ისე მპატიჟობ, ჩემო ჯურხა, თითქო აქ სახლ-კარი და მამული მქონდეს.

— ვაჟიკაც, მაგას რად უბნობ!—იწყინა ჩემმა ძმამ—ჩემი ძმაი ხარ, ნამდვილ ძმაი. ჩემი საქონელიც შენი ას, სახლიც და სახნავიც. მგელა და ტოტია შენი მამებ ორავან, ნანუკაი და იამზეი—შენი დედებ, მზექალოი და ხათუთაი—შენი დებ. ჯურხას-კარში მარტო წიკლაურებ ორავთ, ყველაი შენი ნათესავ ას.—ზედ გადამეყუდა და განაგრძო:—დარჩიე, ვაჟიკაც, დარჩიე. რამდენც მაგინდების, იმდენ იცხოვრავ. ახლა ჯანსაღ პირაი არა გაქვს. ისე მაკეთდები, როც ჩონი კაცი. მარმე შენ იცივ.

განაბული ვუგდებ ყურს ჯურხას კილოს. ძმა მელაპარაკება თუ მასპინძელი? ხევსურული ადათი მეძახის თუ ძმად-ნაფიცის გული? და ჯურხას ხმაში ერთი ბეწვის ოდენა განაბზარიც რომ ვერ ვიპოვნე, წამოვიწიე და ხელი გავუწოდე.

მართლა? მაშ ვრჩები? „ჰაი, აგაშენ ღმერთმ, აგაშენ!“ ჩემი მომცილებელი? ეხლავე გაისტუმრებს ჯურხა.

— წავიდივ, ერთ წერილ რამ დასწერავ ქალაქშიდ. მშვიდობით იყავნთქო!

„ამხანაგოს“ მაგიერ ესწერ: „მოქალაქე თავმჯდომარეე!“ ვატყობინებ, რომ აღარ დავბრუნდები. ვსთხოვ, მკვდრად ჩამთვალეთ მეთქი. მე თქვენი არაფერი მმართევს. მე გადავსახლდი მეორე ქვეყანაში. ნურც ჩემს ახალ ქვეყანას ეძებთ, ნურც ჩემთვის შესწუხდებით. „ნახვამდისს“ კი არ გისურვებთ, არამედ მშვიდობით! სამუდამოდ!

ორი ცხენი უკვე შეკაზმულია. ჩემი სანჩო და ჯურხას უნცროსი ძმა წიქა მე მელოდებიან. წერილი სანჩოს გადავეცი და ვეუბნები: ახმეტის ფოსტაში ჩააგდე მეთქი.

ჯურხამ ის წერილი გამოსტაცა, წიქას გადასცა და ჩუმი დარიგება მისცა. მერმე უთხრა:

— თოლებ აუბავდი, გზაი არ ისწავლოს,—და სანჩოს მიუბრუნდა:—კა

კაცო! მე გიცნავ. ახმეტელ ნაჩაფრალ ხარ, გივარგის შვილ. ყურაო მამიგდევ: თუ ეს სოფელ გისწავლებია ვინმესთვის, ვაი შენი ბრალ! მიწაშიდ რო ჩასძვრიე, მაც გიპავნივ და დაგახრჩობივ. ახლა მშვიდაბით!

ჯურხამ მართლა თვალები აუხვია ჩემს მხლებელს და იქით გაიყოლა, საიდანაც არ მოვსულვართ. მგონი, გზის ასარევად.

* * *

წიკლაურები დღითი-დღე მენათესავეებიან. მზექალოც ჩემ დად მიმაჩნია, მაგრამ ხათუთა... არა, არ მინდა ხათუთას დობა, არ მინდა!

* * *

— ხათუთი, მოწითალო თმა რათა გაქვს, ქალო?

— არ მაგწანს განა?

— მომწონს, ძალიან მომწონს. იამზესაც მაგ ფერის თმა აქვს, მზექალოსაც, შუქიასაც, ლელასაც. მართლა, რა ლამაზი სახელია ლელა! სპარსულს ჰგავს, ლეილა და მეჯნუნ.

— რომელ სჯობნის, ხათუთაი თუ ლეილაი?

— ხათუთა... ლეილა... ხათუთა... ლეილა. ისევ ხათუთა სჯობია. ხართუთას ჰგავს.

უხარიან ბავშვივით. უცებ შუბლს იკრავს:

— რაის უბნობდივ გუშინ შენ და შუქიაი?

— გუშინ? მართალი გინდა?

— მართალ, მართალ!

— შუქიამ მითხრა, მიყვარხარო.

— მართალ ანბობ? მართალ? მიყორხარო?—და ძუ ვეფხივით წამოიჭრა.— შენ რაღაი უთხარივ, შენ?

-- დაჯექი და ყურში გეტყვი.—და ჩავჩურჩულე:—მე ხათუთა მიყვარს მეთქი.

და კინაღამ ნამგალა და ყურის ბიბილო მოვაკვნიტე. ხათუთას ელიტინება. ხითხითებს და ფართხალებს.

— ხათუთი, მე მზექალოს ძმა ვარ. შენ რას იტყვი?

— ვიცივ. ჩემ ძმაც ხარ.

— არა, მე შენი ძმობა არ მინდა. რატომ? იმიტომ, რომ... რომ... ვითომ არ გესმის?

ესმის მაგრამ ატმის პირისახე განზე მიაქვს, რომელიც თურაშაულის ვაშლად გადაიქცა.

მაგოხდება ქალაქი. ხათუთა ხუთი თუ ექვსი წლისა იქნება. ძიძიგურის ქარხანაში რომ მივდივარ, თან ყურძენი მიმაქვს.

— ხათუთი,—ვეკითხები შორიდანვე,—რამდენჯერ მაკოცნინებ, ეს ყურძენი რომ გაჩუქო?

— ელთხელ. და საკოცნელად მეტანება.

— არა, დაიცა: ოცჯერ.
— ხუთჯელ.
— არა თხუთმეტჯერ.
ბოლოს, ათზე ვრიგდებით. იწყება კოცნა. ერთს მე ვაკოცებ, მერეს ხათუთა. მე ვთვლი:
— ეს ერთი, ორი, სამი, ოთხი, ესეც სამი.
— ალა, ხუთია, ხუთი!
— ხუთი კი არა, სამი.
— ხუთია მეთქი, ხუთი!
— მაშ თავიდან დავიწყოთ.
— დავიწყოთ. —უმალ მეთანხმება ხათუთა.
ჩემი შარი ორჯელ ან სამჯერ სჭრის. ხუთ-ხუთის მაგიერ ათჯერ მე ვკოცნი და ათჯერ—ხათუთა. მაგონდება ეს ამბავი და მეცინება.
— რას იცინივ?
— ხათუთი, გახსოვს ყურძენი?
— ყურძენი?—უცებ შორეულს იგონებს და კისკისებს.
— ხათუთი, გავიხსენოთ მაშინდელი.
— ყურძენ რო არა გაქვნ?
— მაშინ შენზე ოცი კოცნა დარჩა.
— მართალს უბნობ.
მართალს არ „ვუბნობ", მაგრამ,—სულერთია, საბაბი ვიშოვნეთ.
— ეს რვა... ცხრა... ესეც რვა.—ვითვლი მე.
— რვაი კი არა, ათი, ათი!
ქვლავ მეორდება ძველი ცელქობა და შარი:
— მაშ ახლად დავიწყოთ.
— კა, დამიწყოთავ.
დავიღალეთ. ციყვი ზევიდან გვაფურთხებს. გაოცებული ლომა კუდს ასავსავებს. ხათუნა აქეთ-იქით იხედება: ან დათვიასი ეშინიან, ან აპარეკასი.
— ხათუთი, ამალამ ვიწაწალოთ.
ხათუთა სდუმს. მერმე ცას ეჩურჩულება.
— კა. მებრალებ, ვაჟიკავ, მაგრამ რაიღა აგრე გინდვის...

* * *

წიქა მესუთე დღეს დაბრუნდა. თურმე ჩემი წერილი თიანელ ნათლიმამას გაატანა ქალაქში. უკეთესი! იმასაც ვერ გაიგებენ, რომელ მხარესა ვარ: თუშეთში თუ საინგილოში, აფხაზეთში თუ ჯავახეთში.
არც გაზეთი მოუტანია, არც წიგნი. მადლობა უფალსა! რამდენიმე ამბავი მაინც შეგვატყობინა:
ფრანგ და ინგლის ძმად-ნაფიც გამხდარივ. ჯარ თურმ შაუყრივ და მავიდის... გერმანიც მაუმჩრივ... ერთ ყუმბარაი გამაიგონივ თურმ. რაც ქალაქ ხალხ ას, ერთ ყუმბარაი სუ დააბრჩვის... კიდევ უბნობდის: თათარ და რუსიც

ძმად-ნაფიც გამხდარივ... კიდევ უბნობდის: ცხოში ახალ ბატონიშვილ გამაჩნ-
დის, ნამდვილ ბაგრატიონ, ნეფე ერეკლეს შვილის-შვილ.

ჯურხა წამოიჭრა:

— ის ას, ის! თეიმურაზ ბატონიშვილ უთქომთ, თეიმურაზ!

ვიცნობ თუ არა თეიმურაზ ბატონიშვილს? არა. არ ვიცნობ. არც გამიგია.

ბაგრატიონები ბევრნი არიან, მაგრამ ერეკლეს შვილის-შვილები ყველანი
დაიხოცნენ.

— მაშ შვილის-შვილის-შვილ იქნების.

— მერმე, თუნდ ეგრეც იყოს, მერმე?

როგორ თუ „მერმ“?!—უკვირს ჯურხას.—არ მესმის? მაშ მე ქართველი
არ ვყოფილვარ, თუ ეგრე ადვილად შეურიგდი „პირობის წიგნის გაფუჭებას“!

— ბაგრატიონ უნდა მავიდის და ბცხეთას უნდა იგვირგვინის!—გადასჭრა
ჯურხამ და სხვებმაც ყაყანით დაუდასტურეს.

— „იქნებ კვლავ აღზდგეს ძველი სიონი, მაგრამ ვერ ვნახოთ ბაგრატიონი“.

მოვიგონე პოეტის ნათქვამი.

ჯურხამ ჯერ ვერ გაიგო. მერმე მიხვდა და აჯანყდა. ტყეილია, ტყუილი,
ვითომ უბაგრატიონოდ სიონმა წამოიწიოს!

— აკი წამაიწივ, მაგრამ ისევ დაინგრივ. ახლა ბაგრატიონთა ჯერ ას,
ბაგრატიონთა!

კიდევ დიდხანს შეოთავს ჯურხა, დიდხანს ცახცარებს მისი ლომური თავი
და ღოროტოტოსავით ხრიალებს მისი განიერი ყანყრატო. ხევსურები სიამით
უგდებენ ყურს. ზოგნი ყალიონებს აბოლებენ, ზოგნი თამბაქოს ღეჭავენ, ზოგნი
კიდევ „ბანჯრებით“ ჩხირებს სთლიან და თავიანთ ბელადს წამდაუწუმ კვერს
უკრავენ:

— აგრე ას, აგრე!.. მართალს უბნობს ჯურხაი, მართალს!

აღარც მე ვედავები. ან რა ჩემი საქმეა! პოლიტგანათლებისთვის კი არ
დავრჩი ამ ბუნაგში, არამედ განკურნებისთვის. მაინც მშურს თქვენი, ხევსუ-
რებო! ჰოი, ხირჩლებო, დათვიებო და ჯურხებო! ნეტა თქვენ, რამეთუ ბავშვი-
ვით გრწმენისთ! ნეტა თქვენ, რამეთუ გული თქვენი უხავსია და სული თქვენი
უბზარი! ნეტავი თქვენ, ჩემო ძმად-ნაფიცებო, რამეთუ თვალი თქვენი უჩინია
და ყური თქვენი უსმენია!

მართლა, წელანაც ვთვალე და ვერ დავთვალე:

— რა დღეა დღეს, ჯურხა?

— ხუთშაბათ ას.

— რიცხვი? თვე?

ჯურხამ ხევის ბერს გადახედა. ეს არის ამათი ცოცხალი კალენდარი. ხე-
ვის ბერი გაიჭინთა. ათივე თითი მოიშველა, გაგასიც მოიხმარა, სთვალა, სთვა-
ლა და დასთვალა:

— ამაღლებამდ თერთმეტ დღეი დარჩის.

— რიცხვი მეთქი, რიცხვი! რა თვეში ვცხოვრობთ? რამდენია დღეს ამ
თვისა?

თითქოს ვერც კი გაიგეს. ვერავინ მიპასუხა. ზოგმა კიდევაც გაიკვირვა. მე წამოვდექი. კმარა! ყოველივე ცხადია! ჰოი ბედნიერო უბადრუკებო! დღეც დავკარგეთ და თვეც. დრო წაიშალა, დრო! აღარც სივრცე [illegible] სადა ვარ? სად ვცხოვრობ? საით არის ტფილისი, ბაქო, ევროპა? [illegible] ვიცი.

არც მინდა ვიცოდე! წიფლის ქვეშ ალბად ხათუთა მიცდის.

* * *

გუშინ დიდი ამბავი იყო: წიკლაურებმა გამაწიკლაურეს. მგელას და ტოტიას ოჯახებმა მიშვილეს. ნანუკას, იამზეს და მზექალოს ძუძუებზე კბილი დავადგი. ჯერი ხათუთაზე მიდგა. აილანძა, აირია და გაქცევა დააპირა. წიქამ დაიჭირა და დააბრუნა. გაშტერდება, რალაც უკვირს და რალაცას მეკითხება. მე ხმას არ ვიღებ და მოროცხვად ვილიმები.

— რაის გცხვენის, ქალავ?—ეკითხება ნანუკა და ღილებს უხსნის.

და ხათუთას განიერ მკერდიდან გაფცვნილი ნესვი ჩამოეკიდა: ჩრდილის მხრით შუქი ხორბლის ფერისა, ხოლო ჭრაქისკენ—მოყვითალო მარმაროსი. და იმ ძუძუს ზევიდან ორი თვალი დასცქერის, ორი შავი მინის ბუშტი, შიგნიდან ნელი შუქით განათებული. ხათუთა მელოდება. მე ვყოყმანობ. მერმე მტკიცედ ვაცხადებ:

— არ მინდა... მე არ მინდა.

გაფცვნილი ნესვი უმალ უბეში იმალება. თავჩაღუნული ხათუთა გარეთ გარბის. მე კიბეს ვაჭრაჭუნებ და ბანზე ავდივარ. ხათუთა მიმიხედა. სხვებმა კი... ალბად სხვებმაც გაიგეს.

* * *

ღმერთო დიდებულო! ნამდვილი სამოთხე აქ ყოფილა. შენ კი მანდ მპირდები.

ისევ ბანზე მძინავს,—ხან ტოტიას ბანზე, ხან ჯურხასთან. სადაც მე ვარ ხათუთაც იქ არის. ღამით სადმე ტყრა აგოდდება, ან მგელი დაიღმუვლებს. სოფელი აიშლება და აფუსფუსდება. ძაღლებიც ისე აყეფდებიან და აყმუვდებიან, თითქოს განკითხვის დღე მოვიდა. სადმე ბოთი გავარდება. აქეთ-იქიდან რალაცას დაიკივლებენ, და ხევსურული კიჟინი და შეძახილი ცაში ავარდება. მერმე ნელნელა ყოველივე ისევ დალაგდება და სოფელიც მიყუჩდება.

რიჟრაჟზე ვიღვიძებ. ათასი ძროხა და ხარი ბღავილით და ღმუილით გადის სოფლიდან და ულრან ტყეში ინთქმის. ძაღლები და მენახირენი მბიარული წკმუტუნით და კივილით მისდევენ. ტყე აქვე იწყება. იქაც ალიაქოთია. ისმის ფრინველთა ჟივილი, ჭიკჭიკი, ღრუნტული და ხივილი. ცაზე არწივი გამოჩნდა. აგერ, ძერაც გამოვიდა. ქორი ქვასავით დეეშვა მიწისკენ.

ჯერ სადმე ერთ სახლის თავზე ცისფერი ბოლი აისვეტება. მერმე—მეორეზედაც, მეათეზე, მეოცეზე.

ტოტიას სახლი მაღლობზე სდგას. იქიდან ხათუთა გამოდის. მხარზე ხის კოკა უდგას. მიღიმის და ხელს მიქნევს. აი მზექალოც წავიდა. აგერ შუქიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდა. აჰა, ლელაც მორბის, თუთაც, კმარაც, თიაც, ძილაც. წყარო აქ-ვეა,—გაყინული და აქაური ჰაერივით სუფთა.

— გამარჯვება, ქალაიებო!

— ღმერთმ გაგიმარჯოს, ვაჟიკავ!

— წაწალმ წუხელ როგორ გარგის, ვაჟიკავ?.—იკბინება შუქია.

სხვები ხითხითებენ. თავჩალუნული ხათუთა თითქმის მირბის

ჯურხა არაყს და ლუდს მასმევს. მზექალო ხორცეულს, ნაღებს, ქადას და ერბოს მაჭმევს. მერმე ჩემი ძმად-ნაფიცი სამუშაოდ მიდის. მე კი ტყეში ვიკარგები. ვიცი, სადაც არის ნახირი, წყარო, მარწყვი, ყვავილები. ზოგჯერ ცულს წავიღებ და შეშას ვამზადებ. ხელები უკვე მიკოჟრდება. ზოგჯერ მენახირეებს ვეწვევი და ზღაპრებს ვათქმევინებ. მეასეჯერ მესმის შიშნია ბალახურისძე, წიქა ალუდაური, ზურაბ ერისთავი, „სისხლის წვიმები“, ერეკლე და კრწანისი, კუდიანები და მეჯალაფენი, მაძახურები და ოჩოპინტები. მერმე მეც ვუამბობ ჩვენებურს: რადიო, წყალქვეშა, ჰაეროპლანი, ელექტრონი და რენტგენი. ხევსურები პირღია შოშიებივით მიყურებენ და იკინიან. არ სჯერათ ჩემი. არც საჭიროა!

შუადღე რომ მოატანს, ჩემს წიფელს ვეძებ. ნაბადზე გავიშოტები და თვალებს მიელულავ. სანამ ხათუთა მოვიდოდეს, არც კი შევინძრევი.

ნამდვილ უდაბნოში ვარ: არც ხელისუფლება, არც მანქანა, არც გადასახადი, არც ადგილკომი, არც ელექტრონი, არც კომკავშირი, არც ბინის კრიზისი მაწუხებს, არც პროფკავშირის წევრობა; წყალსადენი არ მიფუჭდება და ელექტრონიც არ მიჭრება; მილიციელი არ მიბღვერის და დღეში ხუთ კანონს არ კიზეპირებ; აღარც გაზეთს ვკითხულობ, აღარც მე მკითხულობენ. აღარ ვიცი, რა არის ინდექსი, ვინ მღერის ოპერაში, რა სთქვა ჩიკინჯილაძემ, ვინ რამდენი გაჰფლანგა, ჯამაგირს როდის დაგვირიგებენ, ვისი ბიხა გასტეხეს, ან წუხელის ვინ დაიხრჩო თავი. აღარც წითელ ფერს ვხედავ, აღარც თეთრი მახსოვს. ვხედავ მხოლოდ მწვანეს, ვსცხოვრობ ფარსმან მეფის დროს, ვსვამ იამზეს არაყს, ვსჭამ მზექალოს ხინკლებს, ვეწევი მყრალ ყალიბანს, ყურს ვუგდებ ჯურხას თეიმურაზიანს და ვთვრები ხათუთას წითელ ტუჩებით.

დანარჩენი დროს გავატანე და დროც დავიწყებას გავაყოლე.

მართლა, რომელი თვე გათავდა? რომელი დაიწყო? ამაღლება დიდი ხანია გავიდა. მაისია თუ ივნისი? შეიძლება ხევის ბერი მოკვდეს. მა'შინ წელიწადსაც დავკარგავთ!

არც ვინანებ. „კისერიმც მაუტეხნია!“

წიფელი ერთგან გარანდულია. ზედ ლექსი სწერია:

> გამავედ ვერძის ტყის გორა, ქალავ, მაგავლებ თვალსაო.
> კარგი ხარ, ჩემო ხათუთი, ა ეხლა დაგწერ ჯვარსაო.

„ხათუთა ჩემია. ხელი აიღეთ“.—წავაწერე და ნაბადზე გავიშოტე.

— გუშინ რაის კუსკუსობდით შენ და შუქიაი?—მეკითხება ხათუთა.

მე ობლური ღიმილით ვიღიმები და ვსდუმვარ. ხათუთა ოხრავს. მე კი მაგონდებიან ხევსურული ძროხები, რომელნიც ხათუთასავით ოხრავენ, როდე-

საც წვიმის მოლოდინში არიან. ციდან არწივი თითქო გვითვალთვალებს, ციყვი იკრიჭება. ლომი იზმორება. ხათუთამ შებულულებული თვალები ჩამოიგდო და წავიდა.

ოჰ, ხათუთი, ჩემო ხათუთავ! არც კი იცი, რომ ჩემი სული შენში გადმოსახლდა. არც საჭიროა! როცა საბოლოოდ გავწიკლაურდები, მაშინ-ღა გაიგებ.

* * *

მამა-ჩემი მიწას მოსწყდა და ქალაქს მიეკედლა. მეც მიწა ვიყავი და ისევ მიწას დავუბრუნდი. ქალაქმა, ომებმა და რევოლუციის ქარიშხალმა ბუმბულივით მაბორიალეს და ბოლოს, ამ ბუნაგში ჩამომაგდეს.

იმ ქვეყანამ, რომელსაც მე, ჯურხა, ტოტია და მათი ჯალაბნი შოვსწყდით, ვერ მოგვინელა და უკანვე გადმოგვანთხია. ვერც ჩვენ მოვინელეთ, და საიდანაც დავიწყეთ, ისევ იმას დავუბრუნდით,—მიწას, ბუნებას, ჯურხას-კარს! ჩემს ფიც-ნაქან ძმას ისიც კი არ ეტყობა, რომ ოდესმე თელავში ყოფილიყო, თორემ ტფილისში ყოფნას და ევროპულ განათლებას ვინ დაუჯერებს! დღევანდელი კულტურა ქალაქურ მტვერივით ჩამოირეცხა. მეც ამ გზით მივდივარ, მივრბივარ, მივქრი!

უკვე ერთი ციდა წვერი გამეზარდა. ჩემი სავარცხელი და კბილის საწმენდი ხათუთას ვაჩუქე და მას შემდეგ ხელშიც აღარ ამიღია. სავარცხელს ვხედავ, კბილის საწმენდით კი ეხლა ჯურხა და წიქა ჰფერავენ აბჯარ-საჭურველს.

ამას წინათ გულმავიწყობამ მათქმევინა:

— ხათუთი, საპონი მათხოვე.

— საპონი?.. საპონ რაი ეს?

მერმე, თეთრი ქაფი რომ მოვაგონე, გადიკისკისა და საპნის მაგიერ სიპი ქვა მომაწოდა.

ვითომ რაო! თუნდ სიპი ქვა იყოს, თუნდ ესეც არ იყოს!

ერთი მარცხიც მომივიდა: თან ათიოდე კოლოფი წუმწუმა მომყვა. რომ გამითავდა, ჯურხას ხელი გაუწოდე:

— ჯურხა ასანთი მომეცი.

— რომელ ასანთ, სპიჩკაი?

ხო-ხო-ხო! რა ხუმარა ვყოფილვარ! ჯერაც ვერ გადავეჩვიე ქალაქურს?!

ხათუთას ნაჩუქარ ქისაში აბედი და ტალკვესი ჩამიწყო და დამარიგა:

— აბედ-მოკიდებულ ყალიონს ცხო გემო აქ, კა გემო.

მეც მჯერა. მეც ჯურხასავით „ყალიონი“ საყელოში მაქვს ჩარჭობილი, ხოლო ქისა—პრტყელ ქამარში, რომელიც წიქამ ხარის ტყავისგან გამომიჭრა.

ნურავინ შემედავება: ალუბლის „ყალიონ“ ინგლისურს სჯობია, ხოლო ხათუთას ხელით მოყვანილი, ბელის სიბრტყე თამბაქო სამსუნის თამბაქოს მირჩევნიან. ყალიონის მოწევაც ჯურხასგან ვისწავლე. დინჯად, გარინდულად, დალაგებით, მადით და ტკბენით ვეწევი. ნაცარს ფეხის ცხვირზე გამოვიყრი, ცეცხლს ხელის გულით ვიღებ და შემდეგ ნეკით ვასწორებ. თითები ხშირად მეწვის, მაგრამ ტკივილის შემჩნევა „მცხვენისავ“. ბოლს რომ გამოვუშვებ, თან მივაყო-

ლებ: „მპა!“ დროგამოშვებით ჯურხასავით ვიწიტები: შეკრულ კბილებიდან დუჟს გამოვასხავ,—„წიტ!“—და ტუჩებს ხელით მოვიწმინდავ.

ქალაქურ-ლიტერატურული სიტყვებიც მეკარგებიან. საბოლოოდ დღეში სამიოდეს ვკრეფავ ხევსურულს და ვამბობ:

— ხუთ ძროხაი ას... ჯურხას სტუმარ ხყავნ... ხათუთი, ხედავავ?.. ჯურხა, აქ ორავ, აქ (აქა ვარ, აქ)!.. მზექალო, არ გცხვენისაევ?.. ჩვენ მამ-პაპან ამაგაში მადიოდეს, უფრო ჩვენზედ კაად სცოდნივ სრუ ყველაი,—უქმიცდ, საქმიც...

ჯურხა „ნადვილ ქართულს“ მასწავლის და ყველას არწმუნებს, რომ ექვს თვეში მე არხვატელ ხევსურისგან ველარავინ გამარჩევს. სხვებზე მეტად ეს აძბავი ხათუთას უხარიან:

— ჩემ დალიშნულ ხევსურ ას! ქალაქის სუნ აღარ აქვნ!

სუნზე გამახსენდა: პირველ ხანებში ხევსურული სიმყრალე მახრჩობდა. ხათუთასაც თავისი სუნი ჰქონდა: ერთად არეული დამძაღებული კომბოსტო, დამპალი ქონი, ძმარი, მუშკი და ხარდალი. მაგრამ ამ ქვეყნად ყოველივე წარჩავალი ყოფილა,—ხათუთას სუნიც და ლოგინის სიმყრალეც. ყნოსვა ნელ-ნელა დამიჩლუნგდა და მხოლოდ რამდენიმე სუნის გარჩევის უნარი შემრჩა: რძის, ციკნის, არყის, მოხრაკული დუმისა და ხათუთას ტანის, რომელსაც მათრობელა ოხშივარი ასდის. მგონი, რძით იზელავს ტანს. ის კი ვიცი, რომ ძროხის შარდით იბანს თმას. ამიტომ გადაჰკრავს იმის დალალებს ძუქი სპილენძის ფერი.

ადრე მკბენარიც მაწუხებდა. არ ვიცი, რომელი უფრო მეტია ხევსურულ ლოგინში, ცხვრის მატყლი თუ მკბენარი. ეხლა კი ამასაც ველარ ვამჩნევ. ჯერ საწოლში საცვლებით ვწვებოდი. წაწალობამ გამახდევინა, რადგან ხათუთა შიშვლად წაწლობდა. მერმე ხათუთამ და ჯურხამ მასხარადაც ამიგდეს. მეც დავრწმუნდი, რომ ხევსურეთში სიტყვა „საცვალიც“ არ იციან, შალს ტიტველ ტანზე იცვამენ და ტყავებშიც ისე სწვებიან, როგორნიც დაბადებულან.

ჩემი საცვალიც ხათუთამ თავისებურად გამოიყენა: ზოგი დასჭრა და თახჩებს ჩამოაფარა, ზოგი კი დალაქ-დოსტაქარმა წაილო ჭრილობების შესახვევად.

თანდათან სოფლურ შრომასაც შევეჩვიე. ჯერ სახლში დავტრიალდი: ცეცხლი ავანთე, ქვაბები გავრეცხე, ცოცხსაც კი მოვკიდე ხელი. ქალუკები ჯერ ხითხითებდნენ, მერმე ხათუთამ შემარცხვინა.

— ვაჟიკაავ, არ გცხვენისავ! სოფელ რო შეიტყვის, სიცილ მართავავ.

ჯურხას გავყევი და მამაკაცის საქმეს მივაგენი: აბჯარ-საჭურველის წმენდა, ნადირობა, შულლი, მუდამ ომისთვის სამზადისი, „ყალივანი“, ლექსის გამოჭრა, ლუდი, ღრეობა, ფარიკაობა და... ზოგჯერ მიწის აჩიჩქნა.

მგელა ჩვენს ოჯახზე კრუხივით ზის, ჯურხა კი წაწილებს გარსშემო უვლის.

VI.

დათვია შემხვდა და შემომიტია:

— უჯიშო! უჯილაგო! დამპალო! ნიავის საღვერაო! სად ას შენი დაშნა?!

არც დაშნა მეკონდა, არც დანა. ამიტომ დათვიამ ხიჩლით ნომაწიტა და აბჯრიანი ზურგი მაჩვენა.

ჯურხამ რომ გაიგო, მეხივით დაიქუხა. ნისი ლომურად [illegible]ებისგან სოფელს ხანზარი გაჰქონდა. უმალ რკინა-ფოლადში ჩაჯდა და ზეძო-ეზრისკენ გაიწია. მაგრამ ქვემო უბანმა აწყვეტილი ლომი ძლივს-ძლიობით შეიმაგრა. „მაწევარ“ მაინც გაუგზავნა და შეუთვალა: დათვიავ, ვაი დედიშენის ბრალი, თუ სადმე წაგაწყდიო.

წიკლაურთა გვარმა გლოვის ჰანგზე დაიგმინა და ძაძის იერი ჩაიცვა. იმ დღეს ღიმილი აღარ დამინახავს. ჯურხა ჰბორგავდა, წიქა იხერხებოდა, მგელა მგელივით ღმუოდა, ტოტია ბურტყუნებდა, ხოლო დედაკაცები იფხრიწებოდნენ და ისეთს მოსთქვამდნენ, თითქო ექვსი შვილი მაინც დაუბოცესო. ხათუთამ პირი მომარიდა და საწაწალოდ აღარ მოვიდა.

შერცხვა წიკლაურთა გვარი! შერცხვა და დაილუპა! მათი ოჯახის წევრი, ჯურხას ძმად-ნაფიცი და ტოტიას სიძე ლაჩარი გამოდგა! აღარავინ იმოყვრებს წიკლაურებს, არც არავინ მიეკარება. ტყუილ-უბრალოდ გაიბნა გვარის სახელი, ასი თაობისგან შეძენილი! უნაყოფოდ დაიღვარა არაბულის, ალდიმ გეეზისა და ბატირ მუტოს სისხლი!

— „კმარა!—დავიძახე მეორე დღეს გულში.—მეც ხევსური ვარ, ნამდვილი ხევსური! გაფრთხილდი, დათვიავ! შენც მერიდე, აპარეკავ!“—და ძმად-ნაფიცს მივაძახე:—ჰეი, ჯურხაე, მაიტა ჯავშანი, ზუჩი, ფარი და დაშნა! მე ის არ ორავ, ვინც გგონივართ! მეც ხევსურ ვარ, ხევსური!

უცებ გამოიდარა. წიკლაურებს თითქო ექვსივე დახოცილი შვილი გაუცოცხლდათ. იმედი და ღიმილი კვლავ დასახლდნენ ტოტიას და მგელას ოჯახებში. ჯურხა გადამეხვია. ხათუთამ ადგილი იხელთა და ცხელი კოცნა მაჩუქა.

ერთი რამ ვიცი: არც დათვიას დავეუარდები ლონით, არც აპარეკას. სიმარდით კი ამ სოფელში ყველას ვსჯობნი. ჩემმა გიმნასტურმა ვარჯიშობამ და ჭიდაობამ ტყუილად არ ჩამიარეს. ჯურხას-კარში ქალაქურ სენისგან განვიკურნე. ჩემი კუნთები თავის-თავად იბურთებიან. გაქცეულ მოზეერს ვეწევი და შვიდ ნაბიჯზე ვხტი.

წიქა თავის საჭურველს მოარბეინებს. ხათუთა ორ-ადლიან დაშნას მოათრევს! იამზეს ჩაჩქანი უჭირავს. მზექალო ფარს მაწვდის. ჯურხა უკვე რკინაშია ჩაჭედილი. ჯერ-ჯერობით უნდა ვივარჯიშო. ჯურხა ჩემი ოსტატია.

ეზოში გავედივართ და დაშნების მაგიერ ჯერ ჯოხებით ვიბრძვით.

— აათ, მაგხვდა!—მალიმალ ბღუის ჯურხა.—კიდე მაგხვდა!.. ასს!..

— ფარი დაუხვედრავ, ფარი!—მიყვირის წიქა.

— ფეხი დამალავ, ფეხი!—მარიგებს ტოტია.

სხვები იცინიან. მე კი ვიბრძვი,—ვიბრძვი შმაგიანად, მარდად, თავგანწირვით. ლონეზე რომ იყოს, ჯურხა ერთის დაკვრით გამაპობდა. მაგრამ მე სიმარდე მშველის. უფრო და უფრო იშვიათად ისმის მისი „მაგხვდა! აას!“ ბოლოს, როგორც იყო, მეც მივაძახე:

— მაგხვდა!

და ჩემი „მაგხვდა“ თანდათან ხშირდება. დავიღალეთ. ყველანი ვგრძნობთ, რომ ფარიკაობაში უკვე ასი ნაბიჯით გადავხტი. წიკლაურებს უბარიანთ, მაქებენ და მამხნევებენ. ზეგ ან მაზეგ დაშნახე გადავალ. გაფრთხილდი, დათვიავ! მერიდე, აპარეკავ! ნურც თვენ გათამამდებით, ბიკა, აფშინა, გაგა, ქორია!

მაინც, რა მძიმე ყოფილა ეს საჭურველი!

* * *

როგორ მოხდა, რაც მოხდა, ბინდ-ბუნდად მაგონდება.

სამი დღე ჯოხებით ვიკარჯიშეთ. მეოთხეზე დაშნები ავიღეთ. ჯავშანი ალარ მემძიმებოდა. სისხლი უნდა დაიღვაროს, ამიტომ მგელაც აქ არის. ესეც დოსტაქარია. ხან ზეზე ვიბრძვით, ხან ცალ მუხლზე დაჩოქილები, ხან კიდევ ჩაკუნტულები. თანდათან შევხურდით.

— მაგხვდა!—მივაძახე ჯურხას და სისხლი დავინახე. სისხლმა უფრო შემაფიცხა.

— აათ, კიდე მაგხვდა! აას!

ნახევარი საათის შემდეგ იარებს ვითელით, ქერით ვიზომავთ და ვიხვევთ. მე ორგან ვარ გაკაწრული, ჯურხა—ხუთგან. არ შევრცხვინ: არც ერთ განაკაწრში ქერის მარცვალი არ ჩაიფლო. გაფითრებული ხათუთა წყალს უსხამს მგელას. ბებერი მგელი იარებს მიხვევს და მარიგებს:

— თუ არ აჩქარდივ, დათვიაი ვერ გაგიძლებივ. დაშნას თოლი არ მაშორებივ, გულში შიშ არ ჩაიდებივ. დათვიას არ მახკლავდავ. ისც კაც ას.

— ძახკალ! მახკალ!—შემომძახა ჯურხამ.—თუ არ მახკალ, ი მახგკლავს.

ერთი კვირა კიდევ გავიდა. დილით და საღამოთი ისევ ჯოხებით ვფარიკაობთ, რადგან ახალი სისხლის დახარჯვისა გვეშინიან: დავსუსტდებით და დავიძლევით. ჯურხა იმუქრება: თუ გაჯობა, იმ დათვს მე თვითონ დავახრჩობ. და ხშირად იმეორებს:

— მახკალ! მახკალ, თორე ი თაოთ მახგკლავს!

ჯურხა ჭკუიანი კაცია: უნდა მოვკლა!

ბალათერას ქორწილი იყო. დათვია ჯაჭვით შეშოსილი მისულიყო და ეთქვა:

— ი ქალაქელ დამპალაი არ მავას, ჩემი ეშინივ.

ჩვენ კი უკვე რკინით ვიყავით შეჭედილნი.

— დათვიამ არ დაგასწრავ.—მომაგონა ჯურხამ.

ვერა, ვერ დამასწროს!

ხუთი ვაჟკაცი, ხუთივენი შერკინულნი, ერთად მივადექით ბალათერას. მე მაშინვე გავნაპირდი. მგონი მეშინოდა, არ დაგვიჭირონ, ან მანდილი არ ჩაგვიქნიონ მეთქი. დათვია გარსშემო მივლიდა და მიბღვეროდა. რომ განაპირდა, დრო ვიხელთე, რამდენიმე ნახტომით პირწინ ავესვეტე და მივაძახე:

— რას იბღვირებ, დათვიავ! თუ ხათუთაი გინდავ, დაივიწყივ.

და იმავ წუთს ხათუთას მოვკარი თვალი. დაშნები ქარქაშებიდან თავისთავად ამოსხლტნენ.

— განი! არ მოგვეკაროთ!—შევძახე ჩვენსკენ გამოქცეულებს და მოეტრიალდი. ამავე წუთს ჩემმა თავმა დაიბზრიალა. თვალთ დამიბნელდა. წავტორტმანდი, მაგრამ თვალის ჩინი უმალვე დამიბრუნდა. ზურგი მიყრია. დათვიას დაშნა ერთხელ კიდევ წამოვიდა პირიალით და სხივრლით. ფარი შევაშველე, განზე გადვიწიე და იმავ წუთს ჩემი დაშნის წვერი დათვიას ყელში მივეცი,—სწორედ ყელში, რომელიც პირსაბურავმა გამიხსნა. დაშნამ დათვიას კისერში გზა გაიკვლია და ერთი მტკაველით გაიხედა.

„მახვკალ! მახვკალ! ცოცხალ ადამიან მახვკალ?"

* * *

ხევსურების თვალში მხოლოდ იმ დღეს გავხდი ადამიანი, რადგან ადამიანი „მახვკალ". ჯურხამ ნეკნები ჩამიზნიქა, იამზემ და მზექალომ ახალი რაინდი გადაჰკოცნეს, ხოლო ხათუთამ იმ ღამეს ისე იწაწალა, რომ მეორე დღეს ფეხები მედრიკებოდა.

მაშ ესე: ადამიანი მოკალი. ხათუთას, სულ ერთია, ვერ წამართმევდა. მაშ რატომ გავიმეტე? იმიტომ, რომ მომაწიტა? მაგონდება: დათვიამ მგონი განზე გადააწიტა. იამზაქოს ღეჭავდა და დღეში ხუთასჯერ მაინც იწიტებოდა. დამპალი რომ დამარქვა? ჰო, ამიტომ, მგონი ამიტომ. და იმიტომაც, რომ წიკლაურები შეშფოთდნენ. უფრო კი იმიტომ, რომ ჯურხამ მირჩია, „მახკალო". კიდევ იმიტომ, რომ აქაური ადათი ესეთია. „სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო". მეც ხევსურული ქუდი მხურავს, თუმცა არც ისეთი მსუბუქი ყოფილა ეს ქუდი, როგორც პირველად მომეჩვენა.

ან იქნება დათვიამ მართალი სახელი დამარქვა? იქნება მართლა დამპალი ვარ?

არ ვიცი... ჯერ კიდევ არ ვიცი.

მე და ლომა-ძაღლი ჩვენი წიფლის ქვეშ ვწევართ. ჩვენი არწივი ისე დასცურავს სივრცეში, როგორც შავი ნაფოტი უუზარმაზარ ლურჯ მორევში. ჩემი ციყვიც ქვემო ტოტზე ზის, კიწია-კბილებს მიკრიჭავს, ჩინჩხვარს ჰლრღნის და ზედ მაფურთხებს. ჩვენი თვალები შეხედნენ ერთმანერთს. ციყვმა უცებ ფხაჭანი აადინა და ფოთლიანში დაიკარგა: ნეტა რა მოუვიდა? სისხლი ხომ არ შემატყო? ცოდვის ალლო ხომ არ აიღო?

ფაჩუნი მესმის. თავჩაღუნული აპარეკა მოდის. ლომა იღრინება და ტოტებით მიწას ბრდღვნის. საკვირველია! წინად ლომა ამ კაცს კუდის ქნევით ელაქუცებოდა. ეხლა კი... სამტროდ ხომ არ მოდის ეს კაცი? წამოვიწიე და უნებურად ხელი ადლიან ხანჯალზე დავიდე. ერთმანერთს შევხედეთ,—მკაცრად, ბღვერით, მუქარით.

აპარეკამ ვერ გამიძლო: უმალ თავი ჩაჰღუნა და გაბრუნდა.

ეგრე! ის აღარა ვარ, ვინც გეგონეთ! ტყუილად კი არ ჩამომშორდნენ ბალღებიც! სხვებიც მერიდებიან და მოშორებით მივლიან: „მიში შეიქმს სიყვარულსა"!

კაცმა მართალი უნდა სთქვას: სამოთხეა, ნამდვილი სამოთხეა ჯურხას-კა-

რი! არც მილიციელი, არც გამომძიებელი, არც ბრალმდებელი და არც საქვეყნო აყალ-მაყალი! ადამიანი მოვკალი და, საპყრობილის მაგიერ, წიფლის ქვეშ განვისვენებ.

თუმცა, აქაც გამიმართეს სამართალი. ნიშთან შეიკრიბნენ, დროშა გამოიტანეს, უხუცესებმა მოიკალითეს და მეც დამიბარეს. მე ჩემი სათქმელი ვუთხარი და განზე გავდექი: ჯურხამ ისე ილაპარაკა, რომ საუკეთესო ტფილისელი ვექილიც კი შურისგან გაფითრდებოდა. მსაჯულებს დაუმტკიცა, ვითომ მე დათვიას „მაკვლა" არ მინდოდა, ვითომ დათვია მომეპარა და უკნიდან დამკრა,—ლაჩრულად, დიაცურად, „ციცაიეით." მგონი ამან მიშველა. მოწმეებმა ხელის გულზე მიწა, ვერცხლი, ხორბალი დაიყარეს და დაიფიცეს:

— ვფიცავავ, რომ მართალს ვიტყვივ.

დილით მგელამ ჯურხას-კარის „კანოლები" ქონიან თითებზე ჩამომითვალა:

— თუ თავში დაჭრილს ამოუვიდა საზეო ძვალი, ხუთი ძროხაი ას, თუ ჩხიმი ამაჰყვა, მაშინ შვიდ ძროხა უნდა მისცას. თუ მსუბუქად დაიჭრა, დაჭრილს დამჭრელი არაყით, საკლავით და პატივით მიუას შინ, მეტი არა მიზდევს.

— თუ მახკლა? —ვკითხე.

— თუ სხის იარაღით მახკლა, იარაღის პატრონი გადაიხდის ხუთ ძროხას.

— მკვლელს რაღას უზმენ?

სწორედ ამ დროს დაგვიძახეს. მაგრამ მე ვიცოდი, რომ შეიძლება აქედან გავეძევებინე. ჩაქოლვა მერჩივნა. იმას მაინც არ გავიგებდი, რომ ხათუთა აპარეკას „მაუწვა".

მსაჯულები ლმობიერად მომეპყრნენ: მოკლულის დედას ათი ძროხა მიუსაჯეს. უბიდან ხუთი გაქონილი ათ-თუმნიანი ამოვიღე და ვთქვი:

— მეტი არაფერ გამაჩნივ. ამ ფულით თუნდ ოცსაც იყიდის. აიღოს.

დამავიწყდა, რომ აქ ფულის მაგიერ ძროხები დადიან ხელით-ხელში. ფულის დანახვაზე ზოგმა პირი დააღო, ზოგმა რახრახი ასტეხა, ქალალდის ფული დაიტაცეს და ისე სინჯავდნენ, თითქო ცოცხალი ოჩოპინტე დაიჭერესო, თან ზიზღით იწიტებოდნენ, თეძოებზე ხელებს იტყაპუნებდნენ და ოხუნჯობდნენ:

— ძროხის მაგიერ ქალალდის ნაგლეჯ უნდა მისცემდივ!

— ჯიბგიროობაი ქალაქში გაუვიდის, ჩვენთან კი...

— ჩვენც გამაცდილ ვართ, გამაცდილ! ვერ მაგვატყუებდივ!

მე მეწყინა. თავი ჩავლუნე და წამოვედი. ჯურხამ ფული დამიბრუნა და მითხრა:

— თუ კაცმა კაც სხის იარაღით მახკლა, მეპასუხედ იარაღის პატრონ ას. დაშნა მე მაგეც, ფარი ტოტიამ მაგცის. შუღლი გათავდივ. იცხოვრივ მშვიდობით!

წიკლაურებმა გავიმარჯვეთ. მართლა, დამავიწყდა: ᲗᲣᲪ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ გვარი დავირქვი.

აპარეკა რომ დავიფრინეთ მე და ლომამ, ხათუთა ᲨᲔᲛᲘᲓᲐ და მითხრა:

— სოფელში მაწევარ წავლალაეთ. ხვალ ხორწილ გვაქვს.

გამახსენდა: წუხელის, ადათის თანახმად, ხევსურები არაყით გაილეშნენ ტოტიას სახლში. დღეს დილით თვითონ ხათუთამაც დაიარა სოფელი და სტუმრები „მაიწვია“.

მაშ ხვალ არშიყობა და წაწალობა გათავდება. ვაი თუ ხათუთას კოცნასაც გემო დეეკარგოს!

— ხათუთი, ჩემო თუთი! მოდი, მაკოცე... ერთხელ კიდევ მაკოცე, თორემ...

— აბაიმე, ვაჟიკავ! რაი გემართების?

— არაფერი, ძალუკავ, საიმისო არაფერი!

* * *

ჩემი მაყრიონი ერთ ეზოდან მეორეში თოფის სროლით და გრგვინვით გადადის და ხათუთას, ტოტიას და იამზეს ატყობინებს: „მავდითავო“! გზაშივე არაყი და ლუდი მიაგებეს. წინ „მეხორწილე“ ჯურხა და წიქა მიუძღვიან. აქ ჩემი დედ-მამა—მგელა და ნანუკა ესალმებიან.

— მასპინძელო,—ეუბნებიან მგელას და ნანუკას,—სრუ მუდამ ლხინი და ხორწილიმც ნუ მაგეშლებისავ!

მხოლოდ ესლა შემიშვეს ქალებით სავსე ოთახში.

ხათუთა საზლაპრო დედოფალს ჰგავს: მოქარგული „სათაურა“; ვერცხლის „შიბი“; მოკლე ჯუბა,—ისიც წითელ-ყვითლად მოქარგული; ქათიბის მსგავსი „ფაფანაკი“; ნამდვილი ვერცხლის საყურეები; ნამდვილივე ვერცხლის ბეჭედი; ძროხის შარდით შეწითლებული და მუხლამდე მინაწვდენი ღვედის სისქე ნაწნავები; დაბურული თვალები, მარწყვის ტუჩები და შიგ მწკრივად ჩალაგებული გაფცვნილი ნუში. ტოტია და იამზე ცრემლით იღიმებიან. ხათუთას ხელი უკანკალებს.

ზედამდეგებმა ჩამოატარეს სანთლებით განათებული ტაბლა. ხევის ბერი გვამწყალობებს, გვლოცავს და გვარიგებს:

— ქალისა, ვაჟის პატრონნო და ნეფე-დედოფალნო! გწყალობდასთ ნახსენებ ანგელოზების მადლი! ბედიან-დავლათიან მაგახდინასთ, ერთუცს შაგაბერნასთ, გამრავლნასთ, ასის-თავად გაგხადნასთ!

ყველანი გვლოცავენ და გვილოცავენ. ჯურხა მახრჩობს და თითქო სტირის:

— ვაჟიკავ... ჩემო ძმავ და ფიც-ნაჭამო...

მეხვევიან მამაც, დედაც, წიქაც. კინალამ დავკოცნე შუქია, თია, კმარა, ლელა, სანდუა და თუთა.

მერე დაიწყო სმა, მღერა, „ტომ-ფანდურის ტყრიალი და ბუზიკანტი“.

უშნოდ და მოუხეშავად ცეკვავენ: ხტიან, ტლინკებს ისვრიან და ხელებს ისე ატრიალებენ, თითქო გოცებას გამოსახავენო.

შუქია გვერდით ჩამიცუცქდა. ფანდურს აფრატუნებს [illegible]:

ადუღებს ბედიანაი ქერსა და სვესა, ორსავე.

ახსენებს ბედიანაი ჯვარსა და ღმერთსა, ორსავე.

აწევდა ბედიანაი მტერსა, მაკეთეს, ორსავე.

მერმე მეჩურჩულება:

— არ შარცხვე, ამალამ რო მიუცუცქდებივ და იკუსკუსებივ, თორე...

ხათუთამ ყურები სცქვიტა. შუქიამ გადიკისკისა და ქალებში შეერია.

შუალამე გადასული იქნებოდა, რომ გალეშილი სტუმრები ღრიალ-კივილით დაიშალნენ. მე და ჯურხამ თითო „ყალივანი" დავცალეთ და ჭერხოში—ზემო სართულში ავედით. ჩემი ლოგინი ისევ ბანზე მეგულებოდა. მეგონა, ხათუთა იქ ამოვა მეთქი. მაგრამ ჯურხამ მითხრა:

— აქ გაიხადავ. ადათ უნდა შესრულდივ.

რომ გავიხადე, ქურქი მომახვია, სანათურთან მიმიყვანა და ქვეით ჩასძახა:

— ხათუთავ, შაიძლების რო ვაქიკაი ჩამოვიდის?

პასუხად სიბნელიდან ხითხითი მომესმა.

— ჩად!—მიკარნახა ჯურხამ და მეც ჩავედი.

— აქ ვარ, აქ.—მომესმა ჩურჩული ტყავებში გახვეული დედოფალი ცაცუნით ეიპოვნე. წაწალობის საზღვარს რომ გადავცდი, ხათუთამ შეჰკივლა. და იმავე წამს მეორე კუთხიდან მზექალოს ხითხითი: ნანუკას შემოტევა მომესმა:

— რაი გაყვირებდივ, ქალაიავ! პატარაი ხო არ ორ?

მეგონა, ჩვენი ჯალაბობა იმ ღამეს ტოტიასთან წავა მეთქი. მეხამუშა. ისევ ჭერხოში დავაპირე ასვლა, მაგრამ ვიფიქრე: „ესეც აქაური ქუდი ყოფილა, და მეც ხომ წიკლაური ვარ". და დავრჩი. შემდეგ, ჭერხოში რო ავედ, ჯურხამ ჩასძახა მზექალოს:

— ქალაიავ, შენთან მასვლა მინდივ.

— ჩამად, ჩამად!—დაუყვირა ქვეიდან მზექალომ.

მესმის, ცოლს რომ ნებართვას სთხოვენ, მაგრამ ვერ გავიგე, განგებ რად ატყობინებენ მთელ ოჯახს თავიანთ ნაჩუმარს?

ამაშიც ვემორჩილები:

— ხათუთი, შენთან მასვლა მინდივ.—ვუყვირი ყოველ ღამე ზევიდან.

— ჩამად, ჩამად!—მიყვირის ქვეიდან ჩემი ცოლი.

და მე რო დავბრუნდები, ჯურხა ჩასძახებს:

— ქალაიავ!..

— ჩამად, ჩამად!—ამოსძახის მზექალო.

VII

ტოტია ჩემი სიმამრი გახდა, იამზე კი—სიდედრი. ორი მამა მყავს,—მგელა და ტოტია, და ორი დედა,—ნანუკა და იამზე. ჩემი თავისთვის გაუთავე-

ბელი დავა აქვთ. მეც არ ვიცი, რომლის შვილი ვარ ნამდვილად და გის სახლში უნდა დავბინავდე. ურიის ბალღივით მწეწავენ, სოლომონ ბრძენთან რომ მიიყვანა ორმა დედამ ის ბალღი შუაზე გაჭრას გადარჩა, ... ჯურხამ შუაზე გადამჭრა: ხან ერთთან ვარ, ხან მეორესთან. კვირა ... ჯურხასკარში თვე და დღის რიცხვი დავკარგეთ, თორემ კვირა-უქმე ბავშვებმაც იციან), მე და ხათუთა ტოტიასთან გადავდივართ. მეორე კვირა რომ დადგება, ჯურხა ამოვარდება, ჩვენს ქონებას ილლიაში ამოიჩრის და ბატკნებივით „წალგვლალავს“.

ხათუთა ამბობს, ორმოცი ძროხა გვყავსო. ოცი ტოტიას უჩუქებია და ოციც ჩემი „ურბათი“ ყოფილა. თურმე ის ურბათი მე უნდა მიბე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეც, მეოთხეც... ერთმანერთში არეულან სპილენძის და გოგირდის მადნები. აქა-იქ შაბიამანიც მოსჩანს.

— რაის ეძებდივ მანდ, ვაჟიკავ?

— სპილენძი, ჯურხავ, სპილენძი!

— ვიცივ, ვიცივ. ეგ სხო სპილენძ ას, შენ რო ეძებ, ის სხო ას. წამადივ, წამადივ, თორე დათვი წაგვივის.

მე არ მივდეევდი. ჯურხა გამიწყრა, თითქმის ძალით წამათრია. თითქო შეშინებულიც იყო, მიმათრევდა და ბურტყუნებდა:

— რაით გინდივ სპილენძ? ეშმას მაგვანილ ას. ქალაქში გაიგებივ და ამავიდიან.

შიშის მიზეზს უმალ მივუხვდი: ის ქვეყანა ამ ქვეყანაში შემოიჭრება. გაიკაფება გზა, გაიბმება მავთული, მოვა მილიცია, გაჩნდება ხელისუფლება, საბართალი, გადასახადი, მანქანა, ორთქლი, ელექტრონი და ათასი ეშმაკეული.

საღამოზე ორივენი ჩაკუნტულნი ვსხედვართ და ყალიონებს ვაბოლებთ.

— ათასი პატარა ქვეყანა წამხდარივ სიმდიდრით, მადნით.—თითქო თავის-თავს ებუტბუტება ჯურხა.—რომელიც ძლიერ ას, იმან სიმდიდრისთვის სუსტ დასჯაბნის, დაიმორჩილის, თვისი რჯულ შაიტანის და ხალხ მანობაში ჩააგდის.

— ამიტომ?—ვეკითხები მე.

— ამიტომ ყოველ კაცმ და ხალხმ ახლა თვისი სიმდიდრეი უნდა მიწაში ჩაჰფლავდის და დამალვიდის. ნეფე ერეკლე დიდ ვაჟკაც ამბობდიან, მაგრამ ჭკუით დიდ არ იყვის. ცხო ხალხ შამაუშვის, ჩვენი სიმდიდრით მაიტყუვის.

მე ვეუბნები: რაც მაზინ მოხდა, რომ არ მომხდარიყო, ან გავთათრდებოდით, ან ხევსურებივით მთაში დავილეოდით. ჯურხას ჩემი არა სჯერა:

— თათარ რაის გვიქნევდის! თათარ ბეჩავ ას, დამპალ და საცოდავ, თათარ მავინელებდივ, სხოს კი ვერ მავერიეთ.

ამიტომ ყველა კარებები უნდა ჩაგვეკეტნა, საკუთარ ნაჭუჭში ჩამძვრალვიყავით და ჩვენი ჯანი შეგვენახნა.

— ეგრე რომ გვეცხოვრნა, ეხლაც ურმით უნდა გვეელო, სხვები კი ჰაეროპლანებით დაჰქრიან.

— სხოს ჰაეროპლანს ჩემი ურემ მირჩევნივ.

ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ ისევ ხევსურული ქუდი დავიხურე და გავჩუმდი.

მეც ხომ წიკლაური ვარ!

* * *

ციყვი დიდი ხანია გამექცა. დედა ჩემი ნანუკა ამბობს:

— სისხლ შაგატყვის, მიტომ გაიქცევდის.

დიდი ხანია წიფლის ქვეშ ალარ გავშოტილვარ. გამაფრთხილეს, დათვიას ნათესავი ბაიკა შენს სისხლს ეძებსო. ამას წინათ წიფლის მახლობლად მრავალი ნაფეხარი შევნიშნე. მეც აქაურ მეკვლესავით დავიგეშე თვალი. ის ნაფე-

ხარი ერთი კაცისა იყო. ალბად ბაიკა გითვალთვალებს. მეორე დღეს იმ ალაგს მე თვითონ დავადგი თვალი. ალლომ არ მიმტყუნა: ბაიკა ბუჩქებში იჯდა. თოფი მქონდა, მაგრამ მაინც მოვერიდე. ერთი კაცის სისხლი [illegible]

სისხლს გაურბივარ, მაგრამ თვითონ დამდევს. დათვია რამდენჯერმე მოგეჩვენა. მემრე ის ლანდი ან გელა გამოდგება, ან ხირჩლა, ან ათშინა. სიზმარში ხან სისხლით ვიბან პირს, ხან წითელი წვიმა მოდის, ხან კიდევ დათვიას დედა ძიმია სისხლიან ნამგლით დამდევს.

— რაით შეგეჩვივნ ლამით ყვირილ, ვაჟიკავ?—მეკითხება ჯურხა.—იქნებ სისხლ გაქვნ გამოსაშვებ?

ხათუთამ ვილაცას შეალოცვინა და გულზე ავგაროზი ჩამომკიდა, ვინ იცის, იქნება ამან მიშველოს!

— ჯურხა, რად გინდათ ამ სოფელში ამოდენა კოშკი?

— ვინ იცივ... კაცნი ორავთ.

— მტერი არა გყავთ. მაშ ტყუილად დაგიხარჯავთ უამრავი შრომა...

ბოლოს გამოირკვა, რომ ხევსურებს კოშკები ადათის ძალამ ააშენებინა. იქ, არხოტში კოშკები ჰქონდათ, მაშ აქაც საჭიროა.

კახეთში ეხლა გახურებული რთველი უნდა იყოს. ბარში თითქო—დამდნარი ქარვის წარღვნაა. ქალაქში კი... ნეტა ცალი თვალით მაინც დამანახეა ჩვენი დედა-ქალაქი და ჩვენი დედა-მდინარე!

ჯურხას შიში ემატება: სპილენძმა არ დამძლიოს და ხევსურებში გზა არ გამაკაფინოს. ეს შიში ალბად ჩვენი ბაასის ბრალია. ვალბილებ, მაგრამ მაინც ვამბობ, ან სხვა ვილაც ამბობს ჩემი პირით: კარებები უნდა გავალოთ, თორემ დავილუპებით, მანქანა და ცოდნა უნდა შემოუშვათ, თორემ ფარსმან მეფის დროს დავუბრუნდებით; ხიდი უნდა გავდოთ, თორემ დავილევით. უბრუნებლივ წავიდნენ ნებროთიანები, ქართლოსიანები, არშაკიდები და ბაგრატიონებიც. ჯურხას მგელა მიეშველა:

— რუსსა და იაპონიას შუღლი საქართველოსთვის მაუვიდათ. იაპონიის ნეფემ შამოუთვალივ: საქართველოს პირობის წიგნ რო დახივივ, კულავ გაამრთელივო და აქ რო ქართველ ბატონიშვილ ას, ტახტი დაუბრუნივო.

— მერმე?—ვეკითხები—ხომ გაიმარჯვა იაპონიამ. რატომ არ დაბრუნდა ჩვენი ბატონიშვილი?

გელამ კისერი ამოიფხანა, გადააწიტა და მიპასუხა:

— მადის.

— ოც წელიწადში ველარ ჩამოვიდა?

— შორს იქნების, რო ვერ ჩამავიდივ. იქნებ ოციც იაროს, ორმოციც, ასიც. ბოლოს მაინც ჩამავიდის. თუ თაოთ მახუცდის ან მაკვდის, იმისი შვილ ან შვილის-შვილ მავიდის!

მე უნებურად გამეცინა. მგელა წამოდგა, მოხრილი ხერხემალი გაისწორა, უცნაურად ამაღლდა, აცახცახებული ხელით მკერდი აიბაგუნა და უუმტკიცესი ხმით ამოიხოიალა:

— მავიდის! მა-ვი-დი-ს!!

და ზედაც აღარ შემომხედა. მგელას სული თითქოს ეხლა დაგრნახე. მგონი წიკლაურობა აღარ მიხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სოფელ'ში ისეთი ალიაქოთი ატყდა, თითქო ჯურხას-კარს მტერი შემოესიაო. ყველანი გაჰკივიან, დარბიან, იარაღს ისხაენ და ლაშარის ჯვრისკენ მირბიან. მეც მივდევ. გორაკიდან სამი ცხენოსანი ჩამოდის. ხევსურები გზას უყელავენ. სამი მილიციონერი აღმოჩნდა. თურმე მე მეძებდნენ. ჯურხა მტკიცე პასუხს აძლევს:

— აქ არავინ არ მასულივ. ვინ მაგიტანის ეგ ამბავ?

— არავინ. კაცი პანკისის ხეობაში დაიკარგა. ჩვენც გზა აგვერია და ამ სოფელს წავაწყდით. გზა გვასწავლეთ.

— არ მასულივ, არა!—მაინც გაიძახის ჯურხა. მერმე უცებ გაიბადრა.— წამადივ, პურ-მარილ შასჭამდივ და წახვიდადივ.

წიქას რაღაც წასჩურჩულა და მე ბავშვივით გამომაქცია. ჯურხას ვეფიცები: არ გამოვჩნდები, მეც წიკლაური ვარ, არ გილალატებ მეთქი. ჯურხას ჩემი სიმტკიცე უხარიან, მაგრამ მაინც ვერ მშვიდდება. ხევსურები ჯგუფ-ჯგუფად განზე გაჰყავს, ეჩურჩულება და დარიგებას აძლევს. მილიციონერები სოფელში წაიყვანეს, ხევსურები კი ქვეით მირბიან. ჯურხა მეხვეწება, სახლიდან ნუ გამოხვალო.

— ეგრე იყოს. ადვილი საქმეა.

ფაცა-ფუცი არ სწყდება. მილიციონერები ქვეით მიჰყავთ. ნახევარი საათის შემდეგ ხევში ათიოდე თოფმა ერთად იგრიალა. ყველას ვეკითხები, რა ამბავია მეთქი. არავინ არ იცის. მგონი რაღაცას მიმალავენ. მაშ მე წიკლაური აღარ ვყოფილვარ! ნახევარი საათის შემდეგ სამი ცხენი მოჰყავთ. შესდგნენ და აყაყანდნენ. მივედი და მივხვდი: მილიციონერები დახოცეს და ნადავლს იყოფენ. ცხენები და ტანისამოსი ადვილად გაიყვეს, იარაღისა და ვაზნების გულისთვის კი ერთმანერთის მოსაკლავად იწევენ. ბოლოს, ჯურხამ გააჩუმა. თვითონ არაფერი არ აიღო. ნადავლი გაჰყო, შეუტია და გარეკა. მე რომ დამინახა, აირია და ნაძალადევად გამიღიმა.

— ჯურხა, ეს რა ამბავია?—ვეკითხები სუსხიანად.—მაშ ყაჩაღები ჰყოფილხართ. სამი ცხენის და სამი თოფის გულისთვის სამი კაცი როგორ გაიმეტეთ?

თურმე ტუტუცი ვყოფილვარ. როგორ დავიჯერე, ან როგორ გავბედე იმის თქმა, რაც ვთქვი! ჯურხა მოღრუბლულია, ნაწყენია. სწყინს, რომ ვთქვი, სწყინს, რომ მე თვითონვე ვერ გავიგე მკვლელობის მიზეზი. იგი უბრალოა, ცხადია: სამმა კაცმა უნებურად მოაგნო ჯურხას-კარს. რომ ცოცხლები გაგვეშვა, გზას ისწავლიდნენ და ჯურხას-კარიც დაიღუპებოდა: მოვიდოდა მილიცია, სამართალი, გადასახადი, „ცხო კანონი და ცხო ხალხ“. სხვა გზა არ იყო, უნდა დეეხოცნათ.

— გაიგებდივ, ვაჟიკავ?

— გავიგე.

— მაშ დაივიწყებივ. ახლა წავიდივ!

კეთილი და პატიოსანი. წავიდეთ. ამ ამბავსაც დავივიწყებ, მაგრამ... თუმცა... მაინც...

კისერი მეფხანება. რა კარგი იქნებოდა, რომ ერთი თეთრი საყელო მქონოდა.

* * *

ბარში შემოდგომა მოვიდა, აქ კი ზამთრის პირს ვხედავ. ირგვლივ ყოველივე გაიცრიცა. ბურუსი ტყვიასავით დამაწვა. დილ-დილით მთები და მიდამოები ჭირხლით ჭალარავდებიან. ტყეში აღარც ყოლი მოიპოვება, აღარც თხილი, არც კუნელი და არც პანტა. ჩემი სიცოცხლე ტყიდან ბოსელსა და ბნელ ჭერხოში გადმოვიდა. დედაკაცები ხორცს ამარილებენ, მატყლს ართავენ, შალებს ჭქსოვენ, რძეს სდღვებავენ და კარაქს ადნობენ. ზოგჯერ მეც ვშველი, მაგრამ ჩემი შრომა პატიმარის გართობას ჰგავს: უფრო ხელს ვუშლი და ცირკის მასხარასავით ფეხებში ვედები, ვიდრე ნამდვილ საქმეს ვაკეთებ.

გარეთ აღარ გაისვლება. მეც დაკარგულ ბაქვით დავბორიალებ ოთხ კედელში ჩაჭედილი და თითქმის დამუნჯებული. თვალები ცეცხლის ცქერით გამიწყალდა და თეძოები წნელის „ლაჭანზე“ წოლით დამიბუჟდა. ხინკალმა, ერბომ და ქადამ გული ამისუყეს. მყრალმა თამბაქომ და არაყმა ხახა ჩამიხლიჩეს. დათვიას სისხლი ისევ მაყვირებს სიზმარში. არც იმ სამის სიკვდილი მესმის. გავიგე, მაგრამ არ მესმის.

ჯურხას ვეუბნები:

— სკოლა დავაარსოთ. ბავშვებს წერა-კითხვას მაინც ვასწავლით.

— სკოლა? ხო-ხო-ხო!—იცინის ჯურხა.—კითხვაი და წერაი ბალლებ კად იცივ. დედებ ასწავლივ. სხო არც უნდივ.

რატომ არ უნდათ? იმიტომ, რომ არ უნდათ. მაინც? იმიტომ, რომ განათლება ხევსურებსაც ქართველებივით დაალპობს, გადააშენებს, სხვის რჯულზე გადაიყვანს.

ორივეს მოგვბეზრდა ძველის განმეორება, ამიტომ მოკლე შეკამათებას ირყით ვათავებთ. ჩვენ შორის ნიადაგი ჯერ გაიკაწრა, მერმე ხნულმა გაიარა, ის ხნული არხად გადაიქცა, ახლა კი იგი ღრმა ხრამს დეემსგავსა.

— ბაიკას შორით უვლიდივ.—კიდევ მაფრთხილებს ჯურხა.—მელა კაც ას, მიპარვა იციეის.

— კისერიც მოუტეხნია! მელასავით ტყავს გავაძრობ.

ჯურხა რახრახებს. ჩემი პასუხი მოსწონს. ხვალ სპილენძის მადნის საძებნელად მივდივარ.

ხათუთა ორსულად არის. წიკლაურების გვარს მიემატება!

ღმერთო, გამაგებინე, რა ხდება იმ ქვეყნად, ქვეით რომ დამრჩა? ნეტა იმ საწყლებს, ხევში რომ დამარხეს, ცოტა ადრე მაინც შევხვედროდი: მეტყოდნენ რასმეს, უბრალო ამბავს მაინც მიამბობდნენ.

ძაღლების ყმუილს და უთავბოლო ყეფას დიდი ხანია შევეჩვიე. ეხლა კი სმენა ხელახლად ამეშალა. ისიც კი ვიცი, რომელი ძაღლი როდის ასტყდება, ან რა ხმაზე ჰყეფს. სხვებზე ადრე ბაღათერას შავი ძაღლი [illegible] ტოტიას თეთრა წკავწკავით გარბის. ლომას შეძახილი—„ავ-ავ! ავ-ავ!" გაღმა მთებზე ისმის. მერმე სხვებიც აჰყვებიან და ოც ხმაზე ჯოჯოხეთურს გააბავენ. ზოგჯერ გარეთ გავდივარ და ქვებს დავუშენ. იმ ქვებს ძაღლები ღრინვით მისდევენ. მერმე კი უფრო გაავდებიან და ჩემს ბინას ეტანებიან.

მკბენარსაც მგელასავით შევეჩვიე. ეხლა კი ძველი მგრძნობიარება ნელ-ნელა მიბრუნდება. ყნოსვაც ისე მქონდა დახშული, თითქო სამუდამო სურდო შემეყარაო. ეს ერთი ხანია, რაც ცხვირი ხელახლად მეტენება ხევსურული სუნით. ღმერთო დამიფარე, რომ ხათუთას სუნიც შევიგრძნო.

ოოჰ, სად არის ეხლა გოგირდის აბანო, მექისე თათარი, სუფთა საცვალი და... თეთრი საყელო, თოვლივით თეთრი საყელო!

ამას წინათ ხევსურებმა ოცი დატვირთული ცხენი წაიყვანეს და ერთი კვირის შემდეგ ნავაჭრით დაბრუნდნენ. ჯურხამ მათი წასვლა დამიმალა. ეშინიან.

* *
*

თვალები რომ გავახილე, ჩემმა ნათესავებმა სიხარულის ჟრიამული ასტეხეს. ხათუთა თან სტირის, თან იცინის. ჯურხას პირისახე თითქო ნაცრით აქვს შელესილი. ლამის გამჭყლიტოს, მეხვევა და მკოცნის:

— ვაჟიკავ, ცოცხალ ხარ, ცოცხალ?

არ მესმის, რა ამბავია. რად სტირის ხათუთა, რად იცინის იამზე, რად მკოცნის ჯურხა? წამოვიწიე, მაგრამ უმალვე დავეცი. აღარც ხელი მიჭირს, ველარც ვინძრევი. თავიც დამძნარი რკინით გამევსო. მგელამ ყველანი გაჰყარა და მითხრა:

— არ გაინძრიე, თორე ჭრილობაი გაგეხსნივავ.

ჭრილობა? რომელი ჭრილობა? მერმე მაგონდება: ჰო, მართლა, ბაიკამ თოფი მესროლა. სანადიროდ გავედი. მარტო ვიყავი. უცებ ბუჩქებში ბაიკას მოვკარი თვალი. მახსოვს თოფის გრიალი. მეტი არაფერი. მგონი ფილტვში გამიარა წვრილმა ტყვიამ. მგელა დოსტაქრობს. დალაქიც მოდის. ყოველ დღე ჩემ თავთან ოცი ექიმის კონსილიუმი იმართება. სხვებზე მეტად დედაკაცები ცხარობენ. ხათუთა თავთ მევლება და ზოგჯერ ისე დამცქერის და სტირის, თითქო მიმავალი ვიყო. მე ხათუთას ვამხნევებ:

— არა, ხათუთი, არ დაიჯერო, არ მოვკვდები, არა!

ბინდ-ბუნდად მახსოვს: ვიღაც დედაკაცმა შემილოცა. ხევის ბერმა დროშა, ჯვარი და ხატი შემოიტანა. ლოცვა, შელოცვა და ბუტბუტი არ სწყდება.

ერთი საათით რომ გონს მოვდივარ, ერთი დღე ბოდვაში ვარ. როცა სიცხემ დამიკლო, ხათუთას ვკითხე:

— რა დღეა დღეს?

— ხუთშაბათ ას, ახალ წლის მესამე ხუთშაბათ.

მგელამ გამსინჯა და განაჩენი გამომიტანა:

— გადარჩის!

ხათუთა სტირის და ილიმება. ჯურხა ისე მეხვეევა, როგორც ლომი კატის კნუტს. წიქა მამხნევებს და იმუქრება:

— დედაის ავუტირებივ ბაიკას, დედაის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს დღე მისდევს,—ტააატით და ცოცვით. უკვე მოვცოცხლდი, თუმცა ჯერ ისევ ლოგინში ვწევარ. გაუთავებელი დღესასწაულია ჩემს ოჯახში. წამი არ არის, რომ სამზე ნაკლები მომვლელი და გამრთობი იჯდეს ჩემთან. ხათუთა გახდა, გაიცრიცა. ვუწყრები და ვეხვეწები, დაისვენე მეთქი. მაგრამ ჩემი ცოლი გაუტეხელია. ღამეს თვალხილული სტეხავს და დღეს უძილოდ აღამებს.

წიქა თოფს და ხმალ-ხანჯალს აღარ იშორებს.

ერთხელ სადღაც თოფმა დაიჭექა.

— ის ას, ის!—დაიძახა ჯურხამ და თოფით ხელში გარეთ გავარდა.

მართლა „ის“ გამოდგა. წიქა და ჯურხა ერთად დაბრუნდნენ.

— მოყვარეი ნუ მაგეშლებისავ, ვაჟიკავ. შენი მტერ მახვკალით. შენი ქირც თან წაიღივ.—მეუბნება ჯურხა.

წიქა დინჯად ილიმება. უნდა გამეხარდეს. წიქას მადლობა უნდა გადავუხადო. მაგრამ არ ძალმიძს, არა! ვსდუმვარ და ჭერს შევსცქერი. ძმებმა არხეინად ისადილეს, „ის“ აღარც კი ახსენეს და „ყალივანები“ გააბოლეს. სხვები კი—მგელაც, ტოტიაც და დედაკაცებიც უფრო გასწორდნენ და ამაყად გამოიყურებიან. ხათუთაც კი, ჩემი ხათუთაც!

ღმერთო დიდებულო! რა მძიმე ყოფილა წიკლაურთა გვარის ზიდვა!

VIII

ორი თვე გავიდა. ჯურხამ და ხათუთამ ძლივს გამომიყვანეს გარეთ და კარებთან სამფეხაზე დამსვეს. ხარბად შევცქერი მზეს, ლურჯ ცას და თეთრ მიდამოს. არაფერი არ მოსჩანს თოვლის გარდა, არაფერი! ტოტიას და მგელას სახლები თეთრი გვირაბით არიან შეერთებულნი. ვიწრო ბილიკის ორივე გვერდით ხუთ-ადლიანი თოვლის კედლები აქვს აღმართული. მგონი თოვლი დნება. ნანუკას ვეკითხები:

— დედიკავ, როდისა გვაქვს აღდგომა?

— სამი კვირაი დარჩის, სამ. მაგწყინდივ?

მომწყინდა? ეგ არის, სწორედ ეგ არის! ნანუკამ ნამდვილი სიტყვა იპოვნა. ქალაქშიც ხშირად ისმის ეს სიტყვა, მაგრამ იქ იგი ფუჭია, გამოფიტული და უბოძო. ქალაქში ზოგჯერ მეც მითქვამს: „მომწყინდა“. ირგვლივ კი უთვალავი ხალხი, ეტლი, ავტო, კლუბი, დრამა, კონცერტი, ყავახანა, ლექცია, რესტორანი, სტუმარი და გაზეთი, მეცნიერება და ხელოვნება, შემოქმედების დუღილი და ცხოვრების თრთოლვა, ბრძოლის ქუხილი და სიცოცხლის ხალისი. აქ კი „მომწყინდას“ რკინის ხერხემალი და რკალის ბოძები აქვს. იგი მძიმეა, აგერ, იმ მთასავით და გაუძლისი აი ამ უსაზღვრო თეთრი ფერივით. არა, არა! აღარ შემიძლიან წიკლაურობა, აღარ!

— ხათუთი, გენაცვალე, როდის დამიბადავ შვილს?

ილიმება და თითებზე ითვლის:

— აღდგომაის შამდეგ ხუთ კვირაი რო გავიდის.

ნაშ ორი თვის შემდეგ, გაზაფხული რომ გაიშლებაა, მიშველე!

— ხათუთი, არ გინდა ქალაქი გაჩვენო?

— რაით მინდივ ქალაქ! რაით მაგაგონდივ ქალაქ?

— ისე მომაგონდა გეხუმრები... დაივიწყე.

და ამ დღიდან ხათუთას იქვი და შიში შეეპარა. ვაი თუ მართლა მომწყინდა ჯურხას-კარი? იქნება მართლა დავბრუნდე იმ ქვეყანაში? მერმე, ხათუთამ რა ჰქნას? წავიყვან? ან რად უნდა, რომ წავიყვანო? იქ რად გამომადგება ასეთი ცოლი? ეხლა მე ვარ უცხოეთში, ხათუთას ხელში, ქალაქში კი ხათუთა გახდება უცხოელი, და „ცხოს“ გარეულ ქათამივით შეერევა. აღარ მასვენებს ხათუთა. დღეში ორჯელ მაინც მეკითხება:

— რას ფიქრავავ?.. საით ას შენი ფიქრ, ვაეიკავ?.. ხო არ მაგწყინდივ, ჩემო ყველავ?

და მისი კოცნა შარშანდელზე უფრო ცხელია და ბანგიანი. მეც ნელნელა ვაძინებ ჩემი ცოლის გაჩუჩუნებულ იქვს:

— დამშვიდდი, ჩემო ხათუთი, დაწყნარდი. მე არსად არ მივდივარ, არსად. ყველანი აქა ხართ: ჩემი მამებიც, დედებიც, ძმებიც, დებიც და... შენც, ჩემო ხათუთი, შენც! მაშ რად ამოვიძრობ ახალ ფესვებს ახალ მიწიდან, რომელმაც დედა-შვილურად მიმიღო და ისე უხვად მაწოვა თვისი მადლიანი ძუძუ!

დაიძინე, ხათუთი, დაიძინე! ჯერ ადრეა ფიქრიც, შიშიც და ზრუნვაც. ჯერ თოვლი დადნეს. გაზაფხული რომ მოვა და გზებიც გაიხსნება, მაშინ მოგელაპარაკებით შენც და ჯურხასაც. შენ არ მაფიქრებ. ჯურხა კი... ჯურხამ არ იცის, რომ სხვა მიწაც არსებობს, აქაურზე უფრო ლამაზი, მოძრავი. ლონიერი და მადლიანი. მაგრამ ესეც მერმე იყოს. ჯერ-ჯერობით კედელზე ოდნავ მაითბობს. თეთრმა თვალები ამატკივა.

— ჯურხა. სახლში შამიყვანებისავ!

— მავდივარ, ვაეიკავ, მავდივარ!

* * *

ჯურხამ ჩემი განკურნებისთვის ლამის თევა გამიმართა. „წაღლალეს მაწევარ“, მოვიდნენ ჯვარიონნი, მოიტანეს დროშა, დაგვამწყალობნეს ლამის მთელნი. ქვევრებივით სვამენ, კიდობნებივით სჭამენ, უცნაურს გაჰკივიან, ტოშ-ფანდურზე დახტიან, ღრეობენ, მღერიან და ვაჟკაცობას იქადნიან. გავათენეთ და მკედრებივით დავეყარენით. საღამოზე აფშინამ „თავ-მასაპარსავო“ გამართა ისევ ხევის ბერი, ისევ დამწყალობება, ლუდ-არაყი, ხინკალი, ტოშ-ფანდური, ხტუნაობა, ღრეობა და სიმღერა. ერთი წლის ბალათერას ჟრჩხილის ოდენა ალაგზე თმა „მახპარსავ“. ეს იყო საბაბი ღრეობის.

ჯურხა ნანობს, რომ მე ავადმყოფობის გამო ვერ ვნახე „წელწად-წუხრა“, „კუმეტი“ და „სულთ აკრეფა“. სამაგიეროდ ვიუქმე „მგელთ უქმი“, რათა

მგელს ალარ შეეჭამნა ჩვენი საქონელი, და შევასრულე „კუდიანთ წუხრას“ წესები. ნანუკამ ნახშირით სავსე ჯამით ჩამოგვიარა, თითოსეულს თითო ნახშირი გადააგდო და სთქვა:

— ჯვარი გეწერას, ქრისტემ დაგდის ბეჭედი!

სალამოზე დიდი ცეცხლი ავანთეთ. მეც ნუგუზლებს ვისროდი და ვყვიროდი:

— გრიაიიი! ვრი კუდიანთ!

ამ დროს მთელ სოფელში თოფის გრიალი იდგა. ჩვენებიც ისროდნენ და გაიძახოდნენ:

— ამაგის მეტიმც ნურა მიგაქვთ ჩემი სახლისა. თავისა შასვით და შაჭამეთ!

მერმე მგელამ კარები ჩაჭეტა და დაილოცა:

— ქრისტემ დაგდვას ბეჭედ!

ჯურხა მარწმუნებს:

— ამ ლამეს არ შაუძლავ, რომ შიშით კარში ვინმე გაიარას, მესმინაეს გარდა, თორე კუდიანებ დასწყევენ, ან მახკვლენ.

— ჯურხა, გჯერა, რასაც ამბობ?—ვეკითხები.

ჯურხა გაოცებულია. მაგალითებით მაჯერებს, რომ კუდიანთ წუხრა ვინც დაარღვია, კუდიანმა „მახკლა“. ხათუთაც მეფიცება მზეს, მთვარეს, ლაშარის ჯვარს და ათიოდე ხატს, რომ თავის თვალით ნახა ეშმა. ამაზე მაგონდება: შარშან, ზაფხულში, რომ დაბინდდა, ხათუთა გულგახეთქილი მოვარდა და მთელი სოფელი შეჰყარა: გზაში კუდიანი შემხვდაო. მთელი სოფელი მოვიდა, მოუყვანეს მკითხავი, ხატს შეუთქვენ, შეულოცეს და ძლივს დაამშვიდეს.

— მაშ შენ არა გჯერავსა?—მეკითხება ჯურხა.

— არა, არა მჯერა: არც ოჩოპინტე, არც კუდიანი, არც მაძახურა, არც მეჯალაფე.

— იმათ არ გჯერავას, რო პატაროობით შენც დამპალ ორ, ქალაქელ ორ.—წყენით გადააწიტა და მისაყვედურა:—წიკლაურ არ ხარ, ვაჟიკაც, წიკლაურ!

ძლივს მიხვდა ჯურხა, რომ მე წიკლაური ალარ ვარ. ვსცადე წიკლაურობა, მაგრამ დავმარცხდი. მეტად მძიმე და უჩვეულო ტვირთი მოვიკიდე, ეხლა კი დროა სულიც დავიმშვიდო და მუხლიც შევისვენო, თორემ წავიქცევი... საცაა წავიქცევი! შარშან იმ ქვეყანამ ამოაბოყინა და ჩემი თავი წიკლაურებში გადმოაგდო. ეხლა კი საცაა ჯურხას კარიც ამომანთხევს და უკანვე გადამაგდებს.

ნუ იდარდებთ და ნურც გამიწყრებით ამის გამო, ჩემო ძმებო, მამებო, დედებო და დებო, ნუ!

თოვლი დნება. გაზაფხული მოდის... ჩემი, გაზაფხული! დიდი გაზაფხული! თეთრ საყელოს ვხედავ.

* * *

ჯურხას სანადიროდ მივყევარ. მე ვეუბნები, იქით წავიდეთ მეთქი,

საცა სპილენძი მეგულება. ჯურხას კი, ალბად განგებ, მეორე მხარეს მივყევარ. ცხადია, სპილენძისა ეშინიან.

აქამდე ნადირობის წესს არ ვღალატობდით. ჯიხვს ერთმანეთს ვებერებოდით, „ნადირთ წყემსს“ ჩურჩულით ვეხვეწებოდით:

— ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ, მამეც ჯიხვთ თავი, მამაკლიე! სულნი ხო შენნია ნადირთანი? რას მააკლდების შენთ ნადირთ?

ჯიხვს რომ გადავჩეხავდით, ზედ მივაყოლებდით:

— მადლობელ ორ შენი, ოჩოპინტე!

ორი დღე ვიარეთ. მრავლჯერ მივეპარეთ ჯიხვს.

— ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ, მამეც ჯიხვთ თავი.—ჩურჩულებს ჯურხა და მეუბნება:—ვაჟიკავ, შენც შაავედრივ.

მე გავკერპდი. ხმას არ ვიღებ. არ მჯერა ოჩოპინტე.

— შაავედრივ, ვაჟიკავ, თორე ვერ მავხკლავივ.

— მავხკვლავივ!—ვურჩობ მე და ვეპარები.

— ვერ მავხკლავივ მეთქი!

— მავხკვლავივ მეთქი!

ნადირს ათჯერ მივეპარეთ, ათჯერვე გაგვიგო და წაგვივიდა. ხუთჯერ ვესროლეთ და ხუთჯერვე ავაცდინეთ. ჯურხა ჩვენ მარცხს ოჩოპინტეს აბრალებს:

— ვერ მავხვკლავივ. ჩვენ რო ვეპარებივ, ოჩოპინტე ეტყვის ჯიხვს: „აბა, მაიქცენით! მენადირე გეპარებისო!“

ერთიც ვერ მოვკალით. ხელცარიელნი დავბრუნდით და საქვეყნოდ შევრცხვით. ჯურხა წიკლაურების შერცხვენას მე მაბრალებს, რადგან „ოჩოპინტეს არ შავავედრივ“.

მეორე დღეს ჯურხა და წიქა წავიდნენ და სალამოზე ორი ჯიხვი ჩამოათრიეს.

დავმარცხდი, საბოლოოდ დავმარცხდი! ჯურხას-კარი მხოლოდ ჩემზედ ჩაყანებს. ეგრე იყოს! ოჩოპინტეს კი აღარ შევეხვეწები. მორჩა და გათავდა! რაც მოხდა, მოხდა!

აღარა მჯერა შენი, ოჩოპინტევ!

ნეტა ვიცოდე, რა ხდება იმ ქვეყნად?

ისევ თეთრი საყელო მელანდება. წუხელი დამესიზმრა: ფუქსავატური და საზეიმო შავი ფრაკი, თეთრი ჟილეტი, ლაკირონის ფეხსაცმელი, მბზინავი ცილინდრი და გახამებული საყელო—თეთრი, მაღალი და მოლაპლაპე!

* * *

ხათუთა ბოსელში შეაგდეს. იქ უნდა იმშობიაროს. ტყავები შეუყარეს, წყალი და პური შეუტანეს და გოდორი მიუდგეს.

ხათუთა უწმინდურია, ჭირიანია, კეთროვანია! ახლოს არავინ გაეკარება,—არც მშველელი, არც ბებია, ვერც ნათესავი, ვერც დედა! მარტო გოდორი იქნება მისი დამხმარე,—წნელის გოდორი, დიდი წამება და უძირო მოთმინება!

იმ ბოსელს გარსშემო ვუვლი. ხათუთას კვნესა მესმის. მსურს სანათურთან მივიდე და ჩემს ხათუთას ორი სანუგეშო სიტყვა შევუგდო. მგელა შეძახის და მეუბნება:

— ვაჟიკაცისთვის სირცხვილ ას. არ მიეკარებოდეს!

— მაშ დედაკაცმა მაინც უშველოს.

— აჰ, ვერც დედაკაც შავიდივ.

ტოტიასთან გამაგდეს. მაგრამ ხათუთას კვნესა მაინც თან მომდევს. სალამოზე უკანვე დავბრუნდი.

მე და ჯურხა ჩაკუნტულები ვსხედვართ ბუხრის წინ. ტოტია და იამზე არ მიშვებდნენ, მაგრამ გამოვიქეცი, რადგან ჩემი ცოლის ახლოს მინდა ყოფნა. ყალიონებს ვაბოლებთ და ისე დინჯად ვბაასობთ ოჩოპინტეს ძალ-უძალობაზე, თითქო ჩვენს გვერდით ჩემი ხათუთას მაგიერ კატა ჩაოდეს.

კვნესას წკმუტუნი ერთვის. ჩვენ კი კუდიანებზე გადავდივართ.

წკმუტუნს ღმუილი მოსდევს. ჯურხამ მაძახური გაიხსენა.

ხათუთამ დაიღრიალა. ჯურხა ისევ მაძახურას მისდევს.

— გოდორ მაიშველიე, გოდორ!—გასძახის ხათუთას მოკეტილ კარებიდან იამზე.

მშობიარე განწირულ ძროხასავით ბღავის. ჯურხა ეხლა მეჯალაფეს გამოეკიდა.

— მაითმენდივ, ქალაუ, მაითმენდივ!—არიგებს ჩემს ცოლს ნანუკა.

უცებ ხათუთა კატასავით აჩხავდა, რომელსაც ახჩობენ.

— ჯურხა, ეშმაი დააფრთხივ, ეშმაი!—ჰყვირიან ერთად ნანუკა, იამზე და მზეკალო.

— არ მაკვდებივ.—დინჯად უპასუხა ჯურხამ. მაინც წამოდგა და გარეთ გავიდა, თან თოფიც გაიტანა. მგელა, წიქა და ტოტიაც მისდევენ,—ისინიც თოფებით და დამბაჩებით შეეპურვილნი.

გაფითრებული ვდგევარ და ეცახცახებ. ხათუთა გმინავს. ჯურხა კი ბოსლის სანათურთან ეშმას თოფით აფრთხობს. ჩემი ცოლი, ჩემი ხათუთი ჰგოდებს, სანათურთან კი ისეთი გრილი ისმის, თითქო ჯარი ჩვენზე იერიშით მოდისო.

— გოდორ მაიშველიე, გოდორ.. არ შაშინდივ, ქალუკავ, არ შაშინდივ!—

გაჰკივიან კარებთან დედაკაცები

თოფ-დამბაჩების გრიალმა და ჭახა-ჭუხმა ერთი წუთით შთანთქა ხათუთას ბღავილი. მაგრამ უცებ შადრევანივით ამოხეთქილმა გოდებამ, წრუწუნმა და ვალალმა ჭექა-ქუხილი დაჭფარა და ჩემი ყურთა-სმენაც გასჭედა.

ვიღაცამ თუ რაღაცამ ყუმბარასავით შემაგდო ბოსელში.

— ხათუთი... ჩემო ყველავ... ჩემო ხათუთი!

ხათუთი სტირის, იცინის და პირსახეს ცრემლით მისველებს.

— სირცხვილ ას, ვაჟკაცავ, სირცხვილ!—შესმის ჩვენი ოთახიდან.

— სირცხვილი თქვენ, თქვენ, თქვენ მეთქი!—გავსძახი ბოსლიდან და ჩემს მჩხავანა შვილს თბილ წყალს ვასხავ.

ხათუთა იმ ბოსელში ორმოცი დღე უნდა იწმინდებოდეს. დედასთან ვე-

რავინ შედის, ადათის დარღვევას ვერავინ ჰბედავს. შუალამე რომ ნოატანს, მე ეურდიგით შევიპარვები ბოსელში და ხათუთას სასმელ-საჭმელს შევუტან.

— ხათუთი, როგორა ხარ, გენაცვალოს ვაჟიკა?

ჩემი ცოლი სიამისგან ხითხითებს და ისევ ცრემლით ბასველებს. ჩემი შვილი ხან ტიროლით იჭაჭება, ხან კიდევ გაოცებულ თვალებს მიბრიალებს.

— კარგათ იყავი, ხათუთი! მოითმინე და გაიწმინდე. მალე მე და შენ ერთად გავიწმინდებით.

ხათუთას ჩემი ნათქვამი ჯერ არ ესმის. მიღიმის, მკოცნის და მეხვეწება: ბაიკას ძმას ძალლიკას ერიდეო.

კეთილი, ჩემო მეგობარო, კეთილი! ჩემს თავს გავუფრთხილდები. ოღონდ შენც გაუფრთხილდი შენს თავსაც და ჩვენს ვაჟსაც.

ადათი დავარღვიე? წიკლაურები ერთხელ კიდევ შევარცხვინე? ნიალვარსაც წაულია ასეთი ადათიც და ასეთი გვარიც! მე ადამიანი ვარ, ადამიანი! გესმის, ოჩოპიტე-ჯურაავ, თავდაპირველად მე ადამიანი ვარ მეთქი!

ღმერთო, გამაგებინე, გალმა მხარეს რა მოხდა? ნეტა იმ ნაპირზე რა ამბავია? თოკებით ვყოფილვარ იმ ნაპირთან მიბმული. ვილაც თუ რალაც სჭიმავს ამ თოკებს და გალმისკენ მიმათრევს.

გაზაფხული მოვიდა, დიდი გაზაფხული!

*
* *

ხათუთა „გაიწმინდა“ და ბოსლიდან გამოვიდა. ჯერ სინათლეს ვერ უძლებს და თვალებს სჭუტავს. გაიცრიცა და გახდა. ლასლასით დადის და ჩურჩულით ლაპარაკობს. ჩემი შვილი კი თხუთმეტი გირვანქაც გამოვა. პაწაწა თათებით ლამის წვერ-ულვაში დამაგლიჯოს და ფეხებით მუცელი ჩამიბგრიოს. მისი შენაძახი სოფელში ისმის. ტოტიასთან გადავედით. ხათუთა ისვენებს და ფერზე მოდის. განატიფდა და უფრო დამშვენდა. შარშან მოჭიდავეს ჰგვანდა, ეხლა კი ღვთისმშობელს დაემსგავსა. თხოვნა შემისრულა: ძროხის შარდზე ხელი აიღო და საცვალი შემიკერა. ჯერ-ჯეროობით ესეც მეყოფა.

ეხლა შვილის სახელზე ამიხირდნენ. მგელა ჯურხას სახელს მჩრის, ჯურხა—მგელას. იამზეს ბალათერა მოსწონს, მზექალომ ხირჩლა აიჩემა, ხოლო ნახუკა მინდიას ჩააცივდა.

— შენ რას იტყვი, ხათუთი?

— რაიც შენი ნებაი იქნებისავ.

— მე ნოდარი მომწონს. ან ქაიხოსრო, ან ლუარსაბი, ან კიდევ არჩილი.

— სადაურ სახელებ ას?

— ქართული, ნამდვილი ქართული.

— ნოდარ კა სახელ ას.

— ჩვენებური ქართული ისწავლე, ხათუთი. უნდა სთქვა: ნოდარი კარგი სახელია. გაიმეორე. გაიხსენე ქალაქური ქართული. გამოგადგება-

— რასთვის გამამადგებივ?—ისეე გაიჩუჩუნა ხათუთამ.

დროა! სათქმელი უნდა ითქვას და გათავდეს!

— ქალაქისთვის გამოგადგება. გაემზადე, ქალაქში უნდა დავბრუნდე. წამოხტა, გაფითრდა, პირი დააღო და ისევ ჩამოჯდა.

მე უმალვე გარეთ გამოვდივარ. მოიფიქროს. თუ [illegible] დასჯია, მივეშველები.

ღმერთო ძლიერო! მართლა, რა ძნელი ყოფილა აქედან წასვლა! მთა და ხევი აიშალა, აიბურა და „უუზარმაზარ ყვავილივით გაიფურჩნა. ეს ყვავილი მარეტიანებენ. მზის სითბო გულში მწვდება. ჰაერი მათრობს. „ციყვი ისევ დაბრუნდა, ისევ ჩინჩხვარს ახრამუნებს და ზევიდან მაფურთხებს. ლომა გვერდით მიწევს და მდარაჯობს. იქ კი, ჯურხას-კარში წიკლაურები ფუტკარივით ფუსფუსებენ. ერთმა წიკლაურმა გვარი შეარცხვინა, ოჩოპინტე დაჰგმო, მაძახურა უარჰყო და კუდიანებს აუჯანყდა. ღალატია, ღალატი!

ხოლო აქეთ, შორეული ქედის გადალმა,—და კიდევ ხუთჯერ გადალმა,—უხილავი თოკი იჭიმება. იმ თოკის ბოლო ყელზე ყულფივით მაბია. იჭიმება თოკი და დასახრჩობ ძალლივით მიმათრევს. ან უნდა წამოვდგე და სირბილით გავყვე, ან კიდევ... ან კიდევ კერპი ძალლივით უნდა დავიხრჩო.

ხათუთა, მოემზადე! თქვენც მზად იყავით,—ჯურხა, მგელა ტოტია, ნანუკა, მზექალო და იამზევ!

მოვდივარ! წასასვლელად და წასაყვანად მოვდივარ!

მართლა, ნეტა ვიცოდე, იესო მაცხოვარი ვინ გააცოცხლა: მამა-ღმერთმა თუ ხალხის სიყვარულმა და მიწის ძალამ?

ვინ მეტყვის! ვინ გამაგებინებს! ვინ ამიხელს დახშულ თვალებს, ვინ დამიბრუნებს დაკარგულ სმენას, ვინ ამილესავს დაჩლუნგებულ ალღოს?!

ვინ მეთქი, ვინ?!

იქნება გალმა მითხრან... ეგების იქ მიშველონ... იქ, სადაც თეთრი საყელო მელოდება.

*
* *

— რაით მიდიხარიო, ვაჟიკავ?—მეკითხება წიკლაურთა მამამთავარი მგელა.

მე პასუხს ვაძლევ. დიდხანს ვლაპარაკობ. სიტყვას არ მაწყვეტინებენ. გულმოდგინედ მისმენენ. მგელა სთვლემს. ტოტია ბუხარს შესცქერის. ჯურხა „ყალიონის“ ტარს ჭრრლნის. წიქა მოლრუბლულია. დედაკაცები ბნელი კუთხიდან ჭოტებივით გამოიყურებიან. ხათუთა მკერდით და პირისახით ეკვრის ჩემს ზურგს. ბეჭი სველი მაქვს.

დინჯად და მშვიდად ვეუბნები: ქვეყნის ქარიშხალმა გამომწურა და დამაბრიტა. ამიტომ დავრჩი ჯურხას-კარში, ამიტომ გავმიწავდი და გავწიკლაურდი. თქვენი სოფელი მიწის ძუძუდ მომეჩვენა. მეც დავეწაფე და დავისვენე, უთვალავია თქვენი მადლი, წიკლაურებო! განუზომელია თქვენი სიკეთე, ხევსურებო!

— შენ ჩემი ღვიძლი ძმა ხარ, ჯურხავ. პირი ნუ მიბრუნე, უნდა დაგკოცნო. მოიცა, ერთხელ კიდევ... კიდევ ერთხელ... კიდევ, კიდევ! შენ ნამდვილი მამობა გამიწიე, მგელა. უნდა ჩაგიხუტო... შენც ჩამიხუტე, შენც! ეგრე, გენაც-

ვალოს ვაჟიკა, ეგრე... ეხლა შენ, დედა ჩემო, ჩემო დედილო... დედუკავ! ტოტია, შენც ხომ მამად შემერგები... აქ მოდი, იამზე! შენც, [illegible], შენც! წიქა, ნუ იბღვირები! მე შენი სიცოცხლე მმაროევს. ხათუნ! [illegible] ! ხათუნ! რა გატირებს ქალო? მე და შენ მერმე მოვილაპარაკებთ, როცა მარტონი დავრჩებით. ეხლა კი ისევ აქ დაჯექ და ეგ თავი ზურგზე მომაყუდე. ეხლა ისევ ყური დამიგდეთ...

აუწონავია თქვენი სიყვარული, მაგრამ რკინასავით მიძიმეა იგი. ვერ ვზიდე, ვერ მოვერიე! მიშველეთ, მომხსენით, ამიშვით, გამიშვით! გამიშვით, თორემ აქლემივით დავვარდები და ვერავინ ველარ ამაყენებს.

— თვენ მიშვილეთ, მიძმეთ და დედ-მამობა გამიწიეთ. მაგრამ მე დამავიწყდა,—და არც თქვენ იცოდით,—რომ მეორე დედაც მყავდა. ის დედა კი არა, ოცი წლის წინად რომ დავმარხე, არამედ მეორე,--თქვენსა და ჩემზე უფრო დიდი, უკვდავი, მარადიული: ჩვენი საერთო მშობელი, მშობელთ-მშობელი, უწყლო და დაუსრულებელი. ის არის დედა ჩემი, იგივ მამა ჩემი, იგივ დაჯ, ძმა, ბიძა და ყოველი ნათესავი ჩემი. ის მშობელთ-მშობელი მეძახის, მიბრძანებს! გარდუვალია კანონი და უძლეველია ძალა მისი! ამიტომ მივდივარ. ამიტომ ვუბრუნდები უძღები შვილი ჩემს მშობელს: ბარს, ქალაქს, ხალხს, სიცოცხლეს და ნამდვილ მიწას. ქვეით, ქალაქში მე მელოდებიან მდუღარე ორთქლი და გახამებული საყელო, ჯადოსნური ელექტრონი და თეთრი საცვალი, ცოცხალი რკინა და კბილის საწმენდი, წიგნი და რადიო, საათი და რენტგენი, საპონი და თვე. თქვენი კი არა მჯერა, ჩემო უვიწყარნო: არც კუდიანი ოჩოპინტე და არც თეიმურაზ ბატონიშვილი, არც ჯავშან-მუზარადი და არც ფარსმან მეფე, არც დაშნა და არც ხის ფარი, არც კაჟიანი თოფი, არც მაძახურა, არც იაპანია, არც ხინკალი და არც კუდიანთ წუხრა. ყველას უულრმესი სალამი და მადლობა: თქვენც და ოჩოპინტესაც, თეიმურაზსაც და ხინკალსაც, ფარსმანსაც და ჩაფხუტსაც, კაჟიან თოფსაც და იაპონიიდან მომავალ ბატონიშვილსაც. ყველამ თავისი შეასრულა და წავიდა. წავიდა და ალარ დაბრუნდება. მე კი ბარში და ქალაქში მელის ჩვენი მომავალი. თოკით მიმათრევს იგი, თოკით! ამ თოკის ბოლოს აქა ვტოვებ. ყელზე გექნებათ მობმული. მე იქიდან მოვწევ, თქვენ აქედან მომიზიდეთ. ვნახავთ, ვინ გადასწევს, თქვენ თუ ქალაქი. თუ ჩაგითრიეთ, ვცხონდებით. თუ მაჯობეთ, ვაი ჩვენი ბრალი! ვერც იაპანია გვიშველის მაშინ, ვერც ოჩოპინტე, ვერც ხინკალი აგვაყენებს, ველარც ფარსმანი გაგვაცოცხლებს. მაშ ეგრე, ძვირფასო მამებო, დედებო, ძმებო და დებო: მშვიდობით და მადლობით!

წიკლაურები წამოიშალენ მომეხვივნენ და აყაყანდნენ:

— არ გაგიშვებივ, არა!.. ვერ წახვიდივ, ვერა!.. აქ დარჩებივ, აქა!

ნებაყოფლობით არ გამიშვებენ. ვერც ძალით გავიკვლევ გზას. ეშინიანთ: გზას ისწავლის, სხვასაც ასწავლის, სპილენძისთვის ამოვა და თან მოიყვანს და მოიტანს მილიციას და მოსამართლეს, გადასახადს და კანონს, ყბედ მავთულს და ეშმაკის ვარცლს.

ერთმანერთი შუალამემდე ვაწვალეთ და ჯვარს ვაცვით. მაინც ვერ დავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერეთ და ფეხიც ვერ მოვაცვლეინეთ. მე ჩემს ბანზედ ავედი და ქვეით გავიხედე.

მესმის შენი ხმა, მშობელთ-მშობელო, მესმის! მოვდივარ!.. მოვდივარ!..

* * *

მე და ხათუთი ბანზე ვწევართ.

— ხათუთი, დრო მოვიდა, უნდა აირჩიო: ნოდარი გირჩევნიან თუ ხირჩლა?

მკერდი უკვე სველი მაქვს ხათუთას ცრემლისგან. სტირის, მკოცნის, მეხვევა და მეხვეწება:

— დარჩივ, ვაქიკავ, დარჩივ... კა-კა ხინკალს გაჭმევივ, ახალ ჩოხასაც მაგიქსოვივ.

— აირჩიე მეთქი: ნოდარი თუ ხირჩლა?

— არ შამიძლივ არჩევაი, არა! რაით მაწვალივ, რაი გინდივ ჩემისგან!

— მე მაინც წავალ. შენ კი მერმე წამოდი და ნოდარიც ჩამომიყვანე.

— ვაქიკავ.. ჩემო ყველავ... თავ უნდა დამანებავ მე და... ნოდაოს?

ნოდარი ახსენა. მაშ გათავებულია! მოტეხილია! ჩამოვა, უეჭველად ჩამოვა და ნოდარსაც ჩამომიყვანს.

— არა, მე თავს არ განებებთ. ოლონდ შენ ნუ დამანებებ თავს. მომყევი, სადაც მივდივარ. მე ქმარი ვარ, ვაქკაცი. შენ კი დედაკაცი ხარ, ამიტომ უნდა დამიჯერო და დამემორჩილო.

— ოოჰ, ვაქიკავ, ვაქიკავ! წიკლაურები დამწყევლივ, შამაჩვენივ.

— ჩემს კისერზე იყოს მათი წყევლაც და შეჩვენებაც. მაშ ესე: ეხლა წადი, დაიძინე და ნოდარსაც გაუფრთხილდი. გაჩუმდი.. ნუ სტირი.

ოოჰ, ღმერთო ჩემო! კანის გაძრობა უფრო მეადვილება, ვიდრე ამ დედაკაცის მკლავების მოხსნა.

ზევიდან ვხედავ: წიკა კარების დირეესთან დაწოლილა. დამაპატიმრეს, დამატყვევეს! მაგრამ... დაიძინე, ძმაო წიკა, დაიძინე! მე ძილს არ დაგიფრთხობ. ცოლი და ქმარი თუ შეეთქვნენ, მეტეხსაც გასტეხავენ.

ხათუთამ ისევ ამოჰყო თავი. თოკი წელზე აქვს მოხვეული. ჰყოფნის, სწვდება!

— აბა, ხათუთი... ნუ სტირი... სული ნუ შემიგუბე... ნუ მახრჩობ. გეყოფა, ქალო, გეყოფა! მაშ ესე: შენ და ნოდარი... ქალაქში.

აქ ვისწავლე კატასავით მიპარვა. ლომი ძუნძულით მომდევს. მეშინიან, არ დაიყეფოს. ერთხელ კიდევ მივიხედე. კოშკის თავზე მთვარე ამოდის. სახლის თავზე ხათუთა მალალ საკვამლესავით სდგას. უცებ ის საკვამლე შეინძრა და თითქო ცივრცეში შეცურდა.

ხათუთა, ჩემო ხათუთი! ნახვამდის, გენაცვალოს ვაქიკა, ნახვამდის! ამას იქით შენ იცი და შენმა ქალობამ!

მივდივარ, ოჩოპინტე! გზა მომეცი, იაპანია! მომეცალე, მაძახურა! თქვენც ჩამომშორდით, მეჯალაფენო, ჩაფხუტებო, ხმიადებო, აბჯარ-სუნელებო და ხინკლებო!

მართლა, ხინკალზე მომაგონდა: სურსათი არ წამომიღია. ვითომ დამჭირდება? არა მგონია. დღესვე ან ხვალ დილამდე სოფელს წავაწყდები. ერთ ნაჭერ პურს ყველა გაიმეტებს. „სოფელი ლონივარია!“

პატარა წყალს მივდევ. მთვარე გზას მინათებს. ეს წყალი მეორე ხევში ჩადის. ის ხევი მესამეს შეუერთდება, მესამე მეათეს და მეათე ხომ სადმე ბარში უნდა გავიდეს და მეც გამიყვანს.

ჯერ-ჯეროობით ბილიკს ვეხედავ. მერმე მეკარგება. მალე რიჟრაჟი იწყება და დღის სინათლე მეშველება. უკვე მზე ამოვიდა, ხევში კი ისევ ბინდს სძინავს. ლომა დაიღალა, მე კი კი ჩემი ციყვივით მოვხტი.

მშვიდობით, ჯურხავ! მშვიდობით, ოჩოპინტე და ფარსმან მეფევ! მშვიდობით, ხინკალო და იაპონიავ, კუდიანო და მუზარადო, ფანდურო და ხევის ბერო! მშვიდობით! მშვიდობით!

IX

უკვე შუადღე გადავიდა, სოფელი კი არსად მოსჩანს. ლომა ეჭვიანობს: რაკი თოფი არა მაქვს, მაშ სანადიროდ არ წამოვსულვარ. რამდენჯერმე შესდგა და კუდის-ქნევით დამეკითხა. პასუხი გამიგო და წამომყვა. რაკი მე არ ვნადიროობ, ლომა თვითონვე ნადიროობს. ნავარდობს ჰყეფს და ტყის წვრილფეხა ცხოველებს დასდევს. მაგრამ ვერაფერს იჭერს, უარესად იღლება და ისევ მე მიმზერს თვალებში.

— იარე, ლომა, იარე. მეც მშიან, მალე მივალთ სოფელში.

ხევი ხევს ერთვის, წყალი წყალს, გორაკი გორას. სიარული გამიძნელდა. გზის ხსენებაც არ არის. ხან კლდეს წავაწყდები, ხან შამბიანში შევერევი, ხან კიდევ ათი წუთის ჩალმართს ერთ საათს ვუნდები. ზოგჯერ ნადირს რასმეს წავაწყდები. უფრო უკვირთ ორფეხი, ვიდრე ეშინიანთ. მსხვილი ნადირის კვალსაც ვხედავ, მაგრამ ვერიდები და გზას ვუხვევ. მაინც ვერ ავსცდი. ერთ მოსახვევში პირის-პირ ძუ დათეს და ორ ბოკვერს წავაწყდი. ერთის წუთით ყველანი გავხევდით. „დავიღუპე!“ დედა-დათვი ატორტმანდა, და აბურტყუნდა, მაგრამ იმისთვის, რომ იმავე წუთს მოხვეულიყო და თავქვე დაგორებულიყო. ბოკვრებიც თან გაჰყვნენ. და სამი დათვი სამს სადევო ბურთს ჰგავდა, რომელნიც ბლუილით მიჰგორავდნენ, თანაც ხეებს აწყდებოდნენ, აბოყანებდნენ და ისევ გორაობით მიჰხტოდნენ. ბოლოს, ბურტყუნით და ხრიალით ბარდებში მიიმალნენ.

კუჭი მეწვის. მუცელი მითრთის. ნაბიჯს ვუკლებ და ხშირად ვისვენებ. ლომა იბლეირება. მზე ჩადის. ხევის ძირში ბინდი ჩაწვა. ალარც კლდეა, რომ ქვაბი მოვძებნო. ხის ძირში მივწექი და მივიძინე. შიში არა მაქვს. ალბად წიკლაურობა ჯერ კიდევ შემრჩენია.

ნადირის ჩხავილმა გამაღვიძა. მგელმა მაჩვი თუ დაიჭირა. ხის კენწერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მთვარე მიჰგოგავს. მიწა კი ისევ შავ ჩრდილებშია გახვეული. ლომა მლოკავს და ოდნავ წკმუტუნებს.

— ცოტაც მოითმინე, ლომა, მალე გავძღებით.

ვწევართ და რიერაჟს ვუცდით. მერმე ისევ მივდივართ.—მთქნარებით, ბორძიკით და ლასლასით. გუშინწინაც არაფერი მიჭამია. კუჭი მეწვის, თვალები მებლიტება. ვბარბაცებ და ხეებს ვაწყდები. ლომა წვრილფეხა ნადირს დასდევს, მაგრამ ლონე არა აქვს, რომ დაეწიოს.

ჯიხვის ჩონჩხს წავაწყდით. წუხელის მგლებს თუ გამოუხრავთ. არც სისხლის წვეთი, არც ხორცის ნამცეცი. ძვლები თითქო სამართებლით გაუპარსავთ. ლომა მაინც ჭლრლნის და იღრინება. მეც გამოვწუწნო? იქნება მეც მერგოს რამე?

— „ნადირთ წყემსო ოჩოპინტევ,—ვნატრულობ ვუნებაში,—შენ გეხვეწები, მამეც ჯიხვთ თავი, ლომას ნადირ დააჭერინე. სულნი ხო შენნია ნადირთანი?"

მაგრამ ოჩოპინტემ დამივიწყა. ალბად იმიტომ, რომ მეც დავივიწყე.

— წავიდეთ, ლომა, სოფელი ახლოს უნდა იყოს.

სერზე გავდივარ. ისევ თვალუწვდენი ტყე, უთვალავი მთა-გორები და ღრმა ხეები. მხოლოდ მარჯვნივ, ძალიან შორს, მთების გადაღმა ბოლის ნაფლეთი მოსჩანს. იქით გავუხვიო? სანამ ხუთიოდ-ათიოდე ალმართს გადავლახავ, დავვარდები კიდევაც. ან ვინ იცის, ვიპოვნი კი ნაბოლარს?

უფრო ჩემივე სიძძიმეს მიგვყევარ, ვიდრე ლონეს. მუხლები მედრიკება. ფეხები ალარ მიდიან. საცაა ჩავიკეცები. ძალლონე სწრაფათ მელევი.

უცებ უკანიდან წრიპინი და ღრინვა მომესმა.

— ყოჩაღ, ლომა, ყოჩაღ! არ გაუშვა, არ გაუშვა! გაუმარჯოს „ნადირთ წყემსს" ოჩოპინტეს, გაუმარჯოს!

ჩემი წილისთვის მივრბივარ. მაგრამ ლომა ახლოსაც არ მიკარებს და ციყვს სხაპა-სხუპით ათავებს. გამოხრილი ფეხი ძლივს წავართვი. ვზივარ და ქათმის ფერდივით ვღრღნი და ვწუწნი. ჩაცუცქული ლომა კი პირს ილოკავს და იკრიჭება. დამცინის თუ ვეცოდები?

სუფთა ალმართზე მეც დათვივით მივგორავ. ერთგან ხეს დავეჯახე და მუხლი ვიტკინე. ციყვმაც მაწყინა და მარწყევინა. კუჭი ჰკივის და იჭაჭება. ველარც თავი მუშაობს. ზოგჯერ გაუვალ ხევში ჩავგორდები და ისევ უკანვე ვიბობღები. ლომა მიბღვერის და ღრინება. გაცოფდა თუ გაწიკლაურდა?

მუხლი მაწუხებს. ტკივილი თანდათან მატულობს. ხუთ წუთს რომ მივჩანჩალებ, სამს ამდენს ვისვენებ. გულალმა ვწევარ და ცის ნახევს შევყურებ. ლომა თანდათან ღრუბლება. კბილებს აწკაპუნებს და უძალოდ ანჩხლობს. კუდიც მათრახივით ჰკიდია.

მეც ნატკენ ფეხს ლომას კუდივით მივათრევ და ხიდან-ხეზედ მთვრალივით მივბორიალებ. ხან ბუჩქს დავეჭიდები, ხან ხეს მივეყუდები, ხან კუნძივით წავიქცევი და იმავე კუნძივით ვხვევდები.

ქვეიდან ნისლი მოდის. ნისლს ფეხდაფეხ ღამე მოსდევს,—ბნელი, მწუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი და იდუმალი, გატენილი მეჯალაფენით, ოჩოპინტებით, კუდიანებით და მაძახურებით. ლომას ეშინიან. მეც ტყეში მომაკვდავი ძაღლის შიშით ვიტენები და უნებური ძრწოლით ვბლავი:

— მიიშვე-ელე-ე-ეთ!

ჩემი ბლავილი უფრო დაჭერილ მაჩვის ჩხავილს ჰგავს, ვიდრე ვაჟკაცის შეძახილს.

— ე-ე-ე.—რამდენჯერმე გაიმეორა ჩემი ჩხავილი ბნელმა ხევმა და სადღაც შორს წყვდიადში მიახრჩო.

ლული მერევა. რამდენი მეძინა,—ერთი საათი, ორი, სამი? არ ვიცი. საამურ სიზმარს ვხედავ. სიზმარში საიდგანღაც ძაღლის ყმუილიც მესმის. რკინის ქუთუთოებს ძლივს ვძრავ. ირგვლივ—უკუნეთი, გულში—მაჯღაჯუნა, გვერდით—ლომას ყმუილი,—თავგანწირული, ხრინწიანი, ავბედითი. ლომას ყმუილს ჯურღმულიდან ვიღაც თუ რაღაც მოძახილს აძლევს. გველნაკბენივით ზეზე ვიჭრები. ეს რა ამბავია! ხევის გამოძახილია თუ მგლის ნაყივლი?! მგელია, მგელი! ვიცი შემდეგიც და დასასრულიც, ვიცი!

წყვდიადში ხეს ვაწყდები. ლომა ფეხებში მედება, საცოდავად წკმუტუნებს და მებობღება. მადლობა უფალსა! ხეს დაბლა ჰქონია ტოტები. მივბობღავ და ფეხებს კუნძებივით მივათრევ. ლომა ატორტმანდა და წკმუტუნით ფეხებს მილოკავს. მგლები კი ჰყმუიან, ერთმანეთს ეძახიან და მოდიან, მოდიან, მოდიან! ლომა ხეს ჰკაწრავს და ისევ წკმუტუნებს. ეხლა ის მეძახის, როგორც წელან მე ვიძახდი: „მიშველე, მიშველეო!“ მაგრამ მე უძლური ვარ. ტოტზე ვზივარ და ვუცდი. ძირს, სიბნელეში ჯერ ერთმა ციცინათელამ გაიელვა, მერმე მეორემ, მესამემ, მეხუთემ. ლომა კი ელის და ნაწყენი ბავშვივით სლუკუნებს. უცებ ერთმანეთში აირია შრიალი, ფხაკუნი, ღრინვა, ყეფა, ხრიალი და კბილთა წკაპუნი. მე ტოტს ვეკვრი და ვინაბები. ქვეიდან უკვე ხრამუნი, ფხრაწუნი და უცნაური ოხვრა ისმის.

— მიშველე-ე-ეთ!—წელანდელივით ვხრიალებ. და ჩემი ხრიალი ისევ სივრცეში იხრჩობა.

სადღაც მთვარემ გამოაჭყიტა. დრო მიდის. ნეტა რამდენი ხანი ვარ ტოტზე გაკრული? ერთი საათი? ორი? ხუთი? არ ვიცი, აღარაფერი არ ვიცი. ხის ძირში სიჩუმეს და წყვდიადს სძინავთ. წელან ჭოტი მაინც გაჭკიოდა. ეხლა ისიც მიყუჩდა. ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის. ხევში თითქო წყალმაც ჩასთვლიმა.

ტყეს სძინავს. მთები სთვლემენ. ხევი განაბულა. ცაც მკვდარია. ვარსკვლავებიც თვალებს ახამხამებენ. მარტო მთვარე იკრიჭება.

მეც მეძინება.

* * *

— ვაჟიკაო, გაიღვიძებდი?—მესმის ჯურხას ჩურჩული და სუნთქვა.

მისი ლომ-კუდა ულვაშები შუბლს მიღუტუნებენ, ხოლო ხარის თვალები თვალებში მიციმციმებენ.

— ჯურხა... ჩემო ჯურხა!

— იყურე, ვაჟიკავ, იყურე. ყოლაფერ მშვიდობით გათავდის. მაგიკითხვის მამაი და დედაი, ტოტიაი და მზექალოი.

„ხათუთა? ნოდარი?“—მინდა ვკითხო, მაგრამ ჯურხა თვითონვე მეუბნება:

— ხათუთაი და ნოდარც აქ ას. ახლავ მავიდიან.

ნეტა სადა ვარ? ვისია ეს სახლი? ვინ მომეშველა, ვინ გადამარჩინა? ცხადია, რომ ჯურხას-კარში არა ვარ. „მაგიკითხვისო“, მითხრა ჯურხამ, რომელიც გარეთ გავიდა. მაგონდება ბნელი ღამე, მგლები, ლომა და ხეზე ძილი. შემდეგ რა მოხდა? აქ როგორ გავჩნდი? ალარ მახსოვს, ალარაფერი არ მახსოვს!

— ხათუთი! ხათუთი!—ვუყვირი სირბილით შემოვარდნილ ცოლს და კინალამ ვახრჩობთ ნოდარს, რომელიც კოზაკივით ორი მკერდის შუა გაიჩხირა.

მინდა ყოველივე გავიგო: რა მოხდა ჯურხას-კარში? ეხლა სადა ვარ? ვინ მიშველა? ან ფერდები და მკლავი რათა მტკივა?

ჯურხა ლაპარაკობს. მე ვუსმენ და ხათუთას თბილ ხელებს ჩემს ხელებში უძალოდ ვზელავ.

* * *

ჩემი გაპარვა გვიან გაუგიათ, ჯერ ეგონათ, ტყეში თუ გავიდაო. წიფლის ქვეშ რომ ვერ მიპოვნეს, ჯურხამ ბანი დაზვერა. კვალი არ სჩანდა. ხათუთას თოკი აეზიდნა.

— ხი-ხი-ხი!—ხითხითებს ხათუთა.

— ეხლა რაი გიშავავს, ქალავ, მაშინ კი...—ულიმის ჯურხა და განაგრძობს: ბოსლის გვერდით ჩემს ნაფეხურს მიაგნეს და მიხვდნენ. ხათუთა კინალამ გაგლიჯეს. მერმე დამედევნენ, მაგრამ გვიანღა იყო. მე უკვე ზორს უნდა ვყოფილიყავი. წიქა და ხათუთა მეორე გზით წამოვიდნენ, ჯურხა კი ხევს დაჰყვა. კვაოს მალე მოაგნო და გამოჰყვა. ჩქარობდა, მაგრამ კვალი არეული იყო. ჩემი ნაფეხური ხან წყალში შედიოდა, ხან გორებზე ადიოდა, ხან კიდევ შამბიანში იკარგებოდა. მორბოდა ჯურხა და გაჰკიოდა: „ვაეიკაააა, ჰაი ვაეიკაააა!“ ხმა ჩასწყდა და დაიქანცა. ორი ღამე ტყეში გაატარა. მგლები მიესიენენ, მაგრამ მოიგერია და ორიც მიაწვინა. მესამე დილას ჩემი კვალი დაჰკარგა,—სწორედ იქ, სადაც ლომას ძვლებს წააწყდა.

— ლომას ძვლებ ვიცანავ. დანარჩენ შენაც იცივ.

* * *

დანარჩენი მეც ვიცი.

ხიდან რიჟრაჟზე ჩამოკსლტი თუ ჩამოვგორდი. აქა-იქ გაპარსული და გარეცხილი ძვლები-ღა ეყარა. სიარულის მაგიერ მოვბღოლავ. ერთ ფეხს მობმულ ბოძივით მოვათრევ. კლდიან ფერდობს დაეყევი და წყალზე ჩამოვედი. წყალმა ხიმშილი გამიანჩხლა. კუჭი უარესად ამიწივდა, გაკაპასდა. სიკვდილის ლანდი

ფეხ-და-ფეხ მომდევს. მაგრამ ჯერ არ ვნებდები. ხმელი ტოტი ყაყარჯნად გავიხადე, წყალში შევედი და ფარფატით მოვდივარ. ფაჩუნი ჭრიალებს. მივიხედე და ტურა დაეინახე. სდგას და მაშზერს. შემყურებს და მეკითხება: როდის წაიქცევიო. ისევ მივაჭყაპუნებ. უკნიდან ტურა მეპარება, სიკვდილის ლანდი კი უკვე წინ მიმიძღვის. ხევი ღრმავდება და ვიწროვდება. შესვლით შევალ, მაგრამ გასვლის იმედი აღარა მაქვს. შუადღე მოდის, მე კი ისევ რეტიანივით მივჩოჩავ. ხან გუბეში შევტოპავ, ხან ქლდეს მივეყუდები, ხან კიდევ ქვაზე გავწვები და ვისვენებ. ტურა კი ისევ ფეხაკრეფით მომდევს და მეკითხება: როდის წაიქცევიო.

ეზოს-ოდენა მწვანე მოედანი მოსჩანს. წყლიდან ფოთხვით გავდივარ, შუა მოედანზე გულალმა ვწვები და თვალებს ვხუჭავ. ტურაც ათიოდე ნაბიჯზე წვება და თავის კერძს ელოდება. სიკვდილი უკვე თავთ მადგება. ყურებში თითქო ფუტკრები მიბზუიან, თავი ჭიანჭველებით გამეტანა: „გათავდა. ეხლა კი გათავდა." ვფიქრობ და თვალებსაც ველარ ვახელ, რომ ტურა მოვიგერიო. ნელ-ნელა შავ ბურანში შევდივარ და თითქო გონება მეკარგება.

მაგონდებიან თუ მელანდებიან წიკლაურები: ჩემი ჯურხა, ხათუთა, ნოდარი და სხვებიც.

— არ გაგიშვებივ, არა!—გაჰკივიან ხევსურები.—ვერ წახვიდივ, ვერა!.. აქ დარჩებივ, აქა!

ოჰ, ღმერთო ჩემო! რატომ არ დავუჯერე! რატომ არ დავრჩი!

— ვაჟიკავ... ჩემო ყველავ.—ტყავებში სუროსავით მეხვევა და ალმურივით მწვავს ხათუთა.—დარჩივ, ჩემო ყველავ, დარჩივ.

და მეც ვრჩები, უნებურად ვრჩები: ვერც ხელს ვანძრევ, ვერც ხმას ვიღებ. ფეხები კი აღარა მაქვს. ხათუთა თან იცინის და თანაც დამტირის. და ქალის ტირილ-ხითხითს საიდანღაც გაბმული ყვირილი ერთვის.

— ვაჟიკა-ა-ა! ჰა-აი, ვაჟიკა-ა-ა!

მიკვირს: ჯურხა თითქო აქვე ტრიალებს და გაიძახის: „არ გაგიშვებივ, არა!" და ამავე დროს თითქო შორეულ გალმიდანაც მომღრიალებს. და ჯურხას ღრიალს და ხათუთას ქვითინს ლობის ყმუილ-წკმუტუნიც უერთდება. ვიჭიმები, თვალებს ვახელ და ისე ვიწევ ასადგომად, თითქო სახრჩობელაზე ავდივარო. და უცებ მკაფიოდ და ცხადად მომესმის:

— ვაჟიკა-ა-ა!

ტუ-ა მოსხლტა და ტყეს შეერია. პირს დაკლულ ბატკანივით ვაღებ და ისე ვხრიალებ, რომ ჩემი კნავილისა მეშინიან:

—ჯურხა!... ჯურხა-ა-ა!

და ტყის სიღრმიდან ჯურხას გუგუნი მესმის:

— მავდივარ ვაჟიკავ, მა ა-ა!

და საიდანაც ფეხის მძლავრი ბაგუნი მესმის, მეც იქით მივლასლასებ,—ხელებ-გაწვდენილი, პირღია, ცრემლიანი და მთრთოლვარე. ტყის-პირი თითქო დაჭრილმა დათვმა შემოარღვია,—ლაწუნით და სხაპუნით.

— ვაჟიკა! ძმაო ვაჟიკა!—ჰყვირის ჯურხა და ისიც ხელგაშოწვდენილი

მორბის. მეც მინდა გავიქცე და დავიყვირო. მაგრამ ყვირილის ნაცვლად შეკრულ სახიდან თიკნის ბღავილი ამომდის,— „მე-მე-ე-ე“. სიბრაზისგან მაგიერ მუხლები მეკეცება, თვალთ მიბნელდება და სადღაც ბნელ უფსკრულში ვვარდები.

* * *

საით გინდივ წასვლაი, ზემაურ თუ ქვემაურ?—მეკითხება ჯურხა და გალმა მთებს გასცქერის.

— ქვეით, ჯურხა, მხოლოდ ქვეით.

— რაი გინდივ მურდალ ქვეყანაში?

— თეთრი საყელო უნდა გავიკეთო, ჯურხა, თეთრი. გესმის, რაც გითხარი?

— მასმის, რაით არ მასმის! ერთხელ მეც მქვანდივ თეთრ საყელოი.

— მერმე, რათ მოიხსენი?

— იმათ, რო თეთრი საყელოი ჩვენთვინ არ ას მაგვანილ. მე რო ტყავ მეცვას და თეთრ საყელოი გავიკეთებდეე, ჭკუიან ხალხ მასხარად ამიგდივ. დროი არ მასულავ ჯერ, დროი.

— დრო არასოდეს არ მოდის. ის მიდის, და ვინც მას არ გაჰყვება, დაიღუპება. ჯურხას-კარში კი დღეც დაჰკარგეს და თვეც.

— დროი არ მიდივ, ვაჟიკავ. დრო მავიდივ, ჩვენკენ მავიდივ.

— ასეა თუ ისე, დროს უნდა მივყვეთ, თორემ ჩვენი აღსასრულის დრო დადგა!

— ლომაი მგლის ჯიშის ას. მგელებს ულალატივ და ცხო ჯიშს—კაცს შეაგუვივ.

— სწორედ მაგიტომ გადარჩა ძაღლი, მგელი კი თითქმის გადაშენდა.

— აგრე. მაგრამ ძაღლი ისევ ძაღლის ჯიშ შაინახვივ, ისევ ძველ კბილ შაინარჩუნივ, ქართველ კი თეთრ საყელოი რო გაიკეთებივ, რჯულიც ცხოსი მაიღებივ.

— მესმის შენი, ძმაო ჯურხა, კარგად მესმის. მაგრამ მითხარი: განა არ შეიძლება, რომ თეთრი საყელოც მოვიხვიო და ჯიშიც შევინახო?

ჯურხა დაფიქრდა, ძალიან დაფიქრდა. მერმე თითქო ყალიონს უპასუხა:

— შენ რო ჯურხას-კარში ამავიდ, ქართულ ძღივს ლაპარაკობდივ. მიხვდივ ჩემი ნათქამ?

დიდხანს ვსდუმვართ და სამხრეთის მთებს გავსცქერით. ჩემი გზა იქით არის. ხვალ დილით მე და ხათუთამ პირი იქით უნდა ვიბრუნოთ.

— შენ იცივ.—სევდით ამბობს ჯურხა.—შენ იცივ. ძალიან ადვილ ას თეთრ საყელოის გაკეთებაი, მაგრამ რკინის ულელსავით გაგიმძიმდების ზიდვაი. თუ მაერევივ, ატარებდივ.

— მოვერევი, ჯურხა, მოვერევი. და თუ ვერ მოვერევ, ისევ დაგიბრუნდები, ისევ გავწიკლაურდები.

— აჰ, არ მჯერივ შენი დაბრუნებაი, ვაჟიკავ. არა. ქალაქში წასვლაი

ადვილ ას, დაბრუნებაი კი არ შაიძლების. შენ თეთრ საყელოი გაოვეთივ, მე კი ისევ ჩემი ტყავით ვივლიდივ. ამიტომ მეშინივ, ვაჟიკავ, რო ხიდ არ ჩაინგრის, ხიდ! შენ იქით დარჩებივ, მეც აქეთ ვიქნებივ. ერთმეორეისთვინ ცხონი გავხდებივ და ჩვენი ფიც-ნაჭამობაიც დაილუპებივ. ძმაი ძმაის ნათქვამს ველარ გაიგებდივ. ეხლა შენ იცივ.—წამოდგა და გაბზარული ხმით გაიმეორა:—შენ იცივ, ვაჟიკავ. ეხლა ჩემი წასვლის დროიც მავიდივ. მე უნდა წავიდივ. მაგრამ ერთი ფიც კიდევ უნდა მამცე.

— რომელი ფიცი, ჯურხა? რის ფიცი?

— დაიფიცებდე, რო ჯურხას-ყარის გზაი არავის უჩვენებდივ და სპილენძის მადანიც არავის ასწავლებდივ. ეს ას ჩემი უკანასკნელ თხოვნაი.

ხელის გულზე მიწა და ხორბალი დაიყარა, ზედ ვერცხლი დაათალა და მომაწოდა. იმ ნარევს ჩემი ხელი დავადე და ვთქვი:

— ვფიცავ ჩვენს ძმად-ნაფიცობას, ჩვენი დედის რძეს და ლაშარის ჯვარს, რომ არასოდეს არც ჯურხას-ყარის გზას ვაჩვენებ ვინმეს, აოც სპილენძის მადანს ვასწავლი.—და იმ ნარევის ერთი ციცქნა გადავყლაპე.

— ეხლა გულმშვიდ წავიდივ.

— ჯურხა, ძმაო ჯურხა, ქალაქამდე გამაცილე—შევევედრე მე.

— ვერა, ვაჟიკავ, ვერ გაგაცილებივ. ქალაქში მტერ მაგულვივ. ვერც არხვატში ავალ, ველარც ქალაქ ვნახავ. მშვიდობით, ვაჟიკავ!—მომიბრუნდა და ჩამოხრჩობილივით გამილიმა:—მაგრამ გაუფრთხილდივ, თეთრ საყელოიმ არ დაგახრჩვიდივ, თორე მეორეჯერ მეც ველარ გიშველიდივ.

— მშვიდობით, ძმაო ჯურხა... მშვიდობით! თუმცა, მშვიდობით კი არა, ნახვამდის! მხოლოდ ნახვამდის!

ჯურხა მეხვევა და თავს იქნევს. ჩვენი ხელახალი შეხვედრა არა სჯერა.

— ჯურხა... მომიკითხე დედები, მამები... ბებიც... მაპატიე წყენა... მაპატიე...

არც მანამდე, არც შემდეგ ჩემს თვალზე ცრემლი არავის უნახავს. არც მე მენახა ატირებული ლომი. იმ დღეს კი ვნახე.

მშვიდობით, ფიც-ნაჭამო, მშვიდობით თუ ნახვამდის?!

* * *

მე და ხათუთა ისე შემოვედით ქალაქში, როგორც ერთ დროს ჯურხა შემოვიდა. ჯერ მთაწმინდა დავინახე,—ჩვენი წმინდა მთა, ჩვენი დედა-ქალაქის უუზარმაზარი კუზი. მერმე ავჭალასთან შავი მატარებელი მცურავსავით გასრიალდა და დაიკივლა. მე სიხარულისგან თითქმის მოვრბივარ და ხათუთას წინ ვუსწრობ. აჰა, სადგურიც. საყვირების კივილი ბეტჰოვენის სიმფონიად მომესმის. აი, ხალხიც, ქალაქის ჭრელი ხალხი. ღმერთო ჩემო, ამდენი ხალხი ვინ მოაგროვა! აგერ, რონოდა მირბის... ავტომობილები დაჰქრიან. ჰაერი გატენილია ყლარუნით და ყაყანით, რახრახით და სტვენით, შრიალით და ხრინწით. ყველანი მიდიან, მირბიან, მიჰქრიან. ქალაქი ხრიალებს, ჰკვნესის,

ჰგმინავს და სიცოცხლის ნიშატით გუგუნებს. მე მესმის მისი ტვინის ფუსფუსი, თრთოლვა და სისხლის ჩქეფა, მე ვგრძნობ იმის მაჯის ფეთქვას და ცხელ სუნთქვას. მისი სისხლი ჩემს ძარღვებშიც გადმოდენილა და ჩემ გულიც იდუმალი ხალისით და სიცოცხლის უნარით იტენება.

უცებ თეთრ საყელოს წავაწყდი და ისე შევდექი, თითქო კლდეს დაეჯახეო.

— ხათუთი, ქალო ხათუთი! მოიხედე, ჩქარა მოიხედე. აი, საყელო, თეთრი საყელო.

კაცი სდგას და თვალებში მილიმის. მე კი ქონიანი თითით ხათუთას საყელოსკენ ვუთითებ და ბავშვივით ვიცინი:

— საყელო... საყელო... თეთრი საყელო. აი, აბრეშუმის ყელსაბამიც... ტყავის ხელთათმანებიც.

უცნობი ჯერ იცინის, მერმე ხარხარებს:

— კარგი ხუმრობა გცოდნიათ ხევსურებს. თუ ძალიან მოგწონს, გაჩუქებ. როგორ მოგიხდება მაგ ტანისამოსზე! ხო-ხო-ხო!

— რატო არ მამიხდებაო,—ვუქცევ ხევსურულად.—შავათავსიე, შავათავსიე!

უცნობი უკვე რახრახებს. ხალხი იკრიფება.

— ჯერ ეს მითხარი,—მეუბნება უცნობი და ჯვრებზე მითითებს, მხრებზე რომ მაქვს დაკერებული,—მითხარი, რომელი მეფის დროინდელია ეს ტანისამოსი?

— ფარსმან მეფის დროინდელ ას, ფარსმანისა!—და ყველანი გულიანათ ვიცინით.

ხათუთა მიმათრევს. „სირცხვილ ას!“ უკნიდან ხარხარი მომდევს. მე კი უკან ვიხედები და ვუყვირი: „ოჩოპინტე! მაძახურა! მეჯალაფე!“

რა თქმა უნდა, გიჟი ვგონივარ!

აგერ, დათიკომ და ქაიხოსროომ გაიარეს. ერთმანეთს ჩემზე უთითებენ და იღიმებიან, მაგრამ მაინც ვერ მცნობენ. აი, ქეთოც შემხვდა. ვერც ამან მიცნო. სხვებიც ისე მსინჯავენ, თითქო ოჩოპინტე ვიყო.

— დეიდა მაიკო, გამარჯვება შენი! რა იყო, შენც ვერ მიცანი?

დეიდა მაიკო ჯერ დაფრთხა. მოჩვენება ვეგონე. მერმე მომეხვია, ატირდა და წაიბუტბუტა:

— რა ვქნა, ეგრე რამ აგაყროლა, ქაააა!

— დეიდა, აი ჩემი ცოლი. გაიცანი და გაანათლე.

ბევრი ვეჩიჩინე, მაგრამ ვერ დავაჯერე.

— დეიდა,—ვუბრძანე ბოლოს,—ეხლავე წაიყვანე ჩემი ცოლი და თავითფეხებამდე ჩააცვი. არაფერი არ დაგავიწყდეს: არც ლაკირონის ფეხსაცმელი, არც კოტი და უბიგანი, არც ხელთათმანი და არც ქინძისთავი. მართლა, თეთრი საყელოც მიყიდე, თეთრი, თოვლივით თეთრი! იყიდე ათი, ოცი, თუნდ ორმოციც. ვიცი, რომ მაქვს, ვიცი. მაგრამ ახლები მინდა, ახალთ-ახლები! აბა, ეხლა მიბრძანდით! მართლა, არ დაგავიწყდეს: ვინც შეგხვდეს, ყველას უთხარი,

ხურაბი იმ ქვეყნიდან დაბრუნდათქო. აბა, მალე! აბანოში უნდა წავიდეთ და ხევსურეთის ქონი ჩამოვირეცხოთ.

მადლობა უფალსა! თუმცა დეიდა მაიკოს ჩემზე პანაშვიდიც კი გადაუხდია, მაგრამ ჩემი გარდერობი ხელუხლებლად შეუნახავს.

* * *

ჩემს ოთახში ვზივარ და ვმუშაობ. ისევ ცისფერი პიჟამა მაცვია. ყელზე თეთრი საყელო მაქვს,—ახალთ-ახალი, გახამებული, მალალი და უბიწო. მთის სუნიც და მკბენარიც გოგირდის აბანოში ჩამოვირეცხეთ.

ხათუთას უკვე მთელი ქალაქი იცნობს. საკვირველია, ესე მალე როგორ შეითვისა ჩვენებური იერი. ისე კოხტად დააქვს ევროპული ტანისამოსი და თვისი განთქმული შშვენებანი, რომ აქაური მზეთუნახავებიც კი შურით იხერხებიან. ჩვენს ოჯახში ბუზსაც არ შემოუშვებს და განათლების თასს გულმოდგინედ სვამს. მხოლოდ მათემატიკას ვერ დასძლია და ჯერ-ჯეროობით სუფთა ქართულსაც ვერ მოერია. ეხლაც მესმის მეორე ოთახიდან მაიკოს გაკვეთილი:

— ორმოცს რომ სამოცი მივუმატოთ, ოამდენი იქნება?

— ბევრ, ძაან ბევრ იქნებივ.—ოხვრით უპასუხებს ხათუთა და გაქცევის საბაბს პოულობს: —ნოდარს უნდა ძუძუ მავაწოვივ, თორე იტირებდივ.

მართლა, ნეტა ჯურხას-კარში რა ამბავია? ალბად მგელას სახლში ქონის ჭრაქი ბჟუტავს. ნანუკა, იამზე და მზექალო ხინკალს ამზადებენ და ლუდს ხარშავენ. მგელა და ტოტია დაფარფატებენ. ჯურხა სამფეხაზე ზის, ყალიავანს აბოლებს და ბუხარში იწიტება. ტყეში ოჩოპინტე დასეირნობს. ხევში მაძახურა იძახის. ძაღლები ჰყმუიან. რომელიმე წიკლაურის სახლში ხევსურები ღრეობენ, ტოშფანდურს უკრავენ და ალუდაურის, ზურაბ ერისთავისა და სისხლის წვიმების დროინდელ ლანდებს დასდევენ.

„იყავნ მშვიდობით, ხევსურნო, იყავნ! წყალობა თქვენის ჯვარისა, წყალობაი!“

ი. გაგელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნიდან

„ცხენარმია“

წერილი

აი წერილი სამშობლოში, რომელიც კურდიუკოვმა თავის კარნახით დამაწერინა. ის არ არის დავიწყების ღირსი. მე გადავიწერე და სრულიად შეულამაზებელს და გაუსალაშინებელს ეიძლევი ნამდვილთან სიტყვა სიტყვით შეთანხმებულს.

— საყვარელო დედა, ევდოკია ფედოროვნა. ამ წერილის პირველ სტრიქონში ვისწრაფვი შეგატყობინო, რომ მე, ღვთის მადლით, ცოცხალი ვარ და სრულიად ჯანმრთელად ვიმყოფები, რასაც თქვენც გისურვებთ. აგრეთვე მდაბალ სალამს გაძლევ, თავს გიკრავ და მოვიკითხავ... (აქ ჩამოთვლილია ნათესავები, ნათლულები და ნათლიდედები. ეს გამოვტოვოთ. განვაგრძოთ შემდეგი აბზაციდან).

— საყვარელო დედა, ევდოკია ფედოროვნა კურდიუკოვისავ. უპირველეს ყოველისა გაცნობებ რომ მე ვიმყოფები ამხანაგ ბუდიონის წითელ ცხენოსანთა არმიაში, აქ იმყოფება აგრეთვე თქვენი ნათლიმამა ნიკონ ვასილიჩიც, რომელიც ახლა წითელი გმირია. ნიკონ ვასილიჩმა მე თან წამიყვანა პოლიტგანყოფილების ექსპედიციაში, სადაც ჩვენ პოზიციებზე დაგვაქვს ლიტერატურა და გაზეთები— მოსკოვის ცაკის უწყებანი, მოსკოვის სიმართლე და საკუთარი ყოვლად ულმობელი გაზეთი წითელი კავალერისტი, რომლის წაკითხვა ყველას სწყურია მოწინავე პოზიციებზე და წაკითხვის შემდეგ გმირულად სჩეხენ საზიზღარ შლიახტას და ასე, მე ძლიერ კარგად ვცხოვრობ ნიკონ ვასილიჩთან.

საყვარელო დედა, ევდოკია ფედოროვნა. გამომიგზავნეთ, თუ რამე შეგიძლიათ. გთხოვთ ჭრელი ბურაკი რომ გვყავდა, ის დამიკლათ და ამანათით გადმომიგზავნოთ ამხანაგ ბუდიონის პოლიტგანყოფილებაში ვასილი კურდიუკოვზე გადასაცემად. მე ყოველ ღამე მშიერ კუჭითა და ფსაცვლოდ ვიძინებ, ასე რომ ძაან მცივა. მომწერეთ რამე ჩემ სტიოპაზე, ცოცხალია თუ არა, აგრეთვე ქეცის შესახებაც, წინა ფეხებში რომ ჰქონდა, ნალბანდთან გყავდათ თუ არა? გთხოვთ, საყვარელო დედა, ევდოკია ფეოდოროვნა, წინა ფეხები იმ საპნით

დაბანოთ, მე რომ ხატებს უკან მქონდა შენახული, და თუ მამაჩემმა გახარჯა, მაშინ კრასნოდარში იყიდეთ და ღმერთი შეგეწევათ. აქ შესანიშნავი ადგილები ქვეყანაა, მუჟიკები თავიანთ ცხენებით ტყეებში გარბიან და-იქ იმალებიან, ასე გაურბიან ისინი ჩვენ წითელ არწივებს, ხორბალი ძლიერ ცოტაა და ისეთი წვრილი რომ ჩვენ სასაცილოდ არ გვყოფნის. აქ უფრო ქერსა და შვრიას სთესენ. ბიჯგებზე ადის სვია, კარგად მოდის და მისგან შინაურ არაყს ხდიან.

ამ წერილის შემდეგ სტრიქონებში მე ვიჩქარი მოგწერო მამაჩემის შესახებ, რომელმაც ამ ერთი წლის წინად ჩემი ძმა ფედორ ტიმოფეიჩი კურდიუკოვი აკუწა ხმლით. ჩვენი ამხანაგ აპანასენკოს წითელი ბრიგადა ქალაქ როსტოვს უტევდა, და სწორედ ამ დროს ჩვენ რიგებში ღალატმა იჩინა თავი. მამაჩემი მაშინ დენიკინის რაზმებში იყო როტის უფროსად. ვისაც ენახა, ამბობდა რომ ის ისევ ისე ატარებდა ჯვარ-მენდლებს, როგორც ძველი რეჟიმის დროს. ღალატის გამო ჩვენ ყველა ტყვედ ჩავცვივდით და ჩემი ძმა ფედორ ტიმოფეევიჩიც მამას თვალებში შეეფეთა. და მამამ დაუწყო მას ხმლით ჩეხვა, თან ლანძღავდა—აი შე წითელო ძაღლო, მამაძაღლო, ასეთო და ისეთო და სხვა ათასი უმსგავსი სიტყვებით და თან სჩეხავდა მანამ, სანამ არ დაბინდდა და ჩემ ძმას ფედორ ტიმოფეიჩს სული არ გავარდა. მაშინ მე მოვიწერე ამის შესახებ რომ თქვენი შვილი ფედია ულჯვროდ გდია მიწაში, მაგრამ მამამ წერილიანად დამიჭირა და მითხრა: ახ თქვე დედაგაქუცულებო, აი შე გადათრეულო ოხერო, დედათქვენს მე ვაბიზინებდი მუცელზე და კიდევ გავაბიზინებო, ჩემი ცხოვრება წასულია, მევე ამოვფხრი ძირიანად ჩემს თესლსა და მოდგმას სიმართლის სამსახურშიო და ასე. და მე, როგორც იესო ქრისტემ, ისე მივიღე მისგან ათასი ტანჯვა-წამება. მაგრამ მალე მე მამაჩემს გავეპარე და მიველ ისევ ამხანაგ აპანასენკოს რაზმში. ამ დროს ჩვენმა ბრიგადამ მიიღო ბრძანება რომ ჩვენ ქალაქ ვორონეჟში გავმგზავრებულიყავით რიგების შესავსებად და კიდეც შეივსო, მივიღეთ აგრეთვე ცხენები, ჩანთები, ნაგანები და ყველაფერი რაც კი გვეკუთვნოდა. ვორონეჟი, ჩემი საყვარელი დედა, ევდოკია ფედოროვნა, მშვენიერი ქალაქი გახლავთ, კრასნოდარზე დიდი იქნება, ხალხი ლამაზი, მდინარე ამოდენა, რომ კაცი თავისუფლად იბანავებს. იქ დღეში ორ გირვანქა პურს გვაძლევდენ, ხორცს ნახევარ გირვანქას და შაქარსაც ასევე შესაფერისად, ასე ოომ ჩვენ დილა-საღამოობით ტკბილ ჩაის ვსვამდით და მთლად დაგვავიწყდა სიმშილი, სადილად კი მე ჩემ ძმა სემიონ ტიმოფეევიჩთან მივდიოდი ბლინებზე, ან-და ბატის ხორცზე, რის შემდეგაც მე ვწვებოდი და ვისვენებდი. იმ დროს სემიონ ტიმოფეევიჩი თავისი დიდი გამბედაობის გამო, პოლკს თავის უფროსად უნდოდა, ამხანაგ ბუდიონისგანაც ასეთივე ბრძანება მოვიდა და მან ორი ცხენი, მთლად გაწყობილი ტანისამოსი, ხარახურისთვის ცალკე ცხენის ურემი და წითელი დროშის ორდენი მიიღო, მე კი მასთან ძმად ვირიცხებოდი. ასე რომ ახლა ვინმე მეზობელი თუ რამე ზიანს მოგაყენებს, ჩემ ძმას სემიონ ტიმოფეევიჩს თავისუფლად შეუძლია მისი დაკვლა და ამისთვის პასუხსაც ეო აგებს.

ამის მერე ჩვენ ვდევნიდით გენერალ დენიკინს, ათასობით დავხოცეთ

ისინი და შავ ხლვაში ჩავრეკეთ, მაგრამ მამაჩემი არსად არ სჩანდა, არ იყო და არა. სემიონ ტიმოფეიჩი გამწარებული ეძებდა მას, იმიტომ რომ ის ძლიერ სწუხდა თავის ძმა ფედიაზე, მაგრამ, როგორც მოგეხსენება, ჩვენ საყვარელი დედა, მამაჩემის ჯიუტი ხასიათის შესახებ, აი რა ჩაედინა:—წითელი წვერი ყოველად უსინიდისოდ და უნამუსოდ შავად შეეღება და ცხოვრობდა არხეინად ქალაქ მაიკოპში უბრალო მოქალაქის ტანისამოსში გადაცმული. ასე რომ მთელ ქალაქში კაცმა არ იცოდა რომ ის ძველი რეჟიმის ნამდვილი ზედგამოჭრილი სტრაჟნიკი იყო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ის აღმოჩნდა. თქვენმა ნათლიმამამ ნიკონ ვასილიჩმა შემთხვევით მოჰკრა მას თვალი ქოხში ერთ ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად და ამის შესახებ სემიონ ტიმოფეიჩს დაწვრილებით მოსწერა. ჩვენ ფიცხლავ ცხენებს მოვახტით და ორასი ვერსი გავიარეთ—მე, ჩემმა ძმამ სენკამ და სტანიცის მოხალისე ბიჭებმა.

და რა ვნახეთ ჩვენ ქალაქ მაიკოპში?! ჩვენ დავინახეთ რომ ზურგი სრულებით არ თანაუგრძნობს ფრონტს, იქ ყველგან ღალატია და აღსავსე ურიებით ისევე, როგორც ძველი რეჟიმის დროს. სემიონ ტიმოფეიჩი დიდხანს ედავა ურიებს, იმათ არ უნდოდათ მამაჩემის მოცემა, ციხეში ჩასვეს და მაგრა ჩაკეტეს. ისინი გვეუბნებოდენ რომ ამხანაგ ტროცკისგან ბრძანება არის, ტყვეები არ დახოცოთ, ჩვენ თვითონ გავასამართლებთო. თქვენ ნუ ჯავრობთ ის თავისას მიიღებსო. მაგრამ სემიონ ტიმოფეიჩმა მაინც თავისი გაიტანა და დაუმტკიცა რომ ის ნამდვილი პოლკის კომანდირია და არა ვინმე ვიგინდარა, რომ ის ამხანაგ ბუდიონის მიერ არის დაჯილდოვებული წითელ დროშის ყველა ორდენებით და იმუქრებოდა რომ ყველას ხმლით აჩეხავდა, ვინც მამაჩემის პიროვნებისათვის დაიწყებდა დავას და არ მისცემდა, ასევე იმუქრებოდენ სტანიცის ბიჭებიც. მაგრამ, როგორც კი სემიონ ტიმოფეიჩმა მამაჩემი ჩაიბარა, ის გარეთ გამოათრიეს და ეზოში ყველა მხედრები გაამწკრივეს, როგორც ეს სამხედრო წესსა და რიგს შეეფერებოდა. მაშინ სენკამ მამაჩემს ტიმოფეი როდიონიჩს წვერებში წყალი შეასხა და წვერზე ჩამოდინდა შავი საღებავი. სენკა შეეკითხა ტიმოფეი როდიონიჩს:

— ხომ კარგად გრძნობ თავს, მამაჩემო, ჩემ ხელში?

— არა,—უპასუხა მამაჩემმა,—ვერ ვგრძნობ თავს კარგად.

მაშინ სენკა შეეკითხა:

— კარგად გრძნობდა თავს შენ ხელში ფედია, როცა შენ მას სჩეხავდი?

— არა, უპასუხა მამაჩემმა,—არ გრძნობდა თავს კარგად.

მაშინ სენკა შეეკითხა:

— ფიქრობდი, მამაჩემო, რომ შენც ცუდად იგრძნობდი თავს ოდესმე შემდეგში?

— არა—უპასუხა მამაჩემმა,—არ მეგონა რომ ასე ცუდად წავიდოდა ჩემი საქმე.

მაშინ სენკა ხალხს მოუბრუნდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— მე კი ასე ვფიქრობ: თუ თქვენებს ხელში ჩაუვარდი, კარგი დღე არ დამადგება. ახლა, მამაჩემო უნდა, გაგათავოთ.

მაშინ ტიმოფეი როდიონიჩმა დაუწყო ულამაზესი გინება სენკას, აგინებდა დედას, ღვთიშობელს, ეშუქრებოდა რომ მაგრა დაჩეჩქვავდა. სემიონ ტიმოფეიჩმა მე ეზოდან დამითხოვა, ასე რომ მე არ შემიძლია, ჩემო ყაყვარელო დედა, ევდოკია ფედოროვნა, მოგწერო ის, თუ როგორ უთავეებდენ მამაჩემს სიცოცხლეს, იმიტომ რომ მე ჩემმა ძმამ სემიონ ტიმოფეიჩმა ეზოდან გამგზავნა.

ამ ამბის შემდეგ ჩვენ ნოვოროსიისკში ვიდექით. ამ ქალაქზე იმის თქმა შემიძლია რომ, იმის იქით არავითარი ხმელეთი არ მოიპოვება, ყველგან წყალია, შავი ზღვა და იქ ჩვენ მაისამდე ვიდექით, ახლა ჩვენ პოლონეთის ფრონტზე ვართ და ვცემთ შლიახტას...

დავშთები შენი მოსიყვარულე შვილი ვასილიჯ ტიმოფეიჩ კურდიუკოვი.

დედა, სტიოპას კარგად მიხედე და ლმერთი მოგხედავს.

აი კურდიუკოვის წერილი სიტყვა სიტყვით. როცა მე გავათავე, მან წერილი გამომართვა, დაკეცა და შიშველ ტანზე უბეში შეინახა.

— კურდიუკოვ, — შევეკითხე მე ბიჭს, — ავი მამა გყავდა შენ?

— მამაჩემი ნამდვილი ნაგაზი იყო. — მიპასუხა მოლუშვით.

— დედა?

— დედაც მისი შესაფერისი, თუ გნებავს, აი ჩვენი ოჯახი...

და მან მომაწოდა შუაში გადატეხილი ფოტოგრაფიული სურათი, რომელზედაც გამოხატული იყო ტიმოფეი კორდიუკოვი, მხარბეჭიანი წარმოსადეგი სტრაჟნიკი, ფორმის კარტუზიან ქუდით თავზე და ჩამოვარცხნილ წვერით, მორგვივით კაცი, ყვრიმალის ძვალმსხვილი, უაზრო და უფერულ გადაჭაჩულ თვალებით. მის გვერდით ბამბუკის საკარძელში ძლივს მოსჩანდა ტანმორჩილი, მოლეული გლეხის ქალი, წელზე ამოშვებულ კოფტით, გამხდარი და მორცხვი სახის. კედელთან კი, საცოდავ პროვინციის ფოტოგრაფიულ ფონზე, რომელიც მტრედებით და ყვავილებით იყო მოხატული, იდგა ორი ბიჭი, უზარმაზარნი, ბლუ გამოხედვით, ფართო სახისანი, თვალებ გადმოვარდნილი, გაჩიჩინებულნი, — ორი ძმა კურდიუკოვები — ფედორ და სემიონ.

ნოვოგრად-ვოლინსკი, ივნისი, 1920.

დოლგუშოვის სიკვდილი

ომის ხმა ქალაქს თანდათან უახლოვდებოდა. შუადღისით 4 დივიზიის გადაყენებულმა ჯეროსმა ჩაგვიქროლა ცხენით, — ის მარტოდ მარტო იბრძოდა და ეძებდა სიკვდილს. გაქანებულ ცხენიდან გადმომძახა:

— კომუნიკაციები დაშლილია, ოაძივილოვი და ბროდი ცეცხლშია გახვეული.

და გაფრინდა მთლად შავი, ნალვერდლებივით თვალებით.

დაფასავით სწორ ვაკეზე ბრიგადები მწკრივდებოდენ. მხე წითელ ნაცარტუტაში ტორტმანობდა. თხრილებში დაჭრილები ისხდენ და საუზმობდენ. მოწყალების დები იწვნენ ბალახში და ოდნავ ხმის აწევით ღიღინებდენ.

აფონკას მხვერავები მინდორ-მინდორ დაძრწოდენ: ეძებდენ მკვდრებსა და ტანისამოსს. აფონკამ ორ ნაბიჯზე ჩამოიარა, კისერი ერეკენ-ერეკენ ბიბლიოთეკა ისე მითხრა:

— მაგრა დაგვნაყეს. როგორც ორჯერ ორი, დივიზიის უფროსზე აქვთ ეჭვი—გადააყენებენ. მხედრები ეჭვობენ...

პოლონელები ჩვენგან სამი ვერსის მანძილზე მდებარე ტყეს მოადგენ, სადღაც ჩვენ მახლობლად ტყვიამფრქვევები დადგეს. აწკმუტუნდენ ტყვიები. მათი ჩივილი თანდათან მატულობს, ტყვიები ერჭობიან მიწაში და ეძებენ რაღაცას შიგ მოუთმენლად, ვიტიაგაიჩენკომ, პოლკის უფროს, რომელსაც მზის ყურეზე ეძინა, წამოიბღავლა და გამოეღვიძა. წამოვარდა, ცხენს მოახტა და მეთაურ ესკადრონისკენ გაექანა. სახე მთლად დაჭმუჭვნოდა, წითელ ზოლებით აჭრელებოდა უხერხულ წოლისაგან, ჯიბე ქლიავით ჰქონდა გატენილი.

— აი, ეგ მამაგაღლეტილები,—დაიძახა მან სიბრაზით და პირიდან ქლიავის კურკა გადმოაფურთხა,—ერთი ამ წუნკლებს უყურეთ, ა??. ტიმოშკა, ასწიე ბაირაღი·

— წავიდეთ, არა?..—იკითხა ტიმოშკამ, უზანგიდან დროშის ტარი გამოაძრო და ბაირაღი გაშალა, რომელზედაც ვარსკვლავი ეხატა და რაღაც ეწერა მე-III ინტერნაციონალის შესახებ.

— იქ, ვნახავთ, რაც უნდა ვქნათ!..—სთქვა ვიტიგაიჩენკომ და მერე უეცრად დაიბღავლა:—აბა ცხენებზე, ბიჭებო...

მესაყვირეებმა განგაში დაჰკრეს. გამწკრივდა ესკადრონები. ამ დროს თხრილიდან ერთი დაჭრილი ამოფორთხდა და ვიტიაგაიჩენკოს მიმართა:

— ტარას გრიგორიევიჩ, დელეგატი ვარ, როგორც ეტყობა ჩვენ აქ ჩავრჩებით... დაჭრილები...

— არაფერია, როგორმე მოიგერიებთ...—ჩაიბურდღუნა ვიტიგაიჩენკომ და ცხენი კიშმიშზე შეაყენა.

ჩვენ ასე ვფიქრობთ, ტარას გრიგორიევიჩ, რომ ვერ მოვიგერიებთ... ვერ შევძლებთ...—სთქვა დაჭრილმა.

— ნუ იჭყანები...—და მერე გასცა ბრძანება, რომ გაფრენილიყვნენ.

და მაშინვე, ვიტიაგაიჩენკოს ბრძანებისთანავე, გაისმა აფონკა ბიდის. ჩემი ახალი მეგობრის დედაკაცივით აწრიპინებული ხმა:

— რათ გინდა ჩორთიევით რომ მიაჭენებ... იქამდე ბარე ხუთი ვერსია, ტარას გრიგორიევიჩ... ცხენები დაიხოცება, ისედაც დაღლილები არიან... მერე ბრძოლა არ გინდა?... რას ჩქარობ, ისეც მოვესწრებით...

— ნელა!... ბრძანა ვიტიაგაიჩენკომ თავაუწევლად.

პოლკი დაიძრა.

— თუ დივიზიის უფროსზე რომ ჭორი დადის, მართალია,—წამიჩურჩულა აფონკამ, სანამ ადგილიდან დაიძვროდა,—და მართლა გადააყენეს, მაშინ ჩვენი საქმე წასულია.

თვალთაგან ცრემლები წასცვივდა. მე აფონკას გაშტერებული შევაჩერდი.

ის კი ერთ ადგილას ბზრიალასავით დატრიალდა, ხელი ხმალს ეკრა, ახროტინდა, მერე დასჭყივლა და გაფრინდა.

მე და გრიშჩუკი, რომელიც რაღაც სულელურ ტაჩანკაზე ვიდა, მარტო დავრჩით. საღამომდე ვიწანწალეთ ჩვენ ცეცხლის კედლებში, მაგრამ გასავალი ვერ'ად ვერ ვნახეთ. დივიზიის შტაბი სადღაც გაჰქრა. სხვისი ნაწილები ჩვენ არ გვიღებდენ. პოლონელები ბროდში შემოვიდენ, მაგრამ ისევ განდევნილ იქმნენ ჩვენების მიერ კონტრ-იერიშით. ჩვენ ქალაქის სასაფლაოს მიუახლოვდით. საფლავებს უკან ჩასაფრებული პოლონელი ჯარისკაცები წამოცვივდენ, თოფები მოიმარჯვეს და დაგვცხეს როგორც შეეძლოთ. გრიშჩუკი შემოტრიალდა და ჩვენ გავფრინდით. გრიშჩუკის ტაჩანკა ხმაურობდა ოთხივე თვალით და ყველაფერი დააყრუა.

— გრიშჩუკ!.. გადავძახე მე ტყვიების ზუზუნში და ქარში.

— თავის აგდებაა და მეტი არაფერი!..—მიპასუხა მან მოწყენით.

— გრიშჩუკ, ვილუპებით!..—წამოვიძახე მე დასალუპავად გამზადებულ ადამიანის უცნაური აღტაცებით.—ვილუპებით!

— რას იწუხებენ თავს ეს დედაკაცები... არ მესმის...— მომიგო მან კიდევ უფრო მწუხარედ.—რათ უნდათ ეს მაჭანკლობა, ნიშნობა, რას დაგოგმანობენ ეს ნათლიები კორწილებში?.. რის მაქნისია!..

ცაში წითელი კუდი გამოჩნდა და ისევ ჩაქრა. ვარსკვლავებში გამოიკვეთა მდევის ნამუხლარი.

— სასაცილოა,—სთქვა გრიშჩუკმა კიდევ უფრო მწუხარედ და მათრახით კაცი მაჩვენა, რომელიც გზის პირას ჩამჯდარიყო,—სასაცილოა, რას იწუხებენ თავს ეს ქალები!..

კაცი, რომელიც გზის პირას იჯდა, დოლგუშოვი იყო, ტელეფონისტი. ფეხები უცნაურად გაეშალა და პირდაპირ თვალებში გვიცქეროდა.

— აი რა უნდა გითხრათ,—სთქვა დოლგუშოვმა, როცა ჩვენ მიუახლოვდით,— მე მოვკვდები. ხომ გესმით?..

— მესმის,—მიუგო გრიშჩუკმა და ცხენი ჭეაჩერა.

— ერთი ვაზნა უნდა დახარჯოთ ჩემზე.—სთქვა დოლგუშოვმა საქმიანი კილოთი.

ის ზურგით ხეს მიყრდნობოდა და ისე იჯდა. ფეხები აქეთ-იქით უსიცოცხლოდ გაეშალა. ჩემთვის თვალი არ მოუშორებია ისე პერანგი ფრთხილად აიწია და გამოჩნდა: გამოფათრული მუცელი, ნაწლავები მუხლებზე მოცურავდენ და მოსჩანდა, როგორ ფეთქავდა გული ბუდეში.

— შლიახტა მომაგნებს და მასხარად ამიგდებს. აი დოკუმენტი, დედას მისწერეთ, როგორ მოხდა.

— არა, არ შემიძლია!..—უპასუხე მე ყრუდ და ცხენს ქუსლი შემოვკარი.

დოლგუშოვმა ხელები მიწაზე დააწყო და გამოჩნდა მთლად გალურჯებული ხელის გული და ზედ უიმედოდ დიჰხედა.

— გარბიხარ,—წაიბუტბუტა მან და წელი მოსწყდა, მთლად ჩაიკეცა,— გაიქეცი, გაიქეცი, შე ბინძურო.

ჟრუანტელმა დამიარა. ტყვიაფრქვევებმა მოუხშირეს, ბრაბუნობდენ ისტერიულ სიჯიუტით.

ჩვენკენ ჩამავალ მზის ნიმბით მოსილი აფონკა ~~ბილო მოვყოლდა~~.

— ნელნელა ვცხებთ, მაგ წუნკლებს!..—დაიძახა მან მხიარულად მოსვლისთანავე,—ეს რა ბაზრობა გაგიმართავთ?

მე დოლგუშოვი ვაჩვენე და მოვშორდი.

ისინი ლაპარაკობდენ მოკლედ. სიტყვებს ვერ ვარჩევდი. დოლგუშოვმა მწყობრის უფროსს წიგნაკი გადასცა. აფონკამ წიგნაკი ჩექმის ყელში ჩაიტენა და მერე დოლგუშოვს პირში ესროლა.

— აფონკა,—ვთქვი მე საცოდავ ღიმილით და ყაზახს მიუახლოვდი,—აი, მე კი ვერ შევძელ.

— მომცილდი!..—დაიძახა მან მთლად გაფითრებულმა,—თორემ მოგკლავ. გეცოდებათ ხომ ჩვენი ძმა, თქვე სათვალებიანებო, ისე, როგორც თაგვი კატას!.

და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

მე ნელა გავშორდი, უკან არ მომიხედია ისე და ზურგით ვგრძნობდი სიცივესა და სიკვდილს.

— ეი!..—დაიყვირა უკან გრიშჩუკმა,—რა თავს იგდებ შენ! და აფონკას ხელი ხელში უტაცა.

— მონებო!..—დაიძახა აფონკამ.—სულერთია ვერსად წამივა.

გრიშჩუკი მოსახვევში დამეწია. აფონკა არ სჩანდა. ის სხვა გზით წავიდა.

— ხედავ, გრიშჩუკ.—ვთქვი მე.—დღეს მე აფონკა დავკარგე, ჩემი საუკეთესო, უპირველესი მეგობარი.

გრიშჩუკმა ჩანთიდან გამჭვნარი ვაშლი ამოიღო.

— სჭამე,—მითხრა მან,—სჭამე, ნუ მოგცლია!..

და მე მივიღე მისგან ეს მოწყალება, გრიშჩუკისაგან, და შევჭამე ვაშლი მწუხარემ, მოწიწებით.

ბროდი. აგვისტო. 1920.

დიაკოვი

სოფელი გმინავს. ცხენოსანთა რაზმი სჩხრეკს ხორბალს და სცვლის ცხენებს. დაჩიავებულ და გალახულ ცხენების მაგიერ რაზმელებს გლეხების სამუშაო ცხენები მიჰყავთ. რას იზამ, უცხენოთ არმია შეუძლებელია.

შტაბის შენობასთან გლეხები ირევიან.

მოჰყავთ ბაწრით მისუსტებული ჯაჩრიკა ცხენები ბანცალით. მარჩენალ ჩამორთმეული გლეხები გულში გრძნობენ ბოღმასა და სიმწარის გამბედაობას, იციან რომ ეს გამბედაობა დიდხანს არ გასტანს და შიშველ-ტიტველნი მიიჩქარიან რომ უთხრან უკმეხი სიტყვა და შესჩივლონ უფროსს, მათს გამჩენსა და დაბადების საათს.

თავით ფეხებამდე ფორმაში გამოწყობილი შტაბის უფროსი აივანზე დგას.

თვალის ქუთუთოები ეწვის, ხელს იფარებს და ისმენს ყურადღებით — გლეხების ჩივილს. მაგრამ ეს ყურადღება მხოლოდ ხერხია და სხვა არაფერი. ჟ., როგორც ყოველმა გამოცდილმა და დაღლილმა მუშაკმა, იცის ასეთ [illegible] გონებრივ მუშაობის სრულიად შეწყვეტა. და ასეთ გამოზოგილ [illegible] რომლითაც მოსასვენებლად სარგებლობს, ის იმყოფება ნამდვილ ძროხულ ნეტარ უაზროობაში.

ასეა ახლაც.

გლეხთა სასოწარკვეთილ უაზრო გუგუნში, ჟ. თვალყურს აღევნებს გონებაში აზრის იმ სუსტ ჭიდილს, რომელიც შემდეგ დაიწმინდება და ახალი ენერგიით აღიჭურვება. როცა გამოერკვევა რაღაცას წაიღრენს და წავა ისევ შტაბში სამუშაოდ.

ახლა მას ეს ღონეა არ დასჭირვებია. წითელ შერეულ ინგლისურ-არაბულ ბედაურით მოიჭრა აივანთან დიაკოვი, ცირკის ყოფილი ჯამბაზი და ახლა კი ცხენების თადარიგის უფროსი,—წითური, ჭალარა შერეულ ულვაშებით, შავ მოსასხამ მოხუცული და წითელ შარვალზე ჩაყოლებულ ვერცხლის სირმებით.

— ეშმაკმა და ჯოჯოხეთმა წაიღოს მაგათი თავი და ტანი!—დაიყვირა მან და ცხენი აივანთან შეაჩერა, მაგრამ ამ დროს მის წინ ერთი ჯახრიკა ცხენი დატორტმანდა და ცხენს, რომელზედაც ის იჯდა, ფეხებში ჩაუვლიდა.

— აი შეხედე, ამხანაგო უფროსო!..—დაიძახა ვიღაც გლეხმა და მუხლებზე ხელი დაირტყა.—აი როგორი ცხენს გვაძლევთ ჩვენ სამაგიეროდ... ხედავ, რას გვაძლევენ. მოდი შენ და ასეთ ცხენით დაამუშავე მიწა, ფეხზე ველარ დგას.

— ამ ცხენში,—დაიწყო მკაფიოდ და დინჯად დიაკოვმა.—ამ ცხენში, ჩემო მეგობარო, შენ სრული უფლება გაქვს ცხენთა სათადარიგოში ხუთმეტი ათასი მანეთი მიიღო, ოღონ უკეთესი რომ იყოს ოცი ათას მანეთსაც მიიღებდი. თუმცა ცხენი რომ წაიქცა, ეს ჯერ კიდევ ფაქტი არ არის. თუ ცხენი წაიქცა და ისევ წამოდგა,—ის ცხენია, და თუ, პირიქით რომ ვთქვათ, წაიქცა და ვერ ადგა—მაშინ ის უკვე არ არის ცხენი, მაგრამ, სხვათა შორის, ეს მშვენიერი ცხენია და ადგება კიდეც...

— ღმერთო შენ შემეწიე,—აასავსავა ხელები გლეხმა.—მაგას რა ააყენებს... საცაა სულიც გავარდება...

— ნუ შეურაცხყოფ ცხენს ჩემო ბიძია...—უპასუხა ღრმა რწმენით დიაკოვმა.—პირდაპირ ღმერთს ჰგმობ შენ მაგ სიტყვებით. როგორ იქნება!..—და ამ სიტყვებით მარჯვედ გადმოხტა იგი მოხდენილი ცხენიდან, ისე, როგორც სცენაზე, და მომაკვდავ ცხენს მიუახლოვდა. ცხენი თავისი ღრმა, საცოდავ თვალებით დიაკოვს მიაჩერდა და თითქოს მის ვარდისფერ ნახ ხელის გულიდან რაღაც უხილავი ჯადოსნური ძალა ალოკაო, მისუსტებულმა იგრძნო ის ძალა გამოცდილი ადამიანისა, რომელიც გამოდიოდა ამ ყოჩაღ, მოხდენილ და ჭალარა შერეულ მარჯვე რომეოსაგან. თავის საცოდავ ხანხალით და ფეხების სხლეტით საცოდავი ჯახრიკა ცხენი, რომელსაც ეს ადამიანი მუცელ ქვეშ ხლის ტით ჰფხანდა, ნელა, დიდის ყურადღებით წამოდგა, როგორც იქნა, და ფეხზე დადგა. და აი ჩვენ დავინახეთ, რომ დიაკოვი ცხენს მიეალერსა. დაუყვავა და

ბინძურ ფაფარზე ხელი მოფერებით გადაუსვა. მთელი ტანით აკანკალებული ჯაბრიკა ცხენი იდგა ფეხზე და თავის ძალლურად მორჩილს, ერთგულსა და შეყვარებულ თვალებს არ აშორებდა დიაკოვს.

— მაშასადამე, ეს ცხენია...—უთხრა დიაკოვმა გლეხს და მერე ალერსით დაუმატა: შენ კი სჩიოდი, ჩემო მეგობარო...

ამ სიტყვებით მხლებელს სადავე გადასცა და ცხენთა სათადარიგოს უფროსმა ერთი ნახტომით ოთხი საფეხური გამოუშვა და ისე აირბინა კიბეზე, შავი მოსასხამი მოხდენილად მოიქნია და შტაბის შენობაში შეეიდა...

ბელეეი. ივლისი. 1920 წ.

ᲙᲝᲚᲔᲡᲜᲘᲙᲝᲕᲘ

ვერცხლის ლამპასებიან წითელ შარვალში ბუდიონი იდგა ხის ძირას. ეს-ეს არის მე-2 ბრიგადის უფროსი მოჰკლეს. მის ადგილას კოლესნიკოვი დანიშნეს.

ერთი საათის წინ კოლესნიკოვი უბრალო პოლკის უფროსი იყო. ერთი კვირის წინად კი ესკადრონის უფროსი.

ახალ ბრიგადის უფროსს ბუდიონისთან გამოუძახეს და არმიის უფროსი მას ხის ძირას ელოდა. ახალი ბრიგადის უფროსი მოვიდა მასთან, თან კომისარი გრიშინი ახლდა.

— მაგრათ გვაწვებიან,—სთქვა არმიის უფროსმა და მის სახეზე თვალის მომთხრელი ბრწყინვალე ღიმი გაიშალა.—ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ. სხვა გზა არა გვაქვს. გესმით?..

— მესმის!..—უპასუხა კოლესნიკოვმა და თვალ დაჭყეტილი არმიის უფროსს მიაჩერდა.

— დაფრთხები, დაგხვრეტ!..—სთქვა არმიის უფროსმა, ისევ ისე გაიღიმა და საგანგებო განყოფილების, უფროსს გადახედა.

— მესმის!..—უპასუხა საგანგებო განყოფილების უფროსმა.

— იგორე ბორბალო!.. [1]—დაიძახა ყოჩაღად ვიღაც ყაზახმა იქვე მახლობლად. ბუდიონი ფეხსაცმელის ქუსლზე ფიცხლავ მოტრიალდა და ხელის აღებით სალამი მისცა ახალ ბრიგადის უფროსს. იმანაც კარტუზთან ხუთი ჯერ კიდევ ნოჩი გაფარჩხული თითი სალამის ნიშნად მიიდო, სახეზე ოფლმა გამოეონა და გაყვა ხნულებს. ასი საქენის მოშორებით მას ცხენები ელოდენ. ის მიდიოდა თავდახრილი და მიათრევდა ნელა სასაცილოდ მოღუნულ გრძელ ფეხებს. დაისი ისისხლებოდა, ცა ალუბლის ფრად შეიღება და ისე უჩვეულო იყო ეს სალამო, როგორც მოახლოებული სიკვდილი.

და მალე ფართოდ გადაშლილ ხარვეზებზე და გადატრამულ ყვითელ მინდორში ჩვენ დავინახეთ ის ერთადერთი:—კოლესნიკოვის ვიწრო ბეჭი, აფართხუნებული ხელები და ნაცრისფერ ქუდში ყურებამდე ჩასული თავი.

---

[1] სიტყვათ თამაშია: Коле-о Полесников.

მთარგმნ.

მხლებელმა ცხენი მიართვა.

ის ცხენს მარჯვედ მოახტა და გაფრინდა თავის ბრიგადისაკენ, ისე, რომ უკან არ მოუხედავს. ესკადრონები მას დიდ გზაზე მოელოდნენ.

დაწეწილი „ურა“ კვნესასავით მოჰქონდა ჩვენამდე ქარს.

მე ჭოგრით გავხედე და დავინახე, რომ ბრიგადის უფროსი ცხენით ტრიალებდა მაღლა ავარდნილ ცისფერ მტვერ ში.

— კოლესნიკოვი ბრიგადას მიუძღვის!—სთქვა მაღლა ხეზე შემჯდარმა თვალმადევნმა.

— სწორეა!..—უპასუხა ბუდიონიმ.

და ამ დროს პირველი პოლონური ყუმბარა წამოვიდა და ღმუილით თავს გადაგვიარა.

— იორღით მიდიან!..—სთქვა თვალმადევნმა.

— სწორია!—სთქვა ბუდიონიმ. პაპიროსი მოსწია და თვალები დახუჭა. „ურა“ თანდათან მიყუჩდა. კანონადაც შეწყდა. სრულიად ზედმეტი და უსაჭიროო შრაპნელი დაასკდა ტყეს. და ჩვენ ყურს უგდებდით ჩეხვის დიად მყუდროებას.

— სული და გულია ეს ბიჭი!..—წამოიძახა არმიის უფროსმა და წამოდგა.— პატივს ეძებს. ვფიქრობ,—მოიპოვებს კიდეც.

ცხენები მოითხოვა და ბუდიონი ბრძოლის ველისაკენ გაემართა. შტაბიც თან გაჰყვა.

კოლესნიკოვი მე იმავე საღამოს ვნახე. სწორედ ერთ საათს შემდეგ მას მერე, რაც პოლონელები სასტიკად იქმნენ დამარცხებულნი. ის თავის ბრიგადას მოუძღოდა შავ ყორანივით ჯერ კიდევ უნახავ სილამაზის ვაყა ცხენზე ამხედრებული და უნაგირზე თვალებს ლულავდა,—ეყვინთებოდა. შეხვეული დაჭრილი მარჯვენა ხელი გულზე ეკიდა. მისგან ათი ნაბიჯის მოშორებით ცხენოსან ყაზახს გაშლილი დროშა მოჰქონდა. მეთაური ესკადრონი ზანტად მოდიოდა და მოიმღეროდა უტიფარ ლექსებს. ბრიგადას არ უჩნდა ბოლო, ისე, როგორც ბაზრობაზე დაძრულ გლეხის ურმებს და სულის შემხუთავი მტვერი იდგა. უკან ხროტინებდენ დაღლილი ორკესტრები.

და იმ საღამოთი კოლესნიკოვის ცხენზე ჯდომის ხასიათში მე განვსვრიტე უფლებამოსილ თათართა ხანის ზვიადი გულგრილობა და მივხვდი განთქმულ წიგნის სიბრძნეს თავქეიფა აპანასენკოსი და მომჯადოებელ ტიმოშენკოსი.

ბროდი. აგვისტო. 1920.

პრიჩეპა

მივდივარ ლიშნუვში, სადაც დივიზიის შტაბი მდებარეობს. ჩემი თანამგზავრი ისევ ის პრიშჩეპაა—ახალგაზდა ყუბანელი, დაულალავი ქამი, კომუნისტი, მომავალი ჩარჩი, უდარდელი სიფილიტიკი და დინჯი მატყუარა. ტანთ შინდისფერი თხელი მაუდის ჩერქეზული ჩოხა აცვია. ზურგზე გადაგდებული

აქვს თივთიკის ყაბალახი. მოვდივართ და თან თავის ამბებს მიუყვება. აო დამავიწყდება მისი ამბავი.

ერთი წლის წინად პრიშჩეპა თეთრებს გაექცა. სამაგალითოდ მეტ მძევლად მისი დედ-მამა წაიყვანეს და კონტრდაზვერვაში დახოცეს. ... ...

ლიც ბოგდან ხმელნეცკის ყაზახებმა მოჰკლეს. ოთხი თაობა წევს და განისვენებს ამ მეთულუხის ბინასავით ღარიბ-ღატაკ სავანეში. და ეს ძეგლები ჰვალობენ მათ შესახებ ბედუინის ცად ასულ ლოცვებივით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აზრიილ ძე ანანიასი, ბაგე იელოვასი.

ილია ძე აზრიილისა, ტვინი, რომელ ებრძოდა განმარტოებით დავიწყებას.

ვოლფი ძე ილიასი, პრინცი, რომელ გატაცებულ იქმნა თორასაგან მეცხრამეტე გაზაფხულზე.

იუდა ძე ვოლფისა, კრაკოვისა და პრაღის რაბინი.

ჰოი, სიკვდილო ანგაარო, ჰოი შენ ქურდო გაუმაძღარო, რატომ თუნდაც ერთხელ არ შეგვიბრალე ჩვენ!..

მარილი

„ძვირფასო ამხანაგო რედაქტორო! მე მინდა ორიოდე სიტყვა მოგწეროთ იმ შეუგნებელ ქალთა შესახებ, რომლებიც ჩვენთვის მავნებელი არიან. იმედი მაქვს, რომ თქვენ, როცა ფრონტებზე დიდიოდით და ყველაფერს შენიშვნებისთვის იმახსოვრებდით, გვერდი არ აგივლიათ ისეთ სადგურისათვის, როგორიც ფასტოვი არის, და რომელიც იმყოფება ცხრა მთას იქით, ერთ სახელმწიფოში, მივიწყებულ ადგილას. მე იქ, რასაკვირველია, ვიყავი, შინაურ ლუდს ვსვამდი ულვაშებზე ჩამომდიოდა, მაგრამ პირში არ ჩამდიოდა. ამ ზემოხსენებულ სადგურში ბევრი რამ არის ისეთი, რისი აწერაც ლირს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერს ვერ ასწერ თუ არ გინახავს და ამიტომ შევეცდები აგწერო ის, რაც ჩემი საკუთარი თვალით მაქვს ნახული.

ეს იყო ამ შვიდი დღის წინად. იყო მშვენიერი წყნარი ღამე, როცა ჩვენი ცხენარმიის დამსახურებული მატარებელი მეომარი ბიჭებით დატვირთული გაჩერდა ამ სადგურზე. ჩვენ ყველა ვიწოდით ერთი სურვილით, რომ საერთო საქმისათვის თავი დაგვედო. ჩვენ ბერდიჩევისკენ მივემგზავრებოდით და ვატყობთ რომ ჩვენი მატარებელი ადგილიდან დაძერას არ აპირობს, ჩვენი გავრილა ფეხს არ იცვლის. მხედრები შეეჭვდენ და ერთი მეორეს ეკითხებოდენ: —რაშია საქმე? და მართლაც საერთო საქმისათვის მატარებლის გაჩერება ერთობ გაგრძელდა, იმიტომ რომ მეტომრეები, ეს ბოროტი და დაუძინებელი მტრები, რომელთა შორის იყო აგრეთვე ბევრისაგან ბევრი ძალა ქალთა სქესისა, თავაგდებულად ექცეოდენ რკინიგზის მართველობას. უშიშრად ეტანებოდენ ხელის მოსაკიდებლებს, დარბოდენ ვაგონის თუნუქით დახურულ სახურავებზე, ირეოდენ და ერთი ღრიანცელი ჰქონდათ ატეხილი. ყოველ მათგანს ხელში ეკავა კარგად ცნობილი მარილის ტომრები, რომლებიც თვითეულად ხუთ ფუთს მაინც მოიწონიდა. მაგრამ მეტომრეთა კაპიტალის ბოგინს დიდხანს არ დასცალდა, მხედრების ინიციატივამ, რომლებიც გამოვიდენ ვაგონებიდან, საშუალება მისცა რკინიგზის შებღალულ უფლებას სავსე გულით ამოესუნთქა. მხოლოდ

ქალთა სქესი დარჩა თავიანთი ტოპრაკებით ვაგონების მიდამოებში. სიბრალულის გამო, ზოგიერთი ქალები სათბურ ვაგონებში დაანაწილეს [illegible] ზოგი კი ძირს ჩამოყარეს. ჩვენ მეორე მწყობრის ვაგონშიც აღმოჩნდა [illegible] ქალიშვილი და, როცა პირველმა ზარმა დარეკა, მოვიდა ჩვენთან ერთი წარმოსადეგი ქალი ძუძუთა ბავშვით და გვითხრა:

— შემიშვით, ძვირფასო ყაზახებო, ღვთის გულისათვის. მთელი ამ ომის განმავლობაში გავძაღლდი ამ ვაგზლებში წანწალით ეს ძუძუთა ბავშვის პატრონი ქალი. ახლა ქმარი მინდა ვინახულო, მაგრამ რკინიგზის გამოისობით შეუძლებელი საქმე შეიქმნა ჩემთვის. ნუ თუ მე ეს არ დამიმსახურებია, საყვარელნო ყაზახებო?

— სხვათა შორის, დედაკაცო, ვეუბნები მე იმას, როგორიც იქნება მწყობრის თანხმობა, ისეთი გამოვა შენი ბედ-ილბალიც. მერე მე მწყობრს მივმართე და უმტკიცებ მათ რომ ეს წარმოსადეგი ქალი ქმრის სანახავად მიემგზავრება ადგილისამებრ და ბავშვიც ნამდვილად მასთან იმყოფება და როგორი იქნება თქვენი თანხმობა— შემოუშვა თუ არა?

— შემოუშვი, შემოუშვი,—ყვირიან ბიჭები.—ჩვენს მერე ქმარსაც არ ინდომებს.

— არა,—ვეუბნები მე ბიჭებს საკმაო ზრდილობით,—თავს გიკრავ შენ მწყობრო, დაბალ სალამს გაძლევ, მაგრამ მაკვირვებს თქვენგან ასეთი პირუტყვული გრძნობები. მოიგონეთ, მწყობრო, თქვენი წარსული ცხოვრება და ისიც როგორ იყავით თქვენ პატარეები თქვენ დედებთან და გამოვა ისეთი რამე, რომ არ ვარგა ასე ლაპარაკი.

და ყაზახებმა გადალაპარაკების შემდეგ: „რა ბიჭია ეს ბალმაშოვი!—ქალი ვაგონში შემოუშვეს და ისიც გვლოცავს და მოძვრება ვაგონში. და ყოველი მხედარი ჩემი სიმართლით აღფრთოვანებული, ეხმარება დედაკაცს და ერთი მეორეს აწყვეტინებენ:

— აი აქ დაჯექით, დედაკაცო, და ეალერსეთ თქვენ ბალლს, როგორც ეს საზოგადოდ დედების წესი არის. ნუ გეშინიათ, არავინ შეგეხებათ და ჩახვალთ თქვენ ქმართან ხელუხლებელი და უვნებელი, ისე როგორც ეს თქვენთვის არის სასურველი და ჩვენ კი იმედი გვაქვს თქვენი ნამუსის, რომ თქვენ აღგვიზრდით ჩვენ შემნაცვლებელს, ეს იმიტომ რომ ახალგაზდები ძრიელ ცოტა სჩანან. ბევრი ვარამი გადაგვიტანია ჩვენ, დედაკაცო, ბევრი გაჭირვება ნამდვილ სამსახურში და ისეც. სიმშილი წელში გვლუნავდა და სიცივე სულს გვაძრობდა. თქვენ კი, იჯექით აქ, დედაკაცო, და ეჭვს გარეშე...

ამასობაში მესამე ზარმაც დარეკა და მატარებელი დაიძრა. კარავივით გადაიშალა მშვენიერი ღამე და იმ კარავში იყო ვარსკვლავები. მხედრებს ყუბანის ღამე და ყუბანის მწვანე ვარსკვლავები მოაგონდათ. და ფიქრი გაფრინდა ფრინველივით. ბორბლები კი ხმაურობენ და ხმაურობენ...

კარგა ხნის შემდეგ, როცა ღამემ საგუშაგო დასტოვა და წითელმა მენალარეებმა წითელ ნალოებზე დაჰკრეს ვამთენიის განგაში; მაშინ როცა ყაზახებმა დაინახეს რომ მე მთელი ღამე თვალი არ წამიდვია, მოვიდენ ჩემთან.

— ბალმაშოვ,—მეუბნებიან ყაზახები,—რას მოგიწყენია და აბა ეძინებ?

— მდაბლად გიკრავთ თავს, თქვენ მხედრებო და ცოტაოდენ პატიებას მოვითხოვ თქვენგან, ოღონდ მომეცით საშუალება ორიოდე სიტყვა ვთხრა ამ მოქალაქეს.

და მთელი ტანით აკანკალებული ვდგები ჩემი საწოლიდან, რომლისგანაც ძილი ისე გაფრთხა, როგორც მგელი ავი ძალლების ხროვისაგან, უახლოვდები დედაკაცს, ვართმევ ხელში ბალღს, ჩვრებს ვახევ და ვხედავ რომ ბავშის მაგიერ ერთი ფუთი მარილი მაინც იქნება შეხვეული.

— აი საინტერესო ბალღი, რომელიც არც ძუძუს თხოულობს, არც ჩვრებს ასველებს და ხალხსაც ძილს არ უფრთხობს!..

— მაპატიეთ, საყვარელო ყაზახებო,—შემოიჭრა ჩვენ ლაპარაკში დედაკაცი სრულიად გულგრილად, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.—მე კი არ მოგატყუეთ, ჩემმა ანგაარებამ მოგატყუათ თქვენცა და მეც...

— ბალმაშოვი გაპატიებს თქვენ ანგაარებას,—უპასუხებ მე დედაკაცს.—ბალმაშოვს ეს ძვირი არ ულირს, ბალმაშოვმა, როგორც იყიდა ისევე გაყიდის. მაგრამ აბა მოპრუნდი, დედაკაცო, ყაზახებისაკენ და პირი უჩვენე მათ, რომელთაც შენ აგამაღლეს, როგორც მშრომელი დედა რესპუბლიკაში. შეხედე ამ ორ ქალიშვილს, რომლებიც სტირიან ახლა, როგორც ჩვენგან მთელი ღამის განმავლობაში ნაწამებნი, თვალი მიაპყარ ჩვენ ხორბლიან ყუბანის ცოლებს, რომელთაც წელი სწყდებათ ჯაფისაგან უკაცებოდ და გვერდში არ უდგასთ ქმრები, რომელნიც დაეხეტებიან მარტოდ მარტო ოჯახს დაშორებულნი და ბოროტ გარემოებათა გამო ძალას ხმაროებენ მათ ცხოვრებაში განვლილ ქალიშვილებზე, აუპატიურებენ მათ... შენ კი ხელი არ გახლეს, თუმცა შენ ამისი ღირსი იყავ... შეხედე ტკივილებით მგმინავ რუსეთს...

ის კი მეუბნება:

— მე ჩემი მარილი დავკარგე, მე ახლა სიმართლის არ მეშინია. თქვენ კი რუსეთი სრულებითაც არ გედარდებათ, თქვენ ურია ლენინსა და ტროცკის იცავთ.

— ურიებზე არაა ახლა ლაპარაკი, მავნე მოქალაქევ!.. ურიები აქ არაფერ შუაშია. სხვათა შორის, ლენინის შესახებ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ტროცკი ტამბოვის გუბერნატორის ნამდვილი პირწავარდნილი შვილია და, თუმცა სხვა წოდებისაა, მაგრამ მაინც მშრომელთა კლასს ამოუდგა გვერდში. როგორც კატორღაში ისე არიან ისინი,—და გვეზიდებიან ჩვენ ცხოვრების თავისუფლების გზისაკენ, და თქვენ კი, საძაგელო მოქალაქევ, უფრო მეტი კონტრ-რევოლიუციონერი ხართ, ვიდრე ის თეთრი გენერალი, რომელიც ათას ცხენზე ამხედრებულა და ბასრი მახვილით გვემუქრება ჩვენ. ის მოსჩანს ყველა სანიშნოებიდან, ის—თეთრი გენერალი და მშრომელს აქვს თავისი ფიქრი და ოცნება ფეხით გასრისოს ის, მიწასთან გაასწოროს, და თქვენ კი აუოაცხელო მოქალაქევ, თქვენი საინტერესო ბავშებით, რომელნიც პურს არ თხოულობენ,—თქვენ არ სჩანხართ, ხართ რწყილივით უჩინარნი და ხირხნით, ხირხნით, ხირხნით...

და მე, მართალი მოგახსენოთ, გადავაგდე ეს მოქალაქე გაქანებულ მატარებლიდან ლიანდაგის ფერდობზე და ის, როგორც ძლიერ [illegible] და წარმოსადეგი—ჩაჯდა ფერდობზე, მერე კაბა ააფართხუნა, წამოდგა [illegible] და წავიდა თავისი საზიზღარი გზით. როცა მე ეს უვნებელი დედაკაცი დავინახე და მის ირგელივ ვიხილე მთელი გამოუთქმელი რუსეთი, გლეხთა უთავთავო ველ-მინდვრები, ეს გალანძღული და ნამუს ახდილი ქალიშვილები და ამხანაგები, რომელნიც დაუღალავად დადიან ფრონტებზე, მიდიან მრავალად და ბრუნდება მხოლოდ რამდენიმე, მე მომინდა გადავმხტარიყავ ვაგონიდან და ან თავი მომეკლა, ან ის ჩამეძალლებინა. მაგრამ ყაზახებს შევეცოდე და ძითხრეს:

— ვინტი მაგას, ვინტი ესროლე.

მე კედლიდან ჩამოვიღე ჩემი ნაღდი ვინტი, ვესროლე და მით ჩამოვრეცხე სირცხვილი მშრომელ რუსეთსა და რესპუბლიკას.

და ჩვენ, მეორე მწყობრის მხედრები, ვფიცავთ თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგო რედაქტორო, და თქვენ წინაშე, ძვირფასო ამხანაგებო, რომლებიც რედაქციაში ხართ, რომ შეუბრალებლად მოვეპყრათ ყველა იმ მოღალატეებს, რომლებსაც ჩვენი ორმოში გადაგდება უნდათ, წყალი აღმა უნდათ ატარონ და სურთ რუსეთის მინდორ-ველები მოჰფინონ გვამებითა და გამხმარი ბალახით.

მეორე მწყობრის ყველა მხედრების მაგიერ—რევოლუციის ჯარისკაცი.

ნიკიტა ბალმაშოვი.

თარგმ. დემნა შენგელაიასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მხატვრობა
და მეთეორები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები

ნაწილი მეოთხე.

თავი მეთერთმეტე.

გაგრძელება*)

მთელის ქვეყნის ფილოსოფოსები რომ შეყრილიყვნენ, სანდროსათვის სჯა და მზრუნველობა გაეწიათ, ცდილიყვნენ იმის მწერლობის სახელის **ღირსეულად** უკვდავ ყოფნას, ვერც თითონ და ვერც სხვა ვინმე უკეთესათ ვერ მოაწყობდნენ, როგორც მოაწყო **იმის საკუთარმა ბედმა**...

იმის მშველელათ, ამისთანა გაჭირვებიდან გამომხსნელად, ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რაც მოხდა... ე. ი. ჯერ ალოშკას სიკვდილი, შემდეგ სანდროს **საგიჟეში** შესვლა, და **მეტყველების დაკარგვა.**

ნურავინ იუცხოვებს ამისთანა მსჯელობას: სანდროს ამ წუთისოფელში აღარა მოელოდა რა, გარდა ძრახვისა, სირცხვილისა... იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ტრაგედიის შემდეგ, რაც ალოშკასთან მოუხდა, ნიადაგი შეერყა... ამის გამო იმისი სიგიჟე შეიქმნა იმისი მწერლობის სახელის მხსნელათ და მეტყველების დაკარგვა ხომ, საიდუმლოების დარაჯად, მცველათ... (საბრალო ველარ აგონებდა ადამიანს ლაპარაკს, მხოლოდ ლუღლუღებდა...) დროთი სიკვდილიც ე. ი. იმ დროს, როდესაც საზოგადოების თვალში მაღალ საფეხურზე იდგა— ბედნიერებათ უნდა ჩაითვალოს...

თუ იმისი სიგიჟე საგულისხმოა, იმისი საავათმყოფოში ყოფნაც არ არის ინტერესს მოკლებული.

გაიხსენეთ: როდესაც მოჩხუბარიძემ თავისი უწესურის ქცევით მნახველების ყურადღება მიიპყრო—და ეს მოხდა სწორეთ ალოშკას სიკვდილის შემდეგ —და გიჟათ ცნობილი გახდა, მაშინ იმისი ნიჭის პატივის მცემელნი დიდ მწუხარებას მიეცნენ. ოჯახში სანდროს შენახვა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა და თავისუფლათ იმისი მიტოვებაც ხომ უხერხული იყო. საბრალო სანდროს განსა-

*) იხ. ჟურნალი „მნათობი", № 11—12 (19—20).

კუთრებული ყურადღება ეჭირებოდა, რადგანაც სულ მუდამ შეფოთვაში და ფა თურში იყო, და ეს ხომ ქონებრივ შეიწროებულთათვის—შეუძლებელი ხდებო და. შეშლილის ნათესავებმა და მეგობრებმა, ბევრის აწონ-დაწონის შემდეგ არ ჩიეს თფილისის საავათმყოფოში, სადაც სულით ავათმყოფობის გასაფილე ბა არის, იქ მოეთავსებინათ. მოჩხუბარიძეს ყველანი იცნობდნენ, პატივის მცე მელნი და თანამგრძნობი მრავალი გამოუჩნდნენ და ამათის ცდით და შემწეო ბით კარგათ მოაწყეს: ცალკე ოთახში მოათავსეს, თანამხლებელი— ლალა მიუჩინეს და ყველანაირი მოწყობილება ილონეს. ერთის სიტყვით იმის კარგათ ნენახვი სთვის ყველა ღონის-ძიება იხმარეს. აქ რამდენსამე ხანს დაჰყო, დამშვიდდა და უკეთობაც დაეტყო. მოჩხუბარიძის პატივის მცემელნი სიხარულს მიეცნენ და იმედოვნობდნენ, რომ კვლავ შესძლებს მწერლობას.

სწორეთ ამ დროს, სანდროს ნახევარ-დამ (დედით ერთნი იყვნენ და მა მით ცალ-ცალკე) ფურშანის ცოლმა (ზემოთაც ვახსენე ეს პატივცემული მანდი ლოსანი) გუბერნატორთან თხოვნა შეიტანა: „ჩემი ძმა ა. ყაზბეგი ცუდუბრა ლოთ საავადმყოფოში დამწყვდეულია და გთხოვთ ძმა დას დამიბრუნოთო“. გუბერნატორმა ექიმების კრება (კომისია) დანიშნა შესამოწმებლათ: მართლა გიჟია? ან რა მდგომარეობაში არის ავათმყოფი? ექიმების კომისიამ **გიჟათ არა სცნო** და მაშასადამე შესაძლებლათ დაინახა საავათმყოფოდან იმისი გამო წერა. ამგვარმა ექიმების აზრმა, აგრეთვე სანდროს დის განცხადებამ „რასაკვი ველია **ჭორაობას** დიდი მასალა მისცა: გახშირდა ლაპარაკი და იმ აზრის წარ მოდგენა, რომ იმისმა ბიძაშვილებმა მტრობით გიჟობა მოუგონეს, მხოლოთ იმისთვის, რომ სანდროს დიდის ქონებით ესარგებლნათ.

ვინც ჭეშმარიტათ გარემოებას აკვირდებოდა იმისთვის ცხადი იყო, რომ სანდრო სწორეთ შერყეული იყო, მაგრამ საავათმყოფოში დასვენებამ და იმ გარემოებათა მოსპობამ, რომელნიც ისე აშფოთებდა სანდროს, საკვირველად იმოქმედა: ნერვები დაუმშვიდა, დაისვენა და ამის გამო ნნახველებს კარგა მყო ფათ ეჩვენებოდა. იქნება, რომ კარგა ხანს დარჩენილიყო საავათმყოფოში, სადაც იმის შემაწუხებელი გარემოებანი სრულებით შორს იყვნენ და აღარა ფერი აგონებდა, მაშინ, შესაძლებელია, უკეთ შეიქნებოდა, მაგრამ როგორცვე საზოგადოებაში ტრიალი დაიწყო, არ გამოვიდა ბევრი ხანი, რომ თავისი ავა თმყოფობა უფრო გაუმძლავრდა.

საწყალი სანდრო! იმ დროს მე შორს ვსცხოვრობდი, ვერა ვხედავდი, მაგ რამ მესმოდა კი იმისი უნუგეშო მდგომარეობა: ისეც ბინძური, ტანისამოსის გაუფრთხილებელი, ეხლა თურმე, საცოდავი სანახავი იყო! რაც უნდა მიეტანათ, ჩაეცვათ,—ერთის დღის სამყოფი ხდებოდა, მეორე დღეს აღარა ჰქონდა!....

საბრალო სანდროს ქვეყანა და ქვეყნის საქმეები დავიწყებიყო და იმათ თან ყოველივე კავშირი გაეწყვიტა.... დაბადებიდგანვე ნებიერი, ფუფუნებაში გაზდილი, განთქმული მწერალი, „ხელი-ხელს საგოგმანებელი“ მოჩხუბარიძე—ეხ ლა უსაქმოთ, უსახლკაროთ, ქუჩის გლახაკივით დახეტიალებდა!....

— „პატრონი არავინა ჰყავს, ბიძაშვილებმა მაგის სიმდიდრე ხელთ იგდეს

და ავათმყოფს კი არა სწამლობენ, ყურს არ უგდებენ.... ვიეინასა ხვევდენ იმის მნახველები.

— „სილარიბით გაგიჟდა, ფუფუნებაში აღზრდილმა სილარიბე ვერ აიტანა"—მოუსვენრათ იმეორებდნენ, როგორც საზოგადოება, ისე სტამბა.

ან კი როგორ გაიმტყუვნება საზოგადოება: გულთმისანი არავინ იყო, რომ სხვა მხრით და სხვა თვალით შაეხედნა მოჩხუბარიძის მდგომარეობისათვის. ვის მოაგონდებოდა რომ ეჭვი შაეტანა, იმის ყალბ მდგომარეობაზე, როდესაც მკითხველი საზოგადოება პირველი დღიდანვე ე. ი. პირველი მოთხრობის დაბეჭდიდგანვე სრულიად დაიმონავა: იმის ღვთიურ ნიჭზე ვინ შეიტანდა ეჭვს, ვინ გაბედავდა ამისთანა ეჭვი საჯაროთ გამოეთქვა...

ადამიანი რომ დააკვირდეს მოჩხუბარიძის ბედ-იღბალსა, მართლა რომ გასაოცარია! რაც სანდროს თავისი სიკოცხლით, სიგიჟით, სიკვდილით—საზოგადოებაში ინტერესი აღუძრავს, ისეთი არც ერთის მწერლისაგან არ მოგვაგონდება. ბევრი ლარიბია, ბევრი ავათმყოფია, ბევრი ბედისაგან დაჩაგრულია და ამათ შორის უმრავლესი ღირსია თანაგრძობისა, პატივისცემისა, მაგრამ ეს ღირსეულნი სიბეჩავეში იხოცებიან, საზოგადოებამდინ იმათი გაჭირვების ხმა მიუწდომელი რჩება: იმათთვინ ზრუნვას არავინ ეწევა, ისინი შეუმჩნეველათ შორდებიან წუთისოფელს.... მოჩხუბარიძე სხვა იყო! იმისი მდგომარეობა საზოგადოებას დიდს ინტერესს უღვიძებდა და გულმოდგინეთ, გულ-ტკივნეულათ თანაუგრძნობდა. იმის მწერლობას და შემდეგ **მწერლის** მდგომარეობას სტამბა დიდის ყურადღებით ეპყრობოდა და გამწვავებული კვალ და კვალ მიზდევდა სამარის კარამდენ.

ალ. ყაზბეგს ზედმიწევნით არავინ იცნობდა, ოჯახის ანბავი დაახლოებით არავინ იცოდა და მოლაპარაკენი კი — რაც მოაგონდებოდათ ერთი-მეორეს გარდასცემდენ.

იმისი ნათესავები გაჭირვებაში იყვნენ ჩავარდნილნი: თავიანთი მახლობლის უბედურებაში ყოფნით ტანჯულნი, ხმა გაკმენდილები, სულგანაბულები ყურს უგდებდნენ ამოდენა მითქმა-მოთქმას....

მოჩხუბარიძე რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო უარესს მდგომარეობაში ვარდებოდა: სიყალბეები ჩაიდინა, სუდში იმაზე საქმეები სწარმოებდა და სხვა და სხვა უწესო საქმეებში შემჩნეული ან ციხეში უნდა ჩამჯდარიყო, ანაც საგიჟეში. პატრონებმა უკანასკნელი არჩიეს.

საავათმყოფოში მეორეთაც ჯარგათ მოაწყეს. ექიმები დიდის ყურადღებით ეჭცეოდნენ და როგორც წამლობით, ისე სხვაფრივაც, რაც კი იმათ ხელთ იყო, არაფერსა ზოგავდნენ. ყველაზე მეტი გულმტკივნეულობა გამოიჩინა ექიმმა გედევანიშვილმა: მე ჩემის თვალით როცა ვნახე ისიც საკმარისი საბუთია, რომა ვსთქვა ის **სანდროს ანებივრებდა.**

საწყალი ჩემი სანდრო! ბაშობაში იყო ჩავარდნილი: სრულებით უწყინარი და მორჩილი იყო და ამით დიდს სიბრალულს იწვევდა მნახველთაგან. სანდროს ცალკე ლალა ჰყვანდა მიჩენილა, რომელიც საკუთრათ იმას დასდევდა. ბაღში დასეირნობდა, პაპიროზს განუწყვეტლივ სწევდა, ყურძენს დიდის სია-

მოვნებითა სჭამდა და რაც შაეფერებოდა იმის მდგომარეობას — უკეთესათ მოწყობა შეუძლებელი იყო.

ექიმებს მოჩხუბარიძის მორჩენის იმედი არა ჰქონდათ, ოდენაც დაადგინეს ის დასკვნა რომ, თანდათანობითი სიდამბლე ემატებოდა (прогрессивный паралич). ექიმმა გედევანიშვილმა მითხრა: „იმედი, რომ მქონდეს მოჩხუბარიძის მორჩენისა, მე თითონვე თან ვეახლებოდი, წავიყვანდი სამხლეარგარეთ, სადაც საუკეთესოთ მოწყობილი სამკურნალოებია. საზოგადოება ისე ძვირათ აფასებს თავის საყვარელ მწერალს, რომ იმედი მაქვს აღმოუჩენდა ქონებრივ საშუალებას. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე ამგვარი ცდა, ფუჭი იქნება და ამის გამო უნდა დავკმაყოფილდეთ ეხლანდელს საშუალებას.“ რაც ხანი სანდრო საავათმყოფოში იყო, ეს პატივცემული ექიმი გულმტკივნეულათა ჰპატრონობდა: ეტლით ატარებდა, ემუსაიფებოდა, იმის ტანთსაცმელზედაც თვალყური ეჭირა. ერთის სიტყვით ისე ექცეოდა, როგორც ძვირფასს და საყვარელს მახლობელს. ქართველების საყვარელი მწერალი იმის მფარველობის ქვეშ იყო შეხიზნული და ეს პატივცემული გვამი პატრიოტულის გრძნობით გატაცებული ქართველი შრომობდა, რომ რამე შველა აღმოეჩინა თავის სამშობლო ლიტერატურის მშრომელისათვის!...

1893 წ. თბილისში ჩავედი. გულით და სულით მინდა სანდროს ნახვა, მაგრამ რადგანაც იმის ავადყოფობის სათაური ვიცოდი, ვერა ვბედავდი: ჩემის ნახვით წარსული გარემოებანი არ მოაგონდეს და ძველი იარები არ გაუახლდეს მეთქი. როგორც აქა-იქა მესმოდა, სანდრო სრულ გიჟათ იყო ცნობილი და მაშასადამე მეხსიერებას უნდა ელალატნა. გულმოდგინეთ ვიკვლევდი იმის გარემოებას, დაწვრილებით ვკითხულობდი ვინ როგორა ნახა და სხ. ყველასაგან ერთი და იგივე მესმოდა: უწყინარი გიჟიაო, ბავშურ მდგომარეობაში არის ჩავარდნილიო, ერთნაირათ მხიარულათ ეგებება ძველსა და ახალს ნაცნობებსაო, ყველას უალერსებსო და სხ. და სხ. ამ გვარი დამამშვიდებელი ნიმუშები მესმოდა. ამგვარმა ამბებმა გამამხნევეს და გამაბედინეს ნახვა ჩემის ყმაწვილობით მეგობრისა, ნებივრათ და აზიზათ გაზდილის ძმა-სანდროსი. მინდოდა მენახა ჩემგან **ბედნიერათ წოდებული** ძმა-კაცი, | რომლის ბედ-იღბალი ესე უცნაურათ დატრიალდა, მძვინვარე ქარიშხალს ზუზუნით მიჰქონდა და გამხეცებულს უნდა შაემუსრა... ვილტოდი იმისკენ, მინდოდა იმისი ნახვა... მაგრამ, მერიდებოდა: ვაი თუ მიცნოს,—ვფიქრობდი—ვაი თუ მოაგონდეს თავისი დამჩაგვრელი ფიქრები და უარესათ შეიქნეს... ამ ჩემს იდუმალს შიშს მოსაუბრენი გამიქარწყლებდნენ ხოლმე, მით რომ მიანბობდნენ იმის „უაზროთ ქცევას, ბაშურს მხიარულებას, ყველას ალერსს და სხ. „ამ წუთისოფლის აღარა გაეგება რა. იმას აღარც არა აწუხებს რა და სხ.“ მიანბობდნენ მნახველები. სხვათა შორის ისიც გარდმომცეს, რომ როდესაც „ქართველმა გამომცემელმა ამხანაგობამ“ იმისი თხუზულება გამოსცა, მაშინ სანდროს როგორც ავტორს, ხაერდის ყუთით, მშვენიერათ შეკაზმული წიგნები საავათმყოფოში მიართვეს, რასაკვირველია ეგონათ, რომ ამ გვარის პატივისცემით ასიამოვნებდნენ. ამ გარემოებამ უკულმართი შთაბეჭდილება მოახდინა იმაზე: დახედა თუ არა მაშინ-

ვე გაშმაგებულმა თავისი სურათი, თურმეა მოგლიჯა, დაგლიჯა და წიგნებითურთ გარდასტყორცნა, სხვისთვის გაუგებარს ენაზე ლულლული დაიწყო და ნიშნებით უსიამოვნება გამოაცხადა. ამ გვარს ქცევას, რასაკვირველია, ყველანი აწერდნენ **მხოლოთ** იმის შეშლას. ამავე დროს, საგულისხმოა, რომ ყველანაირი თანაგრძნობა ნივთიერი თუ სიტყვიერი—ძრიელ ასიამოვნებდა. მაგალითათ: ექიმის ცოლს სანდროს ცხვირსახოცზე იმის ნიშნები (მეტკები) შეეკერა. ამ ყურადღებას ისეთს ბაშურს აღტაცებაში მოეყვანა, რომ გულში თურმე იკრავდა, ჰკოცნიდა და მხიარულებას დიდის სიამოვნებით აჩვენებდა. ვინც რასმე მოუტანდა: ყურძენს (ძალიან უყვარდა), პაპიროზს თუ სხვა რასმე—ყველას სიამოვნებით მიიღებდა და შესანიშნავია, რომ თავის თხუზულების ნახვამ კი გააშმაგა...

რაც ღონე იყო, შიში დაესძლიე და გარდავსწყვიტე სანდრო ჩემის თვალით მენახა და იმისი მდგომარეობა სისწორით გამეგო. გავეშურე ექიმი გედევანოვის სახლისკენ. უთხარი სურვილი სანდროს ნახვისა და რასაკვირველია ჩემი ვინაობაც. ჩემი ცნობის მოყვარეობა სანდროს მდგომარეობის შესახებ, იმან დიდის თანაგრძნობით დააკმაყოფილა: დამიხატა რამდენიმე სიტყვით ავათმყოფის უნუგეშო მდგომარეობა და დამინიშნა საათი, როდესაც იმისივე საშუალებით შემეძლო ავადმყოფის ნახვა.

დანიშნულ დღეს კუკიისკენ გავეშურე, სადაც მტკვრის პირათ, ხულით ავათმყოფებისათვის ცალკე განყოფილება თავსდებოდა. საყოველთაოთ მრთელის ადამიანისათვის გიჟების ნახვა მეტათ უსიამოვნოა: დამჩაგვრელს შთაბეჭდილებას ახდენს, და თავის მახლობლის ნახვა ამ უკიდურესს მდგომარეობაში—აუტანელად ძნელია და შესაზარი... ეზოს კარები, რომ შევაღე ჩემს გულს ძაგძაგი გაჰქონდა. როდესაც დიდი და ცარიელი ეზო გავიარე აქეთ-იქით ვიხედებოდი: მეგონა სხვა და სხვა კუთხეებიდან შეშლილები გამოცვივდებიან და გამწეწენ მეთქი.... ძლივს მივაგენ იმ კარებს, რომელზედაც ზედ წარწერილი იყო „ექიმების მისაღები ოთახი". ჩემდა სამწუხაროთ კარის მცველი იქ არ დამხვდა და იმისთანა შიშმა ამიტანა, რომ კარების მიკარებას ვერა ვბედავდი, მით უფრო, რომ საიდღანაც უსწორ-მასწორო ხმაურობა მესმოდა. ნერვები მომეშალა, თავი ძლივს შევიკავე, კინალამ ღრიალი მოვრთე... რამდენიმე წუთი გაქვავებული ვიდეგ და შეშლილივით აქა-იქა ვიყურებოდი: ყველაფერს რასაც ვხედავდი და მესმოდა ეჭვის თვალით ეყურებოდი... ასე რომ როდესაც კარის მცველი გამოვიდა და ლაპარაკი დამიწყო, მე შევკრთი: ნეტა შეშლილი ხომ არ აოის მეთქი?!.. ასეთი მძიმე და საშინელი იყო ჩემთვის იმ კარების შელახვა, სადაც სანდრო მეგულებოდა...

როდესაც კარის მცველს გავაგებინე, რომ ექ. გედევანიშვილის ნახვა მინდა, მაშინ პასუხი მივიღე: „მობრძანდით!" და ექიმების ოთახის კარები შეაღო. ექიმმა გედევანიშვილმა იცოდა ვინც ვიყავ და რისთვის მივედი, თავის ამხანაგს გარდასცა ჩემი სურვილი, გამაცნო ექ. ორბელი და ეს ორივე ექიმები ზდილობიანათ გამიძღვნენ წინ და შემიყვანეს პატარა ფლიგელში, რომელიც შუა ბაღში იდგა და აივნით მტკვრისკენ გადაიყურებოდა.

შენობა თუმცა ძველი იყო, მაგრამ ალაგი მშვენიერი: ხეებით და ყვავილებით შემკობილი ადამიანის თვალს უალერსებდა. ჩემს გულს ეს [illegible] არ ახარებდა და ისე მივიზლაზნებოდი, როგორც განწირული [illegible] ბელისკენ... მე მივდიოდი იქით... მივდიოდი იქით, სადაც ჩემს თვალებს სანდრო გიჟათ უნდა ენახა და ეს წარმოდგენა გულს მიდუღებდა, ტანი მეშლებოდა...

შემიყვანეს ერთს პატარა ოთახში, რომლის გვერდით დიდი ოთახი მოჩანდა, შეღებილი ხის დივანი, ორიოდე ხისავე სკამები, ერთი მოხდილი ხის სტოლი—შეადგენდნენ ოთახის მორთულობას.

— აქ ცოტა შეისვენეთ—მითხრეს ექიმებმა. რამდენისამე წუთის შემდეგ გამოიყვანეს ჩემი საწყალი სანდრო... ის იყო გაბხდარი, თითქოს იმისი ლამაზი სახე წმინდა სანთლით ჩამოუსხიათო... მშვილდივით წარბებს შუა ჩასჭრიყო მწუხარების ღარი, რომელიც იმის სახის გამომეტყველებას ღრმა მწუხარებას და უბედურების ელფერს აძლევდა. იმისი ლამაზი წყლიანი თვალები აქა-იქ არა ბრიალებდნენ—ღრმათ უბედურის მაგრამ დინჯი ადამიანის მეტყველნი იყვნენ... მე როგორც ზემოთა ვსთქვი: მომზადებული ვიყავ, რომ **გიჟათ** მენახა, მაგრამ მე ის **უბედურათ, ღრმათ-შეწუხებულათ** წარმომიდგა!.. მე გულის ძგერით ვემზადებოდი გიჟის ნახვას. მაგრამ საკვირველება მოხდა: როგორცვე შეეხედე იმის ჟუჟუნა თვალებს, რომელნიც ჭკვიანათ, მაგრამ ღრმა მწუხარებით დაქანცულები გამოიყურებოდნენ,—მაშინვე შიში გაჰქრა და მარტო მწუხარებამ შემიპყრო...

იმისთანა ბედნიერი ადამიანი არა მგონიან მოიპოვებოდეს დედა-მიწის ზურგზე, რომელსაც არ ენახოს... პირადათ მე, ბევრი უბედური და უბედურება მინახავს, მაგრამ ყველა ნახულს და გაგონილს უბედურებას გადააჭარბა სანდროს თვალების უბედურმა გამომეტყველებამ!.. ჩემი კალამი სუსტია, ვერ ძალუძს გადმოცემა იმისთანა დიდი უბედურებისა, იმისთანა ღრმად ნაგრძნობის სულიერის შერყევისა, სასოწარკვეთილებისა—რომელსაც წარმოადგენდა სანდროს სახის მეტყველება. იმისი თვალები მეჩვენებოდნენ სარკეთ იმის სულიერის მდგომარეობისა, ვინც სანდროს მდგომარეობა იცოდა, პირველსავე შეხედვით გარდმოსცემდა ადამიანს, იმ ჯოჯოხეთს, რომელსაც ავათმყოფი ეხლა თუ არა, უწინ მაინცა გრძნობდა და ატანებდა.

თუ ამისთანა სახის მეტყველებას არავინ ამჩნევდა, მხოლოთ მისთვის, რომ იმისი დაწვრილებითი ანბავი არავინ იცოდა და ამის გამო არც არავინ აკვირდებოდა.

როგორცვე შევიყარენით, შევხედეთ ერთმანერთს, მე თვალები დამიბნელდა, მუხლი შომეკვეთა და იქვე სკამზე დავეშვი....

პირველს ბისალმების დროს სანდრომ გაშტერებით, ჩაციებით რამოდენიმე წუთი მიყურა, რალაცა დაილულლუღა ლ.....ი.....ლ..... და ისიც ჩემს პირდაპირ სკამზე ჩამოჯდა. ეს ორი ექიმი და იმისი მცველი—ლალა თავს გვადგნენ: ექიმები გაშტერებით შესცქეროდნენ, უნდოდათ გაეგოთ: მიცნო თუ არა?

ჩემდა უნებურათ თვალებიდან ნაკადულმა გადმომხეთქა და ერთს

წუთს უბე-კალთა სეტყვასავით მსხვილმა ცრემლმა გამიმსო, ხელის ხელსახოცი წამსვე დასველდა და ველარ მიშრობდა იმ მდინარეებს, რომელიც ნიაღვარივით მიდიოდა.. სულ შეხუთულს სათქმელათ სიტყვა ველარ მომეხერხებინა, სული ველარ მომედგა..... თვალებზე შლიაპა ჩამოფხატული ვიკრეფდი უკანასკნელ ძალ-ღონეს, რომ ქვითინი არ მომერთო და ამით სანდრო არ შემეწუხებინა. ცრემლიც არ მინდოდა მეჩვენებინა, თავი დაბლა ჩავღუნე მაგრამ რა მექნა, რომ ველარ ვიკავებდი..... სანდრო თურმე გაშტერებული მე მიყურებდა და თითონაც ტიროდა!.... ამ ორს ექიმს თავიანთ ავათმყოფის სულიერი მდგომარეობა საინტერესოთ მიაჩნდათ და ჩაციებით პირდაპირ შესცქეროდნენ: იკვლევდნენ იმის მეხსიერების რაოდენობას... რამოდენიმე წუთით ამისთანა მდგომარეობაში გავატარეთ.

— იცნო! ტირის!... შენიშნა ექ. ორბელმა.

ექ. გედევანოვი მომიახლოვდა და სისწრაფით ჩამომძახა:

— გაჩუმდით! გიცნოთ, თითონაცა ტირის!...

მე დიდად შევსწუხდი ჩემს სისუსტეზე, შევშფოთდი, რომ უნებურათ სანდრო შევაწუხე. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიფე, თვალები შევიმშრალე, წელში გავსწორდი, დაუახლოვდი სანდროს და ალერსი დავუწყე, ოღიოდე სიტყვა უთხარი, რომლითაც იმისი მეხსიერება მინდოდა გამეღვიძებინა: სტეფან-წმინდას წავიდეთ, ყაზბეგში წასვლა არ გინდა? პაპიროზი უთავაზე, ალერსით უსვამდი ხელს იმის ვამხდარს და ცრემლისაგან სველს ლოყებს. მინდოდა გულში ჩამეკრა, გარდამეკოცნა ძველებურათ, მაგრამ ვერ გავბედე!... არ ვიცოდი რამდენათ სასარგებლო იქნებოდა, ამ გვარი ალერსი იმის დაწყვეტილის, დასუსტებულის არსებისათვის. არ ვიცოდი როგორ მოექცეულიყავ, რომ სანდრო არ ამელელვებინა, შეწუხებული დამემშვიდებინა.... ამ გვარის შემთხვევისთვის ადამიანი ხომ ხელმიწვენით ვერ შაემხადება.

სტოლს აქეთ-იქით შემოუსხედით მე და სანდრო: ის გაჩქარებული პაპიროზსა სწევდა და თანაც რაღასაც ლუღლუღებდა, მე თავშეკავებული სმენათ და ცქერათ ვიყავ გარდაქცეული.

როდესაც ცოტათი გონს მოველი, მამაგონდა ჩვენი **საგანი**... მაშინ უფრო ყურადღებით მოვექეცი იმის ლუღლულსა. დადგა იმისთანა წამი, რომ ერთმანერთს ჩაციებით ყურების დროს, თითქოს მიეხვდით ერთმანერთის ფიქრებს: სანდროს ლაპარაკი სწადდა. რაღასაც იგონებდა, ცდილობდა რაღაცა ეთქვა, თვალს აღარ მაშორებდა. მეტის-მეტი ღრმად ნაგრძნობი უბედურება ეწერა იმის სახეს, იმის თვალებს თითქოს ცრემლის მაგივრათ ნაღველი უნდა ეწვიმათ, ისეთი გამოთქმა ჰქონდათ....

არა, ის შეშლილი არ იყო!.... ის იყო მხოლოთ სულით ავათმყოფი: მეტის-მეტათ შერყეოდა ტანჯული სხეული და სასიკვდილოთ იყო განწირული, მძიმე ავათმყოფი.... იმას თუმცა მეტყველება მოსპობიყო, მაგრამ გრძნობა კიდევა ჰქონდა.... თუმცა პირუტყვი, მაგრამ მგრძნობიერი ადამიანი სულით იტანჯებოდა!...

მე, იმის მაყურებელს ცრემლი არ შემწყვეტია; პაპიროზი კიდევ უთავაზე —ერთათ ერთი იმის ნუგეში—იმან ხარბათ დაუწყო წევა, [illegible] ლაპარაკობდა: იმის მოპირდაპირისთვის სმენა კი არ, მიხვედრა იყო საჭირო. [illegible] მოგეხსენებათ ქართული ანდაზა: „მუნჯის ენა დედამ იცისო!“ ეს ანდაზა ჩვენზე გამართლდა.

იმისი ლაპარაკი ჩემკენ იყო მომართული, თუმცა ხანდახან ექიმებისაკენაც მიიხედავდა ხოლმე. ამ დროს თვალები მალხაზათ დაურბოდა და თავის ღრმა მეტყველებას არა ჰკარგავდა. ჯერ ცრემლმორეული მზვიდათ ლულლუღებდა, შემდეგ კი უფრო და უფრო მეტის უნარით განაგრძობდა თავის საუბარს და პაპიროზის წევას უხშირებდა. ცოტა ხანს შემდეგ ლაპარაკითვე წამოდგა, ჩემთან ახლო მოვიდა, თავისებურათ მარჯვენა ჩოხის კალთა მარცხენა მხარეზე შეიგდო, თავს დამადგა და კვლავ ხელების შლით დამიწყო **საუბარი.** მარტო ერთი სიტყვა გამოსთქვა ყველასთვის გასაგონათ: „მე..... რა.... ვქნა.... იმის საუბარს მიხვედრა უნდოდა... მე გულმოდგინეთ იმის მიმიკას, მეტყველებას, იმის ხელების შლას შევაჩერდი....აკი მოგახსენეთ „მუნჯის ენა დედამ იცის“-მეთქი: მე მივხვდი! ის რაღაზედაც თავს იმართლებდა, „მე რა ვქნაო?“?!. დიახ, მივხვდი და ვიგრძენ საქმე რაშიც იყო!

ამ გვარად კარგა ხანს **მელაპარაკა** და შემდეგ ხელი აიქნია იმ სახით, რომ უნდა მეგულისხმა: ეჰ, დალოცვილო, რას გადამკიდებიხარო?!.. ამიქნია ხელი—ეჰო, დაშვებული ჩოხის კალთა (თავისი ტანისამოსითა ვნახე) კვლავ მხარზე შეიგდო, ახლა კი გამწყრალმა ერთი კიდევ მრისხანეთ შემომხედა და კარი გაიარა.... ლალა უკან გაჰყვა, მეკი დავრჩი ფიქრმოცული....

მე მივხვდი იმის ლაპარაკს, ფიქრები მერეოდა, ჩემ თავად ვიმეორებდი: მიცნო, **შეშლილი არ არის**..... მაგრამ ხმა მაღლა ამისთანა თამამის აზრის გამოთქმა, ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამ ჩვენმა მუნჯურმა **ლაპარაკმა** მნახველებისთვის უმნიშვნელოთ ჩაიარა: ისინი ვერ მიხვდნენ იმის ლაპარაკს, რადგანაც ამ გარემოებისა არაფერი იცოდნენ. ისინი ვერ მიხვდნენ ლაპარაკის კილოს, მუნჯურს მიმიკას, რადგანაც არ იცოდნენ **ჩვენ შორის რა ანბავი ტრიალებდა. მთაში მომხდარი ტრაღედიის ანბავი** სრულებით არავინ იცოდა და აბა ექიმები როგორ მიიტანდნენ რამე ეჭვს, გულთმისნები ხომ არ იყვნენ.... სანდროს შეშლას, **მხოლოთ** იმის სხვაფერივ ავათმყოფობას აწერდნენ (რის უარყოფა შეუძლებელია!) და თუ სხვა მიზეზებიც ერთობოდა იმის სნეულებას, ეს დაჩრდილული იყო, რადგანაც ექიმებს არც თითონ ავათმყოფისაგანა სმენია რამე და არც საზოგადოებაში ისმოდა ამ გვარი ეჭვები. რადგანაც სანდროს ვენერიული ავათმყოფობა ცნობილ იქმნა იმის სიგიჟის მიზეზათ, ამის გამო ყოველივე იმისი ქცევა, თუ მოქმედება, როგორც **შეშლილისა**, უყურადღებოდ რჩებოდა: როგორც მაგალითათ, თავისი თხზულების უარყოფა, გარდატყორცნა, თავისი პორტრეტის ამოგლეჯა, და აგრეთვე ეს ჩემთან საუბარიც.... საზოგადოთ ბევრი დიდ მნიშვნელოვანი გარემოებანი უყურადღებოთა რჩებოდნენ, უმნიშვნელოთა ჰქრებოდნენ..... თავზარდაცემული, ცრემლით დაქანცული, წამოვდექი სკამიდან და კარებს მივმართე. ექიმები ზდი-

ლობიანათ მიმიძღოდნენ და მცველებივით მელობებოდნენ, რომ სხვა შეშლილებს არ შეეფეთებიყავ, რომლებიც ბაღში და აივანში აქა-აქა [illegible] ოდიოდნენ. გამოსავალ კარებიდან რომ გამოვდიოდი მე კიდევ [illegible] მოვკარ ჩემს საბრალოს სანდროს, რომელიც დალონებული ბალკონის კუთხეში მიკუნჭულიყო; იმანაც შეგვაჩნია გაელის დროს და დალვრემილმა თვალი გამოგვადევნა. მე შორიდან უძღვენ უკანასკნელი სალამი ჩემს ყმაწვილობით მეგობარს, რომელსაც ვგრძნობდი რომ ველარა ვნახავდი....

ეს იყო ჩემი უკანასკნელი გამოსალმება!... ამის შემდეგ აღარა მღირსებია იმისი ლამაზი ჟღჟენა თვალების ნახვა...

— როგორ გეჩვენათ თქვენი ძმა? ძალიან გამოცვლილა? რამდენი ხანია, რაც არ გინახავს? და კიდევ სხვა და სხვა კითხვებით მომმართეს ექიმებმა. ნახულის სურათით იმათაც შეწუხება ეტყობოდათ.

მე გარინდულივით ვიყავ: არ მახსოვს რა პასუხებს ვაძლევდი იმათ კითხვებზე, დარწმუნებული კი ვარ, რომ ვერც ერთ იმათ კითხვაზე, ჯეროვანი პასუხი ვერ მივეცი და იმათი ცნობის მოყვარეობა ვერ დავაკმაყოფილე: ჰოსა და არას გავსძახდი, უალაგოთ და უსწორმასწოროთ.

ექ. ორბელი გამოგვეთხოვა, ექ. გედევანიშვილის გზა კი ჩემს გზას უერთდებოდა და რამოდენიმე მანძილი ერთად გავიარეთ. მე დაფიქრებული მივდიოდი: ჩემგან დატოვებული ავათმყოფი თვალწინ მელანდებოდა, იმისი ქცევა-ლულლული-ყურებში ბიდგა, იმის ნახვით მოხდარნი შთაბეჭდილებანი ჯერ კიდევ კარგათ ვერ გამომერკვია.... მხოლოთ სიბრალულით და მწუხარებით ვიყავ მოცული.

— წარმოიდგინეთ—მითხრა გედევანიშვილმა—გამომძიებელმა აზრი შეიტანა, **რომ შეშლილი არ არისო**! მხოლოდ ნილაბ ჩამოფარებულია და გვატყუებსო.

მე შევკრთი, გაკვირვებით შევხედე.

— ვინ გამომძიებელმა?... ვინ იყო მაგისი მთქმელი?!...

— როგორც გეტყობათ თქვენ არც კი გცოდნიათ, რომ თქვენს ბიძაშვილზე გამოძიება არის დანიშნული? საქმე ეხლაც სწარმოებს, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენება ჩამოართვეს, მაშინ კიდევ ლაპარაკი შაეძლო. მაშ არ იცოდით?!

— რის გამოძიება? რა გამოძიება სწარმოებს? ვინ სთქვა შეშლილი არ არისო?!.... ვიმეორებდი მე და ჩემს თავს თითქოს ბურანში ვგრძნობდი.

ექიმმა შეწუხება რომ შემატყო, თითქოს ჩემს დასაბშვიდებლათ უფრო ლმობიერის კილოთი განაგრძო ლაპარაკი:

— ამისთანა პატივსაცემი კაცი, როგორც არის მოჩხუბარიძე, ხუთი მანეთის სიყალბის ჩადენისთვის სამართალში არის მიცემული და გამოძიება სწარმოებს!.. იმის მიუხედავათ, რომ საავათმყოფოში შეშლილათ არის შერიცხული, მაინც გამომძიებელმა ის აზრი შეიტანა, რომ დამნაშავე თავს იავათმყოფებსო!.. ასეთი დასკვნა გამომძიებელმა მაშინ მოახდინა, როდესაც ჩვენების ჩამორთმევის დროს მოჩხუბარიძემ გამომძიებელს ენა გამოუყო. „გამაჯავრა, მასხარათ ამიგდოვო!“ ეს დაიხვია ხელზე. ჩვენ რომელი ექიმებიცა ვსწამლობთ ყოვლის ღო-

ნის ძიებითა ვსცდილობთ, რომ თქვენს ბიძაშვილს ყველა ამ გვარი უსიამოვნოება ავაცდინოთ; ვსცდილობთ, რომ საქმე მოსპონ, რადგანაც ჩვენების ჩამორთმევისთვის, რომ მოდიან, ავათმყოფს უსიამოვნოებას აყენებენ, აწუხებენ. გამამძიებელი კი ჯიუტობს: არა სჯერა ყაზბეგის შეშლა, პროკურორთან თხოვნა შეიტანა: სხვა ექიმებმა შეამოწმონ! და მასთან დაჟინებითა თხოულობს, რომ ძოჩხუბარიძე სუდში გამოცხადდეს ჩვენების ჩამოსართმევად. ჩვენ ექიმები კი ამის ნებას არ ვაძლევთ, არ ვყაბულდებით. ვნახოთ როგორ დაბოლოვდება საქმე.

მე გაწტერებული ყურს უგდებდი და მიკვირდა ის გარემოება, რომ გარეშე პირმაც ჩემგან თქმული სიტყვები წარმოსთქვა: **შეშლილი არ არისო!** მიკვირდა, რომ ჩემი დაფარული აზრი გარეშე პირმა ხმა მაღლა აღიარა!.. ის რაც მე სათქმელად ვერ გავბედე, ამისთანა თავხედი აზრი როგორცვე წარმომიდგა გულშივე ჩავკალ მყისვე, იდუმალ ჩავყლაპე. სხვამ კი თამამად საჯაროთ აღიარა...

სანდროს ნახვამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე დღე სულ ამ ვალწინ მებლანდებოდა, ჩემი ფიქრი და აზრი სულ იმასთან ტრიალებდა. სულ იმის მოსაზრებაში ვიყავ და აწონ-დაწონაში, რომ ამეხსნა იმისი მიმიკა, ექსტიკულიაცია, სახის გამომეტყველება—მისთვის, რომ მიმეხვდარიყავ თუ როგორი-ღა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნახვამ. შემდეგ ფიქრისა და აწონ-დაწონისა აი რა აზრს დავადეგ: **სანდრომ მიცნო, პირველში ჩემი ნახვა იამა. ჩემს ტირილზედ იმანაც იტირა.** როდესაც გაახსენდა (შეიძლება მკრთლათ) ჩვენი სადაო საგანი, მაშინ ჩემი ცრემლი იმან საყვედურათ მიიღო, თავის მართლება დაიწყო, და შემდეგ გამიჯავრდა კიდეც: „ეჰ, შენცა! რას ჩამციებიხარო?“ და წყრომით კარი გაიარა.

რასაკვირველია ჩემი ამგვარი სჯა ბევრს გაუკვირდება, თამაშობაში ჩამომართმევს, ზოგმა იქნება სასაცილოთაც ამიგდოს, მაგრამ ყველა გამგონს ნება აქვს, როგორიც ნებავს ისეთი დასკვნა მოახდინოს. მე იმას მოგახსენებთ რომ, როცა ვნახე, რაც ნახვის დროს **შემომესმა**, სარწმუნოთ მიმაჩნია, რომ იმ ექიმებს, რომლებიც ჩვენი შეყრის დროს თავს გვადგნენ, სცოდნიყოთ ჩემი და სანდროს სადაო **საგანი**, მაშინ ისინიც მიხვდებოდნენ და დამეთანხმებოდნენ. განვიმეორებ იმას, რაც თავიდანვე ვსთქვი: **სანდრო ბედნიერი კაცი იყო!** იმას ენა რომ არ დასჩლუნგებიყო, მაშინ ჩვენი შეყრის დროს მაინც, თავის ავათმყოფობის სათაურს, თითონვე გვეტყოდა და დამსწრენი თავიანთის ყურით გაიგონებდნენ იმას, რასაც ეხლა ექვის თვალით უყურებენ. სანდრო იმ დროს იმისთანა ენისაგან გამოუთქმელს უბედურს მდგომარეობაში იყო, რომ აღარავის და აღარაფერს მოქრიდებოდა და ხელებით ლაპარაკის მაგივრათ, იქნება უსწორ-მასწოროთ, მაგრამ მაინც—ენით მოგვითხრობდა იმას, რასაც ჩვენ აზრით უნდა მიეგებვდარიყავით. იმისი **ბედი** ის იყო, რომ ენით ლაპარაკი აღარ შეეძლო და მაშასადამე იმისი საიდუმლოების დარაჯი სიმუნჯე შეიქნა. იმას რომ ენა მეტყველი ჰქონიყო, მაშინ ჩემთან ლაპარაკის საგანი გამოცანათ აღარ ჩაითვლებოდა. ეხლა ზოგი დამიჯერებს ამ აზრის წარმოთქმას და ზოგი

არა, მე კი ღრმად მწამს ჩემგან მიღებულის შთაბეჭდილების სინამდვილე. მე არ მინდა ვსთქა, რომ ამ ლაპარაკის დროს ის სრულ ჭკუაზე ყოფილ, არა! მე მხოლოდ მინდა ვსთქვა, რომ იმის გარემოებაში მყოფ[illegible] ჭკუაზე უნდა შეშლილიყო, რადგანაც იმის მდგომარეობა აუტანელი გახდა ანუ თავი უნდა მოეკლა: აბა გარდაიკითხეთ და დააკვირდით ამ „მონოლოგს ა. მ." რომელიც სანდროს ხელით არის დაწერილი და მშვენივრად გვიხატავს იმის სულიერ მდგომარეობას:

„მონოლოგი ა. მ."

„ოხ ღმერთო! იმისთვის გავატარე ჩემი ბაშობა იმ ყოფაში, რომ ეს დღე მენახა?!.. გამოველ პირველის გარყვნილობიდგან, ძლივ დავდექ გზაზედ და როდესაც ბედმა ძლივს გამიღიმა, როდესაც ხელითა ესწვდებოდი უკანასკნელ მიზანს, ერთბაშად ბედმა მიღალატა!.. ყველას სამასხარო, ყველას სასაცილო უნდა დავრჩე... ყველამ თითით უნდა აჩვენონ ჩემზედ ყველამ, იმანაც კი ვისთანაც მე ისე მაღლა ვდგევარ როგორც ის გორები წვრილ კენჭებთან... უნდა დაჰბეროს ნიავმა და გააქროს სანთელი... (აიღებს დამბაჩას) ჩემო მასახელებელო ჩემო ჭკუავ, ჩემო გონებავ... განა შენა ხარ ჩემი სატანჯველი და მწუხარების მომსპობელი, განა შენ გააჩუმებ უსამართლო საუბარს შეუბრალებელი ხალხისას. განა, განა? მიპასუხე".

ჩემი რვეულები აჭრელებული იყო სანდროს სხვა და სხვა დროის ამბებით, როდესაც იმისავე აწეწილს ხელნაწერებში წავაწყდი აე მოყვანილს: „მონოლოგს ა. მ." ამის წამკითხველი დარწმუნდება, რომ ჩემგან აწერილი სანდროს სულიერი მდგომარეობა—ნამდვილია! ზემოთ ვსთქვი: სანდროს ამ ქვეყნიერათ სიცოცხვილისა და ძრახვის შეტი აღარა მოელოდა-მეთქი. აბა წაიკითხეთ, თითონაც ამისი შინებია! იმის თავმოყვარეობა ისე გამწვავებულა, რომ თავი უნდა მოეკლა და რადგანაც ეს ვერ მოახერხა—გაგიჟდა!.. მაშასადამე ეს ბარათი ასაბუთებს ჩემგან გამოუთქმელს აზრებს.

სანდრო ამ ბარათით თითონ აღიარებს თავის სულიერ მდგომარეობას და ჩვენ ნება არა გვაქვს სიმართლეთ ეს არ მივიღოთ. ეს ბარათი, რომ იმის ხელთ არის დაწერილი, ესეც სინამდვილეა და ვისაცა სურს შემოწმება იმან მონახოს წ. ქ. საზოგადოებაში იმის ხელნაწერები და თითონვე დარწმუნდება. „მონოლოგთან" სათაური ასოები ა. მ. ხომ ნიშნავს!: ალექსანდრე მიხეილის-ძეს.

თავი მეთოთხმეტე

ჩემს რვეულებს ეთავევ! ჩემი აზრი და რწმენა ღრმათ გამოკვეულია, მაგრამ რა საბუთებსაც კიდევ შემთხვევით წავაწყდები, მინდა აქ მოუყარო თავი.

შემხდა „ივერიის" ნომერი (იხ. „ივერია" 1894 წ. № 246) რომლის შინაარსმა გამაკვირვა! ამ ნომერში ამოვიკითხე ფრიად საგულისხმო, მშვენივრათ დამასაბუთებელი ჩემგან გამოუთქმულის აზრებისა და ფაქტებისა! მე ვთქვი: სანდროს სიგიჟის სათაურს ვერავინ მიხვდა და ამის გამო ყველანაირს იმის ქცევას **მხოლოთ** სიგიჟეს აწერდნენ მეთქი. ეს იყო მიზეზი, რომ მრავალი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმო ფაქტი ჩვენ თვალწინ მომხდარი, უმნიშვნელოთ და უაზროთ იკარგებოდა.

მოჩხუბარიძის სიკვდილის შემდეგ კარგ ხანს, სხვა და სხვა პირების მოგონებანი იბეჭდებოდნენ, სხვათაშორის „ივერიის" ფურცლებზე დასტამბულია ბატ. იოსებ ივანიშვილის მოგონებაც. როგორც ეტყობა, სანდროს მწერლობის დროს კარგათ იცნობდა: მოგონება სავსეა სანდროსადმი თანაგრძნობითა. ბ. ივანიშვილი გულუბრყვილოთ მოგვითხრობს დიდ მნიშვნელოვანს, საგულისხმო ანბავს, რომელსაც მე გვერდს ვერ აუქცევ: მთელს სტატიას თუ არა ზოგს ალაგს მაინც ამოვსწერ.

აი რას გვამხელს ბატ. ივანიშვილი:

„1838 წ. (მაშასადამე იმის ავათმყოფობის პირველ ხანებში. ამავე წელს ალოშკაც მოკლეს. როდესაც ლაპარაკი შეიძლო). მე და ჩემმა ამხანაგებმა სანდრო საავადმყოფოში ვნახეთ და ველაპარაკეთ. მისალმების დროს ყველანი სათითაოთ გარდაგვკოცნა. მთლათ გაჭალარებული იყო. იქვე საგარძელში ერთი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი იწვა და ბოდავდა.

— ის ვინ არის?—ვკითხე.

— აი ისა?—გაიშვირა თითი იმ ავათმყოფისაკენ.

— ჰო.

— სულელია! სულ ერთიანათ ბოდავს, ტირის. რა ატირებს? აი ის რუსი, ხომ ხედავთ?—დაგვანახა მსახური.—ეგენი ჩვენი ბატონები არიან. ეგ სუყველასა სცემს ხოლმე.

— სხვა, როგორა ხარ სანდრო?

— კარგათ.

— თუთუნი არ გინდა?

— თუთუნი მინდა.

— სხვა?

— სხვაცა...

— სხვა რაღა?

— არაფერი.

რამდენისამე სტრიქონის შემდეგ განაგრძობს:

— შენი წიგნები რომ დაიბეჭდა?

— წიგნები?

— ჰო!

— სად არი?

— გინდა?

სანდრომ ხმა აღარ ამოიღო და საოცრათ დაგვა'მტერდა სუყველას.

რადგანაც იმის სიამოვნება მინდოდა, კვლავ მეორე კვირასაც წაველ განსვენებულის სანახავათ და სხვათა შორის „ელგუჯაც" მიუტანე, სადაც იმისი სურათიც იყო.

— ამას იცნობ?—ვაჩვენე თავისი სურათი.

— ეგ რა არის?—დიდხანს დააცქერდა სურათს, საოცრათ დაიწყო თვა-

ლების ბრიალი, განრისხებული ეცა თავის სურათს, ამოგლიჯა ტაბლიდგან და დიდხანს ხელში სრესდა.

ჭეშმარიტება მრწამს! ეს უცხო პირნი, რომელიც თავის დროზე არ მინახავს, რომელმაც არაფერი ჩვენი გარემოება არ იცის ასე მშვენივრად ასაბუთებს, ჩემგან შიშით და კრძალვით წარმოთქმულს აზრს!..

აბა თქვენც დააკვირდით სანდროს საქციელს: იმ დროს, როდესაც მნახველებს სანდრო დამშვიდებით ელაპარაკება, ყველა კითხვაზე შესაფერს პასუხს აძლევს, როგორცვე მწერლობა მოაგონეს, იმის ავტორობის სახელს შაეხნენ—მყისვე იცვლება: **მაშინვე გაშტერებით, თვალების ბრიალით, ყველას სათითაოდ დააცქერდა, გაშმაგებით, „ელგუჯადან“ თავისი პორტრეტი ამოგლიჯა და განრისხებულმა ხელში სრესა დაუწყო!..**

ამას რაღა ლაპარაკი ეჭვირება, ცხადზე უცხადესია, რომ ამ მოქმედებით **თავისი ავტორობა უარ ჰყო!** თითონვე აღიარა თავისი მოქმედებით, რომ სათაური იმისი სიგიჟისა, საგიჟეთში ყოფნისა—სწორეთ იმ თხუზულებებშია, მაგრამ ჩვენ ყველანი აღარ ვეძებდით სათაურს, რადგანაც დავრწმუნდით, რომ ვენერიული ავათმყოფობით შეპყრობილი, უთუოთ იმითივე უნდა გაგიჟებულიყო და სხვას აღარას დავეძებდით.

ეს ფაქტი მჭერმეტყველობს! ეს სწორეთ მაშინ მოხდა, როდესაც ალოშკასთან შეტაკების შემდეგ, დიმიტრის ხელწერილების ანბავი ამოტივტივდა (ალოშკა მოჰკლეს 1888 წ. 30-ს ივლისს, სანდრო მაშინ ყაზბეგში იყო; და ამ მკვლელობის შემდეგ, სანდრო შეიშალა და საგიჟეთში შეიყვანეს. ბატ. ივანიშვილიც სწორეთ ამავე 1888 წ. ანბავს მოგვითხრობს).

განვიმეორებ, რომ სანდროს ყველანაირს ქცევას სიგიჟეს აწერდნენ და ეს ორჯელ უარყოფაც თავისი თხუზულებისა—სიგიჟეს მიაწერეს. ეხლა, ნუ თუ ცხადი არ არის?.. კიდევ დამტკიცება ეჭვირება?..

კიდევ ვინ იცის რამდენჯერ მოხდა ამ გვარი გამამხილებელი სურათები, მაგრამ უცოდინარობის გამო, უყურადღებოთა რჩებოდა... ვინ იცის იმის „მონოლოგის“-თანა მარგალიტები რამდენი იყო დაბნეული იმის ხელთნაწერებში, მაგრამ დრომ და უცოდინარობამ აჰგავა!..

აქ, მეტი არ იქნება, გადმოგცეთ „ცნობის ფურცელში“ დასტამბული ჩვენის მწერლის ან. ფურცელაძის შენიშვნა სანდროს შესახებ. (იხ. „ცნობის ფურცელი“ 1897 წ. № 272).

— ალექსანდრე ყაზბეგის წერილის გამო, ჩვენ მივიღეთ პატივცემულ ანტონ ფურცელაძისაგან შემდეგი წერილი:—

„ვგზავნი საცოდავ უდროოდ დაკარგულ ალექსანდრე ყაზბეგის წერილს ჩემთან მოწერილს საგიჟეთიდან. ჟამთა ვითარება მიდის და რაც-კი მოგვაგონებს ამ ჩვენის პირველის და ნამდვილის ნიჭიერის ბელეტრისტის ცხოვრებას და საქმეებს, უნდა დავიცვათ. შეიძლება კიდევაც შემენახა ეს წიგნი და არ დამებეჭდა, მაგრამ მელანი ხუნდება და გადადის, შეიძლება თვით წერილი სულაც დაიკარგოს; ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ ეხლავე დაიბეჭდოს. იქნება თქვენ კარგად ვერ გაარჩიოთ ხელი და ამიტომ აქ კოპიოსაც მოვიყვან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ძმაო ანტონ! ბოლნი (ბოლნიცაში) ჩავარდი,
კარგათმყოფი და მარწმუნებენ გიჟი ხარო!
ვეფიცები თქვენზედ ჭკვიანი ვარ მეთქი
და არ მიჯერებენ. ერ (ერთი) შემო (ჩემო)
ათხარ (უთხარ) და დარწმუნ არა თუ ვარ,
გაგიჟებული არამედ ისინი გაგიჟებულან, ვინც
მე მხედავათ (მხედავენ გიჟათ), ხუმრობა გაშვებით
შენი ნახვა ჩემთის ძალიან საჭიროა და დამაგა
სთანავე (მაგასთანავე) ფულსაც გარებული
(გაჭირვებული) ვარ და მაქვს რამ ვაქვს (და თუ
რომ გაქვს). შენ მუსულიყავ (შენ რომ მოსულიყავ)
ჯაბიდგან (ჯოჯოხეთიდგან) დავიხსნებდი.
შენი მოხე (როხევე)
მოჩხუბრიძ (მოჩხუბარიძე)
ნემს მეგობარს ბ. ანტონ ფურცელაძეს!“

— ნამდვილი წერილიც შეინახეთ, ნუ დაჰკარგავთ. გარწმუნებთ, ამ კაცის ცხოვრება, ვითარება და ნიჭი ბევრს რასმე საგულისხმიეროს ეუბნება და ეტყვის ჩვენს საზოგადოებას. ამიტომ ყველა დოკუმენტი მის შესახებ უნდა დაიცვას.“

თავი მეცამეტე

10-ს დეკემბერს 1893 წ. ექიმი გედევანიშვილისაგან ახალციხეში დეპეშა მივიღე: სანდრო ე. ი. მწერალი მოჩხუბარიძე გარდაიცვალაო...

თუმცა სამის თვის წინათ, საბრალო სანდრო სასიკვდილოთ განწირული ვნახე, მაგრამ მაინც გასაგონათ საზარელი ხმა იყო!.. აჰა, ამასაც მოვესწარ: ჩემი სანდროს ძეობა თურაშეულის ვაშლით გადავიხადე და ეხლა თბილისისაკენ მივეშურებოდი იმის ქელეხში დასასწრებლად...

დაუყოვნებლად წავედი მშვიდობა შეთქვა სანდროს ტანჯული გვამისათვის...

როგორც დაბადების დღე სანდროსი, ისე დამარხვის დღეც იმითი არის შესანიშნავი, რომ ორივე დღესასწაულებრ იყო გარდახდილი: დაბადების დღე ვიდღესასწაულეთ ს. სტეფანწმინდას, სადაც ზეიმი გამოითქვა მთის ხალხის ფერხულით, სიმღერით და თამაშობით: საზოგადოთ მხიარულებას შინაური ხასიათი ჰქონდა, საოჯახო ელფერი ედო. მეორე დღესასწაული კი ჩვენს დედა ქალაქში სათემოთ მოხდა: ქართველობამ საპატიო დღესასწაულში თავი მოიყარა და მნახველებზე დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა.

მოჩხუბარიძის დამარხვას მრავალნი დავესწარით: დიდებით და პატივით გაასვენეს იმისი გვამი თბილისიდან სტეფანწმინდას—დასაკრძალავათ.

დანიშნულ დღეს მე დილითვე გავეშურე საავათმყოფოს პატარა ეკლესიაში, სადაც მოჩხუბარიძის გვამი ესვენა და იქიდან ქაშვეთის ეკლესიაში უნდა გადაესვენებინათ ანდერძის ასაგებათ. თავის მეგობრებს, ის იყო მოერთოთ, საბ-

რალო სანდრო, საუკუნოთ გასამგზავრებლათ: ლურჯის სადა ჩორბარ, თეთრის ახალუხით, წული პაჭიჭით,—ტყვიის უშველებელ კუბოში შვენოდა...

აჰა, შესრულდა ღვთისა და ბუნების ნება: 44—45 წ. ვაკაცმა საჩქაროთ, ბორძიკით გაირბინა თავისი ბუჩქნარიანი გზა და ეხლა დაქანცული, დატანჯული უნდა წარსდგეს თავის წინაპართა წინაშე. ეს საკვირველი კაცი ცოცხალი, ცოცხლებს არ ნებდებოდა; ყველას ეგონა რომ იცნობდნენ, მაგრამ ვერ სცნეს... ეხლა კი გულ-ხელ დაკრეფილი შენდობას ითხოვდა... ჩვენც უნდა მიუტეოთ ის, რაც თითონ თავის თავს არ მიუტევა...

ჯერ ადრე იყო, ხალხს თავი არ მოეყარნა და ეს გარემოება ხელს მიწყობდა ჩემის მწუხარებისათვის ნება მიმეცა ცრემლათ დაღვრილიყო. მუხლმოდრეკილი დიდხანს ვიდექი იმის კუბოს წინ და მდუღარებას ვაფრქვევდი... დიდ ხანს ჩავყურებდი იმის უსიცოცხლო სახეს და მწარის გრძნობით ჩავჩურჩულებდი: ბევრ რასმეს ვკითხავდი. უანბობდი, ვაბარებდი დიმიტრის და ალოშკასთან... მაგრამ იმისი ეუეუნა თვალები სამუდამოთ დახუჭულიყვნენ და ალარას მომითხოვდნენ... მარტო იმისი მაღალი შუბლი, იმისი შვილდივით წარბები რომლებს შუაც ღრმა მწუხარების ღარი ისევ ისე ჩაჭედილი ჰქონდა... მარტო ეს გარეგანი ნიშანი ღა მიმტკიცებდა იმის უკანსკნელის წამების ღრმათ ნაგრძნობ უბედურებას...

მწარე იყო ჩემთვის ეს წუთები და მხოლოთ ცრემლი, ცრემლი და ქვითინი მიოხებდა გულსა. საუკუნოთ იყოს განსვენება შენი, ჩემო ტანჯულო ძმაო სანდრო! შენ სამუდამოთ წარხვედი ჩვენგან, მაგრამ შენი საქმეები, შენი სახელი კი საუკუნოთ უკვდავ ჰყავ, მთელს საქართველოში.

მოჩხუბარიძის გვამი თფილისში 10 დღე ესვენა, (რადგანაც სტეფანწმინდას წასვენების ნებართვა, რალაკ მიზეზების გამო დაგვიანდა.) ამ დროს ქართულ-რუსულ გაზეთების სტრიქონებზე იმაზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა: სხვა და სხვა ალაგებიდან სამძიმრის დეპეშები მოდიოდა, იმისი ცხოვრების ნიმუშსურათები იბეჭდებოდა. ჟურნალ-გაზეთები დიდის ინტერესით იძიებდნენ: თუ მოჩხუბარიძე რათა და რისთვის შეიშალაო?.. პასუხები და ახსნა ამ კითხვებისა, ერთსა და იმავე აზრზე ტრიალებდა: სიღარიბე ვერ აიტანა ფუფუნებაში გაზრდილმა და ამას კიდევ სხვა მიზეზებსაც ურთობდნენ, რომელიც ყმაწვილობის დროს თავდაუჭერლობას მიეწერებოდა...

თუმცა მოჩხუბარიძის გვამი თბილისში ესვენა, მაგრამ მთელი საქართველო გულმხურვალეთა გლოვობდა: ყველა ქალაქებში (ზოგიერთ სოფლებშიც) პანაშვიდები იხდებოდა. დეპუტაციები, დაფნის გვირგვინები მრავლათ მოდიოდა, პატივისმცემელნი მიისწრაფოდნენ, რათა უკანასკნელი მშვიდობა ეთქვათ ძვირფასის მწერლის გვამისთვის. ამასთან, ვისაც რა მოაგონდებოდა სანდროს მოგონილი და ნანახი—ყველანი თავის მოვალეობათა სთვლიდნენ დაესტამბათ და ამ საშუალებით ყველასათვის გაეზიარებინათ.

19-ს დეკემბერს 1893 წ. საავათმყოფოს პატარა ეკლესიისაკენ მიეშურებოდნენ დიდი და პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, მასწავლებელი და მოსწავლე. ერთის სიტყვით ყველა წრის და წოდების ქართველობა, ქალი და კაცი თავს

იყრიდნენ მოჩხუბარიძის კუბოსთან; განურჩევლათ სქესისა და წოდებისა ყველანი ცდილობდნენ სიტყვით ანუ საქმით მონაწილეობა მიეღოთ ამ საამგლოვიარო ლიტანიაში. ეს ამოდენა ზღვა-ხალხი სულ ერთის გრძნობით იყო გამსჭვალულნი, ერთის ოჯახისშვილებივით გამოიყურებოდნენ, თითქო ერთი გული უფეთქავსო, ერთი მაჯა უცემსო, აქ უცხო არავინ იყო: თითო ამათგანი კერძოთ ჭირისუფალი იყო. ამ კუბოს გვერდით ქართველი—ქართველობას გრძნობდა. ერთმანეთს თვალითა ვზომავდით და თითქმის მწუხარება სიამოვნებათ შეგვეცვალა, როდესაც ერთსულობა და ერთგულობა ვიგრძენით. ჩვენ შევიკრიფენით ერთის ჩვენის ძვირფასის მწერლის დასაკრძალავათ; ჩვენ ერთი გვამი დაგვაკლდა და ერთმანეთი კი ათასობით ვიპოვნეთ... ამაში გამოიხატა ჩვენი საპატიო დღესასწაული. საკვირველი მომხიბლავი ძალა ჰქონია თემობას და იმის მისწრაფებათა შედეგებას.

დაიძრა დიდ-მშვენიერი ლიტანია კუკიიდან ქაშვეთის ეკლესიისკენ. თუმცა ტაროსი ავდარიანი იყო, ქუჩები სავსე იყო თოვლ-ჭყაპით, და ქვევითი სიარული ძნელი და უსიამოვნო ხდებოდა, მაინც არავის აბრკოლებდა: ხალხი ყოველს ნაბიჯზე ემატებოდა. საშინელი მძიმე და დიდი სამგზავრო ტყვიის კუბო, სუბუქათ და მარჯვეთ მიჰქონდათ უწვერულვაშო ყმაწვილ კაცებს. ქალებსაც თითქო შეშურდათ: წაეცილნენ და წყობით, მარჯვეთ გაუწიეს უღელი. „მოჩხუბარიძემ თავისი მშვენიერის მოთხრობებით ბევრი, ღრმა-კაცობრივი გრძნობანი გაგვიღვიძა, ბევრი ღმე გაგვათენებინა თავისი გულწარმტაცის მოთხრობების კითხვით. ჩვენ მაგის პატივსაცემათ მოვსულვართ და მაგისი ნაშთი თქვენთან ერთათ, მხრით უნდა გავიტანოთ, ნიშნათ ჩვენის ღრმა პატივისცემისა“—ანბობდნენ მანდილოსანნი, და ერთი ერთმანერთის ცილებით მამაკაცებს მხარში უდგებოდნენ.

— მიმიშვით თქვენი ჭირიმე—ანბობდა თავდახურული ქართველი ქალი—მე ქუთაისიდან იმიტომ მოვედი, რომ მაგის კუბოს თაყვანი ვსცე...

ამ გვარის ცილობით, თითქოს ფრენით—მიაქანებდნენ თავიანთის საყვარელის მწერლის კუბოს.

ქაშვეთის ეკლესიაში მთელმა კრებამ წესსი აუგო; ქართული წირვა და ორი ხოროს ქართული გალობა სასოებას გვიღვიძებდნენ. ამ საერთო აღფრთოვანებამ სამღვდელოებაც გაიტაცა: გულმოდგინეთ და სასოებით ლოცულობდნენ „მოძღვრის“ ავტორის სულის მოსახსენებლათ. ისინიც ჭირისუფალნი იყვნენ.

ქაშვეთის ეკლესიიდან მოყოლებული, ვიდრე ვერის-ჯვრამდენ ქუჩები ხალხით იყო გატენილი. ქუჩებში ყოველი გვარი მოძრაობა შეხუთული იყო და მარტო მდიდრული, დიდებული ლიტანია მოდიოდა! ყვავილებით და დაფნის გვირგვინებით სავსე იყო ბალდახინები. ამ მდიდრულის ლიტანიის მსვლელობის დროს არც კუბოს დამჭერები სჩანდნენ და არც ბალდახინების ცხენები: მჭიდროთ გატენილი ხალხის თავები ზღვის ღელვას მიემზგავსებოდა და თვალს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ზეციურის ძალით, უზარმაზარი კუბო თავისთავათ მიცურავდა. თვალ წამრტაცი და დიდებული სანახავი იყო!

დილის 9 საათზე დაწყებული ლიტანია საღამოს 5 საათზე ძლივს დასრულდა. ხალხი დაიღალა, მაგრამ შინისაკენ არავინ მიეშურებოდა: თითქოს ენანებოდათ სამუდამოთ გასასტუმრებლად: საზოგადოება იქვე ტრიალებდა.

საღამოს 8 საათი იყო, როდესაც მცხეთას მიუახლოვდით სამხედრო გზით; მცხეთის სადგურთან რაღაცა არა ჩვეულებრივი მოძრაობა შევამჩნიეთ: იქ გამოსულიყვნენ მცხეთელები ქალით-კაცამდენ. სამღვდელოება, დიდათ პატივცემულის წინამძღვარის ნინო-ილუმენიათი. გაჩერდა თუ არა ეტლი, რომელშიაც მწერლის გვამი ესვენა, მაშინვე შამოეგება შემოსილი სამღვდელოება, იქვე, ანთებულის სანთლებით, შეიკრიბა ხალხი და პანაშვიდი გარდაუხადეს. ამ დროს სრულიათ ბნელოდა და ვარსკვლავებით შეჭედილს ცის ქვეშ, წმინდა სანთლით განათებულს კუბოს, გარშემო ამოდენა ხალხს—რაღაც ზღაპრული სანახაობა ჰქონდა და მნახველებზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. ლოცვის შემდეგ დაადგეს გვირგვინი; გამოსალმების დროს ერთმა მღვდელთაგანმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა.

ცხედარს ყველა სადგურზე ეგებებოდა ხალხი, ყველგან პანაშვიდს ხდიდნენ, პატივსა სცემდნენ და ამ გვარად მიასვენეს ს. სტეფანწმინდას.

მთის ხალხმაც დიდის პატივისცემით მიიღო ცხედარი: 50-ს ცხენოსანზე მეტი მთაზე შემოეგება. ხალხმა ზამთრის სუსხიან დროს, ზვავებისაგან საშიშ გუდაურის გზატკეცილი, ფრთხილათ და დიდის ზრუნვით გადაატარა და დიდის მოწიწებით და შესაფერისი გლოვნით მიიტანეს თავის მამა-პაპის სასაფლაოსთან.

სტეფან-წმინდელები დაფაცურდნენ; სოფლელები სამღვდელოებით რამდენსამე ვერსზე შაეგებნენ, სოფელში ხელით შეიტანეს და თავის გაოხრებულს კერის წინ დაასვენეს...

ჰირისუფლათ მოეგება გამდელი—ნინო, ძაძებ ჩაცმული, თეთრ-თმა გაშლილი, მწარეთ, მოთქნით დასტიროდა თავისაგან ნებივრათ გაზდილს, საყვარელს სანდროს. საწყალი ბებერი გამდელი! „სანდროს სიცოცხლემა“-ო ფიცულობდა და ეხლა იმ დღეს შაესწრო, როდესაც „სანდროს სულის მზეს“ დაიფიცავს... ნინო მუდამ ნატრობდა: „სანდროს ხელით დამარხვა მეღირსოსო“ და ეხლა 88 წ. დედა-კაცი იძულებული გახდა თავისი ხელით მიწა მიეყარა... ასე ბრუნავს წუთი სოფელი და ვინ ვის ჩაასწრობს არავინ ვიცით...

ამ გვარის პატივის ცემით მიაბარეს მიწას ჩვენი საყვარელი ბელეტრისტი მოჩხუბრიძე. ყველაფერი გარემოება ხელს უწყობდა საპატიო დაკრძალვას: წლამდენ საპატიო ძეგლიც დაუდგეს... საუკუნოთ იყოს განსვენება იმისი...

დაუსრულებელი არა არის რა... აჰა, მეც გავათავე ჩემის ოჯახის მძიმე, მაგრამ საყურადღებო ანბავი. ადამიანი კვდება—იმისი საქმეები რჩება და გადაეცემა ერთის თაობიდან მეორე თაობას. ქართული ანდაზა ამბობს: მართლის მთქმელს ცხენი უნდა მზათ ჰყავდესო: სთქვას, შეჯდეს და წავიდეს! დიახ, ჩემ-

ზე გამართლდება ეს ანდაზა: მე ხომ ამ რეეულის გამომზეეებას ვერ მოვესწრები და მაშინ, როდესაც ცხენის მაგივრათ კუბო მომერთმევა, მეც წავალ!

ამ ჩემს დატოვებულს მასალას თუ ტაროსი დაუდგება, მაშინ, ეს ჩემი გულწრფელი მოხსენება, იქნება ქართველმა მწერლებმა **კანვათ** გამაიყენონ, რომელზედაც ნიჭიერი მწერალი—თუ საყურადღებოდ და ღირსათა სცნობს, შეიძლება მშვენივრათ მოჰქარგოს!..

„სადაც კაცი მართალს იტყვის, იქვეა იმისი გოლგოთაო!“... მართლის თქმა, როგორც ძნელია, ისე ყველასთვის საეალდებულოა... იმედს ვიქონიებ, რომ ჩემი ხმა არ დარჩება „ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა!“ ეს არის **ჩემი რწმენა**, მართლისადმი, ჩემი წრფელი მისწრაფება და ამასთანავე განვიმეორებ, რომ ამ ჩემს ღრმა რწმენას, არავის კისერზე არ ვახვევ...

ფაქტები საინტერესოა: ნამდვილი, ცოცხალი და იშვიათი... საზოგადოებამ **მიუდგომელი** მსჯავრი უნდა დასდოს!..

სიმართლე ნათელია, ადრე თუ გვიან სიბნელეს ჩაეჭრება, წყვდიადს გარეკავს!.. „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედა-მიწა გარდაეფაროს!“ და ამასთან მოძრავია, „ნემსის ყუნწშიც გაძვრება“...

დასასრული.

დავ. კლდიაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ცხოვრების გზაზე

ქუთაისში გადმოსვლისას საჭირო იყო იმ პენსიის გარდა, რომელიც მე დამენიშნა, მეშოვა კიდევ რაიმე სამსახური. ბედათ, ქალაქის თვითმართველობაში გაიხსნა ამგვარი ადგილი. ჩემმა კეთილისმყოფელმა კოტე ბაქრაძემ გადასწყვიტა, სხვებთან ერთათ, რომ ამ ადგილზედ მე მოვეთავსებინე. ქალაქის თავათ ამ-დროს იყო ქუთაისში ცნობილი ვექილი დავით ლორთქიფანიძე. მას დიდათ ეჭეს ჩემი თავი.

— ვინ დავით კლდიაშვილია? ეკითხნა ლორთქიფანიძეს.

— მწერალი. მწერალი! მიეგო კოტე ბაქრაძეს.

— შეუძლია კი წერა? მე არ ვიცნობ, არც ვისმესგან გამიგონია! ეთქვა ლორთქიფანიძეს.

კოტე ბაქრაძე გაოცებით იტყოდა ხოლმე ამას და ახასიათებდა ჩვენ მოღვაწეებს, რომელთაც არა გაეგებოდათ რა ჩვენებური ლიტერატურის შესახებ.

ჩემი დანიშვნა მეტად გაძნელდა; ლორთქიფანიძე უარზედ იყო, არ ვიცი ვინ არისო. კოტე ბაქრაძემ, რომელიც გამგეობის წევრი იყო, იშოვა დრო, როცა დავით ლორთქიფანიძე ავად გახდა და მის მაგიერ ბრძანება დააწერინა საქმის მწარმოებელს ჩემ: დანიშვნის შესახებ. ლორთქიფანიძე დიდი მეგობარი და პატივისმცემელი იყო ბაქრაძის და საყვედურის მეტი არა უთხრა რა. მეც შევრჩი ადგილზედ ბაქრაძის ამგვარი მოქცევის გამო.

დაიწყო უფერული ცხოვრება. თან ჩემი ავადმყოფობისაგან შეწუხებული, თან ახალი უჩვეულო სამსახურთან დაახლოვება—ამაში მიმდინარეობდა ცხოვ-რება. როცა ქარგათ ვიყავი—თეატრი და ხანდახან ლექციებზედ სიარული. ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის. გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი უზომო ესწრებოდა. დიდათ ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულათ გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზედ წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა გრიგოლს, ქართულათ არ შეიძლება იმის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოვებოდათ ამ ახლო წასულშიაც ქართულათ სიტყვის წარმოთქმა. საჯაროთ ქართულათ მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებათ იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა—ქართული არ მეხერ-

ხებაო, ნება მიბოძეთ რუსულათ ვთქვა ჩემი სათქმელიო. მშვენიერათ იოხუნჯა ერთ-ერთ კრებაზედ, თავის დროზე ცნობილმა თავისი მახვილი ენით ნიკოკია თაყაიშვილმა. მთავრობამ თბილისის და ქუთაისის თავადაზნაურობას, საქართველოს ასი წლის შეერთების თავზედ, უწყალობა ოც-ოცი ათასი მანეთი ყოველ წლიურად. ამ ფულის მოხმარებაზედ იყო ცხარე კამათი და ნიკოკია თაყაიშვილმა სიტყვა რომ მოითხოვა კრებას მიმართა:—თქვე დალოცვილებო, არ მესმის რა გვაქვს ასეთი სადაო, რომ ერთმანეთს ვასკდებით. მოგვიყრია თავი ქართველ თავად-აზნაურობას ქუთაისში და ყველა ბოდიშს იხდის—ქართული არ ვიცით, ვლაპარაკობთ უცხო ენაზედ. მივცეთ ეს ოცი ათასი მანეთი იმათ ვინც ასწავლის ჩვენს თავად-აზნაურობას ქართულს, ამაზედ უკეთეს დანიშნულებას ვერ მივცემთ ამ ჩვენ თავზედ მოღებულ წყალობას. ქართულსაც ვისწავლით და ბოდიშებსაც გადავრჩებით!

მოვიყვან აქ ერთ მის ნათქვამს. საქართველოს რუსეთთან შემოერთების ასი წლის თავის ზეიმზედ, მტკვრის პირას, ყოფილ კოუეოკის ბაღში სალამოს სეირნობა იყო გამართული. სეირნობას დაესწრო ყოფილი მეფის მოადგილე მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. კლუბის ბაღში—მუსიკა, ზურნა. ჯგუფ-ჯგუფებათ მსხდარი საზოგადოება, ხმაურობა, ყიჟინა, სმა, ქეიფი. მთავარი მიდიმოდიოდა ჯგუფებში. ერთ ჯგუფში მან დაინახა ნიკოკია თაყაიშვილი.

ზდრავსტუვუიტე ნიკოკი! კაკ პოჟივაეტე, ჩტო დელაეტე? მხიარულათ მიმართა მან ნიკოკიას.

— ოასპროსტრანიაემ ვერნოპოდანიჩესკიმ ჩუვსტვამ, ვაშე იმპერატორსკიმ ვისოსესტვომ! მიუგო თავისებური წვარწვნით ჩაქურაში გამოწყობილმა ნიკოკიამ.

— სპასიბო, სპასიბო! გადიხარხარა მთავარმა.

— რადიმ სტარაცია, ვაშე იმპერატორსკიმ ვისოჩესტვომ! დააყოლა ნიკოკიამ თავისებური რუსულით. არ ეხერხებოდა რუსული ნიკოკიას. უცნაურათ ამტვრევდა, მაგრამ მაინც ეძალებოდა თავის თავს და გრძელ სიტყვასაც არ ერიდებოდა რუსულათ წარმოსათქმელათ. დიდ სატანჯველში ვარდებოდა მაშინ ნიკოკია, მსმენელსაც დიდათ ტანჯავდა; მაგივრად ჩინებული მოქართულე იყო, ქართულის მშვენიერი მოლაპარაკე. რუსულს ამტვრევდა ბრუნდი და მართალი. ქართული სიტყვით საჯაროთ ვერავინ ბედავდა გამოსვლას; საზოგადო კრებებზედ ქართულათ ილია, აკაკი, ვანო მაჩაბელი და კიდევ რამდენიმე პირი თუ ლაპარაკობდნენ, თორემ სხვები ვერ ბედავდნენ, არ ეხერხებოდათ. ქართულათ არ გამოვა ისე როგორც მინდა ვთქვაო—ამბობდნენ ხოლმე. ასეთი რამ იყო გუშინ, სულ ახლო წარსულში.

ამგვარი იყო მდგომარეობა როცა, გრიგოლ რობაქიძემ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი თავდაპირველში იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდაწყვეტილებმა, ვარლამ ბურჯანაძის და ვიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთან იდგა გრიგოლი)

შეუთვალეთ—ლექციები ქართულათ ეკითხნა. მე მაშინ გრიგოლს არ ვიცნობდი პირადათ. გრიგოლმა შემოგვითვალა, რომ მალე ქართულათ ვიწყებ ლექციებსო, და მოკლე ხანში კიდეც აასრულა თავისი დანაპირები. მაგრამ პირველი მისი საჯარო ქართულათ წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზედ.

საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიადი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზედ ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელ"-ზედ, შემდეგ აკაკიზედ. საზოგადოების აღტაცება თან და თან მატულობდა, ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონეთა მსურველთა რიცხვი შესამჩნევათ იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ. თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოთ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი, კაცი დიდათ განვითარებული, ქართულის კარგი მცოდნე. მოხუცი უსაზღვრო აღტაცებით მელაპარაკებოდა და გადმომცემდა იმ შთაბეჭდილებას, რომაქიძის ლექციებმა მაზედ რომ მოახდინეს. მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით.

— აი ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ. გატაცებით ამბობდა მოხუცი.

ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

— სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული!—გაიძახდა აღტაცებული კოტე ბაკრაძე.—ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე—გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით არ მეხერხება ქართული!—უხეიროო რომ იქნები ვერაფერს ვერ მოახერხებ!... ვაჟა-ფშაველაზედ კი, რაღაც, მგონი გადააჭარბა!... ნამეტანი მაღლა ასწია.... თუმცა ესეცაა--არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზედ ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამისთანა ახალგაზდები თუ მომრავლდნენ ეგებ გამოცოცხლდეს ხალხი!

თამამათ ვამბობ რომ, გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა, თავის საჯარო ლექციებით, ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერათ გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულის კვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. გრიგოლმა დაანახა ქართველ საზოგადოებას გადაგვარების გზაზედ შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლიერე,--დაანახვა და გაიტაცა. მან დიდათ დაავალა ქართველი საზოგადოება, მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს.

დღეს ეს ზღაპრათ გვეჩვენება, ასე კი იყო; დღეს ზღაპრათ გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ- მუშაკებით სავსე; გუშინ კი გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზედ; მისგან რომ უნივერსიტეტის გეგმა

მუშავდებოდა ფანტაზიით მიგვაჩნდა და თვით ჯავახიშვილს ფანტაზიორს ვეძახდით. თავისი თავის არა გვჯეროდა, თავისი რწმენა გვეკარგებოდა. ნიკო ცხვედაძემ რომ ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენება დაიწყო მრავალი მკილავი გამოუჩნდა;—გიჟიაო, ამბობდენ ნიკოლაი ზებედესძეზედ, ხიფათს გადაგვკიდებს, ფულს ტყუილა მიახარჯავს და ვილაცას ტყვილ-უბრალოდ ჩაუვარდება ხელში ამოდენა შენობაო. ნიკოს რომ ყური ეთხოვნა ამგვარათ მოლაპარაკეთათვის რა იქნებოდა ჩვენს თავზედ? ფანტაზიორი, საქმის ფანატიკი კი გაჯიუტებით გაიძახოდა: მოვათავებთ, მოვათავებთ და უნივერსიტეტსაც მოვათავებთ შიგ; გამოგვადგებაო, ჩვენ გამოგვადგებაო. და აკი გამართლდა სულმნათის ფანტაზია. რწმენა ქონდა ქართველი ხალხის ცხოველყოფელობისა; ამან შეაძლებინა დიდებული საქმე გაეკეთებინა. მახსოვს მეორე ფანატიკოსმა იაკობ გოგებაშვილმა ჟურნალ ივერიაში დაბეჭდა წერილი სათაურით—„რანი ვიყავით გუშინა". წერილში აღწერილი იყო საქართველოს კულტურული სახე მე XVIII საუკუნეში. ფანტაზიას ეძლევაეო. ნამეტანს აჭარბებსო, ისმოდა მკითხველთა შორის— მაგგვარი რამ რომ გვქონებოდა წარჩინებული ხალხი ვიქნებითო; ვინ გვაღირსა ჩვენ მაგგვარი კულტურა! არ გვწამდა ჩვენი თავის, არ გვჯეროდა ჩვენი შემძლებლობის. იაკობს კი ეს რწმენა ღრმათ ქონდა გამჯდარი და ამიტომ შესძლო იმ დიადი მოღვაწეობის გაწევა, მან რომ გასწია იანოვსკის, ზავადსკის, ლევიცკის და ამათ გვარის ხანაში.

ერთი ამ ფანატიკოსთაგანი, რასაკვირველია უფრო მცირე მაშტაბით ამათთან შედარებით, გეყავდა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის ინიციატორი, ქუთაისში ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გარსევანიშვილი. ქართული გიმნაზია თავის გამგიდან, დაუვიწყარ იოსებ ოცხელიდან, უკანასკნელ მასწავლებლამდინ—შეგროვება იყო ერთგვარი ფანატიკოსების, ერთგვარ იდეით გატაცებულთ, რომელნი განსხვავებული გატაცებით მუშაობდნენ მომავალ თაობის ასაღზრდელათ. ერთი ამათაგანი იყო გარსევანიშვილი. მან თავგადადებით გახიძრახა ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის დაარსება. ვინც გაითვალისწინებს იმ დროს, გაკვირვებას მიეცემა უნებლიეთ თუ როგორ რა შეუდრეკელი დაჟინებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ამის შემსრულებელი ადამიანი. მე დღესაც მიკვირს როგორ გამოსტყუა გარსევანიშვილმა მთავრობას სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ნებართვა; როგორ მოიპოვა საშვალება ფართე მასასთან მისასვლელად! მთავრობა თუ ფიქრობდა—არაფერი გამოვავო და ნებასაც ამიტომ რთავდა. თუ ასე იყო შეცთა კი ძალზედ მეტად. თავდაპირველში ჩვენც ძრიელ გვეეჭვებოდა ამ საქმის მოგვარება. მატერიალური საშვალება კიდევ მოიძებნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის—ღიმილით, უნდობელ ღიმილით წვლილის გამოლებაზედ უარს არავინ ამბობდა, მაგრამ საჭირო იყო ლექტორთა, ქართულ ენაზედ ლექციათა ჯგუფის შედგენა. როგორც მოგახსენებდით საზოგადოთ ეძნელებოდათ საჯაროთ ქართული ენით გამოსვლა,—სხვა და სხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძნელო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებათ განძრახულ მისაწვევ

პირებს, მასთან ანათო მათში გაჩაღებული ცეცხლის ალი და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული დღე იყო ის კვირა, როცა ეს უნივერსიტეტი გაიხსნა ქალაქის თეატრში. ხალხი მოაწყდა უამრავი. ლექციებზედ დასწრება ბილეთებით—შაური, ორი შაური და აბაზი. დარბაზმა ვერ დატია მოზღვავებული ხალხი, უმეტესობა ნოქრობა, დაბალი მოსამსახურენი და მოხელეები იყვნენ. უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარემ, ცნობილმა ვექილმა მოსე ქიქოძემ და მისმა მოადგილემ, საქმის ინიციატორმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა მხურვალეთ მიუღოცეს დამსწრე საზოგადოებას ისეთი დაწესებულების შექმნა, როგორიც სახალხო უნივერსიტეტია.

უნივერსიტეტის საქმე ძლიერ კარგათ მოეწყო. შესდგა ღონიერი ჯგუფი ლექტორთა. გრიგოლ გიორგაძე, ტრიფონ ჯაფაოიძე, ვასილ წერეთელი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, გრიგოლ ნათაძე, ლეო ნათაძე- მშვენიერი ლექტორები გამოდგნენ, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკენი, ქართულის კარგა მცოდნენი. ლექციები იმართებოდა რეგულიარულად ყოველ კვირას შუადღისას. ლექციების კითხვა თავდებოდა მუსიკალური განყოფილებით, რასაც მეტად კარგათ აწყობდა გარსევანიშვილი, თავათ მუსიკის მცოდნე და მუსიკოსი—ვიოლონჩელოზედ უკრავდა.

ამ სახალხო უნივერსიტეტმა დიდი სიმპატია მოიპოვა საზოგადოებაში, და რა თქმა უნდა დიდი სასარგებლო რამ იყო, როგორც მასებში განვითარების შემტანი. აქ იკითხებოდა ლექციები პოლიტიკურ ეკონომიიდან, კულტურის განვითარების ისტორიიდან, გეგიენა, საზოგადო ლიტერატურიდან და ამგვარები: მან კარგა ხანს იარსება. მისი მუშაობა შეწყდა ომის დაწყებისას.

განსხვავებული ინიციატივის მქონე იყო აგრეთვე ჩვენი ძვირფასი ნიკო ნიკოლაძის და, ეკატერინე ნიკოლაძე. საყურადღებოა და არ დასავიწყარი ის შრომა, რომელიც მას გაუწევია ქუთაისში საზოგადოებაში კულტურული მუშაობის გასაშლელათ. მე პირდაპირ მავიწყდებოდა ჩემი ავადმყოფობაც „მოლალვაც როცა პატივცემული კატო შეგვატყობიებდა, რომ განზრახულია ამა-და-ამ დროისათვის ბავშთა დილაო და გვიწვევდა სამუშაოთ. რა სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა სიცოცხლით სავსე ბავშების თავშეყრილობა, მათი ყიკინი, მხიარულობა, ხალისიანობა! რა აღტაცებით ემზადებოდნენ, მომავალი დღისათვის! ლექსების კითხვა, მუსიკა, წარმოდგენა საბავშო პიესების—ეს ისეთნაირად იტაცებდა ბავშებს რომ დაღალვას არ გრძნობდი მათთან მუშაობაში, მათი გაწრთვნის დროს. უნდა ენახა ადამიანს რა ენერგიით მუშაობდა პატივცემული კატო ამ ბავშების გასაწაფავათ, რა სიყვარულით ეპყრობოდა ამ გიჟ ნორჩობას. მისი წახალისებულნი ქუთათური მანდილოსნები მხურვალე შემწეობას აძლევდნენ მას ამ მუშაობაში. მასთან იყვნენ ყოველთვის მარია ვარდოსანიძე, მელანია გველესიანისა, ელენე ხელთუფლიშვილი, მარია ლორთქიფანიძის და განსაკუთრებით ექიმ ჩარკვიანის მეუღლე, იადვიგა კონსტანტინეს ასული ჩარკვიანისა. ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა მუსიკალურ განყოფილებას და რა რიგათ! ბავშებიც და ჩვენც მომწყობნი აღტაცებაში ვოვდიოდით მისი მაყურებელნი. იგი

იყო ტომით პოლონელი, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკე, მუსიკის დიდი მცოდნე და გამოცდილი მასწავლებელი. მისი აქ მუშაობა [illegible] ბავშვებს და ქონდა დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. [illegible] ყოველთვის ზედმიწევნით კარგათ ტარდებოდა, მაგრამ ამათში განსხვავებული იყო დილა საბავშო ჟურნალ „ჯეჯილის" ოცდაათი წლის თავის არსებობის აღსანიშნავათ. ეს იყო საუცხოვო გრძნობით და ღრმა სიყვარულით მიგებება მოზარდ თაობისაგან მასზედ მზრუნავ, მათ საკეთილო მომავლისათვის მომუშავე გამომცემლისა და მის თანამშრომლების მიმართ. ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა ამ დღეს ღირსეულად იქნა სიყვარულით დაჯილდოებული მისი ჟურნალის ნორჩ მკითხველებისაგან.

ქართველობამ, დიდმა და პატარამ, იცის თავის მოამაგის დაფასება, ყველასი და ზოგიერთის მაინც. ასეთი რამ იყო ის დღეები როცა ქართველობა დღესასწაულობდა თავის სიყვარეულ აკაკის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის შესრულებას. ტფილისმა საგანგებოთ მიეგება ამ დღეს დიდებულ მგოსანს; ახლა ქუთაისი შეუდგა მზადებას პოეტის დღესასწაულისათვის; ქითაისი ეპირებოდა განსხვავებულათ მიგებებოდა თავის მოჭირნახულეს და ამიტომაც იღრიანათ შეუდგა მზადებას. დღესასწაულის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქმნა მოსე ქიქოძე; მის ამხანაგად, ჩემდა საბედნიეროთ, მე. კომიტეტში მონაწილეობას ღებულობდნენ მრავალი მანდილოსნები და მამა-კაცები. ყველა გულით მონდომებულ იყო რომ დღესასწაული ბრწყინვალეთ ჩატარებულიყო და ყოფილიყო ნამდვილი და სათანადო იმ სიყვარულისა, რომელს გულში ატარებდა დიდებულ მგოსნისადმი ყოველი ქართველი; და ამის გამო. დღესასწაულმაც ბრწყინვალეთ ჩაიარა.

პირველად აკაკი ათას რვაას ოთხმოცში ვნახე. ამ წელიწადს კიევში დავათავე გიმნაზია, არდადეგებზე სახლში ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში, რომ იქიდან წავსულიყავი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში. რიონის სადგურზედ ჩემი თავი ჩააბარეს ვინმე ანდრია კაპანაძეს, თბილისში მიმავალს. ეს ის ანდრია კაპანაძე იყო, აკაკის დიდი პატივისმცემელი და მეგობარი, რომელიც აკაკისთან ერთად, იმ დროს ეფათურებოდა აკაკის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილ შავიქვის მოწესრიგების საქმეს. კაპანაძე საოცარი ტკბილი ადამიანი, გზაში უმეტეს წილად, აკაკის შესახებ იყო ლაპარაკში; ეტყობოდა ნათლად რომ მას აკაკი უსაძლეროთ უყვარდა და ამიტომაც ხელს უმართავდა თავის შეძლებით, თავის ქონებით. ქუთაისში აკაკი უნდა ჩამოსულიყო საჩხერიდან, მაგრამ არ ჩამოსულა და კაპანაძე თბილისში გაბრუნდა. მე თავის სახლში მიმიყვანა, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ (აქვე იყო მისი სახელოსნო. თერძი იყო) მეორე დღეს საღამოს აკაკიც ჩამოვიდა. მე გულის ფანცქალით შევყურებდი მაღალ, რაღაც განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს. თავათ კაპანაძე, მისი მეგობარი, მოსამსახურე ყველანი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. აკაკი მეტად ხალისიანათ იყო და ხალისიანათ ელაპარაკებოდა ყველას. ჩემს სიხალულს საზღვარი არ ქონებია მისი დანახვით; მე უკვე კარგად ვიცნობდი მის ლექსებს. სხვებთან მეც გამომელაპარაკა, მკითხა

თუ სად ვსწავლობ, საით მივდივარ და ამგვარები... მე უთხარი, რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.

— გარუსების დასათავებლათ?! მხიარული სიცილით მითხრა კაცმ.

— არა მე არ გავრუსდები! მივუგე.

— ვნახოთ... ვნახოთ! ისევ სიცილით მითხრა მან.

შემდეგ აკაკის ხშირად ვხვდებოდი ბათუმში. მის დღესასწაულის მოწყობისთვის თავს როგორ დავიზოგავდი. მუშაობაც მართლა სამძიმო იყო, თავის გასართმევი. ყოველი დაწესებულება, ყოველი ჯგუფი მოწადინებული იყო ზესაფერისათ გამოსულიყო დიდებული ადამიანის წინაშე და ზესაფერისათ, შნოთი გამოესახა თავისი ის პატივისცემა და სიყვარული საყვარელ, მგოსნისადმი, რომელიც გულში ულვივოდათ. თითქმის ყოველ საღამოს იმართებოდა ამა თუ იმ ჯგუფის კრებები გამოსარკვევათ თუ რა სახით უნდა ზიელო ამა თუ იმ ჯგუფს მონაწილეობა. ადმინისტრაციამ ხელი არ შეგვიშალა ამ კრებების ნებადართვაში: შევატყობინებდით მხოლოდ რომ კრება იქნება ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას. კრებები მუდამ საინტერესო იყვნენ: აქ გაისმოდა ერთგვარი სიტყვა, იხატებოდა ის გულწოფელი, ღრმა სიყვარული, რომელს ხალხი ატარებდა საყვარელ მგოსნის მიმართ თავის გულში. მახსოვს ნოქართა ერთი ჯგუფის კრებაზე რამოდენიმე ნოქარი ცხარე საყვედურით გამოვიდნენ,—რომ განძრახვა არისო საზეიმო ეტლში აკაკის ქალები უნდა ჩაუჯინონო; ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ სანახაობაზედ და მგოსნის დამამცირებლად მიგვაჩნია ამგვარი რამ თანხლება.—აუხსენით, რომ ეს ქალები წიშნავს, გამოსახავენ ბუზებს და საჭიროთ შეიქმნა იმის განმარტებაც თუ რა არის ბუზა. პროტესტანტებმა თქვეს რომ ჩვენ არ ვიცოდით ამ ბუზებზედ არაფერი, გვწადდა მგოსნის ხნეობა არ შელახულიყო.

დღესასწაულის დანიშნული დღე ახლოვდებოდა. რამოდენიმე დღით წინ აკაკიც ჩამოვიდა ქუთაისში. ერთ დღეს იგი მოვიდა ქალაქის სამმართველოში, და მითხრა:

— შენთან საქმე მაქვს! ეტყობოდა აღელვება: შევიდა ქალაქისთავის ოთახში. მივატოვე საუშეყარი და მეც შევედი ოთახში. აკაკი გაჯავრებით ელაპარაკებოდა ლორთქიფანიძეს—ქალაქისთავს.

— ყმაწვილო! მომმართა მან როგორც კი დამინახა— ჩემი სახელით ნუ აწუხებთ საზოგადოებას! მოხსენით იუბილე...არ მინდა!

— საზოგადოება წუხს კი არა ხარობს, ბატონო აკაკი, და მოუთმენელათ ელის დღესასწავლის დღეს! მივუგე.

— მე გეუბნები მოხსენით... ე? არ მინდა.

—თქვენ არ გინდათ საზოგადოებას ენდა თავის საყვარელ აკაკის სცეს პატივი და თავისი სიყვარული გამოუცხადოს; ამას ვერც თქვენ დაუშლით და ვერც ჩვენ მოვშლით. რამ გაგაჯავრათ, ბატონო აკაკი? მეეკითხე.

— იმან გამაჯავრა, რომ თქვენ ჩემი სახელით ფულს კრეფთ საზოგადოებაში და დაგიდგენიათ, რომ შეკრებილი შეიტანოთ წერა-კითხვის საზოგადოებაში ჩემს სახელზედ: ესე იგი ჩემი სახელით საზოგადოებისაგან გამოღებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფულით უნდა გამოსისტიკინდეს ვილაცა და შენს აკაკის პრასი და ნიახური... არ მინდა მე ეს, არ მინდა!

— ნაგ როგორ იქნება? უთხარი.

— როგორ და როგორც ყოფილა! ძალზე გაჯავრებით წამოიძახა აკაკიმ.

— არა, ბატონო, იმ ფულს ვერავინ ხელს ვერ ახლებს თქვენს მეტი, ვერავინ გროშ-კაპიკს ვერ დაგაკლებს!.. ამის თავდებნი ჩვენ ვიქნებით. ამასთანავე წერა-კითხვის საზოგადოებაში თქვენს სახელზედ შეიტანება მხოლოდ შეკრებილი ფული; რაც დღესასწაულის დღეს ტეატრიდან შემოვა—უკლებლივ თქვენ ჩაგბარდებათ!

— უცნაური გული მაქვს! თქვა აკაკიმ—ჩემს სახელზედ ფულს იხდიან ათას ადგილას, მე კი არაფერი მხვდება.... სხვებს უვარდებათ ხელში და საზოგადოებას კი გონია ვითომ მე მეხმარება. ახლაც ასე იქნება! აკაკიმ უფრო დამშვიდებით თქვა ეს.

— არ იქნება, ბატონო! მიუგე მე.

— კაი დაგემართოს!.. მოწმეები აგერ მყვანან მაინც! ვნახოთ, ვნახოთ! დავით! მიმართა მან ლორთქიფანიძეს—დეიმახსონვრე შენ ეს დანაპირები. რასაც დამაკლებენ შენ გადაგახდევინებ იცოდე! მითხრა მე.

— კი ბატონო; ეგრე იყოს! აკაკიც დაწყნარდა.

საოცარ სურათს წარმოადგენდა ქალაქის გამგეობის დიდი დარბაზი დღესასწაულის წინა საღამოს. იქ იყო დანიშნული ადგილი. სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ დღესასწაულის მომლოცველთა დელეგატები. ვეება დარბაზი აივსო დელეგატებით; ვისგან არ იყო, საიდან არ იყო დელეგატი! ძლივს, როგორც იქნა წესრიგი შევიტანეთ ჩაწერაში და დელეგატთა სიის შედგენაში.

მეორე დღეს ის ქუჩები, რომლით უნდა გაეტარებინათ მგოსანი თეატრამდინ, დილიდანვე გაჭედილი იყო ხალხით. თითქმის შუადღე იყო რომ საგანგებო მორთული ეტლით აკაკი წამოიყვანეს სობოროსკენ. ლონდო მგოსნის წამოსაყვანათ თავაზიანათ გუბერნატორმა გამოგვიგზავნა; მეეტლეთ იყო ქუთაისში ცნობილი მეეტლე, ამხანად მოხუცი, მელია, ის მელია რომელს მამია გურიელმა უთხრა ერთხელ: „შენ რომ ელი მელიაო, ძალზედ შემომქლიაო. მოხუცმა მეეტლემ მტკიცეთ გამოგვიცხადა, რომ აკაკი დღეს მე უნდა ვიტარო და რომ ამას ვერავის დაუთმობო. ერთიანათ თეთრში გამოწყობილი, ეტლში თეთრი ცხენები თეთრი მოწყობილობით, თავისი გრძელი თეთრი წვერით—მელია და მისი ეტლი მშვენიერი სანახავი იყო: ეტლის საფეხურებზედ იდგნენ ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე და საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარე მოსე ქიქოძე. ქუჩების ნაპირები ხალხით იყო შემოსილი; ფანჯრები, აივნები, სახურავები სავსე იყო ხალხით. ხმაური მისალმება, ვაშას ძახილი, ყვავილების სროლა შეუწყვეტელი. აქ იყო მოტანილი გულწრფელი, ღრმა სიყვარული მოხუც მგოსნისადმი. ამგვარივე გულწრფელი, უალრესი სიყვარულობით იყო გაჟღენთილი ყოველივე სიტყვა, რომლით დელეგატები მიმართავდნენ საყვარელ მგოსანს. მრავალი მშვენიერათ ნათქვამი სიტყვა იყო, მაგრამ ამათში რალაც განსხვავე-

ბული რამ იყო, მგონი, ბალდაოელმა გლეხმა რომ მიმართა. მაღალი, გონიერი, მხარბეჭიანი, შუახნის, სასიამოვნო კილოზედ მოლაპარაკემ აკაკის უთხრა:

— წიგნის უცოდინარი კაცი გახლავარ, ბატონო, [illegible] ბავშები კი დამიდიან სასწავლებელში. სამუშევრიდან დაღლილი [illegible] სახლში ხანდახან ბავშები იქვე წიგნს კითხულობენ ხოლმე ხმა მაღლა; ხშირად კაი რაღაც მომესმება, გულს იამება და როცა მიკითხავს ბავშვებისათვის თუ რა ქონდათ წაკითხული ისე კარგი რომ იყო—პასუხათ—მიმიღია აკაკის ლექსიათ. ტკბილია ის თქვენი ნათქვამი, გულს ხვდება ძალიან; გლოცავთ, საწყალი ხალხი, თქვენი კაი თქმისათვის და გისურვებთ ხანხრძლივ სიცოცხლეს, არც შემდეგ შეგძულებოდეს ჩვენისთანა საწყალი ხალხი!

ეს ისეთი მშვენებით თქვა ამ კაცმა, რომ აკაკი უცნაურად ააღელვა, თვალები ცრემლებით აუვსო; აღელვებულმა მხურვალეთ გადაეხვია და გადაკოცნა იგი.

მეორე დღეს მე და ივანე პურადაშვილმა ვინახულეთ აკაკი; იგი მეტად კარგ გუნებაზედ იყო და კიდევ უფრო კარგ გუნებაზედ დადგა, როცა გადავეცით თეატრიდან შემოსული ათასი მანეთი.

— გარწმუნებთ აქედან ხვალ ჩემ ჯიბაში ბევრი აღარაფერი დარჩება—სიცილით თქვა მან.

ქუთაისმა სათანადოთ სცა პატივი თავის ძვირფას მგოსანს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, ქუთაისის საზოგადოებას შეძლება მიეცა ესიამოვნებინა მეორე დიდებული მგოსნის პირადი გაცნობით და მისგან წარმოთქმულ მისალმებით დამტკბარიყო. ეს იყო ვაჟა-ფშაველის პირველი სტუმრიანობა დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში ერთ ხანაზედ ძრიელ ნაკლებათ იცნობდნენ ვაჟას. ერთხელ ბათუმში ექიმ გრიგოლ ელიავას ოჯახში საგანგებოთ სალამო გავმართეთ, ვაჟა რომ გაგვეცნო საზოგადოებისათვის. წაკითხული იყო ვაჟას „გოგოთური და აფშინა“. პოემამ ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. უმეტესობას ეუცხოვებოდა მისი ენა. პირველათ, საფუძვლიანათ დასავლეთ საქართველოს ვაჟა გააცნო გრ. რობაქიძემ, რომელმაც ქუთაისის თეატრში აუარებელი ხალხის წინაშე, წაიკითხა ლექცია ვაჟას შემოქმედების შესახებ და განსაკუთრებით „გველის მჭამელის“ შესახებ. მშვენიერმა ლექციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ. ბევრს უკვირდა და კითხულობდნენ—ხომ არ აზვიადებს რობაქიძეო, ასეთ შემომქმედით რომ სახავს ვაჟასო. ბევრი დაინტერესდა და შეუდგა მისი პოეზიის გაცნობას.

დიდებული მგოსანი კი დაფლეთილი ჩოხით მიწას ხნავდა მთაში და თითო კაპიკს ღებულობდა თითო სტრიქონში—ამასაც არა ყოველთვის.

ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა სალამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ სალამოს გამმართველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, სალამოს მონაწილეთა შორის, მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებას გაეცნო იგი. საკითხი დაისვა—რა რიგათ მოქცეულიყო კომიტეტი, რადგანაც ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო.

გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო [illegible]

დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი [illegible] პეტრე ყიფიანთან.

— ძალიან გამოჩისტულხარ ვაჟას ჭირიმე! ეხლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ ილიმებოდა.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს იმდენი ლექსები ათქმევინეს. ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზედ ამბობდა და აღტაცებაში მოყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გაიმართა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელზედაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას შეასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ ააღელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისევ თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს, მრავალ რიცხოვანმა საზოგადოებამ, ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროთ, გადიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისკენ მიმავალმა, სხვათა შორის მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ ფშაველოო". კაცო მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარემაც ასე სთქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი: იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ განდიდების მანიას დაშორებული, უბრალო, მარტივი, თავდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული.

ამ ხანებში ქუთაისის გუბერნატორი იყო გენერალი სლოვაჩინსკი, ტომით პოლონელი, რუსეთის თვითმპყრობელობის თავგადადებული მოსამსახურე, პიროვნება რომელს მხოლოთ თავისი თავი ახსოვდა, უაღრესი კარიერისტი. ვერაფერი საქები სახელი ჰქონდა დამსახურებული ერევნის გუბერნიაში ყოფნის დროს, სადაც სდევნიდა სომხებს; ვერაფერი სახელი ჰქონდა დამსახურებული ბათუმის ოლქის მართველათ ყოფნის დროს, როცა სასტიკად ეპყრობოდა მუსულმან ქართველებს; ამითი იშოვა მან გუბერნატორობა და გენერლობაც. ქუთაისის გუბერნატორობის დროს იგი უფრო ეჭმაკუნაოდ იქცეოდა. აქ უფრო თავაზიანი იყო ვითომ, რასაკვირველია გარეგნულათ. მეცადინე იყო კარგ განწყობილებაში ყოფილიყო აქაურ მოწინავე ინტელიგენციასთან, მოწადინებული იყო ვითომ მასთან ერთათ ემუშავნა გუბერნიის საკეთილდღეოთ. რასაკვირველია ეს თაღლითობა იყო—ყველამ ეს კარგათ იცოდა. ერთი ამ თაღლითობათა რიგიდან შესანიშნავი იყო მისი განძრახვა ერობის შემოსაღებათ საკითხის აღძვრა. დიდის რიხით შეუგდა გუბერნიის საამართველო ყრილობის მოწყობას, რათა ერობის შემოღების საკითხი სავსებით ამოწურული ყოფილიყო და მჭიდრო ნიადაგ-

ზედ დაყენებული, რომ უმაღლეს მთავრობას უეცველად მიეღო და [illegible]ა გუბერნატორის შუამდგომლობა—წარდგენა. გუბერნიის სამმართველოს დარბაზი ძლივს იტევდა სათათბიროთ მოწვეულთ; მრავლად იყვნენ [illegible] ადგილობრივი მცხოვრებნი. არ ვიცი რა მოსაზრებებით, [illegible] მეც ვიყავი მიწვეულებში; სლოვაჩინსკის თავათ ეთქვა, რომ მეც ვყოფილიყავი მიწვეული; იგი მიცნობდა კარგათ ბათუმიდან. გაკვირვებული ვიყავი ამ მიწვევით, მაგრამ ძლიერ გამეხარდა რადგან შემთხვევა მეძლეოდა ახლო დამენახა ყრილობა და შომესმინა იქ ნალაპარაკევი.

როგორც ვთქვი გუბერნიის დარბაზი ძლივს იტევდა ყველა მოწვეულთ, რომელნიც უსხდნენ გრძელ მაგიდას, რომელზედ ეწყო ქაღალდი და ფანქრები. კრება გახსნა თავათ სლოვაჩინსკიმ მოკლე სიტყვით, რომელში იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ ეს მუშაობა უნაყოფოთ არ ჩაივლიდა, რომ იგი ამისათვის მიიღებდა ყოველნაირ საშვალებას უმაღლეს მთავრობასთან. კრებები იმართებოდა ყოველ საღამოს ერთი კვირის განმავლობაში. თავმჯდომარეობდა ყოველთვის თავათ სლოვაჩინსკი. წარმოთქმულ იყო მრავალი სიტყვა ერობის შემოღების საჭიროების შესახებ; დასურათებული იყო გუბერნიის მდგომარეობა, სოფლის ზემწყო მდგომარეობა და ამგვარები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ზუგდიდის მაზრის უფროსის, კაპიტან ლავროვის, მოხსენებამ. ეს ლავროვი წინათ, რუსეთში ყოფნის დროს, მუშაობდა თურმე ერობაში და საერობო საქმეებს კარგა გაცნობილი იყო. ჩვენები გულით არ ეკიდებოდნენ მაინცა და მაინც ამ ყრილობას, რადგან თითქმის არავის სწამდა, რომ რაიმე ხეირი გამოყოლოდა, რაიმე იოტის ოდენა ცვლილება შეეტანა ცხოვრებაში. ყველას ეს მოსატყუებელ რამეთ მიაჩნდათ და დაბოლოს ეს მართალიც გამოდგა. დათავდა ყრილობა და მოკლე ხნის შემდეგ სრულ დავიწყებას მიეცა ქუთაისის გუბერნატორის განძრახვა ერობის შემოღების შესახებ.

ეს იყო მხოლოდ მორიგი მოტყუება დასანახავათ, რომ ჩვენზედ ფიქრობენ, ჩვენთვის ზრუნავენ და სწადიათ საზოგადოების სურვილის გაგონება და დაკმაყოფილება.

მაგივრათ თუ ერობის შემოღებამ ჩაილულის წყალი დალია, სლოვაჩინსკიმ დააკმაყოფილა საზოგადოება იმითი, რომ არ გადაეღობა, ხელი არ შეუშალა, ქუთაისში ქართული გაზეთის გამოსვლას.

რაც ერთ დროს ცნობილი, ქუთაისში გამომავალი „შრომა“ დაიხურა, მას შემდეგ ქუთაისს არ ღირსებია თავისი გაზეთი. „შრომა“ ძალათი იყო, ხრიკიანი გზით მოსპობილი: გააუქმეს მისი ცენზურა ქუთაისში; გაზეთი უნდა გატარებულიყო უსათუოთ თბილისის ცენზურაში. თბილისელ ცენზორისაგან ამოშლილი ადგილების შევსება ყოვლად მოუხერხებელი ხდებოდა; გაზეთი წესიერათ ველარ გამოდიოდა; ხან დაგვიანებით, ხან ნაკუწ-ნაკუწათ; გაზეთის გამოცემა ყოვლად აუტანელ მძიმე პირობებში მოექცა, რის გამო იძულებულნი იყვნენ სრულიად შეეჩერებინათ იგი. „მთავრობას იგი არ აუკრძალავს, არ მოუსპია; იგი თავის ნებით შეჩერდა“—მთავრობას უმანკოთ გამოყავდა თავი. ამის შემდეგ ქუთაისს ქართული გაზეთი არ ღირსებია, როგორც ვთქვი. ახლა კი მიეცა ხსნა.

ქუთაისის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა მოიპოვა საღსარი და შეუდგა გაზეთის გამოცემას. გაზეთს ერქვა „კოლხიდა“. გაზეთმა მრავალი [illegible] ბრომლები შეიძინა, ბევრი გამოცდილი ლიტერატორი; და ამის გამო [illegible] ეთხველი. გაზეთს საკმაო გავრცელება ქონდა და კარგა ხანსაც იარსება.

სამი წლის, ქალაქის გამგეობაში, სამსახურის შემდეგ გადავედი შავი-ქვის მრეწველთა საბჭოში. აქაური მუშაობა სრულიად სხვა ხასიათისა იყო. ვიყავი საქმის მწარმოებლად—ჩაფლული ძველ და ახალ ქაღალდებში, მაგრამ ამას არათ ვაგდებდი. საბჭოში ყოფნა უკვე იმითი იყო კარგი, რომ საბჭოს შემადგენელობა იყო პირველ ხარისხოვან ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. თავმჯდომარეთ იყო გიორგი ზდანოვიჩი, მის მოადგილეთ—კიტა აბაშიძე. ზდანოვიჩის ავტორიტეტი აქ უსაზღვრო იყო. ყველანი ღრმა პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი მისადმი. მან ეს კარგათ იცოდა, მაგრამ თავდაჭერილი იყო და ყველას სადათ და სრული კეთილი განწყობილებით ეპყრობოდა. მას უკიდურესათ უყვარდა ის საქმე, რომლის სათავეში იდგა და გატაცებით მუშაობდა. ოცნებობდა—ჭიათურა გადაექცია სამაგალითო საჩვენებელ პუნქტათ, როგორც სამრეწველო ადგილი და როგორც მომავალი ქალაქი. მისი მუყაითობით იმ მოგების თანხიდან, რომელიც საბჭოს ქონდა, მოწყობილი იყო სასწავლებლები, მშვენიერი საავადმყოფო, საფერშლო პუნქტები; ოცდახუთი ათასი მანეთი ყოველ წლიურად გადადებული იყო მოსწავლეთა სტიპენდიებისათვის; დიდძალი ფული იხარჯებოდა გზების კეთებაში, წყალსადენისა და ელექტრონით დაბის განათებისათვის. აქ შემოღებული იყო მუშათა დამხლვევი კასსა; კასის პირობების გასაცნობათ დაიბეჭდა ცალკე წიგნაკი მუშებ შორის დასარიგებლად. მე მხვდებოდა ჭიათურაში ხან და ხან სიარული საბჭოს მდივნის მაგიერ და მქონია შემთხვევა ახლო მენახა ზდანევიჩის მუშაობა ჭიათურაში. მშვენიერი სანახავი იყო იგი მუშების წარმომადგენელებთა შორის, ნისი მუსაიფი მათთან, მუსაიფი გულწრფელი და მათთვის მზრუნველ ადამიანის. თავდაჭერილი, მშვიდობიანი რისხვა იყო როცა ააღელვებდნენ; ამ დროს იგი ნამდვილი მჭერმეტყველი იყო, ენა მახვილი, შეუბრალებელი შემმუსვრელის ამაღელვებელის. დინჯი, ოუჩქარებელი, გამჭრიახი გონების პატრონი, დიდათ განვითარებული; დიდი ავტორიტეტი ქონდა თავის თანამშრომლებთა შორის, რომელნიც განსხვავებული პატივისცემით და ნდობით იყვნენ მასთან. ფიცხი იყო, მაგრამ მის კეთილ გულს რომ იცნობდნენ ამ სიფიცხის დროს ჩადენილ გადამეტებას არათ თვლიდნენ, მით უფრო, რომ დაწყნარებული იგი თავათ ესწრაფებოდა გაფიცხებაში ჩადენილ შეცთომის გამოსწორებას. იგი სიყვარულით იყო შემოსილი იმ წრეში, რომელში მოხვდებოდა. მიშო ყიფიანმა მითხრა, რომ ციმბირში ყოფნის დროს ჩვენ და პოლონელ ციმბირელებს ჩხუბი მოგვდიოდა იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ზდანოვიჩი: პოლონელები თავგამოდებით აცხადებდნენ რომ ზდანოვიჩი მათია, პოლონელი; ჩვენი ქართველები გაცხარებით ვედავებოდით, რომ ზდანოვიჩი ჩვენია, ქართველია, ქართველი დედის შვილი. ცოცხალი ბუნების პატრონი. იგი სტუდენტობის დროს მჭიდროთ იყო ჩაბმული მოძრაობაში, თავგამეტებული მუშაკი იყო მთავრობის მოწინააღმდეგე წრეებში. როცა იგი დაიჭირეს ამ მუშაობისათვის, დაამწყვდიეს

პეტროპავლოვკაში. დედა მისი მივიდა პეტერბურგში და მოიწადინა მისი განთავისუფლება, ზდანოვიჩმა დედა მისს, რომელიც ღრმათ უყვარდა, გამოუცხადა რომ სამიდღემჩიოთ დამკარგაეო თუ შენ ვისმეს სთხოვ ჩემს განთავისუფლებას და ჩამომამორებ ჩემს ამხანაგებსო. გულდამწუხრებული დედა ამოსულ იყო დამორჩილებოდა მტკიცე განცხადებას და გულდამწვარი გამობრუნებულიყო სახლში. რუსეთის მოწინავე წრეებში დიდი სახელი და პატივისცემა ქონდა მას შეძენილი. ცხრაას სამში პეტერბურგში ბასეინის ქუჩაზედ საიდუმლო კრება იყო პოლინოვის ბინაზედ—ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოხსენებას აკეთებდა ბათუმის მუშების გასამართლების შესახებ, რომელთ ცხრაას ორში მოუხდათ ჯართან სისხლიანი შეტაკება; მოხსენებას დაესწრო მოწინავე ლიტერატორები, ვექილობა, ჟურნალისტიკა, საზოგადო მოღვაწეები. იმ დროს ზდანოვიჩი პეტერბურგში იყო ახალი ჩამოსული. კრებაზედ იგი მოგვიანოთ მოვიდა. თვალწინ მიდგას ის რომ შემოიყვანეს დარბაზში, და მოათავსეს სადაც უწარჩინებულესები ისხდნენ; ეს იყო საპარადო სვლა.

მის კაბინეთში ვის არ ნახავდით მოსალაპარაკებლათ მოსულს! სხვათა შორის მახსოვს ქუთაისში მას ესტუმრა სათათბიროს წევრი ცნობილი დეპუტატი შინგარიოვი, რომელიც კრავივით დაყვებოდა ზდანოვიჩს და თან ეცნობოდა აქაურობას. მახსოვს მის კაბინეთში მოუსვენარათ რომ მიდი-მოდიოდა კერენსკი. სხვათა შორის კერენსკისთან ლაპარაკი გაიმართა საქართველოს რუსეთთან დამოკიდებლების შესახებ; კერენსკიმ ისეთნაირი განწყობილება გამოააშკარავა საქართველოსადმი, რომ ზდანოვიჩს გული მოუვიდა და მკაცრათ უთხრა კერენსკის:

— ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, თუ თქვენ ამგვარ შეხედულებისა ხართ საქართველოზედ, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათ.

კერენსკიმ ჩალუნა თავი, ააპარპალა თავისი ბეცი თვალების ქუთუთოები და ბოდიშის მაგვარი სიტყვით ალაპარაკდა.

დევი კაცი მოკლე ხანში წააქცია ავადმყოფობამ. გულის გაგანიერებას დაერთო ტვინის ნერვების დაავადება, მოეშალა ლაპარაკის უნარი. 917-ში თვითმპყრობელობის დათრუგვნის მეორე დღეს, აუარებელი ხალხისაგან შემდგარი პროცესია მიადგა მის სახლს მისალოცავათ, მას გააგებიეს რაც მოხდა—ფანჯარასთან მომდგარი ავადმყოფი აღელდა, თვალები აევსო ცრემლებით და გული წაუვიდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდეც გამოეთხოვა წუთი სოფელს.

ამგვარივე დაუვიწყარი და შესანიშნავი პიროვნება იყო მისი მოადგილე კიტა აბაშიძე. ძვირათ მინახავს ისეთი სულით მაღალი, ნაზი, გრძნობით აღვსილი, ადამიანის მოყვარული, თავდადებული მუშაკი საზოგადო ასპარეზზედ, როგორიც იყო კიტა. განსხვავებული გულწრფელი ყოველ თავის სიტყვაში, თავის მოქმედებაში. ახლოს უნდა მისულიყავით მასთან. რომ გაგეგოთ და გაგეცნოთ მისი განსხვავებული ბუნება, მისი ღრმა ნაზი გრძნობიერება.

აკაკიმ შავი-ქვის მრეწველთა ყრილობას სთხოვა დაენიშნათ მისთვის პენსია, როგორც შავი-ქვის აღმომჩენისათვის. ყრილობამ აკაკის უარი უთხრა. უარი უთხრა იმიტომ, რომ მთავრობისაგან აღკრძალული ქონდა პენსიების და-

ნიშვნა. აკაკის დასაკმაყოფილებლათ საბჭომ სხვა გზა გამონახა ყოილობის მონდობილობით. აკაკის წინადადება მიეცა დაეწერა ისტორია „ბაკურ-ქვის აღმოჩენის შესახებ და პირველი მუშაობა. ნაწილ-ნაწილად წარდგენილ წერილებისათვის აკაკი მიიღებდა ყოველ წლობით ექვსას-ექვსას მანეთს. აკაკიმ იწყინა ეს და რაღაც მოსაზრებით კიტას დააბრალა, რომ მან ვითომ არ მოინდომა მისთვის პენსიის დანიშვნა, ხელი შეუშალა და ხდანოვიჩიც მიიმხრო ამაშიო. ბევრი არწმუნეს აკაკი, რომ კიტას არაფერი დანაშაული არ მიუძღვის მის წინაშე, რომ იგი მისი უმაღლესი მოსიყვარულე და მოთაყვანეა, მაგრამ აკაკი არა თუ ვერ შეაჯერეს—გაცხარებულმა წამოიძახა, რომ კიტა მისი მოთაყვანე კი არა, მისი შეურიგებელი მტერია, რომელს მისი მოკვლა სწადია. უნდა გენახათ ამის გამგონი კიტა! მის მწუხარებას, მის ტანჯვას სამზღვარი არ ქონებია; საოცარი სანახავი იყო კიტა იმ ხანებში. თვალებზედ მომდგარ ცრემლებით ის გულდაჩაგრული გვეუბნებოდა ხოლმე, როცა ვეხვეწებოდით ყურადღება არ მიექცია აკაკის ნათქვამისათვის, გულმოკლული გვეუბნებოდა —მე აკაკის მკვლელი?!.. რამ ათქმევინა ასეთი რამ? რამ აფიქრებინა?!... მე აკაკის მკვლელი!!...

ხალისიანი კიტა დაკარგული შეიქმნა. ვამშვიდებდით, ვაწყნარებდით; მაგრამ დიდხანს ისევ მოუსვენარი იყო, აღშფოთებული. ტანჯავდა მას გაცხარებაში წამონასროლი დაბრალება, დაბრალება რომ მას სწადდა მოეკლა თავისი საყვარელ სამშობლოს შვენება, ყველასთან ერთათ მისთვისაც უძვირფასესი, სათაყვანებელი არსება.

იშვიათი გულწრფელი, ღრმა გრძნობის მქონე ადამიანი იყო იგი და ეს აყვარებდა მას მის მცნობთ; ამასთანავე თავდაბალი.

— კიტა, რა კარგი იყავი, სიტყვას რომ ამბობდი! ეეტყოდით ხოლმე. იგი, სიამოვნების ღიმილით სახეზედ, გვიპასუხებდა— მათამამებთ, მასულელებთ! რა საქებარია!... ძლივს მოვუყარე თავი ორიოდე სიტყვას!

მებრძოლი იყო, მაგრამ პატიოსანი მებრძოლი. ადამიანს მის ღირსებას არ დაუკარგავდა. თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო ქუთაისის მარშლის დავით ნიჟარაძის, რომელი ხან და ხან ნამეტნავად იმერული ხოიკებით მოქმედობდა; მაგრამ აქ ბრძოლა იყო იმისთვის რომ ეს მოღვაწე სწორ გზაზედ მავლელად იძულებულ ეყო, ნიჟარაძე დასაკარგავი, ჩამოსაშორებელი პიროვნება რადგან არ იყო. იგი დიდათ გავლენილი პიროვნება იყო, იყო, რომ იტყვიან ავ-კარგი მოღვაწე. ბევრი ავი უთესია, თან ბევრი კარგიც გაუკეთებია. მის საღ, გამჭრიახ გონებას, მის ენერგიას, მის მედგრობას დიდათ აფასებდა და არა ერთხელ გამოუყენებია მისი მძლავრი ბუნებითი ნიჭი საზოგადო საქმისათვის.

კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელით მან მიმართა მრავლათ შეკრებილ საზოგადოებას კაფე „სამოთხეში", როცა პირველად აქ გამოვიდნენ დემონსტრაციით ახალგაზდა პოეტები—„ცისფერი ყანწელები". ბევრს არ მოეწონა ახალგაზდობის მედიდური დეკლარაცია, ლექსები მათ მიერ წაკითხული, მათი განმარტება თავიანთი ზრახვათა. შეიქმნა კამათი, შემდეგ ცხარე დაობა და დაბოლოს თავშეუკავებელი მიმართვა ზოგიერთი დამსწრეთაგან. და ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა მის

მიერ ნათქვამი სიტყვით, მის მიერ სიმპატიის გამოსახვით ახალ ძალებისადმი, მისი იმედიანობით და ნდობით ამ ახალ ძალებისადმი, მან დაამშვიდა აღელვებული შეკრებილობა და საყურადღებოთ გახადა ამ ახალგაზდათა მისწრაფება და სურვილი. მას ღრმად ახარებდა ახალი ძალების გამოჩენა, გამოსვლა და ამუშავება.

დაუღალავი მუშა, იგი თავის თავზედ იმდენს არ ფიქრობდა, რასაც საზოგადო საქმეზედ. თავის დაზოგვა მუშაობაში მისთვის გაუგებარი რამ იყო, სრულიად არ ეგუებოდა მის ბუნებას და ამან კიდეც მოუსწრაფა სიცოცხლის დღენი. სეიმის დროს იგი განათლების კომისარი იყო—ავად შექმნილი იგი ჩარგული იყო დაუთავებელ სამუშევარში.

— ბატონო თეკლე ნუ გამოახედებთ გარეთ კიტას! ვეხვეწებოდით მის მეუღლეს—ნუ გამოახედებთ გარეთ სანამ არ მოჯობინდება!... არ შეიძლება ასეთი თავ დაუზოგველობა!

ამ თავდაუზოგველობამ, შეუწყვეტელმა მუშაობამ თავისი ქნა—უდროოთ მოუსპო სიცოცხლის დღენი, ჯერ კიდევ ახალგაზრდას, ენერგიით სავსეს, ცოდნით აღჭურვილს, თვალსაჩინო მოღვაწეს.

* * *

ცხრაას თოთხმეტში ქუთაისის მაზრის ზედა ნაწილში საშინელი შიმშილობა განიცადა ხალხმა. ასეთი გამწარება ხალხის ჯერ არასოდეს არ მენახა. მოუსავლობით გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხი დარბოდა, დაწრიალობდა ტომრით იღლიის ქვეშ, რომ ეგებ სადმე სიმინდის მარცვალი ეშოვნა. წარმოუდგენელი საცოდაობა ტრიალებდა.

ერთ დილას ჩემი ბინის კარებთან აუარებელი ხალხი მოჰლვავედა, ტომრებით.

— გვიშველე ბატონო, გვიშველე ღვთის გულისათვის! გამწარებით შემომძახეს როცა მათთან გავედი.—ვიხოცებით, ესენი სულ ჩვენი სოფლელები იყვნენ. მათმა საცოდაობამ გული ამიდუღა. წინადადება მივეცი ამოერჩიათ რამოდენიმე კაცი, რომელთ მე წავიყვანდი მაზრის უფროსთან, რომ მას ეზრუნვა ამათთვის დაარსებულ დამშეულთა დამხმარე კომიტეტში; სხვებს უნდა მოეცადათ ჩვენს დაბრუნებამდი ქუჩაში. წავედით მაზრის უფროსთან სამაზრო სამართველოში; დანარჩენებმა ვერ მოითმინეს და უკან გამოგვზდიეს.

მაზრის უფროს ეწყინა ჩვენი მისვლა—მიმართვა და დაინახა რა მრავალრიცხოვანი ხალხი უკმაყოფილობით მითხრა:

— რას მომასიეთ ეს ხალხი! რას გამოელიან?!...

მეწყინა ასეთი უგულოთ მიღება, ასეთი გულცივობა ამ გაჭირვებულ ხალხისადმი და გაჯავრებით მიუგე:

— როგორ თუ მოგასიეთ! მესაყვედურებით? ამათ ჯერ სამათხოვროთ არ უვლია, მათხოვრობას შეჩვეული არ არის, მაგრამ დღევანდელმა გამწარებამ ტომრები ამოაღლიავებინა დღეს. თუ თქვენ არ გინდათ დაინახოთ და მიეშველოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ, რაც თქვენ მოვალეობას შეადგენს, აღარ შეგაწუხებთ და მივეჩქარები ეფერო გულშემატკივარ დაწესებულებასთან.

— რა გნებავთ ჩემგან? სულ სხვა ქილოთი მომმართა მან.

— მიეშველოთ ამ გამწარებაში მყოფ ხალხს! სიტყვა მოჭრით მიუგე.

— მობძანდით! და თავის კაბინეთში შემიყვანა. სულ მალე ხანში მოეწყო საქმე: წინადადება მიეცა ერთ მომრიგებელ მოსამართლეს გამგზავრებულიყო ჩვენს სოფელში, შეედგინა დამშეულთა სია და საჩქაროთ წარმოედგინა იგი, რომ დროზედ მიწვდენოდა სოფელს საჭირო სურსათი. რომ მომრიგებელ შუამავალს არ გადაეედო წასვლა სოფელში მე გავსწიე მასთან. სოფლიდან ჩამოსული ხალხი უკან დამედევნა. შუამავალი კიდეც შიშში ჩავაგდეთ ჩვენს დანახვაზედ. თავაზიანი კაცი აღმოჩნდა. მეორე დღეს დილით სოფლისკენ გავეშურეთ, აწერილობით საჭირო იყო სულ უკანასკნელი თვრამეტი ათასი ფუთი სიმინდი რომ შეტანილიყო სოფელში. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა წინადადება მოგვცა რამოდენიმეთ შეგვემცირებინა ეს რაოდენობა; ხელმეორეთ მოგვიხდა სოფელში წასვლა. დავიყვანეთ თოთხმეტ ათას ფუთამდი, რაც საგუბერნიო სამართველოს მრჩევლის კოტე გოცირიძის შემწეობით ორი კვირის შემდეგ მიეცა სოფელს.

პეტერბურგიდან დამშეულთა შესაწევრათ მოვიდა ათი ათასი მანეთი, რითაც ნაყიდი იყო სენაკის მაზრაში დიდძალი პარტია სიმინდის. რიგდებოდა იგი ქუთაისში. საზარელი სურათი იშლებოდა თბილისის ქუჩაზედ სადაც მოწყობილი იყო დამარიგებელი პუნქტი. ქუჩა გაჭედილი იყო სოფლიდან ჩამოსული ხალხით; დედა-კაცები, მამა-კაცები, მოზრდილები ყველა დალონებული, დაღვრემილი სახის გამომეტყველებით იდგნენ, ისხდნენ, მწარედ შესჩიოდნენ ერთმანეთს თავიანთ მწარე მდგომარეობას; ხშირი იყო ტირილი, თითო პეშვი სიმიდი რამეთ მიაჩნდათ. მახსოვს ერთხელ როცა სიმიდის პარტია გამოილია, გამოუცხადეს მომდგარ ხალხს, რომ სიმინდი დღეს აღარ იქნება. იატაკზედ მხოლოდ მტვერი ეყარა; ხალხი ვერ შევაჯერეთ; იძულებული ვიყავით კარები გაგველო და საწყობში შემოგვეშვა ხალხი. შემოხეთქილი ხალხი ეცა ამ მტვერს, ათრთოლებული ხელებით ხვეტდა ამ მტვერს, რადგან მასში იქა-აქ მოინახებოდა სიმინდის მარცვალი და გაფაციცებით ყრიდა ტომარაში; შეიქმნა ყვირილი, შეცილება, ჭიდილი—ისე ასწმინდეს იატაკი თითქო ცოცხით გაეხვეტათ. ისმოდა საზარელი ტირილი დედაკაცების, რომელნიც ხელცარიელნი უნდა გაბრუნებულიყვნენ უკან სახლში.

ეს იყო საზარელი დღეები, უკიდურესი გაჭირვების დღეები. თითქო დასაწყისი იმ ზედმეტ გამწარებისა, რომელიც ელოდებოდა წლინახევრის შემდეგ საშინელ ომის სახით.

ცხრაას თოთხმეტი წელი მეტად აღელვებით მიმდინარეობდა; ყველა რაღაც უბედურების მოლოდინში იყვნენ და უბედურებით დათავდა კიდეც. სარაევოში ავსტრიის კრონპრინცის ფერდინანდის და მისი მეუღლის მოკვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა რომ იფეთქა საერთო ომმა. საომრათ ხვეტავდნენ ყველას—ჯარისკაცებს ორმოცდა სამ წლამდი, აფიცრობას—ორმოცდა თოთხმეტ

წლამდინ. მეც, როგორც არა ორმოცდათოთხმეტი წლისან მხვდა სამსახურის განახლება. ის იყო მძიმე ავადმყოფობა გამოვიარე, ისე რომ ჩემი ზეზე ადგომის იმედი ექიმებსაც დაკარგული ქონდათ. გამოვედი საავადმყოფოდან თუ არა მესამე დღეს უწყება მომივიდა სამსახურში გამოცხადებულიყავ. ვინიშნებოდი სათადარიგოთა დრუჟინის უფროსათ, რომელიც უნდა შეკრებილიყო ახალ-სენაკში. ახალმა ნაავადმყოფარმა გავსწიე დანიშნულ ადგილისკენ. რამოდენიმე დღის შემდეგ იწყეს მოსვლა საომრათ გამოწვეულებმა. ჩემი დრუჟინა სდგებოდა ნახევრად ქართველებისაგან (სენაკის, ზუგდიდის მაზრებისა, სამურზაყანო და სოხუმის ოლქისა) ნახევრად რუსებისაგან ყუბანის ოლქიდან. დღე დღეზედ დრუჟინა იზრდებოდა: მოდიოდნენ ჯარისკაცები, მათი ჩასაცმელ დასახურავი, საომარი მოწყობილობა, საზიდები, ცხენები. მუშაობა დაუთავებელი. ოფიცერთა შემადგენელობიდან მხოლოდ ოთხი გამოცხადდა, თბილისიდან კი მუდამ დღე ახალი ბრძანებები, სასტიკი დასჯის მუქარით, თუ დაუყონებელ შესრულებული არ იქნება ბრძანება სათანადოთ და საჩქაროთ. ერთ ამგვარ დეპეშის მიღების შემდეგ ვრცელი საპასუხო დეპეშა გავუგზავნე გენერალ მიშლაევსკის, დეპეშა რომლით ვაცნობებდი საშინელ გაჭირვებას დრუჟინის მოწყობის საქმეში, ვაცნობებდი ყოველ დაბრკოლებას რაც მხვდებოდა საქმის წესიერად წასაყვანად. სამხედრო უფროსმა, რომელს გავაცანი ჩემი დეპეშა მითხრა რომ მე პასუხისგებაში ვიქნებოდი მიცემული და მძიმეთ დავისჯებოდი ამგვარი მინაწერისათვის. მაგრამ ეს არ გამართლდა. წინაალმდეგ—ყოველი ჩემი მოთხოვნა დაუყონებლივ შესრულებული და დაკმაყოფილებული იყო.

ნახევარი წელიწადი თითქმის ვიდექით ახალ-სენაკში. ცხრაას თუთხმეტის დასაწყისში სამწუხარო ამბავი მოეფინა საქართველოს—მიიცვალა დიდებული აკაკი. მეც მომეცა საშვალება დავსწრებოდი დიდებული მგოსნის ჩასვენებას თბილისში. სადგურ შორაპნიდან დანიშნული იყო საგანგებო მატარებელი. სადგურებზედ აუარებელი ხალხი ხვდებოდა მიცვალებულს, ყველგან—ღრმა მწუხარება, გულითადი პატივისცემა.

მატარებელში ამ შემთხვევამ თავი მოუყარა მრავალ ჩვენ საზოგადო მოღვაწეს. ჩამოვარდა სიტყვა ომის მიმდინარეობის შესახებ. აქედან მალე სიტყვა გადავიდა საკითხზედ, თუ რის მომლოდინე უნდა ყოფილიყო საქართველო, რა ბედი ეწეოდა ამა თუ იმ მხარეს გამარჯვება—დამარცხებისაგან. გაიმართა ნამდვილი თათბირი. მონაწილეობას ღებულობდნენ ნიკო ნიკოლაძე, ნიკო თავდგირიძე, ნოე ჟორდანია, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ევ. გეგეჭკორი და ბევრი კიდევ სხვა. ნიკო ნიკოლაძე გამოსთქვამდა იმ აზრს, რომ ჩვენი მდგომარეობა უნუგეშოა, ეს გაიმარჯვებს თუ ის, ჩვენ მაინც უყურადღებოდ ვიქნებით დატოვებული, რადგან ჩვენ არ გვაქვს არაფერი ისეთი, რომ ჩვენით დავაინტერესოთ რომელიმე მხარე, და ჩვენი ლამაზი თვალებისათვის ჩვენთვის თავს არავინ გამოიდებსო. უმეტესობა ამ აზრს ემხრობოდა და გამოთქვამდენ თავიანთ უნუგეშობას. მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობდენ თითქმის ყველა მაშინდელი პარტიების მთავარი წარმომადგენლები, რის გამოც ვაგონი გატენილი იყო ხალხით, რომელი გაფაციცებით ყურს უგდებდა ისეთ არაჩვეულე-

ბრივ შეკრებილობაზედ ნათქვამს. მოულოდნელად გამართული თათბირი გაგრძელდა თითქმის თბილისამდი. ეს იყო პირველი მშვიდობიანი თათბირი პარტიათა წარმომადგენლების მწყავე საკითხზედ—რა მოელოს საქართველოს ომის დათავების შემდეგ, რისი იმედით, და ვისი იმედით უნდა ყოფილიყო იგი.

საღამო იყო მიცვალებული მგოსანი რომ ქვაშვეთის ეკლესიაში მივასვენეთ. მეორე დღეს უამრავი დეპუტაციების და ხალხის თანადასწრებით ცხედარი გამოასვენეს დასაკრძალავათ მთაწმინდაზედ. ერევნის მოედანზე ამართული იყო ტრიბუნა სიტყვის წარმომთქმელთათვის. პირველი სიტყვა აქ წარმოსთქვა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც სთქვა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვს შეიქმნას შტაბი, შტაბი რომელი განაგებს და უხელმძღვანელებს ამ გართულებულ მდგომარეობაში მყოფ ერს, როგორც დღეს ჩვენ ვართ. მშვენიერი სიტყვით გამოვიდა ბაქოდან ჩამოსული დეპუტაციის წევრი ტობჩიბაშევი, რომელმა საუცხოოთ დაახასიათა ქართველი ერი, სხვათა შორის მან სთქვა—მოვიყვან რუსულათ ამ სიტყვებს:

— ვი მალენკი ნაროდ, ნო ვი ველიკი ნაროდ! ვი ტოტ ნაროდ, კოტრი გოვორიტ: ქივი ი ჟიტ დავაი დრუგიმ!

ეს დიდებული დახასიათება იყო ქართველი ხალხის, რომელს სწყურია სიცოცხლე და თან მოითხოვს სხვათაც ეცხოვროს, რომელს სწამს, რომ დადგება დრო როცა იგი, არც ვის ემონება, არც ვის იმონებს. განსხვავებული ლამაზი სიტყვა იყო წარმოთქმული კიტა აბაშიძისაგან, სიტყვა არა ჩვეულებრივი ლამაზი ფორმით და შინაარსით.

დაკრძალვიდან დაბრუნებულმა სენაკში, რამოდენიმე დღის შემდეგ ბრძანება მივიღე ჩემი ნაწილით გავმგზავრებულიყავი ბათუმში გენერალ ლიახოვის განკარგულებაში. ბათუმში ჩასვლის ორი დღის შემდეგ გაგვამგზავრეს ფრონტზედ ართვინისკენ. საღამო იყო ბორჩხას რომ მივაწიეთ, სადაც შტაბი იყო ჭოროხს გადმოლმა მომქმედ ჯარების. ამ ჯარების უფროსი იყო ვინმე გენერალი ბილერი. გამოვეცხადე თუ არა, იქვე მისგან ბრძანება მივიღე—ჩემი ნაწილის გუნდები გამეგზავნა დანიშნულ ადგილებზედ; მიუხედავად იმისა რომ ღამდებოდა გენერალი დაჟინებით, მუქარით მოითხოვდა რომ, დაუყონებლივ წასულიყვნენ დანიშნულ ადგილებზედ; ეს ადგილები კი უდაბურ ტყეებში იყო, მთებში. ორ გუნდს მაინც ნამეტახი ცუდი გზა ხვდებოდა, როგორც ეს მეორე დღეს ვნახეთ; გენერლის ბრძანებას გადუხვიეთ.—გავშორდით შტაბს და დავბანაკდით; რომ ასე არ გვექნა ღამეში მივადგებოდით წყალს და ბნელაში უსათუოთ მოწინავეთაგან რამოდენიმე კაცი გადაგვიარდებოდა წყალში და დაგვეღუპებოდა. დღისით საშიშარი სავალი გზა იყო, ღამეში ვინ იცის ოა შეგვემთხვეოდა. ჯარების უფროსი გენერალი მეტის-მეტი ახირებული პიროვნება იყო. მტერი ძლიერ შორს იყო, მაგრამ ეს ისე იქაჩებოდა, თითქო გაცხარებულ ბრძოლაში ყოფილიყო.

მან ზარბაზნებით ჩაიარა ბათუმიდან ბორჩხამდინ და გახიზნულ მცხოვრებთა მიტოვებულ სახლებს ამსხვრევდა და ანადგურებდა ყუმბარებით. ძლევა მოსილმა ამ დაცარიელებულ მხარეს მიაღწია—ბორჩხას, ლიახოვს წარუდგინა

ერცელი მოხსენება თავის მოქმედების შესახებ და ითხოვდა, მისე ვეარისთვის როგორც ჯილდო, მიემატებინათ „ზაჩოროხსკი“ მიეთვისებინა ვეარათ „მილერ-ზაჩოროხსკი“ მზგავსათ—პასკევიჩ-ერევანსკი, დიბიჩ-ზაბაიკალსკი და ამგვაოები. წმინდა მასხრობა იქნებოდა ასეთი თხოვნის დაკმაყოფილება და გენერალი მშრალზედ დარჩა.

საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარის წყლიდან დაწყებული. უკან დახევაზედ ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. შემდეგ აქ გადაიარა რუსის ჯარმა—კაზაკ-პლასტუნებმა, განთქმულმა თავიანთი მხეცობით, შეუბრალებლობით და მცარცველობით. ამათ სულ ერთიანათ მოფშვნეს ღვთის ანაბარად მიტოვებული სოფლები; იყვნენ გაუმაძღარ ცარცვაში—საცარცვავი კი ბლომათ იყო, რადგან გარეკილი მცხოვრებლები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ მთლათ თავიანთი ავლა-დიდება, თავისი ქონება. ცარცვას არ სჯერდებოდნენ პლასტუნები, შეუბრალებლად აქცევდნენ სახლებს სწვავდნენ რაც საუკეთესო შენობები იყო; საზარელ სანახაობას წარმოადგენდა ეს ჩაყრუებული, ჩადუმებული, გადამწვარი სოფლები. შეიხედავდი დანგრევას და ცეცხლ გადარჩენილ სახლში: აყრილი იატაკი, მილეწილი კედლები, ყრია ძონძები, ტანისამოსის ნაფლეთები, ბევრგან დამტვრეული აკვნები, ეზოში კარებ ჩამოგლეჯილი ბეღლები, გარშემო მიბნეულ-მობნეული სიმინდის მარცვალი, ლობიო; იქვე თუთუნის საშრობები, გამოტანილი გასაშრობათ ჩამოკიდებულ თუთუნის ფოთლებით. თუთუნი წაღებულია უამრავი, მაგრამ მაინც კიდევ ბევრია დარჩენილი. არავითარი ჭაჭანება ადამიანის. ეგერ-ეგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ღმუილი, საზარელი ღმუილი, გულის მომკვლელი. შეწუხებული ამ სანახაობით უნებლიეთ ეკითხებოდი შენს თავს სადაა ეს ამოდენა გარეკილი ხალხი, სად ყრიან? ესათუოთ ყრიან ეს საცოდავნი დედა-კაცები, მამა-კაცები, მოხუცებულები, აკვნებიდან ამოღებული ბავშვები!

ამ სურათის მნახველს ღრმად შეგეზარებოდა ომი, სავსებით წარმოგიდგებოდა მისი საშინელება, მისგან, წარმოუდგენელი ადამიანის გამხეცება. ბორჩხის კომენდანტი მეუბნებოდა, რომ სახლები ნგრევას ვერ გადავარჩინეო, დაბოლოს ვიფიქრე რუსის ხალხი ჯვარს პატივს სცემს და ერთ სახლზედ მივაჭედვინე დიდი ჯვარიო; მეგონა მოერიდებოდნენ და შენობას ხელს არ ახლებდნენ, იმედი ტყვილი გამოდგა—შენობა მაინც დაანგრიეს, ტყვილა უბრალოთ, დარჩა მხოლოდ ალმართული ჯვარიო.

სწორ ადგილას ნაჩვევი ყუბანის ოლქიდან მორეკილი ჯარისკაცები პირდაპირ ტიროდნენ ამ მთა გორებზედ ხეტიალისაგან. მათში არავითარი სიხალისე, ომისათვის განწყობილება. ერთმა უფროსმა უნტერ-ოფიცერმა დაუფარავათ მითხრა: რაა თქვენო მალალკეთილშობილებავ, მიგვათრევთ და მიგვათრევთ წინ, მტერს გვაახლოებთ!

— აბა რისთვის ხარ გამოწვეული? შეუტიე,—შენ უნტერ-ოფიცერი ხარ, მაგალითს უნდა აჩვენებდე, შენ კი ტირი—არ ხრცხვენია?!.. შეხედე, აი ეგერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბუნია თავის სურვილით მიდის მზვერაველებთან დასაზვერავად. შენზედ უფრო ახალგაზრდა არის გაბუნია!

— სჩანს გაბუნიას თავის სიცოცხლე არათ მიაჩნია! წამოიძახა ზუბაკოვმა-

ერთი პორტ-არტურში ნამყოფი მშვენიერი ჯარისკაცი ამბობდა:—ასე გათავდება თუ ისე ეს ომი ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება!

— როგორ? შევეკითხე.

— ბატონო მე პორტ-არტურელი ვარ, რა არ გამოვიარეთ იმ დასაქცევში, მოვაწიე სახლამდინ გაჭირვებით; შვილები წამომეზარდნენ, არ მინდოდა უსწავლელნი დამერჩინა; მივიყვანე სოფლის სასწავლებელში—არ მიიღეს, უარი მითხრეს, ადგილი არ არისო; ისევ მე გავიჭირე საქმე და ძლივს ცოტაოდენი წერა კითხვა შევასწავლე. არავინ არ მომხედა. ახლაც ასე იქნება, ჩვენთვის არაფერი სიკეთე იქნება, არაფერი!

— ნუ მისცემთ ნებას ასე გექცეოდნენ! თქვენი ბრალია!

— მაინც, მაინც!.. ჩვენი ბრალია!

მუდამ ისმოდა წუწუნი, რომ საჭიროა უფრო ახალგაზდები გამოგზავნონ და ხნიერები შეცვალონ, რომ ხნიერებს არ შეუძლიათ ერთნაირათ ახალგაზდებთან სწორი სამსახური. ჯარების დასახედავათ მოსულ გენერალს გადავეცი ხნიერ ჯარისკაცების თხოვნა, რომ მას მოესმინა მათი სათხოვარი. გენერალი ურიგო კაცი არ იყო, გამოელაპარაკა ჯარისკაცებს და შეპირდა, რომ მოახსენებდა მათ თხოვნას ბათუმში გენერალ ლიახოვს. გენერალმა კი მოახსენა ლიახოვს, მაგრამ მან მეტად იწყინა ასეთი განცხადება და საყვედური გამოთქვა ჩემზედ, რომ სათანადო გავლენა ვერ ვიქონიე, ასეთ განწყობილებას ადგილი რომ არ ქონოდა ჯარისკაცებში. თითქო მე მძლეთა-მძლე ვიყავი!

ჩვენი პირდაპირი უფროსი გენერალი „ხაჩოროხსკი", დიდ გულადობის გამოჩენას ეპირებოდა და უცნაურად ფაფხურობდა. მტრის ხაზი დაშორებული იყო სულ უკანასკნელი სამოც ვერსზე. ჩვენსა და მათ შორის ისეთი მთები, უბსკრულები და ჩაჩეხილი ადგილები იყო, რომ ადამიანი ძლივს წარმოიდგენს. შტაბი ძინსულში იყო, ჩავარდნილ ადგილას. გენერალი შმოთავდა რომ ფანჯრებიდან სინათლე არ ყოფილიყო, მტერს არ დაენახა ჩვენი მდგომარეობა—ეს სამოც ვერსიდან. გენერლის ჯინაზედ, მისდა გასახელებლად ხან იქ, ხან აქ ჩამოხსნიდნენ ხოლმე ფარდებს, ცოტა ხნით გაანათებდნენ—გენერალი ირეოდა და არბენინებდა ჯარისკაცებს სინათლე ჩაექროთ. ეს ერთგვარ გასართობ საგნათ გადაგვექცა და ბავშებივით ვერთობოდით გენერლის გახელებით.

ვიყავით ჩამჯდარი ამ უდაბურ ადგილებში. წინ ვერც ჩვენ წავიწევდით, ვერც მტერი წამოიწევდა ჩვენსკენ. თითქმის ყოველ დღე, უთენიისას უნდა შევმჯდარიყავი ცხენზედ და ცხენოსან ჯარისკაცის თანხლებით უნდა შემომევლო გუნდები. დავბრუნდებოდი დაღამებულზე, დაღალულს დაგხვდებოდა აუცილებელი მიწერ-მოწერის ქაღალდები. გადასულ შუაღამემდი ამას უნდებოდა ხანმოკლე დასვენება და უთენიას—ისევ ცხენი და გუნდებში გამგზავრება.

— გვიკვირს ყველას, რაობით უძლებთ ამდენ სიარულს—მითხრა ერთხელ მიმყოლმა ორდინარეცმა.

— უნდა გაუძლოთ, პეტროვსკიო, უნდა გაუძლოთ! უთხარი.

ჯარისკაცები, რამდენათ შეიძლებოდა, კმაყოფილი მყავდა; გენერალი კი ყოვლად შეჩვენებული არსება რამ იყო და რაც დრო გადიოდა, ... საჩხუბარი რამ ჩნდებოდა მასთან. ჩემი დაურიდებელი სიტყვა ... ...

ყვანაო! კარგი ქენი რომ ჩვენთან არ წამოდი! მომიყვა დახრჩობას გადარჩენილი მღვდელი.

ბედმა აქაც შემეწია თორემ მღვდლის რჩევას რომ ,,ბენკლერდი" პორტუგალით წამოვსულიყავი უეჭველათ დავიღუპებოდი.

ბათუმიდან პირანიტში ზღვით წასვლას ვარჩიე ცხენით წასვლა. გადავიარეთ დანგრეული, მიყრუებული სარპა, მაკრიალი, ლიმანა; გადავცილდით ჩვენს სამზღვარს, ჩევედით მშვენიერ სოფელ აბისლაში, რომელში იქა-აქ თავის ადგილას შერჩენილიყვნენ მცხოვრებლები. გავიარეთ ორთა ხოფა, ხოფა სადაც ნაკლები ნგრევა ემჩნეოდა. მცხოვრებნიც ეტყობოდა, ისე არ გარეკილიყვნენ თავიან საცხოვრებლიდან, როგორც ეს წინა სოფლებში იყო. ხოფში—ბლომად დუქნები სხვადასხვა სავაჭროებით. ეს საბაზრო დაბაა იმ არე მარესი. აქედან პირანიტი ექვსი ვერსტია.

საღამო ჟამი იყო პირანტში რომ მივედით. ჩემი მოგზაურობა სუსხიან სიცივეში, ზღვის ნაპირზედ ძვირად დამიჯდა. მეორე დღესვე ავათ გავხდი და ისეთი, რომ იძულებულნი იყვნენ ბათუმში ჩავეყვანეთ გემით საავადმყოფოში მოსათავსებლათ. თვეზედ მეტი გაჭირვებული ავადმყოფი ვიყავი. ბედმა მიმატანებია ჩემს ძვირფას მეგობარ ექიმთან, კონდრატი მხეიძესთან, რომელმა თავისი ძმური მოვლით სიცოცხლე დამიბრუნა და გადამსცა სამხედრო საავადმყოფოში ექიმ ალექსანდრე ქუთათელაძეს, რომელმა მეტად დიდი ამაგი დამდო ჩემს საბოლოოთ გამოჯანსაღებაში.

წელიწადნახევარი დაეყავი პირონიტში. აქ აუარებელი ჩვენებურობა იყო—მუშა ხალხი გზების გაყვანაზედ მომუშავენი, აქვე იყვნენ წვრილი ვაჭრებიც. მოკლე ხანში ადგილობრივი მცხოვრებნიც გავიცანი—აქაურები ლაზები იყვნენ.

მახსოვდა ზაქარია ჭიჭინაძისაგან გაზეთში მოთავსებული ცნობა, რომ სოფელ აბუისლაში განძრახვა ქონებიათ მცხოვრებლებს ქართული სკოლა დაეარსებინათ და ამას მეთაურობდა აბუისლელი მცხოვრები ჰასან ჰუსეინ აშივ ოღლი. მოვიკითხე ჩემს ნაცნობ ლაზებში ეს აშივ-ოღლი, მითხრეს არის ამისთანაო და შემპირდნენ რომ მოგიყვანთო.

ერთ დღეს მაცნობეს, რომ თქვენგან დაბარებული კაცია აბუისლიდანო. უთხარი შემოეყვანათ.

შემოვიდა შუახნის, ლაზურათ გამოწყობილი, მოკლე წვერით სასიამოვნო სახის კაცი. ეს იყო ჰასან ჰუსეინ აშივ-ოღლი.

— დაბძანდით! ქართული თუ იცით? არ ცოდნია.

ბედათ ჩემთან იმ დროს იყო მეგრულის მცოდნე პირი და თარჯიმნათ დავაყენე. ჩემმა სტუმარმა მომიყვა რომ, მართლადაც მათ აბუისლელთმა გადასწყვიტეს ქართული სკოლის გახსნა, ქართულის სწავლა, რადგან ქართველები ვართო, ვიცითო. შეუგროვებიათ შვიდასი მანეთი და სტამბოლში გაუგზავნიათ კაცი რომ ნებართვა აეღო სკოლის გასახსნელათ, საქმე ახლა შეფერხდა, რადგან ომი ატყდაო და ამისთვის აღარავის ცალიაო.

ქართული აქ საკმაოთ გავრცელებულია; შეხვდებით ისეთ მოქართულეს

რომ პირდაპირ გაოცდებით. ჩემი ბინის მახლობლად ცხოვრობდა მოხუცებული ვინმე მუსტაფა ბექირ-ოღლი; იგი ამბობდა, რომ ნამდვილი მისი გვარი ბექირ-ოღლი კი არ არის ჩხეიძეაო. მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდი, რომ მისი შშვენიერი ქართული მოგვესმინა.

განსხვავებული სიამოვნება გამომაცოცხლა ერთ დღეს ჩემთან ვიზით მოსულმა სოფელ ფალარგეთის მცხოვრებმა ჰასან დაირ-ოღლიმ. ეს იყო უკვე შეხნიერებული კაცი, მაღალი მოხდენილი, მეტად ლამაზი სახის; დარბაისელი; საოცარი შნოიანი ყოველ მის მიხვრა-მოხვრაში; მისი ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო—ეს ნამდვილი მუსიკა იყო. ამასთანავე ენამახვილი, სიტყვა მოსწრებული. დიდათ გამახარა ამ მოხუცის გაცნობამ, რაც შემეძლო პატივი ვეცი მასაც მის მხლებლებსაც და ვთხოვე არ დავეგვიწყებინე. ჩვენ კარგი მეგობრები შევიქენით. იგი ნამყოფი იყო გურიაში; დიდ პატივნაცემ იყო ერისთავებში და ნაკაშიძეებში. საზოგადოთ აქაურებმა კარგათ იციან ქართული, რადგან ხშირი მისვლა მოსვლა აქვთ დასავლეთ საქართველოში, როგორც მოვაჭრეებს, დურგლებს, მეფუტნეებს. ენა მათი იგივე მეგრულია.

ბათუმში ჩასვლისას იქ მოველაპარაკე საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელებს, რომ მოეყვანოთ ლაზისტანის სოფლები და საზოგადოების თბილისელმა მთავარმა გამგეობამ კიდეცვე გამოგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით რომ მიეარ-მოეარა სოფლები და გაეოერკვია მცხოვრებთა მიმართულება. კობახიძე ჩამოვიდა ჩემთან პირონიტში და აქედან მიდი-ბოდიოდა სოფლებში. დიდათ კმაყოფილი ბრუნდებოდა იგი ხოლმე და აღტაცებით ყვებოდა ლაზებთან ნალაპარაკების შესახებ. ზოგ სოფელში ასეთ რამესაც ქონია ადგილი: სახლში, სადაც კრება იყო, შუაზედ ჩამოკიდებდნენ საფარებლებს, რომ ქალებსაც მისცემოდა საშვალება მოესმინათ საფარებელს ამოფარებულთ კობახიძის სიტყვა. კობახიძე უყვებოდა თუ ვინ იყვნენ ლაზები, აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდ ინტერეს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში.

ერთხელ განსხვავებული საუბარი მომივიდა. მაცნობეს ვილაც თქვენ გკითხულობსო; გამოვედი ოთახიდან, ჩემა წინ იოსებ ყიფშიძე—მოგზაურის ტანისამოსში, ზურგზედ პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

— იოსებ! მივაძახე გაკვირვებულმა—იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან, ფეხით პატოსია, სამგზავრო ტვირთის მზიდავის თანხლებით. იგი მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესასწავლის მიზნით. მთხოვა მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებანი. მოვიხმე თავდაპირველად მოხუცი მუსტაფა. მუსტაფას ხან ქართულათ, ხან მეგრულათ გამოელაპარაკა; გულიანი მუსაიფი გააბეს, მაგრამ როცა იოსებმა იყწო წერა, მუსტაფა რაღაც შიშს მიეცა, ჩაჩუმდა და ითხოვა განთავისუფლება—ავათ შევიქენიო. მოხუცებულს შიში შეეპარა არაფერ სახიფათოში გეებათ და ვერას გზით წინანდელ ხალისზედ ვერ მოვიყვანეთ. გავსწიეთ ზღვის ნაპირზედ დუქნებისკენ: აქ გამოვა-

ტანიე მაგიდა, დავაჯინე იოსები. შემოუსხი ლაზები და გაიმართა საუბარი. ლაზები გაკვირვებას იყვნენ ყიფშიძის ლაზური კილოკავებეს ზედმიწევნილ ცოდნით: თქვენ პირონიტულები ასე ხმაროობთ ამ სიტყვას, [illegible] იციანო ვიწები ისე ამბობენო, სოფლები კი ამგვარათ გამოთქვამენო.—შეყრილი ხალხი ისე დააინტერესა, ისე ჩაიყოლა, შეახალისა რომ პირდაპირ საყურებელი რამ სურათი იყო:—გატაცებული მეცნიერი ამოძრავებულ ხალხის შორის. მეორე დღეს ყიფშიძე შევაჯინე ცხენზედ, გავაყოლე კაცი და გავამგზავრე, როგორც მას უნდოდა ხოფაში, კვლევის გასაგრძელებლად, თან წერილი გავუგზავნე ჩემს კარგ მეგობრებს კელენჯოლლებს და ინერიაზაკ-ოღლს რომ ხელი შეეწყოთ იოსებისათვის. ხოფაში და მის მიდამოებში ყიფშიძე ერთი კვირა დარჩა, გაფაციცებული მუშაობდა და დიდი პატივისცემა მოიპოვა მცხოვრებლებში.

საუბედუროთ ასეთი კარგი შემთხვევები იშვიათი იყო. უფრო ხედავდი საძაგლობას და საზიზღრობას, ნამეტურ როცა დაიწყეს ბრიყული საქმე—ბათუმ-ტრაპეზუნდის რკინის გზის გაყვანა ზღვის ნაპირით. იქამდისინ, აკვდებოდნენ ფართო საავტომობილო გზის გაყვანას ტრაპიზუნამდი; როგორც იყო გაიყვანეს კიდეც, მაგრამ გზა რამოდენიმე ადგილას შეაგდეს ისეთ მწვერვალებზედ, რომ ნოემბრიდან გაუკვალავი თოვლი ეყრებოდა და გზა იკეტებოდა. გამოჩნდა, ალბათ არა სრული ჭკუის პატრონი კაცი, როგორც მისი პროტექტორი მთავარი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, რომელმა წარმოადგინა რკინიგზის გაყვანის გეგმა ტრაპეზუნდში სულ მოკლე ხანში. ეს იყო ვინმე პოლკოვნიკი ვერდერევსკი, ინჟენერიც არა—მესანგრეთა აფიცერი. რუსეთის დასავლეთ ფრონტზედ ერთ დიდ დასაჭირზედ მან გაიყვანა რკინის გზა თექვსმეტი ვერსის სიგრძეზედ რამოდენიმე დღის განმავლობაში (რასაკვირველია სწორ ადგილზედ); ამით ისე მოხიბლა მთავარ სარდალი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი, რომ აღარავის ინჟენერს აღარ იკარებდა გზების თაობაზედ, ვერდერევსკის გარდა. ახლა კავკასიის ფრონტზედ გადმოსულ მთავარს გეგმა წარუდგინა ბათუმ-ტრაპიზუნის რკინის გზის გაყვანის შესახებ ერთი წლის განმავლობაში, გიჟმა ვიჟი მონახა—გაიჩარხა საქმე. გეგმა მიღებულ იქმნა; ვერდერევსკი მათრახით ხელში შეუდგა რკინისგზის შენებას, ერთი თვალის დახამხამებაში გახურდა მუშაობა; ბათუმიდან ტრაპეზუნდამდე ერთბაშათ მიაფინეს აუარებელი სამუშაო მასალა, მომუშავე ხელი, მოყარეს უამრავი ტეხნიკები, ინჟენერები, მოსამსახურეები—უმრავლესობა იყო გადმოყვანილი ჩრდილო რუსეთიდან, მურმანის რკინი-გზის ნამუშევრები; უბრალო მუშებიც, თითქმის ერთიანათ რუსეთიდან ჩამოიყვანეს. გაცოცხლდა ზღვის ნაპირა ადგილები მიმსვლელ-მომსვლელ მოტორებით, ბარჟებით, სანდლებით, რომლებით გადაქონდათ აუარებელი საშენი მასალა, სურსათი ამ აუარებელ ხალხისათვის. ხალხი ჭიანჭველასავით ფუსფუსობდა, გაცხარებული მუშაობა იყო, მაგრამ... მაგრამ მხოლოდ სწორ ადგილებზედ. სალი კლდეები ბევრ ადგილას, დიდ მანძილზედ რომ ეწვებოდნენ აღმართული ზღვაში ამაყად იდგნენ და ყრუთ იყვნენ. ვინ შეარყევდა მათ? რა მანქანა შეამტვრევდა მის სიმაგრეს? რა ძალა გაასწორებდა ამ სალ კლდეებს და ბარს? ეს იყო ნამდვილი გიჟური შანტაჟი, კლასიკური შანტაჟი, დღეისათვის ზღაპარი; ვისაც არ უნახავს მის-

თვის ძნელად წარმოსადეგი, დაუჯერებელი ამბავი—რომელმა შთანთქა, რამდენათ ვიცი, ოთხმოც მილიონამდი. ბათუმ-ტრაპეზუნის რკინის გზა, ზღვის ნაპირზედ, ერთი წლის განმავლობაში; აშენებული უვიცისაგან, ცოდნის მაგიერ მათრახით ხელში. ეს ნამდვილი რუსული რწმენა—მაგრათ უბრძანე და ბრძანებით ქვისგან წყალს გამოადენიებო.

სწორდებოდა ყველგან სწორი ადგილები, იჭრებოდა ასწლოვანი ხეები. ინგრეოდა სახლები სულ ტყუილა უბრალოთ. პირონიტში დარაჯები მყავდა დაყენებული, რომ ხელი არ ეხლოთ იმ მშვენიერ ცოცხებისათვის ზღვის ნაპირას რომ შვენებით ამართულიყვნენ, იმ რამოდენიმე ლამაზი შენობებისათვის აქვე რომ იდგა.

— ჯერ ეს კლდეები მოასწორეთ! ვეუბნებოდი და ვუთითებდი იმ სალ კლდეებზედ მარჯვნივ და მარცხნივ რომ ალმაცერად ეშვებოდნენ ზღვაში.

ეს გაგიჟება იყო, ნამდვილი გაგიჟება დასამხობლათ გამზადებულ წესწყობილების მონათა. ყველაფერი იმხობოდა, ინგრეოდა. ყოველ დღე, ყოველ მხრიდან—დამარცხების, გახრწნის ამბები. რყევა, ოლვევა—დღითი დღე.

პირონიტიდან წამოსული ქუთაისში ვიყავი რამოდენიმე დღით. უჩვეულო მოუსვენრობა ემჩნეოდა ყოველ ფეხის გადადგმაზედ. პეტერბურგიდან არეულად და არეული ამბები მოდიოდა. ათასი ხმები, ჩუმი ლაპარაკი; ერთგვარი შიშიანობა. ახალი ამბების გასაგებათ ყოველ დილას მივეშურებოდი შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაკენ. აქ მუდამ იყვნენ თავმოყრილი ჩვენი მოწინავე პირები; ისმოდა გაუბედავი გადმოცემა ახლად ჩუმათ მოსულ ამბების; ეს ახალი ამბები თანდათან მრავლდებოდა. ერთხელ შეწყდა ყოველგვარ ამბების მოსვლა; აღარაფერი ისმოდა თითქმის სამი დღის განმავლობაში. პეტერბურგი გაჩუმებული შეიქმნა. ჩვენც საბჭოში კიტა აბაშიძის მაგიდას უსხედით გაჩუმებულნი ახალი ამბის მომლოდნელნი.

— რაღაც ამბავია პეტერბურგში! გაისმოდა ამ სიჩუმეში.

— უსათუოთ! წაილაპარაკებდა მეორე.

დილაა. ვზივართ საბჭოში კიტას გარშემო ახალი ამბის მოლოდინში. მძიმე სიჩუმეა.

უცებ გაიღო კარი და ოთახში შემოვარდა აღელვებული ქუთაისის ქალაქის თავი ილიკო ჩიქოვანი. ხელში ქაღალდი უჭირავს; აღელვებული მივარდა კიტას, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

ყველანი წამოვცვივდით.

— რა ამბავია, ილიკო, რა არი?

— წაიკითხე! ამბობს აღელვებული ჩიქოვანი, რომელმა კიტა აბაშიძეს გადასცა ხელში რომ ქონდა დეპეშა. კიტამ წაიკითხა დეპეშა. დეპეშა იყო ნიკოლოზის გადადგომის და დროებითი მთავრობის სახელმწიფოს სათავეში ჩადგომის შესახებ.

— ვაშა! ურა! ვაშა, ურა! გაისმა ოთახში. ერთი თვალის დახამხამებაში ოთახი აივსო საბჭოს მოსამსახურეებით.

— ვაშა! ნიკოლოზი აღარ არის! მოისპო თვითმპყრობელობა! ისმის ყოველმხრიდან, მაგრამ სიხარულს რაღაც გაუბედაობა ახლავს.

— როგორ მოვიქცეთ ახლა? თქვა ჩიქოვანმა.

— წავიდეთ ქალაქის სამმართველოში და იქ გამოაცხადე მიღებული დეპეშა! უთხრეს ჩიქოვანს და ყველანი აღელვებულნი გაემართნენ ქალაქის თვითმართველობის სამმართველოსაკენ. მიღებულმა ამბავმა თვალის დახამხამებაზი შემოიარა მთელი ქალაქი, ეცნობა ყველას.

სიხარული, ერთმანეთის მილოცვა, ყვირილი, ყიჟინი, სიმღერა, ქუჩებში აუარებელი ხალხი, აღელვებული, ხმაურიანი მოლაპარაკე.

— მოვესწარით, მოვესწარით! გაუმარჯოს თავისუფლებას! ვაშა! ვაშა!

მარსელიოზი, ინტერნაციონალი, მოდის ბაირაღები.

ბულვარი აივსო ხალხით. ესტრადაზე გროვა აღელვებულ ორატორების; მხურვალე სიტყვები —პასუხად მძლავრი ტაში.

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! ისმის შეუწყვეტლივ ყოველგან, ყოველ ფეხის გადადგმაზედ, ყველასაგან.—

* * *

ლიტერატურულ გზაზედ განცდილის შესახებ ცოტაოდენი რამ უნდა დაუმატო.

მწერლობა ძალიან ადრე დავიწყე. მეორე კლასში ვიყავი მოთხრობა რომ დავწერე რუსულათ, რადგან ქართული დავიწყებული მქონდა. რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს. მახსოვს კი რომ მოთხრობის გმირი სისხლში სცურავდა, მარჯვნით და მარცხნით ჰკლავდა ყოველ შემხდურს. ნაწარმოები ხელში ჩაუვარდა აღმზრდელს (კლასის დამრიგებელს) რომელმაც წაიკითხა და სიცილით მითხრა:

— ძალიან გეტყობა აზიელობა! ამდენი სისხლის დაღვრა გაგიგონია?! დაანებე თავი, სისულელეა!

შევისმინე აღმზრდელის დარიგება და მივატოვე მწერლობა. მაგივრათ თავი მივეცი კითხვას. აღმზრდელიც ისეთი გვყავდა, რომელს დიდათ უყვარდა ლიტერატურა და ჩვენც გვაყვარებდა და გვაცნობდა მას. ხშირათ დავყავდი თეატრში—იმ დროს კიევში მშვენიერი ოპერა იყო ყოველი წლობით. რუსული მწერლების გაცნობიდან ინტერესი დამეგადა ქართული მწერლობისადმი და თუმცა გიჟივვებით, ძლივს ვკითხულობდი ქართულს, მაგრამ ქართულ წიგნს არ ვეშვებოდი. საქმე გამიადვილდა ნიკო ლომაურის და მისი ამხანაგების გაცნობის შემდეგ. ამათი წყალობით მუდამ მქონდა ქართული წიგნი და მათგან ვეცნობოდი ქართულ მწერლობას და ისტორიას.

მოსკოვში, სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს, გიმნაზიის გათავების შემდეგ, გადავთარგმნე ლომაურის მოთხრობა „ალი". მივიტანე ჟურნალ „რუსკი ვესტნიკ-"ის რედაქციაში. რედაქციამ რამდენიმე ხნის შემდეგ გამომიცხადა, რომ თარგმანი არ დაიბეჭდებაო, რადგან მოთხრობა მეტად დაუჯერებელ ამბავს მოგვითხრობსო. დარჩა დაუბეჭდელი თარგმანი.

სასწავლებელში ცხოვრება დიდ მასალას იძლეოდა ასაწერად და ამის გამო რამდენიმე ამხანაგის თანამშრომლობით ვცემდი პატარა ჟურნალს, რომელს ბლომათ ყავდა მკითხველები. რუსეთიდან [illegible] შეუდექი ქართულის შესწავლას. ამაში დიდათ ხელი შემ[illegible] [illegible] [illegible]ებამ როგორც ზევით მქონდა მოყვანილი, ბათუმში ისეთი ოჯახი დამხვდა როგორც იყო დურმიშხან და ქეთევან ჟურულის ოჯახი; დაუახლოვდი, ხშირად ბათუმში ჩამომავალ ჩვენ არტისტებს. თან ვიწყებოდი წერაში—ვთარგმნიდი ხან გერმანულიდან, ხან ფრანგულიდან. პირველი თარგმანი, ჩემი სახელი და გვარით მოწერილი, დაიბეჭდა ვასო აბაშიძის ჟურნალ „თეატრ"-ში 1885-ში.

წადილი დიდი მქონდა ჩვენი ცხოვრებიდან რაიმე დამეწერა, მაგრამ ვერ ვბედავდი.

ერთხელ გრიგოლ ვოლსკიმ მე და ალექსანდრე აბაზაძეს გვითხრა—ყოველ შაბათობით ერთმანეთისათვის წაგვეკითხნა, რასაც დავსწერდით. ერთ ამისთანა შაბათს მეც მივიტანე ერთი პატარა სურათი. შევუდექი კითხვას: ვამჩნევ, რომ ჩემი ნაწერები ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს—შევჩერდი.

— დათიკო! მითხრა ღიმილით ვოლსკიმ—შენ კორესპონდენციას სწერ თუ მოთხრობას? მეგობრული სიცილით გაიცინე. უეცრათ დავკეცე რვეული და უბეში ვიტუცე.

— რას შვები, კაცო?.. წაიკითხე განაგრძე! შემომძახეს ორივემ, მაგრამ მე უარზედ ვიყავი. ნაწარმოები წავიღე და მაგრათ ჩავკეტე. გაიარა თითქმის ორმა წელიწადმა და ამ უშნო, კორესპონდენციის მაგვარ ნაწერიდან, გამოკეთდა ორი მოთხრობა; „შერისხვა" და „მსხვერპლი". „მსხვერპლის" შესახებ ჟურნალ „მოამბის" რედაქტორ ალექსანდრე ეყონიასაგან წერილი მომივიდა: მოთხრობისათვის დიდ მადლობას იწერებოდა და თან იმასაც მწერდა, რომ აწერილი სურათი მეტად შავ-ბნელიაო, მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებსო და თან უმატებდა: ნუ თუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; საჭიროა უფრო შენელება სურათის. ეს რჩევა მიღებული დარჩა ჩემგან; ის კი არა ვნანობდი რომ ბევრი რამ გამომრჩა, აჩქარების გამო.

წაქეზებულმა რომ ნაშრომები კარგათ იქმნა მიღებული, შეუდექი მესამე მოთხრობის წერას—„სოლომონ მორბედაძე"-ს. მოთხრობა დაიწერა სულ მოკლე ხანში და ისეთი გატაცებით, რომ თავათ გაკვირვებას ვიყავი რომ ისე იოლად მოვერიე და მალე დავამთავრე. მაგივრათ მეტად დიდი გასაჭირი მომაყენა შემდეგ მოთხრობამ „წრფელი გული"—რომ ააქვს სათაურათ. ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოუნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო; ამ პირველ სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევსდგომოდი წერას,—საჯეროს ვერ ვხახულობდი. ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ; ზღვის ნაპირას ვზივართ. ვოლსკიმ თქვა,—ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო; დავეთანხმე; გამოვდივართ ბულვარიდან; გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ; ვოლსკი რაღაცას

მეუბნება—მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალ წინ, თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია, და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდინ ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელს გაცვა, გაქვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი.

— მე არ მოვდივარ, გრიშა! უთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც ამ ხანათ ვიყავი.

— რა იყო, რა მოგივიდა? მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი, მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ; მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული.

ეს, მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი". ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კანდრატი მხეიძის წყალობით. კანდრატი მხეიძე და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთ ვუყვებოდი ყოველ განძრახულ მოთხრობების შინაარს, სურათებს, წვრილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

— აბა, მოყევი!—და მეც მოყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლათ, ხალისიანათ.

„მოამბეს"-ს რედაქტორი, ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზედ მიგზავნიდა ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმ ხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია"—პლატონის სიზმარი. უთხარი მხეიძეს—როგორ მირჩევ გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი"...

— ნუ სულელობ! შემომიტია მან—შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები მშვენიერი მოთხრობა იქნება! არ გაგზავნო იცოდე!

დაუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრათ დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით რომელიც მქონია ხოლმე ჩემს სიმავრთან პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცთილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკუიანი, ენა მახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით; მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდა მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი! ცხოვრების გასაცნობათ საკმარისი იყო აქ მოქცეულიყავი რამოდენიმე ხნით. გლეხობა დიდ პატივსცემდა მას და მის ოჯახს, რომელი ყოველი გაჭირვებულის გამკითხავი იყო, დამხმარე და დამრიგებელი. ამვით ოჯახის უფროსი ცოლიან-შვილებიანათ გაბმული იყვნენ მუშაობაში, რაც საშუალებას აძლევდა კმაყოფილ ცხოვრებისთვის: მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი, მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა. აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

— ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზედ უნდა მიგეწერა, მოთხრობა

დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის!—ხუმრობით შეუბრუნებდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „ზარაბეს“-ს რედაქციაშიაც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამომიგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავემდურები—ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა შეტ ფხიზელ მომუშავეთ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში; მასთან იყო არტურ ლეისტი.

— მე შენ ხმას არ გცემ! შემომიტია პეტრემ.—რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? შევეკითხე.

— რატომ და მიტომ—ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა!... გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში—რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი!

— არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს!

— გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! თან წყრებოდა, თან ხითხითობდა გულიანათ—შენი ჭირიმე რა ლაზათიანათ გაქვს დაწერილი! და შეუჩერებელი სიცილით მოუყვა ჩვენს საერთო ძვირფასს მეგობარს ლეისტს მოთხრობის შინაარსი.

— ნუ ჩქარობ, თუ გიყვარდე! ყურს ნუ უგდებ ჟურნალს... გაჩქარებენ, ახალ ახალი მასალა სჭირიათ და გიშლიან მუშაობას! თუ გიყვარდე ნუ აჩქარდები ხოლმე... შენ რომ სურათი მომეცი იმას ეჭირვება დამუშავება, შიგ არა გაქვს შეტანილი ზოგიერთი რამ, მე რომ მიამბე; თუ გიყვარდე ნუ აჩქარდები!

ეს იყო სურათი „მრევლში“... მთელი ერთი წელიწადი მქონდა იგი გაუგზავნელი და ამ ხანში შესამჩნევად გადამუშავდა.

ვიმეორებ—ბედი მწყალობდა. სიყვარულიანი, თბილი, ენერგიის გამაღვიძებელი სიტყვა ზედმეტათაც მხვდებოდა. კიტა აბაშიძე, ივ. გომართელი, ილ. ნაკაშიძე, ხომლელი (აკაკის კრებულში), საშა წულუკიძე, (ნოვოე ობოზრენიაში), თავიანთ თანაგრძნობით პირდაპირ მაქეზებდნენ და მიწვევდნენ სამუშაოთ, განსაკუთრებით პირველი ორი.

ამგვარივე მოსიყვარულე პირები შეხვდა სცენაზედ ჩემს პატარა პიესებსაც.

პირველად თბილისში დაიდგა „ირინეს ბედნიერება“. პიესა რომ იტყვიან—ჩაფლავდა. ჩაფლავდა უცნაურათ; თბილისელები სრულიად ვერ მიუდგნენ პიესას; ვყურობ და ვკვირობ—ჩემი სახეები სად გაქრნენ, სად გადასხვაფერდნენ?!. გათავდა წარმოდგენა ულაზათოთ, უშნოთ, ვწუსვარ.

— დათიკო, ნუ შეწუხდები! მითხრა წარმოდგენაზედ მყოფმა, ქუთაისიდან ჩამოსულმა ლადო მესხიშვილმა, შეწუხებული რომ დამინახა,—ნუ შეწუხდე-

ბი, მე ვაჩვენებ როგორ უნდა ითამაშებოდეს მაგ პიესა; ამ დღეებში ჩავბრუნდები ქუთაისში და ერთ თვეში მიიღებ დეპეშას, და უსათუოდ ეფუძნ[illegible] და დაესწარი წარმოდგენას. ახლა ნუ სწუხარ! თბილათ, სიყვარულიანად [illegible] მანუგეშა ლადომ.

მეორე დღეს „თბილისის ლისტოკ"-ში რეცენზენტმა პირდაპირ ბდღვირი ამადინა.

გავბრუნდი ბათუმში გულდაჩაგრული, ლადოს დანაპირებით შემაგრებული.

არ გაუვლია თვეს, ლადოსაგან დეპეში მივიღე—პიესა მიდისო და ამოდიო. გავეშურე ქუთაისისკენ გულაძგერებული. დილით რეპეტიციაა.

— დათიკო, დაჯექ და უყურე; მერე მითხარი თუ რამ აკლდეს! მითხრა ლადომ.

დაიწყო რეპეტიცია. ყველა ხალისიანათაა; ხალისიანათ იწყება: აბესალომს თამაშობს შალვა დადიანი—ჩინებულია; აგერ შემოფაფხურდა ფილიპე—ვასო ბალანჩივაძე, ჩემი ფილიპე, ნამდვილი ფილიპე; ჩემს სიხარულს სამძღვარი აღარ აქვს; როდამიშვილი—გიორგი თუთბერიძე, ირინე—გვეტაძის ქალი. სიხარულისაგან გაბრუებული ვარ.

— გაქვს რამე სათქმელი? ღიმილით მითხრა ლადომ, მოქმედება რომ დათავდა.

— არაფერი, შენ გენაცვალე! მიუგე.

— ასე იქნება მეორეც! ახლა წადი სახლში, დაისვენე და დროზედ მოდი! დღეს ჩვენ გავიმარჯვებთ! ხალისიანათ წამოიძახა ლადომ.

მივედი სახლში, ძლივს სადილი ვჭამე--ვღელავ, შიშში ვარ, მაგრამ რომ ვნახე!.. აღელვებულს ძილი ისე მომრეოია ნასადილევს, რომ ძლივს გამალვიძეს. მივდივარ თეატრში—თითქო ეგზამენზედ მიმავალი ვყოფილიყავი.

ლადომ დამარონია სცენა, ნორთულობა მანახა და მითხრა:

— მე ვიცი და შენმა პიესამ!.. მე აგერ ვიქნები! შენ ლოჟიდან უყურე!

აიხადა ფარდა. იმის აწერას, თუ როგორ დაიწყო პიესა, როგორ მიდიოდა, როგორ ჩატარდა, ამას არ მოვყვები. ეს იყო გრძლად გაბმული სიხარულის წამები, დაუვიწყარი წამები. ახმაურებული, აგუგუნებული ხალხი გამოეფინა თეატრის დარბაზიდან; ბნელ ქუჩებში ისმის მხიარული ლაპარაკი, სიცინი, ხითხითი. მივდივარ სადგურისკენ, რადგან უნდა გავბრუნებულიყავი ბათუმში, მივდივარ და გარშემოდან მესმის,—რაც გულს სიხარულით ავსებს.

ძვირფასმა ლადომ მაჩუქა ის დაუვიწყარი წუთები. ერთ კვირაზედ ვასო ბალანჩივაძე მიწვეული იქნა თბილისში და თავის თამაშით ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და პიესა სიცოცხლეს დაუბრუნა.

„დარისპანის გასაჭირი"-ც ბედნიერი გახდა. დარისპანმა იპოვა თავის მოსიყვარულე, განსხვავებული მოსიყვარულე გამომსახველი—ვალიკო შალიკაშვილი.

დარისპანი ქაროჟნას დაათრევდა, მე კი ორივეს; მინდოდა რიგიან რამ ყოფილიყო. ნატო გაბუნიამ მთხოვა პიესა მის საბენეფისოთ. შევთავაზე „დარისპანის გასაჭირი". პიესა წაკითხული იქმნა, პართენ გოთუასა მოწონებულიც. მაგრამ ნატომ არ დადგა, არ მოეწონა მართა. ამით ისარგებლა [illegible] ბატონ-ქალიაშვილ-მა და თავის ბენეფისზედ დარისპანის როლით გამოვიდა, და ეს იყო ნამდვილი სიყვარულიანი დრამა, სიყვარულიანი მხატვრობა, ავტორის გადუხთელი დაჯილდოვება. ასეთივე სიყვარულიანი მიღება შეხვდა „უბედურება"-საც, შალიკაშვილის და კონს. ანდრონიკაშვილის მხრივ. განსაკუთრებული სიყვარულით გამითბო ჩემი პიესები, გამიცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფალავამ.

ეს სითბო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებია იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზათ მიმაჩნია.

დავ. კლდიაშვილი.

(დასასრული).

ZRb

ვ. ხურო.ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიო არაგვისპირელი

(გარდაიცვალა 2 იანვარს 1926 წ.)

ქართულმა ლიტერატურამ დაჰკარგა სიტყვის დიდი ოსტატი. პირველი ფრაზიდანვე გაგრძნობინებდათ მომხიბლავ გრაციულობას და პირველი სურათითვე დაგატყვევებდათ.

არ შეიძლება მისი ეტიუდი ბოლომდის არ ჩაგეკითხათ. ყოველი გამოთქმა, ყოველი წერტილიც კი რალაც ემოციას აგიფართქალებდათ. სადა ენა, მოკვეთილი სურათი, უკიდურესობამდე დახვეწილი ფრაზა: მოკლე, მკაფიო, მჭრელი. არც ერთი ზედმეტი ბგერა, სიტყვის უდიდესი ეკონომია.

სურათი ცოცხალი და მწველი. ყოველ ნაკვთს ფიზიკურად გრძნობ. შიოს აწერილი ნამი უსათუოდ ლოყაზე მოგეპკურება, მისი ჭია-მაია ხელზე დაგიცოცავს, წვიმის წვეთები სხეულს გისველებენ.

ყველგან პრიმიტიული ქანდაკება, ყოველ სურათში მარმარილოს ხადა ნაკვეთი, ორგინალური პროფილი, არსად შაბლონი. სიტყვა ახალ ლეჩაქში, აზრი ახალ დოლბანდში...

ასე არ სწერდენ იმ დროს, როდესაც შიო არაგვისპირელმა მოჰკიდა კალამს ხელი. სტილის მხრივ შიომ უსათუოდ ახალი სიტყვა სთქვა ჩვენს ლიტერატურაში.

სალიტერატურო ასპარეზზე იგი გამოდის 1890—ს წ. ჩვენი პროზა ამ დროისათვის თითქმის სრულად. ჩამოყალიბებული იყო. ილია ჭავჭავაძემ მძიმე, მაგრამ სიტყვის უაღრეს ეკონომიაზე აგებული ენა თავისი „ოთარაანთ ქვრივი"—თ 1887 წელში საბოლოოდ ჩამოქნა. ყაზბეგის სტილი თითქმის ვერსად ვერ იტევდა ამ დიდი გულის სილრმეში აკეფებულ გრძნობებს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე წონასწორობიდან გამოდიოდა. თქვენ გრძნობთ მოხეთქილ გრძნობათა თქეშს და სტილის უსწორ-მასწორობაც აშკარაა. არ შეიძლება ამ მთიულ ნიალვარს შიოს მგრძნობიარე არსებაც არ გაეტაცებია, მაგრამ მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა ძლიერ გრძნობას, სტილის ციცი მარმარილოც დროზე აღუმართა.

ნინოშვილიც უკვე დასრულებული ფიგურა იყო ამ ხანებში. არაგვისპირელი შეეცადა, რომ არც მას დამსგავსებოდა და კიდეც შესძლო ეს.

არ შეიძლება, სტილის შესახებ ლაპარაკით, ადამიანმა იგრძნოს სტილი სიმშვენიერე. საჭიროა თვითონ ამ სტილის გაცნობა. შიოს სტილის ვერცხლის-წყალისებურ ცახცახს თქვენ მაშინ იგრძნობთ, როდესაც წაიკითხავთ მის საუკეთესო მოთხრობებს ესკიზ-ეტიუდებს: „მიწაა", „ჩემი პირველი სიყვარული", „მხრები და ავიჩეჩე", „არ გვინდა არა" და მრავალი სხვა—აი მისი სტილის დამახასიათებელი ნაწარმოებნი.

პირველი ჩვენი მწერალი, რომელმაც სტილში ქალაქური ნერვიულობა და თრთოლვა შეიტანა, არაგვისპირელი იყო. აქამდე ჩვენი ლიტერატურა სოფლის იდილიებში და ლანდშაფტებშია ჩაფლული. ნელა მოძრაობს, არ ეჩქარება, პატრიარქალურის სიდინჯით შლის სახეს სახეზე. გრძელი სიტყვა, კრიმანჭულები, ქარაგმები...

შიო კი ქალაქურად ნერვიულობს, ელექტროს ზონარივით გაელენთილია დინამიურობით და მისი სიტყვაც ამ მდგომარეობის შესაფერისია.

* * *

მთელი თავისი შემოქმედებაც შიომ ამ ნერვიულობის გარშემო გაშალა: ფსიქოლოგიური ეტიუდები—აი, მისი საყვარელი ლიტერატურული ფორმა. ამ გზით აპირებს იგი ადამიანის შესწავლას და მისი რაობის გადმოშლას. მთელი თავისი ნიჭი და შემოქმედება, არაგვისპირელმა ამ საკითხს შესწირა.

მართალია, მას აქვს ისეთი მოთხრობებიც, სადაც ის ჩვენს ყოფა-ცხოვრებასაც ეხება: აგვიწერს გლეხის ჭირ-ვარამს („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო", „მერე რიღათი იცხოვროს," „არ გვინდა, არა," „ესაა ჩვენი ცხოვრება," „ჩემო შვინდავ" და სხვა...) და მთავრობის თავგასულობას, მაგრამ ამ მოთხრობებში იდეიურის მხრივ იგი სრულებით არ არის ორიგინალური, და ის „ტეტიათა მოტრფიალეების" და ნიწოშვილის ხაზს აგრძელებს. გლეხის სიღარიბე, უვიცობა, უუფლებობა, ჩარჩების თარეში,—ყოველივე ეს დაკვირვებით აგვიწერეს ს. მგალობლიშვილმა, რ. ერისთავმა, ლომაურმა და სხვ... და რომ არაგვისპირელი ბოლომდის ამ გზას გაჰყოლოდა, შეიძლება დიდი ორიგინალობა ვერ გამოეჩინა. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ეს გზა არ იყო მისი სტიქია, აქ მხოლოთ ის დროებითი სტუმარი იყო და ძალიან მალეც მან იპოვნა თავისა გზა.

რას შეიცავს ადამიანის არსება და რას წარმოადგენს იგი, როგორც ასეთი?—ეს საკითხები არ მოშორებია შიო არაგვისპირელის მუზას სიკვდილის კარამდე. 1892 წელში დაწერილ მოთხრობაში—„ადამიანი"—ვკითხულობთ: „ადამიანი!.. ადამიანი!.. ადამიანი!.. ძალას ატანდა თავის თავს თედო, მაგრამ აზრი აზრს არ ეკარებოდა; თითქმის იმის თავში მარტო ერთი წარმოდგენის მეტი აღარა მოიპოვებოდა რა და სიტყვა „ადამიანი" ისევ სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოუპოვა რა"-ო.

ასეთ მდგომარეობაშია მოთხრობის პერსონაჟი, მან არ იცის რა არის

ადამიანი, რას შეიცავს იგი და რაშია მისი დანიშნულება. ადამიანი მისთვის გამოუცნობელი სფინსქია. მაგრამ გადის ხანი და შიო არაგვისპირელიც ცდილობს განმარტოს ეს შეუცნობელი არსება, რომელსაც ძალიან ბევრად დიდი პრეტენზიები აქვს და ბუნების მეფეთაც კი მოაქვს თავისი თავი. ის არ ცხრება ბუნების წინაშე, ჯიუტათ ებრძვის მას და გადაწყვეტილი აქვს მისი დამორჩილება. „როგორც ადამიანს სურს,—ვკითხულობთ „ბუნების მეფენში",—ისე დააატრიალებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანაყოფიერებს და სადაც ქვისა და რიყის მეტი არა იყო რა, იქ მშვენივრად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთ" და სხვა... „სადაც სიმშვენიერეა, სადაც გული სიამით გაიშლება, იქ ადამიანს შეუძლია სიკვდილი დაბადოს, იგი გაანადგუროს და გააოხროს, თუ კი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს —ბუნების მეფეს."

დიახ, ადამიანი ერთის შეხედვით თითქოს, მართლაც ასეთია, მაგრამ საკმარისია სულ ცოტა გაუჯიუტდეს ბუნება—მხოლოდ ერთხელ დაიგრგვინვოს ზეცაში და კოკისპირულად გაწვიმდეს, რომ ამ ტრაბახა არსებამ მაშინვე კუდი ამოიძუოს, უძლურად მოიხაროს ქედი და თავისი პიროვნების გადასარჩენად სოროში შეძვრეს.

გარდა ამისა, რომ ადამიანი სუსტი და უღონო არსებაა, იგი იმავე დროს დაუნდობელი ეგოისტია, რომლის გამარმალებული ეშვები არავის არ იბრალებს. ყოველივე წმინდა და იდეალური გაჰქელა მან: სიყვარული, მეგობრობა, თავდადება მოყვასისათვის, პატიოსანი სიტყვა, ყველაფერი ეს უშინაარსო სიტყვებია მისთვის.

წმინდა სიყვარული ადამიანმა ანგარებიან გრძნობათ აქცია, ორპიროობს მის გარშემო, თვალთმაქცობს. ამ თემას არაგვისპირელი რამდენჯერმე უბრუნდება და ყოველთვის ადამიანის სისაძაგლეს გადმოგვიშლის. ეტიუდები: „ქარი კი ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა," „მხრები ღა ავიჩეჩე," „ბალღი ყოფილხარ"—ამ თემებზეა აგებული.

ადამიანის ორპირული ცვალებადობა და ეგოიზმი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ თავისი ქვენა გრძნობები თეორეტიულად გაამართლოს. „წერილის ნაგლეჯში„—ვკითხულობთ: „მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ, ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს რა, მაშინ.. მაპატიე ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული ალარ არსებობს, შენ ალარა ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმ ჟამად. ის მიყვარს იმ ჟამად, გაგიჟებით მიყვარს და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი."

მეგობრობა რომ სისულელეა, ამას არაგვისპირელი „ბალღი ყოფილხარ"-ში გვიჩვენებს. უნდა ფიქრობდე მხოლოდ შენს პირად სიამოვნებაზე და სულერთია სადაც დატკბები და ვისთანაც ინეტარებ. მეგობრის წინაშე ერთგულობის ფიცი და ამავე დროს მის ცოლთან მრუშობა სრულიად კანონიერი და დასაშვები მოვლენაა. ამ რწმენისაა ამ ეტიუდის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არაგვისპირელი რომ მარტო ამ თვალსაზრისით უდგებოდეს ადამიანს, იგი წმინდა წყლის მეტაფიზიკოსი იქნებოდა და, როგორც ასეთი, ვერასოდეს სათანადოთ ვერ შეიცნობდა ადამიანის ბუნების რაობას. მართალია, ადამიანი ხშირად ეგოისტი და დაუნდობელია, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, ისიც გარდუვალად ემორჩილება სინამდვილის დიალექტიკას. ამიტომ სწორი არ არის, როცა მას დროისა და სივრცის გარეშე უდგებიან და განყენებულად ცდილობენ მისი ხასიათის შეცნობას. ხშირად არაგვისპირელი ერთობ ნაძალადევ ექსპერიმენტს ახდენს ადამიანის სულსა და გულზე. მისი ფსიქოლოგიური ეტიუდები მხოლოდ ერთ მომენტში იხილავენ ადამიანს, სახელდობრ ავადმყოფურ—ნერვიულ მდგომარეობაში და რა გასაკვირია, რომ ამ დროს ერთგარ ცალმხრივობაში ჩავვარდეთ. ამ ავადმყოფური მომენტის განზოგადებაც შეცდომად იქნებოდა.

ამას უსათუოდ გრძნობს არაგვისპირელი და რამდენადაც კი ახერხებს ერთ-ხელ აღებული აზრის თავიდან მოშორებას, ადამიანის ფსიქიკას და ბუნებას სხვა თვალსაზრისათაც აშუქებს: შავი საღებავებით შეზავებულ სურათების გვერდით, ხანდახან სხვა ფერებსაც გვაჩვენებს.

მისი ეტიუდის ერთი პერსონაჟი მუცელზე ხელის დაკვრით ამბობს: აი ჩვენი პირველი და უკანასკნელი მიზანი. ცოტა გაფართოებით, ამ მცნებას ხელს მოაწერდნენ შიოს თითქმის ყველა გმირები, მაგრამ მან გვიჩვენა ისეთებიც, რომელთა გულშიც მაგრად ღვივის იდეალური სიყვარულის ცეცხლი; ისინი ღრმად გრძნობენ უხეში სინამდვილის წიაღში ყოველივე მაღალის და უმწიკვლოს შეურაცყოფას და მათი არსებაც თავგამოდებით ებრძვის ყოველგვარ სისაძაგლეს. ამ შემთხვევაში არაგვისპირელი უსათუოდ სწორის მხრივ უდგება ადამიანის სულსა და გულს.

შიო არაგვისპირელი საზოგადოთ ისეა განწყობილი, რომ ცხოვრებაში სიცუდის მეტს ვერას ხედავს; ამ ნიადაგზე ხანდახან უკიდურესობაშიაც კი ვარდება და ერთობ ხელოსნურად შემოქმედებს, მაგრამ შიგა და შიგ მისი შემოქმედება ჯანსაღ ელემენტებსაც იძლევა. ვიმეორებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიწვდა იგი ცხოვრების დიალექტიკას და ცალმხრივობასაც თავი დაახწია. მისი გული თითქოს სამუდამოდ არის გაბზარული ადამიანის საშინელობის გამო, მაგრამ არის მომენტებიც, როცა გაბზარული გულიც მრთელდება და მომხიბლავ ჰანგებს გვასმენს.

* * *

აქ მინდა გაკვრით შევეხო არაგვისპირელის, შედარებით დიდ ნაწარმოებს, „გაბზარულ გულს“, რომელიც „ცისარტყელაში“ დაიბეჭდა. ეს მოთხრობა —არაკი შიოს არც სტილის მხრივ ახასიათებს და არც იდეიის. მოთხრობა ერთობ ნელა ვითარდება და სიუჟეტიც ხან რომ წარმტაცად გეჩვენებათ, ხანაც მომხიბლაობას ჰკარგავს. არაკში მრავალი წარმტაცი სურათია, მაგრამ იდეუ-

რის მხრივ სრულებით არ არის გამართული, და დასრულებისას საშინელ გაურკვევლობას და უკმაყოფილებას გრძნობთ.

მეოცნებე ოქრომჭედელი მახარე მოხიბლულია კაცია-ბატონის ქალის—ეთერის წარმტაცი ხმით და ცდილობს ისეთი ზარი გამოსჭედოს, რომელიც ეთერის ხმასავით წკრიალა იქნება. დიდი ხნის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ ამ მიზანს მიახწევს და კოშკში მომღერალ ეთერს ბანს აძლევს თავის საოქროჭედლოდან. ეთერს თავზარს სცემს ესა და რაღაც ჯადოქრობა ჰგონია. როდესაც გაიგებს რაშიდაცაა საქმე, გადასწყვეტს ეს ზარი შეიძინოს. ამ დროს ის ამჩნევს, რომ მახარეს უანგაროთ შეჰყვარებია იგი. ანგარებიან საქრმოებით თავმობეზრებული ეთერი მახარეს სამაგიეროს მიუძღვნის და სიყვარულის აკრძალულ ნაყოფსაც იგემებენ; ამასთან ერთად ეთერი იმ ზარსაც დაეპატრონება. ამის შემდეგ ეთერს მოტყუებით შეირთავს მეფისწული; მახარე დარდით გადიკარგება. მახარეს მოტრფიალე ეთერი მეფისწულს ცოლობას არ უწევს და ზარის ხმით აპირებს გართობას, მაგრამ ზარი შემთხვევით იბზარება და ეთერის დაქორწინების შემდეგ დაბჯღვრეულად რეკავს. ვერავინ ვერ გაამართელი ვერც ზარი და ვერც ეთერის გული. ეთერი მამის სახლში ბრუნდება. აქ მახარესაგან ვაჟი შეეძინება, მახარეც მოდის. ამ დროს მეფე და მეფისწული ომს იწყებენ. საომრად მიდის მახარეც. ირკვევა, რომ მეფეს ხალხისათვის ულალატნია, ხალხი მას ჩაქოლავს, მახარე შეეცადა დაეცვა იგი, მაგრამ მეგობარმა, ირემამ ლამის ისიც ჩააქოლვინა ხალხს. მახარე სტირის—ხალხის მტრად დამსახა ირემამო. ასე თავდება ეს გაჭიანურებული და საკმაოდ დაბნეულ სიუჟეტზე აგებული არაკი, რომელმაც ერთ დროს დიდი აღტაცება და მოლოდინი გამოიწვია.

შიო არაგვისპირელის სახელი და არაკის პირველი ნაწილი, მართლაც დიდ იმედს ულვიძებდა მკითხველებს, მაგრამ მოლოდინი ვერ არის გამართლებული. როგორც ეტყობა, ავტორს მარადიული ძიება და ამის შესაფერი შემოქმედებითი მუშაობა უნდა ეჩვენებინა, მაგრამ აშკარაა რომ მიზანს ვერ მიახწია: ვერც იდეა წამოაყენა გარკვეულად და ვერც ტექნიკურად დასძლია იგი.

შიო არაგვისპირელმა პირველი რევოლიუციის ზოგიერთი მომენტების ასახვაც სინჯა,—„საშინელებაა“ („გრდემლის“-ს №1), მაგრამ აქაც დამარცხება განიცადა. ის არ იყო მებრძოლი ბუნებით, მისი სული სულ სხვა ყალიბის იყო და უჩვეულო გზაზე სიარული არ ეხერხებოდა.

* * *

ასეთი არის არაგვისპირელის შემოქმედება, როგორც ფაქტი, რომელიც წარმოიშვა განსაზღვრულ ისტორიულ—საზოგადოებრივ პირობებში. თუ ეს პირობები უგულებელ ვყავით, მაშინ ამ ფაქტის წარმოშობის მიზეზები ჩვენთვის გაუგებარი იქნება; ჩვენი მსჯელობა განყენებული იქნება და ისეთ ცალმხრივობაში ჩავარდებით, როგორშიც განსვენებული მწერალი ხშირად ვარდებოდა, როდესაც ადამიანის რაობას ერთობ ხელოვნურის ექსპერიმენტით იკვლევდა.

არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა და მისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანა (1890—1900 წ.) როგორც რუსეთში, ისე ჩვენში მუშათა კლასის და საზოგადოთ დემოკრატიული ფენების ამოძრავების ხანაა. რუსეთის დიდი შიმშილობა და მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ძალების ამუშავება, მრეწველობის აყვავება და პროლეტარიატის ორგანიზაციულად დარაზმვა,—აი რას ვხედავთ რუსეთში და მერე ჩვენში. 80 წლების მომშხამველი რეაქცია იფანტება, ყინული გალღვა.

ეს გამოცოცხლება ლიტერატურასაც ეტყობა. ამ დროს წარმოიშვა რუსეთის უდიდესი იმედიანი და აღფროვანებით აღსავსე მწერალი მ. გორკი თავისი „ქარიშხლის წინამორბედით," რომელიც ჩეხოვის წარბებ-დაშვებულ და სევდით მეონავი შემოქმედების გვერდით ფეიერვერკივით ავარდა ზეცაში. ინტელიგენციის ნაწილი აღფრთოვანებით მიეგება გორკის რევოლიუციონურ რომანტიკას, ნაწილი კი ისევ თავჩაქინდრული იყო, არა სწამდა საზოგადოებრივი ძალების გამოცოცხლება და თავის „გაშიშვლებულ სულს" ჩაჰყურებდა.

ჩვენში, თითქმის ამგვარსავე მოვლენას ჰქონდა ადგილი, თუმც მიზეზები სხვა იყო. გაბატონებული ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელიც თავად-აზნაურულ წრეებიდან იყო გამოსული, და რომლის მოღვაწეობა 60-80 წლებიდან იწყებოდა, საკმაოდ უიმედო სულისკვეთებას ატარებდა. ამისი მიზეზი ქართული ნაციონალიზმის უნუგეშო მდგომარეობა იყო. ერის მხსნელად თავად-აზნაურობა იყო მიჩნეული. ეს წოდება კი, უკვე აშკარად სჩანდა, რომ ბატონ-ყმობის შემდეგ პირქვე დაექანა. ბევრი რეცეპტი დაიწერა იმის შესახებ თუ „რა უშველიდა თავად-აზნაურობას".

ეს ინტელიგენტური უიმედობა ლიტერატურაშიაც გადავიდა: ილია და აკაკი ხშირად უიმედოთ უცქერიან საქართველოს ბედს, განსაკუთრებით ილია, რომელიც თავის აჩრდილში გულდათუთქული ამბობს ძველი საქართველოს ეროვნული ემბლემის—მცხეთის შესახებ „აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა"—ო. თუმც აკაკი სიხარულით მღერის—„არა, აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭალარა"—ო, მაგრამ ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია" და „საფლავისკენ წა, მოდით"—ო.

ჩვენში გაბატონებულ აზროვნებას არ სწამდა, რომ საქართველოს ბედი ერის მშრომელი ნაწილის ამოძრავებასთან იყო დაკავშირებული, და უიმედობის ლეჩაქში იყო მობურვილი. მესამე დასელების წარმოშობა და მუშათა კლასის ჩანასახების ამოძრავება უკანონო და შემთხვევით მოვლენად იყო მიჩნეული.

შიო არაგვისპირელიც ამ უიმედოთ განწყობილ ფენებში მოჰყვა და მამათაგან ნაანდერძევი სკეპტიციზმი უფრო გააღრმავა და გაამშვენიერა. ის ყოველ მხრივ უიმედობას ხედავდა: განწირული გლეხობა, ეროვნული იდეის სიკვდილი, („ჩემი სამშობლო ჩემი გულია") და მის პასიური ბუნებაც „გაშიშვლებული სულის" ანალიზს შეუდგა. რასაკვირველია აქ არ არის დოსტოევსკისსებური 35 ათასი ვერსის შემოვლა თავისივე სულის გარშემო, ვერ ვხედავთ კა-

რამაზოვ—რასკოლნიკოვების შემარყეველ სულში ჩაძირვას, მაგრამ შიოს ნიჭი მაინც საკმაო სიძლიერით გაგრძნობინებსთ ადამიანის ტრაგედიას.

უდროობის და უიმედობის ხანა ხელს უწყობს განყენებულ აზროვნებას და სინამდვილის ზურგის შექცევას. ბარათაშვილსაც ასეთმა უდროობამ ათქმევინა: „რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელ“—ო, მაგრამ მგოსნის მჩქეფარე ტემპერამენტმა გამოსავალიც იპოვა: „არც ქაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემზგავსოს“—ო და სხვა... არც არაგვისპირელია სრულიად უსასოო, მასაც სწამს ციცინათელას ბრძოლა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი შემოქმედება უმეტეს შემთხვევაში სწორეთ უსასოობით არის გაჟღენთილი. თავისმა ეპოქამ უსათუოდ ღრმა ბეჭედი დაასვა მის ნაზ სულს, რომელიც არასოდეს არ შერიგებია მის გარშემო გამეფებულ სიმახინჯეს: ებრძოდა ადამიანის ეგოიზმს და დაცემულობას, გულს უწამლავდა თავისი დროის სოციალური და ეროვნული უბედურობანი. მისი არსება არასოდეს არ შეერიგებია გარეშე ცხოვრებაში არსებულ უსამართლობას, შიოს გაბზარულ გულს არასდროს ყალბი კვნესა არ აღმოხდენია.

ა. ჯელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები სპარსეთიდან.

ბაქოდან ენზელამდე.

ბაქოს ნავთსადგური, საიდანაც ჩვენ სპარსეთისკენ უნდა გავმგზავრებულიყავით, რევოლიუციის დროს უნებურ შეჩერების შემდეგ, კვლავ შესდგომოდა თავის ყოველდღიურ შფოთიან ცხოვრებას. სპარსეთთან დროით დამეგობრებამ და მიმოსვლის აღდგენამ, ცხადია, მას სიცოცხლის უნარი მოუმატა.

შედარებით პაწია და კოხტა გემი „ეველინა“ ნებივრად მოსწოლოდა ნაპირის შესავალს და სთვლემდა წასასვლელად გამზადებული, დროს მოლოდინში. იგი ტალღებზე ოდნავ ირწეოდა და აბოლებდა.

ნავების გროვა მოუსვენრად ცეკვავდა, როგორც დედის გარშეაო ბალღები.

აქა-იქ შორეულ ზღვის გულიდან და ნაპირებიდან გაისმოდა ღრიალი დატვირთული გემებისა, რომელნიც ზანტად მიაპობდნენ ნაპირის ქაფიან ტალღებს. მრავალი დიდი და პატარა გემებიც დადუმებულნი იდგნენ ზღვის სივრცეზე. მთელი ტყე წვეტიანი ისრებისა. გახურებულსა და გამშრალს ჰაერში ანძები ოდნავ იხრეოდნენ ერთი მეორისაკენ მიღერებულ შუბებივით.

ზღვის მოძრავი ზედაპირი და მოლივით მწვანე ფერი, ბაქოს უხალისო ქუჩებისა და რუხი სახლების შემდეგ, ადამიანის ხასიათს ერთბაშად ავსებდნენ სიცოცხლის უნარითა და ხალისით. დაღლილსა და სიცხისაგან მოთენთილ სხეულს თავდავიწყებით უნდოდა გადავარდნა და გახვევა ამ ვერცხლივით მოელვარე ქაფებში.

მაგრამ საქმე, დრო,—სასტიკი მეთვალყურენი ჩვენი ცხოვრების და დამძიმებულნი ბებრულის ანგარიშებით, ნებას არ იძლეოდნენ ჩვენს გზას გადავსცდენოდით; და ჩვენც, ოფლიანები და მზისგან დამწვარნი, შევედით გემის ბაქანზე.

ცხელოდა. იდგა სუნი მაზუთისა და დამწვარი ზეთის. კაჯუტებში შესვლა და ჯდომა სიკვდილის მონახევრე იყო, მაგრამ ჩვენ მაინც დავძვრებოდით ერთიდან მეორეში, და ვეძებდით მოხერხებულ ადგილს.

უცებ გემმა დაიღრიალა საშინელის ჯავრით, უსიამოვნოდ და უშნოდ.

გემი დაიძრა ნელა, თითქოს შეუმჩნეველად და მალე გასწყვიტა კავშირი ხმელეთთან. ზოზინით მოიქცია კუდი და აიღო სწორი ხაზი. ხვნეშოდა და

ბურდღულებდა გაუგებრად. მისი გზა სწორი და სანდო იყო. ჩვენმა სხეულმა დაჰკარგა წონასწორობა. ბაქანზე მთვრალებივით დავდიოდით და ჩვენი გულის ღელვაც აჭყვა ზღვის ხალისიან ღელვას.

საამური იყო უცხო ნაპირისკენ ლტოლვა, სადაც ვნახავდი უცხო ხალხს. თავისებური ენით და ადათებით, რომელსაც შეუქმნია თავისი კერა, თავისი ისტორია.

ასეთის აზრით მივდიოდით და გავსცქეროდით ზღვის დაუსრულებელ სივრცეს.

გემი განაგრძობდა თავის გზას რწევით, გუგუნით. იგი გოლიათურის სიდინჯით და რაინდულის გულცივობით შუაზე ჰკვეთავდა მოწოლილ ტალღებს და უკან სტოვებდა ქაფიან წყლის გზას.

მოალწია დაისმა. დაღლილი მზე ცისა და ზღვის შესართავში ჩაეშვა. მისმა სხივებმა უკანასკნელად გაიელვეს ზღვის ზედაპირზე და ჩაქრნენ ტალღათა ჭიდილში.

დაიბადა შიში—ამაღამ ღელვა იქნებაო. ამას მოჰყვა კითხვა-დარიგება, რომ ღელვის დროს გულაღმა უნდა დავწოლილიყავით და გვეწუწნა მჟავე ლიმონი.

ზღვა გამუქდა, გაშავდა, ხარბად მიიკრიფა ტყვიისფერი ბინდები და ჩვენც შევცურდით ღამის წყვდიადში.

გემის ცხვირთან რამდენჯერმე დაიგმინვა ნოვარდნილმა ტალღამ და გემიც ააყირავა. უცებ გამიელვა დალუპვის ფიქრმა და ვიგრძენი მწვავედ, თუ რამდენად უმწეო იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა ამ ზღვის უკუნეთში, თუ ბედი გაგვიმეტებდა და ერთბაშათ იქ მოვექცეოდით.

ღამის შავი სულები, რომელნიც ყოველთვის ერჩიან ადამიანს, რომ სწორი გზა გაუბრუნდონ, ზღვას ალბად ალიზიანებდნენ ჩვენს წინააღმდეგ, და კუდიანმა დედაბერმაც აუშვა შუაღამის ქარი. ვგრძნობდით, რომ ჩვენის კოლოფით ავდიოდით სადღაც უშველებელს გორაზე და ვარდებოდით ნაპრალებში. ვინჯღრეოდით და გვეზარებოდა ადგომა. ერთი უცაბედი ფიქრი სცვლიდა მეორეს, მესამე მეათეს, ყოვლად უსაბუთოს და უშედეგოს, მაგრამ ფრიად საგრძნობელს, რომელსაც თავიდან ადვილად ვერ ვიშორებდით.

მოალწია განთიადმა. ცის კიდური ნელი-ნელ შეიღება ბაცი მოწითალო ფერით და რამოდენიმე წუთის შემდეგ ზღვის ზეგულიდან ამოვიდა სუფთად გარეცხილი მზე, დაფერილი სხივებით. ჩვენ თვალ წინ გადაიშალა ზღვა—მწვანე ხავერდის ფერი, წყნარი, დამშვიდებული და მოლიმარი, რომელსაც ღამის რისხვა ჩაეკლა თავის ღრმა გულში და ეთამაშებოდა დღის სინათლეს. გათავდა ღამის დავა. ჩვენ მოვისვენეთ. „ეველინა“ კი თავგამოდებით მიიწევდა წინ. გამოჩნდნენ თეთრი ტიფები, რომელთაც შეგვატყობინეს ნაპირის სიახლოვე. ისინი კივილით დაეცემოდნენ ხოლმე წყალზე, მოიტაცებდნენ რაღაცას და ისევ კივილით აიწევდენ ზევით. დავინახეთ ნაპირი. ეს წუთები საუკეთესოა და ყველაზე უტკბესი ზღვაზე მოგზაურისათვის. ყველას სახეზე ემჩნეოდა ღიმილი. მივედით. გადავედით. სპარსელი მოხელეები შემოგვეგებნენ და ვინაობა

გამოგვკითხეს. გათავდა. ჩვენ უკვე სპარსეთში ვართ, იმ სპარსეთში, რომელიც ასე ახლოა ჩვენგან, და რომელსაც ძალიან ნაკლებად ვიცნობთ. მხოლოდ მოულოდნელი შემთხვევა თუ გადმოგვაგდებს აქეთ, რომ ფეხი დავიდგეთ ცხელი მზისაგან გახურებულს, ქვიშიან მიწას და ვისუნთქოთ მისი წყნარი ლამეების მსუბუქი ჰაერი.

სურათი იცვლება. სხვანაირი ჩაცმულობის ხალხი. სხვა სახისა და ფერის: მკრთალი, გამხდარი, შავი თვალ-წარბი. ცხვირი მოკლე და სწორი. ტუჩები ხორციანი, ვნებით სავსე, რომელსაც აშკარად ეტყობა კოცნის მადა.

დიახ, ეს სპარსეთია, სადაც ერთ დროს ისხდნენ მეფეთა-მეფენი და ოცნებობდნენ სხვათა ქვეყნების დაპყრობას, და ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ყველას, შინაურს და გარეშეს, ვინც კი მათს წინააღმდეგ წავიდოდა.

დღეს იგი მოხუცებულობის ჰასაკშია და ელის ახალ გმირს. ის მოვა.

დღეს კი ჩვენ, მის მეზობლებს, მიგვიღებს აზიურის თავაზიანობით... გავიგონეთ პირველი სალამი, წარმოთქმული ოდნავის ბგერით, რომელიც ტკბილად შეიჭრა ჩვენს სმენაში და დაგვამშვიდა სულიერად.

ენზელი*)

ენზელი კასპიის ზღვის პირის პატარა ქალაქია; იგი ლამაზია თავისი ბუნებრივი მდებარეობით და შეიცავს დაახლოებით ხუთი ათას მცხოვრებს. გაშენებულია პატარა კუნძულზე დაბალი ერთსართულიანი სახლებით, ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებით—ერთი-ორის გარდა—რომელიც გაყვანილია უკანასკნელ წლებში. ზღვას ქალაქისთვის თითქო მკლავი მოუხვევია. ეს მკლავი უშველებელი ტბაა, ორივე თავით ზღვასთან შეერთებული, მდორედ მოძრავი, სავსე თევზეულით და გარეული ფრინველებით. ტბის ნაპირები შემოსილია მწვანე ბალახით და ლაქაშით, სადაც ხშირად შეხვდებით დაყუდებულსა და ღრმად ჩაფიქრებულ ყანჩს. იქვე, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, უსათუოდ მეორე მისი მეოჯახე ან ახალი არშიყი დაბრძანდება დინჯად. ისიც დიდის დაკვირვებით ათვალიერებს თავის გარშემო ყოველივე ქვემძრომთ. შუბივით გრძელი, წვეტიანი ნისკარტი მომართული აქვს, რომ ერთი პაწია ბაყაყი მაინც ზედ წამოაგოს.

იხვების გუნდები დრო და დრო გამოეფინებიან წყლის ზედაპირზე ჭრელი ხალიჩასავით. მათი საერთო ფრთების ბარტყუნი და ვაი-ვაი შორს ისმის და ზოგიერთ მშიშარა ფრინველსაც აფრთხობს. თეთრი ტიფი კაპასი დედა-კაცივით გაჰკივის ჰაერში და თუ დაეშვება ძირს, უეჭველად მოიტაცებს რასმეს. შემდეგ ისევ აიწევს და ისევ დასტრიალებს ტბის პირზე მოფუსფუსე ფრინველებს.

ტბის ნაპირზე, ზღვის შესართავთან აუარებელი ნავია, ამ ნავებით გადადიან ერთი ნაპირიდან მეორეზე და მიდიან სასეირნოდ.

*) ენზელს ახლა ეწოდება სპარსეთის ახალი მბრძანებელის ვვარი—პეჰლევი.

თვით კუნძული მუდამ ამწვანებულია ლეღვის, ფორთოხლის და ლიმონის ხეებით: ისინი ნიადაგის უხვ სინოტიეს გაუზრდია დიდ ხეებად, რომელთა მზგავსს ჩვენში ვერ შეხვდებით. ლეღვის ხე სიმაღლით და ტანის სიმსხოთი მოგაგონებთ ჩვენებურ უუდიდეს ნიგვზის ხეს. მისი ფოთოლი სქელია და ჯამივით ფართე.

ყველაზე ულამაზესი შენობა—აკ. ხოშტარიას სახლია, ევროპიული სტილის, ტბის პირზე, რომელიც ფირუზის ფერით არის შეღებილი და გასცქერის მთელი ზღვის ბუნდოვან სივრცეს.

არის აგრეთვე თევზის სამრეწველო ყოფილი ძმ. ლიონოზოვებისა, საკმაოდ დიდი და კარგად მოწყობილი, რომელიც რევოლიუციის შემდეგ გადავიდა სპარსეთის მთავრობის ხელში.

ენზელი, რეშტი და მისი რაიონები, ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში კომუნისტების ხელში იყო; მაგრამ რადგან თვით სპარსელთ სათანადო ძალა არ ჰქონდათ, და საბჭოთა რევოლიუციონურ ჯარს კი არ შეეძლო სპარსეთის ტერიტორიაზე დიდხანს დარჩენილიყო, ძალა-უფლება ისევ შაჰის მთავრობის ხელში გადავიდა.

ეს მხარე უმდიდრესია მთელს სპარსეთში თავის ბამბის, ბრინჯის და სხვათა მოსავლით. აქ ტყიანი ადგილია და ხშირი წვიმები იცის. ამ ადგილებში ბუდობენ და ქორივით თავს ესხმიან მშრომელებს ყველა ქვეყნის კაპიტალისტები მოსავალის აკრეფის დროს. თითქმის ყველამ იციან სპარსული ენა და მიუხედავათ იმისა, რომ ამაყი თვალით უყურებენ აზიელებს, საჭიროების დროს მაინც თავაზიანად და ტკბილად ელაპარაკებიან. ევროპიელებმა კარგად იციან თავიანთი საქმე.

აქ არის პოლიცია, მოწყობილი ევროპიულ წესზე, თვით ევროპიულ ინსტრუქტორის მიერ, საბაჟო და ფოსტა-ტელეგრაფიც.

როგორც მივედით, მაშინვე საბჭოთა საკონსულოში გამოვცხადდით.

ზღვის პირზე, დაბალი და კოხტა სახლები თლილი ქვის. ამართული წითელი ბაირაღი ვარსკვლავით, ნამგალით და ჩაქუჩით მოქარგული, რომელსაც გამუდმებით ათამაშებს ზღვის ნიავი; არის სასტუმროები ევროპიულად მოწყობილი, საკმაოდ არიან საბჭოთა მოქალაქენი, მაგრამ განსაკუთრებით ბევრნი არიან სპარსელები. მათი თავისებური ენა და ჩაცმულობა იზიდავს თვალს და ცნობის მოყვარეობას აღვიძებს უცხოელში.

ტიპიური სპარსელი ფერმკრთალია, წელში წვრილი და სწორი. შავი თვალ-წარბი, წარბები გადაბმული და მეტის მეტად ხშირი. ცხვირი მოკლე და სწორი, სახის პროპორცია საკმაოდ დაცული, კისერი მაღალი. შუბლი კუთხედი. ლაპარაკობს იშვიათის ტკბილის, დაბალის კილოთი, თითქმის ჩურჩულით. სპარსელს თუ ძალიან არ გაუჭირდა, არ დაიყვირებს. იშვიათად აღელდება. უკიდურეს შემთხვევისთვის ერთი სიტყვა აქვს.—„პედარსაკ"—ჩვენებურად—მამაძაღლი. ჩვენებური ჩხუბი და ყვირილი არ ეხერხება. იარაღს არ ატარებს. საჭმელს შედარებით ცოტას სჭამს. მისი საუკეთესო და აუცილებელი საზრდო ფლავია. ფლავს! ყველგან შეხვდებით—სპარსელის ოჯახში. სტუმრობაში,

სპარსელი მზარეული პირველად იმით მოგაწონებს თავს, რომ კარგი ფლავის გაკეთება იცის. ამიტომ არის, რომ სადაც კი შეიძლება, სპარსელი, ყველგან ბრინჯსა სთესავს, ამით იკვებება და სხვასაც ბევრს აჭვდის. მისი მორწყვა, ჭენჭყოში მუშაობა, სადაც კოლოების უამრავი ლეგიონები თავს ესხმიან და უცრიან ადამიანს ათასნაირ ციებ-ცხელების ბაცილებს—სპარსელს არ აშინებს. ის მთელი დღეობით მუხლამდე ტალახში დგას, ცდილობს მოსავალი კარგი მიიღოს და ოჯახში და სტუმართან თავი მოიწონოს.

ენზელი და რეშტის რაიონი სპარსეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენენ. მიწა გაჟღენთილია ზღვის ნოტიოთი. იცის ხშირი, ეინიანი წვიმები, მაგრამ ზაფხულში, დიდი სიცხეების დროს ზოგჯერ წვიმა დედა-მიწამდე ვეღარ აღწევს. ზოგჯერ კაცის სიმაღლემდე ჩამოვა და ჰაერშივე, ორთქლად იქცევა.

ამ რაიონში ტყეს ბევრი ალაგი უჭირავს და დიდი ღირსებისაც არის. აქ იყო ა. ხოშტარიას კონცესიები, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მუშაობდა და ეხლაც აქვს, თუმცა იქ ჯერ ძველებური სიცოცხლე არ მოსჩანს. აქ, ამ ტყეებში, ბევრია ტბები და ლელიანები, რომელნიც სავსეა გარეული ფრინველებით, ცხოველებით და განსაკუთრებით ღორებით. ბევრია მონადირეებიც; და ნადირობაც თავისებური სცოდნიათ, განსაკუთრებით იხვებზე. მაგალითად გაიჩენენ შინაურ იხვებს, შემოფარგლავენ ტბის პირს და შიგ აცურავებენ. იხვები გადიან ფარგლის გარეთ და ამგვარათ შემოიტყუებენ გარეულ იხვებსაც. აქ პატრონს ბადე აქვს გაბმული, და ააფრენს თუ არა, მოტყუებული ფრინველები შიგ გაებმიან.

ამ გვარად, ენზელის (პეჰლევის) მცხოვრებლებს თევზი და ნადირის ხორცი უხვად აქვთ. ცხოვრებაც იაფია.

გარდა ამ სიკეთისა, აქ კოლოც ბევრია, რომელიც ავრცელებს საშინელ სენს—ციებას. ამის გამო ბევრი გაურბის ამ მხარეს.

ენზელიდან თეირანამდე მიდის მშვენერი გზატკეცილი, რუსეთის მეფის მთავრობის მიერ გაყვანილი ძველათ, როდესაც იგი აზიის დაპყრობაზე ფიქრობდა და ჩექმის კვალი შეჰქონდა ყველგან. სპარსეთი იმ დროს ორად იყო გაკვეთილი—რუსეთსა და ინგლისის შორის. ეს ორი დევი არხეინად იყენენ ფეხმოკეცილნი სპარსეთის ჭრელ ხალიჩაზე და მხოლოდ რუსეთის რევოლიუციის ქარიშხალმა წამოაყენა ფერდაკარგულნი.

ახალი რუსეთი სპარსეთის ძველს აღარ ედავება. და პირიქით, ბევრიც დაუთმო. ინგლისსაც შეუცვლია პოლიტიკა, მაგრამ თავისებურად. მას საკმაოდ უსარგებლნია რუსეთის აქედან გასვლით და ეკონომიურად გამაგრებულა. ინგლისის უმთავრესი დასაყრდნობი ბანკებია. ყველგან ბანკები, სადაც და რასაც ქალაქის სახე ადევს. აგრეთვე ყველგან—ეგრედ წოდებული ბანკნოტები, რომლებსაც მარტო ქალაქებში აქვთ გასავალი, რადგან სხვა ქალაქის ბანკი მას არ მიიღებს, ხოლო თუ მიიღო, უსათუოდ რამდენიმე პროცენტის დაკლებით. ეს ძალიან ართულებს საქმეს და ყველა ზარალობს ბანკის მეტი.

ინგლისის ბანკები ამ ქაღალდებში ვერცხლის გარანტიას იძლევიან და, ვითომ, ერთბაშად რომ რომელიმე ბანკს არ დაადგეს გადახდა, ამიტომ ყვე-

ლა ადგილობრივ აგებს პასუხსო. ეს თუ კარგია, ისევ ინგლისის ბანკებისათვის, რომელნიც ფულის ქალაქიდან ქალაქში მოძრაობით სასესხოდ პროცენტებს იღებენ.

ენზელიდან მიმავალ მგზავრებს ხშირად გზას ულობავენ ტყის ნადირნი: ლორი, მგელი, ტურა, მელა და ზოგჯერ გარეული კატა—ფოცხვერი. ეს მგზავრობას ახალისებს. მგზავრობა აქ ზაფხულობით ლანე სჯობია, და ჩვენც ენზელიდან ღამე გავედით. საღამო წყნარი იყო, ოდნავ ღრუბლიანი. იმ დღეს ორჯელ წამოსწვიმა, ახლაც ცაზე ღრუბლები ირეოდენ.

განვლეთ უდაბური ტყეები და მივადექით ეგრეთ წოდებულ „გენერლის პაგონების"—მთას, რომლის გადალმა იწყება გარუჯული მინდვრები, გადამწვარი გორები და უსიცოცხლო ხეები, დაფარული მტვერით.

ამ „გენერლის პაგონებით" გვაშინებდნენ ენზელში; ძნელი გადასავალიაო. იგი მართლა მაღალი მთაა, იალბუზად წოდებული, და მის მიხვეულ მოხვეულ გზებსაც „პაგონებს" ეძახიან.

ვისაც საქართველოს მთებში და გზებზე უვლია, იმისთვის ეს მთა უბრალო სანახავია, ყოვლად უშიშარი და უვნები. რასაკვირველია, ნშვიდობით გავცდით ამ მთას და მივადექით მენჯილის ხიდს, რომელიც ლადო აღნიაშვილს აქვს მოხსენებული თავის წიგნში. ეს ადგილი მდებარეობს ორი კლდის შუა, მდინარე სეფიდ რუდაზე (თეთრი მდინარე), და შესანიშნავია თავისი მუდმივი ქარებით. აქ ზოგჯელ გახელებული ქარი ასწევს საპალნიან ვირს, აქლემს და გადაუძახებს გზის გადალმა.

ამ ხიდის აშენების დროსაც კი 12 საათიდან 5-მდე იძულებულნი იყვნენ ხოლმე, მუშაობა შეეწყვიტათ დიდი ქარის გამო და საღამოზე განეგრძოთ.

ამის იქით დაიწყო ნამდვილი აზიური ტროპიკული მხარე. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ქერის და პურის ნათესები და კლდეებში მიკრუნჩხული სოფლები, ერთი-მეორეზე მიშენებული სახლებით.

თეირანამდე გვხდება მხოლოდ კაზვინი, ძველი ქალაქი,—ვიწრო ქუჩებით და დაბალი შენობებით,—ზღვიდან ორასი ვერსის მანძილზე. მაღლობი ადგილია. განთქმულია ვენახებით და ღვინით. აქაური წითელი ღვინო—„შანი" მართლა კარგია და ძალიან წააგავს ჩვენებურ ალექსანდრეულის ღვინოს.

ტყუილად ამბობენ—სპარსელი ღვინოს არა სვამსო. რასაკვირველია, ჩვენ, ქართველებს, ღვანის სმაში ვერ შეგვედრებიან, მაგრამ მაინც საკმაოთ არიან ღვინის დამყენებელნიც და მსმელნიც. თვით გამოჩენილი მგოსნებიც კი დიდი მოყვარული ყოფილან ღვინის და არა ერთი და ორი ლექსი მიუძღვნიათ იმის საქებრად.

„როცა მოვკვდები, ვაზის ფოთლებში შემხვიეთ და ისე დამმარხეთოო".—ანდერძად სტოვებს სპარსეთის უუდიდესი მგოსანი ომარ ხაიამი. და ერთხელ თურმე ღმერთსაც დავა აუტეხა: მე ღვინოსა ვსვამ და შენ კი ითვრებიო!..

ყაზვინიდან თეირანამდე გზას მისდევენ შიშველი მთების გრეხილები, ყოვლად უსიცოცხლო, გადამწვარი და გადაცვეთილი სიცხისა და ნიაღვრისგან. იმის ღრმა ხევებში ალაგ-ალაგ გაშენებულია პატარა სოფლები, მიწური ან გა-

უთლელი ქვისგან, ერთი მეორეზე მიშენებული, პატარა ეზოთი და ვიწროდ დაგრეხილი გზებით. ასეთს ადგილებში გამოდის მთის წყაროები და სიცოცხლეც იქ გაჩენილა. აქ ამ ღრადოებში ნახავთ თითო-ოროლა ხეს. სხვაგან ეს ამ თვალუწვდენს კლდეებში, მხოლოდ ბალახი ამოდის, ისიც კანტიკუნტად. ასმაგიეროდ მთის კალთები და ვაკე ადგილები ბევრგან ირწყვება ხელოვნური ჭებით. ამ მხრივ სპარსელს არ დაუზოგნია თავი. მთელი ნიადაგი დაცხრილულია და დახვრელილი, რომ წყალი იშოვნოს და მიწა გააცოცხლოს.

„წყალი სულია დედა-მიწისაო“—ამბობს სპარსელი.

ვინც წყალს გააჩენს! ე. ი. ვინც ჭეებს გააკეთებს, იმას ეკუთვნის მიწაც.

ჩვენებური კაცისთვის წარმოუდგენელია ასე ღრმად მიწის გულში ჩაძვრენა პატარა წყაროს გულისათვის. ამბობენ—აზიელი ზარმაციაო, მაგრამ ამ უთვალავი ხვრელების და ჭების მხახველმა არ შეიძლება პატივი არ დასდოს მის გამკეთებელს. სადაც კი წყლის ნასახია, იქ უსათუოდ არის ყოველნაირი მცენარე, ნათესობა და ხელოვნურად გაშენებული ტყეებიც.

მიწა საზოგადოთ ქვიშიანია და მწირი. იგი მალე იღლება და ძალა ეცლება, ამის გამო სოფელი იძულებულია აიყაროს და სხვახან გადასახლდეს. ეს გადასახლება ისე ადვილად ხდება, რომ ჩვენებური კაცი არც კი დაიჯერებს. სპარსელი კი ხელათ მიატოვებს თავის მიწურებს, თუ რამე აქვს, აჰკიდებს აქლემს, ჯორს, ვირს და ხელათ მეორე ადგილზე გააჩაღებს კერას.

მიწის მუშის ე. ი. გლეხის მდგომარეობა აქ მეტად მძიმეა. კერძო მესაკუთრე გლეხი იშვიათია. მთელი სოფლები, მთელი მიწა ადგილი ან მთავრობას ეკუთვნის, ან ხანებს, ან კერძო კაპიტალისტებს, ჩარჩებს და მოიჯარადრეებს. სოფლები მეტ წილად იჯარით არის გაცემული. სოფლის პატრონი საიჯარო ფულს ერთბაშად მიიღებს და განსაზღვრულ ვადაში სოფელთან ყოველივე კავშირს სწყვეტავს. სოფლის ბატონ-პატრონი მოიჯარადრეა. როგორც უნდა, ისე იქცევა, რამდენიც უნდა, იდენს მოითხოვს. ამიტომ ვინც ორიოდე გროშს მოიგდებს ხელში, სოფელს ეკვეთება, იქნება იჯარით ავიღო და გავკეთდეო. აგრეთვე ხშირია მთელი სოფლის ყიდვა-გაყიდვაც. სოფელს ამაზე არავინ ეკითხება. სოფლის ბატონ-პატრონს, ხანს თუ ვინც არის, წლის ბოლომდე თუ საიჯარო ფული არ ეყო ან ვალში ჩავარდა, ისე მოიქცევა, როგორც წინათ ჩვენი თავადები იქცეოდეენ: აიღებს და გაჰყიდის. შემდეგ მას შეხვდებით ქალაქის ქუჩებზე მოხეტიალეს, ჩაიხანებში, თრიაქით ან ჰაშიშით გაბრუებულს ხოლო ის არ ჩხუბობს და არ იგინება, როგორც ჩვენებურებმა იცოდნენ წინათ. ფული შემოელევა თუ არა, ისე გაჰქრება, როგორც ღამის მოჩვენება. ის მაშინ ყველაფერს კადრულობს: მიწის მუშაობას, მოსამსახურეობას, ნოქრობას და სხვა. ასეთი მოვლენა ხშირია, მაგრამ წოდებათა კადრი მაინც არ მცირდება. ხანის წოდების შეძენა ძალიან ადვილი საქმეა: მცირე ნაცნობობა და რამდენიმე სპარსული თუმნის გაღებაა საჭირო, რომ ხანობა მიიღოს მსურველმა. (თუმანი ორ მანეთს უდრის).

გზა ენზელიდან თეირანამდე ერთნაირია: ფართე სწორი, საავტომობილო ასეთი გზებია საზოგადოთ სპარსეთის უმთავრეს ხაზებზე, ქალაქიდან ქალაქამ-

დე. რკინის გზა არ არის, გარდა თავრიზის მხარისა, რომელიც მიდის ამიერ კავკასიიდგან თავრიზამდე, ესეც შემთხვევით დარჩათ რუსეთის რევოლიუციის შემდეგ. სპარსელები რკინის გზის გაყვანაზე ჯერ თავს [illegible] ეს საქარავნო გზებიც მას აქეთ გამშვენიერდა, რაც ავტომობილების [illegible] ახშირდა, ისიც პირველ ხანებში უცხოელების მიერ. აქამდე მთავრობას საგზაო ბიუჯეტი არა ჰქონია. ან კი რად უნდოდა! ვირი და აქლემი რომ ბილიკზე გაივლის იქ კაცსაც უჭირს გავლა. მორჩილი ცხოველები და მათზე არა ნაკლებად მორჩილი ჩავლადარები—მეტ წილად ფეხშიშველა, დახეულ-დაფლეთილ ტანისამოსით საოცარის სიდინჯით მისდევენ და მიაქვთ მთელი სპარსეთის საზრდო და საჭითო ამანათები.

ყოველ დიდსა თუ პატარა გზებზე მოდიან გაბაწრული ქარავნები ქალაქებისკენ—უხვად დატვირთულნი, ზარების დაუსრულებელი რეკით და ელარუნით.

მოდიან მთელი დღე და ღამე, შეუწყვეტლივ. ქარავანი ქარავანს მისდევს. თითო ქარავანს ორი ან სამი კაცი ახლავს. დატვირთული ცხოველები თოკით არიან ერთი-მეორეზე გადაბმულნი. ხშირად გამყოლიც ზედ ადის და იძინებს ტომრების შუა. ამ ცხოველების ძვლებით მოფენილია გზის ნაპირები. დაუძლურებული და დაძლეული მძიმე ტვირთისაგან, ცხოველები შხირად ეცემიან და იხოცებიან მძიმე ტვირთის ქვეშ. კიდევ კარგი თუ ჩავლადარმა ტვირთის მოხსნა მოასწრო და გზის ნაპირზე გადაათრია. დაღუპული ცხოველის ბარგს სხვებზე გაანაწილებენ და ისევ გაუდგებიან გზას. მძორი კი რამდენიმე საათში გაიწენწება ყვავ-ყორანთა, ორბთა და არწივთა პასრი ბრეყალებისგან.

ქარავანს უსათუოდ გამოცდილი აქლემი მიუძღვის წინ, სხვებზე ზორბა და თვინიერი. ეს აქლემი ყველაზედ უკეთესად არის მორთული და ქოჩორიც შეღებილი აქვს. მას უზარმაზარი ზარი ჰკიდია კისერზე. იგი ყრუდ გუგუნებს, რომ უკან მომდევრებმა გაიგონ მისი გეზი. როცა გუგუნი შესწყდება ყველანი უნდა შეჩერდნენ, რომ ერთმანეთში არ აირიონენ. ზარი უსათუოდ ყოველ პირუტყვს ჰკიდია. რამდენიც უკანაა პირუტყვი, იმდენად ზარიც პატარაა და სეხანაირ ხმაზე მომართული. სულ ბოლოს ვირი მისჩანჩალებს. ის მუდმივი თანამგზავრია ყოველნაირი შემთხვევის დროს სპარსელის ცხვრებაში. მას ყველაზე პატარა ზარი ჰკიდია, რომელიც განუწყვეტლივ წკრიალებს. აქლემს კისერი უშნოდ აქვს გაწვდენილი, თვალები მშიშარა უგუნურად გამომეტყველი, მაგრამ თავისი გზა კარგად იცის, და თუ არ გაუჭირდა გზას არ გადასცდება. სპარსეთის ყველა გზები ასეთი ქარავნებით არის მოფენილი. მთელი სპარსეთის სიმძიმე ამ საწყალ და თვითნიერ ცხოველს აწევს ზურგზე. სპარსელს ამ ცხოველთა ჯიშიც საკმაოდ განუვითარებია, თვითონაც ყოველთვის თავმომწონედ ზის ზედ, დინჯ შემოყრილი. აქ „ვირი“ სალანძღავ სიტყვად როდია გადაქცეული. სპარსეთს თავისი იორღა—თეთრი ვირი ყველაფერს ურჩევნია. უნაგირსაც, ლამაზს უკეთებს, მოხდენილს, ტახტივით დასაჯდომს, რბილის ბალიშით და ხალიჩით დაფარულს. ვირებით მოგზაურობა სპარსეთში დიდათ მიღე-

ბულია. უცხოელების პირველი ოცნება აქ ვირებით გასეირნებაა, ვერც ნახავთ მგონი ვერც ერთს უცხოელს, რომ ვირზე არ მჯდარიყოს.

ამ ბოლო დროს გახშირდა ავტომობილებით მიმოსვლა. სპარსელს ძალიან უყვარს ქალაქ-გარეთ გასეირნება.

უკანკალ დღეებში ხალხით მოდებულია განაპირა ადგილები. სპარსელი სადაც პატარა მდინარეს ნახავს, დაჯდება და მთელი საათობით რაღაცაზე ოცნებობს, ფიქრობს, ან და პაწია თუნუქის სამოვარს გააჩაღებს და ჩაის მიირთმევს. ჩაი ძალიან უყვარს. სვამს პატარა საღვინე ჭიქით უანგარიშოდ და ეწევა ყალიონს. თამბაქოს ხომ ყველა ეწევა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი. საპატიოდ, სასტუმროდ კი ყალიონი აქვთ. გააჩაღებს, თვითონ მოსწევს და შემდეგ შესთავაზებს სხვას. ეს დიდი პატივისცემაა.

გზებზე ჩაიხანებში, სხედან ფეხ-მოკეკილები, ბოლში გახვეულნი, მეტის-მეტი ძალდატანებისგან ფერდაკარგულნი და დაღლილნი. ჩვენებური სიფიცხე და მოუთმენლობა აქ თითქმის არ არის. სპარსელი ითმენს უკანასკნელ საზღვრამდე და უცხოელს აკვირვებს თავისი დინჯი კილოთი, თუმცა იმის ლაპარაკში ბევრი ჰკუაა, ბევრი მოფიქრება, დაცინვა და ეშმაკობაც. ის სულელურად ისეთს არაფერს წამოროშავს, რომ შემდეგ გამოსავალი ვერ იპოვნოს.

თითქმის ყველას ერთნაირად აცვია. შავი ტანისამოსი, შავი ქუდი, მოსახურავი—ლაბასი.

ამ მხრივ ქალები ბევრად განირჩევიან მამა-კაცებისგან. ჩადრი შავი იცია-ან, მაგრამ სხვა სამოსი წითელ ყვითელი, მწვანე, ლურჯი და სხვა ღია ფერისა. უყვართ ზიზილ-პიპილები და ფერუმარილი.

წარმოუდგენელია, ამდენი შავი თვალი რომ სადმე იყოს სხვა რამე რომ დაუწუნოთ სპარსელს, თვალებს მაინც ვერ დაუწუნებთ: შავი, ღრმა, სევდიანი, ჭკვიანი. ნახავთ ულამაზოს—დიდის ტუჩებით, გაჭეჭყილი ცხვირით, მაგრამ მისი თვალები ბევრს ჩვენებურს კოპწია ქალსაც დაამშვენებდა.

აქ თუ არის რამე სხვა ფერისა და სილამაზის, უსათუოდ სხვა ჯიშისა გამოდგება. ნამდვილ სპარსელს მაშინვე იცნობთ. ის უსათუოდ განირჩევა სახის სწორი ხაზებით, ნატიფობით, ტანის სისწორით და გრძელი კისერით. წელშიც ვიწროა, სწორი. სპარსელს თავისი ჯიში დაუცავს. მას ბევრი განსაცდელი გამოუვლია ისტორიის გზაზე, ბევრი დაჩაგვრა და სისხლის შერევა უნახავს, მაგრამ მაინც თავისებურობა შეუნახნია. პირიქით, მომხტომიც თავისებურად გარდაუქმნია, თავისი სისხლით დაუძლევია და დაუმორჩილებია.

სპარსელი მეტის-მეტი ფანატიკოსია თავისი სპარსელობის. მას საშინლად სძულს ვინც მის სულსა და ხორცში ძალით შედის. იგი უსათუოდ გაურბის მას. ან გააგდებს, თუ შესძლო. ასეთი ჯიუტი მიუკარებლობით, იქმნება ბევრი, რამ დაჭკარგა მან კულტურის გზაზე, მაგრამ თავისი ჯიში კი სუფთად შეუნახა მომავალს.

ყაზვინის შემდეგ გზა ვდება თეირანი—ცენტრი სპარსეთისა და შაჰის სატახტო ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეირანი.

თეირანის შესავალში ამართულია ლამაზი ჭიშკარი, ოთხი ლამაზი სვეტით მინანქრიან აგურებით მოჭრელებული. ასეთი ჭიშკარი ქალაქის გარშემო ათამდეა. ყველგან დგანან მუდმივი დარაჯები, ამოწმებენ შოროიდან მიმსვლელებს და აგრეთვე ქირას იღებენ შემოსულ საქონელში. ამ ჭიშკარს, თუ ქალაქში შესვლა გინდათ, გვერდს ვერ აუვლით. დღისით იგი მუდამ ღიაა, ღამით კი ჩამოშვებულია დიდი ძელი, რომელიც დღის განმავლობაში აყუდებულია იქვე. ეს ძელი ცალ თავში მძიმე ქვებით არის დატვირთული ერთი მხარის დასაძლევად. მეორე თავში თოკი აბია და დაიწევს ძირს თუ არა, მაშინვე მიაკრავენ ბოძზე. ამ ძელს, როცა ჩამოშვებულია, დაუკითხავად ვერავინ გადააბიჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკან დაგედევნებათ საშინელი მუქარა, რომელსაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს ძელი დარაჯის შეუდრეკელი ქომაგია, მომხმარე. იგი აჩერებს ასობით მომდგარ ქარავანს, სანამ დადებულ ბეგარას არ გადაიხდიან. იგი ძალიან უშნოა, ულამაზო.

ამ ჭიშკრების და ძელის საშუალებით მთელი ქალაქი დაიკეტება, როცა საჭიროა და შიგ რაც რამეა, თუნდ სათითაოდ თითებზე ჩამოითვლით. ვისაც ამ კარების დაკეტის უფლება აქვს, მთელი ქალაქიც მის განკარგულებაშია. ამ ჭიშკრებიდან ჭიშკრებამდე მიდის ღრმა არხი, ორი-სამი საჟენის სიმაღლისა და 10 –15 საჟენის სიგანის, რომელიც გარს უვლის მთელ ქალაქს. ამ არხის შიგნით არის ქალაქი მომწყვდეული, და თუმცა მის გარეთაც არის თითო ოროლა სავაჭრო თუ საცხოვრებელი შენობა, მაგრამ მათ არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ.

თეირანი სპარსეთის სატახტო ქალაქია თითო ან ორ-სართულიანი შენობებით, ფართედ გაშლილი ვაკეზე, ხრიოკი მთების ძირში, საიდანაც მუდამ მოსჩანს თოვლით შემოსილი, შაქრის თავივით ასვეტილი მთა დემოვენდი, რომელიც 19500 ფუტამდე აღწევს და წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანს.

თეირანის ახლოსვე არის მკვდარი ქალაქი რეი, თითქმის ზედგადაბმული თეირანზე, რომელიც გაუნადგურებიათ მონგოლებს. იქ მიწის გათხრის დროს იპოვნეს შარშან მუმია, ქვის კუბოებში ჩაჭედილი, ქალისა და კაცის, და კიდევ რაღაც ძველი ნივთები, რომელნიც, როგორც ამბობენ, უკვე შეიძინეს ევროპიელებმაო.

თეირანში დაახლოვებით 210-ათასი მცხოვრებია. სპარსელები დიდს უმრავლესობას შეადგენენ.

აქ არის სასახლე კომკივით აშვეტილი: სადა, ოთხკუთხი კედლებით, მინანქრიანი აგურებით მოოჭვილი, რომელსაც აძევს სიძველის, ნგრევის ბეჭედი. აქ ცხოვრობდნენ უკანსკნელი შახები.

სპარსეთის მთელი მართვა-გამგეობა, მიუხედავად კონსტიტუციონურ კანონებისა, რომელნიც სადღაც ქალალდზეა დაწერილი და დავიწყებული, რიზა ხანის ხელშია, რომელსაც მინიჭებული აქვს ჯარის უმაღლესი მთავარ სარდ-

ლობა*). მან დიპლომატიურის მოხსენებით და თავაზით გაამგზავრა შაჰი საზღვარ-გარეთ.

რიზა ხანს სპარსეთის ნაპოლეონს უწოდებენ. არ ვიცი, რამდენად შეეფერება ეს შედარება, რადგან ნაპოლეონი უკვე წარსულს ეკუთვნის, ხოლო რიზა ხანი ახლა იწყებს ზევით ასვლას, დიდების გვირგვინისაკენ. რიზა ხანის განდიდების ისტორია უბრალო ჯარის კაცობიდან იწყება. სწავლა-განათლება მცირედი აქვს. იგი ტანმაღალია, მხარბეჭიანი, შავგვრემანი, რიხიანი სახის. საკმაოდ მრისხანე. მოწინააღმდეგეს, თუ უნდა, ხელით გაუსწორდება. ის არავის მოერიდება, თუ დასჭირდა. მისი პოზა ნაპოლეონის პოზაა. წარბ დაწეული, ძირს დახრილი თვალებით, რომელიც ერთს წერტილს მისჩერებია. იგი თითქო გვერდით არასოდეს არ იხედება. დადის ყველგან მარტო, უშიშრად. იცის, რომ წინ ვერავინ გადაუდგება. ეტყობა დიდი ენერგია და სიჯიუტე. ამბობენ: ერთხელ, მისი სამხედრო მოღვაწეობის პირველ ხანებში, როდესაც იგი ომში დაქანცული და მშიერი შევიდა ერთს ღარიბს ჩაიხანაში, მას ერთმა უბრალო სპარსელმა უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი. ის კაცი თურმე დღეს საგანგებო პენსიას იღებს ამ გვარი გამოცანისთვის. რიზა ხანის პირველი მეუღლის, უკვე ხანში შესული დედა-კაცის თავმოყვარეობა შელახულია. რიზა ხანმა კანონის დაურღვევლად ახალგაზრდა პრინცესა შეირთო. პირველი ცოლი დაემუქრა თურმე: გაგიქცევი, დაგწყევლი და ისევ წინანდელ დღეში ჩავარდებიო. სპარსეთის მბრძანებელმა იგი ცალკე დაასახლა და მიუჩინა მუდმივი ყარაულები, რომ არსად გაიქცეს. ხოლო დატყვევებული ცოლი ალბად ბევრს იწყევლება, მაგრამ ჯერ ამ წყევლას არ გაუჭრია.

რიზა ხანის საქმე ჯერ წინ მიდის. მაგრამ ნაპოლეონობას ნაპოლეონის თავი უნდა. ვინ იცის, როგორ მოთავსდება ეს ორი თავი ისტორიის ერთნაირ ჩარჩოში?

შაჰობის იდეა მოძველებულია თვით სპარსეთშიც. ეს საკითხი პრინციპიალურად უარყოფით გადაწყდა მსოფლიო მასშტაბში და მისი ხელახლა შეკოწიწება შეუძლებელია. რაც გიხდა ჩამორჩენილი იყოს სპარსეთი, იგი მაინც შეჰქმნის ოპოზიციას, რომ ცხოვრება წინ წასწიოს და თავის მეზობელთა ნაკვალევს დაადგეს. შაჰი არის, მაგრამ ის არაფერს აკეთებს. ეს შეგნებული აქვს ბევრს.

მათი საზრუნავი უმთავრესად ჯამაგირის აღება, სოფლებში ბეგარის მოგროვება და უცხოეთის ბანკებში ფულის შეტანა ყოფილა. აგრეთვე უშენებიათ ქალაქის გარეთ საგარაჟო სასახლეები. ზოგი მათგანი მიტოვებულია და ინგრევა. მაგრამ ყარაულები მაინც იცავენ. ისინი გახარებულნი არიან უცხოელის მისვლით, რომ მცირე რამ საჩუქარი მიიღონ. გააღებენ ყველა კარებს და დაგატარებენ ყველა ოთახებში. ყველა სასახლეები აზიურ გემოზეა აშენებული და მოწყობილი. ორ-სართულიანი, დერეფნით, ოთახები განიერი, ზედმეტათ მაღალი, რომ ბევრი ჰაერი მოთავსდეს. დიდი ზალა ხალიჩებით დაფენილი. კედლები და ჭერი მოოქვილი სარკის პაწია ნაჭრებისაგან. ჭალები შუშისავე უთვალავი სანთლებით. წინ—ბაღი და აუზები. უაუზოდ წარმოუდგენელია, არა თუ

*) წერილი დაწერილია რიზა-ხანის ტახტზე ასვლამდე.

სასახლე, თვით უბრალო ქოხიც კი. შაჰის სასახლის ეზოში აუზი კი არა, მთელი ტბებია, გარშემო ყვავილებით მორთული, სავსე წითელ [illegible] და ბაყაყებით, რომელნიც ჩვენს იქ ყოფნის დროსაც აგალობდნენ.

სასახლის ეზოში ენდერუნია ე. ი. შაჰის ცოლების საცხოვრებელი ბინები. იმის სიახლოვეს არავის გაატარებენ ქალების გარდა, ისიც საგანგებო თხოვნით. ენდერუნს ჰყარაულობენ მუდმივათ დასაჭურისებული შავი გოლიათები და აგრეთვე ქონდრის კაცუნები,—დაღრეჯილი სახისანი, მაგრამ ცბიერათ გამომეტყველნი და მხიარულნი. ზოგ მათგანს ჰყავს ასეთივე პაწია ცოლები,—რომ მათი ჯიში არ მოისპოს. ეს ქონდრის კაცუნები საღამოობით გამოდიან ქუჩაში სასეირნოთ, პაპიროზის წევით და კოიალოსნით. ეტყობათ თავს ბედნიერად გრძნობენ, თუ მოჰკრავენ თვალს ვინმეს, სასახლისკენ ეტლით ან ავტომობილით მიმავალს, კატასავით შეუხტებიან და გაჰყვებიან.

თავისებურია აგრეთვე სასახლის დამცველი კავალერია. ჰყავთ არაბული თეთრი ცხენები, ნათლად კუდშელებილნი, კოხტა უნაგირებით მორთულნი, სუფთად დაურეცებულნი. მხედრები წითელ ფორმაში არიან ხშირი ფოლაქებით და თეთრი ტყავის ქუდებით.

თეირანის ახლო მიდამოებში არის აგრეთვე ერთი ძველი სასახლე, რომელსაც მარტო კედლები-ღა შერჩენია. მას თურმე „სიკვდილის“ სასახლეს უწოდებდნენ თავის დროზე. იგი მაღლობზეა აშენებული და მთელი თეირანის მიდამოებს გადმოსცქერის მწუხარედ, და ალბათ ხშირად მოუთხრობს თავის ბოწყინვალე, მაგრამ უხეირო წარსულს და იქ, საიდანაც ისმოდა მეფეთა-მეფეების სასტიკი სიტყვა და განაჩენი, დღეს ყველაფერი მომკვდარა. მასაც სწვევია ის „სიკვდილი“, რომელიც იბადებოდა მისი დაბურული კედლების შორის. ამ „სიკვდილის“ სასახლის ჯილდო მისი უსიცოცხლო კედლების ნაშთებია უთვალავი ხვრელებით, სადაც ბუდობენ მინდვრის თაგვები და ქვეწარმავალნი.

ამ სასახლეში თურმე შაჰი მიიწვევდა თავისთვის არა საიმედო, საეჭვო პირს. მოუფერებდა მას. დიდ პატივს დასდებდა. შეჰპირდებოდა ჩინ-ორდენებს და მთელი ქვეყნის სიმდიდრეს. შემდეგ ჩუმათ, თავის მსახურის ხელით შეაპარებდა საწამლავს. და ვერავინ ეტყოდა: შაჰ, ეს რა ჰქენი?!

დრო, რომელიც ბოლოს და ბოლოს ყოველივე სიბოროტეს ჰკლავს, შეიქმნა მისი სამართლიანი მსაჯული; დღეს, მიუხედავად მისი საშინელი წარსულისა, იგი საცოდავია თავის არარაობით!..

თვით თეირანი ორათ განიყოფება, ისე როგორც ყველა ქალაქები აზიაში: ძველი და ახალი ქალაქი. ეს ორი ქალაქი, თუმცა გადაბმული არიან ერთი-მეორეზე,—ერთი მეორესგან დიდათ განირჩევიან; ერთი—ძველი, რომელიც დღე და დღე კვდება, ჰკარგავს თავის სახეს, ფერს, სიცოცხლეს; მისი კედლები ინგრევა და აღარ იღებება. მასზე აღარავინ ოცნებობს, რომ რიგიანად შეაკეთოს და სიცოცხლე გაუგრძელოს. იქ მხოლოდ მოძრავი, კაპიტალი დაბუდებულა. საკმაოა ერთი „უბედური“ შემთხვევა, რომ იქ დარჩეს მხოლოდ მიწის უხეირო ნანგრევები.

მეორე ქალაქი ახალია. ის დღე-და-დღე იზრდება, ვაჟკაცდება, სახეს იცვ-

ლის, მაგრამ არა უკუღმა, არამედ წალმა, რომელიც ეათარდება თავის ბუნებრივი გზით. იგი თანდათან გამოდის აზიურ მდგომარეობიდან და იღებს ევროპიულ სახეს. ბინები, მაღაზიები, ქუჩების სისწორე—ნამდვილად ევროპიული მაინც არის. ამ ერთ წელიწადში აქ, ქალაქის შუა გულში—ბაღიც გაბაშენეს. წინად კი წააგავდა ჩვენებურ უბრალო გლეხის ეზოს, ნაგვით სავსეს. ძველი ქალაქი თავისი შენობებით წარმოადგენს ერთ უზარმაზარ ხვრელს, აუარებელი მიხვეულ-მოხვეული ტოტებით. მთელი ქალაქი თაღშეკრულია. ზევიდან რომ დახედავთ, უსიცოცხლო უდაბნოს წარმოადგენს ათასი პაწია გორაკებით. მაგრამ შიგნით, როგორც ჭიანჭველის სოროში, სავსეა ხალხით და სიცოცხლით. აქ, ამ დაუსრულებელ ხვრელებში არის საუკეთესო მაღაზიები, მთელი ვაჭრობის ცენტრი ეს არის. რაც სხვაგან არ იშოვნება, აქ უსათუოდ მოიძებნება. ეს დახურული ხვრელები უნდა ქურებათ წარმოიდგინოთ. ნას ყოველ დღე რწყვენ, ჰგვიან, მაგრამ მაინც სავსეა მტვერით და სინოტიოთი. თაღები დახვრეტილია ჰაერის სისუფთავისა და სინათლისათვის, საიდანაც სვეტებივით ჩამოდის მზის სხივები. სავაჭროები ერთი მეორეზეა გადაბმული. შიგა-და-შიგ გამოერევა დიდი ევროპიული სავაჭრო. დიდი უმრავლესობა კი, პატარა სავაჭროებია. სრულიად სავსე, გატენილი საქონლით. თვითონ პატრონი ერთს პაწია ალაგზეა მოკეცილი და იქიდან გაწვდის საქონელს. იქ უდგას პაწია მაგიდა, დავთარი, საწერ-ქალამი და ყოველივეს სწერს მარცხნიდან მარჯვნივ.

მიგა-და-შიგ არის ქარვასლები, ეზოები, სამლოცველოები და ჰაუზები. აქ, ამ აუზებთან მოდიან დასიცხულნი, მწყურვალნი, ვისაც პირის ან ფეხის დაბანა უნდა. ხელით შეარხევენ წყლის ზედაპირს, რომ ჭუჭყი განზე გარეკონ, და დიდის კმაყოფილებით იგრილებენ გულს, იკლავენ წყურვილს და ფეხებსაც იქვე იბანენ. ყოველი სპარსული ლოცვის დასაწყისს მივა ჰაუზთან, ხელებს გაავლებს; თუ ჩასწვდა, მთელ სახეს შიგ ჩაჰყოფს, პირს გამოირეცხს და შემდეგ დაემხობა მიწაზე, რამდენჯერმე შეხედავს ცას, რომ მან მისი ლოცვა შეისმინოს, და გაათავებს თუ არა, ისევ თავის საქმეს დაუბრუნდება.

ასეთი გულმოდგინებით, ასეთი ფანატიზმით გამსჭვალული ლოცვა წარმოუდგენელია ჩვენებური კაცისთვის.

მორწმუნე სპარსელი, როცა ლოცვის დრო მოახლოვდება, სხვაზე აღარ ფიქრობს, ასეთი დრო კი დღეში ხუთჯერ დგება. ამ დროს დუქნების წინ, ეზოებში და ყველგან, სადაც კი რამდენიმე კაცი ცხოვრობს, გამოდგებიან პატარა ბაღნები, კაცები, ვისაც დიდი ყვირილი შეუძლიან, და საშინელის ძალით გაჰკივიან—„ლოცვის დრო დადგაო". მათ ძალდატანებისგან სახე ელმიჯებათ, ხელს ლოყაზე ან საფეთქელზე მიიდებს და, თუ უცაბედათ გვერდით გაუარეთ, ისეთს შეჰყვირებს, რომ დაგაყრუებს. მორწმუნე სპარსელისთვის როდი კმარა მეჩეთი, რაიც საკმაოდ ბევრია ყოველს მოხდენილს ადგილში. აქ ყოველ სავაჭროების რიგებში თითო ოთახი ხალიჩებით ან უბრალო ფალასით არის მოფენილი. როცა უნდა, ამ ოთახში შედის და მთელი წუთობით არის თავდავიწყებულ დამხობილი. საღამოობით ასეთი სამლოცველოები სავსეა. მლოცველები დაეწყობიან მიწაზე და მათს სიტყვის ბარაქას დასასრული არ აქვს.

ძველი ქალაქი, გარდა იმისა რომ ვაჭრობის ცენტრად არის გადაქცეული, სასულიერო წოდების მთავარ ბუდედ ითელება.

როდესაც სამღვდელოებისა და მთავრობის შორის რამე შეტაკება მოხდება, პირველად ბაზარი დაიკეტება. აქედან დაიძვრის მოლების და სეიდების წინამძღოლობით აუარებელი ხალხი, და დადიან ქუჩებში ყვირილით, ან მეჯლისს მიადგებიან. ამ შემთხვევაში საკმაო სიკერპეს და ბრძოლის უნარს იჩენენ. 1924 წ. რიზა ხანის მთავრობამ განიზრახა მეჯლისის ჯამჰურად გადაკეთება—ე. ი. პარლამენტად. საქმე თითქო გაჩაღებული იყო. ყველანი ცნობის მოყვარეობით მოელოდნენ ამ დღეს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ასეც მოხდებოდა. მაგრამ ეს არ მოეწონა ბევრს, სხვა რამით დაინტერესებულს, განსაკუთრებით სამღვდელოებას. დაიკეტა ბაზარი. ქუჩები გაივსო მანიფესტანტებით. მათმა ყვირილმა, ბავშების და დედაკაცების ჟივილმა შეარყია ჰაერი. მეჯლისის წევრები მიიმალნენ. თვით რიზა ხანს, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, პრეზიდენტობა უნდაო, ქვა ჰკრეს და კინაღამ წუთი სოფელს გამოასალმეს. ამისთანა შემთხვევისთვის სასულიერო წოდება ქალებს, ბავშებს და მცირე წლოვანთ, გაიმძღვარებს წინ, რომელთაც კანონი უფრო რბილათ ეჭცევა. ამრიგად ერთს დღეში ჩაშალეს მთელი თეეობით ნაშრომ-ნაღვაწევი. ამის შემდეგ „ჯამპური" აღარავის უხსენებია.

კიდევ: 23 სექტემბერს, 1925 წ. პურის ნაკლებობის ნიადაგზე ატყდა ალიაქოთი. პურის ყიდვა-გაყიდვის მონოპოლია მთავრობის ხელშია. ხელათ დაიკეტა ბაზარი. ქალები, ვაჟები და ბავშები საშინელის კივილით მოედვნენ ქუჩებს. გარეკეს მეჯლისის წევრები, რამდენიმე პოლიციელსაც სცემეს. მთავრობამ ჯარი ფეხზე დააყენა. ბევრი დაატყვევა, რამდენიმე ასეული კაცი საბჭოთა მისიას შეეფარა. მეორე დღეს პური ბევრი იყო, მაგრამ ხალხი მაინც არ დაწყნარდა. პირიქით, მეტი შარი მოუდო მთავრობას: „ეს მარტო დღეს არის, ხვალ ისევ უპუროთ დაგტოვებთო". არეულობა მთელი დღე არ შეწყვეტილა. აღელვებული ხალხი, სხვათა შორის, იძახდა—გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთსო. ძველი ქალაქი აღარ იზრდება, მაგრამ მოძრაობა, უმთავრესათ რეაქციონური, იქიდან იწყება.

მომავლის სასწორი ახალისკენ არის გადმოხრილი. თუ რამე შენდება ახალი, ისევ აქ. მთავრობამ გააფართოვა ქუჩები, დაანგრია ძველი სახლები. გააშენა საზოგადო ბაღი და ერთი ნაბიჯი წინ წადგა ცივილიზაციისკენ.

მაგრამ სპარსელს თავისი ძველი ხასიათი აქაც საკმაოდ დაუცავს. ყველა სახლს, ყველა ეზოს განსაკუთრებული კედელი ჰფარავს. კედელი—მაღალი, მიწის, ულამაზო. ქალაქის მთელი მოსახლეობა ამ უხასიათო და უსარგებლო, ყოველ გემოვნებას მოკლებული კედელით არის შემოფარგლული. კარები—მაგრად გადარაზული ყოველთვის. მაგრამ თუ როგორმე მოახერხეთ შიგ შეძვრომა, გული გაგინათლდებათ: ათასნაირი ფერადი ყვავილები, ხეები სხვა და სხვა ჯიშის, ჰაუზი, შადრევანები, ჰაუზებში წითელი თევზები. სახლი ღრმად არის შიგნით შეწეული და კოხტად მორთული. მიდიხარ ამ კედლის გარეთ და გგონია, რომ აქ ყოველი სიცოცხლე მომკვდარა, გათავებულა სამუდამოდ, მაგრამ საკმაო-

კედლის იქით გადახედვა და გულიც გაგიხალისდებათ. რომ რაღაც სასწაულით ვინმემ ეს კედლები ერთბაშად აიღოს და ქალაქიდან კარგა შორს გადაყაროს, მაშინ მთელი თეირანი ერთ უშველებელს, მთელს ქვეყანაზე უდიდეს ბაღად გადაიშლებოდა. სპარსელი ისე სახლს არ ააშენებს, რომ პატარა ეზო მაინც არ გამოსჭრას. ეზოში კი ჰაუზი და ყვავილები. ის ყოველთვის სიამოვნებით მიდის ამ ჰაუზთან. იბანს ხელს და პირს და ნებივრობს. თეირანის დიდ ნაკლს წყლის სიძვირე შეადგენს. იმის ვეება რაიონში მხოლოდ ერთი პატარა მდინარე ჩამოდის,—კერეჯი, რომელიც ორმოცი ვერსისს მანძილზეა თეირანიდან, თვითონ თეირანი სარგებლობს მთებიდან ხელოვნურად გამოყვანილი და ქების წყლით, ისიც დიდის გაჭირვებით. ჰაუზებში გროვდება წყალი—ერთი-ორი კვირის სამარაგო.

ეს ჰაუზები მეტ წილათ უსუფთაოდ არის შენახული. ცხადია ამის გამო ბევრია კოლო და ერთგვარი ქინქლასმაგვარი, უფერული მწერი „მოსკიტი". ეს მოსკიტი თვალით ძლივს სჩანს და ძალიან შხამიანია. ძნელია მისგან თავის დაცვა. ციებას არ ავრცელებს, მაგრამ სანამ კარგად არ აცივდება ძილსა და მოსვენებას არ გაღირსებს. ის ბევრია და ყველგან არის. ამ პაწია მწერისაგან თავს იცავენ ეგრედ წოდებული „ფაშაბანდით" (пологъ). ლეჩაქივით თხელია, მსუბუქი, და მთელს საწოლს უნდა ჰფარავდეს ძირამდე. მაგრამ ზოგჯერ ესეც ვერ შველის კაცს.

მართალია, თეირანს გარშემო მთების რკალი აქვს შემოვლებული, რომელნიც უგზავნის სუფთა ჰაერს, მაგრამ ამ სუფთა ჰაერს ადვილად იმორჩილებს და რყვნის თეირანის ეზო-მიდამოების მყრალი ჰაუზები, რომელნიც მეტ წილად ჭია-ღუების ბუდედ არიან გადაქცეულნი.

სპარსელის ოჯახში ქალს ვერ შეხვდები. ქალებს ყველგან საკუთარი ბინები აქვთ. მათ წინდაწინ ამცნობენ სტუმრის მოახლოვებას და უნდა ჩაიწყვიტონ ხმა დრომდე. ოჯახის დედა უნდა დაიმალოს, უნდა პირზე ხელი დაიფაროს, სანამ აქ არის უცხოს ყური და თვალი. ის ვერ გეტყვით „მობრძანდი", ან „წაბრძანდი"—ჩვენებურად, თუ სტუმარი მამაკაცთა სქესს ეკუთვნის. ქალი ამ ჟამად განყენებული ცნებაა. ოჯახის კითხვების გარეშე მდგარი.

მათზე ვერაფერს იტყვი და არც არავინ გიპასუხებს. ქალი ამ დროს ლაპარაკის საგანთა გარეშე დგას, სრულიად დავიწყებული, და თუ რამეს იტყვით მაზე, ამითი მასპინძელს გააჯავრებთ.

მთელს თეირანში და მის მიდამოებში ერთად ერთი, თოფის წამლის და ტყვიების ქარხანაა, რომლის მილი, ცოტაოდენ აფხიზლებს იქაურობას. ისიც ხმაჩაწყვეტილია, მტვერ მიყრილი და საცაა დაინგრევა, მაგრამ საკმაოდ დიდი. აქ შაქრის ქარხანაც ყოფილა, მაგრამ ბალე დაუქმებულა. ვერ გაუძლია გარეშე კონკურენციისთვის და ახლაც უიმედოდ შეჰყურებს მომავალ წლებს.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელი სპარსეთის მცხოვრებნი დიდით-პატარამდე თამბაქოს, თრიაქს და ჰაშიშს სწევენ, არ არის არც ერთი რიგიანი თამბაქოს ქარხანა. პატარა ჩვეულებრივი ერთთვალიანი დუქანი, გრძელი მაგიდა, მის გარშემო ათი-ხუთმეტი ბავში, ეს ბავშვები მთელი დღე, დილიდგან საღამომდე,

ფერ-წასულნი და ხმა-ჩაწყვეტილნი აფაცურებენ პაწია თოთებს. ეხენია თამბა ქოს ქარხნების მუშები. ასეთი ქარხნები ბლომათაა. აქვე ამზადებენ და აქვე ჰყიდიან ნარდათ და წვრილათაც. ასეთივე ქარხნებია: ფარჩუტლების, წინდეზის და სხვა...

ერთად ერთი დიდი ქარხანა, ხალიჩების საქსოვი, სულთანაბადშია, ამერიკელთა ფირმისა. სადაც რამდენიმე ასეული კაცი მუშაობს.

თეირანში არის კონკა, ბელგიელთა საზოგადოებისა, და ეიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა, რომელიც თეირანიდან რვა ვერსის მანძილზე მიდის წმინდა სალოცავ „შაჰაბდულ აზიმში". ეს წმინდა ადგილი აცოცხლებს ამ რკინის გზას. ეს არის მისი შემოსავლის წყარო. უქმე დღეებში და ყოველ პარასკევობით განუწყვეტლივ მიდიან ქალი და კაცი. ქალებისთვის განსაკუთრებული ვაგონია. ასევეა მოწყობილი კონკის ვაგონიც. ვაგონის შუაზე გამოყოფილია ადგილი ქალებისთვის: იქ თუნდ ერთი ქალიც იჯდეს, ან სულ არავინ, კაცი მაინც ვერ შევა. თუ ქალთა რიცხვი გაიზარდა,—მთელ ვაგონს ისინი იკავებენ.

მთელს თეირანში ერთად ერთი კინოა, ისიც უხეირო, სადაც ძველს, დრო მოჭმულ სურათებს აჩვენებენ. თეატრი სრულებით არ არის. წარმოდგენები, ან კონცერტები იმართება უცხოელების მიერ. ისიც იშვიათად, რასაც სპარსელი ნაკლებათ ეტანება. საკუთარი კულტურული გასართობი სპარსელს არა აქვს. ამიტომ მას ერთი გზა აქვს,—სალოცავისკენ და იძულებულია იქ დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილება.

ბიბლიოგრაფია.

ეროვნული

აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები ტ I. სახელგამის გამოცემას. 346 გვ. ფ. 2 მ. 50 კ.

ცნობილია ოსკარ უაილდის თქმა: კლასიკოსები ისინი არიან, ვისი სახელიც ყველამ იცის, მაგრამ ვისაც არავინ კითხულობსო.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის აკაკი წერეთელი უეჭველად კლასიკოსია. მაგრამ მასზე ვერაფერს ვერ ვიტყოდით და კიდევ დიდხანს ვერ ვიტყვით, თითქოს მისი წაკითხვა ძნელი იყოს. და დუ აკაკის ვერ კითხულობდა ჩვენი ახალი თაობა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნაწერები დიდი ხანია აღარ მოიპოვება წიგნის ბაზარზე. მართლაც და, ფრიად ანორმალური მოვლენაა, როდესაც ჩვენი საუკეთესო მწერლების თხზულებებს სასკოლო ქრესტომატიებში ვეძებთ. ამიტომ ფრიად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენი საუკეთესო მგოსნის, აკაკის ნაწერების გამოცემა, რაიც განხრახული ჰქონია ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობას.

„აკაკი წერეთლის რჩეული ნაწერების ეს გამოცემა იბეჭდება ოთხ ტომად: პირველ ტომში მოთავსდება აკაკის მხატვრული პროზა, მეორე ტომში დაიბეჭდება პოემები, მესამეში—დრამები, მეოთხეში—ლექსები"-ო სწერს რედაქცია.

შეიძლება ბევრს ეუცხოოს, რომ განხრახული ყოფილა აკაკის თხზულებათა არა სრული კრებულის, არამედ მხოლოდ მისი **რჩეული** ნაწერების გამოცემა. ჩვენის აზრით (რასაც წიგნის ბოლოში რედაქტორებიც ეთანხმებიან), აუცილებლად საჭიროა აკაკის ნაწერთა აკადემიური გამოცემა. მაგრამ ეს დიდ დროს, მუშაობას მოითხოვს და მომავლის საქმეა. ახლა კი ხელთ გვაქვს ლამაზად, იშვიათის გემოვნებით გამოცემული ტომი, რომელიც ძვირფასი საჩუქარია ქართველი მკითხველისთვის. ჩვენ მას ვუყურებთ, როგორც ფართო მასისათვის ხელმისაწვდომ გამოცემას, იმ მასისათვის, რომელმაც ისწავლა წიგნის ფასი.

პარტოოდენ რჩეულ ნაწერების გამოცემა მით უფრო გასაგები გახდება, თუ გაიხსენებთ თვით აკაკის სიტყვებს: „...თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მოხდარა, თვარა ის ჩემს დღეში არ მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერ მეთქი. ამიტომაც უმეტეს ჩემს ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვალაო" და სხვ.

აკაკის რჩეული ნაწერების ეს ტომიც საკმარისს მასალას იძლევა მგოსნის, როგორც პროზაიკოსის დასახასიათებლათ. ზოგიერთის გამონაკლისის გარდა („გოგია მეჩანგური," „ბაში-აჩუკი") — აქ მოთავსებულია ისეთი მასალა, რომელიც დიდი ხანია არ გამოცემული და ახალი თაობა მას თითქმის არ იცნობს.

აკაკი პროზაიკოსი! ბევრი მას ამ მხრით არ იცნობს და ცოტას თუ ვისმე მიუქცევია ყურადღება. უმრავლეს შემთხვევაში ხელის ჩაქნევით, ზეპირად იტყოდენ: ენა მსუბუქი აქვს რა უჭირსო!

რაოდენი ჰაეროვნება, რაოდენი მხიბლავი რომანტიკაა მის ნაწერებში! „მიყვარს საზოგადოდ ბავშვი, უგულითადეს პატივსა ვცემ მოხუცებულს, ღირსეულად ვაფასებ ვაჟკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზედ უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები!"

და აკაკი მთელ თავის ნაწერებში, არამც თუ ეტრფიალებოდა ჭაბუკობას, არამედ მთელი თავისი არსებით თვით იყო ჭაბუკი და სიცოცხლის უკა-

ნასკნელ წუთებამდე ჭაბუკადვე დარჩა. ამიტომ არის მის პროზაშიაც ჭაბუკური სიხალისე და თანაც სისადავე.

აკაკი ლირიკოსია უმთავრესად და ასეთად რჩება მოთხრობაშიაც. მის ნაწერებში ვერ შეხვდებით ეთნოგრაფიულ ნაკვთებს. მისი გმირები ყველანი ერთნაირად ლაპარაკობენ, მაგრამ ლაპარაკობენ აკაკის ენით. აკაკი არ ხატავს ტიპებს, არ სჭედს რაიმე ხატებას. ის მხოლოდ მოგითხრობთ და სწორედ მისი მოთხრობის კილოა მომხიბლავი. იგი აღსავსეა მოულოდნელობით, მოძრაობით, სიმკვირცხლით, მოქმედებით. იგი ცალკე სურათებს არ ჰქმნის. იგი ეპოპეას მოგიყვებათ და ყოველი ნაწილი მოთხრობილისა ერთნაირად ულირს. ის არ ჩერდება რაიმე ცალკე ეპიზოდის დაწვრილებითი გადმოცემაზე, არამედ, ჰეშმარიტად, მომხდარ ამბავს მოგითხრობთ.

აი, ბაში-აჩუკის მიერ მოლალატე სვიმონ მაყაშვილის მკვლელობა: „სვიმონ მაყაშვილმა წინ რამდენიმე ბიჯი წამოსდგა და ჩამოართვა ოასი. ამ დროს უცბად ჰაერში რაღაცამ გაიელვა და მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზედ კოტრიალებდა. მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე გაჰქუსლა. შეკრთა დიდი და პატარა! ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: „ჰეი, ბაში-აჩუკია, ბაში-აჩუკი“-ო. გამოუყენეს მდევრები, გვიან-ღა იყო. განრისხდა ფეიქარხანი, გაწყრა მეთვალყურეებზე და ბაში-აჩუკის თავიც ათას ოქროდ დააფასა.“

აქ კინემატოგრაფიული აღსახვაა, მაგრამ რაოდენი შინაარსი და მოქმედებაა რამდენსამე პწკარში!

საერთოდ პირველ ტომში მოთავსებული მოთხრობები ორ უმთავრეს ნაწილად შეიძლება გაიყოს. ერთია— ისტორიული ხასიათის, მეორე—თანამედროვე ცხოვრებას ეხება. თანამედროვე ცხოვრების [illegible] უმთავრესად სატირა, საზოგ[illegible]ა მოურიდებელი და ხანდახან შხამიანი დაცინვაა. ამ მხრით აღსანიშნავია „პატრიოტის აღსარება,“ „სიკვდილი,“ „სამგვარი სიყვარული“ და სხვა. ეს უკანასკნელი მოთხრობა მოწმობს, რომ აკაკის რომანის დაწერაც შეეძლო.

მგოსანი აწმყოს დასცინის და თავის დროის ქართველობას ასე ახასიათებს: „თავი უწერილდება, გული უპატარავდება და მუცელი უდიდდებაო.“

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ჩემს თავგადასავალს,“ რომლითაც ტომი იწყება. გერცენის „Былое и Думы“-ს შესახებ ამბობდენ: იქ უფრო მეტი „Думы“ ა ვიდრე „Былое“-ო. ეს ითქმის აკაკის „თავგადასავალზედაც.“ იქ მართლაც ნაკლებია „თავგადასავალი“ ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მაგრამ რაოდენი მხატვრული მასალაა აკაკის სიჭაბუკის დროის დასახასიათებლად, გარდასული საქართველოს და მისი მაშინდელი „ძესაჭის“ (თავად-აზნაურობის) ცხოვრების წარმოსადგენად! ბევრად უფრო სუსტია „თავგადასავალის“ მეორე ნაწილი, სადაც აკაკი იგონებს ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და ერთგვარად ახასიათებს კიდეც. სამაგიეროდ პირველი ნაწილი შეუდარებელია. ტყუილად კი არ გადაქცეულა იგი საქრესტომატიო მასალად!

ვიმეორებთ, ეს ტომი ფრიად მნიშვნელოვანი საჩუქარია ჩვენი ახალი თაობისათვის. ველით დაპირებულ სამ ტომსაც, ისევე კარგად გამოცემულს, როგორადაც პირველია გამოცემული.

ალ.

სანდრო შანშიაშვილი. ლირიკა. პოემები. I ტომი. 1925 წ.

დიდია ის ლიტერატურული გზა, რომელიც გაიარა სანდრო შანშიაშვილმა. როდესაც მეოცე საუკუნის საწყიში დაიწყო ახალი პოეზიის გამოსვლები,

ილიას და აკაკის შემდეგ, სანდრო შანშიაშვილი პირველი კონკისტადორი იყო ამ ლაშქრობის და პოეტების მეფედ ითვლებოდა. თავის დროზე მან სთარგმნა ედგარ პოეს—„ყორანი", ბალმონტის ლექსები. მისი პოემა „იაზონ და რენო" მიღებული იყო, როგორც ეპოქალური მოვლენა. ამ ტრიუმფების გამოძახილია შანშიაშვილის ლექსი „Lisis Poetig", სადაც ის აღიარებს თავის თავს უდიდეს პოეტად.

შანშიაშვილმა დიდი ხანია დაიმკვიდრა პოეტის სახელი, მაგრამ ის უკანასკნელ წლებში გვეცლინება, როგორც დრამატურგი. მისი ნიჭი საერთოდ მრავალმხრივია და არ განისაზღვრება ერთი განსაკუთრებული ფორმით. ლირიკულ ლექსების და დრამების გარდა მასაქვს მოთხრობები და ეპიური ხასიათის პოემები. პირველი ტომი, რომელიც ახლა გამოვიდა, შეიცავს ლირიკას და პოემებს, დაწერილს 1905 წ.—1925 წლამდე. ავტორს ახასიათებს თემების სიმრავლე და სიმდიდრე: მას აქვს ლექსები სოფელზე, სულამითზე, ამირანზე, ორეულზე, აორწივზე. მან მოგვცა პირველად ლირიკაში „ქართული ღმერთების პანთეონი". შანშიაშვილს ბევრი ეპიური თემები აქვს, მაგრამ მას აქვს საკუთარი თემაც, რომელშიდაც ნოსჩანს ავტორის ინდივიდუალობა

შანშიაშვილი—ეს ბებერი მუხა ქართული პოეზიის—ხშირად უბრუნდება მიწას და სოფელს. მისთვის გლეხის ყოფა-ცხოვრება ნაცნობია და ძვირფასი. მას არ უყვარს ქალაქი. და საზოგადოთ მას ქალაქის მოტივები ნაკლებათ ახასიათებს. შანშიაშვილის პეიზაჟი ყოველთვის სოფლურია და ყოველთვის ბუნებით არის შთაგონებული.

მისი ლექსების ერთი ციკლის სათაურები: „სოფელს", „მჭედელი ზაქარო", „სალამური", „გლეხის ქალი", „მეწისქვილე", „ჰიმნი გლეხს", „სალეწი-მანქანა".

შანშიაშვილი სოფლის და გლეხის პოეტია, მის ლექსებში ვერ ვხედავთ ქალაქს და რევოლიუციას (ერთი გამონაკლისი: დრამა „სპარტაკი"). ბუნების გარდა შანშიაშვილში იწვევს შთაგონებას წარსული: ისტორიული და მითოლოგიური. ამ წიგნის საუკეთესო შედეგია „კახეთის დედოფალი". მთელი კახეთის სინოყიერე მოცემულია ამ ლექსში ფიროსმანის და ვაჟას სიუხვით. აღსანიშნავია, რომ შანშიაშვილს დიდი კავშირი აქვს ვაჟასთან. მათი ეპოსი ანალოგიურია.

ვაჟამ შექმნა გმიოული ეპოსი, რომელიც შეადგენს მე-19 საუკუნის სასწაულს. თავისი მითოლოგიური და წარმართული ეპოსით შანშიაშვილი გვაგონებს უკვდავ ვაჟას. დასამახსოვრებელია ულრან ტყის მეფე-ბობლია, დალი—ტყის დედოფალი, ღრუბლების და ტაროსის ღმერთი ვობია, წყლის ლანდალები (ფერიები), ძალების ღმერთი—ფრთიანი ალაშკანტარი.

ამ პრიმიტივის სიყვარულით შანშიაშვილი უახლოვდება თანამედროვე პოეზიას.

უნდა ითქვას, რომ შანშიაშვილი უშუალო პოეტია. ამას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები. მისი ფორმა პრიმიტიულია, თუმცა ეს ფორმა ზოგ შემთხვევაში შეეფეოება მის თემას, ის არ არის ყოველთვის ოსტატი, როგორც ამას მოითხოვდენ პოეტისაგან პარნასელები. ის სტიქიურად ჰქმნის თავის ლექსებს და არ შეაქვს შესწორებები თავის მასალაში. ბარათაშვილის მსგავსად რითმაზე უფრო, მას იტაცებს ლექსის რიტმი.

ტრისტან მაჩაბელი.

ლიტერატურის ქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

▬ გამოვიდა ავალიშვილის წიგნი — „დამოუკიდებელი საქართველო“.

▬ გამომცემლობა „ქართული წიგნი“ შეუდგა ილ. ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემას. მთელი ნაწერები განზრახულია გამოვიდეს 9 ტომათ.

▬ გამოვიდა აკაკის რჩეული პროზა ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით.

▬ პარიზში გამოვიდა მხატვარ დ. კაკაბაძის წიგნი მხატვრობის შესახებ. წიგნი ტფილისში უკვე მიღებულია.

▬ მ. ჯავახიშვილი ამ ჟამად მუშაობს ახალ რომანზე: „წითელი ჯავშანი“. რომანი დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომრებში.

▬ გამოვიდა ს. შანშიაშვილის ლექსების ტომი: „ლირიკა და პოემები“. წიგნი შეიცავს შემდეგ ციკლებს: „ჰიმნი გლეხს“, „სოფელს“, „ცხოვრების გზაზედ“, „vita nuova“, ელდინო და სხვ.

რუსეთი

▬ კომუნისტურ აკადემიასთან დაარსდა ლიტერატურის და ხელოვნების სექცია ამხ. ფრიჩეს თავჯდომარეობით. შემუშავებულია ახლო მომავლისათვის მუშაობის გეგმა; ეს არის: გამოკვლევა ლიტერატურის და ხელოვნების ფორმალურ, რეფლექსოლოგიურ და ფრეიდისტურ მეთოდებით შესწავლისა.

▬ ხსენებული სექციის პირველ სხდომაზე შესაფალი მოხსენება გააკეთა ამხ. ფრიჩემ თემაზე: „ფრეიდიზმი და ხელოვნება“, რომელშიაც მან დააახასიათა ფრეიდიზმის ძირითადი თვისებები და აჩვენა, ფრეიდიზმის, როგორც სამეცნიერო თეორიის — მიუღებლობას.

▬ რუსეთის სახელგამი შეუდგა რუსეთის შემდეგი თანამედროვე მწერლების სრული კრებულების გამოცემას: ს. ესენინის, დ. ბედნის, სეიფულინის, მაიაკოვსკის და სხვა.

▬ პუშკინის კომისიამ დაიწყო მეორე კრებულის: „პუშკინისტი“-ს შედგენა. კრებულში მოთავსებული იქნება წერილები: პიკსანოვის, ლუნაჩარსკის, („პუშკინი და დეკაბრისტები“), გროსმანის და სხვა.

▬ სამხატვრო მეცნიერების სახელმწიფო აკადემიის სოციალ. განყოფილების რევოლუციონური კაბინეტი შეუდგა უკანასკნელი ოცდახუთი წლის (1900—1925) ბელეტრისტების, კრიტიკოსების და ლიტერატურის ისტორიკოსების ლექსიკონის შედგენას.

▬ რუსეთის სახელგამმა დაიწყო რუსეთის და მსოფლიო კლასიკების გამოცემა ლუნაჩარსკის და პიკსანოვის რედაქციით. ყოველ გამოცემას დართული ექნება კრიტიკული წერილები და შენიშვნები. უცხოეთის მწერლებიდან პირველ რიგში გამოსცემენ: ჰაინეს, ბაირონს და სხვ.

▬ საზღვარ გარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა კავშირის კულტ-დაწესებულებათა წიგნების გაცვლა გამოცვლა დასავლეთის დიდ მეცნიერულ დაწესებულებებთან. დღემდის მიღებულია დასავლეთიდან და გადაგზავნილი საბჭოთა კავშირის კულტ-დაწესებულებებისათვის 100. 000 მეტი ტომი.

ევროპა

▬ რამოდენიმე ხნის წინათ გერმანიაში გამოაქვეყნეს ამხ. ლენინის რჩეული ნაწერების ტომი, რომელიც შეიცავს 12 განყოფილებას. წიგნის სათაურია: „ბრძოლა სოციალურ რევოლიუციისათვის“ — და მოთავსებულია შიგ 70 წერილი და სიტყვა. ამ წიგნის შესახებ ვრცელი რეცენზია მოათავსა ა. მასლოვმა ვენაში გამოსულ „ინპრეკორ“-ის № 47-ში.

▬ გამოვიდა აგრეთვე გერმ. ენაზე ნათარგმნი წიგნი: „ლენინი და კოოპერაცია“. წერილები და სიტყვები. წიგნებს

დართული აქვს მეშჩერიაკოვის წინასიტყვაობა. ამ წიგნს ვენის კომუნისტურ გამოცემაში („ინპრეკორ„ № 13) უძღვნეს ვრცელი რეცენზია, რომლის ავტორი აღფრთოვანებით ესალმება ხსენებული შრომის გერმანულ ენაზე გამოსვლასდა გამოსთქვამს სურვილს, რომ შემდეგ გამოცემას—დაერთოს კოოპერაციის შესახებ საბჭოთა ყრილობის დეკრეტების რეზოლიუციების სრული ტექსტი.

▬ ა. ლოზოვსკის ბროშურა „ბრძოლა მსოფლიო პროფესიონალურულ მოძრაობის გაერთიანებისათვის" და „საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა ომამდე და ომის შემდეგ"—გამოვიდა გერმანულ ენაზე.

▬ გამოვიდა მეთერთმეტე ტომი გოეთეს წლიურების, რომელსაც სცემს გოეთეს საზოგადოება ვეიმარში. წიგნი გამოვიდა მაკს დეკერის რედაქციით და შეიცავს აღარებელ ახალ მასალას გოეთეს ვეიმარში ცხოვრების ეპოქიდან. წიგნში მოთავსებულ მთელ რიგ წერილებიდან აღსანიშნავია გონნეგერის შრომა გოეთეს ჰეგელთან დამოკიდებულების შესახებ და სხვ.

▬ გამოვიდა ი. სტალინის წიგნი: „თეორია და პრაქტიკა ლენინიზმის", რომელიც გამოსცა ბრიტანეთის კომპარტიამ და, რომელსაც დართული აქვს ტომას ბელის შესავალი.

▬ ეურ. „The Nation" ლიტერატურულ მიმოხილვათა განყოფილებაში მოთავსებულია ვულფის პატარა წერილი ლ. ტროცკის წიგნის „ლიტერატურა და რევოლიუციის" შესახებ. ვულფი თავის ხერილში დიდ ყურადღებას აქცევს ტროცკის შეხედულებას ლიტერატურის საკითხებზე.

▬ ანრი-დე რენიემ გამოსცა ტომი ლიტერატურ. წერილებისა და მოგონებების, სადაც იგი იძლევა ლეკონტ-დელილის და მალარმეს საუცხოო პორტრეტებს.

▬ გამომცემლობა „ლ' ლუმანიტე"-მ წინათ გამოცემულ ლენინის თხზულებათა თარგმანების გარდა, გამოსცა კიდევ მთელი რიგი წიგნების ლენინიზმის შესახებ. მათ შორის ხელ ახლად გამოვიდა—ი. სტალინის წიგნი: „თეორია და პრაქტიკა ლენინიზმის", ზინოვიევის წიგნი: „ჩვენი მასწავლებელი ლენინი". მოლოტოვის ბროშურა და სხვა. ამავე გამომცემლობამ გამოსცა: „ლენინი და რუსეთის გლეხობა".

▬ ჟურნალ „კლარტეემ" დაუგზავნა მთელ რიგ მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, და საზოგადო მოღვაწეებს ღია წერილი—ანკეტა--მაროკოს ომის შესახებ თავიანთი შეხედულების გამოსათქმელად. ამას წინად ჟურნალმა გამოაქვეყნა მწერლებისგან მიღებული 52 პასუხი. საფრანგეთის ცნობილი მწერლებიდან დასახელებულ ომის წინააღმდეგ გაილაშქრეს: რომენ როლანმა, ჟორჟ დიუამელმა, ვიქტორ მარგერიტმა და სხვ. „ბატუალას" ავტორმა ოენე მარანნა ანკეტაზე უპასუხა ვრცელი წერილით, რომელშიაც ის ეხება საფრანგეთის საახალშენო პოლიტიკას, საზოგადოთ, და, ბოლოს, ამტკიცებს რომ აბდულ-ქერიმი ავანტიურისტი არისო. ამ ანკეტასთან დაკავშირებით ანრი ბარბიუსმა გამოაქვეყნა ღია წერილი—„მოწოდება საფრანგეთის ინტელიგენციის მიმართ", რომელშიც იგი მოუწოდებს ინტელიგენციას დაიკავოს გადამჭრელი პოზიცია ომის საკითხში—„ან ჩის სასარგებლოთ ან და საწინააღმდეგოთ." ამ წერილის ქვეშ ხელი მოაწერეს ცნობილმა მწერლებმა, მეცნიერებმა და აგრეთვე ახალმა ლიტერატურულმა ჯგუფმა „ზე-რეალისტები".

▬ ფრანგული დიდი პრემია საუკეთესო პოემისათვის 1925 წ. მიუსაჯეს 11 წლის საბინე სიკოს—„პატარა პოემისათვის" (Matin D'Automne")

▬ გამოვიდა რაბი-დრანატ-ტაგორის ახალი პიესა ფანტასტური დრამა: „წითელი ოლიანდრები".

▬ ცნობილმა რომანისტმა ფილპოსტმა გამოსცა სოფლური მოთხრობების ტომი.

▬ ა. ბონტმა ახლო ხანად გამოუშვა წიგნი, რომელშიაც ავტორი ეხება ტრაგედიის პრობლემას. აქ იგი უდგება თემას ფილოსოფიური თვალსაზრი-

სით და ყურადღების ცენტრი მიპყრობილი აქვს ტრაგედიის „გმირი“-საკენ.

ᲐᲐᲐ ჟურნალ „Cahiers du Bolche-Visui“-ში მთელი 1925 წლის განმავლობაში ისტამბებოდა წერილები სტალინის, ბუხარინის, ტროცკის, მოლოტოვის და სხვების. ჟურნალი ათავსებდა აგრეთვე ლენინის წერილების თარგმანებს, როგორც მის ნაწერების კრებულიდან, აგრეთვე ლენინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილებსაც.

▬ ჟანნა შუზევილმა ერთ-ერთ კრებულში მოათავსა ვრცელი წერილი რუსეთის პოეზიის შესახებ 1800 წლიდან ჩვენ დრომდის. ამ წერილში ავტორი განსაკუთრებით დიდხანს ჩერდება მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსეთის კულტურულ ცხოვრებაზე. ამ წერილში ძოსჩანს ავტორის ანტი რევოლიუციონური მიდრეკილება, რაიც გამოიხატება იმაში, რომ იგი დუმილით უვლის თანამედროვე რუსეთის პროლეტარულ პოეტებს.

▬ ვ. კოკოვცევმა ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავის გამო პარიზის ერთერთ ჟურნალის რამოდენიმე ნომერში მოათავსა წერილები: „საბჭოთა მრეწველობისა და ფინანსიური მდგომარეობის“ შესახებ.

▬ ოდემ და დეონსონმა გამოაქვეყნეს სამხრეთ ამერიკის სიმღერების გამოკვლევა, რომელსაც დართული აქვს ნეგრული სიმღერების ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ნიმუშები.

▬ გამოვიდა კონრად ბერკოვიჩის ახალი რომანი, რომელ'ძიაც მწერალი ეხება ემიგრანტულ წრეების ცხოვრებას ნიუორკში. რომანის თემაა: კონფლიქტი ძველი ევროპიული იდეოლოგიისა ამერიკის უსულო მექანიკურ ცხოვრებასთან, — რომლის წინააღმდეგ თავის რომანში ილაშქრებს ბერკოვიჩი.

▬ ედგარ სეგდენმა შეადგინა ცნობარი ყველა გეოგრაფიული სახელის, რომელიც კი გვხდება შექსპირის ნაწერებში.

▬ ამერიკის კრიტიკა დიდი ქებით იხსენიებს შემდეგი ავტორების ლექსების წიგნებს: ვინცენტ ბენს, ანდერსონის და იდმენის.

ᲐᲐᲐ მიუნქენის აკადემია შეუდგა ცნობილ გერმანელ ისტორიკოსის რანკეს სრული კრებულის გამოცემას. მთელი კრებულის გამოცემა განზრახულია ორმოცდა ათ ტომად. რანკეს შრომის პირველი ექვსი ტომი, რომელიც შეეხება გერმანიის ისტორიის ეპოქის რეფორმაციას, უკვე გამოვიდა.

ᲐᲐᲐ განს შულცემ შეკრიბა და გამოსცა ორ ტომად ფიხტეს წერილები, რომლებიც დღემდე გაბნეული იყვნენ სხვადასხვა გამოცემებში. ხსენებულ წერილებს შულცემ დაურთო საყურადღებო შენიშვნები.

ᲮᲐᲠᲢᲣᲚᲐᲥᲪᲘᲝᲜ ᲙᲝᲚᲚᲔᲒᲘᲐ: Ვ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ. Მ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გვერ.

საქართველო

1. ალიო მაშაშვილი—პატარა 5
2. გალაქტიონ ტაბიძე—პოემა ვეფხისა 6
3. კონ. ლორთქიფანიძე—მე და შენ 10
4. ვარლამ ფურული —გულით სოფლისაკენ 11
5. ალ. ქუთათელი—ღრუბლები 13
6. ბიკტორ. გაბესკირია—ხატიჯე 15
7. გრიგოლ რობაქიძე—გველის პერანგი (გაგრძელება) . . . 17
8. მალაქიაშვილი—სამნი 64
9. მიხეილ ჯავახიშვილი—თეთრი საყელო 99

რუსეთი

10. ბაბელი—ცხენარმია (თარგმანი დ. შენგელაჯსი) 160

კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები

11. ელისაბედ ყაზბეგი—დ. ყაზბეგის და ა. ყაზბეგის ბიოგრაფ. მასალები (დასასრული) 177
12. დ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზედ (დასასრული) . 195
13. ვ. ხუროძე—შიო არაგვისპირელი 226
14. ა. ჰელიძე—წერილები სპარსეთიდან 233

ბიბლიოგრაფია და ქრონიკა

15. რაე—აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები. ტომი I. 249
16. ტრისტან მაჩაბელი—სანდრო შანშიაშვილი ლირიკა. პოემები. ტომი I. 250
17. ლიტერატურის ქრონიკა 252

[2-50] Нф. 1/1

ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის მომწერლების და მკითხველთა საყურადღებოდ ეცნობებიან შემდეგს: რათა ხელის მომწერლებს დროზე და უნაკლოდ დაურიგდეთ ნომრები 1926 წლისთვის, ჟურნალი „**მნათობი**“-ს რედაქცია თვითონვე მოაწყობს ჟურნალის კანტორას.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები და მეცნიერები.

ჟურნალს თანამშრომლები ჰყავს, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა დიდ ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც.

1926 წლის განმავლობაში „მნათობი“-ს ყოველ ნომერში დაიბეჭდება ლიტერატურის და ხელოვნების ქრონიკა.

დაიწყო ხელის მოწერა 1926 წლისათვის

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში და აგრეთვე სათანადო ქვითარებით და მანდატებით აღჭურვილ აგენტებთან.

წლიურად გამოვა 12 ნომერი ათ წიგნად და ხელის მომწერთათვის ეღირება 16 მანეთი, ნახევარი წლით — 8 მანეთი, ცალკე ნომერი — 2 მან. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალ „**მნათობი**“-ს გავრცელების ძველი სისტემა ამიერიდგან გაუქმებულია; ჟურნალის გავრცელების საქმე რედაქციამ ჩამოართვა კერძო პირებს და თვითონვე იკისრა იგი. ხელის მოწერა მინდობილი აქვთ სათანადო მანდატით აღჭურვილ „**მნათობი**“-ს კანტორის თანამშრომლებს:

1) ქ. **თბილისში, ა/კ. რკინისგზებზე** და მთელ აღმოსავლეთ საქართველოში — **ვ. წულაიას, ხ. ცანავას,** და **ი. სიგუას.**
2) ქ. **ჭიათურაში — ილია ღავთაძეს.**
3) ქ. **ქუთაისში** (არის განყოფილება) — **აბვლედიანს** (აღმასკომის წიგნის მაღაზიაში).
4) ქ. **ფოთი, სამტრედია, ხონი და სამეგრელო — მიტ. გალდავაძეს.**
5) ქ. **ბათუმი — ტ. სიხარულიძეს.**
6) ქ. **ოზურგეთი — მ. ჭანუყვაძეს.**

რედაქციის და კანტორის მისამართი: **ივ. მაჩაბლის** (სერგეევის) ქ. **№ 13. ხელოვნების სახახლე, ოთახი 17.**

P. S. **ვისაც 1925 წლის რომელიმე ნომერი დააკლდა, გვაცნობოს სათანადო საბუთების წარმოდგენით და ნომერს მიიღებს.**

„**მნათობი**“-ს **გამოცემლობა:**

გამოვიდა და იყიდება ყველგან —
ალიო მაშაშვილის,
კარლო კალაძის
და კონსტ. ლორთქიფანიძის
ლექსების წიგნები. გამოცემა „მნათობი“-ს.
გამოცემულია სუფთათ და კარგათ. ფასი: თითო წიგნი 15 კაპ.